ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო უცხოელ მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
2022 წელი

ავთანდილ ნიკოლეიშვილის წინამდებარე წიგნში მდიდარ ფაქტოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით საფუძვლიანადაა განხილული არტურ ზუტნერის, არტურ ლაისტის, მარჯორი უორდროპის, მარტინა მინტეგი ბილბაოს, აჰმეთ მითჰათ ეფენდის, ორჰან ფამუქის, ილჰან აკინის, ლევ ტოლსტოისა და ბულატ ოკუჯავას კავშირი საქართველოსთან და ქართული თემატიკა მათ შემოქმედებაში.

რედაქტორი **ნანა სუხიტაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **ლია მოსეშვილი**
შორენა ხუნდაძე

ვუძღვნი დედაჩემის -

ოლია (ოლღა) ლაღაძე-ნიკოლეიშვილის ხსოვნას

© ავთანდილ ნიკოლეიშვილი
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2022
ISBN 978-9941-16-794-2

შინაარსი

არტურ ზუტნერის ქართველოლოგიური ღვაწლი 5

ბერტა და არტურ ზუტნერები საქართველოში.....5
ა) ბერტა და არტურ ზუტნერები ქუთაისში 8
ბ) ზუგდიდსა და გორდში ცხოვრების ხანა.....16
გ) ზუტნერების ცხოვრების თბილისური პერიოდი 19
ქართული თემატიკა არტურ ზუტნერის პროზაში.....24
არტურ ზუტნერის რომანი „აჭარლები," როგორც
ოსმალობის დროინდელ აჭარაში
არსებული რეალობის ამსახველი რომანი 32
ქართული რეალიები არტურ ზუტნერის
უცნობ რომანში „იბერიელნი" 50
არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიური ღვაწლი 80
საქართველო არტურ ზუტნერის
პუბლიცისტურ ნააზრევში.....96
არტურ ზუტნერის პუბლიკაციები
მისი დროის ქართულ პრესაში 111

**არტურ ლაისტი
ქართულ ლიტერატურულ სივრცეში..... 118**

მხატვრული პროზა.....130
ლიტერატურული წერილები.....147
მემუარული ტექსტები 158
მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტები საქართველოზე.....166
ისტორიული რეალიები არტურ ლაისტის
ქართველოლოგიურ ნააზრევში.....176

**მარჯორი უორდროპის
ქართულენოვანი წერილები 183**

მარტინა მინტეგი ბილბაო – საქართველოში მცხოვრები ესპანელი (ბასკი) მწერალი 208

თურქი მწერლის – აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ქალი ანუ შურისძიება“ – საქართველოს ისტორიული რეალიების ამსახველი რომანი 233

არტაანი და ყარსი – ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები 248

ორჰან ფამუქის „თოვლი“ 272

ა) გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ და ორჰან ფამუქის „თოვლი“ (მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებანი) 272

ბ) ქართული და სომხურ-რუსული პასაჟები 293

ილჰან აკინი – „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“

ქართველ მუჰაჯირთა ტრაგიკული ხვედრის ამსახველი რომანი 309

ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი“, როგორც კავკასიაში რუსეთის საომარი კოლონიური პოლიტიკის მამხილებელი მოთხრობა 320

ქართული რეალიები ბულატ ოკუჯავას რომანში „გაუქმებული თეატრი. ოჯახური ქრონიკა“ 336

AVTANDIL NIKOLEISHVILI – Georgia in the Life and Creative Work of Foreign Writers. Abstract in English 354

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – შტრიხები ბიოგრაფიიდან 358

არტურ ზუტნერის ქართველოლოგიური ღვაწლი

ბერტა და არტურ ზუტნერები საქართველოში

ცნობილი ავსტრიელი მწერალი და ჟურნალისტი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერი (1850-1902 წწ.) მეუღლესთან – სახელგანთქმულ მწერალთან და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ ბერტა ფონ ზუტნერთან (1843-1914 წწ.) ერთად ცხრა წლის განმავლობაში (1876-1885 წლებში) ცხოვრობდა საქართველოში და წარუშლელი ადგილი დაიმკვიდრა ქართული კულტურის ისტორიაში. ჩვენი ქვეყნისადმი მის დამოკიდებულებას ესოდენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება სძენს, რომ ქართულ თემატიკას ძალზე ცოტა უცხოელი მწერლის შემოქმედებაში თუ შეუძენია ისეთი დიდი მასშტაბები, როგორც მასთან.

როგორც ა. ზუტნერის ლიტერატურული მემკვიდრეობისთვის თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს, მისი მწერლური შთაგონების უმთავრეს წყაროდ, პირველ ყოვლისა, საქართველო და კავკასია იქცა და მწერლის მხატვრული შემოქმედების უდიდესი ნაწილი ქართველ და კავკასიელ ხალხთა ისტორიული და თანადროული ყოფა-ცხოვრების წარმოსახვას მიეძღვნა.

არტურ ზუტნერის ქართული ღვაწლის კონკრეტულად წარმოჩენამდე რამდენიმე სიტყვით გავიხსენოთ საქართველოში მისი და მისი მეუღლის ცხოვრების უმთავრესი ეპიზოდები.

როგორც ბერტა ზუტნერის მოგონებათა წიგნიდან ვგებულობთ (ბერტა ზუტნერის ხსენებული წიგნი პირველად გამოიცა 1909 წელს ქალაქ შტუტგარტში), არტურისა და მის სიყვარულს არტურის მშობლების ოჯახში ბერტას მუშაობის დროს ჩაყრია

საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ბერტა ზოფია ფელიციტა კინსკი (დაიბადა 1843 წელს პრაღაში) გრაფის ოჯახში აღიზარდა, ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო, იგი ადრიდანვე ჩაება შრომით საქმიანობაში. სწორედ ამ მიზნით 1873 წელს ის აღმზრდელად იყო მიწვეული ზუტნერების მრავალშვილიან ოჯახში, სადაც გაიცნო მისი მომავალი მეუღლე არტური (დაიბადა 1850 წელს ვენაში), რომელიც მასზე შვიდი წლით უმცროსი იყო. მათი ნაცნობობა სულ მალე მგზნებარე სიყვარულში გადაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ არტურის მშობლები მათი ქორწინების წინააღმდეგი იყვნენ, ისინი ფარულად მაინც დაქორწინდნენ და, ბერტას წინადადებით, გადაწყვიტეს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოში, კერძოდ კი ზუგდიდში, წვეოდნენ სტუმრად სამეგრელოს მთავრის ოჯახს. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ბერტა: გადავწყვიტეთ, რომ „ჩვენ დავქორწინდებოდით ფარულად. და მერე... ქვეყანა ვრცელია... თავს გავიტანთ შრომით, ჩვენი უნარისა და ტალანტის გამოყენებით – ნავსაყუდელს სადმე ვიპოვით... კავკასიაში! წამოვაყენე მე წინადადება. იქ მყავდა ძლიერი მეგობრები. რამდენიმე წლის წინათ დედოფალმა (იგულისხმება სამეგრელოს მთავრის – ლევან დადიანის მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე – ა. ნ.) პირობა ჩამომართვა, მას ოდესმე ჩემს ქმართან ერთად ვსტუმრებოდი. ამრიგად, საქორწინო მოგზაურობა გეზს იქითკენ აიღებდა! რუსეთის იმპერატორთან სიახლოვის გამო, შესაძლებელი გახდებოდა რუსეთის სამეფო კარზე ანდა სახელმწიფო სამსახურში მოწყობა“ (ზუტნერი, 1999: 55).

სამეგრელოს მთავრის მეუღლესთან და მის შვილებთან ასეთი ახლო ურთიერთობა ბერტამ პარიზსა და გერმანიის საკურორტო ქალაქ ჰომბურგში ერთად გატარებული რამდენიმე წლიანი მეგობრობის შედეგად დაამყარა. ბერტა, ეკატერინე და მისი შვილები მაშინ იმდენად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ ეკატერინემ მისი ოჯახის ავსტრიელი მეგობარი თავისი ქალიშვილის – სალომეს მეჯვარედაც კი მიიწვია პარიზში 1868 წლის მაისში გადახდილ ქორწილში.

თავის ქართველ მეგობრებთან ახლობლობა ბერტამ სამშობლოში მათი დაბრუნების შემდეგ წერილობითი ფორმით განაგრძო. ერთმანეთს შორის ინტენსიურად გამართული ამ მიმოწერით სამეგრელოს დედოფალი და მისი შვილები თავიანთ ავსტრიელ მეგობარს დაბეჯითებით თხოვდნენ ხანგრძლივი დროით მათთან სტუმრობას.

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს ბერტას მოგონებათა წიგნიდან: „ჩემს კავკასიელ მეგობრებთან ცხოველ მიმოწერაში ვრჩებოდი. მათ ჩემი ცხოვრების ახალი ვითარება თავის დროზე შევატყობინე (იგულისხმება არტურთან მისი ურთიერთობა – ა. ნ.). სამეგრელოს ხანში შესულმა მთავრის ქალმა, რომელიც ახლა სამშობლოში იყო დაბრუნებული, შემომთავაზა, მასთან ჩავსულიყავი; მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ახალი სახლის მშენებლობა და მოწყობა დასრულდებოდა, რომელიც მის რეზიდენციაში – ზუგდიდში უნდა აგებულიყო (იგულისხმება დადიანების ახალი სასახლის მშენებლობა – ა. ნ.). ძველი სასახლე, რომელიც მთავარს თავის დროზე ევროპული სტილითა და დიდი პეწით გაემართა, თურქებმა დაანგრიეს და იავარქმნეს და ახლა დედოფალს უნდოდა ახალი, კიდევ უფრო მშვენიერი სასახლე აეგოთ. მე გეგმა ნანახი და სასახლის მორთვა-გაწყობის დეტალებიც გაცნობილი მქონდა“ (ზუტნერი, 1999: 47).

ახლად დაქორწინებულებმა დადიანების მიპატიჟებით ისარგებლეს და 1876 წლის 12 ივნისს, დაქორწინებასთან დაკავშირებული ოფიციალური ცერემონიალის დასრულების შემდეგ, მართლაც გამოემგზავრნენ საქართველოში.

სამწუხაროდ, იმის ზუსტად განსაზღვრა, ხსენებული ცხრა წლიანი პერიოდიდან ჩვენი ავსტრიელი სტუმრები სად რამდენ ხანს ცხოვრობდნენ, შეუძლებელია; დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ისინი ამ დროის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ოთხ ადგილზე ცხოვრობდნენ მეტ-ნაკლები დროით: ზუგდიდში, ზაფხულობით დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში – გორდში, ქუთაისსა და თბილისში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბერტა და არტურ ზუტნერები საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და 1885 წელს დაბრუნდნენ სამშობლოში. აქ ცხოვრების დროს მიღებული შთაბეჭდილებები არტურის ცნობიერებაში ისე წარუშლელად აღიბეჭდა, რომ ქართულ-კავკასიური თემატიკა ფაქტობრივად მთელი მისი შემოქმედების უმთავრეს, უფრო მეტიც, თითქმის ერთადერთ მიმართულებადაც კი იქცა.

არტურ ზუტნერი გარდაიცვალა 1902 წელს. ამ სამწუხარო მოვლენას ქართული პრესიდან მაშინ მხოლოდ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოეხმაურა ამ პატარა ინფორმაციით: „ვენის მახ-

ლობლად, ავსტრიაში, გარდაიცვალა ცნობილი მწერალი ბარონი გუნდაკარ ფონ-ზუტნერი. განსვენებული მე-80 წლებში 10 წელიწადს სცხოვრობდა კავკასიაში. ფონ-ზუტნერმა ბევრი მოთხრობა დასწერა ქართველთა ცხოვრებიდან („დარეჯანი“ და სხვანი). მანვე დასწერა ეტიუდი შოთა რუსთველის „ვეფხის ტყაოსანზე.“ განსვენებული მეუღლე იყო ცნობილი მწერალ ქალის ბერტა ფონ-ზუტნერისა“ (გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1902 წ. 17 დეკემბერი).

როგორც უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ არტურ ზუტნერის შემოქმედებითი ნააზრევიდან ქართულ ენაზე იმხანად მხოლოდ ერთადერთი ნაშრომი – რუსთაველის შესახებ დაწერილი ნარკვევი – იყო თარგმნილი და გამოქვეყნებული, მაშინდელ ჩვენს პრესაში დროდადრო დაბეჭდილი ინფორმაციებით ქართველ საზოგადოებას ამ პუბლიკაციებით მაინც ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა ამ პიროვნებისა და მისი მეუღლის მნიშვნელოვან დამსახურებაზე საქართველოს წინაშე.

ა) ბერტა და არტურ ზუტნერები ქუთაისში

საქართველოს ზუტნერები საზღვაო გზით, ოდესიდან ფოთში მომავალი თბომავლით, ესტუმრნენ. ბერტა ზუტნერი თავის მოგონებათა წიგნში დეტალურად მოგვითხრობს ჩვენს ქვეყანაში მათ ყოფნასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებს. მისეული მონათხრობისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ იგი არაერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ევროპული ყოფისაგან მრავალი ნიშან-თვისების მიხედვით განსხვავებული იმდროინდელი ქართული ყოფისა და ადათ-ტრადიციების შესახებ.

ხსენებულ რეალობასთან პირველი შეხვედრით მიღებული მკვეთრად ნეგატიური შთაბეჭდილება, რომელმაც ოქროს საწმისის ქვეყანაში ახალდაქორწინებულთა სტუმრობის რომანტიკულ მოლოდინს საფუძველი შეურყია, ფოთის სასტუმროში არსებული მდგომარეობა გამოდგა.

იმის გამო, რომ ფოთში ზუტნერების ჩასვლის დღეს მატარებელი ქუთაისში არ მიდიოდა, ღამის გათევა მათ ქალაქის სასტუმროში მოუხდათ. აი, როგორ აღწერს ბერტა იმ მდგომარეობას, რომელიც ფოთში იმხანად არსებულ ამ ერთადერთ სასტუმროში არსებულა: „ძალიან პრიმიტიული ფუნდუკი იყო. ღამე სავარძლებ-

ში გვეძინა, რადგან საწოლები ბაღლინჯოებით „დაკავებული“ აღმოჩნდა. როცა პირის დაბანა მოვინდომეთ, პირსაბანი მოვიძიეთ, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. მე ზარი დავანკარუნე, მოახლე გოგოს გამოძახება მინდოდა. გამოჩნდა გრუზათმიანი, გაბურძგნულწვერიანი ფეხშიშველა გლეხის ბიჭი. მას ჩვენი სურვილი ვერ გავაგებინეთ და ნდობით აღჭურვილ პირს ვუხმეთ, რომელიც ჩვენსავით ფოთის ამ „პალასჰოტელში“ დაბინავებულიყო. გამოირკვა, რომ ამ სახლში მხოლოდ ერთი კალის პირსაბანი და ერთი პირსახოცი იყო, რომელიც ერთი ოთახიდან მეორეში გადაჰქონდათ მოთხოვნილებისდა მიხედვით“ (ზუტნერი, 1999: 57).

მეორე დღეს, ასეთ პირობებში გატარებული ღამის შემდეგ, ბერტა და არტური ქუთაისში ჩამოვიდნენ, სადაც რამდენიმე დღით, გორდში არსებულ დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში გამგზავრებამდე, დარჩნენ. ფოთისაგან განსხვავებით, ქუთაისს ცოლ-ქმარზე იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ გორდში ზაფხულის გატარების შემდეგ, ისინი ისევ ქუთაისში დაბრუნებულან და საქართველოში მათი ცხოვრების ცხრა წლიდან აქ 1878 წლის ზაფხულამდე დარჩენილან.

ქუთაისში ზუტნერები დღევანდელი თამარ მეფის ქუჩის მე-13 ნომერში მდებარე სახლში ცხოვრობდნენ. ამის შესახებ ხსენებულ ადგილზე დღეს არსებული შენობის ფასადზე გაკრული მემორიალური დაფაც იუწყება, რომლითაც მნახველს ქართულ და გერმანულ ენებზე ასეთი ინფორმაცია მიეწოდება: „ქუთაისში 1877-1878 წწ. ცხოვრობდა ცნობილი ავსტრიელი მწერალი, პაციფისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტა ფონ ზუტნერი.“

როგორც ვხედავთ, მემორიალურ დაფაზე განთავსებული წარწერის ტექსტი ინფორმაციულადაც ნაკლულია და ქრონოლოგიურადაც არაზუსტი. კერძოდ, მემორიალურ დაფაზე განთავსებულ წარწერაში აღნიშნული არაა, რომ ბერტა ზუტნერი ხსენებულ მისამართზე მის მეუღლესთან – არტურთან ერთად ცხოვრობდა; ასევე შეცდომითაა დაფიქსირებული ქუთაისში ზუტნერების ცხოვრების წლებიც – როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჩვენი ქალაქის ავსტრიელი სტუმრები ქუთაისში არა 1877 წლიდან, არამედ 1876 წლის ივნისიდან ცხოვრობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბერტა ზუტნერის მოგონებათა წიგნის ქუთაისური ეპიზოდი მოცულობით დიდი არაა, ავტორი მის მიერ მოწოდებული ამ ინფორმაციული მასალით მაინც გვიქმნის

გარკვეულ წარმოდგენას 1870-იანი წლების ქუთაისში არსებულ რეალობაზე. კერძოდ, ავტორისეული მონათხრობის მიხედვით, ზუტნერებმა, თავდაპირველად, სწორედ ქუთაისში ყოფნის დროს შეიცნეს ჩვენი ეროვნული ყოფის ბევრი სპეციფიკური მხარე.

ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ბერტას მოგონებათა წიგნიდან. ავსტრიელი მწერლის მონათხრობი განსაკუთრებულ მნიშვნელობას დღესდღეობით, პირველ ყოვლისა, იმით იძენს, რომ მისი მეშვეობით ჩვენს წარმოსახვაში შთამბეჭდავად ცოცხლდება 1870-იანი წლების ქუთაისის როგორც ვიზუალური მხარე, ისე ამ ქალაქში იმხანად არსებული ცხოვრებისეული რეალობა.

პირველი პოზიტიური შთაბეჭდილება ახალდაქორწინებულებზე გუბერნიის მთავარმა ქალაქმა თავისი სასტუმროთი მოახდინა. ბერტას ინფორმაციით, ფოთის სასტუმროსთან შედარებით, მას და მის მეუღლეს იგი „ფეშენებელურ სასტუმროდ მოეჩვენათ. აქ ყოველ ოთახში იდგა პირსაბანი, იშოვებოდა პირსახოცი და ოთახებიცა და საწოლიც სუფთა იყო" (ზუტნერი, 1999: 58).

ზუტნერებზე ქუთაისს თავისი ვიზუალური მხარითაც მოუხდენია საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება. კერძოდ, ბერტა ზუტნერის თქმით, ქალაქში მოსულთ „ყველაფერი, რასაც ხედავდნენ, ისმენდნენ და ყნოსავდნენ, საოცრად ეგზოტიკური ეჩვენებოდათ: უცხო ტიპები, უცხო სამოსელი, სახლების უცხო არქიტექტურა. და რაც ყნოსვით შეგრძნებებს შეეხება, რაღაც უცნაური, საოცრად თავისებური, მაგრამ არაუსიამოვნო, მზეზე გამომშრალი კამეჩის ფუნის სურნელი. თვითონ კამეჩებიც, რომლებიც აქ გამოიყენებიან ტვირთმზიდავ და მეწველ ცხოველებად და რომლებიც ჯერ კიდევ ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე ტლაპოებში ჩაწოლოლნი ვნახეთ, წარმოადგენენ ერთობ ეგზოტიკურ სანახაობას" (ზუტნერი, 1999: 58).

ქუთაისის ღირსშესანიშნავ მხარეებზე საუბრის დროს ბერტა ზუტნერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ამ ქალაქის მკვიდრთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ერთმანეთთან ბუნებრივად შერწყმული სახით იყო წარმოდგენილი ეროვნული ტრადიციები და ევროპული წეს-ჩვეულებანი. ბერტას ინფორმაციით, ამ გარემოებას არა მარტო ის ფაქტი განაპირობებდა, ამ ქალაქში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ

მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობაც რომ ცხოვრობდა დროებით ანდა მუდმივად, არამედ ის დიდი ინტერესიც, რომელსაც იქაური ახალგაზრდობის არც თუ მცირე ნაწილი იჩენდა ევროპული ენებისა და კულტურისადმი.

პირველ ყოვლისა, სწორედ ქუთაისელი ახალგაზრდების ეს ინტერესი გახდა არსებითად განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, ზუტნერები ქუთაისში რომ დამკვიდრებულიყვნენ და ფრანგული და გერმანული ენებისა და მუსიკის სწავლების პროცესში ჩართულიყვნენ აქტიურად. ეს გადაწყვეტილება მათ იმის შემდეგ მიიღეს, როცა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის – დავით დადიანის მემკვიდრემ – ნიკომ ავსტრიელი სტუმრებისთვის მიცემული პირობა სახელმწიფო სამსახურის შოვნაში დახმარებასთან დაკავშირებით, მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ შეასრულა. ამ საქმეში ხელმოცარულმა ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, ქუთაისში დარჩენილიყვნენ და კერძო რეპეტიტორობით მოეპოვებინათ საარსებო სახსარი.

აი, რას წერს თავად ბერტა ამასთან დაკავშირებით: „ჩვენი იმედი, იქნებ, რუსეთის მეფის კარზე დაგვეწყო სამსახური, ბოლომდე ილუზიად დარჩა. მართალია, ნიკომ ამ იდეას ჩასჭიდა ხელი, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს შეუძლებელი იყო. მაშ, რა გვექნა?..

გადავწყვიტეთ, ქუთაისში დავბინავებულიყავით და ენის კერძო გაკვეთილებითა და მუსიკის სწავლებით გვერჩინა თავი. თავადის ქალი კუზინა, რომელიც ჩვენთან ერთად გორდში სტუმრობდა და თვითონ კი საერთოდ ქუთაისში ცხოვრობდა, შეგვპირდა, ეშოვა ჩვენთვის კერძო გაკვეთილები...

რამდენიმე კვირაში დავფუძნდით მცირე საბინადროში და ქუთათური თავადაზნაურების ქალიშვილები დადიოდნენ ჩემთან მუსიკისა და ვოკალის გაკვეთილებზე; არტური კი გერმანულ ენას ასწავლიდა“ (ზუტნერი, 1999: 62).

დამოწმებული ფრაგმენტისადმი ინტერესს არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ ბერტა ქუთაისში მათ ცხოვრებასთან დაკავშირებით გვაწვდის საგულისხმო ინფორმაციას, არამედ იმ ინტერესზეც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას, რომელსაც იმდროინდელი ქუთაისელი ახალგაზრდები იჩენდნენ ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობის დასამყარებლად.

თავის ქუთაისურ შთაბეჭდილებებს ბერტა ზუტნერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმითაც სძენდა, რომ ის და მისი მეუღ-

ლე პირველად სწორედ ამ ქალაქში გახდნენ უშუალოდ თვითმხილველნი ევროპული საზოგადოებისათვის უცნობი ქართული სუფრისა და სტუმარ-მასპინძლობისა.

ქუთაისში ჩამოსვლის პირველ დღეებში წინამძღოლობას მათ დადიანების ოჯახის მეგობარი, იმხანად ამ ქალაქში მცხოვრები ფრანგი არისტოკრატი გრაფი დე როსმორდიუკი უწევდათ, რომელიც 25 წლის წინათ იყო ჩამოსული კავკასიაში და საბოლოოდ ამ ქალაქში დასახლებული. სწორედ მას მიუყვანია ზუტნერები პირველად „ქუთაისის წარჩინებულ საზოგადოებაში," რომელსაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე.

აი, რას წერს ბ. ზუტნერი ამასთან დაკავშირებით: „პირველი სახლი, რომელშიც გრაფმა წარგვადგინა, იყო გენერალ წერეთლის სახლი... წერეთლებმა ჩვენდამი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს და ჩვენს პატივსაცემად დიდი დარბაზობა გამართეს, სადაც მოიწვიეს ქუთაისის წარჩინებული ოჯახები და ყველა დიდგვაროვანი...

წერეთლის სახლში ვახშამმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენ შეგვეძლო ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაზე, აქაურ ლხინზე, ზნე-ჩვეულებებზე და ა. შ. უშუალო დაკვირვება. აქ ვნახეთ მანდილოსნები თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში. აქ ვიხილეთ პირველად ეროვნული ცეკვა. პირველად დავესწარით ქართულ სუფრას... სუფრაზე არჩეული იყო საპატიო თანამდებობაზე „პირველმსმელი," რომელიც სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა... ოჯახის უფროსი და დიასახლისი სუფრასთან არ დამსხდარან, სუფრის მომსახურებაში ეხმარებოდნენ. თანამესუფრეთაგან ბევრი იყო, ფრანგულად რომ ლაპარაკობდა. თუ ვინმემ ფრანგული არ იცოდა, იქვე იყო გრაფი როსმორდიუკი, რომელიც თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა. მან ქართული კარგად იცოდა" (ზუტნერი, 1999: 58).

ქუთაისში ზუტნერების ცხოვრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ ორივე მათგანი აქ ყოფნის პერიოდში გამოვიდა სამწერლო და ჟურნალისტურ ასპარეზზე. ბერტა ზუტნერის გადმოცემით, მისმა ქმარმა „სწორედ ამ დროს სცადა ბედი მწერლობაში. მის ომის ქრონიკას, ავსტრიულ პრესაში რომ ქვეყნდებოდა, დიდი წარმატება ჰქონდა – მან თავის თავში აღმოაჩინა მსუბუქად და ხატოვნად წერის უნარი. ახლა არტური წერდა ელვარე, ცოცხალ წერილებს კავკასიის,

იქ მცხოვრები ადამიანების შესახებ და სხვადასხვა გერმანულ გაზეთებში გზავნიდა. ამ წერილებს ხალისით ბეჭდავდნენ და გვარიან ჰონორარსაც უხდიდნენ" (ზუტნერი, 1999: 67).

ბერტას თქმით, მეუღლის ზეგავლენით თუ მიბაძვით, მწერლობაში მასაც „მოუსინჯავს კალამი" და ამგვარი მცდელობის შედეგად, ქუთაისში ყოფნის დროს, დაწერილი ნოველა „მიწიერი ოცნებები მთვარეზე" გამოსაქვეყნებლად გაუგზავნია ჟურნალში – „გერმანელი ქალი." რედაქციას ხსენებული ნოველა იმდენად მოსწონებია, რომ არა მარტო დაუბეჭდავს, არამედ ავტორისთვის წერილიც გამოუგზავნია იმის თხოვნით, მისი სხვა ნაწარმოებებიც რომ მიეწოდებინა მათ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად (ზუტნერი, 1999: 67).

ქუთაისში ყოფნა ზუტნერებს რუსეთსა და თურქეთს შორის 1877-1878 წლებში მიმდინარე ომის დროს მოუხდათ. როგორც ცნობილია, 1877 წლის აპრილის ბოლოს დაწყებულ ამ მასშტაბურ ომში ბრძოლები უმთავრესად ორ დიდ რეგიონში მიმდინარეობდა – ბალკანეთსა და კავკასიაში. ხსენებულ ომში რუსეთის გამარჯვება ქართველ პატრიოტებს იმის იმედს უჩენდა, სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაკარგული ქართული ტერიტორიების გარკვეული ნაწილი კვლავაც რომ შემოუერთდებოდა ჩვენს ქვეყანას. მათმა ამ მოლოდინმა კი არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ საომარ ოპერაციებში მრავალი ქართველი მოხალისეც იღებდა მონაწილეობას.

როგორც უკვე ითქვა, არტურ ზუტნერი ხსენებული ომის მიმდინარეობასთან დაკავშირებით დაწერილ სტატიებს სისტემატურად ბეჭდავდა იმ პერიოდის ავსტრიულ პრესაში. აი, რას აღნიშნავს ამის შესახებ ბერტა თავის მოგონებათა წიგნში: „ჩემი ქმარი კორესპონდენციებს აგზავნიდა ვენაში ომის ამბების შესახებ „ნოიე ფრაიე პრესე"-ში. ეს გაზეთი ამ ცნობებს მადლიერებით აღსავსე ბეჭდავდა. მაგრამ ეს კორესპონდენციები თანდათანობით მეტისმეტად პრორუსულად მოეჩვენა გაზეთს. თვითონ „ნოიე ფრაიე პრესე" თურქებისკენ გადაიხარა და ამიტომ უარი უთხრა ჩემს ქმარს თანამშრომლობაზე" (ზუტნერი, 1999: 65).

ბერტა ზუტნერის მოგონებათა წიგნის ქუთაისური ეპიზოდი, არაპირდაპირი სახით, გარკვეულ საფუძველს იმის სათქმელადაც იძლევა, რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე ამ ომთან ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებული დამოკიდებულება

რომ ჰქონდა. ჩემი აზრით, სწორედ ამის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ ხსენებული ომისა და მისი დამთავრების შემდგომი პერიოდის ქუთაისში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით მწერლის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია:

„კავკასია საკმაოდ რუსიფიცირებული და ლოიალური აღმოჩნდა. ქვეყნის შვილები... ერთსულოვნად მიდიოდნენ ბრძოლის ველზე, თურქები რომ გაენადგურებინათ. „სოტნიას" ეძახდნენ თავიანთ თავს ას-ასი კეთილშობილი მხედრისაგან შემდგარი რაზმები, რომლებიც ნებაყოფლობით უერთდებოდნენ არმიას, და ჩვენ ვხედავდით მათ ამხედრებულთ ჩვენი ფანჯრების ქვეშ...

ვინც ფრონტზე არ წასულა, ატბანილი იყო წითელი ჯვრის საქმიანობით: სახვევებს ამზადებდნენ, ჩაისა და თამბაქოს აგზავნიდნენ, ფულს აგროვებდნენ, საქველმოქმედო საღამოებს გეგმავდნენ, ჩამომვლელ სამხედრო ნაწილებს საზრდოთი და სასმელით ამარაგებდნენ – ცდილობდნენ ყველაფერი გაეკეთებინათ, მხარში ამოდგომოდნენ, ხელი გაემართათ საწყალი მეომრებისთვის" (ზუტნერი, 1999: 64).

ბერტა ზუტნერის მოგონებათა წიგნიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, ავტორის პრორუსულ პოზიციას მისი მეუღლეც რომ იზიარებდა. კერძოდ, გარკვეული დროის შემდეგ, მკვეთრად გამოხატული სწორედ ამ პოზიციის გამო, შეუკავებიათ თავი ავსტრიული გაზეთის გამომცემელთ ომის თემაზე დაწერილი არტურ ზუტნერის კორესპონდენციების გამოქვეყნებისაგან.

აღნიშნულ მოვლენას ესოდენ დიდი ყურადღება აქ იმიტომაც მივაქციე, რომ ომისდროინდელი მოვლენების აღწერის დროს არტურ ზუტნერი აშკარად გამოხატული ნეგატიური სახით წარმოაჩენს იმ ქაოსსა და უწესრიგობას, რომელიც, მისი შეფასებით, რუსეთის ჯარსა და საბრძოლო ეპიცენტრებში იყო ფართოდ დამკვიდრებული. ავტორისეული მონათხრობის მიხედვით, აღნიშნული თვალსაზრისით გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა თურქული მხარე.

ა. ზუტნერის ინფორმაციით, რუსული მხარის საბრძოლო შენაერთებში წესრიგი და დისციპლინა ყველა დონეზე იმდენადაც კი იყო მოშლილი, რომ ნებისმიერ პირს შეეძლო თავისი მოვალეობის შესრულებაზე სურვილისამებრ ეთქვა უარი, თავისი ნაწილი უპრობლემოდ მიეტოვებინა და სადაც უნდოდა, იქ წასულიყო. აქედან გამომდინარე, თურქული შეიარაღებული ნაწილები რუ-

სულ არმიას, სურვილის შემთხვევაში, ისე იოლად დაამარცხებდნენ, რომ ქუთაისამდეც კი მოაღწევდნენ უპრობლემოდ. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ავტორისეული ნარატივიდან:

„ომი თანდათანობით ისეთ მშვიდ მიმართულებას იღებს, რომ, ალბათ, არაერთი ბატონი კომენდანტი დაემშვიდობება საკუთარ კორპუსს განუსაზღვრელი დროით. ზოგიერთი მათგანი ქუთაისში დაიდებს ბინას, სხვები სოფლის სამფლობელოებს მიაშურებენ და საკუთარი მეცხვარეობის კონტროლზე თვითონვე იზრუნებენ. გამოჩნდება მათ შორის ისეთიც, სოხუმთან დაფნის ტოტის მოჭრა რომ სურდა და ვერ მოახერხა, რადგან დანა არ აღმოაჩნდა თან, ახლა კი შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, ფაეტონში გამოჯგიმული ივლის და ალბათ იამაყებს თავისი წილი საქმის გაუკეთებლობის გამო. მოკლედ რომ ვთქვათ, საკმაოდ მშვიდი სიტუაციაა...

...მტერი არც ისე შორსაა, თუ მოინდომებს, 24 საათში მოახერხებს ქუთაისში ჩამოსვლას. ნაწილობრივ იარაღდება კიდეც ხალხი, ყოველი შემთხვევისათვის, მზად რომ იყოს გასაქცევად."

ჩემი აზრით, რუსულ არმიაში იმხანად არსებული რეალობის ასეთი სახით წარმოჩენა არსებითად განაპირობა იმ წარუმატებელმა საომარმა ოპერაციებმა, რის შედეგადაც კავკასიის რამდენიმე საომარ ლოკაციაზე რუსები იძულებული გახდნენ პოზიციები დაეთმოთ და უკან დაეხიათ. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მკვეთრად ნეგატიური ის დამოკიდებულება, რომელსაც ა. ზუტნერი ამ რეალობას წარმოჩენის დროს გამოხატავდა საკმაოდ ჰიპერბოლიზებული ფორმით, უპირველეს ყოვლისა, იმ წარუმატებელი საომარი ოპერაციებით იყო განპირობებული, რაც რუსულმა სამხედრო დანაყოფებმა განიცადეს 1877 წლის ივნის-ივლისში ციხისძირთან და მუხაესტატესთან გამართულ საბრძოლო დაპირისპირებებში.

საბედნიეროდ, საქართველოში ცხოვრების პერიოდში ჩვენი ქვეყნისა და ქართველებისადმი ბერტა და არტურ ზუტნერების სიყვარულმა დროთა განმავლობაში იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ მათ ძალზე ბევრი რამ გააკეთეს ევროპული სამყაროსთვის საქართველოსა და ქართული კულტურის გასაცნობად. სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მათი აქტიური მონაწილეობა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ და

გერმანულ ენებზე თარგმნის პროცესში და რუსულ და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მათი წერილები ხსენებულ პოემასა და საქართველოზე.

ბ) ზუგდიდსა და გორდში ცხოვრების ხანა

მიუხედავად იმისა, რომ დაზუსტებით იმის თქმა, საქართველოში ცხოვრების ცხრაწლიანი პერიოდიდან ზუტნერებმა სად რამდენი წელი გაატარეს, შეუძლებელია, ჩვენთვის დღესდღეობით ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველაზე ხანგრძლივად (სავარაუდოდ ოთხი წელი) ისინი ქალაქ ზუგდიდში, დადიანების კარზე, ცხოვრობდნენ, ზაფხულს კი გორდში მდებარე მათ რეზიდენციაში ატარებდნენ თავიანთ მასპინძლებთან ერთად.

როგორც ითქვა, ზუგდიდში ზუტნერების დიდი ხნით დარჩენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის ახლო მეგობრული ურთიერთობა იქცა, რასაც მყარი საფუძველი ჩაეყარა ევროპაში არტურის მეუღლესა და სამეგრელოს მთავრის ოჯახის წევრებს შორის. სწორედ ამ მეგობრობის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ახლად დაქორწინებულმა ავსტრიელმა ცოლქმარმა თავიანთი გადაწყვეტილება საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, მათი მრავალგზისი მოწვევის საფუძველზე მიიღეს.

ბერტა ზუტნერის ხაზგასმით, ზუგდიდში ხანგრძლივი დროით მათი დარჩენა არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სამშენებლო საქმიანობაში პროფესიულ დონეზე გარკვეული არტური პრინცმა აშილ მიურატმა (ეკატერინე დადიანის ქალიშვილის ფრანგმა მეუღლემ) დადიანების სასახლის მშენებლობის ზედამხედველად და ასისტენტად აიყვანა. „არტურის მოვალეობას შეადგენდა პროექტების ხაზვა და მშენებელი მუშების ხელმძღვანელობა“ (ზუტნერი, 1999: 72).

სასახლის მშენებლობისა და კეთილმოწყობის პროცესში არტურის აქტიური ჩართულობა იმითაც დასტურდება, რომ ამ სასახლის კედლები სწორედ მისი ესკიზებით შექმნილი შპალერით იყო დამშვენებული.

მიუხედავად დადიანების ოჯახთან ასეთი ახლო მეგობრული ურთიერთობისა, ზუტნერები მაინც მათგან განცალკევებულად

ცხოვრობდნენ. აი, რა ინფორმაციას გვანვდის თავიანთი ცხოვრების ზუგდიდურ პერიოდთან დაკავშირებით არტურის მეუღლე: „ჩვენ ვიქირავეთ ერთი გერმანელი კოლონისტის ქოხი. სამოთხისებური ყოფა გვქონდა, ჩვენი აზრით. თავისთავად ცხადია, ეს არ იყო მდიდრული და პრეტენზიული ცხოვრება. ოთახები მიწის დონეზე იყო განლაგებული: 3 დაბალი ოთახი და ერთი სამზარეულო. პარმალის წინ ხის აივანი გვქონდა. პირველი ოთახი იყო ჩვენი სალონი. ბაზრობაზე ვიყიდეთ ძალიან იაფი წითელი ნაჭერი და შპალერი ავაკარით „სალონის" კედლებზე; ნაწილი ფანჯრის ფარდებად გამოვიყენეთ. შპალერის ამკვრელი თვითონ ჩვენ ვიყავით... ჩვენი ავეჯი შედგებოდა ერთი ძალიან დიდი მაგიდისაგან, რომელიც ორივესათვის საწერ მაგიდას წარმოადგენდა, რამდენიმე სავარძლის, კიდევ ერთი მაგიდისა და ერთი ტახტისაგან" (ზუტნერი, 1999: 71).

სამეგრელოში გატარებული დრო არტურ ზუტნერისათვის მეტად მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ მისი მოთხრობებისა და რომანების უმთავრეს თემად, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ რეგიონის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-ტრადიციების წარმოსახვა იქცა. მიუხედავად ფიზიკური სამუშაოებით დიდი დატვირთვისა, მწერალი აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას მაინც არ წყვეტდა. კერძოდ, ბერტას ინფორმაციით, სწორედ ზუგდიდში ცხოვრების დროს დაუწერია მის მეუღლეს სამეგრელოს მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი რომანები: „დარეჯანი" და „აზნაური" და მოთხრობების კრებული „კავკასიის შვილები."

ზუგდიდში ცხოვრების პერიოდში არტურ ზუტნერის მრავალმხრივი შემოქმედებითი შესაძლებლობები იმ მიმართულებითაც გამოვლინდა, რომ მას კარიკატურისტისა და გრაფიკოსის ნიჭიც აღმოაჩნდა. ბერტას ინფორმაციით, მისი მეუღლის მიერ შექმნილი მეგობრული შარჟები და კარიკატურები არა მარტო დადიანების სამთავრო კარზე იყო საკმაოდ პოპულარული, არამედ ზოგიერთი მათგანი ავსტრიული ჟურნალის – „ფლიგენდე ბლეტერის" ფურცლებზეც ყოფილა იმხანად გამოქვეყნებული.

გურამ ჭოხონელიძის ინფორმაციით, არტურ ზუტნერის მიერ შექმნილი კარიკატურებიდან და მეგობრული შარჟებიდან ჩვენამდე ორი ალბომია მოღწეული. მათგან ერთი ვენაშია დაცული, ხოლო მეორე – ზუგდიდში (ჭოხონელიძე, 1997).

საქართველოში ცხოვრების პერიოდში ზუტნერების მრავალფეროვან შემოქმედებით მისწრაფებათა წარმომჩენ ერთ-ერთ მიმართულებად მათი მუსიკალური და თეატრალური საქმიანობაც იქცა. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას არტური იჩენდა, რომელიც იქ ჩატარებულ მუსიკალურ საღამოებზე საკმაოდ ეფექტურად ასრულებდა კლასიკური მუსიკის სხვადასხვა ნომრებს. ამგვარი საღამოების გამართვით არტურის დაინტერესებას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ იგი თავადაც წერდა მუსიკალურ ნაწარმოებებს.

გორდის საზაფხულო რეზიდენციაში ყოფნის დროს კი ცოლქმარს თეატრალური სალონიც მოუწყვიათ. თეატრისათვის პიესებს თურმე ბერტა წერდა ფრანგულ ენაზე. გარდა იმისა, რომ სპექტაკლებში მოქმედ პირთა როლებს ავსტრიელი ცოლ-ქმარიც ასრულებდა, ხსენებულ წარმოდგენებს არტური მუსიკალურადაც აფორმებდა. მისივე იყო მხატვრობაც. ბერტასა და არტურის მიერ დაფუძნებული თეატრალური სალონი იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ გორდის საზაფხულო რეზიდენციაში გამართულ თეატრალურ წარმოდგენებს არა მარტო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე და მისი ოჯახის წევრები ესწრებოდნენ, არამედ უცხოელებიცა და ქუთაისიდან და თბილისიდან ჩამოსული სტუმრებიც (ჭოხონელიძე, 1997).

სამეგრელოში ცხოვრების პერიოდში დადიანების ოჯახთან ზუტნერების ახლო მეგობრული ურთიერთობა იმდენადაც კი განმტკიცდა, რომ სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფლის – ეკატერინე ჭავჭავაძისთვის პატივის მისაგებად გამართულ პანაშვიდებსა და დაკრძალვის დღეს დედოფლის ჭირისუფალთა შორის ბერტაცა და არტურიც იმყოფებოდნენ. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ბერტა: თავად ნიკოსაგან გამოგზავნილი დეპეშით შევიტყვეთ, რომ დედამისს „უშფოთველად მიუბარებია სული ღმერთისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ცნობას ველოდი, ამან ჩემზე მაინც თავზარდამცემად იმოქმედა და ჩემი ძველისძველი მეგობარი გულითადად დავიტირე“ (ზუტნერი, 1999: 75).

საქართველოში ზუტნერების ცხოვრების ცხრაწლიანი ხანა 1885 წლის მაისში დასრულდა. მიუხედავად იმ დიდი სიყვარულისა, რითაც ისინი ამ ხნის განმავლობაში აღმოჩნდნენ დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან, სამშობლოს მონატრების გამძაფრე-

ბულმა გრძნობამ ამ სიყვარულს მაინც სძლია და ისინი ამჯერად უკვე ბათუმის საზღვაო პორტიდან მიმავალი გემით გაემართნენ თავიანთ ქვეყანაში.

ბერტა ზუტნერის შეფასებით, მართალია, საქართველოში ცხოვრების დრო მათთვის ეკონომიკური და კარიერული ნინსვლის თვალსაზრისით ნაკლებად წარმატებული გამოდგა, მაგრამ მან და მისმა მეუღლემ სწორედ აქ გადადგეს პირველი ნაბიჯები დიდ ლიტერატურულ ასპარეზზე. ასე რომ, ცხრა წლის წინათ საქართველოში კერძო პიროვნებებად ჩამოსული ზუტნერები ცხრა წლის შემდეგ სამშობლოში უკვე წარმატებული რეპუტაციის მქონე მწერლებად ბრუნდებოდნენ.

კერძოდ, აი, როგორ შეფასებას აძლევს ბერტა ზუტნერი თავიანთი ცხოვრების აღნიშნულ პერიოდს: „ჩვენი გადახვეწილობის ჟამი დასასრულს უახლოვდებოდა... მართალია, არაფერი გამოგვივიდა რუსეთის სამეფო კარზე კარიერის გაკეთებისაგან, ვერც კომერციის წამოწყებამ გაგვიმართლა იმედები, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ ორივემ ჩვენი ადგილები მოვიპოვეთ ლიტერატურაში, რასაც საკმაოდ მზარდი შემოსავალი მოჰქონდა. კრიტიკა გვაქებდა, რედაქტორები ახალ-ახალ შეკვეთებს გვაძლევდნენ, გამომცემლები ჩვენგან ხელნაწერებს მოითხოვდნენ. ჩემი ქმრის კავკასიურმა ნოველებმა და რომანებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს“ (ზუტნერი, 1999: 76).

ასე დასრულდა საქართველოში ზუტნერების ცხოვრების ცხრაწლიანი დრო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ისინი ამის შემდეგ აღარასოდეს წვევიან, იმ დიდმა სიყვარულმა და მასთან განშორების შედეგად წარმოქმნილმა ნოსტალგიამ, რითაც სამშობლოში დაბრუნებული ცოლ-ქმარი მთელი ცხოვრების განმავლობაში იყვნენ ქართულ რეალობასთან სულიერად დაკავშირებული, ამჯერად უკვე მათ შემოქმედებაში გადაინაცვლა და იქ პოვა მრავალმხრივი გამოვლინება.

გ) ზუტნერების ცხოვრების თბილისური პერიოდი

საქართველოში ცხოვრების ცხრაწლიანი პერიოდიდან ზუტნერებმა გარკვეული დრო თბილისშიც გაატარეს. ამ ქალაქში ცხოვრება მათ სამეგრელოს სამთავროს ყოფილი დედოფლის – ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ (1882 წ.) გადაწყვიტეს.

ამ გადაწყვეტილების მიღების არსებითად განმაპირობებელ ფაქტორად ის გარემოება იქცა, რომ მათ აქ საარსებოდ საჭირო თანხის მოპოვების უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ.

საამისოდ აუცილებელი სამსახურის მოძიებასთან დაკავშირებული პრობლემა ზუტნერების წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით იმიტომაც დადგა, რომ საქართველოში მათმა მთავარმა მასპინძლებმა – დადიანებმა მათთვის მიცემული პირობა იმასთან დაკავშირებით, რომ არტურს სახელმწიფო სამსახურის მიღებაში დაეხმარებოდნენ, მათგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ შეასრულეს. ამის შედეგად ფინანსური პრობლემის წინაშე დამდგარი ცოლ-ქმარი იძულებული გახდა თავად მოეძებნათ შესაფერი სამუშაო.

აი, რას წერს არტურის მეუღლე ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებათა წიგნში: „ჩემი ქმრის სახელმწიფო დასაქმებიდან ჯერ-ჯერობით არაფერი გამოდიოდა. მაინც ვადგენდით გეგმებს და ვაშენებდით ოცნების კოშკებს: იქნებ სავაჭრო საქმისათვის მოეკიდა ხელი, კოლონისტების აღწერა ეწარმოებინა, ანდა ხე-ტყით ვაჭრობა წამოეწყო. ამ პროექტების „თხზვაში," რომლებშიც ჩემს ქმარს შემოსავლიანი საქმიანობა ეკისრებოდა, განსაკუთრებით ნიკო (სამეგრელოს მთავრის – დავით დადიანის მეუღლის – ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი – ა. ნ.) და როსმორდიუკი (საქართველოში მცხოვრები ფრანგი არისტოკრატი – ა. ნ.) აქტიურობდნენ. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, გააჩაღეს ფართო მიმოწერა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა" (ზუტნერი, 1999: 68).

ასეთ ვითარებაში მყოფმა ზუტნერებმა გადაწყვიტეს, საცხოვრებლად თბილისში გადასულიყვნენ, სადაც მათი პრობლემის მოსაგვარებლად გაცილებით უკეთესი შესაძლებლობა არსებობდა. ბერტა ზუტნერის მოგონებათა წიგნის თბილისური ეპიზოდისადმი ინტერესს არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავს მნიშვნელოვანწილად, რომ მწერალი ცოლ-ქმრის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს, არამედ – იმდროინდელი თბილისისა და იქაურთა ყოფის შესახებაც.

იქიდან გამომდინარე, რომ თბილისში გადმოსახლებულ ზუტნერებს ქალაქის ელიტარული საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლებისთვის წარსადგენად დადიანებისგან გამოტანებული სარეკომენდაციო წერილებიც თან ჰქონდათ, ისინი სულ მალე

მოექცნენ ამ საზოგადოების წრეში და, როგორც საპატიო სტუმრებს, უდიდესი პატივისცემით იწვევდნენ მათ მიერ გამართულ სალონურ შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის წვეულებებზე.

კერძოდ, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით ბერტა ზუტნერი: საქართველოს უკანასკნელი მეფის ვაჟის – ერეკლე ბაგრატიონის ქვრივი თამარი იმდროინდელ თბილისში „მეფისნაცვლის შემდეგ ყველაზე ბრწყინვალე დარბაზობებს მართავდა. იქ ჩვენ დიდი პატივისცემით გვღებულობდნენ...

თამარს ჰქონდა საკუთარი, დახვეწილი გემოვნებით მოწყობილი სასახლე და მის სალონებში ტრიალებდა აქაური საზოგადოების ნაღები. მეფის ნაცვლის სასახლის დიდკაცობა, თვითონ დიდი თავადი – მეფისნაცვალიც ხშირად იყო აქ. სხვადასხვა გუბერნატორები, გენერლები და ადგილობრივი წარჩინებულები" (ზუტნერი, 1999: 68).

ერეკლე ბატონიშვილის ქვრივი გამონაკლისი არ ყოფილა და ზუტნერებისადმი, როგორც ჩვენი ქვეყნის საპატიო სტუმრებისადმი, მსგავს ყურადღებას თბილისის წარჩინებული საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც იჩენდნენ. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს ბერტას მოგონებათა წიგნიდან: „თითქმის ყოველ საღამოს ხან ერეკლე ბაგრატიონის ქვრივთან ვვახშმობდით, ხან მის დასთან და საერთოდ ქალაქის ყველა წარჩინებულ ოჯახში...

ჩვენ მიგვიჩნევდნენ თავისებურ არისტოკრატ ემიგრანტებად. ჩვენ არათუ თანაბარ პირობებში გვაყენებდნენ, არამედ იმ პატივისცემითაც გვექცეოდნენ, როგორითაც ეპყრობოდნენ გამოჩენილ უცხოელებს" (ზუტნერი, 1999: 69).

ან კიდევ: „ჩვენ გავიცანით იმ წარჩინებული ოჯახების ქრონიკები, რომლებთანაც ურთიერთობა გვქონდა. ესენი იყვნენ: ორბელიანები,წერეთლები, გრუზინსკები, დადიანები, მუხრანსკები, ჭავჭავაძეები" (ზუტნერი, 1999: 80).

ბერტას დახასიათებით, იმდროინდელი თბილისი „აღმოსავლური, ნახევრად ევროპული ქალაქი იყო. ქალაქის ევროპულ ნაწილში იგივე ყოფა-ცხოვრება სუფევდა, როგორც ჩვენს (ევროპულ – ა. ნ.) ქალაქებში: ევროპული ტანსაცმელი, ევროპული ჩვეულები, ფრანგი მზარეულები, ინგლისელი გუვერნანტები, იგივე ჟურფიქსები, მუსაიფი რუსულ და ფრანგულ ენებზე და ა. შ." (ზუტნერი, 1999: 68).

თბილისში ცხოვრების პერიოდში ზუტნერები აქტიურ შრომით საქმიანობასაც ეწეოდნენ საარსებო სახსრის მოსაპოვებლად. კერძოდ, ბერტა რეპეტიტორობდა, არტური კი საკმაოდ შრომატევად და მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა.

აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით ბერტა: „მე დილიდანვე გავდიოდი სახლიდან კარგად ანაზღაურებული მუსიკის კერძო გაკვეთილებზე. ჩემს ქმარს ჰქონდა თავისი სამსახური ერთ ფრანგ შპალერის ფაბრიკანტთან, მუსიო ბერნექსთან, რომელიც მარსელიდან იყო ჩამოსული. აქ არტურს ბინაც ჰქონდა და სასმელ-საჭმელიც. სამუშაო ზარი დილის 5 სთ-ზე ირეკებოდა. ჩემი ქმარი დილაუთენია საწოლიდან უნდა წამომხტარიყო, მაგრამ ამას სიამოვნებით შვრებოდა. შემდეგ მიდიოდა მანქანების განყოფილებაში მუშების სამეთვალყურეოდ... 8 საათზე თავის „პატრონთან“ და ოსტატებთან ერთად პირველი საუზმის მისართმევად სუფრას უჯდებოდა. შემდეგ ბიუროში მიდიოდა საანგარიშოდ და ნიმუშების სახატავად პირველ საათამდე... ნაშუადღევს არტური სავაჭრო საქმეების გასარიგებლად, პირობის დასადებად, ხელშეკრულების გასაფორმებლად მიდიოდა მუშტრებთან, საბაჟოშიც შეივლიდა რკინიგზაზე – ეს ყველაფერი საკმაოდ შორს იყო, მაგრამ ამას არტური ხალისიანად აკეთებდა“ (ზუტნერი, 1999: 69).

ესოდენ მრავალფეროვანი და შრომატევადი ამ საქმეების მოგვარებასთან ერთად, არტურის ცხოვრების თბილისური პერიოდი მნიშვნელოვანი იმითაც აღმოჩნდა, რომ მისმა ფრანგმა დამქირავებელმა მას საამშენებლო პროექტების დახაზვაც დაავალა, რაც იგი მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებდა. სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იმდროინდელი თბილისის გარეუბნებში ბევრი სახლი და სასახლე სწორედ მისი არქიტექტურული პროექტებით ყოფილა აგებული (ზუტნერი, 1999: 70).

არტურ ზუტნერისათვის თბილისში ცხოვრების პერიოდი მეტად მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ თბილისური საზოგადოების მრავალფეროვან წრეებთან მისი აქტიური ურთიერთობის შედეგად იგი საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად გაეცნო ქართველი ხალხის ისტორიასა და იმდროინდელ ყოფას და კიდევ უფრო მეტად აიმაღლა ქართული ენის ცოდნის დონე. ყოველივე ზემოთქმული სიმართლეს რომ წარმოადგენს, ამის დასტურად

მისი ცხოვრების თბილისური პერიოდიდან ამ ფაქტების გახსენებაც იქნება საკმარისი:

ბერტას ინფორმაციით, „მან ქართული ენა იმდენად აითვისა, რომ ადგილობრივ მუშებსა და საქმის მწარმოებლებს ასე თუ ისე აგებინებდა“ (ზუტნერი, 1999: 70).

რაც შეეხება შემოქმედებით მოღვაწეობას, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული შრომითი საქმიანობით მეტისმეტი გადატვირთულობის გამო, ჩვენი ავსტრიელი სტუმარი ინტენსიური მწერლური მოღვაწეობისთვის ნაკლებად იცლიდა, იმდროინდელმა თბილისურმა ყოფამ მასზე იმდენად ღრმა და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მის რომანში – „იბერიელები“ სწორედ თბილისური ყოფის მხატვრული წარმოსახვა იქცა შემოქმედებითი შთაგონების უმთავრეს თემად.

თბილისში ცხოვრების დროს არტურ ზუტნერმა თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მხატვრობაშიც და მუსიკალურ ხელოვნებაშიც გამოავლინა. ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მის მიერ შესრულებული რამდენიმე მხატვრული ჩანახატი ჟიულ მურიემ თბილისში მის მიერ გამოცემული ფრანგული ჟურნალის – „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ 1889 წლის IV-V ნომრებშიც გამოაქვეყნა. კერძოდ, „მე-4 ნომრის მე-3 გვერდზე, რუბრიკით „კავკასიური ბრინჯაო,“ სალომე მიურატის (დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ასულის) კუთვნილი ბრინჯაოს გრიფონის (ლომისტანიანი და არწივისთავიანი ფრთოსანი ზღაპრული ურჩხულის) გამოსახულებაა დაბეჭდილი, არტურ ზუტნერის მიერ ჩახატული, ხოლო იმავე ნომრის მე-15 გვერდზე ხისგან დამზადებული მეგრული საოჯახო ნივთების ჩანახატებია... მისივე შესრულებული. იმავე წლის მომდევნო მე-5 ნომრის მე-5 გვერდზე მოვერცხლილი ყანწის ზუტნერისეული ნახატის ხილვაც შეიძლება რედაქტორის ინიციალებით ხელმოწერილ სტატიაში „ოქრომჭედლობა კავკასიაში“ (ბრეგაძე, 2010: 141).

რაც შეეხება მუსიკალურ ხელოვნებას, არტურ ზუტნერი ამ მიმართულებითაც რომ ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას, ამას გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული ეს ინფორმაციაც ადასტურებს: „თბილისის ერთ მუსიკალურ მაღაზიაში ისყიდება ბარონ სუტნერისაგან დაწერილი ნოტები, რომელნიც შეიცავს ორს ვალსს. ერთს ჰქვიან ვალსი თამარისა და მეორეს ენ-

გურის ვალსი. ეს პატივცემული ბარონ სუტნერი დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში სტუმრად არის, აკვირდება ჩვენს ცხოვრებას და, როგორც ხელოვანს მწერალს და მემუსიკეს, ქაღალდზე გადააქვს თავის დაკვირვების ნაყოფნი. მოხსენებულს ნოტებს გარდა, მას დაუწერია რომანი სამეგრელოს ცხოვრებიდამ, რომელიც დაბეჭდილია ერთს ნემეცურს თვიურს ჟურნალში" („დროება, 1884 წ. 12 ოქტომბერი).

ქართული თემატიკა არტურ ზუტნერის პროზაში

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ლიტერატურული მოღვაწეობა არტურ ზუტნერმა საქართველოში, კერძოდ კი ქუთაისში, ცხოვრების დროს დაიწყო. თავდაპირველად იგი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომთან დაკავშირებით აქვეყნებდა წერილებს ავსტრიულ პრესაში; შემდგომში კი არა მარტო თავისი პუბლიცისტური წერილების თემატიკა განავრცო, არამედ პროზაშიც სცადა ბედი საკმაოდ დიდი წარმატებით.

არტურ ზუტნერის მოღვაწეობის ეს მხარე იმ პერიოდის ქართველ საზოგადოებას უყურადღებოდ რომ არ დაუტოვებია, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენს მაშინდელ პრესაში ავსტრიელი მწერლის შემოქმედებასთან და პუბლიცისტიკასთან დაკავშირებითაც ქვეყნდებოდა ინფორმაციული ხასიათის წერილები. ა. ზუტნერის მხატვრულ-პუბლიცისტური ნააზრევით ქართველი საზოგადოების ამგვარ დაინტერესებას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ მისი შემოქმედებითი მიზანსწრაფვის უმთავრეს საგანს ქართულ-კავკასიური თემატიკა წარმოადგენდა.

როგორც არტურ ზუტნერის შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის თვალის ერთი გადავლებითაც თვალნათლივ ჩანს, ამ თემატიკით იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში იმდენადაც კი იყო დაინტერესებული, რომ ფაქტობრივად სწორედ ქართულ-კავკასიური ყოფის წარმოსახვა იქცა მისი პროზის თითქმის ერთადერთ უმთავრეს თემად. კერძოდ, მის რომანებსა და მოთხრობებში რომანტიზებული ფორმითაა წარმოსახული ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხთა ისტორიული და თანადროული ყოფა-ცხოვრება და ადათ-ტრადიციები.

მიუხედავად იმისა, რომ მისი არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არა თუ იმხანად, არამედ ამ საუკუნის ათიან წლებამდეც კი არ იყო ქართულ ენაზე თარგმნილი, საქართველოში ავსტრიელი მწერლის ცხოვრების დროსაც და სამშობლოში მისი გამგზავრების შემდგომაც ქართულ პრესაში დროდადრო მაინც ქვეყნდებოდა ინფორმაციული ხასიათის წერილები, რომელთა მეშვეობითაც ქართველ საზოგადოებას მიეწოდებოდა კონკრეტული ცნობები ა. ზუტნერის შემოქმედებით მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ არტურ ზუტნერის შემოქმედებითი მოღვაწეობის უმთავრეს მიმართულებად ქართულ-კავკასიური თემატიკა რომ იქცა, ამის დასტურად მისი რომანებისა და მოთხრობების თუნდაც მხოლოდ სათაურების გახსენებაც იქნება საკმარისი. ხსენებულ ტენდენციას მწერლის შემოქმედებაში სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან ჩაეყარა საფუძველი. კერძოდ, 1891 წელს დრეზდენში გამოცემულ მოთხრობების პირველ კრებულში – „შვილნი კავკასიისა" შეტანილი მისი ყველა ნაწარმოები, გარდა ერთისა („ბატონი გრიგოლი"), სწორედ ქართველ და კავკასიელ ხალხთა ყოფისადმია მიძღვნილი. ესენია: „ჩემი მეგობარი გუჯა," „მეზობლები," „საწყალი ვარდი," „ქეთევანი" და „მარგალიტი."

აი, როგორ გამოეხმაურა ამ წიგნის გამოცემას გაზეთი „ივერია" 1891 წლის 25-ე ნომერში გამოქვეყნებული საკმაოდ ვრცელი წერილით: ეს წიგნი მეტად „სასიამოვნო საკითხავია და ავტორს ეტყობა ქართველთა ცხოვრების ცოდნა." მიუხედავად იმისა, რომ „ფსიქოლოგიური მხრით ზოგიერთი მისი მოთხრობა მთლად მართალი არ არის," მისი გამოცემა მაინც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, რადგანაც „ამ წიგნით ევროპიელნი ცოტად თუ ბევრად გაიცნობენ ქართველებსა და მათს ყოფა-ცხოვრებას" („ივერია," 1891 წ. 1 თებერვალი, #25).

არტურ ზუტნერის ხსენებულ კრებულში წარმოდგენილი მოთხრობები გამონაკლისი არ ყოფილა და ასევე ქართულ-კავკასიურ თემებზეა დაწერილი მისი შემდგომდროინდელი მოთხრობებისა და რომანების უმრავლესობა. ესენია: „აზნაური," „მეგრული ქორწილი," „ჩერქეზები," „დარეჯანი. მეგრულ ზნეთა სურათი," „შამილი," „ბიზონებისა და დომბების მხარეში," „ურტას მთასთან," „აჭარლები," გამოუქვეყნებელი რომანი „იბერიელნი," რომლის ხელნაწერი ინახება ავსტრიაში ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (კაკაბაძე, რუხაძე, 1999: 6).

სამწუხაროდ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დასახელებულ ნაწარმოებთაგან ქართულად დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა და რომანები: „აჭარლები" და „იბერიელნია" თარგმნილი და დაბეჭდილი.

აქედან გამომდინარე, ავსტრიელი მწერლის ზემოთ ნახსენები ნაწარმოებები გერმანული ენის არმცოდნე მკითხველისთვის ჯერ-ჯერობით სრულიად უცნობია. ამ ხარვეზს გარკვეულწილად ავსებს ნოდარ კაკაბაძისა და ნოდარ რუხაძის წიგნი „კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში" (თბ. 1963 წ,), რომელშიც საკმაოდ დეტალურადაა განხილული ქართულ თემატიკაზე არტურ ზუტნერის მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტები. ხსენებული წიგნისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ქართველი მკითხველისათვის უცნობ ამ ნაწარმოებებზე უფრო მეტი წარმოდგენის შესაქმნელად ავტორები მათ შინაარსსაც ჰყვებიან საკმაოდ ვრცლად.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას არტურ ზუტნერის მხატვრული შემოქმედების ზემოთ დასახელებულ ნიმუშებში ქართული თემატიკის წარმოსახვის მასშტაბებზე, ქვემოთ დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ნ. კაკაბაძისა და ნ. რუხაძის ხსენებული წიგნიდან:

„ქართველი მკითხველისათვის უდავოდ საინტერესოა... ზუტნერის რომანი ქართულ თემაზე „დარეჯანი," რომლის ქვესათაურია: „მეგრულ ზნე-ჩვეულებათა სურათი..." რომანის სიუჟეტი საკმაოდ ტრაფარეტულია. ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, უცხოურ ლიტერატურაში გაცვეთილი, ქართულად შეფერილი სიუჟეტი... რომანში ნახსენებია ლეჩხუმი, სვანეთი, სენაკი, აბასთუმანი, ხევსურები, ერთგან მოხსენიებულია „დიდი თამარი" (იგულისხმება თამარ მეფე)... წიგნი მოწმობს ავტორის ინტერესს საქართველოსადმი და „დარეჯანის" მნიშვნელობაც სწორედ ეს არის" (კაკაბაძე, რუხაძე, 1963: 75-79).

„არტურ გუნდაკარ ზუტნერის „დარეჯანს" მოჰყვა მწერლის მეორე რომანი ქართულ თემაზე „აზნაური." საქართველოშივე დაიწერა მოთხრობების კრებული „კავკასიის შვილები", წიგნი პირველი. ავსტრიაში დაბრუნების შემდეგ გუნდაკარ ზუტნერმა გამოაქვეყნა რომანი კავკასიელი მთიელების ცხოვრებიდან – „ჩერქეზები." ამ რომანში აღწერილია კავკასიელი მთიელების ბრძოლა მეფის რუსეთის კოლონიური ექსპანსიის წინააღმდეგ...

ამის შემდეგ მწერალი ბეჭდავს კავკასიურ რომანს „შამილს“ და „კავკასიის შვილების“ მეორე ტომს“ (კაკაბაძე, რუხაძე, 1963: 80).

„მოთხრობაში „მეზობლები“ მოქმედების არეა სამეგრელოს ერთ-ერთი პატარა სოფელი ზუგდიდის მახლობლად“ (კაკაბაძე, რუხაძე, 1963: 86).

„მოთხრობა „ქეთევანი“ კვლავ სამეგრელოს ცხოვრებას შეეხება... მასში დაწვრილებითაა აღწერილი მეგრული ტირილი, ქართული ლხინი, პურობა, რელიგიური დღესასწაული, დღეობა, ჯარობა, ჭიაკოკონობა და სხვ.“ (კაკაბაძე, რუხაძე, 1963: 91; 95).

„ისევე როგორც „კავკასიის შვილების“ პირველ წიგნში, მოთხრობების მეორე კრებულშიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სინამდვილეა ასახული“ (კაკაბაძე, რუხაძე, 1963: 96).

არტურ ზუტნერის შემოქმედებაში ქართულ-კავკასიური თემატიკისადმი გამოვლენილ ინტერესს ესოდენ დიდ მასშტაბებს ისიც სძენდა, რომ ამ თემაზე შექმნილმა მისმა მოთხრობებმა და რომანებმა „ევროპაში საკმაო პოპულარობა მოიპოვეს. იმდროინდელ გერმანულ პრესაში არაერთი დადებითი რეცენზია დაიწერა ავსტრიელი მწერლის ამ ნაწარმოებებზე. ლიტერატურულმა კრიტიკამ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ გუნდაკარ ზუტნერის რომანებსა და მოთხრობებში შესანიშნავად იყო აღწერილი საქართველოს ბუნება“ (კაკაბაძე, რუხაძე, 1963: 93).

როგორც უკვე ითქვა, საქართველოში არტურ და ბერტა ზუტნერების ცხოვრება და მოღვაწეობა არც იმდროინდელ ქართულ პრესას დაუტოვებია უყურადღებოდ და დროდადრო იქაც იბეჭდებოდა მათდამი მიძღვნილი წერილები.

მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის 29 მაისის ნომერი იუწყებოდა: გერმანულად „გამოვიდა ორი რომანი ბ-ნი სუტნერისა (გასული საუკუნის მეორე ნახევრამდე ზუტნერების გვარი ქართულ პუბლიკაციებში სწორედ ამ ფორმით იყო დაფიქსირებული – ა. ნ.), რომელმაც ამ ორი წლის წინედ მშვენიერი წერილები დაბეჭდა „კავკაზ“-ში შოთა რუსთაველის პოეზიის გამო. მართალია, როგორც ამბობენ, ზემოხსენებული რომანები – „დარეჯანი“ და „ბატონი გრიგოლ“ მეტად ცუდის მხრით ჰხატავენ თურმე სამეგრელოს მაღალ-წოდებულთა ცხოვრებას, რომელსაც იგინი ეხებიან, მაგრამ ერთია, რომ საქმე იმაში ხომ არაა, როგორ არიან დაწერილნი ეს რომანები, არამედ მასში, რომ ისინი იწერებიან და მაშასადამე ჰპოულობენ მკითხველებს და მეორე, – როგორც

რუსები იტყვიან, „სარკის რა ბრალია, თუ სახე მახინჯია.“ რომანებმა რა უნდა ქნან, თუ თვით აღწერილი ცხოვრება უგვანი და დასაწუნებელია. ბატონ სუტნერის ორთავე რომანი – „დარეჯანი“ და „ბატონი“ გამოვიდა ზედი-ზედ, საიდანაც სჩანს, რომ პირველი გამოცემა გაიყიდა სრულიად. ეხლა კიდევ დაუბეჭდია ერთი მოთხრობა, სახელად „სულელი“ (ხონელი, იხ: გაზ. „ივერია,“ 1886 წ. #114, 29 მაისი).

არტურ ზუტნერის მხატვრული შემოქმედების შეფასების დროს სავსებით მართებულად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ მისი მოთხრობები და რომანები „არა მარტო პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნეებისათვისაა საინტერესო, არამედ აგრეთვე ეთნოგრაფებისთვის, ისტორიკოსებისთვის, სოციოლოგებისთვის“ (ჭოხონელიძე, 1997). კერძოდ, ნ. კაკაბაძისა და ნ. რუხაძის ხაზგასმით, „ზუტნერი შეძლებისდაგვარად ცდილობს, ყველგან ზუსტად დაიცვას ლოკალური კოლორიტი. ევროპელები მისი ნაწარმოებების საშუალებით ეცნობოდნენ ქართულ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს, ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, საქართველოს ბუნებასა და ლანდშაფტს“ (კაკაბაძე, რუხაძე, 1963: 93).

არტურ ზუტნერის შემოქმედებაში ქართული თემატიკისადმი გამოვლენილი განსაკუთრებული ინტერესი არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩვენი ქვეყნის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება და ადათ-ტრადიციები, რაც ავსტრიელი მწერლის რომანებსა და მოთხრობებში რომანტიზებული ფორმით იყო წარმოსახული, იმ პერიოდის ევროპელი მკითხველისათვის სრულიად უცნობ სფეროს წარმოადგენდა. მაგალითად, ცნობილი გერმანელი მწერლისა და ქართველოლოგის არტურ ლაისტის შეფასებით, ა. ზუტნერის მხატვრული შემოქმედების უმთავრესი ღირსება, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ მის მოთხრობებსა და რომანებში „ნიჭიერად არის გადმოცემული შუა სამეგრელოს სურათები.“ ავსტრიელ მწერალს „ეს სურათები ისეთი სიცხოველით აქვს დახატული, რომ მკითხველს ებადება სურვილი ამ ზურმუხტისფერი კუნძულის ნახვისა“ (ლაისტი, 1963: 239).

არტურ ზუტნერის მიერ ქართულ-კავკასიურ თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ტექსტები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: პირველი, ევროპული სამყაროსთვის იმხანად სრულიად უცნობი ამ რეგიონის მკვიდრთა ადათ-ტრადიციებისა და ყოფის რომანტიზებული და ლეგენდარული ფორმით წარმოსახვა და მე-

ორე, ხსენებული რეგიონის წარმომადგენელთა პიროვნულ ცხოვრებაში გამოვლენილი ზოგადადამიანური გრძნობები და მისწრაფებანი.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ავსტრიელი მწერლის ერთ-ერთ ადრინდელ მოთხრობას „საბრალო ვარდი" (გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმნა თამაზ გვენეტაძემ. იხ: ჟურნალი „მერმისი," 2019 წ. #4), რომელშიც რომანტიკულ-ლეგენდარული ფორმითაა ნაამბობი ვარდისა და ლიპარიტის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ავტორისეული მონათხრობის არსზე, მოკლედ გავიხსენებ ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგას. მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი დავითი „დიდგვაროვან მეგრელთა საზოგადოებაში განსაკუთრებით პატივსაცემი პიროვნება იყო." მისდამი ამგვარ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის გარემოება, რომ „მასავით თვალუწვდენელი მამულები, უთვალავი ჯოგი, საუკეთესო ბედაურები, მწევრები, შევარდნები, საუცხოო იარაღი და ნაღდი ფულით სავსე უზარმაზარი სკივრი მხოლოდ ქვეყნის დიდ თავადს თუ გააჩნდა."

მიუხედავად ამისა, დავითი თავს ბედნიერად მაინც არ თვლიდა, რადგანაც შვილი არ ჰყავდა. მემკვიდრეზე მეოცნებე დიდგვაროვანმა რა არ გააკეთა საამისოდ, მაგრამ არაფერმა უშველა. საბოლოოდ იმედგადაწურულის ოჯახს ერთ დღეს ვიღაც მოხუცი მონაზონი ესტუმრა – „შიმშილისაგან ძალაგამოცლილი უსახსრო მომლოცველი." დავითის მეუღლემ უძლური მონაზონი სახლში შეიყვანა, დააპურა და ერთ კვირაში ფეხზე დააყენა. მომჯობინებულმა მოხუცმა თავადის სახლიდან გამგზავრების წინ ეზოში მდგარი ვარდის ბუჩქიდან ყვავილი მოწყვიტა, თავადის ქალბატონს საჩუქრად გადასცა და უთხრა, რომ ეს ყვავილი მას ბედნიერებას მოუტანდა. თავადის მეუღლემ საჩუქარი ღვთის კურთხევად მიიღო, ვარდის ტოტი სახლში პატივით შეაბრძანა და ყველაზე დიდ დარბაზში მოათავსა.

სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ამ მისტიკურ მოვლენას სულ მალე ის შედეგი მოჰყვა, რომ თავადს ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც სახელად ვარდი დაარქვეს.

გოგონა ნებიერად იზრდებოდა ძიძების მზრუნველობით. გარშემო მყოფ მრავალრიცხოვან ადამიანთაგან ვარდი განსაკუთ-

რებით ორ მათგანს დაუახლოვდა – მის ძუძუმტეს – ლიპარიტსა და „კარის მასხარას“ – შელის, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დავითის მიზეზით ხევში გადავარდა და დახეიბრდა. როცა წამოიზარდნენ, ძუძუმტეებს ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ. მართალია, ლიპარიტიც დიდგვაროვანი მშობლების შვილი იყო, მაგრამ მისი ოჯახი იმხანად ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა, რის გამოც დავითი მათი დაქორწინების კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

ქალ-ვაჟის სურვილის შეტყობით გაბრაზებულმა და შეურაცხყოფილმა დავითმა ლიპარიტი სახლიდან გააძევა, მის ქალიშვილს კი უმკაცრესი მეთვალყურეობა დაუწესა. მიუხედავად ამისა, შელის დახმარებითა და ხელშეწყობით შეყვარებულები მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან საიდუმლოდ შეხვედრას.

სამწუხაროდ, ვარდისა და ლიპარიტის ამგვარი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მამამ ქალიშვილი გურიაში მცხოვრებ დიდგვაროვან სარგისს მიათხოვა. ამ ამბიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დავითი გარდაიცვალა, ვარდის გურულმა მეუღლემ კი მთელი მისი ქონება ხელაღებით გაანიავა. სასახლეში გამოკეტილი ვარდი, შელის დახმარებით, ერთ დღეს შინიდან გაიპარა და ლიპარიტზე დაქორწინდა. ბედნიერი ცოლქმარი, რომელთაც თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი, ულრან ტყეში განცხრომით ცხოვრობდნენ და ყოველდღიური საარსებო სახსრის მოპოვებას შელის დახმარებით ახერხებდნენ.

თუმცა ასე დიდხანს არ გაგრძელებულა – ამ ამბის შეტყობით გაბოროტებულმა სარგისმა ლიპარიტი სიცოცხლეს გამოასალმა. საყვარელი არსების სიკვდილით თავზარდაცემულ ვარდს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. შელიმ იგი შეყვარებულთა საიდუმლო შეხვედრების ადგილად ქცეულ ულრან ტყეში მიწას მიბარებული ლიპარიტის გვერდით დაკრძალა და მათი საფლავის ქვას ასეთი წარწერა გაუკეთა: „მოგზაურო, თუ გზად მიმავალი ამ ლოდს გადაეყრები, ანდა თუ შენი შინაგანი გრძნობა ამ ქვასთან მიგიყვანს შენ, თავგადასავალის მაძიებელს, მაშინ პატივით მოეპყარი ამ ადგილს. თაყვანი ეცი და გახსოვდეს საბრალო, მიძინებული ვარდის სურვილი:

„აქ არის ჩემი განსასვენებელი ადგილი. მე აქ კარგად ვარ – მინდა აქ დავრჩე.“

ვარდისა და ლიპარიტის ტრაგიკული სასიყვარულო ისტორიისაგან არსებითად განსხვავებულ ვერსიას წარმოადგენს 1891

წელს გერმანიის ქალაქ დრეზდენში გამოცემული მოთხრობების ზემოთ ნახსენებ კრებულ „შვილნი კავკასიისაში“ წარმოდგენილი მეორე მოთხრობა „მარგალიტი“ (ქართულად თარგმნა თამაზ გვენეტაძემ იხ: გაზეთი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,“ 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერი). ფაქტობრივად, ეს არის სიყვარულით დაძლეული მტრობის რომანტიზებული ამბავი.

აღდგომის სადღესასწაულო წირვის დამთავრების შემდეგ ეკლესიიდან გამოსულ თავადის თვალწარმატაც ქალბატონს – მარგალიტს, რომელსაც ქმარი სამი წლის წინათ დაეღუპა ნადირობის დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, ხალხი მოწიწებითა და უდიდესი პატივისცემით ესალმებოდა და აღდგომას ულოცავდა. სიკვდილის წინ ქმარმა მარგალიტს ანდერძად დაუტოვა, მის მოსისხლე მტერს – მანუჩარს არავითარ შემთხვევაში არ გაჰყოლოდა ცოლად. ქალმა მომაკვდავ მეუღლეს ფიცი მისცა, ასეთ რაიმეს გულში ფიქრადაც რომ არ გაივლებდა. მაგრამ მისი და მანუჩარის სიყვარული იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ ქალმა ქმრისთვის მიცემული პირობა ვერ შეასრულა და საბოლოოდ მაინც გადადგა ეს ნაბიჯი.

მოთხრობაში ეს ყველაფერი ხაზგასმულად რომანტიზებული ფორმით რომაა ნაამბობი, ამის ნათელსაყოფად, ვფიქრობ, მისი ამ ფრაგმენტის დამოწმებაც იქნება საკმარისი: აღდგომის დღეს განმარტოებით მყოფი მარგალიტი მოულოდნელად მასზე ადევნებული მანუჩარის პირისპირ აღმოჩნდა. მანუჩარმა დრო იხელთა, ქალს კიდევ ერთხელ გამოუტყდა სიყვარულში და ცოლად გაყოლა ამ სიტყვებით სთხოვა:

„უსაზღვროდ მიყვარხარ! სანამ ქმარი გყავდა, ამ ჩემს გრძნობებს გიმალავდი, როდესაც დაქვრივდი, მერე გლოვის ჟამისთვის უნდა მეცა პატივი... ეს დროც დიდი ხანია გავიდა და ახლა უნდა მიპასუხო: შემირიგდები ბოლოსდაბოლოს?..

მარგალიტმა უარის ნიშნად მტკიცედ გადაიქნია თავი.

– დაფიქრდი, მარგალიტ, ჩემი სიყვარულის სანაცვლოდ შენს სიყვარულს კი არ გთხოვ, მხოლოდ შენთან შერიგება და მეგობრობა მინდა! გავიხსენოთ, რა ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, როგორ ვისხედით ერთმანეთის გვერდით, რა მხიარულად ვსაუბრობდით და როგორ საყვარლად იღიმოდი... გახსოვს? ხომ ასე იყო? გთხოვ, ნუ გადამიწურავ იმედებს!

მარგალიტმა გვერდზე გაიხედა და სახე მოარიდა, ვინაიდან თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. შინაგანი ხმა ჩასძახოდა:

„რატომ აწამებ და შენც რატომ იწამებ თავს? შენ მაშინ მომაკვდავის დასრწმუნებლად მთელი გულით დაიფიცე, რომ მისი აღსასრულის ჟამს სხვაზე არ ფიქრობდი! ახლა თავისუფალი ხარ; ეს ხომ უფრო დიდი დანაშაულია, ორ ადამიანს ასე დაუნდობლად რომ ისტუმრებ საიქიოს?..

გესმის, რას მოგვძახიან ზარები? ისინი მტრებსაც კი შერიგებისკენ მოუწოდებენ: მშვიდობა აქა! რატომ არ გსურს, ყური უგდო მის ძახილს?"

როგორც მოთხრობის ფინალიდან ჩანს, მარგალიტმა დიდი ყოყმანის შემდეგ ეს ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახა და მანუჩარის გულწრფელ სიყვარულს მანაც შესაბამისი გრძნობით უპასუხა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არტურ ზუტნერის მოთხრობების სამოქმედო ასპარეზს, ძირითადად საქართველოს ესა თუ ის კუთხე წარმოადგენს, პერსონაჟები კი უმთავრესად ქართველები არიან.

არტურ ზუტნერის რომანი „აჭარლები," როგორც ოსმალობის დროინდელ აჭარაში არსებული რეალობის ამსახველი რომანი

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არტურ ზუტნერის რომანი „აჭარლები" პირველი მხატვრული ტექსტია, რომელშიც ისტორიული სიმართლით არის ასახული ოსმალობის დროინდელ აჭარაში არსებული რეალობა („აჭარლები" ქართულ ენაზე თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ). კერძოდ, ავსტრიელი მწერალი ფართო სპექტრით წარმოაჩენს იმ რთულ ვითარებას, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სოციალური კუთხით არსებობდა ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში რუსეთ-თურქეთს შორის 1877-1878 წლებში გამართული ომის წინარე ხანაში.

რუსუდან ღვინეფაძის ინფორმაციით, არტურ ზუტნერის ხსენებული რომანის ქართულ ენაზე გადმოთარგმნა მისთვის შეუთავაზებია ენციკლოპედია „აჭარის" მთავარ სამეცნიერო რედაქციას, რომლის წიგნთსაცავში დაცული ყოფილა 1888 წელს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში გოთური შრიფტით გამოცემული ამ რომანის ეგზემპლარი (ღვინეფაძე, 2008: 23).

არტურ ზუტნერის ხსენებული რომანის გამოქვეყნების შესახებ ქართველ მკითხველს პირველად გაზეთმა „ივერიამ" აუწყა 1888 წლის 21 ივნისს გამოქვეყნებული ინფორმაციით. კერძოდ, რედაქციის შეტყობინებით, „ბარონს სუტნერს, რომელიც ამ ოთხი წლის წინეთ ტფილისში იყო და აქაურს გაზეთებში დაჰბეჭდა ვეფხის-ტყაოსანზედ თავისი კრიტიკული წერილი, ახალი რომანი დაუწერია გერმანულს ენაზედ ქართველთა ცხოვრებიდამ. რომანს ეწოდება სახელად „აჯარი" და იბეჭდება ნაწილ-ნაწილად შტუტგარტის ჟურნალში „გერმანული რომანების ბიბლიოთეკა" (გაზ. „ივერია," 1888 წ. 21 ივნისი, #128).

არტურ ზუტნერის ბიოგრაფიიდან დღესდღეობით ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებიდან ცნობილი არაა, მწერალი ხსენებულ რეგიონში პირადად იმყოფებოდა თუ არა. ერთადერთი ინფორმაცია, რასაც ამასთან დაკავშირებით გვაწვდის არტურის მეუღლე ბერტა თავის მოგონებათა წიგნში, ისაა, რომ საქართველოში ცხრაწლიანი ცხოვრების შემდეგ ისინი სამშობლოში სწორედ ბათუმის პორტიდან გასული გემით დაბრუნებულან. კერძოდ, აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით: „შევუდექით ბათუმიდან შავი ზღვით ხომალდით მოგზაურობას შინისაკენ!" (ზუტნერი, 1999: 81).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არტურ ზუტნერის რომანში ბათუმისა და მთელი აჭარის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება და იქაური გეოგრაფიული გარემო უცდომელი სიზუსტითაა წარმოსახული, შეიძლება ვთქვათ, რომ მწერალი მანამდეც იქნებოდა ნამოგზაურები ხსენებულ ადგილებში.

ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს ა. ზუტნერი სამხედრო კორესპონდენტის მოვალეობას ასრულებდა და ამ ომთან დაკავშირებით ავსტრიულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, იმ პერიოდში მას პირადადაც ჰქონოდა მონახულებული ხსენებული ადგილები.

რომანის მთარგმნელის – რ. ღვინეფაძის მართებული ხაზგასმით, არტურ ზუტნერი „საფუძვლიანად იცნობს აჭარის ისტორიას, აჭარელთა ტრადიციებს; საოცარი ხატოვანებით აღწერს მათ ჩაცმულობას, ფოლკლორს, ლამაზ და ზოგჯერ მკაცრ ბუნებას" (ღვინეფაძე, 2008: 23). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომანის სამოქმედო სივრცე მხოლოდ აჭარით არ

შემოიფარგლება და მასში ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ ისეთი რეგიონების ყოფაცაა მეტ-ნაკლები მასშტაბებით ასახული, როგორებიცაა: მურღული, ართვინი და ახალციხე.

როგორც ითქვა, „აჭარლებისადმი“ ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის ოსმალობის დროინდელ ყოფაზე, გარდა ა. ზუტნერის რომანისა, არათუ უცხოურ ლიტერატურაში არ შექმნილა სხვა ნაწარმოები, არამედ ეს თემა თვით ქართულ მწერლობასაც კი დარჩა ყურადღების მიღმა.

განსხვავებით მისი მეუღლის – ბერტა ზუტნერისაგან, რომელიც 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველ თავის მოგონებებში ამ ომთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ქართული პრობლემის შესახებ ერთი სიტყვითაც კი არ ამბობს რაიმეს, არტურ ზუტნერის რომანში აჭარლების თავგანწირული ბრძოლა ოსმალთა ბატონობისაგან მათი მხარის განსათავისუფლებლად და კვლავაც დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად აშკარად გამოხატული პროქართული სულისკვეთებითაა ასახული.

რომანში დასაწყისიდანვე ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ აჭარა და მისი უმთავრესი ქალაქი ბათუმი ოდითგანვე ქართულ რეგიონს წარმოადგენდა და „წმინდა ქართული ანუ ქართველური ტომისა იყო.“ ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „ისლამი ხუთი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ ყოველ ღონეს ხმარობდა, ძალით გაენადგურებინა ეს ძველი ეროვნული მეხსიერება, დღესაც მიწის ყოველი გოჯი, ყოველი მტკაველი აქ ქართველთა მკვიდრობაზე მოწმობს. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე მთავარი მდინარის ჭოროხის ვიწრობები, მისი შენაკადები და მთელი არემარეები იმ სახელებით იყო ცნობილი, რომლებიც მათ დღემდე მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებით შემორჩენიათ და თითქმის უკლებლივ ქართული წარმოშობისაა“ (ზუტნერი, 2007: 7).

არტურ ზუტნერის ხაზგასმით, სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ „ჭოროხის აუზში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით ქვეყნის აყვავების ხანის დროინდელი ეკლესიებისა თუ ციხე-სიმაგრეების ნაშთებს, რომელთა წარწერები ძველ ქართულ ენაზეა შესრულებული; ქართველთა ძლევამოსილი მეფის თამარის სახელი კი აქ ყველას ისევე ეკერა პირზე, როგორც მთებს გადაღმა, თბილისში, სადაც ამ კავკასიელი სემირამიდას რე-

ზიდენცია იყო“ (ზუტნერი, 2007: 7). რომანის პერსონაჟთა მტკიცებით, „თამარი იყო უდიდესი დედოფალი, რომელიც კი ოდესმე ყოფილა და მისი მეფობის ხანაში მთელ ქვეყანაში მხოლოდ სიკეთე სუფევდა“ (ზუტნერი, 2007: 29).

დამოწმებულ ფრაგმენტებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რაშიც დღევანდელი ჩვენი მკითხველისათვის ახალი არაფერია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ორი უმთავრესი ფაქტორი სძენდა: პირველი, ის, რომ თამარ მეფესთან დაკავშირებულ ამ მოსაზრებებს თავის პერსონაჟებს უცხოელი ავტორი გამოათქმევინებდა ესოდენი ხაზგასმით და, მეორე, იგი ამას იმ დროს აკეთებდა, როცა საუკუნეების განმავლობაში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი და უცხო ქვეყნის დაქვემდებარებაში მცხოვრები ჩვენი თანამოძმეების არცთუ მცირე ნაწილი ეროვნული გაუცხოების გზას ადგა.

კერძოდ, ამის თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მუსულმანური ფანატიზმის ტყვეობაში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მშობლიური ფუძიდან იყრებოდა და საცხოვრებლად ოსმალეთს აფარებდა თავს.

ა. ზუტნერის რომანი საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ მწერალი რელიგიურად გაუცხოებულ ამ ადამიანთა ფრაგმენტულ სახეებსაც წარმოსახავს. მაგალითად, ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – თამარის შორეული ნათესავი რუსუდანი, რომელიც მასთან ახლო პიროვნული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული, მწერლის ხაზგასმით, მუსულმანურ ფანატიზმს იმდენად ჰყავდა შეპყრობილი, რომ „ყოველივე ახალსა და არათურქულს ზიზღითა და სიძულვილით ეკიდებოდა და ღვთის გმობად მიაჩნდა, თუ ქალს სახე ჩადრით არ ჰქონდა შებურული. იგი გაუთავებლად ტუქსავდა ახალგაზრდა ქალიშვილებს იმის გამო, რომ ისინი ევროპულ სამოსში გამოეწყვნენ“ (ზუტნერი, 2007: 12).

ა. ზუტნერის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა არცთუ მცირე ნაწილი, რომლებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ, მუსულმანური რელიგიით სავალდებულო წესების დაცვას მხოლოდ გარეგნულად და მოჩვენებითად ცდილობდა. მაგალითად: „მანდილოსნებსა და გოგონებს თავზე ჩადრები ებურათ, რომლის ბოლოებიც სახეს უფარავდათ, მაგრამ დროდადრო, ცეცხლოვან ცეკვაში, საბურავი გადაიწეოდა და იქიდან ხან წითელი ღაწვი, ხან ბრიალა შავი თვალები, ხან კი ალუბლისფერი ბაგეები გაიელვებდნენ ხოლმე. თუმცა ჩადრებს დიდად არ დაგიდევდნენ, მით უმეტეს,

რომ შერიფ-ფაშას სტუმარი ქალები სრული თავისუფლების მაგალითს იძლეოდნენ" (ზუტნერი, 2007: 33).

ა. ზუტნერის ხაზგასმით, აჭარის მკვიდრ ქართველთა გარკვეული ნაწილის მიერ მუსულმანური რელიგიით სავალდებულო ნორმათა ამგვარ დარღვევათა გამო, ამ რეგიონის გუბერნატორს – შერიფ-ფაშას სტამბოლიდან საყვედურიც კი მიუღია და იგი მკაცრად გაუფრთხილებიათ იმისათვის, „სათანადო სიმკაცრეს რომ არ იჩენდა მაჰმადიანური წესების დასაცავად" (ზუტნერი, 2007: 66).

როგორც ა. ზუტნერის რომანიდან თვალნათლივ ჩანს, ქართული სახელმწიფოებრივი სივრცისა და წინაპართა რელიგიური რწმენისაგან მრავალსაუკუნოვანი მოწყვეტის მიუხედავად, ავსტრიელი მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა უდიდესი ნაწილის ეროვნულ სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ისინი თავიანთი ცნობიერებით კვლავაც რჩებოდნენ ქართული ეთნოსის სისხლხორცეულ ნაწილად. სწორედ მათი ამგვარი ეროვნული თვითშეგნების თვალნათლივ გამოხატულებას წარმოადგენდა მათ მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდილი ისტორიული წარსულის წარმომჩენი ის ეპიზოდები, რის სიმბოლოდაც ავსტრიელ მწერალს, პირველ ყოვლისა, თამარ მეფე და ამ რეგიონში მრავლად არსებული ქრისტიანული საკულტო ნაგებობების ნაშთები მიაჩნდა.

როგორც არტურ ზუტნერის რომანის გაცნობით ვრწმუნდებით, ავსტრიელი მწერალი ღრმად და საუძვლიანად იყო გარკვეული ისტორიულ მოვლენათა არსში და მის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა ცხოვრებას იმ მოვლენათა კონტექსტში წარმოაჩენდა, ოსმალობის დროინდელ აჭარაში რომ განვითარდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინარე ხანაში.

მწერალი ამ მოვლენათა კულმინაციად იმ სახალხო აჯანყებას წარმოსახავდა, რომლითაც ადგილობრივმა მოსახლეობამ არა მარტო ოსმალური ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკის შედეგად აღზევებულ უსამართლობათა წინააღმდეგ გაილაშქრა მასობრივად, არამედ იმხანად რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში შემავალ საქართველოსთან საუკუნეთა განმავლობაში გაწყვეტილი ერთობის აღსადგენადაც.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ზუტნერის რომანში ხსენებული სახალხო აჯანყების მოხდენის ზუსტი თარიღი დასახელებული არ არის, რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებული ომის წინარე

ხანაში აჭარის რეგიონში განვითარებულ მოვლენათა საფუძველზე მაინც შეიძლება იმის დაბეჯითებით თქმა, „აჭარლების“ უმთავრეს სიუჟეტურ ღერძად ქცეული სახალხო აჯანყება რეალურად მომხდარ მოვლენას რომ წარმოადგენს და არა ავტორის ფანტაზიით წარმოსახულ ამბავს.

კერძოდ, როგორც ოსმალეთის შემადგენლობაში მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის ომის დანყების წინ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მასობრივმა სახალხო აჯანყებებმა მოიცვა. მათგან განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა 1862, 1873 და 1875-1876 წლებში მომხდარმა ანტისახელისუფლებო გამოსვლებმა. მართალია, ხელისუფლებასთან შეიარაღებულ დაპირისპირებებში გადაზრდილ ამ მასობრივ სახალხო გამოსვლებს თავდაპირველად სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნები ედო საფუძვლად, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის ამ მოთხოვნებს შემდგომში ეროვნული პრობლემაც დაემატა და ხალხი უკვე საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან შეერთების მოთხოვნითაც გამოდიოდა აქტიურად.

ამ გარემოებას აქ ასე ხაზგასმით იმიტომაც აღვნიშნავ, რომ ავსტრიელი მწერალი თავისი რომანის უმთავრეს სიუჟეტურ ღერძად აჭარის მკვიდრთა ანტისახელისუფლებო გამოსვლის მიმდინარეობას სწორედ ამ მიმართულებით წარმოგვიდგენს. მართალია, მოსახლეობის მღელვარებასა და ანტისახელისუფლებო ამბოხებას თავიდან სოციალური და ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა და აჯანყებულები ოსმალური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა უკანონო ქმედებებს დაუპირისპირდნენ, მაგრამ შემდგომში მათმა საპროტესტო გამოსვლებმა მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნულ-ქართული ხასიათი შეიძინა და ამბოხებულები უკვე ღიად და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მოითხოვდნენ საქართველოსთან მათი მხარის შეერთებას, რადგანაც ისინიც ქართველები იყვნენ.

ა. ზუტნერის არაერთგზისი ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ხელისუფლებამ მის მიერ დაპყრობილ აჭარაში, კლარჯეთსა და სხვა ქართულ რეგიონებში მცხოვრები ქართველები ძალადობრივი გზით მოწყვიტა წინაპართა სარწმუნოებას და გაამაჰმადიანა, იქაური მოსახლეობის „დიდი ნაწილი სულის სიღრმეში მაინც რჩებოდა ერთგული ძველი რწმენის და წარმომავლობისა, რომლითაც მათი წინაპრები ამაყობდნენ“ (ზუტნერი, 2007: 8).

ავსტრიელ მწერალს სწორედ ამის თვალნათლივ გამოვლინებად მიაჩნდა ის მოვლენა, საუკუნეთა განმავლობაში უცხო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მოქცეული აჭარის მკვიდრი ქართველობა მაინც რომ რჩებოდა „ფართო გაგებით ქართველად“ (ზუტნერი, 2007: 16).

ოსმალობის დროინდელ აჭარაში მოსახლეობის ანტისახელისუფლებო გამოსვლის უმთავრეს შედეგად არტურ ზუტნერი, პირველ ყოვლისა, იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ აღნიშნულმა მოვლენამ ისტორიული საქართველოს ამ მხარეში მცხოვრები ბევრი ქართველის ცნობიერებაში გააღვივა ეროვნული თვითშეგნების მინავლული გრძნობა და ისინი დაუეჭვებლად დაარწმუნა იმაში, მუსულმანური რწმენის მიღების მიუხედავად, ამ რეგიონის მკვიდრნი, პირველ ყოვლისა, მაინც ქართველები რომ იყვნენ.

მაგალითად, აი, როგორი ფსიქოლოგიური წიაღსვლით გამოხატავს მწერალი ოსმალთა ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი ერთ-ერთი მათგანის სინანულს იმის გამო, რომ თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას უკვე იმის რეალური შესაძლებლობა აღარ ჰქონდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ზემოთ ხსენებული პროცესის მონაწილეებს ისიც რომ შეერთებოდა: „არჩილი პატიოსანი, ღირსეული კაცი გახლდათ, რომელსაც ეს სავალალო მდგომარეობა გულწრფელად აწუხებდა, მაგრამ ის მბრძანებელთა სამსახურში იყო, მათ პურს ჭამდა და თუნდაც ამ ერთადერთი მიზეზის გამო, არ ჰქონდა უფლება, იმათ წინააღმდეგ გამოსულიყო. გარდა ამისა, ძველქართული სულისკვეთება კარგა ხნის მიძინებული იყო მასში და მის ასაკში ასეთი საქმეებისთვის აგზნება უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ის მგლების ხროვაში მოხვდა და ამიტომ მათთან ერთად უნდა ეყმუვლა“ (ზუტნერი, 2007: 127).

ამ ისტორიული ერთობის სიმბოლურ ხატებად აჭარის მკვიდრთა ცნობიერებაში, პირველ ყოვლისა, თამარ მეფის სახელი იყო დამკვიდრებული. მათ ამგვარ ეროვნულ თვალთახედვას საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების შესახებ წინაპრებისაგან მათთვის ზეპირსიტყვიერად მოთხრობილი ის რომანტიკული ამბები განსაზღვრავდა, რომელთა უმთავრეს გმირადაც სწორედ თამარი იყო მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან აჭარის განსათავისუფლებლად და დედასამშობლოსთან შემოსა-

ერთებლად ბრძოლის პერსპექტივა ა. ზუტნერმა გარკვეულწილად თამარ მეფის დროინდელი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ძლიერების რომანტიკულ მოგონებებსაც დაუკავშირა. მაგალითად, საკუთარი მხარის ბედნიერი მომავლისთვის მებრძოლ პატრიოტ ძალთა ერთ-ერთი თავკაცი – ჯამბეკ თაგუირიძე ერთგან ამბობს, რომ ყველა სხვა დროს „ის დრო ჯობდა, როცა დიდი დედოფლის მძლავრი ხელი იფარავდა ჩვენს საბრალო ქვეყანას“ (ზუტნერი, 2007: 105).

ა. ზუტნერის რომანის უმთავრეს ღირსებას, პირველ ყოვლისა, ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მწერალი ღრმად და საფუძვლიანად არის გარკვეული ამ მოვლენის არსში და ისტორიული სიმართლით წარმოსახავს აჭარის მკვიდრთა აქტიურ ბრძოლას ოსმალური კირთებისგან მათი მხარის განსათავისუფლებლად და კვლავაც დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად.

ავსტრიელი მწერლის აზრით, აჭარის მკვიდრთა ქართველობის უტყუარად დამადასტურებელ არგუმენტად თუნდაც იმის გახსენებაც იკმარებდა, „ჭოროხის აუზში ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ შეხვდებოდით ქვეყნის აყვავების ხანის დროინდელი ეკლესიებისა თუ ციხესიმაგრეების ნაშთებს, რომელთა წარწერები ძველ ქართულ ენაზეა შესრულებული და დღეს სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივღა იკითხება; ქართველთა ძლევამოსილი მეფის თამარის სახელი კი აქ ყველას ისევე აკერია პირზე, როგორც მთებს გადაღმა, თბილისში, სადაც ამ კავკასიელი სემირამიდას რეზიდენცია იყო“ (ზუტნერი, 2007: 7).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, ა. ზუტნერი საფუძვლიანად იცნობს ე. წ. „ოსმალოს საქართველოს“ ტრაგიკულ წარსულსაც და თანადროულ ყოფასაც. მწერლის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვისათვის პრინციპულად უცხოა და მიუღებელი რელიგიური აღმსარებლობებისადმი დიფერენცირებული მიდგომა და ამ თვალსაზრისით იგი მუსულმანური სარწმუნოებისადმიც ისეთივე პატივისცემითაა განმსჭვალული, როგორც ქრისტიანობისადმი. თუმცა, ამისდა მიუხედავად, რომანში მაინც დაბეჯითებით ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ წინაპართა რელიგიისგან იძულებითი მოწყვეტა და მაჰმადიანური სარწმუნოების მიღება „ოსმალოს საქართველოს“ მკვიდრთა ისტორიულ ბედისწერად ქცეულ იმ ტრაგიკულ მოვლენას წარმოადგენდა, რომელმაც მათს ეროვნულ ცნობიერებაში ბევრი რამ შეცვალა არსებითად.

მაგალითად, ავტორის თქმით, ხსენებულ რეგიონში, მოყოლებული XVII საუკუნის დასაწყისიდან, როცა „გამარჯვება დარჩა ისლამს, ყოველივეს, რასაც კი ქრისტეს სახელი ერქვა, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და აყვავების დროინდელი ყველა ძეგლი ისე გაანადგურეს, რომ მათგან მხოლოდ კედლებიღა შემორჩა. მოსახლეობა თანდათან ბედს შეეგუა. მაჰმადიანმა მბრძანებლებმა ისეთი მმართველობა დაამყარეს, რომ მთელი კლარჯეთი და აჭარა რკინის კლანჭებში ჰყავდათ მოქცეული“ (ზუტნერი, 2007: 7-8).

მიუხედავად ამისა, ა. ზუტნერის მართებული აღნიშნვით, თურქთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის უღელქვეშ მცხოვრები კლარჯელების, ჭოროხისპირელებისა და აჭარლების უმეტესობა „სულის სიღრმეში მაინც რჩებოდა ერთგული ძველი რწმენის და წარმომავლობისა, რომლითაც ოდესღაც მათი წინაპრები ამაყობდნენ“ (ზუტნერი, 2007: 8). რაც შეეხებოდათ ქვეყნის მმართველობაში გარეულ პირებს, მწერლის თქმით, მათთვის „უფრო მომგებიანი საქვეყნო ინტერესებზე თვალის დახუჭვა და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა აღმოჩნდა“ და ბევრი მათგანი, განსაკუთრებით კი კაიმაზამები (თემის განმგებლები), თავიანთ თემში „თავს პატარა მეფედ გრძნობდნენ.“

ა. ზუტნერი ყოველივე ამის შესახებ არა მარტო ზოგად ინფორმაციას გვაწვდის, არამედ ამ ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ცნობიერებისა და ეროვნულ-მოქალაქეობრივი თვალთახედვის მქონე პიროვნებათა შორის მიმდინარე გამძაფრებულ ბრძოლათა და დაპირისპირებათა შესახებაც გვიამბობს საკმაოდ დინამიკურად. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლათა მთავარ წარმმართველ პირებად მწერალმა დამპყრობი ერის წარმომადგენლები კი არ აქცია, არამედ თავად ამ მხარის მკვიდრი შვილები. კერძოდ, ოსმალური კირთებისაგან საკუთარი მხარის განსათავისუფლებლად მებრძოლ ქართველებს, პირველ ყოვლისა, ეროვნულად გადაგვარებული მათი თანამემამულე დიდგვაროვნები და მაღალჩინოსნები უპირისპირდებოდნენ.

ა. ზუტნერი სავსებით ობიექტურად აღნიშნავს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რასაც ბათუმი ოსმალთა ბატონობის ხანაშიც ასრულებდა, მთელი რეგიონის მასშტაბით. კერძოდ, მწერლის ინფორმაციით, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ფაშა, რომელიც რეგიონის უმაღლეს ხელისუფალს წარმოადგენდა, სწორედ

ბათუმში იჯდა და მის დაქვემდებარებაში თერთმეტ ნაწილად ანუ კაზად დაყოფილი მთელი აჭარა და კლარჯეთი შედიოდა. ბათუმშივე ჰქონდა ბინა მეჯლისს (სახელმწიფო საბჭოს), ტრიბუნალსა და საბაჟოს; იქვე იყო განლაგებული ბატალიონის გარნიზონიც (ზუტნერი, 2007: 8).

მწერლის ხაზგასმით, რეგიონის ცენტრად ქცევამ და ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ ბათუმს ოსმალთა ბატონობის პერიოდშივე შესძინა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია. სახელდობრ, XIX საუკუნის 70-იან წლებში, როცა რომანში აღწერილი მოვლენები ვითარდება, ბათუმში „უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობანი იმდენად გაცხოველდა, რომ ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფო იძულებული გახდა, საკონსულოები გაეხსნა და მათი წარმომადგენლები თავიანთი ოჯახის წევრებიანად სიამოვნებით იყენებდნენ შესაძლებლობას, ერთფეროვანი ცხოვრება გუბერნატორის სახლში გამართული თავყრილობებით გაეხალისებინათ“ (ზუტნერი, 2007: 14).

როგორც რომანიდან თვალნათლივ ჩანს, გარე სამყაროსთან ბათუმი უმთავრესად არა მარტო ზღვით იყო დაკავშირებული, არამედ სამდინარო გზითაც. კერძოდ, ისტორიული წყაროებიდან და მოგზაურული ლიტერატურიდან კარგად ცნობილ ფაქტს – ჭოროხისა და აჭარისწყლის ფართოდ და ინტენსიურად გამოყენებას სანაოსნოდ – ავსტრიელი მწერალიც განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცევს. ნაწარმოებში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ როლის წარმოჩენას, რომელსაც ხსენებული მდინარეები ასრულებდნენ იმხანად როგორც ტვირთების გადატანის, ისე მგზავრთა გადაყვანის საქმეში.

მიუხედავად იმ სირთულეებისა, რასთანაც კლდოვან მთათა კალაპოტში ჩამომჩქეფარე ამ მდინარეებში ნაოსნობა იყო დაკავშირებული (განსაკუთრებით დინების საწინააღმდეგოდ სვლის დროს), სახმელეთო გზათა მეტისმეტი სიცუდის ან საერთოდ არარსებობის გამო, ჭოროხი და აჭარისწყალი იმხანად მთავარ საკომუნიკაციო ფუნქციას მაინც ასრულებდა. ავტორის თქმით, ამ მდინარეებზე „საკმაოდ გაცხოველებული მოძრაობა იყო“ (ზუტნერი, 2007: 146).

ამგვარ მოგზაურობათა ამბები რომანში ისე შთამბეჭდავად და რეალისტურადაა მოთხრობილი, რომ ეს ყველაფერი ავტორ-

მა, როგორც ჩანს, არა მარტო გადმოცემით იცოდა ესოდენ კარგად, არამედ თავადაც იყო ამ სანაოსნო გზით ნამგზავრი.

მიუხედავად იმისა, რომ რომანის სამოქმედო გეოგრაფიული არეალი ძირითადად ბათუმით, სხალთით, ციხისძირითა და აჭარის სხვა ადგილებით შემოიფარგლება, მასში მოქმედება, დროდადრო, სხვა დასახლებულ პუნქტებშიც ვითარდება და ავტორი იქ არსებულ მდგომარეობასაც წარმოასახავს მეტ-ნაკლები მასშტაბებით (მაგალითად, მურღული, ართვინი, ახალციხე, ტბეთი...).

ა. ზუტნერის რომანში საკმაოდ ღრმადაა განსჯილ-გაანალიზებული ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს" პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემაც. ამ პრობლემისადმი ნაწარმოების მოქმედ გმირთა დამოკიდებულებაში ორი უმთავრესი თვალსაზრისი იკვეთება: პირველი (რასაც თავად ავტორიც აქტიურად ემხრობა და უჭერს მხარს), ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და საუკუნეთა განმავლობაში დამპყრობთა მიერ ძალით მიტაცებული ტერიტორიების კვლავაც საქართველოსთვის მიერთება; და მეორე, ამ ტერიტორიების ისევ ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში დარჩენა. განსხვავებით პირველი თვალსაზრისისაგან, რომლის რეალურად აღსრულებისთვის ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ბრძოლას, რომანის მიხედვით, საერთო-სახალხო მასშტაბები აქვს შეძენილი, მეორე თვალსაზრისს მხარს ძირითადად დამპყრობთა სამსახურში მყოფი ჩინოსნები უჭერენ თავიანთი პიროვნული კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

ა. ზუტნერის რომანის მიხედვით, XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აზვირთების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად, პირველ ყოვლისა, სოციალური უსამართლობა და მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იქცა. მწერლის თქმით, აჭარელთა დიდი ნაწილის ცნობიერებაში საკუთარი ეროვნული უფლებების დასაცავად ბრძოლის ის სულისკვეთება, რისთვისაც მათი წინაპრები სიცოცხლესაც კი სწირავდნენ, იმხანად უკვე იმდენად იყო მიმცხრალ-მინავლული, რომ ბევრი მათგანი იარაღს მხოლოდ „სამკაულად ატარებდა."

მაგრამ ხსენებულ პერიოდში აღზევებულმა სოციალურმა უსამართლობამ მოსახლეობის დიდი ნაწილი საბრძოლველად

განაწყო და ეროვნული ფესვებისკენ მიახედა. მწერლის თქმით, „თუკი აქამდე ზეწოლას ემორჩილებოდნენ და კულტისა და ცხოვრების წესის საკითხებში მუსულმანურ კანონებს მისდევდნენ, ახლა ზოგიერთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის ძველქართულ წარმომავლობას და ხმამაღლა აცხადებდა, წინასწარმეტყველის მიმდევრებთან არაფერი გვაქვს საერთოო“ (ზუტნერი, 2007: 108). ავტორის ხაზგასმით, ხელისუფლების დევნისაგან თავის დასაღწევად, ამ ადამიანთა ნაწილი წინაპართა ნაფუძარს ტოვებდა და თავს რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ ისტორიულ სამშობლოს აფარებდა.

ა. ზუტნერი არაერთგზის უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის დაქვემდებარებაში მოქცეულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველები ეროვნულ გადაგვარებასა და სოციალურ უსამართლობას თავს მხოლოდ მაშინ დააღწევდნენ, თუ კვლავაც დედასამშობლოს შეუერთდებოდნენ და ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში მოექცეოდნენ. აშკარად გამოხატული თავისი პრორუსული პოზიციიდან გამომდინარე, ავსტრიელი მწერალი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ამის რეალურად მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის აქტიური საბრძოლო დახმარებით იყო შესაძლებელი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „სამუსლიმანო საქართველოს“ პრობლემის ამ გზით გადაწყვეტა, რასაც, რომანის მიხედვით, ამ რეგიონის მცხოვრებ ქართველ პატრიოტთა დიდი ნაწილი უჭერდა მხარს აქტიურად, პრინციპულად მიუღებელი იყო ეკონომიკურად დაწინაურებულ პირთათვის. მაგალითად, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის – მურზა-ხანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მოსახლეობა დასახმარებლად „მეზობელ სახელმწიფოს“ (ე. ი. რუსეთს) მიმართავდა, მაშინ იგი „მთელ თავის ქონებასა და გავლენას გამოიყენებდა იმისათვის, რომ ეს მოძრაობა ჩანასახშივე ჩაეხშო“ და „პირველივე მოღალატეს,“ ვინც მას გზაზე გადაეღობებოდა, საკუთარი ხელით გააგდებინებდა თავს“ (ზუტნერი, 2007: 123).

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტნერის რომანის ზემოთ ხსენებული პერსონაჟის ანტირუსული პოზიცია მისი ეროვნული თვალთახედვის შედეგს კი არ წარმოადგენდა, არამედ პიროვნულ სარგებლიანობაზე დაფუძნებული პოზიციის გამოხატულება იყო, რუსული კოლონიალიზმის მისეული შეფასებიდან მაინც აშკარად ვლინდება ამ მოვლენისადმი თავად ავტორის კრიტიკული დამოკიდებულებაც.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს იმ შეფასებიდან, რომელსაც თავად მურზა-ხანი აძლევს რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას დაპყრობილი ქვეყნებისადმი: „რუსები! მაგას (იგულისხმება აჭარელ აჯანყებულთა თავკავი – ა. ნ.) ჰგონია, უკეთესად წაუვა საქმე, თუ რუსები დაეპატრონებიან ქვეყანას? შემიძლია ვუამბო, როგორ დაკარგა მამაჩემმა კინაღამ მთელი თავისი ქონება, როცა მათ აფხაზეთი ჩაიგდეს ხელში და ძლივს მოასწრო ყველაფრის გადარჩენა – მამულები გაყიდა და აქ (ოსმალეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში – ა. ნ.) გადმოსახლდა. და ახლა იმ შეშლილებს უნდათ, ის გაუმაძღარი მგლები შემოგვიყიონ? – არა, არასოდეს" (ზუტნერი, 2007: 222).

მურზა-ხანისაგან განსხვავებით, დედა სასაქართველოსთან აჭარის შეერთებისთვის აქტიურად მებრძოლი რაზმის თავკაცი – ჯამბეკი თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანსწრაფვის არსს ერთგან ამგვარად ხსნის და განმარტავს: „ჩემი სამშობლო ის მიწა-წყალია, სადაც გავიზარდე... რა უნდა მქონდეს საერთო იმ სამარცხვინო ტირანებთან, რომლებიც მზად არიან ძარღვებიდან სისხლი გამოგვწოვონ? არაფერი; ისინი ჩვენთვის უცხონი არიან – იმ მოდგმისანი, რომელსაც ჩვენ არ ვეკუთვნით, რომელიც საუკუნეების წინ ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა სხვისი სიკეთის დასაპატრონებლად. ჩვენი მამული აქ არის, სადაც ვდგავართ; ჩვენს ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს და არაფერი გვაქვს საერთო გადაღმიდან მოსულ მჩაგვრელებთან. ამიტომაც უმალ მამულის მხსნელად ვიგრძნობ თავს, ვიდრე მის მოღალატედ, თუ ძველი, ნამდვილი თვისტომის მხარდამხარ ვიბრძოლებ საძულველი უღლისაგან ჩემი ქვეყნის განსათავისუფლებლად" (ზუტნერი, 2007: 189).

რომანის მთავარმა გმირმა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის დაწყების წინ წარმოთქმული ამ სიტყვების სიმართლე, პირველ ყოვლისა, ამ ომში თავისი აქტიური მონაწილეობით დაამტკიცა. ჯამბეკი გამონაკლისი არ ყოფილა და ანალოგიურად ფიქრობდნენ მისი თანამებრძოლებიც. მათი აზრით, ოსმალთა ბატონობისაგან თავის დახსნითა და რუსეთის განმგებლობაში გადასვლით მათი „ქვეყანა (იგულისხმება აჭარა – ა. ნ.) გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა." ამიტომაც, – შეუვალი თვითდაჯერებით ამბობს ერთ-ერთი მათგანი, – „თუ საქმე ისე წავა, რომ რუსეთი დააპირებს თავისი კალთის

ქვეშ შეგვიფაროს, სიცოცხლეს არ დავიშურებ, რათა ამ წამოწყების განხორციელებას შევუწყო ხელი“ (ზუტნერი, 2007: 190).

ა. ზუტნერის რომანისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მწერალი ოსმალობის დროინდელი აჭარის მკვიდრთა და საქართველოს დანარჩენი მხარეების მოსახლეობას შორის არსებულ ურთიერთობაზეც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. კერძოდ, როგორც ავსტრიელი მწერლის მონათხრობიდან ნათლად ჩანს, მიუხედავად სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში ცხოვრებისა, ე. წ. ოსმალოს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ცალკეულ წარმომადგენლებს ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებთან კავშირ-ურთიერთობა მაინც არ ჰქონდათ გაწყვეტილი და საკმაოდ რთული სასაზღვრო ბარიერების არსებობის მიუხედავად, აქაურ მოსახლეობასთან აქტიურადაც კი იყვნენ დაკავშირებული.

სწორედ ამ ურთიერთობის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ოსმალური ხელისუფლების დევნისაგან თავის დახსნის მიზნით, აჭარელმა მეამბოხეებმა თავი ე. წ. რუსეთის საქართველოს, კერძოდ კი ახალციხეს, შეაფარეს. მწერლის ინფორმაციით, იქ „ხშირად ჩამოდიოდნენ სხალთის ახლო-მახლოდან და იქაურ ამბებს ჩამოუტანდნენ.“ უსაფრთხოების მიზნით ახალციხეს თავშეფარებულ ჯამბეკს, რომელიც ხსენებული აჯანყების ერთ-ერთი თავკაცი იყო, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ თანამემამულეებთან იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდა, რომ მათი აქტიური თანადგომითაც უწევდა ორგანიზებას ოსმალეთის ბატონობისაგან მათი მხარის განსათავისუფლებლად დაწყებულ სახალხო ამბოხებას.

მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის მწერალი იმ ურთიერთობათა შესახებ, რითაც თავიანთი დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზნის განხორციელებისათვის მებრძოლი ჯამბეკი და მისი რაზმელები იყვნენ დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის წარმომადგენლებთან: იმ შემთხვევაში, თუ ახალციხეში მყოფი ჯამბეკი სასურველ დონეზე საქმის მოგვარებას ვერ შეძლებდა, მაშინ „ერთი გამოსავალი რჩებოდა – თბილისს გაემგზავრებოდა, სადაც სიყრმის მეგობრები ეგულებოდა და დარწმუნებული იყო, გაშლილი ხელებით შეხვდებოდნენ.

დაიქირავა ცხენები და მცირე შესვენების შემდეგ რამდენიმე კაცით იმ გზას დაადგა, რომელიც ოზურგეთისა და ახალციხის

გავლით უმოკლეს დროში ჩაიყვანდა ადგილზე. მეოთხე დღეს ახალციხეს მიაღწია, სადაც ერთ თბილისელ ახალგაზრდა კაცს შეხვდა, რომელთანაც ბავშვობაში მეგობრობდა" (ზუტნერი, 2007: 187).

როგორც ითქვა, ავსტრიელი მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა პატრიოტულ თვალთახედვას მტკიცედ მოტივირებულს, უპირველეს ყოვლისა, თავად ავტორის მიერ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე არაერთგზის გამოხატული ის თვალსაზრისი ხდის, რომლის მიხედვითაც აჭარა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ღვიძლ ნაწილს წარმოადგენს, რომლის მოსახლეობა ისტორიულ სამშობლოში მცხოვრები თანამოძმეებისაგან მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ნიშნით – სარწმუნოებით განსხვავდებოდა. მაგალითად, მწერლის თქმით, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი – ჯამბეკი თუმცა აჭარელი, მაგრამ „ფართო გაგებით ქართველი იყო" (ზუტნერი, 2007: 16).

ა. ზუტნერის ხაზგასმით, რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებულმა ომმა სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილ აჭარელთა ეროვნულ ცნობიერებას თითქოს საბურველი ახადა და ბევრ მათგანს „ახლაღა გაახსენდა, რომ აქამდე ხელისუფლების სათავეში უცხოელი დამპყრობლები იყვნენ, რომ მთებს გადაღმა თანამოძმენი ცხოვრობდნენ, რომლებიც რუსეთის ბატონობის ქვეშ გაცილებით უკეთ გრძნობდნენ თავს. ეროვნულმა საკითხმა ერთ ღამეში წამოიწია და ამით მოძრაობამ სულ უფრო და უფრო მეტი მხარდამჭერი შეიძინა. თუ ქუჩებში აქამდე მხოლოდ თურქული ისმოდა, ახლა ქართულმა ენამ იმძლავრა; რუსულ ფრაზებსაც გაიგონებდით – თითქოს ქალაქის მცხოვრებნი ხელის ერთი დარტყმით მთლიანად შეცვალესო" (ზუტნერი, 2007: 218).

ა. ზუტნერის რომანში ის იმპერიული პოლიტიკაც იქცა კრიტიკული მხილების საგნად, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფლება ატარებდა ხსენებული რეგიონიდან ადგილობრივი მოსახლეობის არაქართულ რეგიონებში გადასასახლებლად და მათ ნაფუძარზე უცხო ეთნიკური ჯგუფების დასამკვიდრებლად. როგორც ცნობილია, ამ ტრაგიკულმა მოვლენამ რუსული მმართველობის პერიოდში გაცილებით ფართო მასშტაბები შეიძინა და რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, მუჰაჯირებად გადახვეწილ ქართველ მუსლიმან-

თა ნასახლარებზე მასობრივად დაესახლებინა რუსი ეროვნების მოქალაქენი და ამ გზით ხელოვნურად მოეხდინათ ხსენებული ადგილების რუსიფიკაცია.

ორივე იმპერიის ხელისუფალთა მიერ მიზანსწრაფულად გატარებული ამ მზაკვრული პოლიტიკის არსი ავსტრიელი მწერლის რომანში შემდეგნაირადაა გაშიფრული: „რეჯიბ-ბეგს მიზანშეწონილად მიაჩნდა, აყრილების ადგილას ისინი ჩაესახლებინა, რომლებიც უკვე მის რჯულზე იყვნენ გადაჯიშებულნი, და ამიტომ ჩამორთმეული მამულების დიდ ნაწილს იმათთვის ინახავდა, ვინც სანაპირო ზოლიდან უნდა გადმოესახლებინა.“ ასე რომ, ხელისუფლების მესვეურები ამ გზით „ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მკვიდრი ტომი თანდათან განედევნათ საკუთარი ქვეყნიდან და თავად გაეშალათ ფრთები“ (ზუტნერი, 2007: 194).

ა. ზუტნერის რომანი შესაბამისი პერიოდის აჭარასთან კლარჯეთ-შავშეთის დამაკავშირებელი გზების შესახებაც გვაწვდის საინტერესო ცნობებს. როგორც ავტორისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, რელიეფის სირთულის გამო, ხსენებული რეგიონების საგზაო ინფრასტრუქტურა ძალზე მოუწესრიგებელი იყო, რაც გადაადგილებისთვის საკმაოდ დიდ სირთულეებს წარმოქმნიდა. ასეთ ვითარებაში ამ დანიშნულებით უმთავრეს როლს ასრულებდა მდინარეების: ჭოროხისა და აჭარისწყლის ფართოდ გამოყენება სანაოსნოდ.

ა. ზუტნერი არა მარტო ზოგადად გვაწვდის ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით, არამედ დიდი სიტყვიერი ხელოვნებითა და დეტალიზაციითაც აღწერს ნაოსნობის ამ პროცესს. კერძოდ, ხსენებულ მდინარეთა მეტად მნიშვნელოვან სანაოსნო როლს შესაბამისი პერიოდის აჭარასა და შავშეთ-კლარჯეთში და აღნიშნული სამდინარო გზით მოგზაურობასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს მწერალი ისეთი ნიუანსობრივი დეტალიზაციითა და ღრმად შთამბეჭდავი ემოციურობით მოგვითხრობს, რომ რეალურად გვექმნება საფუძველი იმის სათქმელად, თავად ისიც რომ იქნებოდა ამ სანაოსნო გზებით არაერთგზის ნამოგზაურები.

მაგალითად: რომანის მთავარმა პერსონაჟმა ჯამბეკმა და მისმა დამხმარეებმა მდინარე აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ერთერთ სოფელში სტუმრად მიწვეული გუბერნატორისა და მისი თანმხლები პირების წასაყვანად „ყველაზე დიდი და ახალი ნავები

შეარჩიეს და რაც შეიძლებოდა, მოხერხებულად მოაწყვეს. ერთში გუბერნატორი უნდა მოეთავსებინათ თავის მეგობრებთან ერთად მთელი დღით, მეორე კი ქალებისათვის ღამის გასათევად იყო განკუთვნილი; ხოლო მესამეში მხლებლები და მსახურები დაბინავდნენ" (ზუტნერი, 2007: 21). საპატიო სტუმრების ეს ეკიპაჟი „საღამომდე ესკორტი ნავების სოლიდური რიცხვით შეივსო" (ზუტნერი, 2007: 21).

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, აჭარისწყალზე გაცილებით მნიშვნელოვან სანაოსნო როლს ასრულებდა მდინარე ჭოროხი, რომელიც ბათუმთან შესაბამისი პერიოდის ართვინისა და ამ მდინარის ხეობაში მდებარე სხვა დასახლებული პუნქტების დასაკავშირებლად ყველაზე ხელსაყრელ საკომუნიკაციო არტერიას წარმოადგენდა. მიუხედავად სამდინარო კალაპოტის მეტისმეტი სირთულისა და მდინარის მეტად ჩქარი დინებისა, ხსენებული რეგიონების მოსახლეობა სახმელეთო გზის ფაქტობრივი არარსებობის გამო, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჭოროხს იყენებდა უმთავრეს სამიმოსვლო არტერიად.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ა. ზუტნერის ხსენებული რომანიდან: „დინება მალე ისე გაძლიერდა, რომ ნავი ნაფოტივით მიექანებოდა ფიცხ ნაკადებში... მდინარის პირა სანახები ელვისებური სისწრაფით მიქროდა მათ გვერდით.

ხეობა სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და ნაპირები, მურღულთან რომ დამრეცად ეშვებოდა მდინარისაკენ, ახლა სულ უფრო ციცაბო ხდებოდა...

ნავი სულ უფრო სწრაფად მიიწევდა წინ, ტალღები აქეთ-იქით ისროდნენ და ნიჩბებს ღრჭიალი გაჰქონდა, როცა მენავე მთელი ძალით დააწვებოდა ხოლმე, რომ ვერაგულად ჩამალული რიფებისათვის აევლო გვერდი, ან ხის დაკორძილ ტოტს არიდებოდა, რომელიც ქვებში გაჩხერილიყო და შეიძლებოდა ნავის კედელი შეენგრია... მდინარე ზოგან ისე მკვეთრად უხვევდა, რომ თამარს სუნთქვა ეკვროდა, როცა ხედავდა, რა სისწრაფით მიექანებოდა პატარა ნავი ჩამოზვავებული ქვებისაკენ. ერთი წამიც და ნამსხვრევებად უნდა ქცეულიყო, მაგრამ უმალ მკვეთრად შემოტრიალდებოდა და ბეწვზე ასცდებოდა სახიფათო ადგილს... რაც უფრო ვიწროვდებოდა კლდეკარი, მით უფრო ბობოქრობდა, ქუხილითა და ღრიალით რბოდა და უზარმაზარ ტალღებს მოაგორებდა მდინარე...

ცურვა სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. რამდენჯერმე მესაჭესაც კი აღმოხდა შეშფოთების ამოძახილი“ (ზუტნერი, 2007: 165).

მდინარით დაღმა ცურვასთან შედარებით გაცილებით რთულ და წარმოუდგენლად მძიმე საქმეს წარმოადგენდა დინების საწინააღმდეგო გზით ნაოსნობა. კერძოდ, თუ ქვემოთ მომავალი ნავები მდინარის ტალღებს მოჰყვებოდნენ ზემოთ აღწერილი ხიფათიანი გზებით, აღმა მიმავალთ უკვე მენავეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი მიათრევდა თოკებით. არტურ ზუტნერის ინფორმაციით, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ნავი ართვინიდან ბათუმამდე ჩამოსვლას მხოლოდ რამდენიმე საათს ანდომებდა, მაშინ, როცა ამავე გზის საპირისპიროდ გავლას უკვე ოთხ დღეზე მეტი სჭირდებოდა.

„აჭარლებისადმი“ ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მწერალი ოსმალობის დროინდელ აჭარელთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მხარეებსაც წარმოაჩენს ეთნოგრაფიული სიმართლით. მაგალითად: „აჭარლებისა და გურულების ეროვნული სამოსი კავკასიაში ყველაზე მოხდენილია: მოკლე, მომდგარი, მკერდზე გადახსნილი ზედატანი, რომელშიც ღია ფერის მოჟილეტო-მოპერანგო ხიფთანი გამოსჩანს. შარვალი თეძოებზე განიერია, ბარძაყებსა და წვივებზე კი მჭიდროდ შემოკვართული, წელზე შემოკრული კუშაკით – განიერი, ზოლიანი აბრეშუმის შარფით; ფეხზე თხელი, ჭვინტიანი ქალამნები აცვიათ, რომლებიც ხშირად რბილი ტყავის გამაშებით გრძელდება“ (ზუტნერი, 2007: 32).

ან კიდევ: „როგორც ყველა კავკასიელს, აჭარელსაც წესად აქვს იარაღის ტარება: სარტყელში გარჭობილი ხანჯალი და ხშირად ორი დამბაჩა, უხვად მოვერცხლილი, რომლებიც ჩვეულებრივ უკან, ხერხემლისკენაა გაწეული, მკერდის ორივე მხარეს კი ორ რიგად ჩაწყობილი, ერთმანეთზე ფილიგრანული ძეწკვით გადაბმული ვერცხლის ქილიშები უმშვენებენ. როგორც წესი, ტყავის თასმაზე მიმაგრებული აქვთ პატარა ჯიბე, რომელშიც მოთავსებულია ფოლადი, კვესი და პატარა კოლოფი ქონით, ტყვიების გასაპოხად, ქამარში კი ლითონის ან ტყავის ბრტყელი მათარაა შემალული“ (ზუტნერი, 2007: 33).

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტნერის „აჭარლების“ პრობლემატიკა მხოლოდ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება

და იგი პერსონაჟთა მრავალსახოვნებითაც და ლიტერატურული ინდივიდუალობითაც გამორჩეულ ნაწარმოებს წარმოადგენს, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, მაინც იძლევა მყარ საფუძველს მასში წარმოსახული ეპოქალური სინამდვილისა და ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად.

აჭარისა და ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს" სხვა მხარეების ისტორიული და თანადროული ყოფის წარმოსახვის დროს ავსტრიელი მწერალი ყოველთვის ხაზგასმული დაბეჯითებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ეს რეგიონები ჩვენი ქვეყნის ღვიძლ ნაწილებს წარმოადგენს. ამიტომაც მათი მოსახლეობის დიდი ნაწილის აქტიური ბრძოლა კვლავაც ერთიან ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სივრცეში დასაბრუნებლად, რაც რომანში საკმაოდ შთამბეჭდავად და მასშტაბურადაა ასახული, მწერალს ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მიაჩნია.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული თემატიკით დაინტერესებულ უცხოელ მწერალთა შორის არტურ ზუტნერი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამორჩეული ავტორია, რომელიც საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანადაა გარკვეული მოვლენათა არსში და ქართველი ხალხისადმი აშკარად მხარდამჭერი პოზიციებიდან წარმოაჩენს შესაბამისი პერიოდის ცხოვრებისეულ სინამდვილეს.

ქართული რეალიები არტურ ზუტნერის უცნობ რომანში „იბერიელნი“

არტურ ზუტნერის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასების დროს, ცნობილმა ქართველმა გერმანისტმა ნოდარ კაკაბაძემ ავსტრიელი მწერლის მიერ შექმნილი და დღემდე საერთოდ გამოუქვეყნებელი რომანი „იბერიელნიც“ მოიხსენია და აღნიშნა, რომ ხსენებული ნაწარმოების ხელნაწერი ავსტრიაში, ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ინახებოდა (კაკაბაძე, რუხაძე, 999: 6).

ამ ინფორმაციამ იმდენად დამაინტერესა, რომ ჩემს ნაცნობ გერმანისტთა შორის აქტიურად დავიწყე იმ პიროვნების ძიება, ვინც ხსენებული რომანის ხელნაწერს მოიპოვებდა და მას ქართულ ენაზე თარგმნიდა. ჩემმა მრავალწლიანმა მცდელობამ შედეგი მართლაც გამოიღო და ამ საკითხით იმთავითვე დაინტერესდა გერმანიაში მცხოვრები ცნობილი ფილოლოგი, პროფესორი თამაზ გვენეტაძე. მის ამ ინტერესს მყარ საფუძველს ისიც უქმნიდა, რომ გარდა გერმანისტიკაში წარმატებული მეცნიერული მოღვაწეობისა, იგი აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა და ქართულ და გერმანულ ენებზე არაერთი მხატვრული ტექსტიც აქვს თარგმნილი და გამოცემული. მათ შორისაა 1978 წელს ჟურნალ „განთიადის“ მეექვსე ნომერში გამოქვეყნებული ფრაგმენტი ბერტა ზუტნერის მოგონებათა წიგნიდან.

არტურ ზუტნერის გამოუქვეყნებელი რომანის ხელნაწერის მოსაპოვებლად ბატონი თამაზი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებას, მაგრამ მოძიების პირველი მცდელობა ნარუმატებელი აღმოჩნდა. ამის მიზეზი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე ინტენსიური ძიების შედეგად გახდა ნათელი: როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ხელნაწერი გერმანული არტიკლის შესაბამისად ასო დონის კატალოგებში იყო შეტანილი.

ხელნაწერის მიღება არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა, ვინაიდან მისი რესტავრაცია გახდა საჭირო. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ისიც აღნიშნეს, რომ მათ ბიბლიოთეკაში ამ ხელნაწერის მოთავსებიდან 120 წლის განმავლობაში იგი ერთადერთი კაცი იყო, ვინც მისით დაინტერესდა.

რამდენიმე თვიანი ლოდინის შემდეგ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ დანაპირები შეასრულა და ბატონ თამაზს „იბერიელნის“ ელექტრონული ვერსია გაუგზავნა. მაგრამ იმის გამო, რომ ტექსტის ხელნაწერი ძველი გერმანული კურენტის შრიფტით იყო შესრულებული, მისი გაშიფრვა საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა. გერმანული კურენტი გაკრული ხელით დაწერილი შრიფტია (ლათ.: currere = სირბილი). ბატონმა თამაზმა ამ საქმის კვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით ეს სირთულეც წარმატებით დასძლია და რამდენიმე თვიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად არტურ ზუტნერის ხელნაწერი რომანი მაღალ პროფესიულ დონეზე თარგმნა ქართულად, რის შედეგადაც ორიგინალის ენაზე დღემდე გამოუქვეყნებელი ამ ნაწარმოების წაკითხვის შესაძლებლობა ავსტრიელ და გერმანელ მკითხველებზე ადრე ქართველებს მოგვეცა.

იქიდან გამომდინარე, რომ არტურ ზუტნერის რომანის შექმნის უმთავრეს მიზანს რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში არსებული რეალობის წარმოსახვა წარმოადგენს, „იბერიელნი“ პირობითად ისტორიულ რომანადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ მასში არც იმდროინდელი მოვლენებია წარმოსახული ფაქტოლოგიური სიზუსტით და მის პერსონაჟთა შორის არც ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ცნობილი პიროვნებანი გვხვდებიან, ნაწარმოები გარკვეულწილად მაინც იძლევა ამის თქმის საფუძველს.

კერძოდ, არტურ ზუტნერი ისტორიული სიმართლითა და, უმეტეს შემთხვევაში, აშკარად გამოხატული პროქართული თვალთახედვით წარმოაჩენს რეალურად არსებულ იმ მდგომარეობას, რომელიც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შედეგად შეიქმნა საქართველოში. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რომანის ქართველ პერსონაჟთა გარკვეული ნაწილის ეროვნული ცნობიერება, რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ ჩვენს ქვეყანაში გატარებული კოლონიური პოლიტიკის შედეგად, უკვე დეგრადირებული იყო და ისინი გარუსების გზაზე იყვნენ დამდგარი.

ამ ტრაგიკული მოვლენის წარმოჩენა არტურ ზუტნერის მიზანსწრაფვის ერთ-ერთ მთავარ საგანს რომ წარმოადგენს, ამას მკითხველი ნაწარმოების დასაწყისიდანვე იგრძნობს ხაზგასმულად. კერძოდ, ნაწარმოები იწყება იმის აღნიშვნით, რომ არსენა-

ლის დასახლების სახელით ცნობილი თბილისის ერთ-ერთი უბნიდან, სადაც რუსული სამხედრო ბაზა იყო განთავსებული, რაღაც საზეიმო ღონისძიების აღსანიშნავად რუსები ზარბაზნებს ისროდნენ. მწერლის ხაზგასმით, აღნიშნული მოვლენა გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენდა და ასეთი რამეები რუსეთის მიერ ოკუპირებულ თბილისში ხშირად ხდებოდა.

არტურ ზუტნერის რომანისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მწერალი რუსული ოკუპაციის შედეგად შექმნილი მხოლოდ ამ მდგომარეობის მამხილებლად კი არ გვევლინება, არამედ რუსეთის იმპერიული რეჟიმის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი ქართველი მამულიშვილის რამდენადმე იდეალიზებულ პიროვნულ სახესაც ქმნის. მხედველობაში მყავს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი იოანე.

რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ მისი ორგანიზებით წარმართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ის გარემოებაც სძენს დიდ მასშტაბებს, რომ მას გვერდით უდგას ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებული გერმანელი მეგობარი, ექიმი ვალტერი, რომელიც ძალას არ იშურებს, რათა სიცოცხლე შეუნარჩუნოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს ვახტანგს!

ვახტანგი თავდაპირველად არ იზიარებს იოანეს ანტიკოლონიურ ეროვნულ მრწამსს, რომანის დასაწყისში ის არ უერთდება იოანეს უკომპრომისო ბრძოლას რუსული კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

იოანეს ხაზგასმით, ჩვენი ეროვნული ინდივიადუალობისთვის საფუძვლის გამომცლელმა რუსიფიკაციის ტალღამ, რის სიმბოლოსაც თბილისში, არსენალის მთაზე, მდებარე რუსული სამხედრო ბაზიდან ზარბაზნების გასროლით წარმოქმნილი ქუხილი წარმოადგენდა, არსებითად შეცვალა იმ ადამიანთა ეროვნული თვითშეგნება, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ბედის წარმმართველნი უნდა ყოფილიყვნენ. აი, როგორ შეფასებას აძლევს იგი ამ ტრაგიკულ მოვლენას ბაგრატიონთა სამეფო კარის მემკვიდრესთან – ვახტანგთან საუბრის დროს: „ნუთუ რუსიფიკაციამ ყველაფერი უნდა მოიცვას, სახელებიც კი?..

უკვე მრავალი წელია წარსულით ვცხოვრობთ! გესმის სიახლე, რომელიც უკვე დიდი ხანია ყოველ წელს ამ დღეს ქუხს? ზარბაზნების ხმა? მხოლოდ მათ უნდა შეგვახსენონ ის, რაც ჩვენ ძალის გამოყენებით წაგვართვეს...

– რას იზამ, სასიხარულო არაა, ყველაფერს ეჩვევა კაცი, – ამოიოხრა ვახტანგმა და თმაზე გადაისვა ხელი.

– სასიხარულო არაა, სასიხარულო არაა! რა იოლად ღაღადებს ის კაცი, რომელიც დღეს ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი უნდა იყოს! რაც არ უნდა იყოს, იგი ხომ მისი კანონიერი მეფეა!

– იყუჩე, ბალღო, ფრთხილად იყავი, ერიდე ხმამაღლა საუბარს ისეთ ადგილებში, სადაც კედლებსაც კი ყურები აქვთ გამობმული!

– როგორ, შენთანაც?

– დიახ, ჩემთანაც. მოღალატეებს ახლა ჩვენთან კარგად უხდიან ფულს და დიდ პატივშიც ჰყავთ ისინი. ფრთხილად იყავი."

განსხვავებით რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის ფაქტს შერიგებული და ბედს დამორჩილებული ვახტანგისაგან, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დაუპყრობლობის შემთხვევაში მისი კანონიერი მეფე იქნებოდა, იოანე არა მარტო თვითონაა რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი მამულიშვილი, არამედ ამ ბრძოლის თავკაცადაც და ორგანიზატორადაც გვევლინება. არტურ ზუტნერის რომანის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ავტორისეული მონათხრობის მაგისტრალურ სიუჟეტურ ღერძად სწორედ მისი ეს ეროვნული მიზანსწრაფვაა ქცეული.

აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პირველ ყოვლისა, იმით იძენს, რომ შესაბამისი პერიოდის ქართული მწერლობის უმთავრეს მიმართულებად არსებულ ამ პრობლემას არაქართველი მწერალი წარმოაჩენს ესოდენ მასშტაბურად და სიღრმისეულად. აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, ყურადღება ამ შემთხვევაში იმასაც უნდა მივაქციოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზების საქმეში იოანეს მისი გერმანელი მეგობარი ვალტერი უდგას გვერდით.

არტურ ზუტნერის რომანის პერსონაჟები ხსენებული პრობლემისადმი მათი პიროვნული დამოკიდებულების მხრივ ორ კატეგორიად შეიძლება დავაჯგუფოთ: პირველი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მომხრეებად, რომელთა თავკაცადაც ავსტრიელმა მწერალმა, როგორც უკვე ითქვა, იოანე წარმოგვიდგინა და მეორე, ბედს შერიგებულ იმ ქართველებად, რომლებიც საქვეყნო ინტერესებზე წინ პიროვნულ კეთილდღეობას აყენებდნენ.

არტურ ზუტნერმა თავისი რომანის პერსონაჟთა ეროვნული თვალთახედვა რადიკალურად განსხვავებული ამ ორი მრწამსის

მიხედვით გამიჯნა ერთმანეთისაგან. „იბერიელნის“ დაწერის უმთავრესი მიზანი სწორედ აღნიშნული პრობლემის აღნიშნული კუთხით გააზრება რომ არის, ამ გარემოებას ავსტრიელი მწერალი ნაწარმოების პირველივე გვერდებიდან მიაპყრობს მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას, იოანესა და ვახტანგის ეროვნულ პოზიციათა ერთმანეთთან შეპირისპირების გზით, რის შედეგადაც ვახტანგი საბოლოოდ აზრს იცვლის.

ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ფრაგმენტი ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით, ამ ორ პიროვნებას შორის გამართული პოლემიკიდან:

„– მისმინე, მეგობარო, – ეუბნება იოანე ვახტანგს, – მე ვერავინ შემაჩერებს, უხილავი ძალა არ მასვენებს და ჩემს გრძნობებს თავისუფლების ფრთებს ასხამს. ახლა ისინი ზარბაზნების სროლით მოურიდებლად ზეიმობენ იმ დღეს, როდესაც ჩვენმა ღვთიურმა სამშობლომ მათი უღელი დაიდგა... ნუთუ ჩვენ, დამონებულებს, იმის უფლებაც არ გვაქვს, რომ ჩვენი გოდება აღმოვთქვათ?!.

...ოქროთი მოკირწყლული შარაგზა დაგიგეს წასასვლელად. ეს ხომ ცნობილი, საუკეთესო საშუალებაა, რათა ხალასი სისხლი წაახდინო, ისიამოვნო, დატკბე ცხოვრებით, უკანასკნელ წვეთამდე დაცალო სიამოვნების თასი, შემდეგ კი, როდესაც სულით და ხორცით მოტყდები, ჩვენთვის საშიში აღარ იქნები! ასეთი იყო მათი გათვლა და მართალიც აღმოჩნდნენ. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ გაკოჭილი, სნეული ლომის ბორკილებს უხილავი ძალები ღრღნიან, ლომი ერთ მშვენიერ დღეს განიკურნება და დაწყვეტს დასუსტებულ ბორკილებს.

– ეს ოცნებაა, ბეჩავო იოანე, გახურებული შუბლის ზმანება! – ვახტანგმა დაუძლურებული ხელი მეგობრის მკლავს ჩასჭიდა დასამშვიდებლად. – ლომი ვეღარ დაამსხვრევს ბორკილებს!.. შენ უცხოეთში იყავი. სამშობლოს მოშორებულს ამ ბოლო ხუთმა წელმა სინამდვილე დაგავიწყა. ახლა შენ დალამებული თვალებით უყურებ ჩვენს სამშობლოს. შენი მცნებები და იდეები ახლა გერმანიზებულია. და თუკი რამე კარგი ნახე იქ, გინდა იმ ქვეყანას მოახმარო, სადაც სინათლის სხივი იხილე პირველად. მაგრამ იმას კი არ ფიქრობ, რომ მარტო შენ არ შეგწევს იმის ძალა, ეს მიღწევები მილიონობით იმ ადამიანს რომ გაუზიარო, რომლებსაც მშობლიური კერიიდან ფეხიც კი არ გაუდგამთ. იქ, სადაც შენ სწავლობდი, გერმანიაში, ადამიანებს შესწევთ უნარი, აღფრთოვანდნენ ერთი

საერთო იდეისათვის და ერთად წამოდგნენ საბრძოლველად, როდესაც დროშას დაეწერება სიტყვა „სამშობლო." მაგრამ ჩვენთან ახლა რა ხდება? აბა, შეეცადე, ჩვენები გააერთიანო და გადააწყვეტინო, მიატოვონ სახლი, ბავშვები, თანამდებობა და შენ დაგიდგნენ გვერდით! ნახე ერთი, ახლა ყველას თანამდებობა აქვს, გვარის დამსახურებიდან გამომდინარე, იმ ადგილის შესაბამისი, რაც მათ საზოგადოებაში უკავიათ! ისინი ნებაყოფლობით ჩადგნენ უცხოელთა სამსახურში და ამისთვის გასამრჯელოს იღებენ. და შენ გგონია, რომ ისინი ზურგს აქცევენ ფუფუნებას და მოკრძალებულ ცხოვრებას დაუბრუნდებიან, მწირ მიწასა და ყველპურს? ჩვენი დრო გასრულდა, მეგობარო! გამოფუღურებულ მუხას ვერ გააცოცხლებ, მშვიდად სიკვდილი უნდა აცალო, რათა მან ახალ ყლორტებს დაუთმოს ადგილი, რომლებიც დაბერებულ ფესვებს შორის მიისწრაფიან თავიანთი ადგილის დასაკავებლად!

– იმედი დაგიკარგავს, ვახტანგ, ავადმყოფობა მოგერია და სასოწარკვეთილებაში ჩაგაგდო!.. მე გულახდილად მჯერა, რომ ჩვენი დროც მოვა! შემდეგ კი შენ კვლავ მოგიხმობს წმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე, კვლავ დაგიძახებს სამშობლო და შენ უფლებაც არ გექნება, რომ საწოლს იყო მიჯაჭვული ასე უღონოდ, სენით შეპყრობილი და იმედდაკარგული... მე უკვე საკმაო ხანია ამ დიდ საქმეს ვამზადებ, ეს კი უსაზღვრო რუდუნებასა და თავგანწირვას მოითხოვს. კიდევ მრავალი თვე და წელი იქნება საჭირო მოსამზადებლად, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვებთ."

არტურ ზუტნერის რომანიდან ესოდენ ვრცელი ფრაგმენტი აქ იმ მიზნით დავიმოწმე, რომ ნაწარმოების უცხოელი ავტორი ციტირებული ეპიზოდით არა მარტო რომანის ორი პერსონაჟის ეროვნულ თვალთახედვას გამოხატავს განზოგადებული ფორმით, არამედ რუსეთის ბატონობის დროინდელ საქართველოში ორ მსოფლმხედველობრივ ბანაკად გაყოფილ ქართველ დიდგვაროვანთა პოზიციასაც წარმოაჩენს რეალურად.

არტურ ზუტნერის რომანის მაგისტრალურ ღერძად ქცეული ამ ორი ეროვნული თვალთახედვის ამგვარი შეპირისპირებით ნაწარმოების უცხოელმა ავტორმა სწორად დაინახა და სიღრმისეულად გაიაზრა რუსეთის ბატონობის დროინდელ საქართველოში სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით არსებული ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული, თვალსაზრისი.

„იბერიელნის“ გაანალიზების დროს აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც მინდა მივაპყრო განსაკუთრებული ყურადღება: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პრობლემას არტურ ზუტნერი გარკვეულწილად საერთაშორისო მასშტაბით განვითარებულ მოვლენათა კონტექსტში განიხილავს და ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთ ვარიანტად ევროპის ქვეყნებს შორის მომწიფებულ საომარ სიტუაციას უკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი რომანში დაკონკრეტებული არ არის, ავტორისეული მონათხრობიდან დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში იგი იმ მოვლენებს გულისხმობს, 1877-1878 წლების ომის წინარე ხანასა და მისი მიმდინარეობის დროს რომ არსებობდა არა მარტო ამ ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც.

„იბერიელნის“ ერთ-ერთი პერსონაჟი – იტალიელი მორეტი, რომელიც საქართველოში ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა გასამართად ჩამოდის, ჩვენი ქვეყნის სამეფო ტახტის მემკვიდრეს – ვახტანგს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გეგმას ამგვარად განუმარტავს: „საქართველოში ჩემი ჩამოსვლის მიზანია პირადად თქვენთან ხელშეკრულების გაფორმება და თქვენი დაყოლიება ჩვენთან თანამშრომლობაზე!.. საქმე ეხება თქვენი სამეფო გვირგვინის დაბრუნებას. თქვენი ისტორიული მოვალეობაა, წინაპრების დაკარგული სამეფო ტახტი დაიბრუნოთ, თქვენს ქვეყანას აღუდგინოთ დამოუკიდებლობა და ის გამოიყვანოთ გავერანებული და გაღატაკებული პროვინციის მდგომარეობიდან. ყოველივე ამის მისაღწევად კი თქვენგან სულ ცოტა რამეა საჭირო – თქვენ უნდა შეასრულოთ მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი პირობა: როდესაც ამის დრო დადგება, თქვენ უნდა დატოვოთ ეს ქვეყანა და თურქეთის ტერიტორიაზე გადახვიდეთ, სადაც თქვენ უმაღლეს დონეზე მოგიწყობენ შეხვედრას ისე, როგორც ეს თქვენი წოდების პიროვნებას შეეფერება... ჩვენ ახლა ყოველმხრივ მომზადებული ვართ – ჩვენ ფარულად ევროპა გვიმაგრებს ზურგს... თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, მაშინ დაუყოვნებლივ გამოვაცხადებთ თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და თქვენ გახდებით ამ ქვეყნის ხელმწიფე თურქეთის პროტექტორატის ქვეშ. რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ თანამშრომლობის წინაპირობად მოითხოვოთ, რომ ევროპის ქვეყნებმაც გაიზიარონ თქვენი ინტერესები... მეორე

შემთხვევაში, თუ ომი ჩვენთვის წარუმატებელი აღმოჩნდა, მაშინ ჩაგაბარებთ მცირე აზიის ერთ პროვინციას და მისი ერთადერთი გამგებელი იქნებით. თქვენთვის ეს ორივე გათვლა მომგებიანია, მათ განსახორციელებლად კი ვითხოვთ მხოლოდ თქვენს გადასვლას თურქეთის ტერიტორიაზე. თქვენ იქ შესაძლებლობა მოგეცემათ, დაბეჭდოთ პროკლამაციები, თქვენს თანამემამულეებს გამათავისუფლებელი ბრძოლისაკენ მოუწოდოთ და შემდეგ, როდესაც ამის შესაფერისი დრო დადგება, იმათ სათავეში მოექცეთ, ვინც თქვენი დროშის ქვეშ ერთიანდება! ვფიქრობ, რომ ასეთი პერსპექტივა თქვენთვის მაცდუნებელზე მეტია – თქვენ თვალის დახამხამებაში იბრუნებთ მეფის გვირგვინს!"

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, თურქეთის აქტიური დახმარებით რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ამ იდეას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, გარდა მორეტისა და მისი თანამოაზრეების მზაკვრული პიროვნული გეგმებისა და ყალბი დაპირებებისა, რაც ჩვენი ქვეყნისადმი რეალური მხარდაჭერის ნაცვლად, მის წინააღმდეგ იყო მიმართული.

თუმცა თეორიულად ასეთი გეგმის არსებობა გამორიცხული რომ არაა, ამას მაფიქრებინებს ის უამრავი ისტორიული თანხვედრა, რასაც რომანში ვხვდებით.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეესაბამებოდა ზემოთ ხსენებული მაცდუნებელი წინადადება ისტორიულ რეალობას, უაღრესად საინტერესოა ტახტდაკარგული ქართველი მეფის დამოკიდებულება ამ ფსევდოპროექტთან.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, ამჯერად განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას კი არ მინდა მივაქციო, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით იტალიელი ემისრის – მორეტის მიერ ბაგრატიონთა სამეფო ტახტის ნომინალურად მფლობელი ვახტანგისათვის შეთავაზებული ზემოთ ხსენებული მაცდუნებელი წინადადება რამდენად შეესაბამებოდა ისტორიულ რეალობას, არამედ იმ დამოკიდებულებას, რომელსაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ამ ფსევდოპროექტისადმი იჩენს ტახტდაკარგული ქართველი მეფე.

მოვლენის არსში უკეთ გარკვევის მიზნით, დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს რომანიდან, სადაც ვახტანგმა შეთავაზებულ წი-

ნადადებაზე კატეგორიული უარი ამ არგუმენტის მოშველიებით განაცხადა: „მე რუსეთის ქვეშევრდომი გახლავართ და იმ მთავრობას, რომელიც მე მიცავს, ერთგულება შევფიცე. მე სიტყვის კაცი ვარ!"

მორეტმა უკან მაინც არ დაიხია და ტახტდაკარგულ მეფეს ამჯერად მის მიერ ჩამოტანილი ის კონვერტი გადასცა, რომელშიც მისთვის შეთავაზებულ გეგმასთან დაკავშირებული დოკუმენტები იყო მოთავსებული. მაგრამ ვახტანგმა მორეტის მიერ შეთავაზებულ წინადადებას ამჯერად თავისი ამგვარი ქმედებით დაუსვა საბოლოო წერტილი:

„ვახტანგს ფიქრების მეწყერმა გადაუარა. ერთი მხრივ ცდუნება – დამოუკიდებლობისა და პატივის ბრწყინვალე იმედი, მეორე მხრივ კი – მოვალეობა, ერთგულება, რომელიც მან ქვეყნის მთავარმმართებელს შეფიცა. მკერდიდან ტკივილით აღსავსე ოხვრა აღმოხდა.

ვახტანგმა უცნობის დატოვებული წერილები აიღო. ახლა მას საკუთარი ბედი ეკავა ხელში. ბუხარში ცეცხლი ელვარებდა. ხელის ერთი მოქნევაც და ჩაბღუჯული ქაღალდები ნათლად აგიზგიზდებოდა ბუხარში.

დააფასებს კი ვინმე მის ამ საქციელს? არა, ეს მხოლოდ მას დარჩება ცნობიერებაში, რომ გმირობა ჩაიდინა! აქვს კი ამას დღესდღეობით რაიმე ღირებულება? ვინ გაიგებს, რომ ვახტანგს ნებისყოფა ეყო, სამეფო გვირგვინი ცეცხლში მოესროლა, ამას ვინ დაიჯერებს – ტრაბახითაც რომ მოუყვეს ეს ვინმეს? არავინ. უბრალოდ იტყვიან, საწყალი ვახტანგი, ამდენ ავადმყოფობას ჭკუასუსტობაც დაემატა და განდიდების მანიამ შეიპყროო!

მეორე მხრივ, ეს ხომ საშინელი სამხილი მასალაა, რა მოხდება, მას რომ სამშობლოს ღალატის დამადასტურებელი საბუთები უპოვონ!..

ხელის ერთი მოქნევით წერილები ჩაქრობის პირას მისულ ღვეღფში მოისროლა... შემდეგ თავი ბალიშში ჩარგო... ვახტანგი აქვითინდა!.."

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ არტურ ზუტნერის რომანი საქართველოში რუსეთის ბატონობის დროინდელი ისტორიიდან ცნობილი კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების ზუსტად ამსახველი ნაწარმოები არ არის, იგი პირობითად მაინც შეიძლება მივიჩნიოთ ისტორიულ რომანად. ჩემი აზრით, სწორედ ამის თქმის მყარ საფუძველს იძლევა ის გარემოება,

რომ „იბერიელნის" მეშვეობით ავსტრიელმა მწერალმა განზოგადებული ფორმით წარმოაჩინა რეალურად არსებული ის მდგომარეობა, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არსებობდა რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში.

ნათქვამის დასტურად აქ დროის მიხედვით ერთმანეთისაგან საკმაო ხნით გამიჯნულ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს გავიხსენებ, როგორებიცაა პირველი ქართული გაზეთის გამოცემა და რუსეთ-თურქეთის ომები. როგორც ცნობილია, პირველი ქართული გაზეთი თბილისში 1819 წელს გამოიცა, რუსეთსა და თურქეთს შორის კი XIX საუკუნეში ოთხი ომი მოხდა – 1806-1812, 1828-1829, 1854-1856 და 1877-1878 წლებში. არტურ ზუტნერის რომანში ისტორიულად ცნობილი ეს მოვლენები მეტად ფრაგმენტულად და მინიშნებებით მხოლოდ იმისთვისაა ასახული, რომ მწერალმა მათთან მიმართებით კიდევ უფრო მეტად წარმოსახოს ნაწარმოების პერსონაჟთა, პირველ ყოვლისა კი, მთავარი გმირის – იოანეს, ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა.

რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებული ოთხი ომიდან არტურ ზუტნერის რომანში წარმოსახული საომარი ვითარებანი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს უკავშირდება. ეს გარემოება იმითაც იყო არსებითად განპირობებული, რომ მწერალი ხსენებული ომის მიმდინარეობის დროს პირადადაც იმყოფებოდა საქართველოში და, როგორც სპეციალური კორესპონდენტი, იმდროინდელ საომარ მოვლებთან დაკავშირებით წერილებსაც აქვეყნებდა ავსტრიულ პრესაში.

არტურ ზუტნერის რომანისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მწერალი არა მარტო იმ ავანტიურისტთა მზაკვრულ გეგმებს წარმოაჩენს ნიღაბაბსდილი სახით, რომლებიც რუსეთ-თურქეთის ხსენებულ ომთან თავიანთი მზაკვრული კომერციული და ფინანსური გეგმებით იყვნენ დაკავშირებული, არამედ საქართველოს ისტორიულ და იმჟამინდელ მდგომარეობასაც წარმოაჩენს საკმაოდ საინტერესოდ და შესაბამისი პერიოდის საერთაშორისო მოვლენათა კონტექსტში.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა იტალიელი ავანტიურისტის – მორეტის მხატვრული სახე. ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრისა და აქტიურად თანამდგომი პიროვნების ნიღაბს ამოფარებული ამ პიროვნების მზაკვრული გეგმების წარმოსახვით ა. ზუტნერმა არა მარტო იმ პიროვნების ცბიერი ადა-

მიანური ბუნება წარმოაჩინა ნიღაბახდილი ფორმით, რომელიც დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებს პირადი გამორჩენის მიზნით იყო მიტმასნილი, არამედ ჩვენს ქვეყანაში რუსული მმართველობის დამყარების დროინდელი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობაც შეაფასა იმ საერთაშორისო ვითარებასთან მიმართებით, რუსეთ-თურქეთის ომის წინარე პერიოდსა და უშუალოდ ამ ომის მიმდინარეობის დროს რომ არსებობდა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში.

აღნიშნული თვალსაზრისით განსააკუთრებით საინტერესოა რომანის ის ეპიზოდები, სადაც საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, წარსული და სამომავლო განვითარების პერსპექტივა რუსეთისა და თურქეთის მმართველობით გემებთან მიმართებით არის გააზრებული და შეფასებული. ავტორისეული თვალთახედვის ამ მხარის ნათელსაყოფად გაეიხსენებ იმ მოსაზრებებს, რომელთაც აღნიშნული მიმართულებით გამოთქვამს ევროპის ქვეყნების მესვეურთა მიერ საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენი ბრძოლის ვითომცდა კოორდინატორად მოვლინებული იტალიელი მორეტი. იგი საერთაშორისო მასშტაბით აქტიურად მოქმედი იმ ავანტიურისტული წრის ერთ-ერთ აქტიურ ხელმძღვანელს წარმოადგენდა, რომლის თავკაცთა უმთავრეს მიზანს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დიდი ფინანსური მოგების მიღება და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიზნების რეალობად ქცევა განსაზღვრავდა.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მზაკვრული გეგმის ხორცშესასხმელად გააბა მორეტიმ აქტიური კავშირ-ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად თავდადებით მებრძოლ ქართველ პატრიოტებთან, პირველ ყოვლისა კი იოანესთან და ბაგრატიონთა სამეფო ტახტის პოტენციურ მემკვიდრესთან – ვახტანგთან. მათი ეროვნული გრძნობების მანიპულირებით მან რეალურად მართლაც შეძლო მიზნის მიღწევა და თავისი ჩანაფიქრის განხორციელების პროცესში აქტიურად ჩართო ქართველ პატრიოტთა მცირე ჯგუფი. მორეტის ცბიერ დაპირებებს გულწრფელად მინდობილნი, ისინი გულუბრყვილოდ იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ თურქეთისა და ევროპის სახელმწიფოთა აქტიური დახმარებით ჩვენი ქვეყანა მართლაც შეძლებდა რუსეთის ბატონობისაგან თავის დახსნასა და დამოუკიდებლობის აღდგენას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში (როგორც ცნობილია, მსგავს

ისტორიას ჩვენთან გასული საუკუნის 90-იანი წლებშიც ჰქონდა ადგილი...).

არტურ ზუტნერის რომანი საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ ავსტრიელი მწერალი ამ დიდი ეროვნული მიზნის ხორცშესასხმელად თავგანწირვით მებრძოლი პატრიოტების გვერდით იმ ქართველთა ფრაგმენტულ სახეებსაც ასხამს ხორცს, რომლებიც საქვეყნო მიზნებსა და ინტერესებს პიროვნულ მისწრაფებებს უქვემდებარებდნენ.

რომანის მიხედვით, აღნიშნული თვალსაზრისით, არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს ის გარემოება სძენდა, რომ რუსეთ-თურქეთის იმჟამინდელი ომის ერთ-ერთ უმთავრეს ეპიცენტრად ჩვენი ქვეყანა იყო ქცეული. მორეტი და მისი თანამოაზრე ევროპელი და თურქი ავანტიურისტები თავიანთი მზაკვრული გეგმების განსახორციელებლად ჩვენი რეგიონის მოსახლეობის ეთნიკურ მრავალსახოვნებასაც იყენებდნენ მიზანმიმართულად. კერძოდ, ისინი განსაკუთრებული ძალისხმევით ცდილობდნენ რელიგიური შუღლის გაღვივებასა და მოსახლეობის გაყოფას ორ დაპირისპირებულ ბანაკად: ქრისტიანებად და ისლამისტებად. მწერლის ხაზგასმით, აღნიშნულ ვითარებას განსაკუთრებით საშიშ მოვლენად ის ფაქტი ხდიდა, რომ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები „ისლამის მიმდევარი ხალხი: ქურთები, ლეზგები, ავარები, ჩეჩნები და მათი მსგავსი ჯამაათი ერთმორწმუნე თურქეთს უჭერდა მხარს. საკმარისი იყო ვინმე გაწაფული ემისრის მიერ გაჩენილი პატარა ნაპერწკალიც კი, რომ ეს ტომები ერთ დიდ ძალად გაერთიანებულიყვნენ.

ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ ქვეყანას ათასი ჯურის მანანწალა შემოესია: მათხოვრები, უსახლკაროები, ხეიბრები – ისინი საძოებად გაერთიანდნენ და თბილისის შემოგარენში საეჭვოდ დაიწყეს ხეტიალი. როგორც კი ხელსაყრელ მომენტს შეარჩევდნენ, ისინი ქურდობდნენ და ყაჩაღობდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი არც მკვლელობაზე ამბობდნენ უარს."

არტურ ზუტნერის შეფასებით, ასეთი იყო საქართველოში რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ არსებული ის მდგომარეობა, რომელსაც მორეტი და მისი თანამზრახველი ავანტიურისტები მოხერხებულად იყენებდნენ ქართველ პატრიოტთა გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ეროვნულ გრძნობათა გასაღვივებლად. მათი ამგვარი მცდელობა ყველაზე მეტად იმ ურთიერთობებში

ვლინდება, რითაც ხსენებული ავანტიურისტული გეგმის მთავარი წარმმართველი – მორეტი დაკავშირებული იყო ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თავკაცთან – იოანესთან და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უკანასკნელ მემკვიდრესთან – ვახტანგთან.

მიუხედავად იმისა, რომ მორეტთან და მისი მეშვეობით თითქოსდა ევროპულ პოლიტიკურ ელიტასთან ურთიერთობას იოანე თავიდან მკაფიოდ გამოხატული დაეჭვებით უდგებოდა, პოლიტიკურ ავანტიურისტთა ამ წარმომადგენლობამ ბოლოს მაინც შეძლო მისი მიმხრობა. თუმცა იგი ბოლომდე მაინც არ ენდობოდა მათ და მოვლენათა კრიტიკული განსჯა იმ თვალსაზრისს განუმტკიცებდა, ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვები რომ არ გააკეთებდნენ.

აი, როგორ გამოხატავს მწერალი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით იოანეს ცნობიერებაში მიმდინარე მძაფრ სულიერ ჭიდილს: „ხშირად გაისმოდა მოწოდება: ომის გამოცხადების დღე ჩვენი თავისუფლების გამოცხადების დღე უნდა გახდეს! არავინ საუბრობდა თანამემამულეების დამოუკიდებელ აქტიურობაზე. ის ყოველთვის უშუალო კავშირში იყო ან თურქების არმიის წარმატებებთან, ან ამბოხებებთან მაჰმადიანურ პროვინციებში. ყველაზე მეტად იოანეს ის აოცებდა, რომ ამ ინფორმაციებს თან მოხუცი დავითის (რომანის მიხედვით, ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცი, რომელიც იმხანად პარიზში ცხოვრობდა – ა. ნ.) ხელმოწერა და ბეჭედი ახლდა, იმ დავითისა, რომელიც ახალგაზრდობაში მახვილით ხელში იბრძოდა თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ, ვისი დაუძინებელი მტერიც იყო იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

საბრალო იოანეს ხშირად ეჭვიც კი ეპარებოდა ამ ინფორმაციების სინამდვილეში. ის იმ რეზინის ბურთს დაემსგავსა, რომელიც მიწას ენარცხება და ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხან კი წინ სხლტება იმისდა მიხედვით, თუ რა მიმართულებას აძლევს მას თამაშის წამყვანი. მაგრამ მან ნამდვილად არ იცოდა, ვინ იყო ეს წამყვანი!“

პატრიოტული მისწრაფებებით გულანთებულ იოანეს თავისი დიდი ეროვნული მიზანსწრაფვისთვის ბრძოლის გზაზე უმთავრეს დაბრკოლებას უქმნიდა ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის „განმათავისუფლებელ ამ პიროვნებასთან“ მას არავითარი კომუ-

ნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონდა და მისგან მხოლოდ ცალმხრივად იღებდა მითითებებს. იოანეს ეროვნულ ენთუზიაზმს საფუძველს ისიც ურყევდა, რომ მის მიერ პატრიოტ მამულიშვილებად მიჩნეულ ქართველთა უმეტესობამ ახალ ვითარებაში საქვეყნო ინტერესებზე წინ პიროვნული მისწრაფებები დააყენა და ირწმუნა, რომ მათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალს უცხოელები შეასხამდნენ ხორცს და საქართველოს ისინი აღუდგენდნენ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

არტურ ზუტნერის რომანისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იოანეს ეროვნული მრწამსის ხორცშესხმის დროს ამ მოვლენის განსჯა-წარმოჩენას კრიტიკული თვალთახედვით საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. მაგალითად: „თავისუფლების იდეას სიტყვით ყველა იზიარებდა და სამშობლოსადმი სიყვარულს გულზე მჯიღის ცემით იფიცებდა, მაგრამ ყველაფერი ამით მთავრდებოდა. ეს ყველაფერი მათ მომავლის საქმედ მიაჩნდათ – იქნებ ოდესმე ისე მოხდეს, რომ შემწვარი მტრედები პირდაპირ ციდან ჩაგვიფრინდეს პირშიო!

სწორედ ასეთ თანაპარტიელებთან მოუწია იოანეს იმის გამხელა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა ახლოვდებოდა. მისი ინფორმაცია ყველამ კმაყოფილებით მოისმინა, შემდეგ კი მონდომებით განაგრძეს პირადი საქმეების კეთება. მათი აზრით, ეს ყველაფერი თავისთავადაც მოხდებოდა, თავისუფლება ციდან ჩამოვარდებოდა და თავზე დაეცემოდათ! სიამოვნებით გაიღვიძებდნენ ერთ მშვენიერ დილას, რათა საზეიმო განცხადება მოესმინათ:

დღეიდან თქვენ თავისუფალი ხალხი ხართ, ძველი სამეფო კარი აღდგენილია!"

არტურ ზუტნერის რომანის მიხედვით, ელიტარული ქართველი საზოგადოების უმეტესობას იმხანად სწორედ ამგვარი ცნობიერების მქონე ფსევდოპატრიოტები წარმოადგენდნენ. არსებითი ხასიათის მქონე იმ განსხვავების მეტი კონტრასტულობით წარმოსაჩენად, სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით რომ არსებობდა ევროპელთა (გერმანელთა) და იოანეს მიერ მოხსენიებულ ქართველ ფსევდოპატრიოტთა შორის, მწერალს ევროპაში მისი სწავლის დროიდან ერთი ასეთი ეპიზოდიც მოჰყავს: „იოანეს სულ სხვაგვარად წარმოედგინა სამშობლოს თავისუფლება. ის ამაზე ჯერ კიდევ გერმანიაში სწავლის დროს ოცნებობდა, როდესაც მისი თანაკურსელები იმ პერიოდზე საუბრობდნენ, როცა მათმა

მამებმა იარაღი აისხეს და გამათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაებნენ! ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთხელ გაისმა მოწოდება, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, დიდი და პატარა რომ გაერთიანებულიყო და აღფრთოვანებით ჩაბმულიყო თავისუფლებისათვის ბრძოლაში!

მაშინ ის ხშირად იჯდა განმარტოებით და იმაზე ოცნებობდა, როდის გათენდებოდა ასეთი დღე მის სამშობლოში. ამ დღის დადგომა მას იოლად და სრულიად ბუნებრივად წარმოედგინა, მაგრამ როდესაც სამშობლოში დაბრუნდა და მის მსგავსად მოაზროვნეებს გაესაუბრა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ადამიანებს გაანდო თავისი გულისთქმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სამშობლოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ, მათი აღფრთოვნება ვერ დაინახა!"

სამწუხაროდ, არტურ ზუტნერის რომანის მთავარი პერსონაჟი, რომელიც მწერალს ეროვნული იდეალების ხორცშესასხმელად თავგანწირვით მებრძოლ გმირად ჰყავს წარმოსახული, იმ დიდი კონტრასტული შეუსაბამობის ფიზიკურ მსხვერპლადაც იქცა, რაც, აღნიშნული თვალსაზრისით, არსებობდა ქართველ ფსევდოპატრიოტებსა და თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისთვის თავგანწირვით მებრძოლ გერმანელებს შორის.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რომანის XIV თავი, რომელშიც იოანეს სიკვდილის ამბავია მოთხრობილი. ნაწარმოების ეს ეპიზოდი რამდენიმე ასპექტითაა განსაკუთრებით საინტერესო. პირველი, იმით, რომ მწერალი მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით წარმოაჩენს იოანეს რომანტიკული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების საბოლოოდ მსხვრევასა და გაცამტვერებას; მეორე, ავტორისეული მონათხრობის ამ ეპიზოდში ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, ევროპელ და თურქ მესვეურთა მიერ თითქოსდა ჩვენი ეროვნული ინტერესების მხარდასაჭერად გასამართი ბრძოლის ორგანიზატორად საქართველოში წარმოგზავნილი მორეტი სინამდვილეში საერთაშორისო მასშტაბების მომცველი ავანტიურისტული გეგმის მთავარი წარმმართველი რომ იყო; და მესამე, იმით, რომ საბოლოოდ ყველაფერში ხელმოცარული და ვითომცდა თანამებრძოლების მცირერიცხოვანი რაზმის თანხლებით უგზო-უკვლოდ მოხეტიალე, იოანე თავისივე რაზმელის მიერ გამიზნულად ნასროლი ტყვიით ამთავრებს სიცოცხლეს.

როგორც უკვე ითქვა, იოანეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების საბოლოოდ გაცამტვერებისა და ტრაგიკული აღსასრულის ეს პროცესი არტურ ზუტნერის რომანში ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითა და მაღალმხატვრული სიტყვიერი ოსტატობითაა წარმოსახული. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ შესაბამისი ფრაგმენტები ნაწარმოებიდან:

„მთელს ამ ისტორიაში ყველაზე სამწუხარო როლი იოანეს ერგო. მას, როგორც იქნა, თვალები აეხილა და დანა პირს არ უხსნიდა! ერთ დღეს მისი მოხალისეების პატარა რაზმი მორეტის გადაეყარა შემთხვევით.

– სად არიან ის თქვენი თანამემამულეები, ვისთან ერთადაც დამოუკიდებლობის აღდგენას აპირებდით? სადაა თქვენი იბერიული არმია? – ირონიულად შეეკითხა მორეტი იოანეს.

გულდამძიმებულმა იოანემ ერთ მუჭა ბანდიტებზე მიუთითა, რომლებიც მან დიდი დაპირებებით გადმოიბირა... სხვებმა თან გაყოლაზეც უარი უთხრეს... ვის რაში სჭირდებოდა ახლა იოანე და მისი გუნდი!..

უეცრად პირველმა ტყვიებმა გადაუფრინეს თავზე. აბა, გზა განვაგრძოთ! მაგრამ საით? თბილისისაკენ? იქ ხომ უკვე სახელმწიფო მოღალატედაა გამოცხადებული და სიკვდილით დასჯა არ ასცდება!

ქანცგამოცლილი რაზმი ერთ სოფელს მიუახლოვდა. სოფელი ყაჩაღების შიშით გამაგრებული იყო და რაზმს სროლა აუტეხა. ამაოდ უძახეს, თქვენი მეგობრები, თანამემამულეები ვართო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა ამ გაველურებულ ბიჭებს, რომლებიც ყველა სიკეთესთან ერთად მტრის პოზიციებიდან მოდიოდნენ! რაზმმა ჯერ უკან დაიხია და შემდეგ იოანეს დაუწყეს ლანძღვა-გინება. დაღამებისას ბუჩქებში ჩაიმალნენ – შიმშილმა და წყურვილმა თავისი გაიტანა, ყველა უკიდურესად შეაწუხა.

მეორე დილით, სიცივისაგან აკანკალებულები და შიმშილით დაუძლურები გამოძვრნენ ბუჩქებიდან და მაშინვე გაურკვეველი მიმართულებით წალასლასდნენ. უეცრად დასახლება შეამჩნიეს და მიუახლოვდნენ. პატარა სოფლის შესავლელთან აღმოჩნდნენ. იოანემ გადაწყვიტა სოფელს მოლაპარაკებოდა, მაგრამ შიმშილისგან სიკვდილის პირას მისული რაზმი ამდენი ხნით მოცდას არ აპირებდა – მათ ბუხრიდან ამომავალი კვამლის დანახვაზე ჭკუა გადაეკეტათ და სოფელზე თავდასხმა გადაწყვიტეს. მათ-

თვის უკვე სულ ერთი იყო, იქ მტერი ცხოვრობდა თუ მოყვარე. ახლა საქმე მორევაზე იყო და იოანეს დაცინვაც კი დაუწყეს, როდესაც ის წინ გადაეღობა საკუთარი რაზმის წევრებს...

ამასობაში სოფლის მცხოვრებლებმაც შეამჩნიეს დამშეულ ავაზაკთა ხროვა და შეშინებულები გაიქცნენ. დედამ ორი ყველაზე პატარა აიყვანა ხელში და სახლს შეაფარა თავი, მოხუცმა კი მოზრდილებს ჩააცლო ხელი და უკან მიჰყვა.

იოანემ სახლის შესასვლელთან მისვლა ყველას მიასწრო, ხანჯალი იშიშვლა და საკუთარ რაზმელებს მიუღირა:

– აბა, გაბედეთ და მომიახლოვდით!

თავდამსხმელები პირველად მოულოდნელობისგან დაიბნენ, მაგრამ მალე მოვიდნენ გონს და მათი გაოცება გაშმაგებამ შეცვალა... ამ დროს სახლიდან გასროლის ხმა გაისმა. მოხუცმა იფიქრა, თავდამსხმელებს შევაშინებო, მაგრამ შეცდა – მომხვდურების საპასუხო გასროლებმა გაიწივლა ჰაერში...

იოანე ნაბორძიკდა და მუხლებზე დავარდა... სისხლის ნაკადულებით იღებებოდა მისი ჩოხა. ის კი ამღვრეული თვალებით ლაჟვარდოვან ზეცას მისჩერებოდა...

თანამებძოლების ტყვიებით დაცხრილულმა იოანემ აუტანელი ტკივილი იგრძნო. გატანჯულ სახეზე მწარე ცრემლები ჩამოუგორდა."

რომანის ამ ეპიზოდში მოთხრობილ ამბავთან შეპირისპირებული სახით აქ ავტორისეული მონათხრობის ის ფრაგმენტიც მინდა გავიხსენო, სადაც მწერალი რუსულ არიაში საბრძოლველად წამსვლელ ქართველ მოხალისეთა ეს ენთუზიაზმია წარმოსახული: „საერთო სახალხო აღფრთოვანება სუფევდა. ადგილობრივ მოსახლეობასაც სურდა საკუთარი წვლილის შეტანა გამარჯვებაში. ისინი, ვინც რეგულარულ სამხედრო ნაწილებში გაწვევისათვის საჭირო მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ, მოხალისეებად ჩაწერას ითხოვდნენ, რათა ბრძოლაში თავი გამოეჩინათ და გიორგის ჯვარი ან ოფიცრის წოდება მაინც დაემსახურებინათ.

მებრძოლებს უკან მიჰყვებოდა გულადი ადამიანების ჯგუფი, რომელიც საკუთარი სურვილით გამოცხადდა ფრონტის ხაზზე, რათა დაჭრილებს დახმარებოდა. ყველა მათგანს მკლავზე წითელი ჯვარი ეკეთა და არაფრად აგდებდნენ ტყვიების წვიმას, როდესაც ბრძოლის ველიდან დაჭრილის გამოყვანა და გადასახვევ კარავში მოთავსება ხდებოდა საჭირო."

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ამ მოხალისეთა ეროვნებას კონკრეტულად არ ასახელებს, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, ისინი ქართველები იყვნენ. სწორედ ამის თქმის მყარ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ მისეული ხაზგასმა იმისა, რომ ეს ადამიანები ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ (როგორც რომანის ამ ეპიზოდში მოთხრობილი ამბიდან ნათლად ჩანს, სამოქმედო არეალს ამ შემთხვევაშიც ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა).

ვფიქრობ, შესაბამისი პერიოდის ქართული სინამდვილის ამგვარი სახით წარმოსახვა რეალურად არსებულ მდგომარეობას არ შეესაბამება. მართალია, ჩვენი ერის გარკვეული ნაწილის ეროვნული ცნობიერება იმხანადაც და ჩვენი ისტორიის სხვა პერიოდებშიც ნამდვილად იყო მეტ-ნაკლებად დეგრადირებული, მაგრამ ქართველთა უმეტესობა მტკიცედ და შეუვალად იცავდა საკუთარ ეროვნულ იდენტობასა და თვითმყოფადობას.

აქედან გამომდინარე, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არტურ ზუტნერის რომანის ამ ორ ეპიზოდს შორის აშკარად შეინიშნება ეროვნული მიზანსწრაფვის თვალსაზრისით არსებული შეუსაბამობა. კერძოდ, მწერლის ხაზგასმით, მაშინ, როცა იოანემ თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანდასახულობის ხორცშესასხმელად დაწყებულ ბრძოლაში ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმის შეკრებაც კი ვერ მოახერხა, ქართველ მოხალისეთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა უდიდესი ენთუზიაზმით მიდიოდა თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად და მოწყალების დებად.

იოანესაგან განსხვავებული მრწამსის მქონე პიროვნებად წარმოსახავს მწერალი მის მიერ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ სახელდებულ ვახტანგს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის განმგებლობის ქვეშ ჩვენი ქვეყნის ყოფნას იგი უკვე შეგუებული იყო და იმპერატორისთვის ერთგულების ფიციც ჰქონდა მიცემული, მორეტის მიერ შეთავაზებულმა გეგმამ მას სამეფო ტახტის დაბრუნების იმედი გაუღვივა. აქედან გამომდინარე, ამ ილუზიურ იმედს ჩაბღაუჭებული ვახტანგი, რომელმაც მთელი თავისი აქტიური ცხოვრება თურქეთის, როგორც ჩვენი ქვეყნის დაუნდობელი მტრის, წინააღმდეგ ბრძოლაში გაატარა, ახლა სწორედ ამ ქვეყნის მეშვეობით ცდილობდა რუსეთისაგან საქართველოს გამოხსნასა და სამეფო გვირგვინის დაბრუნებას.

არტურ ზუტნერის რომანში ვახტანგის ეს ილუზიური მიზანსწრაფვა იოანეს რეალისტურ ეროვნულ იდეალებთან შეპირისპირე-

ბული ფორმითაა გამოხატული, რაც ამ ორი პიროვნების მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების საფუძველი ხდება. ყოველივე ზემოთქმულის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტს რომანიდან: განსხვავებით იოანესაგან, რომელიც „უკმაყოფილო იყო იმით, რომ მორეტი თურქეთთან კავშირს და მათ დახმარებას მიიჩნევდა წარმატების გადამწყვეტ პირობად,... ვახტანგი საღად უყურებდა სიტუაციას. მან კარგად იცოდა, რომ მისი თანამემამულეები წარმატებული ბრძოლისათვის მზად არ იყვნენ. ისინი ახლა საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ ვერ წავიდოდნენ და თავისუფლების იდეას საკუთარ ავლადიდებას არ შესწირავდნენ.

ამიტომ თუ სხვები, ანუ თურქები, გააკეთებენ ამ საქმეს, რატომაც არა? რატომ არ უნდა მივესალმოთ მათ წარმატებას სიხარულის ოვაციებით და არ ვისარგებლოთ შედეგით? მაშინ ხომ მთელი ხალხი ვახტანგს მხრებზე შეისვამს და სამეფო ტახტზე აიყვანს! მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეს სხვა მხარე მოაწესრიგებს. მეგობრისგან განსხვავებით, ვახტანგის თვალთახედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით ნათელი იყო.“

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის ეს ილუზიური მიზანსწრაფვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და მის მიერ სამეფო გვირგვინის დაბრუნებაზე ოცნებასთან ერთად პიროვნული პატივმოყვარეობითაც იყო განპირობებული, მწერალმა იგი მოვლენათა რეალისტურად განმსჯელ იმ კაცადაც წარმოგვიდგინა, რომელიც საკუთარ თავს იმაშიც უტყდებოდა, მოვლენათა განსჯისა და გადაწყვეტილებების მიღების დროს იგი საქვეყნო ინტერესებზე წინ პიროვნულ ამბიციებს რომ აყენებდა.

მაგალითად, მორეტის მიერ შეთავაზებული გეგმის საფუძვლიანად გაანალიზებისა და არსებული მდგომარეობის კრიტიკულად შეფასების შემდეგ თავად ვახტანგი არსებულ რეალობას სრულიად განსხვავებულ შეფასებას აძლევდა და მის ნაკლოვან მხარეებს ამგვარი სახით წარმოაჩენდა: „ეს გეგმა მეორე დღესვე უკუაგდო. თავიდან ხომ იმ აზრზე იდგა, რომ მისი თანამემამულეები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად არსებული მდგომარეობის შესაცვლელად; რატომ უნდა გაწიროს ისინი? მხოლოდ იმ მიზნით, რომ სისხლით ავიდეს ტახტზე? მერე ვინ? ის, ავადმყოფი, სასიკვდილო სენით დაავადებული! აქვს კი მას უფლება, ცალი ფეხით სამარეში მყოფს, რომ მისთვის დაღუპული ადამიანების სისხლით

შეღებილ სამეფო ტახტზე ავიდეს, თანაც იმისთვის, რომ იქნებ მხოლოდ ერთი დღით დატკბეს დიდებით და ბრწყინვალებით?

ასე გამოუტყდა ვახტანგი თავს, რომ მეფობაზე ფიქრი მხოლოდ მისი პატივმოყვარეობით იყო გამოწვეული, რაც ზოგჯერ მოსვენებას არ აძლევდა. ეს იყო ეგოიზმი, მიზეზი ბევრი ავისა ამ ქვეყანაზე!" როგორც ცნობილია, ბერტა და არტურ ზუტნერებს საქართველოში ცხოვრება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს მოუხდათ. იმხანად სამწერლო და ჟურნალისტურ ასპარეზზე გამოსული არტური ავსტრიული გაზეთის – „ნოიე ფრაიე პრესეს" რედაქციამ სპეციალურ კორესპონდენტად აიყვანა და ხსენებულ ომთან დაკავშირებით მის მიერ გაგზავნილ კორესპონდენციებს სისტემატურად ბეჭდავდა თავის ფურცლებზე.

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში მყოფი ზუტნერები აქ მყარად დამკვიდრებისა და ნორმალური ცხოვრებისეული პირობების შექმნის ყველაზე მეტად სასურველ გზად რუსეთის ბიუროკრატიულ სამსახურში ყოფნას მიიჩნევდნენ, რის გამოც ამ ქვეყნის ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. ამ ფაქტორმა არტურის ხსენებულ პუბლიკაციებზეც მოახდინა გარკვეული ზეგავლენა, რამაც მოვლენათა მისეულ, პრორუსული პოზიციებიდან, გაშუქებაშიც პოვა გამოვლინება. ავსტრიული გაზეთის რედაქციამ ხსენებულ ომთან დაკავშირებული მისი წერილების გამოქვეყნებაზე ამის გამო უარი განაცხადა.

აი, რას აღნიშნავს ამის შესახებ ბერტა თავის მოგონებათა წიგნში: „ჩემი ქმარი კორესპონდენციებს აგზავნიდა ვენაში ომის ამბების შესახებ „ნოიე ფრაიე პრესე"-ში. ეს გაზეთი ამ ცნობებს მადლიერებით აღსავსე ბეჭდავდა. მაგრამ ეს კორესპონდენციები თანდათანობით მეტისმეტად პრორუსულად მოეჩვენა გაზეთს. თვითონ „ნოიე ფრაიე პრესე" თურქებისკენ გადაიხარა და ამიტომ უარი უთხრა ჩემს ქმარს თანამშრომლობაზე" (ზუტნერი, 1999: 65).

აღნიშნულმა მოვლენამ არტურ ზუტნერის სარეცენზიო რომანშიც პოვა გარკვეული გამოხატულება. კერძოდ, მიუხედავად ქართულ სახელმწიფოებრიობასთან და ჩვენს საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხთა პროქართული თვალთახედვით გააზრებისა, შესაბამისი პერიოდის ისტორიული რეალობა რომანის ცალკეულ ეპიზოდებში მწერალს რუსეთისადმი ტენდენციურად მიკერძოებული თვალთახედვით აქვს წარმოსახული.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას ნაწარმოების ის მონაკვეთი იქცევს, სადაც მწერალი რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხთა მდგომარეობას აღწერს. მაგალითად, რომანის XIV თავში კავკასიაში რუსეთის მმართველობის შედეგად დამკვიდრებული მდგომარეობა რეალურად არსებული ვითარებისაგან არსებითად განსხვავებული სახით ამგვარადაა დახასიათებული: ავტორის მტკიცებით, რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულ საომარ დაპირისპირებაში (იგულისხმება 1877-1878 წლების ომი) რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი „საქართველოს (იგულისხმება ქართლ-კახეთი – ა. ნ.), სომხეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და ჩრდილოეთის უღელტეხილზე მდებარე ქვეყნების სულიერი ლიდერები“ თურქეთის მიერ მიზანმიმართულად პროვოცირებულ ანტირუსულ ამბოხებას შეგნებულად არ აყვნენ და თურქეთის მხარე არ დაიკავეს, რადგანაც მათ საამისოდ არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ.

მწერლის ხაზგასმით, მათ მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ „უკვე დაახლოებით შვიდი ათწლეულის განმავლობაში რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ ამ პროვინციებში მშვიდობა სუფევდა. მხოლოდ ორი-სამი მოულოდნელი ყაჩაღური თავდასხმა იყო ერთადერთი შემაწუხებელი ფაქტორი, რომელიც აღმოსავლეთის მთის მცხოვრებლებმა გაბედეს. ეს შემოსევები სწრაფად აღკვეთეს, მტერი წარმატებით უკუაგდეს და ამის შემდეგ მსგავსიც კი აღარავის გაუბედავს.

შედარება აღარ იყო იმ დროსთან, როდესაც თურქები და სპარსელები განუწყვეტლივ აწიოკებდნენ ამ მხარეს. ის დროც წავიდა, როდესაც ეს ქვეყნები, გარეშე მტრებთან ბრძოლას რომ მორჩებოდნენ, ერთმანეთს ავლებდნენ მუსრს!“

რუსეთის მიერ დაპყრობილ ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში არსებული იმჟამინდელი მდგომარეობის ამგვარი დახასიათების შემდეგ მწერალი იმ „დიდ მზრუნველობასაც“ ასხამდა ხოტბას, რომელსაც ამ ქვეყნების მმართველებად განწესებული რუსი ხელისუფალნი იჩენდნენ დასახელებული რეგიონების განსავითარებლად. კერძოდ, რუსული მმართველობის ხოტბაში გადაზრდილი ეს პროცესი რომანში ასეა დახასიათებული: რუსეთის მიერ დაპყრობამდელი პერიოდისაგან განსხვავებით, ხსენებულ ქვეყნებში „ახლა ხელშეუშლელად და უსაფრთხოდ იყო შესაძლებელი

საქმიანობა. ყველას შეეძლო სამუშაოს პოვნა, თუ მოისურვებდა, ყველას შეეძლო პატიოსანი გზით ეშოვა ლუკმა-პური.

აქ ხალხს შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდა, ვიდრე ბევრ სხვა პროვინციაში. ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურს მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში იხდიდა და ვეღარ ჩიოდა იმის გამო, რომ ცხოვრების საუკეთესო წლებში მშობლიურ კერას იყო მოწყვეტილი. გადასახადებიც არც თუ ისე მძიმედ აწვა ხალხს, ზოგიერთი ღატაკი პროვინცია მთლიანად იყო გათავისუფლებული ყოველგვარი გადასახადისაგან.

ყველაზე კარგი არგუმენტი იმისა, რომ ქვეყანამ გაჭირვებას დააღწია თავი, იყო ის, რომ მათხოვრები მაძღრები იყვნენ. უსაქმური პარაზიტების გარდა, იშვიათად თუ ნახავდით ნამდვილად ღარიბ ადამიანს. ყველა გლეხს საკმარისად ჰქონდა თუ ქათამი არა, პური, ყველი და ჭიქა ღვინო მაინც, რომელსაც ყოველ დღე მიირთმევდა."

ვფიქრობ, იმდროინდელი ვითარების არსში თუნდაც ზედაპირულად გარკვეული მკითხველიც კი ყოველგვარი ზედმეტი არგუმენტაციის გარეშეც დაინახავს იმას, რაოდენ ტენდენციურად, გაყალბებულად და აშკარად გამოვლენილი პრორუსული თვალთახედვით წარმოაჩენს არტურ ზუტნერი იმ მდგომარეობას, რომელიც რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში არსებობდა.

რუსული მმართველობის შედეგად დამკვიდრებული ახალი რეალობის იდეალიზებულ მაგალითად ავსტრიელ მწერალს პირველ ყოვლისა თბილისი მოჰყავდა და ამ ქალაქის აღზევების პროცესს ამგვარ შეფასებას აძლევდა: „უმნიშვნელო, აზიური ქალაქი თბილისი დიდ მეტროპოლად გადაქცევის გზას დაადგა, სადაც უნდა აყვავებულიყო ვაჭრობა, ინდუსტრია, ხელოვნება, მეცნიერება და საყოველთაო გართობა.

ვიცე-მეფეები (იგულისხმებიან კავკასიის მეფისნაცვლები – ა. ნ.) სიტყვითა და საქმით განაგებდნენ ქვეყანას. ხელგაშლილი ურიგებდნენ საკუთარ ფულებს ყველას, ეროვნების განურჩევლად. მათგან ყველას უნდა ენახა სარგებელი: ადგილობრივებს, რუსებსა და ასევე უცხოელებს...

მათი საქციელი გადამდები აღმოჩნდა მოსახლეობისათვის. ისინი მილიონერები იყვნენ და საბოლოო ჯამში ქველმოქმედებას ეწეოდნენ – შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ქვეყანას ახმარდნენ, ფიქრობდნენ სხვებზე, ხელს უმართავდნენ, ისე რომ განზრახვა არ ჰქონიათ, სამაგიერო მიეღოთ.

ასეთ პირობებში თავისთავად ცხადი იყო, რომ ქვეყანაში თავიდან ბოლომდე უკმაყოფილო ადამიანს იშვიათად შეხვდებოდით. თვითონ ვახტანგიც კი (რომანის მიხედვით, ბაგრატიონთა სამეფო ტახტის მემკვიდრე – ა. ნ.) მრავალჯერ გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ მისი სამშობლო არც თუ ისე სავალალო მდგომარეობაში იყო და რომ მისი დამოუკიდებლობის იდეები მეტ–ნაკლებად პირად ეგოისტურ შეხედულებებს ეფუძნებოდა."

არტურ ზუტნერის აზრით, სწორედ ზემოთქმულ გარემოებათა პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე ამ ომში თურქეთმა და მისმა მხარდამჭერმა ევროპულმა ძალებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით შეძლეს რუსეთის მიერ დაპყრობილ არარუს მოსახლეობაში პროთურქული სულისკვეთების გაღვივება და ანტირუსული მოძრაობის აღზევება.

მწერლისეული მონათხრობის მიხედვით, ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას ნაწარმოების მთავარი გმირი – იოანე თბილისში ქართული გაზეთის გამოცემითაც შეეცადა. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას რომანში „მართალი გაზეთის" სახელით მოხსენიებული ამ პერიოდული ორგანოს დაარსების უმთავრეს მიზანზე, დავიმოწმებ ფრაგმენტს იმ პოლემიკიდან, რომელიც გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მასალების გაცნობის შემდეგ იმართება ხსენებული გამოცემის ეროვნული პოზიციის მომხრეებსა და მათ მოწინააღმდეგე ვახტანგს (საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს) შორის: „იმ დილით ვალტერი (იოანეს გერმანელი მეგობარი, რომელიც იმხანად სტუმრად იმყოფებოდა თბილისში – ა. ნ.) ვახტანგის საწოლთან იჯდა, როდესაც მოსამსახურემ გაზეთის ახლად დაბეჭდილი ნომერი მოიტანა. თავადმა გამოართვა და რამდენიმე ფურცელს გადახედა...

გაზეთის გამოცემის მიზანს რუსეთის იმპერიული ხელისუფლების ოფიციალური დოკუმენტებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესებით განსაზღვრული მასალების გამოქვეყნება წარმოადგენდა. რაც შეეხება მწერლის მიერ მოხსენიებულ „მართალ გაზეთს," რომლის რედაქტორ-გამომცემლადაც ავტორმა ნაწარმოების მთავარი გმირი – იოანე გამოიყვანა, მისი დაარსების უმთავრესი მიზანი ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეათა პროპაგანდა იყო.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს იმ პოლემიკიდან, რომელიც გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მასალების გაცნობის შემდეგ იმართება ხსენებული გამოცემის ეროვნული პოზიციის მომხრეებსა და მათ მოწინააღმდეგე ვახტანგს (საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს) შორის: „იმ დილით ვალტერი (იოანეს გერმანელი მეგობარი, რომელიც იმხანად სტუმრად იმყოფებოდა თბილისში – ა. ნ.) ვახტანგის საწოლთან იჯდა, როდესაც მოსამსახურემ გაზეთის ახლად დაბეჭდილი ნომერი მოიტანა. თავადმა გამოართვა და რამდენიმე ფურცელს გადახედა...

დღეს პირველად გამოდის გაზეთი, რომლის სახელწოდებაც პატივცემულ მკითხველს უკვე ამცნობს მის მიზანს: თქვას მხოლოდ სიმართლე! ეს ის სიტყვაა, რომლის გაგონებაც ხალხის მხოლოდ პატარა ნაწილს სიამოვნებს! ჩვენ კი ამ სიტყვებს უშიშრად ვაწერთ ჩვენს დროშას. დიახ, თანამემამულენო, თქვენ დღეიდან მოისმენთ სიმართლეს... ჩვენ არაფერს შევუშინდებით, რათა თავისუფლად ვისაუბროთ ყველაფერ იმის შესახებ, რაც შეეხება საქართველოს ინტერესებს და სადავო საკითხებს... მაშ, ასე, თავიდანვე მოისმინეთ პირველი სიმართლე: თქვენ გადაიქეცით ჩვენი ქვეყნის ულირს შვილებად! თქვენმა ემანსიპაციამ ისეთ საშიშ ზღვარს მიაღწია, რომ თქვენს მშობლიურ ენასაც კი ვეღარ ფლობთ თავისუფლად. რატომ საუბრობთ და წერთ რუსულად, თანაც შეცდომებით? რომელი ენისა და ვისი გორისა ხართ დღეს? როგორც კი სახელმწიფოს სამსახურში შედიხართ, პირველ რიგში, იმით ამაყობთ, რომ ქართული დაგავიწყდათ. თავი დიდ კაცებად მიგაჩნიათ, თუ დამტვრეული რუსულით ტიტინებთ; გგონიათ, რომ ამით წმინდანის გვირგვინს იდგამთ თავზე. და თუ შემდეგ მართლაც ისე კარგად ეუფლებით ენას, რომ ჯილდოდ ქოჩორზე ჩინოვნიკის ქუდის დახურვას დაიმსახურებთ, მაშინ თქვენი თვითშეგნება ყოველგვარ საზღვრებს კარგავს! ამიტომ მოგიწოდებთ, სამსახურში მოიქეცით ისე, როგორც მოვალეობა მოითხოვს, ჩვეულებრივ ცხოვრებაში კი უცხო ქვეყნის ფრთებით შემოსილი ქედმაღლობით ნუ მოიწონებთ თავს. დარჩით ისეთებად, როგორებადაც დაბადებიდან ხართ: ქართველებად, რომლებსაც გააჩნიათ ის ცნობიერება, რომ ისინი არიან ოდესღაც ძლიერი ერის ყლორტები და თავიანთ ეროვნულ მოვალეობას იმით მაინც ასრულებენ, რომ არ ივიწყებენ მშობლიურ ენას, ლიტერატურას, ისტორიას!"

დამოწმებული ფრაგმენტი გამონაკლისი არ არის და საკუთარი ეროვნული იდენტობის აქტიურად დაცვისაკენ ქართველებს ამგვარი მოწოდებებით რომანის უცხოელი პერსონაჟებიც ხშირად მიმართავენ.

მაგალითად, რომანის ერთ-ერთი უცხოელი პერსონაჟი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თავკაცთან – იოანესთან საუბარში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ აქ შექმნილ მდგომარეობას ასე ახასიათებს: „ოდესღაც მდიდარ თქვენს თავად-აზნაურობას ახლა სამათხოვროდ გაუხდა საქმე. რატომ? იმიტომ, რომ, როდესაც რუსეთის ბატონობა შემოვიდა, მათ საამებლად მაშინვე პეტერბურგში დაიწყეს სირბილი და იქ ფულის ფანტვა, ღრმა რევერანსები აკეთეს, მოინდომეს, ამით საპატიო ჯვრის მედალი დაემსახურებინათ, ყველას ნაცარს აყრიდნენ თვალში, დღესასწაულებზე ყველაზე ბრწყინვალე და დიდსულოვანნი ისინი უნდა ყოფილიყვნენ, რათა ასეთი ცხოვრების წესით თანდათანობით გირაოში ჩაედოთ მამისგან დატოვებული მემკვიდრეობა და ამის შემდეგ ვალებში გადავარდნილიყვნენ! ეს კაპიტალი რომ გქონდეთ, დღესდღეობით სულ სხვა ისტორიული ფუნქცია გექნებოდათ.“

არტურ ზუტნერის ხაზგასმით, ზემოთ აღნიშნული გარემოების მიუხედავად, ქართველი ხალხის დიდმა უმრავლესობამ მაინც შეძლო ეროვნული და ენობრივი თვითმყოფადობის მტკიცედ დაცვა და მყარად შენარჩუნება. ამ მოვლენის გაცნობიერებით აღფრთოვანებული ვალტერი (იოანეს გერმანელი მეგობარი) ჩვენი ერის ამ ნაწილისადმი თავის დამოკიდებულებას იოანესთან საუბარში ერთგან ამ სიტყვებით გამოხატავს: „ახლა რომ კვლავ ისეთივე მეოცნებე ვიყო, როგორც ოცი წლის ასაკში ვიყავი, მაშინ მთელი ძალით დავიყვირებდი ყველას გასაგონად: – თქვენ ბრწყინვალე მოდგმის ხალხი ხართ! მინდა ჩემი ევროპული „მე“ ჩამოვიშორო და დავმარხო, რათა შემდეგ მკვდრეთით აღვდგე როგორც ერთ-ერთი თქვენი თანამემამულე.“

არტურ ზუტნერის რომანის ღირსება ისიც არის, რომ ახალი ცხოვრებისეული რეალობის შედეგად ეროვნული გადაგვარების გზაზე დამდგარ ქართველთა გვერდით ავსტრიელი მწერალი იმ მამულიშვილთა ფრაგმენტულ სახეებსაც ქმნის, რომლებსაც სამშობლოს „თავისუფლებისათვის მებრძოლ ცოცხალ სიმბოლოებს“ უწოდებს. მაგალითად, აი, როგორ უხასიათებს იოანე ერთ-ერთ

მათგანს თავის გერმანელ მეგობარს: „ეს არის მოხუცი ნესტორი, ასე ვთქვათ, ჩვენი ბელადი, ოდესღაც ძლიერი მოდგმის პატრიარქი!.. ისევე როგორც თქვენ, გერმანიაში, გყავთ თავისუფლებისათვის მებრძოლი ცოცხალი სიმბოლოები, რომელთა სახელები ბავშვმაც კი იცის და გასაოცარი თაყვანისცემით წარმოთქვამენ მას, ჩვენც ასევე გვყვანან სამშობლოსათვის მებრძოლი ბერიკაცები! რასაკვირველია, ისინი იძულებულნი იყვნენ ხმალი ქარქაშში ჩაეგოთ და არსებულ წყობილებას შერიგებოდნენ, მაგრამ მათ სულიერი ბრძოლა არასოდეს შეუწყვეტიათ. ისინი ბრძოლას სიკვდილამდე აგრძელებენ და უკვდავყოფენ ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულს თქმულებებსა და სიმღერებში. და ჩვენც მათ ვუმადლით, რომ ჩვენი ძლიერ შევიწროებული ენა ამა თუ იმ მხარეში ჯერ კიდევ სუფთად, შეუბღალავად არის შემორჩენილი!"

„იბერიელნის" გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ რუსეთის იმპერიული ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ქართველთა ეროვნული ინტერესების დამცველის როლში ევროპელებიც გამოდიან აქტიურად. კერძოდ, საქართველოში ჩამოსული მათი ცალკეული წარმომადგენლები არა მარტო ჩვენი ქვეყნის დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენ გზათა ძიების პროცესში არიან ჩართული, არამედ ქართველი ხალხის დიდი ისტორიული წარსულის წარმომჩენ მატერიალური კულტურის ნაშთებსაც იძიებენ და აგროვებენ, რათა ყველას დაანახონ ის უმნიშვნელოვანესი როლი, რასაც კავკასია, კერძოდ კი საქართველო, ასრულებდა უძველეს პერიოდში მსოფლიოს კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიაში.

რომანის მიხედვით, ერთ-ერთი სწორედ ასეთი პიროვნებაა გერმანელი მკვლევარი ბეურტე, რომელმაც საქართველოში ოცწლიანი „მძიმე და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად" (მისივე სიტყვებია) ამ დიდი ისტორიის დამადასტურებელი ექსპონატები „საკუთარი ხელით ამოთხარა მიწიდან, რითაც ნამდვილი სასწაული მოახდინა." არტურ ზუტნერის ხაზგასმით, ამ უნიკალური საგანძურის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე, გერმანელმა არქეოლოგმა „უტყუარი მტკიცებულებით წამოაყენა ახალი მოსაზრება, რომლის აღიარებაც მთელ ძველ ისტორიას თუ არა მის ნაწილს მაინც თავდაყირა დააყენებდა: ის ეჭვქვეშ აყენებდა ძველი სამყაროს საყოველთაოდ აღიარებულ გეოგრაფიულ საზღვრებს, უპირველეს ყოვლისა, კავკასიასთან დაკავშირებით."

რომანის გერმანელი პერსონაჟის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზ-

რებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ხსენებული საგანძურის მომძიებელი მეცნიერი აღშფოთებით საუბრობს რუსეთის ხელისუფლების მიერ ამ უნიკალური სიმდიდრის მისაკუთრებასა და პეტერბურგის მუზეუმში მის გადატანაზე. კერძოდ, აი, რას ეუბნება იგი ამასთან დაკავშირებით აღნიშნული არქეოლოგიური საგანძურის სანახავად მასთან მისულ ვალტერს: „აი, ეს არის ჩემი ნაშრომი!.. თითოეული მათგანი ფრჩხილებით გამოვგლიჯე მიწას, სადაც ათასობით წელი ეძინათ... ახლა აპირებენ სახელმწიფოს სახელით ჩამომართვან ჩემი განძი და ამით პეტერბურგის მუზეუმი გაამდიდრონ. ეს ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, როდესაც ვფიქრობ, თუ ვისთვის ან რისთვის შევწირე ეს ოცი წელიწადი?“

როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, გერმანელი მეცნიერის მიერ გამოთქმული ეს გულისტკივილი საფუძველს მოკლებულ გულისწყრომას არ წარმოადგენს და რუსეთის ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ მართლაც მიისაკუთრა და გაიტანა საქართველოდან უამრავი ისტორიული საგანძური.

არტურ ზუტნერის რომანი საინტერესო ნაწარმოები იმ მხრივაცაა, რომ მწერალი მისი მეშვეობით საქართველოში არსებული გერმანული დასახლებების შესახებაც გვაწვდის კონკრეტულ ცნობებს. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ათიანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის თბილისის მაშინდელ გარეუბნებშიც, მართლაც გაჩნდა გერმანიიდან გადმოსახლებულ მოქალაქეთა შემდეგი კოლონიები:

მარიენფელდისა – კახეთის გზატკეცილზე, სართიჭალაში; თბილისისა – ქალაქის მაშინდელ გარეუბან კუკიაზე; ალექსანდერსდორფისა – მდინარე მტკვრის სანაპიროზე, თბილისიდან 6 ვერსის დაშორებით; პეტერსდორფისა – მარიენფელდის მახლობლად; ელიზავეტალისა – დღევანდელ ასურეთში; ეკატერინენფელდისა – ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისთან ახლოს; ნოიდორფისა და გნადერბერგისა – სოხუმის მახლობლად... XIX საუკუნის საქართველოში არსებულ გერმანულ დასახლებათა რაოდენობამ სულ 23-ს მიაღწია (ამასთან დაკავშირებით იხ: სონღულაშვილი, 1995; მანჯგალაძე, 1974).

მიუხედავად იმისა, რომ მათთვის სრულიად უცხო გარემოში დამკვიდრებულმა გერმანელებმა უპრობლემოდ შეძლეს ახალ რეალობასთან ადაპტაცია, ისინი საკუთარ ეროვნულ ფესვებს არ

მოწყვეტილან და მყარად შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული და ენობრივი იდენტობა.

ამ გარემოებას არტურ ზუტნერის რომანში ორი უმთავრესი ფაქტორის გათვალისწინებით აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული: პირველი, იმის გამო, რომ ნაწარმოების პერსონაჟთა შორის ის გერმანელებიც გვხვდებიან, რომლებიც სავსებით ბუნებრივად ინტერესდებიან ჩვენს ქვეყანაში არსებული გერმანული კოლონიებით; და მეორე, მათი აქტიური ზრუნვით საკუთარი ყოფითი და ეროვნული ინდივიდუალობის მყარად დასაცავად და შესანარჩუნებლად. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მწერალი მათ იმ ქართველებს უსახავს მაგალითად არაპირდაპირი გზით, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების მმართველობის დროინდელ საქართველოში ეროვნულ-ენობრივი გადაგვარების გზაზე იყვნენ დამდგარი.

მაგალითად, თავის გერმანელ მეგობართან – ვალტერთან საუბრის დროს იოანე ეროვნული გადაგვარების გზაზე დამდგარ ქართველ დიდგვაროვანთა და საქართველოში დამკვიდრებულ გერმანელთა შორის აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ რადიკალურ განსხვავებას ასეთ შეფასებას აძლევს: „მართლაც ავადმყოფურ მდგომარეობაში ვართ, რაც ჩვენი მოდგმის ბევრ ამხანაგს მოერია. ისინი თავს იმით იწონებენ, რომ მშობლიური ქართული დაავიწყდათ. ზოგი მათგანი ფაქტობრივად სიტყვასაც კი ვერ წერს ქართულად, ვინაიდან ისინი ბავშვობიდან პეტერბურგში ან მოსკოვში იზრდებიან. მათ უცხოეთში ძალიან მალე დაივიწყეს დედასამშობლო! ჩვენ გვსურს, სხვა ერებისაგან ავიღოთ მაგალითი - პირველ რიგში თქვენგან, გერმანელებისაგან! როგორი სუფთა და შეუბღალავი დარჩა გერმანიაში ბალტიის ზღვასთან არსებული პროვინციების ენა! და სწორედ ამის შედეგად, რა პატივსაცემ როლს ასრულებს ეს ხალხი გერმანიის ცხოვრებაში, ისე რომ თავიანთი უფლებებიც შეინარჩუნეს და თმიდან ღერიც არ ჩამოვარდნიათ! ამიტომ იქაურ თავად-აზნაურებს, მეცნიერებს და ხალხის წარმომადგენლებს სულ სხვა წონა და ღირებულება გააჩნიათ, ვიდრე ჩვენთან!“

როგორც არტურ ზუტნერის ბიოგრაფიიდან ცნობილია, საქართველოში ცხოვრების ცხრაწლიანი პერიოდიდან გარკვეული დრო მწერალმა თბილისში გაატარა, რის შედეგადაც საკმაოდ კარგად გაეცნო თბილისური ყოფის სპეციფიკურ მხარეებს. იქიდან გამომდინარე, რომ მისი რომანის პერსონაჟთა სამოქმედო

ასპარეზს უმთავრესად ეს ქალაქი წარმოადგენს, მწერალმა თბილისის მკვიდრთა ადათ-ტრადიციების წარმოსახვასაც დაუთმო გარკვეული ადგილი.

ავსტრიელი მწერლის შეფასებით, XIX საუკუნის თბილისი, აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე მისი მდებარეობის მიუხედავად, ევროპული ყაიდის ქალაქს წარმოადგენდა. არტურ ზუტნერის მიერ გაკეთებულ ამ შეფასებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ იმდროინდელ თბილისურ ყოფასთან დაკავშირებით, ასეთ შეფასებას არტურ ზუტნერი ჩვენი ქვეყნის ევროპელ სტუმარს – იოანეს გერმანელ მეგობარს – ექიმ ვალტერს აკეთებინებს.

კერძოდ, მისი ხაზგასმით, იმდროინდელი თბილისი მასზე „არცთუ ისე აზიური ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თუ მხედველობაში არ მივიღებდით რამდენიმე წვრილმანს, როგორიცაა ეს პრიმიტიული და საეჭვო სურნელის მქონე საყასბოები და ქუჩის სამწვადეები, თბილისი სრულიად ევროპული ყაიდის ქალაქი იყო," სადაც ამ ქალაქის სტუმარს შესაძლებლობა ჰქონდა „ჭუჭყიანი თავშესაფრის ნაცვლად ფრანგული კომფორტით გაწყობილ სასტუმროში გაჩერებულიყო" და მის ირგვლივ მდებარე ევროპული „სტილით აგებული სახლებითა და ვილების" ცქერით დამტკბარიყო.

არტურ ზუტნერის რომანის განხილვის დროს რამდენიმე სიტყვა მწერლის მიერ ქართული ყოფა-ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებზეც უნდა ითქვას. როგორც ცნობილია, საქართველოში ცხოვრების ცხრა წლის განმავლობაში მწერალმა საკმაოდ კარგად გაიცნო ევროპელთა ყოფისაგან განსხვავებული ქართული ადათ-ტრადიციები და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ეს მხარე გარკვეულწილად ჰიპერბოლიზებული სახითაც კი წარმოსახა მის მხატვრულ შემოქმედებაში.

ამ თვალსაზრისით არც „იბერიელნია" გამონაკლისი და ქართული საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებების ასახვას მასში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. აღნიშნული საკითხისადმი ავტორის განსაკუთრებული ინტერესი არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართველთა ყოველდღიური ყოფის სისხლხორცეულ ნაწილად ქცეული და ადათ-ტრადიციებით განმტკიცებული ეს წეს-ჩვეულებანი სრულიად უცხო მოვლენა იყო იმდროინდელი ევროპელი მკითხველისათვის.

აღნიშნული კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის ეპიზოდები, სადაც მწერალი თბილისისა და სამეგრელოს მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ ისეთ სპეციფიკურ მხარეებს აღწერს, როგორიცაა მდინარე მტკვარზე ღვინის ტიკებით ცურვა, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით გამართული ცერემონიალი, მარულა, თამადის როლის ჰიპერბოლიზებული ფორმით წარმოჩენა, სტუმრისადმი ხაზგასმულად პატივისმცემლური დამოკიდებულება და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა ყოველდღიური ყოფისათვის ფართოდ დამახასიათებელი ამ წეს-ჩვეულებებისადმი ავსტრიელი მწერალი ცალკეულ შემთხვევებში ხაზგასმულად ნეგატიურ დამოკიდებულებასაც კი ავლენს, ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცეული ეს მოვლენები განსახილველ რომანშიცა და მის სხვა ნაწარმოებებშიც პოზიტიურად რომანტიზებული სახითაცაა წარმოსახული.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო იმ შეფასებას, რომელსაც არტურ ზუტნერი ქართული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას აძლევს. მისი ხაზგასმით, „სტუმარმოყვარეობა ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მოვალეობაა. შენ, უცნობ ადამიანს, ყველაზე საუკეთესოს მოგართმევენ, რაც კი მასპინძლის სახლში შეიძლება არსებობდეს. არა აქვს მნიშვნელობა, შეძლებულ მემამულესთან იმყოფები, თუ უღარიბეს გლეხთან.

შეგიძლია შეხვიდე ნებისმიერ ეზოში – ერთი შეხედვით შეიძლება იფიქრო, რა ღარიბულადაა ეს სახლ-კარი მოწყობილიო, მაგრამ აქ ღარიბი ადამიანის ოჯახი ცხოვრობს. მთელი მისი ავლა-დიდება რამდენიმე ქათამი ან იხვია; თუ ოდნავ საშუალება გააჩნია, კიდევ ერთი ბატკანი, რომლებსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან მომავალ დღესასწაულზე დასაკლავად. მომავალზე ფიქრს მაშინვე ანებებენ თავს, ვინაიდან სტუმართმოყვარეობის მოვალეობა წმიდათა წმიდაა. თუ უცნობმა შეაბიჯე მათთან, მაშინ შენი სტუმრობით ოჯახისათვის დღესასწაული უკვე დადგა. შენდა პატივსაცემად მაშინვე ყველა შინაურ ფრინველს თუ ცხოველს დაკლავენ, რაც კი გაჭირვებულ ოჯახს გააჩნია. შემდეგ კი, როდესაც ნამდვილი დღესასწაული მოვა, ცვრიანი მწვადების ნაცვლად ღომს და გამხმარ თევზს გეახლებიან. სტუმარს ხომ ღმერთის გამოგზავნილად მიიჩნევენ და მის პატივსაცემად ყვე-

ლაზე საუკეთესო პურმარილი უნდა გაშლილიყო. ასეა აქაური წესი და კანონი და, დამიჯერეთ, ამ თვალსაზრისით ქართველებმა ევროპელებს გაკვეთილები უნდა ჩაგვიტარონ."

ქართული ყოფა-ცხოვრების ამგვარად იდეალიზებული ფორმით წარმოსახვას არტურ ზუტნერის ამ რომანსა და, საერთოდ, მთელ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც ჰქონდა მიქცეული, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად ქცეული ეს მხარე იმ დროისათვის ფაქტობრივად სრულიად უცნობი იყო ევროპელებისათვის.

ვალტერის მხატვრული სახე საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მწერლის მიერ წარმოსახული ეს პიროვნება სიმბოლურად განასახიერებს ქართველთა ისტორიულ სიახლოვეს გერმანულენოვან სამყაროსთან, კერძოდ, როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ვგებულობთ, ქართველთა სამეფო ტახტის უკანასკნელი წარმომადგენლის – ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ვალტერი ცოლად ირთავს მის დას – თამარს. ამ ფაქტს მწერალი, სავარაუდოდ, სიმბოლურ დატვირთვასაც სძენს და მისი მეშვეობით იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მართალია, ეროვნული მოძრაობა დამარცხდა, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა. გერმანელ კაცზე ქართველი ასულის დაქორწინებით კი შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მწერალი თავისუფლების იდეის უკვდავებასაც უსვამს ხაზს სიმბოლურად და ოპტიმისტურად იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ხსენებული სიყვარულის პერსპექტივა მომავალში ჩვენი ქვეყნის თავისუფლების საწინდარიც იქნება!

არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიური ღვაწლი

არტურ ზუტნერის ქართული ღვაწლის წარმოჩენის დროს ქართველი მკვლევრები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ მის მნიშვნელოვან დამსახურებას „ვეფხისტყაოსნის" შესწავლისა და ფრანგულ და გერმანულ ენებზე პოემის თარგმნის საქმეში. არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიურ ღვაწლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ იგი ერთ-ერთი პირველი უცხოელი იყო, რომელმაც წერილობითი ფორმით სცადა, რუსთველის პოემა მსოფლიო ლიტერატურის კონტექს-

ტში გაეანალიზებინა და მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა წარმოეჩინა.

„ვეფხისტყაოსნისადმი" მიძღვნილი მისი წერილების სერია თავდაპირველად თბილისში გამომავალ რუსულენოვან გაზეთ „კავკაზში" (1884 წ. 28, 30 ნოემბერი, 1 დეკემბერი) დაიბეჭდა, შემდეგ კი ქართულად ითარგმნა და გაზეთ „დროებასა" (1884 წ. 30 ნოემბერი, 1, 4, 5, 8, 9 დეკემბერი) და ჟურნალ „ივერიაში" (1884 წ. №11-12) გამოქვეყნდა.

რაც შეეხება პოემის ფრანგულ და გერმანულ ენებზე თარგმნას, ამ საქმეს არტურ ზუტნერი და მისი მეუღლე ბერტა ფონ ზუტნერი იონა მეუნარგიას დახმარებით 1884 წლის დეკემბერში შედგომიან. აი, რას წერს თავის მოგონებებში ამასთან დაკავშირებით ბერტა ფონ ზუტნერი: „ევროპაში დაბრუნება მაისის თვისთვის დავგეგმეთ (იგულისხმება 1885 წლის მაისი – ა. ნ.). რჩებოდა კიდევ სამი თვე, რაც თბილისელი ჟურნალისტის მიერ (იგულისხმება იონა მეუნარგია – ა. ნ.) შემოთავაზებული სამუშაოსთვის გვინდოდა მიგვეძღვნა. კერძოდ, გერმანულად და ფრანგულად უნდა გვეთარგმნა ქართული ეროვნული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი." რადგან ქართულს კარგად ვერ ვფლობდით, ბატონ მ-ს (მისი სახელი დასაწყისის ასოს ჩათვლით დამავიწყდა) (იგულისხმება პოემის ფრანგულ ენაზე მთარგმნელი იონა მეუნარგია – ა. ნ.) სიტყვასიტყვით უნდა აეხსნა ჩვენთვის ხელნაწერი, რაც ჯერ ფრანგულად, ხოლო შემდეგ ფრანგულიდან გერმანულად უნდა გვეთარგმნა. განზრახული იყო „ვეფხისტყაოსნის" ახალი საზეიმო გამოცემა, რისთვისაც მხატვარ ზიჩს მშვენიერი ილუსტრაციები დაეხატა. ბატონ მ-ს თხოვნით, სამეგრელოს სრულიად მიყრუებულ სოფელში (ცაიშში – მთარგმნ.) წავედით, რათა წყნარად გვემუშავა...

ჩვენ ყოველდღე სისტემატურად, დილით 2 საათი და ნაშუადღევსაც 2 საათი, უნდა მიგვეძღვნა „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობისთვის...

პოემის თარგმნა კარგად წავიდა წინ. დედამიწის ამ მოშორებულ კუთხეში გადაიშალა დამალული სამყარო – ეპოქა მეცამეტე საუკუნისა, როცა ქვეყანას თამარ მეფე განაგებდა" (ზუტნერი, 1999: 184).

ბერტა ზუტნერისავე თქმით, პოემის თარგმნაზე „დახარჯულ დროს მათთვის ფუჭად არ ჩაუვლია" და ამ საქმის შედეგად მან და მისმა მეუღლემ შეძლეს, კიდევ უფრო ღრმად „შეეღ-

წიათ ქართველი ხალხისა და ამ მომავლადოებელი ქვეყნის არსსა და სულში, მის ისტორიასა და ლიტერატურაში".

სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის" ხსენებული თარგმანის ხელნაწერი დღემდე დაკარგულად ითვლება და მისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია გამოქვეყნებული.

ფრანგულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" გადათარგმნის პროცესში ზუტნერების აქტიურ მონაწილეობას ხაზგასმით აღნიშნავს თავად იონა მეუნარგიაც. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძისთვის 1885 წლის 9 იანვარს გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „როგორც ამას წინათ გაცნობე, მე სუტნერები სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შევუდექით თარგმნას უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინდისით. ჯერ უკანასკნელ რედაქციას ვადგენთ დაკვირვებით და მერე იქვე გერმანულად ვთარგმნით წიგნსა."

ი. მეუნარგიასავე ინფორმაციით, გარდა ზუტნერებისა, ამ საქმეში მას აქტიურ დახმარებას უწევდა თბილისში 1889-1902 წლებში გამომავალი ფრანგული ჟურნალის – „ლე კოკაზ ილიუსტრეს" რედაქტორ-გამომცემელი ჟიულ მურიეც (ხსენებული ჟურნალისა და საქართველოში მისი რედაქტორის მოღვაწეობის შესახებ ვრცლად იხილეთ ლევან ბრეგაძის წიგნი „მოგზაურობა „ლე კოკაზ ილიუსტრეს" ფურცლებზე," თბ. 2013). კერძოდ, აი, რას წერდა თავად იონა ამასთან დაკავშირებით თავის „ავტობიოგრაფიაში:" „ბევრად ადრე, ვიდრე გ. ქართველიშვილის გამოცემა დაიბეჭდებოდა, „ვეფხისტყაოსანი" ვთარგმნე ფრანგულ ენაზე ფრანგის ჟიულ მურიეს და ბარონესა ბერტა-ფონ სუტნერის შემწეობით" (მეუნარგია, 2010: 468).

ქართველ და უცხოელ მწერალთა (ი. ჭავჭავაძე, ვ. ორბელიანი, ჟ. მურიე, ა. ზუტნერი, ბ. ზუტნერი, ა. ლაისტი...) ბევრი წარმომადგენლის შეფასებით, „ვეფხისტყაოსნის" ი. მეუნარგიასეული თარგმანი იმდენად მაღალ მხატვრულ დონეზე იყო შესრულებული, რომ მისი გამოქვეყნება დიდმნიშვნელოვანი შენაძენი გახდებოდა ევროპული ლიტერატურული საგანძურისათვის. მაგალითად, ამ მოსაზრების სიმართლეში ღრმად დარწმუნებული ჟ. მურიე 1912 წლის 10 ივლისს ი. მეუნარგიას ბრიუსელიდან მისთვის გამოგზავნილ წერილში დაჟინებით თხოვდა, პოემის მისეული თარგმანის გამოქვეყნების უფლება რომ მიეცა.

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: „ბოლოსდაბოლოს ფიქრობთ განა გამოაქვეყნოთ ჩვენი თარგმანი რუსთაველისა, რომე-

ლიც ამდენი ჯაფა დაგვიჯდა? ეს იქნება ავაზაკობა, დავკარგოთ იგი კარტონებში და დავიწყებას მივცეთ. თუკი ფიქრობთ გამოქვეყნებას, მე მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ და განწყობილი ვიკისრო გამოცემის ხარჯები... პოემას არაფერი არ სჭირია გარდა იმისა, რომ წესიერად იქნეს დაბეჭდილი... თუ თქვენ მიიღებთ ჩემს წინადადებას, საჩქაროდ გადახედეთ ტექსტს და გამომიგზავნეთ ხელნაწერი" (ქირია, 1962: 4).

მიუხედავად ქართველ და უცხოელ მწერალთა ამგვარი მოთხოვნებისა, ი. მეუნარგიას „ვეფხისტყაოსნის" მისეული თარგმანი მაინც არ გამოუქვეყნებია. ლ. ბრეგაძის მართებული მოსაზრებით, ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად „საკუთარი ნაშრომისადმი მთარგმნელის მეტისმეტი მომთხოვნელობა" იქცა. კერძოდ, 1885 წლის 9 იანვარს იმხანად პეტერბურგში მყოფი ნიკო ნიკოლაძისათვის გაგზავნილ წერილში იგი გარკვევით აღნიშნავდა: „როგორც ამას წინათ გაცნობე, მე სუტნერები სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შევუდექით თარგმნას უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინდისით... ჯერ უკანასკნელ რედაქციას ვადგენთ ფრანგულად და მერე იქვე გერმანულად ვთარგმნით წიგნსა. ეს ორი კვირაა, დღე და ღამე ვმუშაობთ და, როგორც იყო, ერთს მეოთხედს მოუღეთ ბოლო... ეხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლულოვანებას ჩემის თარგმანისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულს მევე გავასწორებ" (ცაიშვილი, 1947: 146)."

ამ დროიდან მოყოლებული, იონა მართლაც განაგრძობდა თარგმანის სრულსაყოფად აქტიურ მუშაობას, მაგრამ, „ეტყობა, ამ გასწორების შემდეგაც არ იყო შედეგით კმაყოფილი... ამიტომაც შეიკავა თავი და არ დაჰყვა ჟიულ მურიეს დაჟინებულ მოთხოვნას, გამოსაქვეყნებლად გაეგზავნა იგი მისთვის ბრიუსელში" (ბრეგაძე, 2013: 32).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, „ვეფხისტყაოსნის" მეუნარგიასეული თარგმანი რამდენიმე ევროპელი ხელოვანისათვის მაინც იქცა შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ უმთავრეს ფაქტორად. კერძოდ, სწორედ „მისი წყალობით შეიქმნა მიხაი ზიჩის უპოპულარესი ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისა", აგრეთვე პოემის რუსული თარგმანი, კონსტანტინე ბალმონტის შესრულებული." ქართულის არმცოდნე ორ უცხოელს: ჟიულ მურიესა და არტურ ფონ ზუტნერს კი შესაძლებლობა მისცა სტატიები დაეწერათ შოთა რუსთაველის შესახებ (ბრეგაძე, 2013: 31).

ნოდარ კაკაბაძისა და ნოდარ რუხაძის შეფასებით, იონა მეუნარგიასთან ზუტნერების მეგობრული ურთიერთობა მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ ეს ურთიერთობა არტურ ზუტნერის ერთ-ერთი მოთხრობის შექმნის საფუძველიც გახდა. დასახელებულ ავტორებს მხედველობაში აქვთ მისი მოთხრობა „ჩემი მეზობელი გუჯა," რომლის მთავარი პერსონაჟი – ქართველი ინტელიგენტი გუჯა იონა მეუნარგიას „რეალურ პროტოტიპს წარმოადგენს." მკითხველის იმაში დასარწმუნებლად, ხსენებულ მოთხრობაში ა. ზუტნერმა „ვეფხისტყაოსნის" თარგმანზე ი. მეუნარგიასთან მისი და მისი მეუღლის ერთობლივი მუშაობის სწორედ ეს ეპიზოდი რომ ასახა რამდენადმე სახეცვლილი ფორმით, ხსენებული მოსაზრების ავტორები მკითხველს ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგასაც სთავაზობენ.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ნ. კაკაბაძისა და ნ. რუხაძის წერილიდან: „მოქმედება ხდება თბილისში. ავტორთან სტუმრადაა მისი ქართველი მეგობარი გუჯა. გუჯას ექვსი წელი შტრასბურგში გაუტარებია, აქ მიუღია უმაღლესი განათლება. მას ერთხანს პარიზშიც უცხოვრია (ნამდვილად ი. მეუნარგია ცხოვრობდა და სწავლობდა ჯერ ორი წელი ჟენევაში, ხოლო შემდეგი ორი წელი პარიზში). გუჯა თხოვს ავტორს, გაჰყვეს მას თავის სოფელში და მასთან ერთად რედაქცია გაუკეთოს და დაამუშაოს გუჯას მიერ გერმანულად თარგმნილი „კავკასიური ხალხური სიმღერები და ანდაზები" (როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანი" შეცვლილია ხალხური სიმღერებით...)...

გუჯა და ავტორი მატარებელში სხდებიან და სამეგრელოს ერთ პატარა სოფელში მიემგზავრებიან (იგულისხმება ი. მეუნარგიას მშობლიური სოფელი ცაიში)...

საათობით უჯდა გუჯა თავის ხელნაწერს და მოთმინებით ისმენდა ავტორის შენიშვნებსა და კრიტიკას და აზუსტებდა ტექსტს" (კაკაბაძე, რუხაძე, 1963: 81).

როგორც ფრაგმენტულად დამოწმებული ამ ეპიზოდიდანაც ჩანს, ხსენებული მოთხრობის სიუჟეტი თუმცა რამდენადმე სახეცვლილი ფორმით, მაგრამ რეალური შესატყვისობით მართლაც მიესადაგება იონა მეუნარგიასა და ზუტნერების ერთობლივ მუშაობას „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის დროს.

აღნიშნული მოთხრობის არსებითად განსხვავებული ინტერპრეტაციაა მოცემული გაზეთ „ივერიის" 1891 წ. 1 თებერვლის ნო-

მერში გამოქვეყნებულ წერილში, რომლითაც რედაქციამ მკითხველს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია გერმანიის ქალაქ დრეზდენში იმ წელს გამოცემულ არტურ ზუტნერის მოთხრობების ახალ წიგნთან – „ძენი კავკასიისანი" დაკავშირებით. კერძოდ, პუბლიკაციის ავტორის შეფასებით, ხსენებულ მოთხრობაში „აწერილია ცხოვრება ყმაწვილის ქართველი კაცისა, ტომით მეგრელისა, რომელიც ექვსს წელინადს ყოფილა საზღვარგარეთ, შემდეგ დაბრუნდება სამშობლოში, აქ ჰხედავს იმ ქალს, რომელიც შეუყვარდა საზღვარგარეთ წასვლამდე და ჰგრძნობს, რომ მისი სიყვარული იმ ქალის მიმართ კვლავ განცხოველდა. ქალი ქვრივია, ყმაწვილი მეტად მორცხვი, იმდენად მორცხვი, რომ ვერა ჰბედავს თავისი სიყვარული გამოუცხადოს. და აი, ვიდრე ის ამ ფიქრსა და ჭოჭმანშია, ქალი მეორედა თხოვდება. ყმაწვილი კაცის ბიძის სახლში სცხოვრობს ერთი ახალგაზრდა ქალი, სახელად ტასო, მისის ბიძის გაზრდილი. გუჯამ იცის, რომ ამ ქალს ვუყვარვარო, მაგრამ არ უნდა შეირთოს, რადგან აზნაურის ქალი არ არის. ამავე დროს ყმაწვილი კაცი გართულია ერთის თხზულების წერაში. ამ საქმემ გადაავიწყა სრულიად პირველი სიყვარული და მხოლოდ მაშინ-ღა აგონდება მეორედ გათხოვილი ქალი და მისი სიყვარული, როცა ხელ-მეორედ დაქვრივდება. მაგრამ ამ-ხანადაც ვერ მოახერხა მისი შერთვა, რადგან როცა გადაწყვიტა და წავიდა ტფილისს მის სანახავად, მეორედ დაქვრივებული ქალი უკვე სხვას დაენიშნა, თავისის ბიძის გაზრდილი, ლამაზი ტასო მიათხოვეს ამ დროს ვიღაც ბებერ კაცს, რომელიც მალე გარდაიცვალა და ახლა-კი გაჰბედა, როგორც იყო, გუჯამ და შეირთო ყმაწვილი ქვრივი, თუმცა წინათ არ უნდოდა მისი ცოლად შერთვა, აზნაურიშვილის ქალი არ არისო...

ჯვარის წერის შემდეგ ცოლ-ქმარნი გაემგზავრნენ გერმანიაში."

მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი გუჯა „საკმაოდ განათლებული კაცია და ევროპული, ბევრად უკეთესი ჩვეულებანი მარტო გაგონებით არ იცის, გული და სული მაინც ისევ თავისის ხალხის ჩვეულებისაკენ აქვს. ამიტომ ხშირად უწვრთნელსა და უზრდელს მეგრელს უფრო ჰგავს, ვიდრე ევროპიულად განათლებულს და აღზრდილს კაცს. მოთხრობაში საკმაოდ მართალი სურათებია ქართველ მემამულეთა და თავად-აზნაურთა ცხოვრებისა" („ივერია," 1891 წ. 1 თებერვალი, #25).

ფრანგულ და გერმანულ ენებზე „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის საქმეში ზუტნერების მიერ შეტანილი წვლილისა და რუსთველის

პოემის შესახებ არტურის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი სამეცნიერო ნაშრომის გამო, ქართველმა საზოგადოებამ ჩვენს ავსტრიელ მეგობრებს სათანადო პატივი იმითაც მიაგო, რომ საქართველოდან გამგზავრების წინ ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით დიდი გამოსათხოვარი სადილიც გაუმართა (ცაიშვილი, 1957: 155).

როგორც უკვე აღინიშნა, არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიური ნაშრომი, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობისაა, უცხოელი ავტორის მიერ „ვეფხისტყაოსნის" ღირსებათა წარმოსაჩენად და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მისთვის კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად დაწერილ ერთ-ერთ პირველ ნარკვევს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ რეალობაში ამ მიმართულებით იმხანადაც ბევრი რამ იყო გამოქვეყნებული, რუსთველის პოემა არაქართული სამყაროსთვის ჯერ კიდევ წარმოადგენდა თითქმის სრულიად უცნობ და სამომავლოდ აღმოსაჩენ პოეტურ შედევრს.

ეს სამწუხარო მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ „ვეფხისტყაოსანი" იმხანად არც ერთ უცხო ენაზე არ იყო სრულყოფილად თარგმნილი, ქართულის მცოდნე ისეთი მეცნიერი კი, რომელიც დედანში შეძლებდა რუსთველის პოემის წაკითხვასა და მის სრულფასოვან ანალიზს, ფაქტობრივად არ არსებობდა.

როგორც უკვე ითქვა, „ვეფხისტყაოსნის" პრობლემატიკისა და მხატვრული ღირსებების არსში ესოდენ ღრმად გარკვევის საქმეში უდიდესი როლი, პირველ ყოვლისა, იმ გარემოებამ შეასრულა, რომ არტურ ზუტნერი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფრანგულ და გერმანულ ენებზე პოემის თარგმნის პროცესში; აგრეთვე იმანაც, რომ მან თუმცა სუსტად, მაგრამ რამდენადმე მაინც, ქართული ენაც იცოდა.

არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიური ნარკვევის მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ავსტრიელი მწერალი ერთ-ერთი პირველი უცხოელი იყო, რომელიც აქტიურად შეეცადა, არა მარტო „ვეფხისტყაოსნის" პრობლემატიკა გაეანალიზებინა არგუმენტირებულად, არამედ რუსთველის პოეტური ნაღვაწი მსოფლიოში ფართოდ ცნობილ ლიტერატურულ შედევრებთან მიმართებითაც შეეფასებინა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ უმთავრეს დებულებებს ხსენებული ნაშრომიდან.

ა. ზუტნერის ხაზგასმით, „შოთა რუსთველი კერპია მათთვის, ვინც მის ენაზე ლაპარაკობს... პატივისცემა და მოკრძალება,

რომლითაც თავისი ერი ეპყრობა პოემის ავტორს, არაფრით არ ჩამოუვარდება იმ თაყვანისცემას, რომლითაც მოსავენ თავიანთ უკვდავ პოეტებს სხვა ხალხები... პოემაში გამოთქმული აზრები დიდი ხანია შეიჭრა ხალხურ მეტყველებაში და ანდაზებად იქცა. პოეტის ლექსებს იმეორებენ ყველგან – სოფლად თუ ქალაქად... მოხუცი ქალები ამ ლექსებს ლოცვებივით წარმოთქვამენ და მთელ საქართველოში ვერ შეხვდებით ვერც ერთ ქართველს, „ვეფხისტყაოსანი" რომ არ გაეგონოს და მისი რამდენიმე ტაეპი მაინც ზეპირად არ იცოდეს.

ამ ფაქტების საფუძველზე, რუსთველი თავისუფლად შეიძლება მოვაქციოთ იმ ათი თუ თორმეტი დიდი პოეტის გვერდით, ვისი სახელიც და დიდებაც საუკუნეებთან ერთად იზრდება" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 155).

დამოწმებულ ფრაგმენტში გამოთქმულ ავტორისეულ მოსაზრებებს, პირველ ყოვლისა, იმ კუთხით უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ მათ უცხოელი მწერალი იმ დროს გამოთქვამდა, როცა არც „ვეფხისტყაოსანი"იყო თარგმნილი რომელიმე უცხო ენაზე და არც ქართული ენის მცოდნე ისეთი არაქართველი სწავლული მოიპოვებოდა, რომელსაც ხსენებული პოემა ექნებოდა წაკითხული.

როგორც უკვე ითქვა, არტურ ზუტნერი ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ პირველ იმ უცხოელ მწერალს წარმოადგენდა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ და გერმანულ ენებზე თარგმნის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღების შედეგად, საფუძვლიანად ჩასწვდა პოემის არსსა და პრობლემატიკას.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ფაქტორმა განსაზღვრა არსებითად ის გარემოება, რომ ავსტრიელმა მწერალმა რუსთველის პოემა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გააანალიზა და მის ავტორს, უცხოელ სწავლულთაგან ფაქტობრივად პირველმა, მიუჩინა კუთვნილი ადგილი ამ ლიტერატურული მემკვიდრეობის შემქმნელ დიდოსტატთა გვერდით.

ა. ზუტნერის რუსთველოლოგიური ნარკვევის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პუბლიკაციის ავტორი „ვეფხისტყაოსანს" კომპლექსურად, რამდენიმე მიმართულებით, განიხილავს.

პირველი, იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული ნაშრომი, უწინარეს ყოვლისა, უცხოელი მკითხველისთვის იყო გამიზნული,

ა. ზუტნერი მოკლედ მიმოიხილავს რუსთველის დროინდელ საქართველოში არსებულ მდგომარეობას;

მეორე, პოემის ტექსტიდან დამოწმებულ მაგალითებზე დაყრდნობით, ავტორი საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკასთან და პერსონაჟებთან დაკავშირებით;

მესამე, რუსთველის პოემის პრობლემატიკა და პოეტური ოსტატობა განხილულია და შეფასებული როგორც შესაბამისი პერიოდის, ისე მომდევნო დროის ლიტერატურულ შედევრებთან მიმართებით, რის შედეგადაც არგუმენტირებულადაა წარმოჩენილი რუსთველის გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში;

მეოთხე, ყოველგვარი ყოყმანის გარეშეა უარყოფილი მოარულ დონეზე არსებული მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულ წარმომავლობასთან დაკავშირებით;

მეხუთე, კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით, ხაზგასმითაა აღნიშნული და სათანადოდ შეფასებული ის უდიდესი სახალხო სიყვარული და საყოველთაო პოპულარობა, რითაც რუსთველის პოემა იყო მუდმივად გარემოსილი საქართველოში.

ა. ზუტნერის მტკიცებით, არაქართველი მკითხველისათვის სრულიად უცნობი ეს დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოები ლოგიკური შედეგი იყო მისი ავტორის დროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო წარმატებებისა. კერძოდ, აი, რა შეფასებას აძლევს იგი იმ მდგომარეობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში „დიადი თამარ მეფის“ დროს არსებობდა: „ჩვენგან დაშორებულ ქვეყანაში, დიდი ხნის წინათ, არსებობდა ბრწყინვალე სამეფო კარი და უმდიდრესი ენა, არსებობდა აკადემია, სადაც ახალგაზრდებს ასწავლიდნენ და საიდანაც უნიჭიერეს მოსწავლეებს განათლების დასასრულებლად ათენში გზავნიდნენ! მათ შორის აღმოჩნდა ერთი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ... შექმნა 1500-სტროფიანი პოემა, რითაც მსოფლიოში უდიდესი დიდება მოიხვეჭა, – და ეს პოემა არსებობს, ჩვენ კი მის შესახებ მხოლოდ ახლა გვესმის“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 156).

რუსთველის დროინდელ ქართულ კულტურასთან და ინტელექტუალურ წარმატებებთან დაკავშირებით, არტურ ზუტნერის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას

სძენს ის ფაქტი, რომ ავსტრიელი მწერალი პოეტის დროინდელ საქართველოში ამ მიმართულებით არსებულ მდგომარეობასაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას და ჩვენი ეროვნული თვითშეგნების წარმომჩენ ფაქტორებსაც ნამოსწევს წინა პლანზე ხაზგასმით.

კერძოდ, აი, როგორ შეფასებას აძლევდა იგი ჩვენს ქვეყანაში მისი ცხოვრების დროს აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას: „საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში აშკარად შეიგრძნობა აღორძინების სული. ახალგაზრდა ლიტერატორთა მთელმა პლეადამ, რომლის უმეტესმა ნაწილმა ევროპაში მიიღო განათლება, რუსულ, გერმანულ, ფრანგულსა და ინგლისურ წიგნებზე აღიზარდა და საუკეთესო მისწრაფებებით არის შთაგონებული, მიზნად დაისახა აითვისოს კაცობრიობის პროგრესული აზროვნების საუკეთესო ქმნილებები, თარგმნოს უცხოური ლიტერატურა, საკუთარ სცენაზე დადგას შექსპირი და მოლიერი, დააარსოს პერიოდული გამოცემები, სადაც მხატვრული და სამეცნიერო საკითხები უახლეს აღმოჩენათა თვალსაზრისით იქნება გაშუქებული. ამასაც არ სჯერდებიან: აქვეყნებენ ორიგინალურ ნაწარმოებებს, რომელთა შინაარსი აღებულია თავიანთი სამშობლოს ყოფა-ცხოვრებიდან. ამგვარად, უახლესი ქართული ლიტერატურა წელში იმართება“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 156).

არტურ ზუტნერს ქართველ ინტელექტუალთა ეროვნული თვითშეგნების მძლავრად წარმომჩენ სწორედ ერთ-ერთ ასეთ დიდმნიშვნელოვან გამოვლინებად მიაჩნდა ის აქტიური მცდელობა, რომელსაც მათი ცალკეული წარმომადგენლები იჩენდნენ უცხო ენებზე რუსთველის პოემის გადასათარგმნად. ავსტრიელი მწერალი არა მარტო ზოგადად საუბრობდა ამ მოვლენის შესახებ, არამედ კონკრეტულ ინფორმაციასაც აწვდიდა მკითხველს ამასთან დაკავშირებით.

კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე „მეტად რთული და ძნელად გასაბედი წამოწყება“ (ზუტნერის სიტყვებია) იყო, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ და გერმანულ ენებზე თარგმნის პროცესში იონა მეუნარგიას ინიციატივით, ისიცა და მისი მეუღლეც, ჩაერთვნენ აქტიურად და სამთვიანი ერთობლივი მუშაობის შედეგად შეძლეს ამ დიდი საქმის რეალობად ქცევა. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის თავად ა. ზუტნერი ამასთან დაკავშირებით რუსთველის პოემის გასაანალიზებლად დაწერილ მის ზემოთ ნახსენებ

ნარკვევში: „ამ საერთო გატაცებამ აიძულა ბატონი ი. მეუნარგია პოემის თარგმნისათვის მოეკიდა ხელი, რათა წარედგინა იგი ევროპელი მკითხველისათვის. მისი კალმით შეიქმნა რუსთველის პოემის პირველი სრული პწკარედი თარგმანი“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 157).

არტურ ზუტნერის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსთველის პოემის იონა მეუნარგიასეულ თარგმანსა და ქართულ დედანს შორის პოეტური ოსტატობის მხრივ „ღრმა უფსკრული“ არსებობდა, „ვეფხისტყაოსნის“ ეს თარგმანი მაინც წარმოადგენდა რეალურ საფუძველს საიმისოდ, უცხოელ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა რომ შექმნოდა ქართული მწერლობის ამ დიდ შენაძენზე. კერძოდ, მისი შეფასებით, „ბატონ ი. მეუნარგიას თარგმანით მოცემული პირველი ბიძგის შემდეგ რუსთველის შესწავლის საქმე ერთ ადგილზე აღარ გაიყინებოდა.“

თუმცა ავსტრიელი მწერალი იქვე იმ გარემოებასაც აღნიშნავდა, რომ „პოემის სრული და სამართლიანი შეფასება და მისი ავტორისათვის შესაფერისი ადგილის გამოძებნა კაცობრიობის სხვა დიდ მგოსნებს შორის“ მხოლოდ იმ მკვლევრებს შეეძლებოდათ, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებოდათ, ხსენებული პოემა „ხანგრძლივად და მოთმინებით განეხილათ ორიგინალში“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 158).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ავსტრიელმა მეგობარმა ქართული ენა სუსტად, მარტივად საკომუნიკაციო დონეზე, იცოდა, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში მისმა აქტიურმა მონაწილეობამ მას იმის შესაძლებლობა მისცა, პოემის პრობლემატიკისა და პოეტური ოსტატობის არსში საკმაოდ ღრმად რომ გარკვეულიყო და ქართული ლიტერატურის ეს უდიდესი მონაპოვარი უცხოელ ავტორთაგან ერთ-ერთ პირველს შეეფასებინა მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა კონტექსტში.

აღნიშნული გარემოების მიუხედავად, არტურ ზუტნერი იმასაც აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ უცხოელ სწავლულთა მიერ მსოფლიო ლიტერატურის შედევრების გვერდით „ვეფხისტყაოსნისთვის“ კუთვნილი ადგილის მიჩენა სამომავლოდ გასაკეთებელ საშურ საქმეს წარმოადგენდა. კერძოდ, იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ქართველ მკვლევართა გარდა მომავალში ის უცხოელი ფილოლოგებიც უსათუოდ გამოჩნდებოდნენ, „რომლებიც ხელს მოჰკიდებდნენ რუსთველის პოემის შესწავლას“ და უფრო „ღრმად გამოიკვლევდნენ“ მას.

არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიური ნარკვევის შეფასების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმ ფაქტს, რომ თავად მისივე ხაზგასმით, სწორედ იგი აღმოჩნდა ის პირველი ევროპელი, რომელმაც არა მარტო „თავიდან ბოლომდე წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად,“ არამედ საფუძვლიანადაც განიხილა და შეაფასა იგი.

როგორც უკვე ითქვა, რუსთველის პოემას ა. ზუტნერი, პირველ ყოვლისა, შესაბამისი პერიოდის მხატვრულ ქმნილებებთან მიმართებით აანალიზებს, რის შედეგადაც ცდილობს არგუმენტირებულად წარმოაჩინოს „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. სახელდობრ, მისი შეფასებით, პოეტური ოსტატობის მხრივაც და პრობლემატიკითაც რუსთველის პოემა დიდად აღემატებოდა შესაბამისი პერიოდის ისეთ პოეტურ ტექსტებს, როგორებიცაა „სიმღერა როლანდზე,“ „ნიბელუნგები,“ „ბეოვულფი,“ „იგორის ლაშქრობის ამბავი“ და სხვები, რომლებიც „ტრუბადურების, ხალხისა და გვირგვინოსანთა კოლექტიურ ქმნილებებს წარმოადგენდა და მათი შეთხზვის პატივი კერძოდ არავის ეკუთვნოდა“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 159).

ა. ზუტნერის აზრით, რუსთველის დროინდელი ევროპული ლიტერატურის წარმომადგენელთაგან ქართველი მგოსანი იმხანად მოღვაწე მხოლოდ ორი პოეტის გვერდით შეიძლებოდა დაგვეყენებინა – ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდესთან და ვოლფრამ ფონ ეშენბახთან. უფრო მეტიც, „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანად გაცნობამ ავსტრიელი მწერალი იმის დაუეჭვებელ აღიარებამდეც მიიყვანა, პოეტური სიტყვის სრულყოფილებით რუსთველი ხსენებულ ავტორებსაც რომ აღემატებოდა.

კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: რუსთველის „ეპოქის დამოუკიდებელი პოეტებიდან შემიძლია მხოლოდ ორი დავასახელო, რომელთა დიდებამაც ჩვენამდე მოაღწია. ესენია ლირიკოსი ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე და ეპიკური პოეტი ვოლფრამ ფონ ეშენბახი. შემთხვევით ხომ არ ერგო მესამე ადგილი ამ ჯგუფში „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედს? რუსთველის წაკითხვამდე მე ამაში ფრიად დავეჭვდებოდი, მაგრამ ახლა, როდესაც ღრმად ჩავწვდი მის ნაწარმოებს, შევიცანი და გავიგე იგი, შემიძლია თამამად განვაცხადო: დიახ, რუსთველს ამ ორი მგოსნის გვერდით ეკუთვნის ადგილი და, თუ ბოლომდე პირუთვნელნი ვიქნებით, სწორედ ყველაზე საპატიო ადგილი“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 159).

ასე რომ, ა. ზუტნერის მტკიცებით, მავანთა სკეპტიკური თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, თითქოს „ქართული ლიტერატურის მეგობრები გადამეტებულად აფასებენ თავიანთ პოეტს და გენიოსის შარავანდედით მისი შემკობისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს," რეალურ საფუძველს მოკლებულ მოსაზრებას წარმოადგენს. იმისათვის რომ უცხოელ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეუქმნას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში „ვეფხისტყაოსნის" ავტორის მიერ შეტანილ უმნიშვნელოვანეს შემოქმედებით წვლილზე, ავსტრიელი მწერალი კონკრეტულ არგუმენტებსაც იშველიებს საკმაოდ მრავლად.

მაგალითად: მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შოთა რუსთველის მიერ შეტანილი წვლილის განსაზღვრისა და შეფასების დროს არტურ ზუტნერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა იმ ფაქტს, რომ ქართველი პოეტის მიერ შექმნილი პოემა მან კომპოზიციური სრულყოფილების საუკეთესო ნიმუშადაც და რომანის ჟანრის კლასიკური ფორმით დამამკვიდრებელ ტექსტადაც მიიჩნია.

კერძოდ, აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით: „ჩემდა სასიამოვნოდ, ამ ნაწარმოებში მე აღმოვაჩინე ხელოვნების ყველა კანონის თანახმად აგებული რომანი, სადაც კვანძიც გვაქვს და კვანძის გახსნაც და ზუსტად არის დაცული სიუჟეტის განვითარების წესები. ამასთანავე, იგი შედგენილია მკაცრად მოფიქრებული გეგმის თანახმად, სადაც პოემის ძირითადი იდეა (სიყვარულისა და მეგობრობის გამარჯვება) თავიდან ბოლომდე იშვიათი თანმიმდევრობითა და სიმტკიცით ვითარდება" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 159).

არტურ ზუტნერის მტკიცებით, შოთა რუსთველმა ეს ყველაფერი ევროპელ ავტორებზე ერთი საუკუნით ადრე გააკეთა. აქედან გამომდინარე, „მიუკერძოებლობა გვაიძულებს, გენიოსად ვაღიაროთ რუსთველი, რადგან მან შექმნა რომანი იმ დროს, როდესაც ეპიკური პოეზიის ასეთი ჟანრი ევროპაში ჯერ კიდევ არ არსებობდა. მგოსნის გადამეტებული განდიდება კი არ უნდა ვუსაყვედუროთ მის თაყვანისმცემლებს, არამედ უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენ თვალწინ წარმოდგება პოეზიის კიდევ ერთი გმირი, რომლის არსებობაც კი არ ვიცოდით და რომელიც ღირსია სათანადო ადგილი ეკავოს მსოფლიო დიდების პანთეონში" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 161).

არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიური ნააზრევის შეფასების დროს, განსაკუთრებული ყურადღება იმ მოსაზრებასაც მინ-

და მივაქციო, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობასთან დაკავშირებით გამოთქვამს ავტორი ყოველგვარი დაეჭვების გარეშე. კერძოდ, ავსტრიელ მწერალს პრინციპულად მცდარ თვალსაზრისად მიაჩნდა იმ მკვლევართა მოსაზრება, რომელნიც ამბობდნენ, რომ „რუსთველის პოემა არ წარმოადგენს არც ორიგინალურ და არც ეროვნულ ნაწარმოებს." ა. ზუტნერის ხაზგასმით, „საკითხის ასე დასმას ჩალის ფასი აქვს," რადგანაც „რუსთველის დიდებას ვერაფერს დააკლებს ის გარემოება, რომ მან, შესაძლოა, მართლაც ისარგებლა ადრე არსებული ლეგენდით" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 161).

ა. ზუტნერის აზრით, ასეც რომ იყოს, ამაში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია, რადგანაც მსგავსი მაგალითები მრავლად გვხვდება არაერთი ცნობილი მწერლის შემოქმედებაში. იმისათვის, რომ მის ამ მოსაზრებას მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, იგი კონკრეტულ მაგალითებსაც ასახელებს შექსპირის, შილერისა და სხვა მწერალთა შემოქმედებიდან.

ა. ზუტნერის მტკიცებით, რუსთველის პოემის მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი „მკითხველთა გასართობად გამოგონილი მოვლენების ზიზილპიპილებიან აღწერას" კი არ წარმოადგენს, არამედ ის „ეთიკური წიგნია, რომელიც ჩვენი განმარტოებული ფიქრისა და განსჯის ღირსია."

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის" გაანალიზების დროს ა. ზუტნერი ხოტბაში გადაზრდილი ფორმით წარმოაჩენს იმ პოზიტიურ მხარეებს, რითაც მან რუსთველის პოემა ევროპული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს პოეტურ ქმნილებად მიიჩნია, რუსთველის მიმართ იგი ორ შენიშვნასაც გამოთქვამს. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ პოეტი თავის გმირებს „დაუსრულებლივ ადარებს მზესა და მთვარეს," ა. ზუტნერი ფიქრობს, რომ პოემის ავტორს „პოეტური სახეების საკმაოდ შეზღუდული მარაგი აქვს."

მისი აზრით, „ასეთი მხატვრული სახეები ლირიკულ პოეტებს უფრო შეჰფერით... ეს ჭარბად მოხსენიებული ციური მნათობები, ვარდებთან, ბროლთან, ედემის ხეებთან ერთად პოეტის მეტაფორათა თითქმის მთელ მარაგს რომ ქმნიან, ხელს გვიშლიან მისი თხზულებით დატკბობაში და არასასურველ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 167).

„ვეფხისტყაოსნის" მიმართ გამოთქმული მეორე შენიშვნა პოემის გმირთა მიერ გრძნობათა და ემოციათა გამოხატვის ფორმას

შეეხება. კერძოდ, ა. ზუტნერი რამდენადმე გაუმართლებელ მოვლენად მიიჩნევდა იმას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „გმირები აუარებელ ცრემლს ღვრიან და ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სისხლიანი ცრემლები, ცრემლთა ნაკადულები, მდინარეები და ზღვებიც კი, რაც მომაკვდინებელ ეფექტს ახდენდა“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 167).

მიუხედავად იმისა, „ვეფხისტყაოსანი“ აღნიშნული შენიშვნების გამოსათქმელად მართლაც ქმნის გარკვეულ საფუძველს, არტურ ზუტნერი ამ გარემოების განმაპირობებელ ფაქტორსაც აღნიშნავს სავსებით მართებულად და ხსენებულ მოვლენას, პირველ ყოვლისა, შესაბამის პერიოდში არსებული რეალობის შედეგად მიიჩნევს. კერძოდ, აი, რა განმარტებას გვთავაზობს თავად ის ამასთან დაკავშირებით: „ვფიქრობ, რომ სევდა-ნაღველი, რომელსაც პოეტი აქ წარმოგვიდგენს, საყოველთად გავრცელებული იყო და მის თანამედროვეთა საზოგადოებრივ გემოვნებას შეეფერებოდა. უსასოო მელანქოლიის ასეთი ფრაზა გვხვდებოდა არა მარტო საქართველოში“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 167).

არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიური ნარკვევისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ ავსტრიელი მწერალი „ვეფხისტყაოსნის“ იმ ეპიზოდებთან დაკავშირებითაც გამოთქვამს მეტად საგულისხმო მოსაზრებებს, რომლებიც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობის საგნადაა ქცეული (მაგალითად, ტარიელის მიერ ნესტანის საქმროს მოკვლა). ა. ზუტნერის შეფასებით, ეს იყო ერთადერთი სწორი და გონივრული გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც აღმოჩნდა ნესტანი მისი მშობლების მიერ მისგან დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილების შედეგად.

როგორც უკვე ითქვა, არტურ ზუტნერის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკასთან და პერსონაჟებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ხსენებული საკითხები მას შესაბამისი პერიოდის ევროპულ ლიტერატურაში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით აქვს განხილული. მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს იგი „ქალური თავდადების ნამდვილ განსახიერებად“ მიჩნეული ასმათის პიროვნულ სახეს: „ასმათის დახატვით რუსთველმა სათანადო პატივი მიუზღო არა მარტო ქალს, არამედ მთელ კასტას – ჩაგრულთა კასტას. ამ მხრივ იგი მნიშვნელოვნად განსხვავ-

დება თანამედროვეთაგან, რომლებიც მხოლოდ უმაღლეს კლასს უმღერიან და არაფრად აგდებენ დაბალ კლასებს: მათ წარმომადგენლებს მხოლოდ იმისთვის გამოიყენებენ ხოლმე ნაწარმოებში, რომ ბატონებმა გული იჯერონ ამ უკანასკნელთა მიტყეპით.

რუსთველი ერთხელაც არ აძლევს თავს ასეთი რამის უფლებას. პირიქით, მოახლეს რომ კეთილშობილ როლს ანიჭებს, ამით იმის დამტკიცება სურს, რომ დიდსულოვანი შეიძლება იყოს საზოგადოების ყველა კლასის წარმომადგენელი" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 171).

როგორც უკვე აღინიშნა, არტურ ზუტნერის რუსთველოლოგიური ნარკვევი ჯერ თბილისში გამომავალი რუსული გაზეთის – „კავკაზის" ფურცლებზე დაიბეჭდა, შემდეგ კი მისი ქართული თარგმანი გაზეთ „დროებასა" და ჟურნალ „ივერიაში" გამოქვეყნდა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ პუბლიკაციაში „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებული ბევრი საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად იყო განხილული, ზუტნერი თვლიდა, რომ ეს საკმარისი არ იყო და ამას იგი მის მიერ მომავალში გასაკეთებელ საქმედ მიიჩნევდა.

აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „პოემის დაწვრილებითი ანალიზი ამ სტატიის მიზანს არ შეადგენს და სჯობს იგი ჩემი გერმანელი მკითხველისათვის შემოვინახო" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 170). ავტორის მიერ გაკეთებული ამ განაცხადის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ა. ზუტნერს შესაძლოა ხსენებული ნაშრომის უფრო ვრცელი ვარიანტიც ჰქონდეს დაწერილი მის მშობლიურ გერმანულ ენაზე.

საბოლოო დასკვნა, რომლითაც არტურ ზუტნერმა თავისი რუსთველოლოგიური ნარკვევი დაასრულა, ასეთია: „ვეფხისტყაოსანმა" ჩემზე მეტად თავისებური და განუმეორებელი მაღალმხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილება მოახდინა. მასში არც ერთ ისეთ ადგილს არ შევხვედრივარ, სადაც შეიძლება ადრე არსებული პოეტების მიბაძვა გვეგარაუდებინა. თუ პოემაში ალაგ-ალაგ გვხვდება ძველ ფილოსოფოსთა ციტატები, ეს სულაც არ მიუთითებს, რომ პოეტმა რომაელი და ბერძენი მწერლების ასლი გადმოიღო. ეს გარემოება მხოლოდ მის მაღალ გონებრივ კულტურაზე მეტყველებს.

რაც შეეხება შესრულების სიფაქიზეს, გრძნობათა კეთილშობილებას, აზრის აღმაფრენას, ქართველებს შეუძლიათ სრული სიამაყით თქვან, რომ მათი პოემა არ ბაძავს არც ჰომეროსს და

არც ვერგილიუსს: პირველიდან უკანსაკნელ გვერდამდე ის არის რუსთველური და მხოლოდ რუსთველური" (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1976: 172).

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ზუტნერის ნარკვევი მხოლოდ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება და მასში „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებული სხვა საკითხებიცაა ქცეული განხილვის საგნად, ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულიც საკმარისი იქნება იმის ხაზგასასმელად, ხსენებული პუბლიკაცია უცხოელი ავტორის მიერ შექმნილ ერთ-ერთ პირველ ფუნდამენტურ რუსთველოლოგიურ ნაშრომს რომ წარმოადგენს.

საქართველო არტურ ზუტნერის პუბლიცისტურ ნააზრევში

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოში არტურ ზუტნერის ცხოვრების პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ იგი სწორედ იმხანად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და ჟანრობრივად მრავალფეროვანი თავისი შემოქმედების იმდროინდელ ნიმუშებს მეტ-ნაკლები ინტენსივობით აქვეყნებდა ავსტრიულ პრესაში. მაშინდელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას პუბლიცისტიკა წარმოადგენდა. კერძოდ, იგი, როგორც ვენაში გამომავალი გაზეთის – „ნოიე ფრაიე პრესეს" სპეციალური კორესპონდენტი, ამ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

აი, რას წერს ამის თაობაზე მისი მეუღლე ბერტა თავის მოგონებათა წიგნში: „ჩემი ქმარი კორესპონდენციებს აგზავნიდა ვენაში ომის ამბების შესახებ „ნოიე ფრაიე პრესე"-ში. ეს გაზეთი ამ ცნობებს მადლიერებით აღსავსე ბეჭდავდა. მაგრამ ეს კორესპონდენციები თანდათანობით მეტისმეტად პრორუსულად მოეჩვენა გაზეთს. თვითონ „ნოიე ფრაიე პრესეს" თურქებისკენ გადაიხარა და ამიტომ უარი უთხრა ჩემს ქმარს თანამშრომლობაზე" (ზუტნერი, 1999: 65).

როგორც არტურ ზუტნერის ბიოგრაფიიდან თვალნათლივ ჩანს, საქართველოსთან დაკავშირებული პუბლიცისტური წერი-

ლების გამოქვეყნება მწერალს არც ჩვენი ქვეყნიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეუწყვეტია. სამწუხაროდ, ხსენებული პუბლიკაციები არა მარტო ფართო მკითხველი საზოგადოებისათვისაა სრულიად უცნობი, არამედ დღემდე რჩება ქართველ მკვლევართა ყურადღების მიღმაც.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ რომ ჩვენი ისტორიოგრაფიის ამ ხარვეზის გამოსასწორებლად პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მთარგმნელმა მზია გალდავაძემ. მან გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ავსტრიელი მწერლის ნარკვევი „ცნობები ტრანსკავკასიიდან," რომელიც ორ ნაწილად დაიბეჭდა ავსტრიული გაზეთის – „Neue Freie Presse"-ს 1877 წლის 10 და 23 აგვისტოს ნომრებში.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ხსენებულ ომთან და ქართულ რეალობასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი არტურ ზუტნერის პუბლიკაციებში ტენდენციურად და არაობიექტურადაა განხილული, მათგან ქართულად ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი ნარკვევია გამოქვეყნებული ლიტერატურულ ჟურნალ „ისინდის" 2019 წლის მე-8 ნომერში.

ჩემი აზრით, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გაუმართლებელ მოვლენას წარმოადგენს, რადგანაც ქართველ მკითხველს ჩვენი ქვეყნის შესახებ უცხოელ ავტორთა მიერ გამოქვეყნებული იმ პუბლიკაციების გაცნობის შეუზღუდველი შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს, სადაც ქართული რეალობისადმი მათი ავტორების თუნდაც არსებითად მცდარი მოსაზრებებია გამოთქმული.

არტურ ზუტნერის ხსენებული სტატიების შესახებ კონკრეტული საუბარი მინდა იმ პოზიტიურ მოსაზრებათა წარმოჩენით დავიწყო, რითაც მწერალი შესაბამისი პერიოდის საქართველოში არსებულ მდგომარეობას აფასებს მისეული თვალთახედვით. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დასახელებული პუბლიკაციის მეორე ნაწილი, რომელშიც ავტორი ჩვენი ქვეყნის რეგიონებში რუსული მმართველობის დამკვიდრების შედეგად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს.

ამ საკითხზე მსჯელობას ა. ზუტნერი აფხაზეთის 1866 წლის სახალხო აჯანყებასთან დაკავშირებული მსჯელობით იწყებს. როგორც ცნობილია, რუსეთის მიერ აფხაზეთის სამთავროს

გაუქმების (1866 წ.) შემდეგ ამ ქვეყნის იმპერიული ხელისუფლება ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონშიც აქტიურად და ძალადობრივი გზით შეუდგა რუსული მმართველობითი რეჟიმის დამყარების პროცესს, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის იმდენად დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა, რომ თავადებისა და აზნაურების ნაწილმა სამშობლოში დარჩენას ოსმალეთში გადასახლება არჩია.

მუჰაჯირობის სახელით ცნობილ ამ ტრაგიკულ მოვლენას კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს სძენდა ის ფაქტი, რომ სამშობლოდან ლტოლვილ ამ ადამიანებს თან მიჰყავდათ საკუთარი ყმებიც. თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დარჩენილმა ადგილობრივმა მოსახლეობამ კი რუსული მმართველობის მიერ გატარებული დისკრიმინაციული პოლიტიკისადმი პროტესტანტული დამოკიდებულება საკმაოდ ფართო მასშტაბების მომცველი აჯანყებით გამოხატა.

აფხაზეთში იმხანად შექმნილი მდგომარეობის კომენტირების დროს ა. ზუტნერმა მკაფიოდ გამოხატა თავისი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკისადმი. რუსული კოლონიალიზმისადმი მისი კრიტიკული პოზიცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმითაც იძენს, რომ იგი იმ დროისათვის მკაფიოდ გამოვლენილი პრორუსული ორიენტაციით გამოირჩეოდა.

ავსტრიელი მწერლის შეფასებით, თავიანთი თავგანწირული ბრძოლებით აფხაზები, პირველ ყოვლისა, რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას უცხადებდნენ უკომპრომისო ომს და ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად წირავდნენ სიცოცხლეს.

რუსეთისადმი აფხაზთა ანტაგონისტური დამოკიდებულების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ა. ზუტნერი რუსული კოლონიური ხელისუფლების მიერ ამ რეგიონის რუსიფიკაციის მიზნით გატარებულ იმ მმართველობით რეჟიმს მიიჩნევს, რომელსაც „დამლუპველ რუსულ პოლიტიკას“ უწოდებს.

აფხაზეთი გამონაკლისი არ ყოფილა და ა. ზუტნერი საქართველოს სხვა რეგიონებში, კერძოდ კი სვანეთსა და სამეგრელოში, გამართული ანტირუსული გამოსვლების შესახებაც გვაწვდის შთამბეჭდავ ცნობებს. მაგალითად, სვანეთში მომხდარ სახალხო ამბოხებაზე საუბრის დროს, იგი მკაცრად აკრიტიკებს იმ დისკრიმინაციულ პოლიტიკას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად ატარებდნენ რუსეთის ხელისფლების წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში. როგორც ავტო-

რისეული მონათხრობიდან შეიძლება დავასკვნათ, ა. ზუტნერს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში აქვს სვანეთში 1875 წელს მომხდარი მასობრივი ანტისახელისუფლებო აჯანყება და ისტორიული სიმართლით ახასიათებს იმ უმძიმეს შედეგებს, რაც ამ სახალხო მღელვარების ძალადობრივი გზით ჩახშობის შედეგად შეიქმნა ხსენებულ რეგიონში.

ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული სტატიიდან: „სვანების აჯანყება... ფაქტობრივად პროვოცირებული იყო“ და მან „არათუ სარგებელი მოიტანა, არამედ უფრო მეტად ზარალი გამოიწვია. სვანეთში, ოდითგანვე, ყოველი ოჯახი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად ერთგვარ არაყს ხდიდა. ახლა კი იქ მივლინებულმა მაზრის უფროსმა თავისი მოენეების მეშვეობით აღმოაჩინა, რომ თურმე ასეთი გაუგონარი რამ ხდება და გამოაცხადა, რომ დაუშვებელია არყის, თუნდაც მცირე ოდენობით, გამოხდა და შესაბამის გადასახადზე თავის არიდება... სვანებისათვის რამდენიმე კაპიკიც კი, რისი გადახდაც თითო სულ მოსახლეს ეკისრებოდა, ძალიან მტკივნეული იყო და ეს მკაცრი მოთხოვნა, მათი საუკუნოვანი თავისუფლების წართმევასთან ერთად, ისეთ მძიმე დარტყმად აღიქვეს, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობა წამოიწყეს. სასჯელის სახით სვანებს საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნა დაუპირეს, მათ კი, გაგიჟებულებმა ერთ მშვენიერ დღეს მჩაგვრელები დახოცეს და თავები მოჰკვეთეს. საპასუხოდ მცირერიცხოვანი ჯარი გამოიგზავნა, რომელმაც სვანებს სხვა ვერაფერი დაუშავა, გარდა იმისა, რომ მიუვალ მთებში მდგარი კოშკები გაუნადგურა.“

სვანეთში 1875 წლის სახალხო ამბოხების მოხდენასთან დაკავშირებით ა. ზუტნერის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს, ეს ფაქტი ჩვენი ქვეყნის შესაბამისი პერიოდის ისტორიიდან დამოწმებული ამ ფრაგმენტითაც ნათლად დასტურდება: „1873 წელს სვანეთში არაყსა და თამბაქოზე აქციზი შემოიღეს, რაც მეტად მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას.“ ამ მოვლენით გამოწვეულმა საყოველთაო უკმაყოფილებამ თანდათანობით იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ 1875 წელს მოსახლეობის პროტესტი მასობრივ ამბოხებაში გადაიზარდა. საპროტესტო გამოსვლები მომდევნო წელსაც გაგრძელდა და ამბოხებულთა დასასჯელად ხელისუფლებამ 1876 წლის აგვისტოში სვანეთში გენერალ-მაიორ ციტოვიჩის დამსჯელი რაზმი

გააგზავნა. „კოშკებში გამაგრებულმა სვანებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს რუსებს. ბრძოლა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. 21 აგვისტოს კოშკებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს. მიუხედავად ზუსტი სროლებისა, არც ერთი კოშკი მთლიანად არ დანგრეულა. განრისხებული ციტოვიჩი კოშკებს 23 აგვისტომდე ბომბავდა, 25 აგვისტოს დაბომბვა ისევ განახლდა. ციტოვიჩმა კოშკების აფეთქება გადაწყვიტა... გადარჩენილი კოშკები რუსებმა ააფეთქეს, ხოლო სახლებს ცეცხლი წაუკიდეს... ერთ დროს ლამაზი სოფელი ხალდე ნაცარტუტად იქცა... 1876 წლის 1 სექტემბრისათვის იქ ყველა 11 კოშკი და სხვა ნაგებობა ბალავრამდე დაინგრა“ (გურული, 2018: 319).

ავსტრიულ გაზეთში გამოქვეყნებულ თავის მეორე პუბლიცისტურ წერილში არტურ ზუტნერმა მკითხველის ყურადღება ზოგიერთი ქართველი და უცხოელი ავტორის მიერ ჰიპოთეტურ დონეზე გამოთქმულ მოარულ მოსაზრებასაც მიაპყრო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის – ხევსურების უცხოურ ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ზოგიერთი მათგანის აზრით, თავიანთი ეთნიკური წარმომავლობით ხევსურები ქართულ ეთნოსს არ განეკუთვნებიან და უცხო ეთნოსის (ზოგიერთის აზრით, ფრანგ, ზოგიერთებისა კი გერმანელ ჯვაროსანთა) შთამომავალნი არიან.

ამ ჰიპოთეტურ და მყარ მეცნიერულ არგუმენტებს მოკლებულ მოსაზრებას არტურ ზუტნერიც იმეორებს განხილვის საგნად ქცეულ თავის მეორე პუბლიკაციაში. კერძოდ, აი, რა ინფორმაციას აწვდის იგი ევროპელ მკითხველს ამასთან დაკავშირებით: „კავკასიაში ცხოვრობს ხალხი, რომელთა რეალური წარმომავლობის დადგენა ნამდვილად საინტერესო იქნებოდა. ესენი არიან ხევსურები... მათ შესახებ სხვადასხვა მოგზაური განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს. ქერა თმა და ცისფერი თვალები აქვთ, ტანმაღალნი, ღონიერი აგებულებისანი არიან, ნამდვილი გერმანული ტიპისა. შუა საუკუნეების ჯაჭვის პერანგი აცვიათ, ფარსა და მახვილს (ეს უკანასკნელი იარაღი აღმოსავლური არ არის, ძველგერმანული ხანჯალია) ატარებენ და ტანსაცმელზე წითელი ჯვრები აქვთ ამოქარგული...

შედარებით ადრინდელი მოგზაურები ირწმუნებიან, რომ ხევსურები იმ ძველი ჯვაროსნების შთამომავლები არიან, რომელთაგან რამდენიმე შესაძლოა კავკასიაში ჩარჩა და აქ დასახლდა. ამ

მოსაზრებას ეწინააღმდეგებიან, და, კერძოდ, იმ მიზეზით, რომ ეს ხალხი ქართულად ლაპარაკობს და მათ სასაუბრო ენაში გერმანული წარმოშობის არც ერთი სიტყვა არ გვხვდება. ტილმანი თვლის, რომ გერმანული ენა უეჭველად უნდა შემონახულიყო, რადგან, გამომდინარე იქიდან, რომ ხევსურთა საცხოვრებელი ადგილი ბარისაგან ძალიან მოწყვეტილი და მიუდგომელია, აქ ჩარჩენილ ჯვაროსნებს იშვიათად ექნებოდათ ადგილობრივებთან ურთიერთობისა და მათი ენის შეთვისების შესაძლებლობა."

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტნერი ხევსურთა ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილად არაფერს ამბობს, მისეული მონათხრობიდან მაინც აშკარად ჩანს, რომ გარკვეულწილად ისიც იზიარებს ზემოთ აღნიშნულ ჰიპოთეტურ მოსაზრებას და მის თვალსაზრისს ასეთი „არგუმენტით ასაბუთებს:" ხევსურები „მთელ ქვეყანაში ცნობილნი არიან, როგორც გონიერნი, ინტელექტუალი, გამრჯე და პატიოსანი ადამიანები (კიდევ ერთი საბუთი იმის დასტურად, რომ საერთო არაფერი აქვთ ქართლურ ტომებთან)."

სამწუხაროდ, როგორც ავტორის მიერ გაკეთებული თუნდაც ამ კომენტარიდანაც თვალნათლივ ჩანს, ქართველებისადმი ა. ზუტნერს იმხანად საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა, რაც არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქართულ ყოფასა და ადათ-ტრადიციებს ის და მისი მეუღლე ჯერ კიდევ არ იცნობდნენ საფუძვლიანად. საქართველოში ცხოვრების შემდგომ პერიოდში კი მათ არსებითად შეიცვალეს თავიანთი თვალთახედვა და გულით შეიყვარეს ჩვენი ქვეყანა. სწორედ ამგვარი რადიკალური ცვლილების ერთ-ერთ აშკარა გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ თუნდაც ის დიდმნიშვნელოვანი დამსახურება, რომელიც მათ „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ და გერმანულ ენებზე თარგმნისა და ევროპაში მისი პოპულარიზაციის საქმეში მიუძღვით.

ხევსურთა ევროპულ წარმომავლობასთან დაკავშირებით, არტურ ზუტნერის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმ დროისათვის ახალი თვალსაზრისი არ ყოფილა და ამ შეხედულებას ჰიპოთეზის დონეზე რამდენიმე ქართველი და უცხოელი მკვლევარი უჭერდა მხარს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისის არგუმენტირებულად დასამტკიცებლად, ანდა უარსაყოფად ფუნდამენტური კვლევა დღემდე არ ჩატარებულა, აღნიშნულ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით, შემდგომ პერიოდში, არაერთმა მკვლევარმა გამოთქვა როგორც მხარდამჭერი, ისე უარსაყოფი მოსაზრება.

მაგალითად, ალექსანდრე ყამარაულის აზრით, ხევსურთა წარმომავლობის შესახებ გამოთქმული ის შეხედულება, თითქოს ისინი „ჯვაროსანთა წმინდა ომებიდან დარჩენილთა შთამომავლობას წარმოადგენენ," თუნდაც იმის გამოცაა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული თვალსაზრისი, რომ „ხევსურების ენაში ჭაჭანებად არ მოიპოვება დასავლეთ ევროპის რომელიმე ეროვნების სიტყვის ძირები. ხევსურები რომ მართლაც „ჯვაროსანთა" ნაშთი ყოფილიყვნენ, ეჭვს გარეშეა, დღემდეც შეინახებოდა მათში იმ ერთა სიტყვის ძირები" (ყამარაული, 1932: 26).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს გიგი თევზაძე. კერძოდ, მისი აზრით, „პირაქეთა ხევსურეთში ფრანგული, ან ცენტრალური ევროპული წარმოშობის ხალხი ცხოვრობდა" და სწორედ „მათი აშენებულია" ამ რეგიონში არსებული ციხეები. თუმცა, მკვლევრის ხაზგასმით, „ყველა ეს ვარაუდი ვარაუდად და გაუმყარებელ ჰიპოთეზად დარჩება, თუკი არ ვიპოვით რაიმეს XIV-XV საუკუნეების ევროპულ ისტორიაში, რომელიც ასეთი მოცულობის ფინანსური და ადამიანური დრეიფის შესაძლებლობაზე მიგვითითებს."

ხევსურეთში ევროპელ ხალხთა წარმომადგენლების შესაძლო დამკვიდრებასთან დაკავშირებით მკვლევარს იქვე მეორე ვერსიაც აქვს დამოწმებული, რომლის მომხრენიც ამ მოვლენას დავით აღმაშენებლის მიერ გადახდილ დიდგორის ომში ჯვაროსანი რაინდების მონაწილეობას უკავშირებენ და მიიჩნევენ, რომ ხევსურები საცხოვრებლად საქართველოში დარჩენილი მათი ერთი ნაწილის შთამომავალნი არიან. გ. თევზაძის აზრით, „მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ევროპიდან მეომრების დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობა სათუო არაა, საქართველოში მათ დარჩენაზე ის წყაროებიც არ გვიყვებიან, რომლებიც მათი ბრძოლაში მონაწილეობის ამბავს ჰყვებიან" (თევზაძე გ. ტაძრის რაინდების უკანასკნელი საცხოვრებელი. იხ: https://www.criticallog.org/post/).

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი განხილვა არსებითად ცილდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს, მასზე მსჯელობას მეტად აღარ გავაგრძელებ და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ზემოთ ნახსენები თავისი მოსაზრების დაფიქსირებით არტურ ზუტნერიც გამოეხმაურა ხევსურების ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებულ ამ პრობლემურ საკითხს.

არტურ ზუტნერის განსახილველი წერილების გაანალიზების დროს, ავტორისეული თვალთახედვის მკაფიოდ წარმომჩენ ერთ საგულისხმო ტენდენციასაც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება – რუსებთან შედარებით თურქებისადმი მის რამდენადმე ლოიალურ დამოკიდებულებას. მიუხედავად მწერლის პრორუსული პოზიციისა, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ა. ზუტნერის პუბლიკაციათა ცალკეულ ეპიზოდებში მეტ-ნაკლები სიცხადით ისიც ვლინდება, თურქი სამხედრო მაღალჩინოსნებიცა და მებრძოლებიც იმხანად მიმდინარე საომარ ბატალიებში უფრო მეტ ჰუმანიზმს რომ იჩენდნენ მოწინააღმდეგის მიმართ, ვიდრე რუსები.

მაგალითად, აი, რას წერს ა. ზუტნერი ამასთან დაკავშირებით თავის მეორე წერილში: „სხვათა შორის დაიწყო თურქების, როგორც მეტად პატივსაცემი მტრის, აღქმა. რადგან, გარდა იმისა, რომ ისინი კარგად იბრძვიან, დაჭრილი რუსი ჯარისკაცები ხშირად ჰყვებიან, თურქები არც ისეთი სისხლმოწყურებულები ჩანან, როგორც გვიმტკიცებდნენ, და ამასთანავე, არცთუ იშვიათი ყოფილა შემთხვევა, როცა თურქ ჯარისკაცს დაჭრილი მტრისათვის არათუ თავი არ წაუჭრია, ან რაიმე სხვა გზით სიკვდილი მოუსწრაფებია, არამედ ადამიანური სიყვარულითა და თავგანწირვით საველე ლაზარეთამდეც კი მიუყვანიაო."

როგორც ითქვა, ბერტა და არტურ ზუტნერები რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობას მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო კი არ ადევნებდნენ თვალს, არამედ თავიანთ თავს ამ ტრაგიკული მოვლენის თანამონაწილეებადაც მიიჩნევდნენ. უფრო მეტიც, მათ ისიც კი სცადეს რეალურად, პიროვნული მონაწილეობაც რომ მიეღოთ ამ ომში. ამის შესახებ მეტად საინტერესოდ აქვს მოთხრობილი ბერტა ფონ ზუტნერს თავის მოგონებათა წიგნში.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ნარატივიდან: „ჩვენ რადგანაც ამ მოვლენის შუაგულში აღმოვჩნდით,... გვსურდა რაიმე სარგებლობა მოგვეტანა და გუბერნატორს, თავად მირსკის შევთავაზეთ ჩვენი თავი. მოხალისე სანიტრებად გვინდოდა ფრონტზე წასვლა. მაგრამ ასეთი პირობა წამოვაყენეთ: ორივენი ერთსა და იმავე ადგილას... გავემწესებინეთ სამუშაოდ. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა: შესაძლებელი იყო მხოლოდ არტურისა და ჩემი სხვადასხვა ადგილას გამოყენება. ამიტომ ჩვენი განცხადება უკანვე გამოვიტანეთ.

ჩვენ ერთმანეთს ვერ დავშორდებოდით“ (ზუტნერი, 1999: 63).

როგორც ითქვა, რუსეთ-თურქეთის ამ ომში ზუტნერები აშკარად და ერთმნიშვნელოვნად უჭერდნენ მხარს რუსეთს. მათი ამგვარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პირველ ყოვლისა, ბალკანეთში მცხოვრები სლავებისადმი მათი დიდი თანაგრძნობით იყო განპირობებული. კერძოდ, აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ბერტა ფონ ზუტნერი: „ჩვენი სიმპათიები ამ ომში რუსების მხარეს იყო. საკითხი ეხებოდა სლავი ძმების განთავისუფლებას. ეს იყო ჩვენ გარშემო გავრცელებული თავისებური ლოზუნგი და ჩვენ გვჯეროდა მისი“ (ზუტნერი, 1999: 63).

აღნიშნული გარემოების ხაზგასმასთან ერთად, ზუტნერების იმდროინდელი პოლიტიკური თვალთახედვის შეფასების დროს, აქ ერთ მნიშვნელოვან მოვლენასაც მინდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება: მიუხედავად იმ დიდი პატივისცემისა და გულწრფელი სიყვარულისა, რომელსაც ისინი ჩვენი ქვეყნისა და ქართველებისადმი ავლენდნენ, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მათ პუბლიკაციებში მთლიანად დარჩა ყურადღება მიუქცეველი ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის ის პატრიოტული აღმაფრენა, რაც ზემოთ ხსენებულ ომში მოპოვებული გამარჯვების შედეგად ოსმალეთის იმპერიის მიერ მისაკუთრებული ქართული ტერიტორიების დედასამშობლოსთან კვლავაც შემოერთების მოლოდინითა და ამ მოლოდინის რეალობად ქცევით იყო განპირობებული.

მაგალითად, ხსენებულ ომთან დაკავშირებული ამბების მოთხრობის დროს, ბერტა ფონ ზუტნერი აღნიშნული პრობლემის შესახებ არც პირადად მისი და მისი მეუღლის დამოკიდებულების შესახებ გვაწვდის რაიმე ინფორმაციას და არც იმ დიდ მოლოდინს მიაპყრობს ყურადღებას, რასაც ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ხსენებულ ომში რუსეთის გამარჯვებას უკავშირებდა. მაგალითად, აი, როგორ აღწერდა იგი ქუთაისის ბულვარში ქუთათური ქალების მიერ ჩვენი მებრძოლების მხარდასაჭერად გამართულ ერთ-ერთ წარმოდგენას, რომელშიც მასაც მიუღია მონაწილეობა:

“ჩემდა თავად მე, რადგან დაჭრილების მოვლა არ შემეძლო, ბევრითად ვმონაწილეობდი ქუთათური ქალების მიერ გამართულ წარმოდგენებში. მე მაგონდება ერთი საღამო, რომელიც გაიმართა ბაღში, ქუთათურები „ბულვარს“ რომ ეძახიან. ბაღი

ქალაქის შუაგულში მდებარეობს, ხეებით დაბურული სასეირნო ადგილია. უამრავი ხალხი შეიკრიბა. ბაღი გაჩახჩახებული იყო ლამპიონებით. უკრავდა ორკესტრი... იდგა ნივთების ლოტერიის ჯიხურები. ორ ხეს შორის ჩამოკიდებული იყო მძაფრად განათებული დიდი სურათი, რომელიც გამოსახავდა ბრძოლის ველის გულისამაჩუყებელ სცენას. წინა პლანზე ეხატა ლამაზი რუსი მოწყალების და, ღაწვები ცრემლებით ჰქონდა დასველებული, სათნოდ დახრილიყო დაჭრილი თურქი ჯარისკაცის თავთან და ცდილობდა მისი თავი წამოეწია, რათა მისთვის ბალზამი მიეწოდებინა. უკანა პლანზე მოჩანდა კარავი, საფანტის ბოლი, მკვდარი ცხენები და ფეთქებადი ნაღმები... სურათის წინ მდგარს მეც გადმომვარდა ცრემლი; ლოტერიის ჯიხურთან ჩემი ქისა დავაცარიელე და მოვიგე თიხის ლარნაკი, რომელიც ისევ გავათამაშე – თან ვფიქრობდი, რომ ბალკანური ტრაგედიის წინაშე ჩემს ვალს ვიხდიდი“ (ზუტნერი, 1999: 65).

ვფიქრობ, ქართველი მკითხველი დამოწმებული ფრაგმენტითაც ერთმნიშვნელოვნად დარწმუნდება იმაში, რომ საქართველოში ცხოვრების მიუხედავად, ავსტრიელი მწერლისათვის იმხანად სრულიად შეუცნობი და გაუაზრებელი დარჩა იმ უდიდესი ეროვნული მოლოდინის არსი, რასაც ქართველი ხალხი ამ ომში რუსეთის გამარჯვებას უკავშირებდა. მიუხედავად მძაფრად გამოხატული იმ ანტიოსმალური სულისკვეთებისა, რასაც ბ. ზუტნერი ბალკანელი სლავების მძიმე ხვედრზე მსჯელობის დროს თუნდაც დამოწმებულ ფრაგმენტში გამოხატავს, მას ერთი თანამგრძნობი სიტყვაც კი არ წამოცდენია იმ ხალხის ეროვნულ ტრაგედიაზე, რომლის სამშობლოს მნიშვნელოვანი ნაწილის მკვიდრი მოსახლეობა სამასზე მეტი წლის განმავლობაში გმინავდა ოსმალეთის იმპერიის კირთებქვეშ.

აღნიშნულ მოვლენას ესოდენ დიდი ყურადღება აქ იმიტომაც მივაქციე, რომ ეს ტენდენცია არტურ ზუტნერის სარეცენზიო სტატიებშიც ვლინდება გარკვეულწილად; კერძოდ, ომის დროინდელი მოვლენების აღწერის დროს, ავტორი აშკარად გამოხატული ნეგატიური სახით წარმოაჩენს იმ ქაოსსა და სრულ უწესრიგობას, რომელიც, მისი შეფასებით, რუსეთის ჯარსა და საბრძოლო ეპიცენტრებში იყო ფართოდ დამკვიდრებული. ავტორისეული მონათხრობის მიხედვით, აღნიშნული თვალსაზრისით, გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა თურქული მხარე.

ა. ზუტნერის ინფორმაციით, რუსული მხარის საბრძოლო შენაერთებში წესრიგი და დისციპლინა ყველა დონეზე იმდენადაც კი იყო მოშლილი, რომ ნებისმიერ პირს შეეძლო თავისი მოვალეობის შესრულებაზე სურვილისამებრ ეთქვა უარი, თავისი ნაწილი უპრობლემოდ მიეტოვებინა და სადაც უნდოდა, იქ წასულიყო. აქედან გამომდინარე, თურქული შეიარაღებული ნაწილები რუსულ არმიას, სურვილის შემთხვევაში, ისე იოლად დაამარცხებდნენ, რომ ქუთაისამდეც კი მოაღწევდნენ უპრობლემოდ. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ავტორისეული ნარატივიდან:

„ომი თანდათანობით ისეთ მშვიდ მიმართულებას იღებს, რომ, ალბათ, არაერთი ბატონი კომენდანტი დაემშვიდობება საკუთარ კორპუსს განუსაზღვრელი დროით. ზოგიერთი მათგანი ქუთაისში დაიდებს ბინას, სხვები სოფლის სამფლობელოებს მიაშურებენ და საკუთარი მეცხვარეობის კონტროლზე თვითონვე იზრუნებენ. გამოჩნდება მათ შორის ისეთიც, სოხუმთან დაფნის ტოტის მოჭრა რომ სურდა და ვერ მოახერხა, რადგან დანა არ აღმოაჩნდა თან, ახლა კი შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, ფაეტონში გამოჯგიმული ივლის და ალბათ იამაყებს თავისი წილი საქმის გაუკეთებლობის გამო. მოკლედ რომ ვთქვათ, საკმაოდ მშვიდი სიტუაციაა...

მტერი არც ისე შორსაა, თუ მოინდომებს, 24 საათში მოახერხებს ქუთაისში ჩამოსვლას. ნაწილობრივ იარაღდება კიდეც ხალხი, ყოველი შემთხვევისათვის, მზად რომ იყოს გასაქცევად.“

ჩემი აზრით, რუსულ არმიაში იმხანად არსებული რეალობის ასეთი სახით წარმოჩენა არსებითად განაპირობა იმ წარუმატებელმა საომარმა ოპერაციებმა, რის შედეგადაც კავკასიის რამდენიმე საომარ ლოკაციაზე რუსები იძულებული გახდნენ პოზიციები დაეთმოთ და უკან დაეხიათ. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მკვეთრად ნეგატიური ის დამოკიდებულება, რომელსაც ა. ზუტნერი ამ რეალობას წარმოჩენის დროს გამოხატავდა საკმაოდ ჰიპერბოლიზებული ფორმით, უპირველეს ყოვლისა, იმ წარუმატებელი საომარი ოპერაციებით იყო განპირობებული, რაც რუსულმა სამხედრო დანაყოფებმა განიცადეს ციხისძირთან და მუხაესტატესთან გამართულ საბრძოლო დაპირისპირებებში 1877 წლის ივნის-ივლისში.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ განსახილველი წერილებისათვის მკაფიოდ დამახასიათებელ ერთ ტენდენციასაც მინდა

მივაქციო ყურადღება – ქართველებისა და, საერთოდ, კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხებისადმი მწერლის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას. ამ შემთხვევაში მეტად გულსატკენიცაა და ეროვნულად შეურაცხმყოფელიც უაღრესად ცალმხრივი და ჰიპერბოლიზებურად ტენდენციური ის კრიტიკული პოზიცია, რომელსაც მწერალი ხსენებული ხალხებისთვის დამახასიათებელი თითქოსდა უარყოფითი მხარეების მხილების დროს ავლენს ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე.

კერძოდ, ა. ზუტნერის ხსენებულ პუბლიკაციებში სწორედ ამგვარი კრიტიკისა და ირონიზებული დამოკიდებულების საგნადაა ქცეული აქაურების ენაცა და ადათ-ტრადიციებიც. ადგილობრივი მოსახლეობისადმი მის ამგვარ ნეგატიურ დამოკიდებულებას იგი მეტ სიმწვავეს იმითაც სძენს, რომ ამ ხალხთა წარმომადგენლებისათვის ფართოდ დამახასიათებელ თვისებად ათასგვარ მანკიერებასა და ველურ ნიშან-თვისებას მიიჩნევს.

მაგალითად, ა. ზუტნერის ხაზგასმით, „კაცთმოყვარე ადგილობრივები" გაცილებით სახიფათონი არიან, ვიდრე ამ ქვეყნის დასაპყრობად მოსული თურქი მებრძოლები. ისინი „საცოდავ ლტოლვილებს უკაცრიელ ბილიკებზე უსაფრთებიან, თავს ესხმიან და კისერს აჭრიან, რათა მერე ვაი-ვიშით გაავრცელონ ცნობა, თითქოს თურქებმა ისევ უმოწყალოდ დახოცეს მრავალი უბედური დევნილი."

ქართველთა ყოფისთვის დამახასიათებელ ნეგატივად ა. ზუტნერმა ქართული მწვადიც მიიჩნია და მის მიერ „გულისამრევ საჭმელად" შეფასებული ეს „ეროვნული კერძი" (მისი სიტყვებია) ასე წარუდგინა ავსტრიელ მკითხველს: „რამდენიმე ქუთაისელმა მოქალაქემ ღვინით სავსე ტიკები გამოიტანა, სასმელზე მისაყოლებლად კი სახელდახელოდ მომზადდა ეროვნული კერძი „შაშლიკი." ეს გახლავთ შამფურზე შემწვარი ცხვრის დუმისა და ცხვრისავე თირკმლის ნაჭრები. ამ გულისამრევ საჭმელს მხოლოდ ალექსანდრე დიუმა (მამა) მოიხსენიებს აღფრთოვანებით, რომელსაც განურჩევლად ხიბლავდა ყველაფერი კავკასიური."

სამწუხაროდ, ა. ზუტნერის კრიტიკული თვალთახედვის არეში მის მიერ ქართველთა პოპულარულ თამაშად მიჩნეული ლელობურთიც მოექცა. ამ სპორტული შერკინების დახასიათების დროს იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მისთვის თითქოსდა ფართოდ დამახასიათებელ ნეგატიურ მხარეზე ამახვილებს და ამასთან

დაკავშირებით მკითხველს ასეთ ინფორმაციას აწვდის: „რამდენიმე წლის წინათ ეს თამაში ერთადერთ საკვირაო გასართობს წარმოადგენდა აქაურებისთვის... ამიტომაც, ბოლო ხანს გახშირებული უბედური შემთხვევების გამო (რამდენიმე კაცი გაიგუდა, არაერთმა ვითარება პირადი შურისძიების აღსასრულებლად გამოიყენა, ზედახორისას შეუმჩნევლად იხმარა დანა და ერთი მალული დარტყმით განზრახვა სისრულეში მოიყვანა), ქუთაისის მოსახლეობას მკაცრად აეკრძალა ეს თამაში."

როგორც განსახილველი სტატიებიდან თვალნათლივ ჩანს, ა. ზუტნერს იმხანად არც ქართულ-კავკასიური ცეკვა მოსწონდა და მას ჰიპერბოლურად ნეგატიური სახით ამგვარად უხასიათებდა უცხოელ მკითხველს: „ვახშმის შემდგომ საბრძოლო ცეკვა შესრულდა... ახლად ჩამოსული უცხოელი, რომელიც საკუთარი თვალით ნახავს ამ ცეკვას, ამ შმაგ და კომიკურ ნახტომებს, საკუთარი ყურით მოისმენს ამ შეძახილებს, ტურის კივილის თუ მგლის ყმუილის მსგავსად შემზარავს, უთუოდ იფიქრებს, აქ კუდიანთა შაბაშიაო."

სამწუხაროდ, საქართველოში ცხოვრების პირველ წლებში ქართულ-კავკასიურ ეთნოსთა ყოფისა და ადათ-ტრადიციებისადმი მკვეთრად ნეგატიური ამგვარი დამოკიდებულება არტურ ზუტნერმა აქაურთა ენებისადმიც გამოხატა. მაგალითად, აი, როგორ ახასიათებს იგი ქართული ენის ბგერით სტრუქტურასა და აკუსტიკურ ჟღერადობას: „ქართულ ენაში წინა პლანზე გამოდის თავისებური, ჩხავანა ბგერები, გეგონებათ, რამდენიმე ყვავ-ყორანი გაცხარებით ესაუბრებაო ერთმანეთს."

ანალოგიურ შეფასებას აძლევს იგი აფხაზურ ენასაც და ამბობს, რომ ამ ენის მეშვეობით „მთელი წინადადებები „სტვენით" გადმოიცემა."

როგორც არტურ ზუტნერის ცხოვრების ქართული პერიოდიდან ვგებულობთ, ქართულ-კავკასიური ენებისადმი მისი ამგვარი დამოკიდებულება სულ მალე რადიკალურად შეიცვალა და მან და მისმა მეუღლემ არა მარტო ქართული ენის შესასწავლად გადადგეს რეალური ნაბიჯი, არამედ „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ და გერმანულ ენებზე სათარგმნელადაც და ევროპელთათვის ამ პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისთვის ყურადღების მისაპყრობადაც გააკეთეს ბევრი რამ.

თუმცა ეს ყველაფერი მოგვიანებით მოხდა, საქართველოში ზუტნერების ცხოვრების ბოლო წლებში, განსახილველი სტატი-

ების დაწერის დროს კი ქართულ-კავკასიური რეალობისადმი მწერალს ტენდენციურად ნეგატიური დამოკიდებულება რომ ჰქონდა, ამის ნათელსაყოფად ქვემოთ კიდევ დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციებიდან.

ა. ზუტნერის კრიტიკული შეფასების საგნად მის მიერ რამდენადმე გაშარჟებულად ინტერპრეტირებული და ხაზგასმულად ჰიპერბოლიზებული ფორმით განმარტებული ისეთი გამოთქმებიც იქცა, რომელთაც მოუბარი პირი თანამოსაუბრისადმი თავისი პატივისმცემლური დამოკიდებულების გამოსახატავად იყენებს.

მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს იგი ქართულ მეტყველებაში ფართოდ დამკვიდრებული სიტყვიერი კომუნიკაციის ამგვარ ფორმებს: „აქაურებს საშინელი ჩვევა აქვთ. კერძოდ, სრულიად უმნიშვნელო რამეზეც კი იფიცებენ. შედეგი ისაა, რომ ყველაზე დიდ ტყუილზე ყველაზე წმინდა ფიცის დადება უწევთ. მაგ., ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ თქვან: „მცხელა!“ ასე იტყვიან: „ჩემი მშობლების თავს გეფიცები, ათი თაობა შთამომავლობა არ მეღირსოს, თუ საშინლად არ მცხელოდეს!“ გარდა ამისა, ვიდრე ნებისმიერ – თუნდაც უმცირესს – თხოვნას წარმოთქვამდნენ, შორიდან მოუვლიან და იმით დაიწყებენ, რომ საკუთარ თავს უსურვებენ ყველანაირ დაავადებას, რაც კი შეიძლება ოდესმე დაემართოს იმას, ვისაც დახმარების სათხოვნელად მიმართავენ. არასოდეს ამბობენ: „თუ შეიძლება მომაწოდე ერთი ჭიქა წყალი!“ როგორც წესი, სათქმელს ასე იწყებენ: „შენი ჭირი, ყვავილი, ქოლერა და ა. შ. შემეყაროს, ერთი ჭიქა წყალი დამალევინე!“ წინა სიტყვები სათქმელისა ჩვეულებრივ ასეთია: „შენი ჭირიმე!“ (შენი ჭირი ჩემზე გადმოვიდეს)“.

მკითხველის იმაში დასარწმუნებლად, აქაურთა ცხოვრების წესი ევროპული რეალობისაგან მკვეთრად განსხვავებული რომ იყო, ა. ზუტნერი აბრაგობის მაგალითსაც იშველიებს და ამ მოვლენას სისასტიკით გამორჩეულ უბედურებად მიიჩნევს. იგი არც ამჯერად არღვევს მოვლენათა ჰიპერბოლიზებულად წარმოჩენის მისეულ წესს და საზოგადოებასა და აბრაგთა შორის არსებულ დაპირისპირებას ასეთ შეფასებას აძლევს:

აბრაგთა „სექტის“ „წევრები ანუ მოკავშირეები ბავშვობიდან შეფიცულნი იყვნენ სიკვდილზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ, ნებისმიერი, ვინც მათ სექტას არ მიეკუთვნებოდა, მოეკლათ, და, ამავე დროს თავადაც ეძებნათ სიკვდილი.

ამგვარად, უწინ არცთუ იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ცალკეული აბრაგი ყველაზე ხალხმრავალ გზაზე გამოიჭრებოდა, მარცხნივ და მარჯვნივ სროლას ასტეხდა და ყველას განურჩევლად ხოცავდა, ვინც კი წინ შემოეყრებოდა, იქამდე, ვიდრე თავადვე არ გაკოჭავდნენ, ასობით როზქვეშ სულს ამოხდიდნენ და ხორცს ნაფლეთებად უქცევდნენ. ბუნებრივია, აბრაგებს, სადაც კი წაეწეოდნენ, ცოფიანი ძაღლებივით ხოცავდნენ, თითქმის სრულად ამოწყვიტეს."

ვფიქრობ, ქართველი მკითხველი უკომენტაროდაც დამეთანხმება იმაში, აბრაგობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის არც ერთ ეტაპზე რომ არ ქცეულა ფართო მასშტაბების მომცველ ასეთ მოვლენად. იქიდან გამომდინარე, რომ ტყეში გავარდნილ აბრაგთა უმეტესობა ჩვენი საზოგადოების მიერ, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისეული უსამართლობისა და რუსეთის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ სახალხო გმირებად იყო მიჩნეული და არა ხალხის უსამართლოდ მძარცველად და მკვლელად, მათსა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორის ზუტნერის მიერ ხაზგასმით აღნიშნულ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას ფაქტობრივად არასოდეს ჰქონია ადგილი.

საბედნიეროდ, ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხებისადმი მეტად ნეგატიური და რეალურ საფუძველს მოკლებული ამგვარი დამოკიდებულება არტურ ზუტნერმა სულ მალე ისე მკვეთრად და არსებითად შეიცვალა, რომ ქართულ-კავკასიური ყოფა მთელი მისი შემოქმედების უმთავრეს თემად იქცა. სწორედ ამ მოვლენის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მის რომანებსა და მოთხრობებში რომანტიზებული სახით წარმოისახა ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხთა ისტორიული და თანადროული ყოფა-ცხოვრება, ადათ-ტრადიციები და ეროვნული ღირსებები.

არტურ ზუტნერის პუბლიკაციები მისი დროის ქართულ პრესაში

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული თემატიკა არტურ ზუტნერის მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედების უმთავრეს თემად საქართველოში მისი ცხოვრების დროიდანვე დამკვიდრდა, იმ პერიოდის ქართულ პრესაში საკუთრივ ზუტნერის ავტორობით ფაქტობრივად მხოლოდ ერთი, რუსთველოლოგიური ნარკვევი, გამოქვეყნდა. როგორც ცნობილია, ხსენებული პუბლიკაცია თბილისში გამომავალ რუსულენოვან გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილი ნაშრომის ქართულ თარგმანს წარმოადგენდა.

რაც შეეხება ა. ზუტნერის პუბლიცისტურ წერილებს, რომლებშიც მწერალი მისეული თვალთახედვით აანალიზებდა და სათანადო შეფასებებს აძლევდა ქართულ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მწერალი მათ ავსტრიაში აგზავნიდა და იქ გამომავალი პრესის ფურცლებზე აქვეყნებდა. ხსენებულ სტატიებში ავტორი ცდილობდა ევროპელი მკითხველისათვის არა მარტო პოზიტიური მხრიდან დაენახვებინა აქ არსებული რეალობა, არამედ კრიტიკული თვალთახედვითაც ემხილებინა ამ რეალობისთვის დამახასიათებელი ნეგატიური მხარეები.

ა. ზუტნერის ამ ტექსტებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ ამ მანკიერებათა მამხილებლის როლში ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებული ის პიროვნება გამოდიოდა, რომელიც თავისი ამ პუბლიკაციებით აქტიურად ცდილობდა ქართული საზოგადოების ცნობიერებაში შეძლებისდაგვარად გაემძაფრებინა მის მიერ მხილების საგნად ქცეულ მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება.

სამწუხაროდ, არტურ ზუტნერის მიერ გერმანულ პრესაში გამოქვეყნებულ ამ პუბლიკაციათაგან ქართულ პრესაში მხოლოდ რამდენიმე წერილის ზოგადი მიმოხილვა და ანოტაციაა დაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, მკითხველს მათი მეშვეობით მაინც ეძლევა შესაძლებლობა იმისა, სათანადო შეფასება რომ მისცეს იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ხსენებული ტექსტების ავტორი აძლევდა ქართული რეალობის როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ მხარეებს.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად, განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო „დროების“ 1884 წლის 28 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს, რომლითაც რედაქციამ თავიანთ მკითხველებს შემდეგნაირად წარუდგინა ავსტრიულ გაზეთში საქართველოსთან დაკავშირებით გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის უცხოელი ავტორი: „ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენში სცხოვრობს ერთი ავსტრიელი, რომლის სახელიც ხშირად იყო ნახსენები ჩვენს გაზეთში და რომლის წერილებსაც „ვეფხის-ტყაოსანზედ“ „დროების“ მკითხველები, უეჭველია, წაიკითხავდენ. ეს ლიტერატორი დროგამოშვებით ბეჭდავს თავის ფელეტონებს ვენის ერთ გავლენიანს გაზეთს „Presse“-ში, რომელიც სამინისტროს ორგანოდ ითვლება. ერთი ამ ფელეტონთაგანი (#332) ეხლა წინ გვიდევს და იქნება საყურადღებო იყოს მისი წაკითხვა ჩვენი მკითხველისათვის, რადგან ავტორი სხვა-და-სხვა კომპლიმენტებს შორის ბევრ მწარე სიმართლესაც გვეუბნება“ („დროება,“ 1884 წ. 28 დეკ. #279).

როგორც გაზეთ „დროების“ პუბლიკაციიდან თვალნათლივ ჩანს, არტურ ზუტნერის კრიტიკის უმთავრეს ობიექტად, პირველ ყოვლისა, ქართველი არისტოკრატიული საზოგადოების ის წარმომადგენლები იყვნენ ქცეულნი, რომლებიც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ახალი რეალობის შედეგად, ეროვნული გადაგვარების გზაზე იდგნენ. იმისათვის, რომ საზოგადოების ამ ნაწილის ეროვნული ცნობიერების ამგვარ ტრანსფორმირებასთან დაკავშირებით გამოთქმულ ამ შენიშვნას მეტი სიმძაფრე შესძინოს, ა. ზუტნერი რუსული მმართველობის დროინდელ ქართულ ყოფას მანამდელი პერიოდის ისტორიულ რეალობასთან შეპირისპირებული ფორმით გამოხატავს.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა პუბლიკაციის ის ადგილები, სადაც ავტორი თბილისის ისტორიის ფრაგმენტულ ეპიზოდებსაც იხსენებს და მკითხველს არქიტექტურული იერსახით გამორჩეული მისი ღირსშესანიშნაობების შესახებაც გვაწვდის ღრმად შთამბეჭდავ ინფორმაციას.

მაგალითად: „წყლის სანაპიროდამ, სადაც ჩვენ ვდგავართ, მოჩანს ტერასობრივი ნაშენობა თბილისისა. სახლები ერთი-ერთმანეთზედ ამაღლებულან და სალს კლდეებს მიჰკვრიან. აქა-იქ შავი წერტილები მოჩანს, თითქოს ნახატზედ მელანი დაუღვრიათო.

ზოგან დედამიწაზედ გაირბენს ჩრდილი ღრუბლებისა, რომელნიც მთვარისა და დედამიწის შუა დასცურავენ. აი, კიდევ ბრწყინვალე ადგილები, გუმბათები ეკლესიისა, გარშემო მდებარე შენობების თავს დამცქერნი. მათი ჯვრები, მთვარისაგან გაბრწყინებულნი, ნათლად მოჩანან ბნელს ალაგზედ. სწორედ თავისებური ხასიათი ატყვია ამ მძინარე ქალაქს. ვინ იცის, რამდენს ამბებით მდიდარს საუკუნეს გადუვლია მის თავზედ იმ დღიდამ, როდესაც „მგელლომმა“ (გურგ-ასლანმა) გადასწყვიტა აქ ქალაქის აშენება.“

არტურ ზუტნერი გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და ქართველ დიდგვაროვანთა დიდი ნაწილი არა მარტო ეკონომიკურად გაღარიბდა, არამედ ეროვნული გადაგვარების გზასაც დაადგა. მისი შეფასებით, მართალია, „ეხლანდელი თბილისი გარეგანის მხრით“ მნახველზე უკვე ევროპული ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენდა, მისი დიდგვაროვანი მოსახლეობა კი „ძალიან მცირეთი-ღა განსხვავდებოდა ევროპიული საზოგადოებისაგან,“ მაგრამ მათი დიდი ნაწილის ცნობიერება აშკარად იყო მონყვეტილი ეროვნულ წიაღს.

არტურ ზუტნერი არა მარტო ზოგადად გამოხატავს ამ სამწუხარო მოვლენასთან დაკავშირებულ თავის გულისტკივილს, არამედ კონკრეტული არგუმენტებიც მოაქვს ნათქვამის ნათელსაყოფად. მაგალითად, აი, როგორ აღწერს იგი იმ მდგომარეობას, რომელიც „საუკეთესო ქართველი საზოგადოების“ თავშეყრის პრესტიჟულ ადგილად ქცეულ ერთ-ერთ სალონში არსებობდა იმხანად: „აქ მეფობს ფრაკი და მუნდირი. ძვირად თუ შეხვდებით ნაციონალურ ტანისამოსს და ეს სასიამოვნო ამბავი არ არის. მართლაც ქართველს უხდება მისი მშვენიერი და მოხდენილი ტანისამოსი, მაგრამ იმდენადვე უშნოდ გამოსჩანს იგი შავს მერცხლის ბოლოს მიმსგავსებულს ფრაკში. ეგ უგემური ტანისამოსი ჩვენის საუკუნესი სრულიად არ უხდება აქაურ ტიპს“ („დროება,“ 1884 წ. 28 დეკ. #279).

ა. ზუტნერის ხაზგასმით, იმდროინდელი თბილისის არისტოკრატიული საზოგადოებიდან „მხოლოდ ზოგიერთებსა ჰქონდათ იმდენი ზნეობრივი ძალა, ფრანცუზული მოდებისათვის რომ არ მიეხედათ და თავიანთი მამაპაპური ტანისამოსი დაეცვათ უცხო ქვეყნელი ტანისამოსის მიერ დაჩაგვრისაგან. მაგრამ ისედაც მცირე მათი რიცხვი თან-და-თანობით უფრო და უფრო მცირდებოდა“ („დროება,“ 1884 წ. 28 დეკ. #279).

ეს რაც შეეხებოდა თბილისის „არისტოკრატიული საზოგადოების" უმეტესობის ჩაცმულობას. აღნიშნული გარემოებით განპირობებულ უკმაყოფილებას ჩვენი ქვეყნის ავსტრიელ გულშემატკივარს კიდევ უფრო უმძაფრებდა ის ამბავი, რომ ხსენებულ სალონსა და მის მსგავს სხვა პრესტიჟულ ადგილებში შეკრებილი ის ადამიანები, რომელნიც თავიანთ თავს ერის ნაღებ საზოგადოებად მიიჩნევდნენ, ფაქტობრივად ეროვნული გადაგვარების გზაზე დამდგარი პიროვნებანი იყვნენ.

აი, როგორ შეფასებას აძლევს ა. ზუტნერი აღნიშნულ მოვლენას: „მართლა კი მხიარულობენ ამ შეკრებილობებში? – რასაკვირველია, მხიარულობენ ისე, როგორც მხიარულობენ ამისთანა საღამოებზედ ვენაში და პეტერბურგში: სმენ ჩაის, ლაპარაკობენ ფრანციზულად, რუსულად, ხან-და-ხან ნემეცურადაც, მაგრამ ქართულად კი ნაკლებ. მშვენიერსა და სურათებით სავსე ენას რუსთაველისას ეხლანდელი ჩამომავლობა აღარა სწყალობს" („დროება," 1884 წ. 28 დეკ. #279).

არტურ ზუტნერის კრიტიკის საგნად ქართული ნადიმისთვის თანამდევი მანკიერებანიც იქცა. ჩვენი ქვეყნის უცხოელი მეგობრის ხაზგასმით, ამგვარ მანკიერებათაგან დაზღვეული ქართული სუფრის არც ის მონაწილენი იყვნენ, რომელთა შეკრების უმთავრეს მიზანს ეროვნულად მნიშვნელოვანი ამა თუ იმ საქმის მოგვარება წარმოადგენდა.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „ახლა შევიდეთ მეორე ყრილობაზედ დასასწრებლად ერთს მოქალაქის სახლში, სადაც შედარებით შესანიშნავს საქმეზედ იქნება ლაპარაკი, სახელდობრ რუსთაველის გამოჩენილის პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" მდიდრულს გამოცემაზედ სურათებით. ერთის, თავისი ქვეყნის ნამდვილი შვილის ბ. ქართველიშვილის მეოხებით აიწყო ეს საქმე და შესრულებაც მალე ეღირსება, რადგან მან ამ საქმისათვის უხვად, ათას თუმნამდე ფული გადასდო.

ბაასი გაიმართა ფრიად პატივცემულ პოეტის თავად ილია ჭავჭავაძის თავს-მჯდომარეობით და დიდხანს არ გასტანა. უმთავრეს მუხლებზედ მალე შეთანხმდნენ და ეხლა ამ საქმის მოთავემ ბ. ქართველიშვილმა მიგვიწვია მსუბუქ სამხარზედ, რომელიც სრულს ვახშმად გადაიქცა. მხოლოდ ეხლა იჩინა თავი ძველმა ქართულმა ჩვეულებამ: ენა ყველას ადვილად გაეხსნა და ლაპარაკი ისე გაჩაღდა, როგორც ცეცხლის ალი მხიარულს ბუხარში.

ტოლუმბაში სვინდისიანად ასრულებდა თავის მოვალეობას და ყველა იქ მყოფის სადღეგრძელოს გულიანად სვამდა... მაგრამ იგი ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რადგან წესი სმის დროს ქართველებში სასტიკად უნდა იქნეს დაცული... ამას თუ დავუმატებთ, რომ ყველას სადღეგრძელო უნდა დაიცალოს, ადვილი წარმოსადგენია, თუ ამ სმას რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს" („დროება," 1884 წ. 28 დეკ. #279).

არტურ ზუტნერის ხსენებული პუბლიკაციის დაწერის უმთავრეს მიზანს, პირველ ყოვლისა, რუსული მმართველობის დროინდელ საქართველოში შექმნილი ახალი რეალობით განპირობებული გულისტკივილის გამოხატვა რომ წარმოადგენდა, ამას ავტორისეული ტექსტიდან დამოწმებული ეს ფრაგმენტიც ნათლად ადასტურებს:„განა ეს ისევ ის ხალხია, რომელიც ხმლით ხელში მიდიოდა დასაძინებლად და ელოდა, რომ მტრის კიჟინა ტკბილს სიზმრებს დაუფრთხობდა? ეხლა იმათ დამშვიდებულებს სძინავთ, უზრუნველად, იქნებ მეტისმეტად უზრუნველადაც, რადგან არა ჰფიქრობენ მასზედ, მეორე დღე რას უმზადებს. ეს არის უმთავრესი თვისება ეხლანდელებისა, უზრუნველობა თითქმის სიმსუბუქემდე მიდის...

ბევრი მათგანი, ისტორიულის გვარის ჩამომავლობისანნი, რადგან უკეთესი საქმე არ ჩავარდნიათ ხელში, ემსახურებიან სახელმწიფოს: ჯარში მიდიან, ფოსტაში მსახურობენ, აქციზის ფულსა ჰკრებენ, რომ შემდეგში მაინც მამათგან გადმოცემული სახელი საზოგადოებაში ხელ-ახლავ დაიმსახურონ. ესეთი სიადვილით უარყოფა ბრწყინვალე ცხოვრებისა და უთაკილობა უფრო პატივსა ჰმატებს მათ სახელს, ვიდრე იმათ, რომელნიც თავიანთ მამა-პაპეულ ქონებას სმაში და ქალალდის თამაშობაში ჰფლანგვენ, ღამეებს უძილოდ ატარებენ და არ ზრუნავენ არც ცოლზედ, არც შვილებზედ და წარმოდგენილი აქვთ, რომ ასეთის „დიდებულის" ცხოვრებით იცავენ სახელსა და დიდებას თავიანთ მამა-პაპათა."

რუსული მმართველობის დროინდელ საქართველოში შექმნილი ახალი რეალობისადმი არტურ ზუტნერის უკომპრომისოდ კრიტიკული დამოკიდებულების შემაჯამებელ რეზიუმედ იქცა თამარ მეფისადმი მიმართული ის სიტყვები, რითაც მან ხსენებული პუბლიკაცია დაასრულა: „ოჰ, დიდებულო თამარ! ნეტა დასთმო შენი რვაასის წლის ძილი და დაჰხედო შენს ეხლანდელს შვილებს" („დროება," 1884 წ. 28 დეკ. #279).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ავსტრიულ პრესაში საქართველოსთან დაკავშირებით არტურ ზუტნერის მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების უდიდესი ნაწილი ქართველი მკითხველისათვის ჯერ-ჯერობით სრულიად უცნობია. არადა, ხსენებული პუბლიკაციები უაღრესად საინტერესო მასალა რომ იქნება ჩვენი ქვეყნისადმი ავსტრიელი მწერლის დამოკიდებულების განსასჯელად და შესაფასებლად, ამას დღესდღეობით ხელმისაწვდომი მისი წერილებიც თვალნათლივ ადასტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარონ სუტნერის შენიშვნები ჩვენს ცხოვრებაზედ, გაზ. „დროება," 1884 წ. 28 დეკემბერი, #279.

ბრეგაძე ლ. მოგზაურობა „ლე კოკაზ ილიუსტრეს" ფურცლებზე, თბ. 2013 წ.

გაზ. „დროება, 1884 წ. 12 ოქტ. #220.

გაზ. „ივერია," 1886 წ. №229.

გაზ. „ივერია," 1888 წ. 21 ივნისი, #128.

გაზ. „ივერია," 1891 წ. 1 თებერვალი, №25.

გაზ. „ცნობის ფურცელი," 1902 წ. 17 დეკემბერი.

გურული ვ. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი II, თბ. 2018 წ.

ზუტნერი ა. ცნობები ამიერკავკასიიდან. ქართულად თარგმნა მზია გალდავაძემ. გერმანულენოვანი ტექსტი იხ. გაზეთში „Neue Freie Presse," ვენა, 1877 წ. 10 აგვისტო.

ზუტნერი ა. ცნობები ტრანსკავკასიიდან. ქართულად თარგმნა მზია გალდავაძემ. გერმანულენოვანი ტექსტი იხ. გაზეთში „Neue Freie Presse," ვენა, 1877 წ. 23 აგვისტო. ქართული თარგმანი იხ: ჟურნ. „ისინდი," 2019 წ. #8.

ზუტნერი ბ. მოგონებანი, თარგმნა თამაზ გვენეტაძემ, ჟურნალი „განთიადი," 1978 წ. #6.

ზუტნერი ბ. ქართველებთან და საქართველოში. წიგნი შეადგინა, მოგონებების ფრაგმენტები თარგმნა და შესავალი დაურთო ნოდარ კაკაბაძემ, თბ. 1999 წ.

ზუტნერი ა. აჭარლები, რომანი, თარგმანი გერმანულიდან რუსულიდან ღვინეფაძისა, თბ. 2007 წ.

ზუტნერი ა. საბრალო ვარდი, იხ: ჟურნ. „მერმისი," 2019 წ. #4.

ზუტნერი ა. მარგალიტი, იხ: გაზ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი," 2019 წ. სექტემბერ-ოქტომბერი.

თევზაძე გ. ტაძრის რაინდების უკანასკნელი საცხოვრებელი. იხ: https://www.criticallog.org/post/.

კაკაბაძე ნ. რუხაძე ნ. კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ. 1963 წ.

ლაისტი ა. საქართველოს გული, თბ. 1963 წ.

მანჯგალაძე გ. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ. 1974 წ.

მეუნარგია ი. თხზულებანი, ტ. 1, თბ. 2010 წ.

რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ. 1976 წ.

სონღულაშვილი ა. გერმანელები საქართველოში, თბ. 1995 წ.

ქირია ც. ჟულ მურიეს ერთი უცნობი წერილი. იხ: გაზ. „მებრძოლი," ზუგდიდი, 1962 წ. 22 სექტემბერი.

ღვინეფაძე რ. შორეული ჩვენიანები, იხ: ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა," თბ. 2008 წ. #4.

ყამარაული ა. ხევსურეთი, ტფ. 1932 წ.

ცაიშვილი ს. იონა მეუნარგიას წერილები. იხ: ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. I, თბ. 1947 წ.

ცაიშვილი ს. ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ. „მნათობი," 1957 წ. #7.

ჭოხონელიძე გ. გორდის თეატრალური სალონი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 1997 წ. 17 მაისი.

არტურ ლაისტი ქართულ ლიტერატურულ სივრცეში

ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი (1852-1927 წწ.) პირველი უცხოელი შემოქმედია, რომელმაც არა მარტო ქართველოლოგიური მოღვაწეობა აქცია თავისი ცხოვრების უმთავრეს მიმართულებად, არამედ საქართველო ფიზიკურადაც გაიხადა თავის მეორე სამშობლოდ, სიცოცხლის დიდი ნაწილი ამ ქვეყანაში გაატარა და ანდერძის თანახმად აქვე პოვა სამუდამო განსასვენებელი.

გერმანელი მწერლის დასაფლავებასთან დაკავშირებით იმდროინდელ ჩვენს საზოგადოებას ეს გადაწყვეტილება შემთხვევით რომ არ მიუღია, ამას თავად არტურ ლაისტის მიერ წერილობითი ფორმით დატოვებული ის ჩანაწერიც ადასტურებს, რომლითაც იგი მისთვის ამქვეყნიური ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს და უსაყვარლეს ასპარეზად ქცეულ ახალ სამშობლოს ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა: „მაპატიე, ჩემო პატარა, სამშობლონაცვალო საქართველო, თუ ჩემი მცირე (მწირი) ღვაწლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დასაფლავებისა“ (ლაისტი, 1963: 297).

ჩვენს ქვეყანას არტურ ლაისტი პირველად 1884 წელს ესტუმრა ერთი თვით, მეორედ – 1885 წელს, 1892 წლიდან კი სამუდამოდ დამკვიდრდა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველოლოგია არტურ ლაისტის შემოქმედებითი მოღვაწეობის უმთავრეს მიმართულებად ჩვენს ქვეყანაში მის ფიზიკურ სტუმრობამდეც იყო დამკვიდრებული, საქართველოში დაფუძნების შემდეგ მისმა ქართულმა საქმიანობამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა.

ამ დროიდან მოყოლებული, არტურ ლაისტმა არა მარტო შემოქმედებითი და სამეცნიერო მიმართულებებით წარმოაჩინა დიდი შესაძლებლობები, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაერთო აქტიურად. კერძოდ, თავისი მრავალმხრივი ქართველოლოგიური მოღვაწეობა მან წარმატებით გამოავლინა, ერთი მხრივ, მთარგმნელობითი მიმართულებით და ქართული მწერლობის არაერთი ნიმუში გადათარგმნა გერმანულ ენაზე; მეორე

მხრივ, გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებითა და მხატვრული ტექსტებით ბევრი რამ გააკეთა ევროპაში, პირველ ყოვლისა კი გერმანულენოვან მკითხველებში, ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარობისთვის. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატებულ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ მისი აქტიური ძალისხმევითა და ორგანიზებით, სამი წლის განმავლობაში კი რედაქტორობითაც, თბილისში 1906-1914 და 1918-1922 წლებში გერმანულენოვანი გაზეთი „კაუკაზიშე პოსტიც" გამოდიოდა, სადაც საქართველოსთან დაკავშირებული მასალებიც მრავლად იბეჭდებოდა (ამასთან დაკავშირებით იხ: ლ. ბრეგაძის წიგნი: მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის" ფურცლებზე, თბ. 2010 წ.).

საქართველოში ცხოვრების დროს არტურ ლაისტი ახლო მეგობრული ურთიერთობებით აღმოჩნდა დაკავშირებული იმ პერიოდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა უმეტესობასთან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძესთან და მის ოჯახთან სიახლოვე, რის ნათელ გამოხატულებასაც წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ამ დროის განმავლობაში იგი ილიას ოჯახს ხშირად და ხანგრძლივად სტუმრობდა როგორც საგურამოში, ისე თბილისშიც. ამ სტუმრობის დროს მასა და ილიას შორის გამართულმა საუბრებმა, რომელთა უმთავრეს საგანს ქართული მწერლობა და ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებზე მსჯელობა წარმოადგენდა, არსებითად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოსადმი არტურ ლაისტის სიყვარულის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში.

ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან არტურ ლაისტის ასეთი ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ ამ ურთიერთობის ასახვა გერმანელმა მწერალმა თავისი მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებადაც აქცია და არაერთი ახალი ეპიზოდით გაამდიდრა შესაბამისი პერიოდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფია.

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ღვაწლის შეფასების დროს სავსებით ბუნებრივად ჩნდება ინტერესი იმისადმი, რამდენად სრულყოფილად ფლობდა იგი ქართულ ენას. თავად მას ამასთან დაკავშირებით არაერთგზის აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ ქართული ენის შესწავლით იგი ჯერ კიდევ საქართველოში პირველად სტუმრობამდეც ყოფილა დაინტერესებული და რეალურა-

დაც შედგომია მის შესწავლას. ამ საქმეში მას მისი იმ ქართველი მეგობრებისთვისაც უთხოვია დახმარება, რომელთაც პირადად არც კი იცნობდა და მათთან მხოლოდ მიმოწერით იყო დაკავშირებული (მაგალითად, ცნობილ დრამატურგ დავით ერისთავთან). სწორედ მათი მეშვეობით მოუძიებია მას ის წიგნები, რომლებიც ქართულის შესწავლაში გაუწევდა დახმარებას.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არტურ ლაისტი რამდენიმე ენას საფუძვლიანად იყო დაუფლებული და ენებს, მისივე თქმით, ადვილად ითვისებდა, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მან სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში გაატარა, მაშინ ლოგიკური იქნება იმის დაუეჭვებლად თქმა, რომ მას ქართული საკმაოდ კარგად ექნებოდა შესწავლილი.

ამ აზრს კიდევ უფრო მეტად განგვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ა. ლაისტი თავის ნაშრომებში ღრმად და საფუძვლიანად აანალიზებს როგორც ქართველ მწრალთა შემოქმედებას, ისე ისტორიულ პირველწყაროებსა და წერილობით დოკუმენტებს. ამ საქმის ასეთ მაღალ პროფესიულ დონეზე გაკეთება კი ქართული ენის უცოდინარობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა.

აღნიშნულ გარემოებას ასეთი განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც მივაქციე, რომ გაზეთ „თბილისის“ 1962 წლის 14 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში – „იცოდა თუ არა ლაისტმა ქართული?“ მ. მამულაშვილი ხაზგასმით ამტკიცებს, რომ ა. ლაისტმა ქართული ენა სინამდვილეში არა თუ კარგად, ელემენტარულ დონეზეც კი არ იცოდა და ქართველებს მხოლოდ რუსული ენის მეშვეობით ეკონტაქტებოდა.

პუბლიკაციის ავტორის ამ მოსაზრებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: „ერთი შეხედვით თითქოს უცნაური კითხვაა: ბევრი გაიოცებს კიდეც. ლაისტი ხომ ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს პირდაპირ დედნიდან თარგმნიდა, თუ ენა არ იცოდა, ამას როგორ ახერხებდაო?

ქართველ საზოგადოებაში დიდი ხანია შეიქმნა აზრი, თითქოს არტურ ლაისტი კარგად ფლობდა როგორც სალაპარაკო, ისე სამწერლო ქართულს. დღეს ზოგიერთი ავტორი ამ ტრადიციულად მიღებულ აზრს უკრიტიკოდ იმეორებს.“

მ. მამულაშვილის ინფორმაციით, ა. ლაისტმა სინამდვილეში „ქართული ენა არ იცოდა, უკეთ რომ ვთქვათ, საკმაოდ სუსტად

იცოდა. ამ ცოდნით კი ქართველი მწერლების ნიმუშებს ვერ თარგმნიდა გერმანულად."

არტურ ლაისტის მიერ ქართული ენის უცოდინარობის დამამტკიცებელ ერთადერთ არგუმენტად პუბლიკაციის ავტორი მისი ბავშვობის დროინდელ შემდეგ მოგონებას იშველიებს: მოწაფეობის პერიოდში მას წიგნების ბუკინისტურ მაღაზიაში შეუვლია, სადაც ამ მაღაზიის პატრონის – სოსიკო მერკვილაძის მეშვეობით შემთხვევით გაუცვნია გერმანელი მწერალი და მასთან მაშინდელი გასაუბრების დროს შეუტყვია, რომ ლაისტს ქართული ენა არა თუ კარგად, არამედ ელემენტარულ დონეზეც კი არ ცოდნია.

მ. მამულაშვილის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია საფუძველს მოკლებულ მოსაზრებას რომ წარმოადგენს, ამის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ამავე წერილში თავად მის მიერვე დამოწმებული იმ წერილის ფრაგმენტიც გამოდგება, რომელიც არტურ ლაისტს გამოუგზავნია აკაკი წერეთლისთვის საქართველოში მის პირველ სტუმრობამდე. კერძოდ, აი, რას წერდა იგი აკაკის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „არ იფიქროთ, ღრმად პატივცემულო თავადო, რომ თქვენი ენა ესოდენ უცნობია ჩემთვის. არა, ყოველ საღამოს ვმეცადინეობ თითო საათს და რადგან ენებს ძალზე ადვილად ვეუფლები – ვლაპარაკობ ექვს ენაზე – ქართულშიც წარმატებას ვაღწევ."

მ. მამულაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს რომ არ წარმოადგენს და ა. ლაისტმა სინამდვილეში ქართული ენაც იცოდა (თუმცა რა დონეზე, ეს უკვე სხვა საკითხია), ეს გაზეთ „ივერიის" 1906 წლის 25-ე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილიდან დამოწმებული ამ ფრაგმენტითაც ნათლად ჩანს: „ქართული ენის შესასწავლად მაშინდელ „კავკაზის" რედაქციას მივმართე და რომელიმე სახელმძღვანელოს დასახელება ვთხოვე. ეს იყო 1882 წელი. მალე ამ გაზეთის მაშინდელ რედაქტორისაგან, თავად დავით ერისთავისაგან პასუხიც მივიღე, რომელმაც ჩემზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და ქართული მწერლობის შესწავლის სურვილი გამიძლიერა. თავ. დავით ერისთავმა მალე ძველ და ახალ ქართულ მწერლობის შესახებ სხვადასხვა მასალა გამომიგზავნა".

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად აქ არტურ ლაისტის „საქართველოს გულის" 1963 წლის გამოცემაში დაბეჭდილი მისი მემუარული ჟანრის ნარატივისთვის – „ჩემი მოგონებები საქართ-

ველოში" გამომცემლობის მიერ თანდართულ ამ ინფორმაციასაც დავიმოწმებ: „ამ მოგონების სათაური და პირველი აბზაცი ქართულად დაუწერია ლაისტს, რასაც უცვლელად ვტოვებთ" (ლაისტი, 1963: 76).

არტურ ლაისტის მიერ ქართული ენის ცოდნას ხაზგასმით აღნიშნავს ბევრი მისი თანამედროვე. მაგალითად, იაკობ მანსვეტაშვილის ინფორმაციით, მან „სულ ორ-სამ წელიწადში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული და სომხური ენა. თავისუფლად ლაპარაკობდა, თავისუფლად წერდა" (მანსვეტაშვილი, 1985: 126).

მიუხედავად ამისა, ქართულ ენაზე გამოქვეყნებული თავისი ტექსტები თავდაპირველად მას მხოლოდ მშობლიურ ენაზე ჰქონდა დაწერილი და ისინი შემდგომში იყო სხვათა მიერ ქართულად გადმოთარგმნილი. კერძოდ, 1923 და 1927 წლებში „ქართული გულის" სახელწოდებით გამოცემულ მის წიგნებში შეტანილი ნაშრომები გერმანელი მწერლის ახლო მეგობარს – თედო სახოკიას უთარგმნია (სახოკია, 1984: 79), თეიმურაზ ფირალიშვილის მიერ შედგენილ და 1963 წელს ამავე სათაურით დაბეჭდილ წიგნში წარმოდგენილი ტექსტების მთარგმნელის (თუ მთარგმნელთა) ვინაობა კი მითითებული არ არის.

საქართველოთი არტურ ლაისტის დაინტერესების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა ურთიერთობამ ცნობილ გერმანელ მწერალთან, აღმოსავლეთმცოდნესთან და მოგზაურთან ფრიდრიხ ბოდენშტედტთან (1819-1892 წწ.), რომელიც მან 1881 წელს გაიცნო. როგორც ბოდენშტედტის ბიოგრაფიიდან ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იგი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, 1844-1845 წლებში, ცხოვრობდა, ჩვენი ქვეყანა მან იმდენად შეიყვარა და ისე კარგად გაიცნო, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავისი ქართული შთაბეჭდილებების მოთხრობას ორ წიგნი მიუძღვნა – 1848 წელს ფრანკფურტში გამოცემული „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის" და 1850 წელს ბერლინში დასტამბული „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში." საქართველოსადმი თავისი სიყვარულიანი და ღრმად ემოციური დამოკიდებულება ფრ. ბოდენშტედტის პოეტური შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემადაც იქცა.

საქართველოსადმი სიყვარულის გაღვივების საქმეში ფრ. ბოდენშტედტის დიდ როლს თავად ა. ლაისტიც არაერთგზის აღნიშნავს. ზემოთ ხსენებულ მის წიგნებთან ერთად, მნიშვნელოვანი

როლი მის უფროს მეგობართან პირადმა ურთიერთობამაც შეასრულა. კერძოდ, მასთან შეხვედრების დროს, ფრ. ბოდენშტედტი მის უმცროს კოლეგას ისეთი სიყვარულითა და ემოციით ესაუბრებოდა ჩვენს ქვეყანაზე, რომ ამ საუბრებით გულანთებულმა ლაისტმა უდიდესი ინტერესით დაიწყო როგორც საქართველოსთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის მოძიება, ისე ქართული ენის შესწავლაც.

აი, რას წერს თავად ლაისტი ამის შესახებ: „ჯერ ისევ გიმნაზიელი ვიყავ ბრესლავში. ერთ გერმანულ რომელიღაც საოჯახო ჟურნალში პატარა აღწერა წავიკითხე საქართველოში მოგზაურობისა. ამ მოგზაურობაში საკმაოდ ზეზეულათ იყო აღნიშნული ბუნება საქართველოსი. მაგრამ ეს მცირე სურათი მაინც დამამახსოვრდა და მას აქეთ ვცდილობდი ხელში ჩამვარდნოდა უკეთესი და უფრო ვრცელი რამ თხზულება საქართველოს შესახებ. ეს გახლდათ გერმანელი პოეტის ფრიდრიხ ბოდენშტედტის წიგნი „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში.“ ბოდენშტედტი აღტაცებით იხსენებდა საქართველოს და მის სიმშვენიერეს აღფრთოვანებულ ლექსებს უძღვნიდა. ამ ლექსებს რომ ვკითხულობდი, სულითა და გულით დავუახლოვდი საქართველოს“ (ლეისტი, 1923: III).

ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულის აღძვრისა და გამძაფრების პროცესში ბოდენშტედტის უმნიშვნელოვანეს როლზე არტურ ლაისტი მემუარული ხასიათის მქონე თავის სხვა პუბლიკაციებშიც საუბრობს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ 1906 წლის 25-ე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „წარსულის მოგონებები (1884-1889 წწ.),“ სადაც იგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთ ინფორმაციას გვაწვდის:

„აღარ მახსოვს, რომელი წიგნი იყო, სადაც პირველად ამოვიკითხე კავკასიის ამბები, ის კი ვიცი, რომ იმ დროს ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბოდენშტედტის ლექსებმა. განსაკუთრებით მიტაცებდა საქართველოს აღწერა. საქართველო ჩემი გონების თვალწინ რაღაც გრძნეულ და მშვენიერ ქვეყნად მეხატებოდა და გულში მისი ნახვის სურვილი მეპარებოდა. შემდეგ, როცა ცოტაოდენად გავეცანი საქართველოს ისტორიას, ჩემთვის საეჭვო აღარ იყო, რომ ასეთ ძველ და განვითარებულ კულტურის პატრონს, ასეთ მშვენიერ ბუნებაში დასახლებულ ხალხს, მეტად მდიდარი პოეტური მწერლობა უნდა ჰქონოდა. დავიწყე ამ მწერლობის შესახებ ცნობების ძებნა, მაგრამ ვერც გერმანულსა და

ვერც ფრანგულს წიგნებში მისი უბრალო კვალიც ვერ აღმოვაჩინე. ამ მხრივ რუსული მწერლობაც მეტად ღარიბი გამოდგა."

როგორც უკვე ითქვა, ამ დროიდან მოყოლებული, ა. ლაისტი არა მარტო სულიერად დაუახლოვდა საქართველოს, არამედ 1892 წლიდან ფიზიკურადაც გახდა ჩვენი ქვეყნის მკვიდრი. გერმანელი მწერლის არაერთგზისი აღნიშვნით, ამ საქმეში ყველაზე დიდი დამსახურება, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძეს მიუძღოდა, რომელიც მის განუყრელ მეგობრად იქცა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით თავად ლაისტი: „როდესაც შევიძელ საქართველოში მოსვლა და საკუთარის თვალით ვიხილე ის, რაზედაც მთელი წლების განმავლობაში ვოცნებობდი, ბედნიერება მქონდა დავახლოვებოდი ილია ჭავჭავაძეს. ქართველთაგან ილია ჭავჭავაძემ პირველმა გამომიწოდა ხელი. პირველმა მან გამიღო ფართეთ კარები თავის სახლისა. იმანვე გამიღო თავისი გული და სული...

მაშინდელ ქართველთაგან არავის შეეძლო ჩემთვის გაეცნო წარსული ლიტერატურა, გრძნობა, აზრი, მისწრაფება და ოცნება ქართველთა, როგორც ილია ჭავჭავაძესა. ილიას დახმარებით უფრო სწრაფათ შევძლებდი ჩამეხედნა ქართველ ერის სულსა და გულში" (ლეისტი, 1923: III).

არტურ ლაისტი დაიბადა 1852 წელს ქალაქ ბრესლაუში, რომელიც იმ დროს გერმანიას ეკუთვნოდა, 1945 წლიდან კი პოლონეთის შემადგენლობაში შედის და ამჟამად ვროცლავი ჰქვია. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო ბრესლაუს უნივერსიტეტის იურიდიულ სპეციალობაზე. სტუდენტობის პერიოდში იგი განსაკუთრებით გაიტაცა ჟურნალისტურმა საქმიანობამ და აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა გერმანულ და პოლონურ პერიოდულ გამოცემებში. მისი ჟურნალისტური საქმიანობა კიდევ უფრო რეზონანსული გახდა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გადასვლის შემდეგ. არტურ ლაისტის ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას დიდ მასშტაბებს სძენდა ის ფაქტი, რომ ღვთით ბოძებულ შემოქმედებით ნიჭთან ერთად იგი რამდენიმე ევროპულ ენასაც ფლობდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოსადმი არტურ ლაისტის სიყვარულმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა იმ აქტიური წერილობითი ურთიერთობის შედეგად, რომელიც მან ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდეც დაამყარა ქართველ მოღვაწეებთან. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მისი მიმოწერა

ნიკო ნიკოლაძესთან, დავით ერისთავთან, ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან.

მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ნიკო ნიკოლაძესთან არტურ ლაისტის ურთიერთობასთან დაკავშირებით არტურ ლაისტის ბიოგრაფი თეიმურაზ ფირალიშვილი: რუსულენოვან გაზეთ „ობზორში" ანტისამთავრობო მასალების გამოქვეყნების გამო, ხელისუფლებამ გაზეთის გამოცემა აკრძალა, მისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე კი „დროებით იზოლირებულყო. გადასახლებაში მყოფ პუბლიცისტს აღფრთოვანებით სავსე წერილები მოსდიოდა ახალგაზრდობიდან, ნაცნობი და უცნობი მოღვაწეებიდან... თანამგრძნობთა შორის ერთ-ერთი შორეულ პოლონეთში მყოფი პუბლიცისტი არტურ ლაისტიც იყო. იგი წერდა ნიკო ნიკოლაძეს:

„ბატონო!

რამდენიმე ხანია ჩემი ყურადღება მიპყრობილია ქართველებისა და სომხების ინტელექტუალური ცხოვრებით. ამ ერების ლიტერატურამ აღმაფრთოვანა. მე ვარ თანამშრომელი რამდენიმე პირველხარისხოვანი გერმანული გაზეთისა... მეტად კმაყოფილად ჩავთვლიდი თავს, რომ გერმანელებს, ე. ი. ჩემს თანამემამულეებს, გავაცნო ქართული და სომხური ლიტერატურა...

მე თქვენ გთვლით ქართული პრესის ღირსეულ წარმომადგენლად და ქართველთა შორის ერთ-ერთ პირველ მწერლად. იმედი მაქვს, დახმარებას გამიწევთ ჩემი სურვილების ხორცის შესასხმელად... ამის გარდა, ძლიერ გამაბედნიერებთ, თუ გამომიგზავნით თქვენს ჟურნალს „ობზორს" (ლაისტი, 1963: 289).

იმ დიდი სიყვარულის ნათელსაყოფად, რითაც არტურ ლაისტი საქართველოში ჩამოსვლამდეც აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებული, აქ იმ წერილსაც დავიმოწმებ, რომელიც მას 1882 წლის 24 იანვარს გამოუგზავნია აკაკი წერეთლისთვის:

„ჩემო ბატონო!

ბატონმა დავით ერისთავმა სიკეთე მოიღო და მომწერა თქვენი მისამართი. ვსარგებლობ, რათა გთხოვოთ დახმარება ზოგიერთ ლიტერატურულ საქმეში. რაც შეეხება თქვენს მშვენიერ სამშობლოს, უკვე რამდენიმე ხანია თვალყურს ვადევნებ თქვენი თანამემამულეების გონებრივ მოძრაობას; ვეცნობი თქვენს ისტორიას და მომავლისათვის თქვენს ღონისძიებასაც...

მე მხატვრული სიტყვის მსახური ვარ, ვწერ გერმანულად და პოლონურად. მინდა ვიტვირთო ინტელექტუალური ურთიერთო-

ბის დამყარება ამ ორ ერსა და თქვენს თანამემამულეთა შორის... ამ შრომისათვის გასაღები ქართული ენის ცოდნაა. თუმცა მე უკვე დავიწყე მისი შესწავლა, მაგრამ, მგონია, ეს დააგვიანებს ჩემს მუშაობას" (ლაისტი, 1963: 291).

საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობა არტურ ლაისტს კიდევ უფრო მეტად გაუმძაფრდა ჩვენს ქვეყანაში მისი პირველი, ერთთვიანი, სტუმრობის შედეგად. 1884 წლის ზაფხულში ჩვენს ქვეყანაში საპატიო სტუმრად მოწვეულმა გერმანელმა მწერალმა ქართველ მამულიშვილთა უმრავლესობაც გაიცნო. მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში კი საქართველოში არტურ ლაისტის ჩამოსვლას ილიამ ასეთი შეფასება მისცა:

„დღეს ჩვენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი, უცხო სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვიდამ მოსულია, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია. ამიტომაც ორნაირად სასიხარულოა მისი ჩვენს შორის ყოფნა... ბ-ნი არტურ ლეისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო შუაკაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენი გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენის ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურნი და მესვეურნი არიან... იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პირუთვნელი სიტყვა ბ-ნ ლეისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვია და იმ პატარა სამოთხეში ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბ-ნი ლეისტი" (ჭავჭავაძე, 2005: 219).

საქართველოში ა. ლაისტის ამ მოგზაურობას ის სასიკეთო შედეგიც მოჰყვა, რომ გერმანიაში დაბრუნებულმა მწერალმა 1885 წელს ლაიფციგში ჩვენი ქვეყნისადმი მიძღვნილი წიგნიც გამოსცა სახელწოდებით „საქართველოს ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა."

საქართველოს არტურ ლაისტი მეორედ 1885 წელს ეწვია. მისი ეს სტუმრობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად, პირველ ყოვლისა იმის გამო იქცა, რომ ამ დროიდან მოყოლებული, იგი აქტიურად შეუდგა „ვეფხისტყაოსნის" გერმანულ ენაზე თარგმნას, რაც წარმატებით დაგვირგვინდა 1889 წელს ლაიფციგსა და დრეზდენში პოემის მისეული თარგმანის გამოცემით.

გარდა ხსენებული წიგნებისა, არტურ ლაისტის ქართველოლოგიური მოღვაწეობა ასევე ფართოდ წარმოჩინდა გერმანიაში გამოცემულ მის ისეთ წიგნებში, როგორებიცაა: „ქართველი პოეტები" (ლაიფციგი, 1887 და 1900 წწ.) და „ქართველი ხალხი" (დრეზდენი, 1903 წ.). ხსენებულ წიგნებთან ერთად, ა. ლაისტი გერმანულ პერიოდულ გამოცემებში ქართულ თემატიკაზე დაწერილ წერილებსაც ხშირად აქვეყნებდა, რითაც შესაბამისი პერიოდის გერმანულენოვან მკითხველს მეტად მნიშვნელოვან ცნობებს აწვდიდა, მისთვის სრულიად უცნობი ქვეყნის ისტორიასთან და კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში, არტურ ლაისტი აქტიურად ჩაერთო ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებასა და კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. აი, რას იგონებს ამასთან დაკავშირებით იაკობ მანსვეტაშვილი: „არტურ ლეისტი თითქმის შინაურ კაცად ითვლებოდა ილიას ოჯახში. ლეისტი გერმანელი კაცი იყო. კარგად განათლებული, მცოდნე უმთავრეს ევროპული ენებისა და ლიტერატურისა. რამდენი ცოდნა შეგვიძენია რედაქციის თანამშრომლებს (იგულისხმება გაზეთი „ივერია" – ა. ნ.) იმისგან! დაუღალავი მუშაკი, მედგარი მშრომელი. რა საქმესაც დაადგებოდა, მტკიცედ ადგა და მინამ მიზანს არ მიაღწევდა, გზას არ გადაუხვევდა... რამდენი მოთხრობა გადათარგმნა ქართული და სომხური, დაბეჭდა გერმანულ ჟურნალებში. ამანვე თარგმნა და გააცნო გერმანეთს ჩვენი სახელოვანი „ვეფხისტყაოსანი." ეს კაცი სიკვდილამდე ჩვენში ტრიალებდა და მუშაობდა ერთგულად, გულწრფელად" (მანსვეტაშვილი, 1985: 126).

არტურ ლაისტის საზოგადოებრივი აქტიურობის დასტურად, აქ ამ თვალსაზრისით, გამოჩენილ მის ისეთ აქტივობებსაც გავიხსენებ, როგორებიცაა: გაზეთ „ივერიის" საგამომცემლო პროცესში მონაწილეობა, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობასა და ქართველ მწერალთა საიუბილეო საღამოებში აქტიური ჩართულობა, ზრუნვა ქართული თეატრის განსავითარებლად, საქმიანი მოგზაურობები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების მოსანახულებლად და იქაურთა ყოფის საფუძვლიანად გასაცნობად... ეს ყველაფერი სათანადოდ აისახა კიდეც ჟანრობრივად მრავალფეროვან მის შემოქმედებაში.

არტურ ლაისტის ცხოვრებაში გარდამტეხ თარიღად იქცა 1892 წელი. ამ დროიდან მოყოლებული, იგი სამუდამოდ დამკვიდრდა

საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, და აქტიური თანამონაწილე გახდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა. მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას განსაკუთრებულ მასშტაბებს სძენდა ის ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა, რითაც ილიას მიერ „შორეულ თავისიანად" სახელდებული ეს პიროვნება იყო დაკავშირებული თავისი დროის დიდ ქართველ მამულიშვილთა უმეტესობასთან.

ასეთ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, არტურ ლაისტი უდიდესი ენთუზიაზმით განაგრძობდა მთარგმნელობით საქმიანობას და ქართული მწერლობის მისეული გერმანულენოვანი თარგმანებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროპელი მკითხველისათვის ქართული მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშთა გასაცნობად.

კერძოდ, 1887 წელს არტურ ლაისტმა გამოსცა „ქართული პოეზიის ანთოლოგია," 1903 წელს კი დაბეჭდა „ქართველი პოეტები," რომლის მესამე ნაწილში ვრცლადაა გაანალიზებული XIX საუკუნის ქართული მწერლობა (ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში, 2003: 68).

ცალკე უნდა აღინიშნოს არტურ ლაისტის პედაგოგიური მოღვაწეობა იმხანად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც იგი წარმატებით ასწავლიდა გერმანულ ენას.

არტურ ლაისტის ცხოვრების ქართული პერიოდი მეტად მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ მას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ბევრი რამ აქვს გაკეთებული გერმანიასთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის გასაღრმავებლად. ამ საქმეში იგი მანამდეც იმდენად აქტიურად ყოფილა ჩართული, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას ამის გამო დაუპატიმრებია კიდეც. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თედო სახოკია: „არტურ ლაისტი განსაკუთრებით დაგვიახლოვა განვლილმა მსოფლიო ომმა. ქართველთადმი გერმანელთა სიმპატიის გადმოცემის შუამავალი ტფილისში არტ. ლაისტი გახდა. მით უფრო, რომ საერთო მტერმა, რუსთ ხელმწიფის მთავრობამ, ომის დროს, სხვა გერმანელებთან ერთად, ბ-ნი ლაისტიც პატიმარ-ჰყო და მოახდევინა საერთო ბეგარა ციხეში ყოფნისა წლის განმავლობაში. ამ ტყვეობამ, ცოტას განყდა, თან არ გადაიტანა სუსტის გულის პატრონი არტ. ლაისტი" (ლეისტი, 1923: XIII).

როგორც ითქვა, გერმანიასთან ჩვენი ქვეყნის დასაახლოებლად, არტურ ლაისტი კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. საამისო იმპულსს მას ის აქტიური თანადგომაც სძენდა, რომელსაც გერმანიის ხელისუფლება იჩენდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად იმხანად.

კერძოდ, აი, რა ინფორმაციას გვანვდის ამ პროცესში არტურ ლაისტის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით თედო სახოკია: „1918 წ. საქართველოში გერმანელთა შემოსვლის შემდეგ, გერმანელთა და ქართველთა კავშირი და ურთიერთობა აშკარად დაადგა განმტკიცების გზას. ბ-ნს არტ. ლაისტს, მიუხედავად ავადმყოფობისა, ერთთავათ საქმეში გართულს ვხედავთ, ერთთავათ ფაციფუცშია, ცდილობს უფრო დაგვაახლოვოს გერმანელებთან, მათი გული ჩვენ მოგვაგებინოს და ჩვენი მათ; ეხმარება ყველა ქართველს ახალგაზრდას, ვინც კი გერმანიაში მიდის სასწავლებლად, რჩევა-დარიგებას აძლევს, სარეკომენდაციო წერილებს ატანს გერმანეთში პროფესორებთან; გზას ულოცავს, ცდილობს ბ-ნი ლაისტი საქართველოდან გერმანეთში გაემგზავროს მთელი რიგი ქართველ ხელოსნებისა ხელობის უკეთესად შესასწავლად; გერმანეთის მთავრობასთან შუამდგომლობს გამოიგზავნოს გერმანეთიდან ხელოსნები-ინსტრუქტორები ქართველთა შორის სხვა-და-სხვა ხელობის გასავრცელებლად თვალსაჩინოთ, პრაქტიკულათ. აარსებს გერმანელ-ქართველთა საკულტურო საზოგადოებას, გერმანულ ენის კურსებს... ერთი სიტყვით, ბ. არტ. ლაისტი უაღრესათ მონდომებულია გერმანული კულტურა დაამყნოს პატარა საქართველოს, ამ კულტურას ეზიაროს ჩვენი ქვეყანა“ (ლეისტი, 1923: XIII).

არტურ ლაისტის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაწეული მრავალმხრივი და უაღრესად ფასეული საქმიანობისადმი მადლიერება ქართველმა საზოგადოებამ იმითაც გამოხატა, რომ 1922 წელს ფართოდ აღნიშნა მისი მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. კერძოდ, ხსენებული წლის 22 ოქტომბერს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში გამართულ საიუბილეო საღამოზე შეკრებილმა დიდძალმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის სამაგალითო მეგობარს კიდევ ერთხელ უთხრა მადლობა იმ საქმეთათვის, რითაც მან ფასდაუდებლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანულენოვანი მკითხველებისათვის ქართული მწერლობის რჩეული

ნიმუშებისა და საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების გაცნობის საქმეში.

მხატვრული პროზა

საქართველოსთან არტურ ლაისტის სულიერი სიახლოვე არა მარტო მისი მთარგმნელობითი საქმიანობისა და ქართველოლოგიური კვლევების უმთავრეს მიმართულებებად იქცა, არამედ ორიგინალური შემოქმედებითი მოღვაწეობითაც გამოვლინდა, რის შედეგადაც მან ქართული ყოფის ამსახველი არაერთი მხატვრული ქმნილებაც შექმნა. ერთ-ერთი მათგანია „ვარიპანიანთ ნინო. მოთხრობა საქართველოს ცხოვრებიდან" (ქართულად თარგმნა ივანე მაჩაბელმა. იხ: ჟურნალი „მოამბე," 1895 წ. # II, III, IV).

ხსენებული ნაწარმოები გამოქვეყნებისთანავე იქცა იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოების ინტერესისა და განხილვის საგნად. კერძოდ, ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ მოთხრობის გამოქვეყნებიდან მალევე გაზეთ „ივერიის" 1895 წლის 211-ე და 212-ე ნომრებში დასტამბული ვრცელი კრიტიკული წერილით უკომპრომისოდ წარმოაჩინა ნაწარმოების ღირსებებიცა და ნაკლოვანი მხარეებიც. მისი შეფასებით, არტურ ლაისტის ეს მოთხრობა ქართველი მკითხველისათვის თუნდაც იმიტომ იყო „მრავალ გზის შესანიშნავი" ნაწარმოები, რომ იგი უცხოელი ავტორის მიერ იყო დაწერილი და „გვამცნებდა უცხოელი მწერლის აზრსა და შეხედულებას ჩვენს ცხოვრებაზედ." აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, მოთხრობის ღირსებად კ. აბაშიძე იმასაც მიიჩნევდა, რომ უცხოელ ავტორს „თავისის მოთხრობის საგნად ისეთის წრის გამოხატვა ჰქონდა აღებული, რომელსაც ჩვენი ლიტერატურა გვერდს უხვევდა."

ჩემი აზრით, კიტა აბაშიძის მიერ არტურ ლაისტის მოთხრობის განსაკუთრებულ ღირსებად მიჩნეული ის გარემოება, თითქოს უცხოელმა მწერალმა პირველად აქცია მხატვრული წარმოსახვის საგნად შესაბამისი პერიოდის ჩვენი მწერლობის ყურადღების მიღმა დარჩენილი საზოგადოებრივი წრის ცხოვრება, სინამდვილეს არ შეესაბამება. ვფიქრობ, ვისაც გერმანელი მწერლის ეს მოთხრობა წაუკითხავს, იგი სადავოდ არ გახდის იმ ფაქტს, რომ XIX საუკუნის

ქართულ მწერლობაში ნამდვილად არ იგრძნობა ა. ლაისტის მიერ წარმოსახულ სოციალურ ფენათა წარმომადგენლების (თავად-აზნაურთა, გლეხთა, ინტელიგენტთა, მსახურთა...) სიმცირე.

მოთხრობის საფუძვლიანად გაანალიზებასთან და ავტორისეული სათქმელის სიღრმისეულად გააზრებასთან ერთად, კიტა აბაშიძემ იმ გარემოებასაც სავსებით მართებულად გაუსვა ხაზი, არტურ ლაისტის ხსენებული ნაწარმოები მხატვრული ოსტატობის მხრივ ნაკლოვან ქმნილებას რომ წარმოადგენს. კერძოდ, კრიტიკოსის შეფასებით, გერმანელი ავტორის ბელეტრისტულ ტექსტს აშკარად „აკლდა ის „რაღაც," რაც მწერლობის ნიჭის მაჩვენებელია... აკლდა ის „რაღაც," ის „ციური ნაპერწკალი," რომელიც შეადგენს საუკეთესო რასმე სიტყვაკაზმულ მწერლობისა და არ მოიპოვება არც შრომით და არც კითხვით. ის ღვთისგან მონიჭებული რამ არის. ეს ბ-ნ ლეისტს აკლია. ეს მოთხრობა მცოდნე კაცის დაწერილია და არა ნიჭიერი მწერლისა."

ხსენებული მოთხრობა გამონაკლისი არ არის და კიტა აბაშიძის მიერ გამოთქმული ეს შენიშვნა მეტ-ნაკლები მასშტაბებით შეიძლება გავიმეოროთ არტურ ლაისტის სხვა მხატვრული ტექსტების მიმართაც. გერმანელი მწერალი აღნიშნული თვალსაზრისით გაცილებით მეტ პროფესიონალიზმსა და სიტყვიერ ხელოვნებას ავლენს მის პუბლიცისტურ წერილებში, რომელთა უმეტესობაში ავტორისეული სათქმელი ბელეტრიზებული ფორმითაა მოთხრობილი.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართული ყოფის წარმოსახვა არტურ ლაისტმა ორგანულად დაუკავშირა ცხოვრებისეული რეალობისადმი არსებითად განსხვავებულ იმ დამოკიდებულებას, რომელიც შესაბამისი პერიოდის ფეოდალური არისტოკრატიის ძველ და ახალ თაობათა წარმომადგენლებს მიჯნავდა ერთმანეთისაგან. შესაბამისი პერიოდის ქართულ რეალობაში თაობათა შორის ამ თვალსაზრისით არსებული განსხვავების წარმოჩენას გერმანელმა მწერალმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები იმითაც შესძინა, რომ ცხოვრებისეულ დინებას ჩამორჩენილი და კონსერვატული ყოფითი აზროვნებით შებოჭილ მისეულ პერსონაჟთა პიროვნული სახეები გარკვეულწილად ევროპულ რეალობასთან შეპირისპირებული ფორმითაც წარმოსახა.

ავტორისეული სათქმელის გააზრების დროს განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა ორ გარემოებას მინდა მივაქციო – ერთის მხრივ, იმას, რომ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი

ლევან ჩაგანი მთელი იმერეთის მასშტაბით მატერიალური წარმატებებით გამორჩეულ პიროვნებად პირველ ყოვლისა იმით იქცა, რომ მას განათლება ევროპაში, კერძოდ კი გერმანიაში, ჰქონდა მიღებული და მისი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა სწორედ ამ ცოდნაზე იყო მყარად დაფუძნებული.

შესაბამისი პერიოდის ქართული რეალობა არტურ ლაისტმა არისტოკრატიული ფენის სამი განსხვავებული თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებისეული თვალთახედვის განზოგადებული წარმოსახვით გვიჩვენა. კერძოდ, უფროსი თაობის წარმომადგენლები უკვე ახალ ცხოვრებისეულ რეალობას მოწყვეტილ და დროის მდინარებას ჩამორჩენილ ადამიანებად არიან ქცეული. ამ გარემოებას არა მარტო მათი მატერიალური მდგომარეობისთვის დაუსვამს მომაკვდინებელი დაღი, არამედ ისინი თავიანთი კონსერვატული შეხედულებებითაც და ახალი ცხოვრებისეული რეალობის აღქმითაც წარმოადგენენ დროებისაგან გარიყულ და დასაღუპავად განწირულ ადამიანებს. არტურ ლაისტის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა მოთხრობის მთავარი პერსონაჟის – ნინოს ბაბუა იქცევს. თუმცა იგი გამონაკლისი არ არის და მსგავსი სოციალური ბიოგრაფიის მქონე პიროვნებანი მოთხრობაში სხვებიც არიან.

რაც შეეხება გერმანელი მწერლის მიერ წარმოსახულ მამათა თაობის უმეტესობას, ისინი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ლოთობაში, დროსტარებასა და ფუქსავატურ ყოფაში ატარებენ და საამისოდ საჭირო სახსარს მამულებისა და მატერიალური ქონების განიავებით შოულობენ. ბატონყმობის გადავარდნის შემდგომი პერიოდის საქართველოში საკმაოდ ფართოდ მიმდინარე ეს მომაკვდინებელი პროცესი ა. ლაისტის მოთხრობაში ნინოს მამის ცხოვრების მაგალითზეა ნაჩვენები.

მიუხედავად იმისა, რომ უფსკრულისაკენ დაქანებული თავისი დიდი და ერთ დროს მატერიალური შეძლებით გამორჩეული ოჯახის გაბედითების მომაკვდინებელი ეს მოვლენა ნინოს ბაბუას რეალურად აქვს გაცნობიერებული, იგი უძლურია, მის შვილს ცხოვრების წესი შეაცვლევინოს და ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევი გზა მოძებნოს.

მისი ფუქსავატი შვილისაგან განსხვავებით, ფეოდალური არისტოკრატიის დიდი ნაწილის მატერიალური კეთილდღეობისათვის ძირის გამომთხრელი ეს პროცესი მეტ-ნაკლები სიცხადით

აქვს გაცნობიერებული ნინოს ბაბუას და ამ ტრაგიკულ მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევს: „ბრმა არ იყო და კარგად ხედავდა, ოჯახი როგორ უკან-უკან მიდიოდა. იმის მშვენიერ მამულს, ამ ათი წლის წინათ შვილისათვის კარგ ყოფაში გადაცემულს, როგორ ყოველ წლივ ნაკლებ-ნაკლები შემოჰქონდა და დიდი ჩინებული ვენახი თან-და-თან ოხრდებოდა...

უწინ ვენახიც სხვაფრივ იყო შემუშავებული. ეხლა კი სრულიად გაპარტახდა. ვაზები ზოგან ბალახს წაეღო, ზოგან – ახლო მდგარი ხეხილის ყლორტებს. ხშირად უსაყვედურნია მოხუცს თავის შვილისთვის: ვენახს უკეთ მოუარეო, მაგრამ ის უპასუხებდა ხოლმე, ეგ მოვლა დიდი ფული მიჯდებაო, ეხლა მუშაც გაძვირდა და არ ვიცი, ეს ფული საიდან უნდა ვიშოვნოო“ („მოამბე,“1895, #211: 6).

როგორც ა. ლაისტის მოთხრობიდან კარგად ჩანს, ვარიპანიძეების ოჯახის ეს ტრაგედია გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენდა და ახალი ცხოვრებისეული რეალობის დამკვიდრების შედეგად, ამ მდგომარეობაში არისტოკრატიული წოდების არაერთი წარმომადგენელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ ისინი ახალი ვითარების არსში სათანადოდ ვერ გაერკვნენ და მოვლენებისაგან გარიყულ ადამიანებად იქცნენ.

კონკრეტული ეპოქალური ვითარებით განპირობებულ ამ მოვლენას არტურ ლაისტი განსაკუთრებულ ყურადღებას თავის მოთხრობაში იმიტომაც მიაპყრობს, რომ არსებულ ცხოვრებისეულ რეალობას ჩამორჩენილი ფეოდალური არისტოკრატიის ოჯახური ყოფისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა გარკვეულწილად მთელი ქართული ყოფისთვის ნიშანდობლივ თვისებასაც წარმოადგენდა. კერძოდ, აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით თავად ის ქართული ოჯახის დასახასიათებლად დაწერილ წერილში: „გერმანიის ცნობილი მეცნიერი გოტფრიდ მერცბახერი თავის შესანიშნავ წიგნში „კავკასიის მთებში“ რამდენჯერმე იხსენიებს ქართულ ოჯახს, მაგრამ ძაგების მეტს არას ამბობს.

ერთ ადგილას იგი წერს: „მებატონეთა ჩვეულებრივი კარ-მიდამო საცოდავი სანახავია. ეზოს ან სრულებით არა აქვს ღობე, ან თუ აქვს, ისიც ნახევრად დარღვეულია. სახლის ვერც წინა და ვერც უკან თქვენ ვერ ნახავთ ყვავილნარს, რაც ასე ახარებს კულტურულ ადამიანის თვალს. თვით სახლშიაც ხშირად უწესოება და ბინძურობა სუფევსო.“ მართალია, თავის წიგნში მერცბახერი ქართველებს თანაგრძნობითა და მეგობრულად იხსენიებს, მაგ-

რამ საშინლად სწყინს, რომ ქართველობა ასე გულგრილად ეკიდება თავის კულტურულ განვითარებას. მე მგონია, მერცბახერის ამ აზრს ყველა დაეთანხმება, ვისაც კი თავის თვალით უნახავს ის მოქმედება, რომლის შესახებაც ლაპარაკობს გერმანელი მეცნიერი" („ივერია," 1905, 1 ივლ.).

ა. ლაისტის მოთხრობაში არა მარტო ამ ტრაგიკული პროცესის მომაკვდინებელი შედეგია წარმოჩენილი, არამედ ამ მდგომარეობიდან თავის დახსნის გზაცაა გარკვეულწილად მინიშნებული. კერძოდ, მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა ერთ ნაწილს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნისა და განვითარების პერსპექტიულ გზად უცხოეთში განათლების მიღება და ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე მოწყობა მიაჩნდა.

ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მოთხრობის პერსონაჟთა იმ წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრებისეული მდგომარეობითაც და პროგრესული შეხედულებებითაც გამორჩეულ პიროვნებებს წარმოადგენენ, განათლება გერმანიაში ჰქონდათ მიღებული.

ევროპულ, კერძოდ კი გერმანულ, და ქართულ ყოფითი რეალობებს შორის არსებული არსებითი განსხვავება არტურ ლაისტმა მოთხრობის იმ ეპიზოდითაც წარმოაჩინა, სადაც ლევან ჩაგანის მეზობლად მცხოვრები გერმანელის კარ-მიდამოა აღწერილი. მწერლის ხაზგასმით, მის მამულში „ყოველივეს უკეთესი ფერი ედო. არამც თუ ვენახი და მინდვრები იყო უკეთ შემუშავებული, საქონელიც უფრო ღონივრად და ლამაზად გამოიყურებოდა. ლევანი დიდხანს ეცადა და ძლივს მოახერხა თავის მამულ-დედულის გაუმჯობესება, მაგრამ მაინც ნემეცს ბევრით უკან ჩამორჩებოდა" („მოამბე," 1895, #3: 21).

თუმცა ლევანის მონდომებამ სასურველი შედეგი მაინც გამოიღო, რის შედეგადაც მან იმდენად დიდ წარმატებას მიაღწია, რომ თავისი შრომისა და აქტიურობის შედეგად „ამ ნემეცზე მეტი შეძლება ჰქონდა." ასეთი წარმატების მიღწევის საფუძვლად კი, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება იქცა, რომ ლევანმა საკუთარი მეურნეობა გერმანიაში მიღებული უმაღლესი განათლებისა და იქაური ცხოვრებისეული პრინციპების საფუძველზე მოაწყო. ა. ლაისტის ხაზგასმით, ცხოვრებისეული წარმატების მიღწევის გერმანულ გზას ლევანი ისეთი ერთგულებით მიჰყვებოდა, რომ „მას მეზობლები დასცინოდნენ და „ნემეცს" უძახდნენ."

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თავისი მოთხრობის უმთავრეს სიუჟეტურ ხაზად არტურ ლაისტმა ტრადიციულ ზნეობრივ ფუნდამენტზე დაფუძნებული ცოლქმრული ერთობისთვის საფუძვლის გამომცლელი მოვლენის ფსიქოლოგიური სიმართლით წარმოსახვა აქცია. კერძოდ, მოთხრობაში დეტალურადაა მოთხრობილი ნაწარმოების სამი მთავარი პერსონაჟის – ნინოს, ლევანისა და ვანო გარელის ინტიმურ ურთიერთობათა დრამატული ისტორია.

ფიზიკური სილამაზით გამორჩეული ნინო, რომელიც წლების განმავლობაში თბილისში იყო ნაცხოვრები და ქალაქური ყოფის მოჩვენებით უპირატესობებთან წილნაყარი, მშობლიურ სოფელში ბრუნდება და გარიგების გზით (და არა სიყვარულით) მის მეზობლად მცხოვრებ წარჩინებულ პიროვნებას – ლევან ჩაგანს მიჰყვება ცოლად. ნინო დაქორწინებიდან მალევე დარწმუნდა იმაში, რომ ოჯახური ბედნიერება, რომლის მიღწევასაც იგი ამ ქორწინებიდან ელოდა, რეალურ საფუძველს მოკლებული ოცნება გამოდგა. სულიერ სატანჯველად ქცეული ამ მდგომარეობიდან თავის დახსნას იგი ქმრის ღალატითა და მასზე თითქოსდა თავდავიწყებით გამიჯნურებულ ვანო გარელთან სასიყვარულო ურთიერთობის დამყარებით შეეცადა. ნინოს მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას მწერალი იმ გარემოების ლოგიკურ შედეგად მიიჩნევდა, რომ მას „არავითარი სახელმძღვანელო წესი არ გააჩნდა და თავის ვნებათა-ღელვას ყურ-მოჭრილ ყმასავით ემორჩილებოდა.“ აქედან გამომდინარე, ნინოს ოჯახური ტრაგედიის განმაპირობებელ საფუძვლად ის ფაქტი იქცა, რომ იგი, როგორც „ზნეობრივ საფუძველს მოკლებული“ პიროვნება, „მსუბუქად უყურებდა ცხოვრებას.“

ნინოს მიერ მეუღლისათვის ღალატის ამბავი მალევე გამჟღავნდა, რის გამოც ლევანმა ცოლი სახლიდან გააგდო. თუმცა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ქალმა თავისი უღირსი საქციელი მოინანია, ქმარმა მას ღალატი აპატია და მათი ოჯახური ერთობა აღდგა.

ჩემი აზრით, რეალურად ნაკლებად სარწმუნო ეს ამბავი ყურადღებას, პირველ ყოვლისა, იმით იქცევს, რომ მოთხრობის ამ ეპიზოდით მწერალმა, სცადა იმ ახალი ცხოვრებისეული რეალობისთვისაც მიეპყრო მკითხველის ყურადღება, რომელიც ტრადიციულ ზნეობრივ პრინციპებს საფრთხის წინაშე აყენებდა. ამ თვალსაზ-

რისით, შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მეუღლისადმი ღალატისთვის იმპულსის მიმცემ ფაქტორად ცხოვრების ე. წ. ქალაქური წესი იქცა, რაც ქალს, ავტორის ილუზიური წარმოსახვით, ტრადიციული ზნეობრივი ნორმებისაგან მეტ-ნაკლებად თავისუფალი ცხოვრების უფლებასაც აძლევდა.

ნინო, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არ არის და საამისო მაგალითს იგი მისი ერთ-ერთი ახლო მეგობრისგან – რუსუდანისგანაც იღებდა, რომელიც გათხოვებიდან სამიოდე თვის შემდეგ გაუარშიყდა სხვა პიროვნებას. კერძოდ, მწერლის ხაზგასმით, ნინოს „გულში უხაროდა, რომ რუსუდან ასეთი მტკიცე ხასიათისა გამოდგა, თავის ნებაზე დადიოდა და ცოლ-ქმრობის ბორკილს არ ემორჩილებოდა“.

ევროპული ცივილიზაციის საბურველით შენიღბული ამ მოვლენისადმი ა. ლაისტის კრიტიკული დამოკიდებულება ყველაზე მეტად მოთხრობის იმ ეპიზოდებში გამოვლინდა, რომელთა მეშვეობითაც მწერალი ნინოს სასიყვარულო ურთიერთობის მთავარ გმირად წარმოსახული ვანო გარელის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. კერძოდ, როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ნათლად ჩანს, მწერლობის ამბიციის მქონე ვანო სინამდვილეში თავის თავზე შეყვარებული ის პიროვნება იყო, რომელიც არარეალურ შეფასებას აძლევდა საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებს. რეალურად კი იგი მწერლობას მიტმასნილ იმ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელიც, მისი დროის არისტოკრატიული წრის დიდი ნაწილის მსგავსად, ეკონომიკური გაღატაკების გზაზე იდგა.

იმის ნათელსაყოფად, ვანო გარელი თავისი სოციალური მდგომარეობით არაფრით რომ არ განირჩეოდა არისტოკრატიული ფენის დიდი ნაწილისაგან, დავიმოწმებ ფრაგმენტს მოთხრობიდან: ნინაპრებისაგან დანატოვარი მისი „მამული ეხლა ისე გაოხრებული იყო, რომ თითქმის არაფერი არ შემოჰქონდა. გარელის მამის სიკვდილის დროს ერთი-ოცად მეტი ყოფილიყო, მაგრამ ყოველ წელს ისე ეკვეცნათ, რომ ეხლა ერთ დიდ სახნავს მინდორსღა წარმოადგენდა და ერთ პატარა ვენახს.“

საკუთარი მამულისადმი ასეთ ფუქსავატურ დამოკიდებულებას ამბიციური შემოქმედებითი პატივმოყვარეობით შეპყრობილი ვანო იმით ამართლებდა, რომ მას „ბევრად უფრო მძიმე საქმე ჰქონდა გასაკეთებელი“ და ისეთ „წვრილმან საქმეებზე,“ როგორიც მამულის მოვლა-პატრონობა იყო, იგი ვერ მოცდებოდა.

ასეთია უმთავრესი შტრიხები არტურ ლაისტის იმ მოთხრობისა, რომელიც, მისივე განმარტებით, მან თავისი დროის ქართული ყოფის საფუძველზე შექმნა და განზოგადებული ფორმით სცადა წარმოესახა მაშინდელ ჩვენს რეალობაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესები.

როგორც უკვე ითქვა, განხილული მოთხრობა გამონაკლისი არ არის და ქართული თემატიკა ფაქტობრივად არტურ ლაისტის მთელი მხატვრული შემოქმედების უმთავრეს თემად იყო დამკვიდრებული. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მწერლური ოსტატობის თვალსაზრისით, ნაკლებად ფასეული ეს ტექსტები დღევანდელი მკითხველისათვის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამითაა საინტერესო. ლევან ბრეგაძის მართებული ხაზგასმით, არტურ ლაისტის მხატვრულ თხზულებათა „სიუჟეტები მისთვის უფრო საბაბია საიმისოდ, რომ უცხოელ მკითხველს გააცნოს საქართველო, ჩვენი ხალხი, მისი ტრადიციები, საქართველოს ბუნება“ (ბრეგაძე, 2010: 52).

სწორედ ამ მიზანსწრაფვის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გერმანელი მწერლის მოთხრობებში შთამბეჭდავი სახით აისახა ავტორის დროინდელი ქართული რეალობის ცალკეული მხარეები. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ თვასაზრისით, მინდა მივაქციო ყურადღება მის ბელეტრიზებულ მონათხრობებს ციკლიდან „დონ კიხოტის ნათესავები.“ მათი მთავარი პერსონაჟების ცხოვრებიდან ნაამბობი ფრაგმენტული ეპიზოდებით არტურ ლაისტი შეეცადა განზოგადებული ფორმით წარმოესახა ის რეალობა, რომელშიც აღმოჩნდა ქართველ არისტოკრატთა არცთუ მცირე ნაწილი ბატონყმობის გაუქმებისა და ახალი ეკონომიკური ვითარების დამკვიდრების შედეგად.

ქართველ მწერალთა შემოქმედებაში მასშტაბურად და მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით წარმოსახულ ამ მოვლენას, თავის მხრივ, არტურ ლაისტიც გამოეხმაურა თავისი მხატვრული ტექსტებით. მათი მოქმედი პირების ცხოვრებისეული ხვედრი ბევრი რამით ჩამოჰგავს შესაბამისი პერიოდის ქართველ მწერალთა მიერ აღნიშნული მოვლენის წარმოსაჩენად ხორცშესხმულ პერსონაჟთა პიროვნულ სახეებს. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ აღნიშნულ გარემოებას თავად ა. ლაისტიც მიგვანიშნებს, როცა ამ თემაზე შექმნილი მისი ერთ-ერთი ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, რომელიც ილია ჭავჭავაძის „კაცია-

ადამიანის?!" მთავარი მოქმედი პირის ორეულადაც შეიძლება მივიჩნიოთ, სახელად ლუარსაბს არქმევს.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენოთ უმთავრესი შტრიხები არტურ ლაისტისეული მონათხრობიდან.

ლუარსაბი იმავე სოფლის მკვიდრი იყო, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ. „იქა ჰქონდა მამული, დიდი ზვარი, სახნავ-სათესი და კარგი წისქვილი, ჯერ ისევ მამა-მისის დროს აშენებული. სახლი დიდია, მაგრამ უკვე ცუდ დღეშია, ამიტომ რომ, რაც მამა მოკვდა, სულ მცირე შეკეთება რა არის, ისიც არ უნახავს სახლსა. გარედან ისე გამოიყურება, როგორც დახეული ტანისამოსი. უკეთეს დღეში არც შიგნიდანაა. ოთახებს იშვიათად თუ ვინმე ალაგებს" (ლეისტი, 1923: 150).

არტურ ლაისტის მიერ ხორცშესხმული პერსონაჟის მსგავსება ლუარსაბ თათქარიძესთან კიდევ უფრო ნათლად ვლინდება მისი პიროვნული თვისებების ავტორისეული წარმოსახვით. მაგალითად: „უმთავრესი ჩვეულებათაგანი ლუარსაბისა ის არის, რომ ბევრი სძინავს. დიახ, შეუძლია მთელი დღე-ღამე იძინოს...

მეორე უმთავრესი ჩვეულებათაგანი ლუარსაბისა ღვინის სმაა...

ლუარსაბის მესამე უმთავრესი ჩვეულებათაგანი აივანზე ჯდომა და სოფლის შარაგზის ყურებაა" (ლეისტი, 1923: 150).

ლუარსაბის პიროვნული ბუნების ამგვარი დახასიათების შემდეგ მისი ფუქსავატური ცხოვრებიდან არტურ ლაისტი ერთ ისეთ ეპიზოდსაც ჰყვება, რომლითაც განზოგადებული სახით გვიქმნის წარმოდგენას იმ უაზრო ყოველდღიურ ყოფაზე, რომელიც ამ პიროვნებას მთელი თავისი ცხოვრების ნირშეუცვლელ წესად ჰქონდა დამკვიდრებული და მისეულ მონათხრობს ამ სტრიქონებით ამთავრებს: „ასე ცხოვრობს ლუარსაბი, ასე ატარებს დროს, ასე ეღება ბოლო მის ავლა-დიდებას, ასე ენგრევა სახლ-კარი, ასე ბერდება და თვითონაც ინგრევა" (ლეისტი, 1923: 154).

არტურ ლაისტის მიერ დონ კიხოტის ნათესავებად შერაცხულ მისეულ პერსონაჟთა ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამორჩეული წარმომადგენელია სანდრო ბოლაძე – ამავე სახელწოდების მქონე პროზაული ტექსტის მთავარი პერსონაჟი. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სოციალური ბიოგრაფიისა და ცხოვრებისეული ხვედრის მქონე პიროვნებანი საკმაოდ მრავლად გვხვდება შესაბამისი პერიოდის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, იგი

ყველაზე მეტად დავით კლდიაშვილის მიერ წარმოსახულ ე. წ. შემოდგომის აზნაურთა მონათესავე პერსონაჟია.

მართალია, ლაისტისეულ მონათხრობში საერთოდ არ ვლინდება ქართველ სერვანტესად წოდებული დავითის პროზისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ცრემლნარევი იუმორი, მაგრამ ეს მსგავსება აშკარად თვალხილულ ფაქტს წარმოადგენს. ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ხსენებული მოთხრობიდან.

მსგავსად დ. კლდიაშვილის შემოქმედებისა, ა. ლაისტის მოთხრობაშიც მოქმედება იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ხდება. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი სანდრო ბოლაძე არისტოკრატიული კლასის წარმომადგენელია – ადრე დიდი სიმდიდრის მქონე მემამულე, იმხანად კი უკვე გაღატაკებული და მხოლოდღა ძველი დიდებით მოტრაბახე კაცი. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ცხოვრებისეულმა რეალობამ მის ადრინდელ უზრუნველ ცხოვრებას ერთიანად გამოაცალა მატერიალური საფუძველი, იგი გულს მაინც არ იტეხს და ვითარების იმგვარად წარმოჩენას ცდილობს, თითქოს მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა და ადრინდელი კეთილდღეობა კვლავაც სრულყოფილად აქვს შენარჩუნებული.

მაგალითად, ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად მყოფი სანდრო ახლად გაცნობილ თანამეინახეებს დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ იგი მთელს იმერეთში ყველაზე დიდი მამულისა და იალაღების მფლობელი იყო. მწერლის თქმით, „უნდა გეყურებინათ, ამას რანაირათ ლაპარაკობდა, რა დარბაისლობითა და ზრდილობით!.. ყოველი ფრაზა და აზრი პირდაპირ არტისტული იყო“ (ლეისტი, 1923: 147).

საკუთარი კარ-მიდამოთი თავმოსაწონებლად ნათქვამი ეს სიტყვები გამონაკლისი არ ყოფილა და სიმდიდრითა და კეთილშობილებით სხვათაგან თავის გამორჩეულობაზე სანდრო ყველასთან საუბრობდა ასეთი სიამაყით. მაგალითად: „მამაჩემი კარგი მეურნე იყო, მაგრამ არხიტექტორიც იყო კარგი. დამიტოვა საუკეთესო სახლი, რომლითაც შემიძლია ვიამაყო. ოცი ოთახია, ხოლო სასადილოში ასზე მეტი სტუმარი დაეტევა. ჩემი გვარი ყოველთვის განთქმული იყო ჩვენს მაზრაში და, ღვთის შეწევნით, ეს საპატიო ადგილი კიდევ დიდხანს ეჭირება“ (ლეისტი, 1923: 147).

ასეთი იყო სანდრო ბოლაძის მიერ საკუთარი ფანტაზიით წარმოსახული ის ილუზიური ყოფითი გარემო, რომელსაც სინამდვი-

ლეში არაფერი ჰქონდა საერთო არსებულ რეალობასთან. მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟის ინფორმაციით, ერთ დროს ის და მისი წინაპრები მართლაც იყვნენ „ნამდვილი და დიდი მებატონეები... მაგრამ ეს დიდი მებატონე უკვე გაღარიბდა. მისი მამული რამოდენიმეჯერ იყო დაგირავებული, დიდი ნაწილი კი უკვე გაყიდულია. აი, ეს ოდესღაც მდიდარი ბაღები, ეს ვენახები, ყანები და საძოვარი ადგილები, რომლებიც კიდევ დარჩა მის განკარგულებაში, მალე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება. დარწმუნებული ვარ, ახლა სადილიც კი არა აქვს“ (ლეისტი, 1923: 148).

ამ ინფორმაციის მოწოდებასთან ერთად, ა. ლაისტი იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ამ მდგომარეობაში ბოლაძე იმიტომაც აღმოჩნდა, რომ „ახალგაზრდობაში მფლანგავი იყო და დიდი ბატონის როლს თამაშობდა.“ მართალია, ახლა მას საამისოდ აღარავითარი ეკონომიკური საფუძველი აღარ გააჩნდა, მაგრამ გარეშე პირთათვის თვალის ასახვევად „თავისი ძველი როლის თამაშს მაინც განაგრძობდა.“

ასე მოხდა ხსენებული პერსონაჟის ცხოვრების მოსათხრობად დაწერილი ამ ნაწარმოების ავტორთან დაკავშირებითაც. ბოლაძემ იგი დიდი პატივისცემით მიიწვია მუდმივი ტრაბახის საგნად ქცეულ თავის სახლში, სადაც საპატიო სტუმარი ასეთ რეალობაში აღმოჩნდა: „მისი დიდი სახლი, რომელიც სრულიად მოუვლელი ბაღით იყო შემოვლებული, შორიდან სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდა, მაგრამ როცა ეზოსა და ბაღში დავინახე კვალი გაღატაკებისა და განიავებისა, პირველი სასიამოვნო შთაბეჭდილება გაჰქრა.

ბაღის კედლები ბევრ ადგილას სრულიად დანგრეული იყო, თვით ბაღი ყვავილების მაგივრათ ბალახს დაეფარა, ბუჩქები დამჭკნარიყო.

სახლში კი ზოგიერთ ფანჯარას აღარ ჰქონდა მინები, ზოგი ჩამტვრეოდა და ეზოდან ემჩნეოდა, რომ ზოგიერთი ოთახი სრულიად დაცარიელებულიყო“ (ლეისტი, 1923: 148).

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ბოლაძე არაფერს იმჩნევდა და სტუმარს სიამაყით არა მარტო მის წარჩინებულობასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე ესაუბრებოდა უდიდესი სიამაყით, არამედ მისი მეზობლების სიღარიბეზეც. მაგალითად: „ესენი ჩემი ღარიბი მეზობლები არიან, საწყლები, რომლებსაც მოვიწვევ ხოლმე, როცა კი სტუმრები მყავს. ასეთი მზრუნველობა ჩვენი

გვარისათვის ტრადიციულია და მეც წმინდათ და კეთილსინდისიერათ ვასრულებ ჩემი წინაპრების ჩვეულებას, ვინაიდან ქველმოქმედება მდიდრების ვალდებულებაა" (ლეისტი, 1923: 149).

სინამდვილეში კი, ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, ბოლაძის ამგვარი ქმედება მხოლოდ მისი სიღარიბისა და ეკონომიკური სიბეჩავის შენიღბვის უმწეო მცდელობა იყო. ამ მოჩვენებითი ქველმოქმედების მიღმა არსებული რეალობა კი ასეთია: ბოლაძეს „არ უნდა მოიშალოს დიდი ბატონის როლის თამაში. მის დიდ სახლში მხოლოდ სამი ოთახია მორთული ავეჯით. დანარჩენებში სიცარიელეა და ყველგან ობი და თაგვებია გაბატონებული... უეჭველია, ეს სადილი დიდი ხნით წაართმევდა მას შესაძლებლობას, გაიკეთოს უბრალო სადილი, ვინაიდან თითქმის არაფერი დარჩენია: არც ძროხა, აღარც ღორი, არც ერთი ცხვარი, არც ქათამი და ფქვილიც კი აღარ აბადია. ყანების და ვენახების ნაყოფს იღებს არა იგი, არამედ მისი მოვალეები" (ლეისტი, 1923: 149).

„დონ კიხოტის ნათესავების" ციკლის პროზაულ ტექსტებთან ერთად, რომლებშიც ეკონომიკურად გაღატაკებული და სოციალურად საფუძველგამოცლილი არისტოკრატიული კლასის მამაკაცთა ტრაგიკული ცხოვრებისეული ხვედრია წარმოსახული, არტურ ლაისტმა „ქართველ ქალთა" ცხოვრების ამასხველ მოთხრობათა ციკლის შექმნაც სცადა. ამ ციკლის პროზაულ ტექსტებში გერმანელმა მწერალმა მისი ეპოქის ქართველ ქალთა განზოგადებული სახეები უმთავრესად ეროვნულ პრობლემასთან მათი მიმართებით წარმოაჩინა.

კერძოდ, გერმანელი მწერლის მიერ ხორცშესხმული ქალი პერსონაჟები, თავიანთი ეროვნული თვალთახედვით, ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ ორ კატეგორიად იყოფიან. პირველ ჯგუფს ის ქალბატონები მიეკუთვნებიან, რომლებიც თავიანთი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად ეროვნულ-ქართული ინტერესების დაცვასა და მსახურებას მიიჩნევენ და ამ საქმეს აქტიურად ემსახურებიან. მათგან განსხვავებით, მეორე ჯგუფის წევრები კი არათუ არაფერს აკეთებენ ამ მიმართულებით, არამედ ისინი თავიანთ ქართველობასაც სირცხვილად მიიჩნევენ და ყველანაირად ცდილობენ, ეროვნულ ფესვებს რომ მოწყდნენ.

მაგალითად, მწერლის თქმით, მთელ თბილისში „სილამაზით, შთამომავლობით, აღზრდითა და მოქმედებით" გამორჩეულ ქეთევანს, რომელიც „ქართული რასის უკეთილშობილეს განსახიერე-

ბას" წარმოადგენდა და ამ თვალსაზრისით „ტოლი არ მოეპოვებოდა," ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა – „ცუდად იცოდა ქართული. ეს იყო ბრალი მშობლებისა და საზოგადოებისა, სადაც ქართული ენა აბუჩად იყო აგდებული.

არავითარი ცოდნის ნასახი ჰქონდა ქართულ ისტორიასა და ლიტერატურაში.

მართალია, გაეგონა რომ არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი, ბარათაშვილი და სხვა ქართველი პოეტები, მაგრამ მათი წიგნები ერთიც კი არსად ენახა. სამაგიეროთ, რამდენჯერმე ჰქონდა გადაკითხული ალფონს დოდე, პოლ ბურჟე, ჩეხოვი, ტურგენევი და სხვა. იცოდა, რომ ტფილისში არსებობდა ქართული თეატრიც და მხოლოთ ორჯერ თუ შეუხედია შიგ. მისი ცხოვრების ასპარეზი იყო სალონი. ყველაზე სახელგანთქმულ სალონებში, სადაც ირეოდნენ ძველის რეჟიმის მოხელენი და დიდებულნი, ქეთავანი „შინაურ ადამიანად" ითვლებოდა, ყველა იცნობდა და თავაზით ექცეოდა" (ლეისტი, 1923: 155).

ციტირებული ფრაგმენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ კონკრეტულ შემთხვევაში იმითაც იძენს, რომ შესაბამისი პერიოდის ეროვნულ პრობლემათა აქტიურად დამცველისა და ამ პრობლემებისადმი გულგრილად განწყობილ ქართველთა მკაცრად გამკრიტიკებლის როლში ჩვენი ქვეყნის უცხოელი მეგობარი გამოდის.

ყოველივე ზემოთქმულის წინააღმდეგ, მძაფრი საპროტესტო გრძნობის გასაჩენად, გერმანელი მწერალი ქართველი ქალის ეროვნულ ნიჰილიზმს მეტ მასშტაბებს იმითაც სძენს, რომ მის ქართველ მეუღლესაც ქართულ ფესვებს მოწყვეტილ და ნაციონალური თვითშეგნებით მასზე უფრო გადაგვარებულ ადამიანად წარმოგვიდგენს.

კერძოდ, ა. ლაისტის დახასიათებით, კაცი, რომელსაც ქეთევანი ცოლად გაჰყვა, „მისებრივის ტიპისა იყო. უკანასკნელი არავის უწევდა ანგარიშს, გარდა თავის უფროსებისა და დიდ მოხელეებისა. ქართულათ მარტო თავის ლაქიასთან და მზარეულებთან ლაპარაკობდა. თითქმის რამდენიმე ასეული ქართული სიტყვაც იცოდა, მაგრამ უფროსებთან თავს იკატუნებდა და ჰფიცავდა – აღარ მესმის ქართული ენა, დიდი ხანია დამავიწყდაო" (ლეისტი, 1923: 156).

გერმანელმა მწერალმა მის მიერ წარმოსახულ ამ პიროვნებათა ეროვნული გადაგვარებისადმი თავისი მკვეთრად ნეგატიური

დამოკიდებულება არა მარტო ტექსტში ჩართული კომენტარებით გამოხატა, არამედ მის მიერ მოთხრობილი ამბის შემაჯამებელი ამ სტრიქონებითაც: „ასე გაიარა ქეთევანის ცხოვრებამ. ომიანობამდე რამდენსამე წელს წინათ მოკვდა და ვგონებ, რომ არცარავინ იგონებს. უკვალოდ გაჰქრა და ფუჭია მისი ხსოვნაც ისე, როგორც ფუჭი იყო მისი ცხოვრება" (ლეისტი, 1923: 156).

არტურ ლაისტის პროზის ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მან ქეთევანისა და მისი მეუღლის ეროვნულად გადაგვარებული პიროვნული სახეების საპირისპირო ტიპებსაც შეასხა ხორცი ნოველისებურ ჩანახატში „ელისაბედი." ქეთევანისა და მისი ქმრისაგან განსხვავებით, ელისაბედიცა და მისი მეუღლეც ქვეყნის სამსახურში აქტიურად მდგარი პიროვნებანი არიან, ეროვნულ-ქართული ინტერესების სადარაჯოზე უკომპრომისოდ მდგარი პატრიოტები. ამგვარი მოქალაქეობრივი თვალთახედვა ქალს მისმა მშობლებმა ჩამოუყალიბეს, რომელთაც ქალიშვილს „საფუძვლიანი განათლება მიაღებინეს... მამა საზოგადო მოღვაწე იყო და ქალსაც ჩაუნერგა საზოგადო საქმეებისადმი სიყვარული" (ლეისტი, 1923: 156).

ელისაბედს ეროვნული თვითშეგნება და ქართულ საქმეთა სამსახურში უანგაროდ დგომის სულისკვეთება კიდევ უფრო მეტად განუმტკიცა მისმა მეუღლემ, რომელიც, ამ თვალსაზრისით, მისი დროის ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას წარმოადგენდა. გერმანელი მწერლის ინფორმაციით, სწორედ ამ გზით სიარულმა და ეროვნული იდეალებისადმი უღალატო მსახურებამ მოუპოვა ამ პიროვნებებს დიდი სახალხო სიყვარული და საყოველთაო პატივისცემა.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში არტურ ლაისტი ჩვენი ქვეყნის ყოველი მხარის მკვიდრთა ისტორიითა და თანადროული ყოფით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ ამ რეგიონებში საკმაოდ ხშირად მოგზაურობდა, მათ შესახებ არსებულ მასალებს, მათ შორის „ქართლის ცხოვრებასა" და სხვა სახის ისტორიულ დოკუმენტებსაც, საგულდაგულოდ სწავლობდა, იქაურთა ყოფას ეცნობოდა და ამ საფუძველზე შექმნილი თავისი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებით უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოთი და ქართული მწერლობით ევროპელთა დასაინტერესებლად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო რამდენიმე ნიმუშს მისი მხატვრული ნააზრევიდან.

საუბარს დავიწყებ მეზღვაურთა ცხოვრების ამსახველი ერთი პატარა მოთხრობის – „აბდულის“ განხილვით, რომლის მეშვეობითაც მწერალი ერთ უაღრესად საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებული აჭარის მკვიდრთა ცხოვრებიდან.

ავტორისეული მონათხრობის მიხედვით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება იმ გაორებულ ცნობიერებაზე, რომელმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის კირთებქვეშ მცხოვრები აჭარლების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ჰპოვა გამოვლინება მეტ-ნაკლები მასშტაბებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მკვიდრ მოსახლეობას თავისი ეთნიკური ქართველობა ეჭვქვეშ არასოდეს დაუყენებია და მათ ერთადერთ საკომუნიკაციო საშუალებას ქართული ენა წარმოადგენდა, რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე, ცალკეული პიროვნებანი გარკვეულწილად მაინც აღმოჩნდნენ ეროვნული გაუცხოების გზაზე დამდგარნი.

არტურ ლაისტის მოთხრობა სწორედ ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მხატვრულ ტექსტს წარმოადგენს და ხსენებული პრობლემა მასში შთამბეჭდავი ფორმითაა წარმოჩენილი ერთ ქობულეთურ ოჯახთან დაკავშირებული ამბის მოთხრობის შედეგად. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენებ ძირითად სიუჟეტურ შტრიხებს ნაწარმოებიდან.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟის, ქობულეთში დაბადებული და გაზრდილი აბდულის მამის წინაპრები ქრისტიანი ქართველები იყვნენ. მაგრამ ოსმალების მიერ მათი მხარის დაპყრობის შემდეგ მისი ბაბუა იძულებული გახდა გამუსლიმანებულიყო. ამისდა მიუხედავად, მის მემკვიდრეთა ოჯახებში ქართული ენა კვლავაც რჩებოდა ერთადერთ საურთიერთო საშუალებად.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად, დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთების შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა და ბათუმში ქართლიდან, გურიიდან და იმერეთიდან მრავლად ჩამოსახლებული ქართველებისაგან „აჭარლებმა გაიგეს, რომ ისინი ყველანი ძმები არიან, რომ ძალათ მოსწყვიტეს საქართველოსა და ძალათვე გაამაჰმადიანეს“ (ლეისტი, 1927: 41).

მიუხედავად აჭარის მკვიდრთა ცნობიერებაში ეროვნული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მომხდარი ამ გარდატეხისა, მათი ცალკეული წარმომადგენლები, უმთავრესად რელიგიური ფაქტორის მძლავრი ზეგავლენის შედეგად, გაორებულ მდგომა-

რეობაში აღმოჩნდნენ. კერძოდ, მათ „რაღაცა ძალა იზიდავდათ თათრებისაკენ და ძველებურად დადიოდნენ მეჩეთში."

ერთ-ერთ სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა აბდულის მამა, რომელმაც დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთებიდან ერთი წლის შემდეგ ქობულეთში მცხოვრები ცოლი და ექვსი წლის შვილი დატოვა და თავად რიზეში წავიდა, სადაც ათი წლის განმავლობაში ეწეოდა სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას. ავტორისეული განმარტებით, მან ეს სარისკო ნაბიჯი, პირველ ყოვლისა, იმიტომაც გადადგა, რომ არსებითად შეცვლილი ვითარების გამო, მშობლიურ ქობულეთსა და ბათუმში ცხოვრებას „თურქებთან და ლაზებთან ყოფნა ერჩივნა."

ათი წლის შემდეგ შინ დაბრუნებულმა აბდულის მამამ ცოლშვილის ნახვით, მართალია, ძალზე გაიხარა, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მისი შვილი მხოლოდ ქართულად საუბრობდა და საერთოდ არ იცოდა თათრული ენა. ოჯახში რამდენიმე კვირით დარჩენის შემდეგ აბდულის მამა შვილთან ერთად ბათუმში წავიდა, სანდალი იყიდა და ბათუმსა და რიზეში წარმატებული კომერციული საქმიანობა გააჩაღა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან კმაყოფილი იყო შვილის მიერ ამ საქმეში გამოვლენილი აქტიურობითა და მოხერხებულობით, აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ „ის უფრო სხვა პროვინციებიდან მოსულ ქართველებს ეტანებოდა, ვიდრე აჭარლებს". მისგან განსხვავებით, თავად ის კი „მთელი საათობით იჯდა რიზეს სანაპიროს ყავახანაში და ყალიონის წევით ოსმალურად ესაუბრებოდა სხვა მეზღვაურებს. ეს მას სიამოვნებდა და ვერ გაეგო, თუ აბდულს როგორ შეეძლო სხვა რამ გასართობი ეძებნა" (ლეისტი, 1927: 43).

მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და აბდულის მამის ცნობიერებაში რადიკალური გარდატეხა მოხდა. ეს მოვლენა არსებითად განაპირობა მისი შვილის სასიყვარულო ურთიერთობამ იმერელ ქალიშვილთან. ამ ამბის შეტყობით გულნატკენი მამა თავიდან კატეგორიულად აღუდგა წინ მათ სიყვარულს და თავისი უკმაყოფილება ამ სიტყვებით გამოხატა: „რად გინდა, შვილო, მაინცა და მაინც იმერელი ქალი შეირთო და არა აჭარელი... ხომ შეგეძლო გენახა აჭარელი" (ლეისტი, 1927: 45).

მიუხედავად იმისა, რომ აჭარელისა და იმერელის ამგვარ დაპირისპირებაში მწერალი რელიგიური რწმენის განსხვავებულობას

არსად ახსენებს, ნაწარმოების შინაარსობრივი კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ იმერელისა და აჭარელის ერთმანეთისაგან გამმიჯვნელ უმთავრეს ფაქტორად აბდულის მამა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ მოვლენას მიიჩნევს – ჩვენი ქვეყნის ამ ორი მხარის მკვიდრთა ერთმანეთისაგან განცალკევებას სარწმუნოებრივი თვალსაზრისით.

მაგრამ ის, რაც აბდულის მამისთვის პრობლემად მიჩნეულ ბარიერს წარმოადგენს, შვილისთვის, პირიქით, მისი ეროვნული ცნობიერების განმამტკიცებელ მოვლენადაა ქცეული, რაც ნათლად ვლინდება შვილის მიერ მამისთვის მიმართული ამ სიტყვებით: „მე მთელი ჩემი ბავშვობა გურულებსა და იმერლებს შორის გავატარე და იმათგან შევიგნე, რომ ჩვენც ისეთივე ქართველები ვართ, როგორც ისინი. მაგრამ თათრებმა მოგვწყვიტეს ჩვენ მათ და სულ სხვა გზას დავადექით. ეხლა კი კვლავ მინდა დავუბრუნდე ჩვენს საერთო სამშობლოს და კატოს შეუძლიან დამაკავშიროს მასთან“ (ლეისტი, 1927: 45).

მართალია, შვილის მიერ ამ სიტყვებით გამოხატული ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვალთახედვა მამასა და მის მემკვიდრეს შორის გარკვეული დროის განმავლობაში ამის შემდეგაც დარჩა დაუძლეველ ბარიერად, მაგრამ ეს სირთულე დროთა განმავლობაში აბდულის მამამაც დასძლია წარმატებით და არა მარტო სიტყვიერად მისცა შვილს იმერელ ასულზე დაქორწინების უფლება, არამედ ამ გადაწყვეტილების მიღებით ფაქტობრივად მანაც გადადგა არსებითად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ისტორიულ სამშობლოსთან გაწყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად და მშობლიურ წიაღთან დასაბრუნებლად.

ისტორიული ავბედობის შედეგად ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეში შექმნილი პრობლემის აღნიშნული რაკურსით გააზრებასა და ამგვარ გადაწყვეტას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ამ მოვლენის ასეთი სახით განმსჯელ-შემფასებლის როლში უცხოელი მწერალი გვევლინება.

ლიტერატურული წერილები

ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და ჩვენი ყოფა-ცხოვრების საფუძვლიანად ცოდნამ არტურ ლაისტს შესაძლებლობა მისცა, აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ერთ-ერთ პირველს რომ გაეაზრებინა ახლებური თვალთახედვით და ევროპულ რეალობასთან მიმართებით მოეხდინა მათი სპეციფიკური მხარეების წარმოჩენა. ამ მიმართულებით გამოთქმულ მისეულ მოსაზრებებსა და შეფასებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ ამას ქართული ყოფის საფუძვლიანად მცოდნე ის პიროვნება აკეთებდა, რომელიც საქართველოში ხანგრძლივი დროით ცხოვრების შედეგად უკვე თავადაც იყო ქცეული ამ სამყაროს ნაწილად.

არტურ ლაისტის ქართველოლოგიურ ღვაწლზე საუბარი მინდა რუსთველოლოგიაში მის მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენით დავიწყო. ამ თვალსაზრისით, არა მარტო ის ფაქტი იქცა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად, რომ გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" მისეული თარგმანითა და ამ თარგმანის ცალკე წიგნად გამოცემით მან ევროპულ სამყაროს ერთ-ერთმა პირველმა გააცნო შოთა რუსთველის პოემა, არამედ იმ ნაშრომებითაც, რომლებიც რუსთველის პოემასთან დაკავშირებულ საკითხთა მისეული თვალთახედვით, გასაანალიზებლად დაწერა და გამოაქვეყნა უცხოურ პრესასა და თავის წიგნებში.

გარდა იმისა, რომ ამ ნაშრომებით გერმანელი ავტორი მართებულად აანალიზებდა „ვეფხისტყაოსნის" არაერთ პრობლემურ საკითხს, მისი ამ ნაშრომების მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ რუსთველის პოემა და მისი ავტორის პოეტურ-მსოფლმხედველობრივი ღვაწლი არტურ ლაისტს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში აქვს გაანალიზებული, რითაც მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით წარმოაჩენს მის პრიორიტეტულ როლს არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

მაგალითად: „რუსთველის მოვლინება ძველ ქართულ ცხოვრებაში უმაღლეს კულტურის უმწვერვალეს წერტილად მოჩანს. ეს ფილოსოფოსი, მორალისტი და ენაწყლიანი მგოსანი განასა-

ხიერებს ქართველ ერის კეთილ სულს... მისი შემოქმედება იყო და არის მდიდარი საუნჯე სულისა და გულისათვის" (ლეისტი, 1927: 115).

წერილში „კულტურული მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნისა" რუსთველის პოემის მარადიული სიცოცხლის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ა. ლაისტი, პირველ ყოვლისა, იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ ეს ნაწარმოები „საქართველოს ცხოვრების უკვდავი ძეგლი" იყო, „სარკე რუსთველის დროინდელი ქართველების მსოფლმხედველობისა და ზნეობისა, როგორც კულტურულ მისწრაფებათა შთაგონების წყარო" (ლაისტი, 1963: 81). ა. ლაისტის მტკიცებით, რუსთველმა სწორედ ამით „გაუსწრო თავის დროს და თავის ერს საუკუნეთა განმავლობაში მოევლინა, როგორც ქართული კულტურის ზნეობრივი და გონებრივი ძალა."

არტურ ლაისტის რუსთველოლოგიურ მოსაზრებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ გერმანელმა ქართველოლოგმა „ვეფხისტყაოსნის" ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასება ერთ-ერთმა პირველმა სცადა ევროპული ლიტერატურის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ მას ამ მიმართულებით სპეციალური მეცნიერული კვლევა არ უწარმოებია და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები მეტწილად ფრაგმენტულია და კონკრეტულ არგუმენტებს ნაკლებად ემყარება, ლაისტისეულ შეფასებებს, როგორც რუსთველური იდეების კომენტირების მცდელობას მსოფლიო ლიტერატურის ფართოდ ცნობილ ავტორთა შემოქმედებასთან მიმართებით, განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც უნდა მივაქციოთ, რომ იგი სწორედ ამ კუთხით ცდილობდა „ვეფხისტყაოსნის" ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასებას.

მაგალითად: „შოთა რუსთაველმა დიდი შემოქმედებითი სული შთაბერა საუკუნეთა მთელ წყებას და ქართველების მოწინავე შვილებს სამუდამოდ გაუკაფა გზა ახალი და ახალი ჰორიზონტებისაკენ. „ვეფხისტყაოსანი" მორალური, კულტურული და სულიერი იდეალებით გაცილებით მაღლა დგას მისი დროის აღმოსავლეთის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებზე. მისი ღირსება მარტო ის კი არ არის, რომ თანამედროვეებს მთელი სიღრმით ასახავს, არამედ ისიც, რომ შეუნელებლად მოუწოდებს განსრულების მაღალი მიზნისაკენ. ამ მხრივ რუსთაველის უკვდავ პოემას ბევრი მსგავსება აქვს მისი თანამედროვე გერმანელი პოეტის ვოლფრამ

ფონ-ეშენბახის „პარციფილთან." მხოლოდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი შოთა რუსთაველი შეუდარებლად უფრო თავისუფალ შემოქმედად გვევლინება, ვიდრე ეშენბახი, რომელსაც თავი ვერ დაუღწევია რელიგიური დოგმებისა და საეკლესიო სწავლა-მოძღვრებათა ხლართისაგან" (ლაისტი, 1963: 91).

მართალია, რუსთველის პოეტური ღვაწლის ამგვარ შეფასებებში დღევანდელი მკითხველისთვის ახალი და უჩვეულო არაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორის მხატვრულ ნააზრევს ასეთ შეფასებას უცხოელი ავტორი იმ დროს აძლევდა, როცა საქართველოს გარეთ მისი პოემის სახელიც კი არ ჰქონდა ბევრ ვინმეს გაგონილი.

რუსთაველი გამონაკლისი არ ყოფილა და ქართული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლების შემოქმედებითი ღვაწლის წარმოსახვა ევროპულ რეალობასთან მიმართებით არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. მოვლენათა ამ მიმართულებით განსჯა-შეფასების მისეულ ტენდენციას ამ შემთხვევაში, მყარ საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება უქმნიდა, რომ გერმანელი ავტორი ევროპული ლიტერატურისა და ისტორიის საფუძვლიანად მცოდნე პიროვნებას წარმოადგენდა, რაც მას მძლავრ საფუძველს უქმნიდა ამგვარი პარალელების გასავლებად.

მაგალითად: არტურ ლაისტის ხაზგასმით, ცნობილი მეფე-პოეტები: თეიმურაზ I, არჩილი და თეიმურაზ II, რომელთაც „არც თუ მცირე მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის ისტორიაში და რომელთაც მაშინდელი ევროპა არ იცნობდა, იყვნენ პირველნი ბაგრატიონთა გვარის მწერალთა, სწავლულთა და მგოსანთა წრიდან. ევროპა ცოტას იცნობს ასეთ მეფეთა და დიდებულთ, და საქართველოსთვის ეს, რა თქმა უნდა, საქები ღირსებაა, როცა ევროპელი მონარქები იშვიათად თუ აიღებდნენ ხელში წიგნს" (ლეისტი, 1927: 123).

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ნაშრომების განსაკუთრებულ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ მათმა ავტორმა მეტ-ნაკლები სიღრმითა და ძირითადად დღესაც მისაღები სახით დაანახვა ევროპელ მკითხველს ქართული მწერლობის ფაქტობრივად ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედებითი ღვაწლი.

ამ მიმართულებით გადადგმულ მის პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა გერმანულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია „დავიწყებული ლიტერატურა," რომლის ავტორმაც ევროპელ მკითხველს ერთ-ერთმა პირველმა მიაპყრობინა ყურადღება მისთვის სრულიად უცნობი ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის. არტურ ლაისტის მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში ვალერიან გუნიამ, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მოვლენას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და ხსენებულ პუბლიკაციას ასეთი შეფასება მისცა: „დავიწყებული მწერლობის თვით სათაურიც კი ლეისტის წერილისა მეტად პოეტური და ნაღვლიანია. „დავიწყებული ლიტერატურა" ა. ლეისტის მეოხებით დავიწყების წყვდიადიდან თანდათან შუქზე გამოდიოდა და იგი ინტერესს იწვევს ყველა განახლებულ ხალხში" (გუნია, 1922: 16).

არტურ ლაისტის ინფორმაციით, ეს წერილი მას იმ მასალებზე დაყრდნობით დაუწერია, რომლებიც იმხანად თბილისში გამომავალი რუსულენოვანი გაზეთის – „კავკაზის" მაშინდელ რედაქტორს დავით ერისთავს გაუგზავნია მისთვის. აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „1884 წელს მე ამ მასალების მიხედვით ჩემი პირველი წიგნი შევადგინე – „დავიწყებული ლიტერატურა," რომელიც დაიბეჭდა ლეიპციგის ჟურნალში (ამ წინადადებაში ავტორს ორი უზუსტობა აქვს დაშვებული – პირველი, ის, რომ ხსენებული ნაშრომი სინამდვილეში 1882 წელს დაიბეჭდა და არა 1884 წელს; და მეორე, „დავიწყებული ლიტერატურა" საჟურნალო სტატია იყო და არა წიგნი – ა. ნ.). ამ წერილით გერმანელებმა ქართული მწერლობის არსებობა პირველად გაიგეს... თითქმის ორი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა ჩემი მიწერ-მოწერა თავ. დავით ერისთავთან. ამავე დროს, თავ. ილია ჭავჭავაძისაგანაც მივიღე რამოდენიმე წერილი. თავ. ილია ჭავჭავაძე ახალისებდა საქმის განგრძობას. მანვე „ოთარაანთ ქვრივისა" და ლექსების რუსული თარგმანიც გამომიგზავნა. ამასთან, რაფიელ ერისთავის ლექსებიც მივიღე. ამ მიწერ-მოწერამ და ქართველების გაცნობამ სურვილი აღმიძრა თვითონ წამოვსულიყავი საქართველოში" („ივერია," 1906 წ. #25).

ხსენებული სტატიის ქართული თარგმანი 1883 წლის 9 თებერვალს გაზეთ „დროებაშიც" დაიბეჭდა ასეთი წინათქმით: „ბ. ლეისტი ისეთის თანაგრძნობით სწერს ჩვენზე და ჩვენს მწერლობაზე

და საზოგადოდ ეს სტატია იმდენად საინტერესოა, რომ იმედია, ჩვენი მკითხველი არ დაგვემდურება იმის გადმობეჭდვისათვის.“

როგორც უკვე აღინიშნა, არტურ ლაისტის აღნიშნული წერილი ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) პუბლიკაცია იყო, რომლის ავტორი გერმანულენოვან მკითხველს ბევრ პოზიტიურ და მნიშვნელოვან ცნობას აწვდიდა ევროპული (და არა მარტო ევროპული) ლიტერატურული საზოგადოებისათვის ფაქტობრივად სრულიად უცნობ ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით.

კერძოდ, პუბლიკაციის დასაწყისში ავტორი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, კავკასიის ქედის სამხრეთით მცხოვრები მცირერიცხოვანი ქართველი ერის წარსულს მსოფლიოში „მხოლოდ ცოტანი თუ იცნობდნენ“ და მის „აწინდელს განათლების წადილს ყურს თითქმის არავინ უგდებდა.“ ეს მაშინ, როცა ისტორიული მნიშვნელობა ამ ერთ მილიონზედ ნაკლების ერისა არ ჩამოუვარდებოდა სხვა მცირე აზიაში მცხოვრებ ერთა მნიშვნელობას.“

გერმანულენოვანი მკითხველისათვის ამ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ ა. ლაისტი ცდილობს, კონკრეტულად წარმოაჩინოს როგორც ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უმთავრესი ეტაპები, ისე მისი თვალსაჩინო წარმომადგენლების შემოქმედებითი წვლილი ისტორიული განვითარების ამ პროცესში.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ პუბლიკაციის ავტორი ქართველ მოღვაწეთა ღვაწლის წარმოჩენის შედეგად იმ საქმიანობაზეც ამახვილებს ყურადღებას, რითაც ისინი ევროპულ მწერლობასთან და საგანმანათლებლო სფეროსთან ქართული სამყაროს კიდევ უფრო მეტად დასაახლოებლადაც იღვწოდნენ აქტიურად. მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით ერთგან: „მაშინდელს საქართველოს ჰყავდა აგრეთვე მრავალი მოღვაწე მეცნიერებიც, რომლებიც ბერძნულ კლასიკურ თხზულებებსა თარგმნიდნენ.“ მისი სახელდებით, ესენი იყვნენ: არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე შავთელი და სხვები.

არტურ ლაისტის ხსენებული პუბლიკაციისადმი ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის გარემოებაც, რომ გერმანულენოვანი მკითხველი ამ ნაშრომის მიხედვით არა მარტო ქართველ მწერალთა მიერ შექმნილი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ იღებს კონკრეტულ ინფორმაციას, არამედ საქართველოს ისტორიის საკვანძო ეტაპებსაც ეცნობა გარკვეულწილად. ამ გა-

რემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქართული მწერლობის განვითარების მრავალსაუკუნოვან პროცესს არტურ ლაისტი, პირველ ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის დიდმნიშვნელოვან მოვლენებთან მიმართებით აანალიზებს.

ა. ლაისტის ხსენებული პუბლიკაციის შეფასების დროს აქვე იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება, რომ ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიული გზის გაანალიზების დროს, გერმანელი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ქართველ მწერალთა დიდმნიშვნელოვან როლს მშობელი ხალხის ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში. კერძოდ, აი, რას წერს თავად ის ამასთან დაკავშირებით: „საკმაოდ მდიდარია ქართველების პოეზია, მეტადრე ლირიკა, რომელსაც თუმცა აღმოსავლური კილო ეტყობა, მაინც გრძნობიერის მელოდიით გამოთქვამს საქართველოს ხალხის აწინდელს მდგომარეობას... უმთავრეს საგანს ამ ლექსებისას შეადგენს ჩივილი დაკარგულ დიდებაზედ და იმედს უკეთესის მომავლისას.“

როგორც ითქვა, ხსენებული პუბლიკაციიდან დაწყებული, გერმანულ ენაზე ქართული ლიტერატურის თარგმნა და ანალიზი არტურ ლაისტის ქართველოლოგიური კვლევათა ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქცა. ასე რომ, ქართული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელთაგან არ დარჩენილა ავტორი, რომელსაც ჩვენი მწერლობის განვითარებაში პოზიტიური წვლილი შეეტანოს და იგი არტურ ლაისტის თვალთახედვისა და შეფასების მიღმა დარჩენილიყოს.

იგი ყოველი მათგანის მხატვრულ მემკვიდრეობას საკმაოდ კარგად იყო გაცნობილი და სწორედ ამ საფუძველზე აძლევდა მათ შემოქმედებას მისეულ შეფასებებს. მაგალითად: „ბესიკი მგოსანი, მომღერალი და მუსიკოსია ერთსა და იმავე დროს. მისი ლექსები ყველაზე უსახიერეს, გრძნობებით გაჟღენთილ, მდიდრულსა და გულის ამატოკებელ ლირიკას წარმოადგენს. მისი ნიჭით მომადლებული პოეტი და სახალხო მგოსანი არა მარტო ქართველებს, არამედ ამ საუკუნის არც სომხებს, არც თურქებს და თვით სპარსელებსაც არა ჰყოლიათ... ბესიკი ხალხის სიყვარულისა და ჭმუნვის, მისი ფილოსოფიის ჭეშმარიტი გამომხატველი იყო“ (ლაისტი, 1963: 126).

არტურ ლაისტის ადრინდელი ქართველოლოგიური ღვაწლის წარმოჩენის დროს ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მივაქციოთ 1884 წელს ჟურნალ „ივერიის" მაის-ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ მის წერილს – „ქართული ლიტერატურა," რომელშიც საკმაოდ ვრცლადაა განხილული ჩვენი მწერლობის განვითარების გზა დასაბამიდან პუბლიკაციის ავტორის დრომდე. კერძოდ, გერმანელი ავტორი ჩვენი ლიტერატურის განვითარების უმთავრეს პერიოდებსა და მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლების შემოქმედებით ღვაწლს პროფესიულ დონეზე აანალიზებს და წარმოაჩენს როგორც შესაბამისი პერიოდის ისტორიულ მოვლენებთან, ისე მაშინდელ საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ლაისტის ხსენებულ პუბლიკაციაში გამოთქმული არაერთი დებულება საყოველთაოდ ცნობილ შეხედულებათა კომპილაციას წარმოადგენს, ცალკეულ შემთხვევებში კი ავტორის მსჯელობა მოვლენათა არასწორის ინტერპრეტირების შედეგია, ხსენებული პუბლიკაცია თუნდაც იმიტომაც უნდა მივიჩნიოთ საგულისხმო პუბლიკაციად, რომ გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული ამ ნაშრომით გერმანელი ავტორი ევროპელ მკითხველს ერთ-ერთი პირველი აწვდიდა საკმაოდ ვრცელ და ინფორმაციულად მეტად ტევად ცნობებს მისთვის სრულიად უცნობ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ღვაწლის მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოებაც, რომ მისი თვალსაწიერი ქრონოლოგიური მასშტაბებით არ ყოფილა შემოსაზღვრული და იგი მთელი ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის შემფასებლის როლშიც ხშირად გვევლინებოდა. საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის საფუძვლიანმა ცოდნამ მას იმის შეუზღუდველი შესაძლებლობა მისცა, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის შემქმნელი თითქმის ყველა მწერლის შემოქმედებითი ღვაწლი რომ შეეფასებინა და წარმოეჩინა შესაბამისი პერიოდების ევროპულ მწერლობასთან მიმართებით.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უაღრესად შრომატევადი ამ საქმის რეალურად განხორციელების გზაზე არტურ ლაისტმა არა მარტო ის სირთულეები დასძლია წარმატებით, რაც მკითხველს ენობრივი თვალსაზრისით ეღობება წინ ადრინდელ საუკუნეებში შექმნილი ქართული ლიტერატურული ტექსტების კითხვისა და გააზრების დროს, არამედ ამ ტექსტების ფიზიკურად მოძიების მხრივაც.

მკაფიოდ გამოკვეთილი კიდევ ერთი თავისებურება, რითაც ქართველ მწერალთა შემოქმედების არტურ ლაისტისეული ანალიზია აღბეჭდილი, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მათგანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას იგი, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი პერიოდის ისტორიულ რეალობასთან მიმართებით განიხილავს. მაგალითად: „ტრაღიკულია შაირობა უიღბლო დავით გურამიშვილისაც. არცერთ იმ დროინდელს ქართველს არ შეუგრძვნია და არ აუსახავს მთელი უკუღმართობა ცხოვრებისა და სამშობლო ერის ტრაღიკული ბედი, როგორც ეს ჰქნა დ. გურამიშვილმა. უბედურმა ბედმა მოსწყვიტა იგი სამშობლოს და ლეკეთს გადაჰხვეწა, შემდეგ კი – რუსეთს, სადაც უცხო მხარეში სამშობლოს სიყვარული არ გაჰქრობია, არამედ, პირიქით, ნათლად აულაპლაპდა... მისთანანი არ უნდა ყოფილიყვნენ მაშინ მეტად მრავალრიცხოვანნი, რადგან იესე ოსეშვილის ანდერძსა და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვხედავთ, რომ უმეტესობა მაშინდელთა მხოლოდ თავდავიწყებასა და სიამეს ეძიებდა. ორივე წიგნს შეგვიძლია ვუწოდოთ ქართულ ცხოვრების მე-XVIII საუკუნის მე-II ნახევრის სარკე. თუ „კალმასობის“ სურათები ნამდვილ ცხოვრებას გადმოგვცემენ, მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველთა ცხოვრება ყოფილა ჭამა-სმა, ლაყბობა და საერთოდ მეგობრებთან დროის გატარება, ვიდრე მუშაობა“ (ლეისტი, 1927: 131).

ქართველ მწერალთა შემოქმედების საფუძვლიანმა ანალიზმა არტურ ლაისტს შეუზღუდველი შესაძლებლობა მისცა იმისა, სიღრმისეულად შეეცნო და მისეული თვალთახედვით შეეფასებინა მათი მხატვრული მემკვიდრეობა. და ამ შემთხვევაში ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მისეულ მოსაზრებათა დიდი ნაწილი დღესაც უკორექტუროდაა მისაღები და გასაზიარებელი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არტურ ლაისტის ქართველოლოგიურ ღვაწლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ იგი ქართული ლიტერატურის, საერთოდ, მთელი ჩვენი კულტურის განვითარების ისტორიულ პროცესს გლობალურ მოვლენათა კონტექსტში იაზრებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, ამ თვალსაზრისით, მის მიერ გამოკვეთილი ვექტორები ძირითადად სწორია, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს მისი შემდგომი დროის ქართველოლოგიურ მეცნიერებაში ამ მიმართულებით წარმართული კვლევები.

არტურ ლაისტის აღნიშნული თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ეს ამ მოვლენასთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული შემდეგი დასკვნითი დებულებებითაც ნათლად დასტურდება: „სპარსული ცეცხლ-თაყვანისმცემლობის გავლენისაგან ქართველი ერი სირიულ და ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურის ნაკადიან ქრისტიანობაში გადავიდა... ბერძნული კულტურა მაშინ უკეთილშობილესი იყო მთელ მსოფლიოში და დარწმუნებული ვარ, რომ ბერძნული გავლენა ქართველთა კულტურულ გრძნობაზე ხანგრძლივი იყო. აგრეთვე არაბულმა გავლენამაც აიყვანა ქართული კულტურა გარკვეულ სიმაღლეზე და თვით სპარსელებმაც მოიტანეს ზოგი რამ სარგებლობა. ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველნი ამგვარად გაეცვნენ მრავალ კულტურას და ხან თუ მტერთა თავდასხმით შეიწროებულნი ხშირად ჰკარგავდნენ მშვიდ ცხოვრებას, ძველ კულტურის შინაგან შთანასახს მაინც ინახავდნენ მე-XIX საუკუნემდე.

მე-XIX საუკუნეში შემოიჭრა რუსული გავლენა და XIX საუკუნის მეორე ნახევარში – დასავლეთ-ევროპულიც და ქართულ ცხოვრებას მიეცა ახალი მიმდინარეობა“ (ლეისტი, 1927: 153).

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლისა და სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, არტურ ლაისტი სავსებით მართებულად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ყველა დროისა და ეპოქის ქართველ მწერალთა შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმომჩენ უმთავრეს ჟანრს, უპირველეს ყოვლისა, პოეზია წარმოადგენდა. ამ დებულებას იგი არა მარტო ზოგად შეფასებათა საფუძველზე გამოთქვამდა, არამედ იმასაც აქტიურად ცდილობდა, თავისი ეს შეხედულება ქართული პოეზიის დიდოსტატთა შემოქმედების კონკრეტული ანალიზითაც რომ გაემყარებინა.

მაგალითად: „მე-XIX საუკუნეში მხოლოდ პოეზია იყო, რომელიც ყურადსაღებ სიმაღლემდე ავიდა და ევროპაში პირველად განაღვიძა ინტერესი ქართველთადმი. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი და ვაჟა-ფშაველა ქართული დიდების დამფუძნებელნი არიან ევროპაში და კვლავაც იქნებიან საქართველოს დიდების განმასხივოსნებელნი“ (ლეისტი, 1927: 154).

არტურ ლაისტმა ერთ-ერთმა პირველმა (თუ ერთადერთმა პირველმა არა) მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტს,

რომ თემატური სიმდიდრისა და წარმოსახვითი სივრცის მრავალსახოვნების მიუხედავად, ზღვის თემა ფაქტობრივად მთლიანად იყო დარჩენილი ქართველ მწერალთა ინტერესის მიღმა. გერმანელი ქართველოლოგის აზრით, ეს მოვლენა იმ გარემოებამაც განაპირობა არსებითად, რომ გარე სამყაროსთან, პირველ ყოვლისა კი ევროპასთან, ფიზიკურად დამაკავშირებელ ამ სტიქიონს ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიულად უმნიშვნელო როლი ჰქონდა შესრულებული.

ა. ლაისტი ძნელად ასახსნელი სწორედ ამ მოვლენის შედეგად დამკვიდრებული რეალობის შედეგად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქართული მწერლობის მთელი ისტორიის განმავლობაში ზღვასთან დაკავშირებული თემატიკა არა თუ ფართოდ, არამედ საერთოდაც კი არ გამოვლენილა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

ამ თვალსაზრისით რამდენადმე გამონაკლის მოვლენად იგი მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდა; თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ ბუნების ამ სტიქიონს რუსთველი მხოლოდ „გულგრილად, აღუფრთოვანებლად იხსენიებს.“ კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით: „ქართველებისათვის ზღვა წარსულშიაც რაღაც შორეული და უცნობი იყო. არც „ქართლის ცხოვრებაში“ და აღარც ქრონიკებში სადმე სჩანს, რომ ქართველებს ზღვისთვის ეზრუნოსთ. ზღვა კი დიდს მანძილზედ უვლის ლაზისტანს, გურიასა, სამეგრელოს და აფხაზეთის სანაპიროებს და ამასთანავე საქართველოს ევროპასთან აკავშირებს.

რა თქმა უნდა, ბიზანტიასთან და საერთოდ დასავლეთთან წარსულშიაც ჰქონდა საქართველოს კავშირი და შემდეგაცა ჰქონია, მაგრამ ეს ურთიერთობა არ იყო პირდაპირი და უშუალო, არამედ შუამავლებად იყვნენ ბერძენნი და გენუელნი... იგინი მეზღვაურნი არასოდეს ყოფილან, ხმელეთს არ განშორებიან.

„ვეფხისტყაოსანში რუსთაველი რამდენსამე ალაგას იხსენიებს ზღვას, მაგრამ გულგრილად, აღუფრთოვანებლად. მას არ ეტყობა სურვილი ზღვის დიადი სურათი დაგვიხატოს“ (ლეისტი, 1923: 100).

ზღვის თემით რუსთველის დაუინტერესებლობას ა. ლაისტი იმით ხსნის, რომ „გრძნობა ბუნებისა, რომელიც უსათუოდ აქვს თანამედროვე განვითარებულს ადამიანს, შოთას დროს ჯერ კი-

დევ არ იყო გაცხოველებული.“ სწორედ ამ მოვლენის ლოგიკურ შედეგად მიიჩნევდა იგი იმ ფაქტს, რომ ზღვის თემა საერთოდ არ მოიპოვება ძველ ქართულ პოეზიაში. თუმცა, აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, გერმანელი მწერალი იქვე იმ გარემოებასაც მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას, რომ მდგომარეობა ამ თვალსაზრისით არც შემდგომ საუკუნეებში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში შეცვლილა და მათი წინამორბედების მსგავსად, ამ მიმართულებით მათაც შეინარჩუნეს ზღვის თემისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება: არტურ ლაისტის ამ წერილს, რომელიც 1922 წელს ჯერ პრესაში, 1923 წელს კი მის წიგნშიც გამოქვეყნდა, 1948 წელს სპეციალური ჩანაწერით გამოეხმაურა გალაკტიონ ტაბიძე. თავის ამ ჩანაწერში გალაკტიონმა მოკლედ გაიხსენა გერმანელი მწერლის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული უმთავრესი მოსაზრებანი და მის თვალსაზრისს ასეთი შეფასება მისცა: „მართალი არის თუ არა არტურ ლაისტის შეხედულება, ეს მკვლევარების საქმეა. ერთი რამ კი უდავოა, ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში რუსთაველის შემდეგ არ სჩანდა. ეს მოძრაობა დაიწყო მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ“ (ტაბიძე, 1975: 143).

ამ მოვლენის ხაზგასმით აღნიშვნა გალაკტიონმა იმიტომაც მიიჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფაქტად, რომ ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული მიმართულებით არსებული ხარვეზის შევსების საქმეში პირველი და გამორჩეულად მნიშვნელოვანი ნაბიჯები იმ დროისათვის, პირველ ყოვლისა, სწორედ მას ჰქონდა გადადგმული. იგი არა მარტო ზოგადად აღნიშნავდა ამ ფაქტს, არამედ მისი შემოქმედებიდან კონკრეტულადაც ასახელებდა იმ ნაწარმოებებს, რომელთა მეშვეობითაც ქართულ მწერლობაში რეალურად ამკვიდრებდა ზღვასთან დაკავშირებულ თემატიკას.

კერძოდ, აი, რას წერდა თავად გალაკტიონი ამასთან დაკავშირებით: „ჩემს შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოტივები არის ჩემს პირველ წიგნში (1914), მეორეში (1919), არის მასალები სახელგამის მიერ გამოცემულ I, II, III და IV ტომებში, ცალკე წიგნად გამოცემულ „ოქრო აჭარის ლაჟვარდში.“ „მნათობში“ ამას წინ გამოვაქვეყნე რამდენიმე ახალი ლექსი, აფხაზეთის სახელგამმა

თითქმის დაამთავრა ბეჭდვა და ამ დღეებში გამოვა ჩემი წიგნი „ზღვა ახმაურდა“ და სხვ. ცხადია, დაწყებულია მოძრაობა“ (ტაბიძე, 1975: 143).

მემუარული ტექსტები

არტურ ლაისტის მხატვრულ-დოკუმენტური შემოქმედების ერთ, მნიშვნელოვან, ნაწილს მემუარული ჟანრის ტექსტები წარმოადგენს, რომლებშიც ბელეტრიზებული ფორმითაა მოთხრობილი შესაბამისი პერიოდის ცნობილ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან გერმანელი ქართველოლოგის პირადი ურთიერთობათა ამსახველი ეპიზოდები. აქედან გამომდინარე, ავტორისეული მონათხრობის შედეგად კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექმნება ქართველ მამულიშვილთა როლზე ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა არტურ ლაისტის მემუარების ციკლი „მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე.“ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პირველად და მეორედ სტუმრობის დროსაც და ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ დამკვიდრების შემდგომაც არტურ ლაისტი ბევრ აქაურ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან იყო მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული, ყველაზე მეტი სიახლოვე მას, პირველ ყოვლისა, სწორედ ილიასთან ჰქონდა.

გულითად მეგობრულ სიახლოვეში გადაზრდილი ამ ურთიერთობის შედეგად დაგროვებულ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით დაწერილ თავის მემუარებში არტურ ლაისტმა ბევრი ახალი და უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა მოგვაწოდა ილიას როგორც პირად ცხოვრებასთან, ისე მის აქტიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. უდიდესი სიყვარულით შექმნილ ამ მონათხრობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტიც, დიდი მამულიშვილის მრავალმხრივი ღვაწლის განმადიდებელი და ბელეტრიზებული ფორმით წარმომჩენი ეს მოგონებები იმ დროს იწერებოდა, როცა ქართველ სოციალ-დემოკრატებს გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული ამ დიდი

მამულიშვილის წინააღმდეგ და მას „გლეხობის სისხლით გულგა-პოხიერებულ მებატონედ," რეაქციონერ პიროვნებად და ხალხის მტრად აცხადებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ლაისტს უშუალოდ ამ საკით-ხთან დაკავშირებით თავის მოგონებებში კონკრეტულად არაფე-რი აქვს ნათქვამი, შეიძლება აქვე ისიც ითქვას, რომ თავისი ამ მონათხრობით ხსენებულ მოგონებათა ავტორი არაპირდაპირი ფორმით ამგვარი პოზიციის მქონე პირების რეაქციულ თვალთა-ხედვასთანაც აღმოჩნდა შინაგანად დაპირისპირებული.

ა. ლაისტის ხაზგასმით, 1884 წლიდან – საქართველოში პირ-ველად მისი ჩამოსვლის დღიდანვე – ის და ილია იმდენად დამე-გობრდნენ, რომ ამ დროიდან მოყოლებული, საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, რამაც გერმანელ მწერალს შესაძლებ-ლობა მისცა, პირადად გაცნობოდა „ყველა მაშინდელ ჩვენს ლი-ტერატორს და ბევრ სხვასაც." ქართული მწერლობისა და საზო-გადოებრივი ცხოვრების წარმმართველ პიროვნებებთან დაახლო-ებას არტურ ლაისტი მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად, პირველ ყოვლისა, იმიტომაც მიიჩნევდა, რომ ამ გზით მას კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობა ეძლეოდა იმ მიზ-ნის განსახორციელებლად, რისთვისაც იგი ჩვენს ქვეყანას ჯერ სტუმრად ეწვია, შემდეგ კი მისი მუდმივი ბინადარიც გახდა.

აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „დიდი სურ-ვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის სრულიად უცნობი ქართული ლიტერატურა გამეცნო. ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ორივენი გულმოდგინეთ შევუდექით ამ საქმეს. იმხანად ქარ-თულ ენაში მაინცადამაინც გაწაფული არ გახლდით, ამიტომ ილია სიტყვა-სიტყვით მითარგმნიდა ქართულ ტექსტს... ჩემი პირველი კრებულის დიდი ნაწილი საგურამოში ვთარგმნე" (ლაისტი, 1963: 4).

ილიასთან დაკავშირებულ მოგონებებში არტურ ლაისტი არა მარტო მასთან პიროვნული ურთიერთობის წარმომჩენ ეპიზო-დებს მიაპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, არამედ იმ მრა-ვალმხრივ საქმიანობასაც, რომელსაც დიდი მწერალი ეწეოდა როგორც შემოქმედებითი მიმართულებით, ისე სარედაქციო-სა-გამომცემლო, საბანკო და საზოგადოებრივად აქტუალური სხვა საქმეების მოსაგვარებლად. ლაისტის მოგონებებში ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ილიას ახლო მეგობრული და საქმიანი

ურთიერთობების წარმოჩენას ქართული მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეების ცნობილ წარმომადგენლებთან და მეზობელ გლეხებთან.

ამ თვალსაზრისით, რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა იმ უმნიშვნელოვანესი როლის ლაისტისეულ შეფასებაზე, რომელსაც ილია, როგორც გაზეთ „ივერიის" რედაქტორ-გამომცემელი, ასრულებდა. კერძოდ, ქართველი მწერლის გერმანელი მეგობარი ილიას ცხოვრებიდან არაერთ ისეთ ეპიზოდს იხსენებს, რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექმნება მის აქტიურ ზრუნვაზე იმხანად მოღვაწე ნიჭიერ მწერალთა შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმოსაჩენად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა არტურ ლაისტის მოგონებათა ის ეპიზოდები, სადაც ვაჟა-ფშაველასთან ილიას ურთიერთობის შესახებაა საუბარი.

კერძოდ, მისი გადმოცემით, „ილია ვაჟა-ფშაველას ძლიერ მაღლა აყენებდა, მასში ხედავდა ბუნებრიობის ორიგინალურ სიდიადეს, ყოვლისშემძლე ბუნების მიერ გრძნობით დაჯილდოებულს. ოთხმოციანი წლების დასასრულს ხშირად ბეჭდავდა „ივერიაში" ვაჟა-ფშაველას ლექსებს და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდა, როცა ხმამაღლა წამიკითხავდა, ან მესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე.

ხშირად, როცა მის სამუშაო ოთახში შევსულვარ, ილია შემდეგი სიტყვებით მომეგებებოდა: კარგი საჩუქარი მაქვს თქვენთვისო, და წამიკითხავდა ვაჟა-ფშაველას რომელიმე ახალ ლექსს" (ლაისტი, 1963: 42).

ილიასთან დაკავშირებული მოგონებების მოთხრობის დროს არტურ ლაისტმა მეტად მნიშვნელოვან ერთ საკითხსაც მიაქცია ყურადღება – ევროპული კულტურის პრიორიტეტული როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი მწერლობის განვითარების პროცესში. როგორც ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული წერილებიდან ცნობილია, ქართული ლიტერატურის განვითარების გზას იგი, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ კონტექსტში აანალიზებდა და ამ მიმართულებას ჩვენი მწერლობისთვის ყველაზე დიდი წარმატების მომტან მოვლენად მიიჩნევდა.

ილიას აზრით, ქართული ლიტერატურის ევროპეიზაციის პროცესს მკვიდრი საფუძველი ე. წ. აღორძინების ხანაში მოღვაწე ჩვენი დიდი მწერლების, პირველ ყოვლისა კი დავით გურამიშვილის,

შემოქმედებაში ჩაეყარა და თვისებრივად ახალ დონეზე ავიდა ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში. ეს იყო აშკარა უკურეაქცია იმ ზეგავლენისა, რომელიც წინამორბედი და ხსენებული პერიოდის ქართველ მწერალთა არცთუ მცირე ნაწილის შემოქმედებაში ვლინდებოდა აღმოსავლური, პირველ ყოვლისა კი სპარსული პოეზიის ზეგავლენის შედეგად.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება აქ იმიტომაც მივაქციე, რომ არტურ ლაისტის მოგონებებში აღნიშნულ საკითხსაც აქვს ყურადღება მიქცეული. კერძოდ, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „ილიას არ მოსწონდა სპარსული პოეზია, ამბობდა, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მან ცუდი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე... ამიტომ არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ. პირიქით, მას სურდა ქართული მწერლობა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაეთავისუფლებინა და გაეევროპულებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა“ (ლაისტი, 1963: 44).

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულმა „მესამე დასელებმა,“ რომლებიც 1900-იან წლებში დიდი მასშტაბების მომცველ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა, აქტიური ბრძოლა გააჩაღეს ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური იდეების წინააღმდეგ და ამ მიზნის მისაღწევად მისი პიროვნების დისკრედიტაციასაც მიმართეს მიზანმიმართულად.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ლაისტის მემუარებში ეს საკითხი საგანგებო მსჯელობის საგნად არ ქცეულა, გერმანელი ავტორი ამასთან დაკავშირებითაც გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მართალია, ილია პრინციპულად არ იზიარებდა ხსენებულ პერიოდში „საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდების იმ ნაწილის აზრს, რომელიც „ივერიის“ ოპოზიციას შეადგენდა,“ მაგრამ იგი „ასპარეზზე მათი გამოსვლის გამო მაინც კმაყოფილი იყო. მას ახარებდა პროგრესის ყოველგვარი ახალი გამოვლენა, თუმცა არ მოსწონდა ზოგიერთი ახალი მწერლის უკიდურესობა“ (ლაისტი, 1963: 17).

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც ამ პოლიტიკური

პარტიის ლიდერები და მათი მხარდამჭერნი აქტიურად უყენებდნენ დიდ მწერალს, გლეხებისადმი მისი თითქოსდა არაჰუმანური მოპყრობა იყო. მათი შეფასებით, ილია გულქვა მებატონესა და „გლეხების სისხლით გულგაპოხიერებულ მებატონეს" წარმოადგენდა და იმაზე საუბარი, თითქოს იგი ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნება იყო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ მოსაზრებად უნდა მიგვეჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ლაისტი თავის მოგონებებში ამ საკითხს პირდაპირი ფორმით არ შეხებია, მეზობელ გლეხებთან ილიას მეგობრული ურთიერთობების წარმომჩენ ეპიზოდთა მოთხრობით მან კიდევ ერთხელ დაგვანახა თვალნათლივ, რომ სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა და გლეხებთან ილიას რეალურად სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ავტორისეული მონათხრობიდან:

„ილია დიდი მეგობარი იყო გლეხობისა, რომელთადმი უანგარო, გადაჭარბებული სიყვარული მას ხშირად ხდიდა გლეხის მიკერძოებულ მეგობრად. ილია თავგამოდებით იცავდა გლეხკაცის ღირსებას. მე თვითონ ვიყავი მოწმე ილიას უზომო აღშფოთებისა, როცა მან ერთხელ შემთხვევით დაინახა, როგორ გაარტყა სტაროსელსკების მოურავმა რომელიღაც მეცხვარეს.. ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე საათი ვერ დამშვიდდა ილია... საგურამოს და სხვა მეზობელი სოფლების გლეხებში ილიას ჰყავდა მეგობრები, რომლებიც ხშირად ეწვეოდნენ მას და ილია მთელი საათობით ესაუბრებოდა, მასპინძლობას არ აკლებდა" (ლაისტი, 1963: 31).

ილიასთან დაკავშირებულ მოგონებათა მოთხრობის დროს არტურ ლაისტი იმ დეპრესიულ სულიერ განწყობილებასაც არაერთგზის მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას, რომელიც საკმაოდ ხშირად ეუფლებოდა ამქვეყნიური ყოფის სასრულ მიჯნას მიახლოებულ ხანდაზმულ მწერალს. მაგალითად: ილიას თურმე ძალიან უყვარდა იმხანად ფართოდ პოპულარული ის სიმღერა, რომელშიც საყვარელ ადამიანთან გამოთხოვების სევდა ამ სიტყვებით იყო გამოხატული: „სული მიწუხს, გული მასთან ღონდება, თვალს ავახელ – ცრემლები არ მშორდება."

ამ სიმღერის სევდიანი მელოდია და შინაარსი არტურ ლაისტმა მოხერხებულად დაუკავშირა დიდი მწერლის იმდროინდელ სულიერ დეპრესიას და ხსენებული მოგონება შემდეგი სიტყვებით შეაჯამა: „ამ სიმღერის ნაღვლიანი კილო ისე გაუჯდებოდა გულში ილიას,

რომ რამდენჯერმე უნდა გაემეორებინა ზედიზედ. როცა ილია ამ სიმღერას ისმენდა, ან იჯდა, ან ჩაფიქრებული იდგა. ამ დროს სახეზე რაღაც იდუმალი მწუხარება ეხატებოდა. მიხვდებოდით, ილია მოხუცებულობას გულისტკივილით გრძნობდა. ენანებოდა, რომ მისი საამქვეყნო სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა."

ერთ დღეს, ამ მელოდიის მოსმენის შემდეგ, „ილიამ უცებ მითხრა: ჩვენ ორივეს გვიყვარს ეს მშვენიერი ჰანგი, ორივეს ძვალრბილში გაგვიჯდა და ამიტომ შეიძლება ეს ჰანგი გახდეს შენთვის საუკეთესო საშუალებად ჩემს მოსაგონებლად. ჩემი სიკვდილის შემდეგ ხშირად იმღერეთ ეს ჰანგი და მაშინ უეჭველად მოიგონებთ თქვენს მეგობარს... ილიას მოსაგონებლად, რასაკვირველია, ეს ჰანგი ჩემთვის არ არის საჭირო, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ თითქმის ყოველდღე რამდენჯერმე დაბალი ხმით ვმღერი და ამასთან ერთად ვიგონებ ილიას მწუხარე სიტყვებსაც" (ლაისტი, 1963: 54).

დამოწმებული ეპიზოდი გამონაკლისი არ არის და წარმავლობის გრძნობით გულდამძიმებული მწერლის სულიერ დეპრესიას არტურ ლაისტი მისეული მონათხრობის სხვა ქვეთავებშიც წარმოაჩენს ღრმად ემოციური სახით. მაგალითად: „სხვასთან ყოფნისას და ლაპარაკისას წინანდელი ხალისი აღარ ჰქონდა. ხანდახან საღამოობით აივანზე დიდხანს იჯდა გაჩუმებული... მასთან ჩემი უკანასკნელად ყოფნისას მთელი ექვსი დღის განმავლობაში ვეღარ ვნახე ღიმილი მის სახეზე. – ცოტა გავისეირნოთ, – ვუთხარი ერთ საღამოს. – მოციონი ძალიან სასარგებლოა-მეთქი.

– რაღა უნდა იყოს სასარგებლო, როცა ორიოდე წლის სიცოცხლეღა დამრჩენია, – მიპასუხა ილიამ ჩაფიქრებით" (ლაისტი, 1963: 59).

ილია ჭავჭავაძისა და არტურ ლაისტის ძმური ურთიერთობის ნათელ გამოვლინებად იქცა ის ფაქტიც, რომ სიონის ტაძრიდან მწერლის გამოსვენების პატივი ქართველმა ხალხმა მის გერმანელ მეგობარსაც არგუნა წილად.

გარდა ილია ჭავჭავაძისა, არტურ ლაისტი ქართველ მწერალთა სხვა წარმომადგენლებთანაც იყო ახლო მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეგობრობა უფრო ნაკლები მასშტაბების მომცველი იყო, ლაისტი მათაც ხშირად სტუმრობდა და სწორედ მათთან ერთად იღებდა აქტიურ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ლიტერატუ-

რულ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართველ მწერლებთან ასეთი სიახლოვე გერმანელ ქართველოლოგს კიდევ უფრო მეტ იმპულსს აძლევდა მათი შემოქმედების უფრო საფუძვლიანად გასაცნობად და გერმანულ ენაზე სათარგმნელად.

გერმანელი ქართველოლოგის მოღვაწეობის ამ მხარეზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა აკაკი წერეთელთან მის ურთიერთობაზეც მინდა ვთქვა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არტურ ლაისტი აკაკის შემოქმედებას ჯერ კიდევ საქართველოში სტუმრობამდეც იყო გაცნობილი და მისთვის წერილიც ჰქონდა გამოგზავნილი. საქართველოში სტუმრობისა და შემდგომში მისი აქ დამკვიდრების შემდეგ კი მათი ურთიერთობა მეგობრულ სიახლოვეში გადაიზარდა.

აკაკისთან მისმა ამგვარმა სიახლოვემ და პოეტის შემოქმედების საფუძვლიანად გაცნობამ არტურ ლაისტს მეტი შესაძლებლობა მისცა, სათანადოდ შეეფასებინა მისი, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ აკაკის ღვაწლს გერმანელი ქართველოლოგი გარკვეულწილად ილიას მოღვაწეობასთან მიმართებითაც აძლევს სათანადო შეფასებას და ხაზგასმით აღნიშნავს: „პირველივე დღეს მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი – ილია და აკაკი – საქართველოს მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას განასახიერებდა“ (ლაისტი, 1963: 64).

არტურ ლაისტის აზრით, აკაკი, „როგორც ჭეშმარიტი ლირიკოსი, ილიაზე მაღლა დგას... ის მომღერალია, ილია კი იდეური პოეტი... ილიაში მუდამ ჭარბობს აზრი, გრძნობა კი უფრო მკრთალად გამოსჭვივის“ (ლაისტი, 1963: 65). რაც შეეხება აკაკის, ლაისტის შეფასებით, „ის გახლდათ ჭეშმარიტი მგოსანი, მდიდარი ფანტაზიის პატრონი, ენაწყლიანობითა და გრძნობით აღსავსე, მხატვარი და ჭკუამახვილი მჭევრმეტყველი“ (ლაისტი, 1963: 67).

აკაკის შემოქმედებაში გამოვლენილ ლირიკულ ნაკადს არტურ ლაისტი იმდენად დიდ მნიშვნელობასაც კი ანიჭებს, რომ „მისი დრამებიცა და ეპიკური თხზულებებიც ლირიკული ხასიათისაა. აკაკის ცოცხალი ბუნება ვერ იტანდა ეპიკური ობიექტურობის ბორკილებს და ამიტომ მისი პოემები და დრამები, ბაირონის თხზულებებივით, სავსეა ლირიზმით“ (ლაისტი, 1963: 67).

აკაკის შესახებ საუბრის დროს არტურ ლაისტი იმ დიდ და საყოველთაო სიყვარულსაც აღნიშნავს ხაზგასმით, რითაც იგი მთე-

ლი სიცოცხლის განმავლობაში იყო გარემოსილი. მისი ინფორმაციით, ამ სიყვარულის უშუალოდ თვითმხილველი თავად ისიც გამხდარა არაერთგზის. მაგალითად: „სეირნობის დროს აკაკის ყველა დიდი პატივისცემით ესალმებოდა... იგი თავის სამშობლოს დიდი მგოსანი იყო, ისეთი დიდებული და ბრწყინვალე, რომ მისთვის შეგვეძლო გვეწოდებინა ახალი ცხოვრების გამომაფხიზლებელი. ბუნებამ მასში თავი მოუყარა გონების ყოველგვარ ღირსებას" (ლაისტი, 1963: 67).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არტურ ლაისტის ლიტერატურულ ნააზრევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ქართველ მწერალთა შემოქმედებას იგი ევროპული ლიტერატურის კონტექსტში აფასებს, რითაც ცდილობს ევროპელ მკითხველს მთელი თავისი სიდიადით დაანახოს მისთვის იმხანად სრულიად უცნობ მწერალთა უმნიშვნელოვანესი წვლილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ა. ლაისტის ლიტერატურული ნააზრევის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას მისი უმცროსი თანამედროვის – ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მისეული შეფასებებიც ნათლად ადასტურებს. კერძოდ, არტურ ლაისტის მტკიცებით, „ვაჟა-ფშაველა არამც თუ იშვიათი, არამედ უმაგალითო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში... მისი მომაჯადოებელი სიმღერების მსგავსი არაფერი მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში" (ლაისტი, 1963: 71). მან „არა მხოლოდ ახალი ქვეყანა გადაშალა, არამედ ახალი პოეზიაც შექმნა. იგი სდგას ილიას და აკაკის გვერდით, მაგრამ მათ სრულებით არა ჰგავს და უფრო მეტი ბუნებრივი პოეტური შემოქმედებითი უნარი აქვს. ვაჟა-ფშაველა უძლიერესი მოვლენაა ქართულ კულტურაში, რადგან თავის მცირე ცოდნით ყველაფერს თავისსავე არსითგან ჰქმნიდა და თავის უდიდეს ძალით მაშინვე უმაღლეს საფეხურამდე აღამაღლებდა. ეს მგოსანი განსახიერებული გენიოსია ქართული ხელოვნების სულისა. მის თხზულებებში ყველაფერი ქართულია და მხოლოდ ქართული. იგი არ არის უცხო მგოსანთა მოწაფე და არც მიმბაძველი, არამედ დამოუკიდებელი შემოქმედია. მან არ იცის მეთოდები, არ იცის ეგრედწოდებული იზმები, ეს კოჭლ მგოსანთა ყავარჯენი, მან არ იცის მართლწერა, არც „მიმართულებანი," არც რეცეპტები: იგი ვაჟა-ფშაველაა და სხვა არავინ" (ლეისტი, 1927: 145).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ არტურ ლაისტის მიერ ესოდენ ცხადად და ყოველგვარი დაეჭვების გარეშე გამოთქმულ

ამ მოსაზრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ გერმანელი ქართველოლოგი მას გასული საუკუნის დასაწყისში გამოთქვამდა, იმ დროს, როცა ლიტერატურული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს პოეტის შემოქმედებითი მიღწევებისადმი რამდენადმე განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა.

მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტები საქართველოზე

არტურ ლაისტის მრავალფეროვანი შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს შეადგენს მისი მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევები და მოგზაურული ჟანრის ტექსტები საქართველოზე. ჩვენს ქვეყანაში მისი პირველი და მეორე სტუმრობის დროსაც და აქ მუდმივად დამკვიდრების შემდეგაც მწერალი ძალიან ბევრს მოგზაურობდა საქართველოს ცალკეულ მხარეებში და არა მარტო მათ ღირსშესანიშნაობებსა და ბუნებრივ გარემოს ეცნობოდა საფუძვლიანად, არამედ იქაურთა ისტორიულ და იმჟამინდელ ყოფას, ადათ-ტრადიციებს, ცხოვრებისეულ რეალობასა და, საერთოდ, ყველაფერს, რაც საშუალებას მისცემდა, უფრო მეტი ინფორმაცია მიეღო ჩვენს ქვეყანასთან და მის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ცალკეული მხარეებში მოგზაურობათა შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებათა ამსახველი თავისი მხატვრულ-დოკუმენტური ნარატივების მეშვეობით არტურ ლაისტი გერმანულენოვან მკითხველს რომანტიზებული ფორმით აწვდიდა მნიშვნელოვან ცნობებს ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებთან და აქაური მოსახლეობის ადათ-ტრადიციებთან დაკავშირებით.

ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა მისი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტებისა და მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ამსახველი ნარკვევების ის ციკლი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სათაურით – „საქართველოში“ გამოქვეყნებულია 1963 წელს გამოცემულ მის წიგნში „საქართველოს გული“. ხსენებული ციკლის გეოგრაფიული სივრცისა და იქაურთა ყოფა-ცხოვრების წარმომჩენი მასშტაბების ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის ნათელსაყოფად, ვფიქრობ, მასში წარმოდგენილი ნარკვევების სათაურების გახსენებაც იქნება საკმარისი.

კერძოდ, ავტორისეული თვალთახედვის არეალში მოქცეულ საკითხთა არასრული ჩამონათვალი ასეთია: ჩვენი ქვეყნის ცალკეული მხარეებისა და დიდი ქალაქების მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, ადათ-ტრადიციები, ბუნებრივი გარემო, ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, ქართული ოჯახი, ქართველი ვაჭარი, ქართული ბაღი, ქართული იუმორი, ქართული სოფელი, ქართული სახლი, ქართული მუსიკა, პურადობა ქართული მუსიკალური საკრავები და ა. შ.

როგორც ითქვა, გერმანელი ქართველოლოგი ჩვენს ქვეყანას პირველად 1884 წლის ზაფხულში ესტუმრა საზღვაო გზით. კერძოდ, ოდესიდან გემით წამოსული მწერალი ოთხდღიანი მგზავრობის შემდეგ ბათუმში დღის ოთხ საათზე მოვიდა და ხანმოკლე დროით, საღამოს რვა საათამდე, დარჩა, შემდეგ კი თბილისში გაემგზავრა მატარებლით. მიუხედავად დროის ესოდენი სიმცირისა, მან მაინც შეძლო ქალაქის დათვალიერება და საქართველოს შესახებ მოგვიანებით დაწერილი თავისი ენციკლოპედიური შინაარსის მქონე წიგნი სწორედ მაშინდელ შთაბეჭდილებათა მოთხრობით დაიწყო.

არტურ ლაისტის ამ მონათხრობისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ბათუმში პირველად მყოფი გერმანელი მწერალი საგულისხმო ცნობებს გვაწვდის იმ რეალობასთან დაკავშირებით, რომელიც დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებულ ამ ქალაქში არსებობდა იმხანად. თავისი ბათუმური შთაბეჭდილებების მოთხრობას იგი პორტთან დაკავშირებული ინფორმაციით იწყებს. მისი ხაზგასმით, იმდროინდელი ბათუმი მნიშვნელოვან სანავსადგურო ქალაქს წარმოადგენდა, „ერთ-ერთ საუკეთესო პორტს მთელ შავ ზღვაზე." ამის დასტურად იგი ჩვენთვის ორმხრივად საინტერესო ასეთ ცნობას გვაწვდის: ბათუმის ნავსადგურში „ჩვენთან ერთად შემოვიდა მარსელიდან მოსული ფრანგული გემი „სამეგრელო" (ლაისტი, 1963: 203).

როგორც ამ ინფორმაციითაც ჩანს, იმდროინდელი ბათუმი სანაოსნო გზით არა მარტო შავი ზღვის საპორტო ქალაქებთან იყო დაკავშირებული, არამედ მას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთანაც ჰქონდა რეგულარული მიმოსვლა ხმელთაშუა ზღვის საშუალებით. კიდევ ერთი დეტალი, რითაც ლაისტის მიერ მოწოდებული ეს ცნობა იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, ბათუმში მარსელიდან მოსული ფრანგული გემის სახელწოდება „სამეგრელოა."

არტურ ლაისტის მონათხრობის მიხედვით, დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებულ ბათუმში ჯერ კიდევ იყო პრიორიტე-

ტულად შემორჩენილი ცხოვრების ოსმალური წესი. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ ბათუმში ეთნიკურად თურქი ეროვნების მოქალაქეები ძალიან ცოტა რაოდენობით ცხოვრობდნენ, გერმანელი მწერალი იქაურებს მაინც ოსმალოთა სახელით მოიხსენიებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი რელიგიური აღმსარებლობით იყო განპირობებული და არა ეთნიკური კუთვნილებით.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას არტურ ლაისტის ცნობიერებაში წარუშლელად აღბეჭდილ იმდროინდელ ბათუმურ რეალობაზე, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ავტორისეული მონათხრობიდან: „მეტად გაცხოველებული საქმიანობაა ბათუმის პორტში. ვაჭრობა აქ კარგად მიდის. ნაპირზე გადმოვედით თუ არა, მაშინვე მოგვცვივდნენ ოსმალონი. რომლებიც ჩვენი სკივრების წაღების ნებას გვთხოვდნენ. რაკი დროის დაკარგვა არ გვინდოდა, ჩვენი ბარგიბარხანა მაშინვე დავანებეთ მათ. ეს ბარგი თავის ღონიერ მხრებზე გაიდეს და ვაგზლისაკენ გავეშურეთ...

ბათუმი უფრო ოსმალური ქალაქია, თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა, შესამჩნევად იცვალა ფერი. აქ ევროპელები ბევრია. ისინი მომეტებულად ნავთის მოვაჭრენი არიან“ (ლაისტი, 1963: 204).

იმდროინდელი ბათუმური რეალობის ფრაგმენტულად წარმომჩენ ამ ეპიზოდში არტურ ლაისტი ხაზგასმით აღნიშნავს მეტად მნიშვნელოვან იმ როლს, რომელსაც ეს ქალაქი, როგორც ევროპაში ნავთობის იმპორტიორი პორტი, ასრულებდა იმხანად. კერძოდ, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „ბათუმის მთელი ავლადიდება ნავთია. ამიტომ აქ სულ ნავთზე ლაპარაკობენ და რასაც მიეკარებით, ყველაფერს ნავთის სუნი ასდის. ვშიშობდი, ჩაის მაგივრად ჩემთვის ნავთი არ მოეტანათ“ (ლაისტი, 1963: 204).

ბათუმისა და მისი შემოგარენის პირველხილვით მიღებულ შთაბეჭდილებათა მოთხრობის დროს არტურ ლაისტმა მის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზეც და ბუნებრივ პირობებზეც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, მისი ინფორმაციით, „ნავთის გარდა ბათუმს სხვა განსაკუთრებული თვისებაც აქვს – აქ დიდძალი ჭაობებია, რომლებიც ქალაქს გარს არტყია. ისინი კარგა მოზრდილები არიან. მათი წყალობით მთელი წლის განმავლობაში ციებ-ცხელება არ ნელდება... ბათუმის ნაპირები შემოსილია სამხ-

რეთის ხეებითა და ბუჩქებით, რომლებიც გაუვალ ტყეს ქმნიან" (ლაისტი, 1963: 104).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ბათუმისა და მისი შემოგარენის ბუნებრივი მშვენიერებით არტურ ლაისტი იმდენად იყო მოხიბლული, რომ ამ ქალაქთან დაკავშირებული შთაბეჭდილებების ამსახველ თავის სხვა ნარკვევებში იგი უდიდესი აღფრთოვანებით საუბრობდა იქაურობის თვალწარმტაცი სილამაზის შესახებ. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა მხარეთა ბუნების გასაცნობად დაწერილ წერილში ის ევროპელ მკითხველს ჩვენი ქვეყნის ამ მხარის ბუნებრივ სილამაზეს ასე უხასიათებდა: „ვინც ევროპიდან ბათუმს ჩამოვა, პირველად უეჭველად იფიქრებს, სამოთხეში მოვხვდიო. შავი ზღვის ნაპირი საოცრებაა. იგი დამშვენებულია მთებითა და ნაირ-ნაირი მცენარეებით. მზე თვალებს ჭრის, ფერადები მუსიკალურ სიმფონიას ქმნიან" (ლაისტი, 1963: 246).

ბათუმური შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს, არტურ ლაისტი იმ დიდი ზეგავლენის შესახებაც საუბრობდა, რამაც ავტორის მიერ თუმცა ოსმალოთა სახელით მოხსენიებულ, მაგრამ რეალურად იქ მცხოვრებ ქართველთა, განსაკუთრებით კი ქალთა, ყოფაზე მოახდინა მუსლიმანური სარწმუნოების მიღებამ. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ფაქტორით განპირობებულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ქართულ მიწაზე პირველად ფეხდადგმული მწერალი ბათუმსა და მის მიმდებარე მიდამოებში მატარებლიდან დანახულ ადგილობრივ მცხოვრებლებს მათი ჩაცმულობის გამო ოსმალებად მიიჩნევდა.

ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ კიდევ ერთი ფრაგმენტი ხსენებული ნარკვევიდან: „რვა საათზე თბილისისკენ გავემგზავრეთ. გზა ჯერ ქალაქის ძველ ოსმალურ ნაწილზე გაივლის; აქ ძველი, უხეირო სახლებია და არც არაფერს საინტერესოს წარმოადგენს. ჩვენთვის უფრო საინტერესო თვითონ ოსმალონი იყვნენ, რომლებიც გაკვირვებით შემოგვცქეროდნენ. მათ შორის დავინახეთ ოსმალო ქალი. ის თავით ფეხამდე ჩადრში იყო გახვეული. ჩვენ მისი პირისახის ნახვა ძალზე გვაინტერესებდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მისი სილამაზე ერთ ფარადაც არ ღირდა" (ლაისტი, 1963: 205).

როგორც არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ტექსტებიდან თვალნათლივ ჩანს, საქართველოში ცხოვრების პერიოდში ბათუმს იგი საკმაოდ ხშირად სტუმრობდა და ამ სტუმრობის ამსახველი თავისი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტებით შთამბეჭ-

დავად მოგვითხრობდა ამ ქალაქისა და მისი შემოგარენის ბუნებრივი სილამაზისა და იქაურთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს წერილიდან „ზღვის სიმღერა," რომელშიც ავტორი წელიწადის დროების მიხედვით წარმოსახავს ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ იმ ემოციებს, რასაც ბათუმი და მისი შემოგარენი იწვევდა მის ცნობიერებაში: „კარგია ბათუმის ბულვარი დილით ან გვიან საღამოს, როცა ცოტაა მოსეირნე ხალხი და თავისუფლად შეიძლება დატკბე ტალღების ღიღინით. მარცხენა მხარეს გაჭიმულია მთიანი აჭარა; მისი მედიდური მწვანე მთები გიგანტურ სვეტებადაა ამოზიდული მოლურჯო ჰაერში...

ზაფხულში, როცა ბათუმს მთელი კვირაობით ანათებს მზე და ზღვა, როგორც უძრავი სარკე, ისეა გაჭიმული შორეულ ჰორიზონტამდე, ტალღები მშვიდ და წყნარ ჰანგზე მღერიან სულიერი სიმშვიდის სიმფონიას, რომელიც აწყნარებს ადამიანის აღელვებულ სულს და შეჰყავს იგი უხილავ ოცნებათა ციხე-სიმაგრეში...

შემოდგომით ბათუმი კარგავს თავის მომაჯადოებელ სიმწვანეს, მაგრამ მწვანედ რჩებიან ტანმაღალი კვიპაროსები, ეს მწუხარების კეთილშობილი ხეები, პალმები, ლიბანის ნაძვი და სხვანი...

შემოდგომის და ზამთრის დარდიან დღეებში, რომლებიც აჭარაში მთელი კვირაობით მისდევენ ერთმანეთს, ეს მუქი მწვანე ხეები წარმოადგენენ ნამდვილ შესაფერის დეკორაციას. ვისაც არ უნახავს ბათუმი და აჭარა ზამთრის სევდიან დღეებში, ვისაც არ უნახავს მუქი კვიპაროსები ასეთ ბნელ ამინდში, მას არ უნახავს და არ იცის, რა არის ბუნების მწუხარება!" (ლაისტი, 1963: 249).

ეს ფრაგმენტები აქ მე არა მარტო იმის ნათელსაყოფად დავიმოწმე, მკითხველს მთელი ძალმოსილებით რომ შეეგრძნო ბათუმის ბუნებრივი მშვენიერების თვითგანცდის შედეგად წარმოქმნილი ავტორისეული ემოციები, არამედ იმ მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნების წარმოსაჩენადაც, რითაც არტურ ლაისტი თავისი ნაფიქრ-ნააზრევის მკითხველამდე მიტანას ცდილობდა.

როგორც ითქვა, საქართველოსთან დაკავშირებული ამბების მოთხრობის დროს, არტურ ლაისტის მწერლური გეოგრაფია უაღრესად ფართო მასშტაბების მომცველია და ფაქტობრივად არ დარჩენილა ჩვენი ქვეყნის ისეთი რეგიონი, რომელიც მისი შემოქმედებითი თვალთახედვის არეში არ მოქცეულიყოს.

ამისდა მიუხედავად, ყველაზე დიდ ინტერესს იგი, პირველ ყოვლისა, მაინც თბილისისადმი იჩენდა, რაც არა მარტო იმ გარე-

მოებით იყო განპირობებული, ეს ქალაქი ჩვენი ქვეყნის უმთავრეს ცენტრს რომ წარმოადგენდა, არამედ იმითაც, რომ საქართველოში ცხოვრების პერიოდში არტურ ლაისტი სწორედ ამ ქალაქის მკვიდრად იქცა, რის შედეგადაც არა მარტო წერილობითი მასალების მეშვეობით გაეცნო თბილისის ისტორიასა და მისი დროის თბილისელთა ყოფას, არამედ თავადაც იყო ქცეული ამ სამყაროს ღვიძლ ნაწილად.

აქედან გამომდინარე, არტურ ლაისტის შემოქმედების თბილისური ეპიზოდები უაღრესად საინტერესოა შინაარსობრივი თვალსაზრისითაც და ამ ქალაქის სპეციფიკური საყოფაცხოვრებო პასაჟების მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით მოთხრობის მხრივაც. კერძოდ, გერმანელი ქართველოლოგი ისეთი ენციკლოპედიური ყოვლისმომცველობით წარმოაჩენს თბილისური ყოფის ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვან მხარეს, რომ მისეული მონათხრობი არა მარტო ფართო მკითხველისათვის წარმოადგენს უაღრესად ფასეულ მხატვრულ-დოკუმენტურ ნარატივს, არამედ გარკვეულწილად მეცნიერული ღირებულების მქონე ტექსტადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული.

კერძოდ, არტურ ლაისტის თბილისურ ნარატივებში განსაკუთრებული ყურადღების საგნადაა ქცეული იქაური მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება და მათი ყოფა-ცხოვრების მკვეთრად გამორჩეული ისეთი სპეციფიკური მხარეები, როგორებიცაა: თბილისი, როგორც არა მარტო კავკასიის, არამედ აზიისა და ევროპის გზაჯვარედინად ქცეული ცენტრი, თბილისური ბაზარი და ფოლკლორი, ქალაქის არქიტექტურული იერსახე, თბილისური ყოფა, როგორც ევროპული და აზიური ადათ-ტრადიციების სინთეზირების უპრეცედენტო მოვლენა, ამ ქალაქის მკვიდრთა გამორჩეულად მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და შემოქმედებითი როლი ჩვენი ქვეყის ისტორიასა და თანადროულ ყოფაში და ა. შ.

იმის ნათელსაყოფად, თბილისური რეალობის ასეთ ენციკლოპედიურ წარმოსახვას არტურ ლაისტი როგორი სიტყვიერი ხელოვნებითა და ფართო მასშტაბების მოცვით ახდენს, დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს მისეული მონათხრობიდან.

„ძველ ქალაქში ყველაზე მეტ ცნობისმოყვარეობას ბაზარი იწვევს. ბაზარში დილიდან საღამომდე განუწყვეტელი მოძრაობაა. იგი ნამდვილი სურათია თბილისის ცხოვრებისა. აქ შეიძლება ნახოთ კავკასიისა და დასავლეთ აზიის ყველა ტიპი. კაცს თავი მას-

კარადზე ეგონება: ყვირილს, ხმაურს, ჟივილ-ხივილს ყურთასმენა მიაქვს. მკვიდრ მცხოვრებთა გარდა, ბევრია სხვადასხვა მხრიდან მოსული ხალხი, სოფლებიდან გნებავთ, თუ კავკასიის შორეული კუთხეებიდან...

აქ ნახავთ თათრების ჯგუფს, რომელთაც უზარმაზარი ტყავის ქუდები ახურავთ, თითქოს პირამიდები დაუდგამთ თავზეო. იმათ მოჰყვებათ თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ჩერქეზი, რომელსაც წელში დამბაჩა აქვს გარჭობილი, ქამარზე კი ლამაზად ჰკიდია მშვენიერ ქარქაშში ჩაგებული ხანჯალი. მერე მოდის წვეროსანი ლეკი, რომელიც წარსულში პირველ მოწოდებაზე მზად იყო თავს დასხმოდა კახეთის სოფლებს, წაესხა საქონელი და ლამაზი, გასათხოვარი ქალები. აგერ დინჯად მოაბიჯებს ქართლელი გლეხი, რომელსაც ხანჯლის გარდა სხვა იარაღი არა აქვს. იგი მუქარით უცქერის ლეკს, ამ თავის ძველისძველ მტერს. იქით ცხენებს მოერეკებიან ხმლებით შეიარაღებული ხევსურები სოსნისფერი ჩოხებითა და გაწეწილი ბენვის ქუდებით... ამ ჭრელი ტიპების რიცხვი ამით არ თავდება. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, სხვაც ბევრი დაეხეტება თბილისის ბაზრებში" (ლაისტი, 1963: 211).

ქათული ყოფა-ცხოვრების სპეციფიკურ მხარეებსა და ქართველი კაცის შინაგან ბუნებას არტურ ლაისტი, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიური კუთხითა და რომანტიზებული ფორმით წარმოსახავს, რითაც ცდილობს მისი ქართველოლოგიური ნარატივების ამ ნაწილითაც აქტიურად გაუღვივოს ევროპელ მკითხველს საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობა. თუმცა აქვე ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი არც ჩვენი ცხოვრებისეული რეალობის ნეგატიურ მხარეებზე ხუჭავს თვალს.

მაგალითად, გაზეთ „ივერიის" 1905 წლის 4 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ეტიუდის – „ქართველი ვაჭარი" პერსონაჟთა შორის გამართული საუბრის ფრაგმენტული სახით დაფიქსირების შედეგად მან მკაფიოდ გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება იმის გამო, რომ ქართველი კაცი სავაჭრო-კომერციულ პროცესებში აქტიურად არ იყო ჩართული, რადგანაც ამას სათაკილო საქმედ მიიჩნევდა. ამ მიმართულებით იგი ბევრად ჩამორჩებოდა ჩვენსავე ქვეყანაში მცხოვრებ სომხებს.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან:

„– ქართველი ვაჭარი? განა ქართველებშიც არიან ვაჭრები? – წამოიძახა ალზუ-მირზამ და დაუმატა: – ქართველებს რომ სხვა-

დასხვა პროფესიის ხალხი ჰყავს, ეს კი ვიცი, მაგრამ თუ ქართველი კაცი ვაჭრობას მოიხერხებს, ამას კი ვერ წარმოვიდგენ.

– მერე რატომ ვერ წარმოიდგენ?

– იმიტომ, რომ ქართველი კაცი მეოცნებეა და ანგარიშისა არა იცის-რა!.. განა შენ, ვანო, როდისმე ანგარიშის მცოდნე ქართველი გინახავს?"

სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში ქართველი კაცის პასიურ ჩართულობას ნეგატიურ შეფასებას არტურ ლაისტი თავის სხვა ნარატივებშიც აძლევს და სწორედ ამ მოვლენის არასასურველ გამოვლინებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ხსენებული მოვლენის წარმმართველის როლში უმთავრესად ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები უცხოტომელები, პირველ ყოვლისა კი, სომხები, გვევლინებოდნენ. მაგალითად, აი, როგორ ახასიათებდა იგი თბილისური ყოფის ამ მხარეს ერთგან: „ვაჭრობა ძველთაგანვე სომხების ხელშია და ეს არის მიზეზი, რომ ისინი უფრო და უფრო მდიდრდებიან. როდესაც საქართველო თავისუფალი სახელმწიფო იყო, სომხები მაშინ ქართველთაგან შევიწროებულნიც კი არ ყოფილან. ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ სომხებს ეჭირათ თვალსაჩინო ადგილები სამსახურში" (ლაისტი, 1963: 223).

ან კიდევ: „ბაზარში მოვაჭრეთა მომეტებული წილი სომხები და სპარსელები არიან, ქართველი მათში ცოტა ურევია... ისინი უფრო ხელოსნობას მისდევენ, სამაგიეროდ სომხები და სპარსელები განსაკუთრებული ხალისით ეწევიან ვაჭრობას" (ლაისტი, 1963: 212).

დამოწმებული მაგალითები გამონაკლისი არ არის და თავისი დროის ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელ მანკიერებათა ამგვარ კრიტიკულ მხილებას სომხური ეთნოსის წარმომადგენლებთან მიმართებით არტურ ლაისტი საკმაოდ ხშირად მიმართავდა. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა გაზეთ „კაუკაზიშე პოსტში" გამოქვეყნებული და ლევან ბრეგაძის მიერ გაანალიზებული მისი პუბლიცისტური წერილები. ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს გაზეთის 1907 წლის 50-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატიიდან „თბილისური ლაყბობა:"

„როგორ ახერხებენ სომხები, რომ ამდენი ბეჯითი და განათლებული ხალხი ჰყავთ?" – ეკითხება მისი ფელეტონის ერთი პერსონაჟი მეორეს და ასეთ პასუხს ისმენს: „ისინი დილიდან საღა-

მომდე თავიანთ დუქნებში სხედან და ვაჭრობენ, ვაჭრობენ და გროშებს ითვლიან, მაგრამ თუ მოვლენ და ეტყვიან: კარაპეტ, ფული გვჭირდება სკოლისათვის, ფული გვჭირდება სასარგებლო წიგნის გამოსაცემად, ფული გვჭირდება საზღვარგარეთ უნივერსიტეტში ახალგაზრდა კაცის გასაგზავნად," კარაპეტი მშვიდად იკითხავს: „რამდენი გჭირდებათ?" მივა თავის სეიფთან, რომელსაც არგუსის თვალებით დარაჯობს და დასახელებული თანხა მოაქვს. დიახ, ასეთი გონიერია კარაპეტი. მან იცის, რომ განათლების გარეშე ხალხი დაიღუპება. და რაკი თავისი ხალხი უყვარს, უყოყმანოდ გასცემს, რაც მის თანამემამულეთა განათლების ასამაღლებლად არის საჭირო" (ბრეგაძე, 2010: 31-32).

ქართველ არისტოკრატთა დიდი ნაწილის ფუქსავატური ცხოვრების მხილების დროს არტურ ლაისტი იმ გარემოებასაც აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ საამისოდ საჭირო ფულის მოსაპოვებლად მათი დიდი ნაწილი მამულებს აგირავებდა. სომეხ ვაჭრებს ფული ჰქონდათ და ამ მამულებს იძენდნენ, ქართველი არისტოკრატების ქონება სომეხი ვაჭრების ხელში გადადიოდა, რადგან მათ „მომავლის კარგი ყნოსვნა ჰქონდათ და ყოველთვის წინასწარ იცოდნენ, სად იქნებოდა კარგი მოსავალი" (ბრეგაძე, 2010: 32).

როგორც ლევან ბრეგაძე გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის" ფურცლებზე არტურ ლაისტის მიერ გამოქვეყნებული წერილების ანალიზით ნათელყოფს, იმდროინდელი ქართული რეალობისადმი თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას გერმანელი მწერალი მეტ სიმძაფრეს იმითაც სძენდა, რომ იმდროინდელ ვითარებაში იგი ამ მანკიერებათა დაძლევის ნაკლებ პერსპექტივას ხედავდა.

მაგალითად, აი, რას წერდა ის ამასთან დაკავშირებით გაზეთის 1906 წლის 21-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ქართული თეატრი": „თუ მას (ქართველს – ლ. ბ.) საქმე ცუდად მისდის, ამაში ყოველთვის სხვაა დამნაშავე და არა თვითონ. როცა, მაგალითად, ვანოს ფული შემოელევა, დამნაშავე როსტომია; როცა როსტომს შიმშილით კუჭი უხმება, დამნაშავეა კარაპეტი, რომელიც ფულის სესხებაზე უარს ეუბნება; თუ ნიკოს ბიჭი სკოლაში ცუდად სწავლობს, დამნაშავე მასწავლებელია; ხოლო როცა მას უზომო ღვინის სმისაგან ცხვირი უწითლდება, დამნაშავეა სარკე" (ბრეგაძე, 2010: 33).

იმდროინდელი ქართული რეალობისადმი არტურ ლაისტის ამგვარად კრიტიკული დამოკიდებულება საფუძველს მოკლებუ-

ლი შეფასების შედეგს რომ არ წარმოადგენდა, ამის დასტურად მრავალი მაგალითი შეიძლება დავიმოწმოთ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა როგორც მხატვრული შემოქმედებიდან, ისე პუბლიცისტური წერილებიდან. ვაჭრობისადმი ქართველთა დიდი ნაწილის ასეთ დამოკიდებულებას ამ მოვლენის მაშინდელ განმსჯელ-შემფასებელთაგან მხოლოდ ცალკეული წარმომადგენლები უპირისპირდებოდნენ; ისინი, რომლებიც სავაჭრო-კომერციულ პროცესებში ქართველი კაცის მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდნენ.

გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის" ფურცლებზე არტურ ლაისტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების გაანალიზების დროს, ლევან ბრეგაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ პუბლიკაციას, რომელშიც საკმაოდ ვრცლადაა მოთხრობილი საქართველოში ფერეიდანიდან ჩამოსული ორი იქაური ქართველის: ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილისა და ყოლამ-რეზა ხუციშვილის სტუმრობასთან დაკავშირებული ამბები (საქართველოში ხსენებულ პიროვნებათა სტუმრობასთან დაკავშირებით იხ: ნიკოლეიშვილი, 2018: 252-286).

გერმანელი მწერლის მიერ ამ მოვლენისადმი გამოვლენილი ესოდენ დიდი ინტერესის არსებითად განმაპირობებელ ფაქტორად ლ. ბრეგაძე, უწინარეს ყოვლისა, იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ „ფერეიდნელ ქართველთა მდგომარეობა ძალიან ჰგავდა კავკასიელ გერმანელთა მდგომარეობას: ორივენი სამშობლოს, მშობლიურ ენობრივ გარემოს იყვნენ მოწყვეტილნი, ორივეს იდენტურობის (თვითმყოფადობის) დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა, თუკი ძალისხმევას დაიშურებდნენ მშობლიური ენისა და კულტურის ასათვისებლად და შემდგომ ამ ცოდნას შთამომავლობისთვის გადასაცემად" (ბრეგაძე, 2010: 66).

ლ. ბრეგაძის აზრით, ამიტომაც არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ ფერეიდნელ ქართველთა სტუმრობასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობის დროს, არტურ ლაისტი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი ეროვნული ცნობიერების ამ მხარეს მიაპყრობდა გერმანელი მკითხველის ყურადღებას და ეროვნული თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ამ მოვლენის შესახებ მის თანამემამულეებს ასეთ ინფორმაციას აწვდიდა: „თბილისში ისინი (ფერეიდნელი სტუმრები – ა. ნ.) თა-

ნამემამულეებმა ძალიან გულთბილად მიიღეს. მრავალი მზრუნველი გამოუჩნდათ ინტელიგენტთა შორის და საჭირო თანხაც შეუგროვეს. როგორც კი მასწავლებლობისთვის მომზადებულად იგრძნობენ თავს და ქართულ მწერლობასაც სათანადოდ გაეცნობიან, მდიდარი საგანძურით – წიგნებითა და გაზეთებით დატვირთულნი დაბრუნდებიან სპარსეთს, რათა იქ საგანმანათლებლო საქმიანობას შეუდგნენ" (ბრეგაძე, 2010: 221). არტურ ლაისტის შეფასებით, „ამგვარი სიმტკიცე იშვიათი მოვლენაა ხალხთა ისტორიაში და ქართველებს შეუძლიათ იამაყონ ასეთი ერთგული თვისტომით" (ბრეგაძე, 2010: 220).

ისტორიული რეალიები არტურ ლაისტის ქართველოლოგიურ ნააზრევში

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ინტერესების წარმომჩენ ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მისი ის ნაშრომებიც იქცა, რომლებშიც მდიდარ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობითაა გაანალიზებული და შეფასებული საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პროცესები და ამ პროცესების წარმმართველ პიროვნებათა როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ავტორისეულ თვალთახედვას ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ის გარემოება, რომ იგი საკმაოდ ღრმად იყო ჩახედული ისტორიულ მოვლენათა არსში და მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი როგორც „ქართლის ცხოვრება," ისე ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომები.

ამ მიმართულებით კვლევასა და თავისი ნაშრომებით ევროპული სამყაროს ინფორმირებას არტურ ლაისტი მთელი ცხოვრების განმავლობაში ეწეოდა აქტიურად.

მკაფიოდ გამოკვეთილი ერთ-ერთი უმთავრესი ტენდენცია, რითაც არტურ ლაისტის ისტორიული ნარატივები ხასიათდება, იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ისტორიის საკვანძო ეპიზოდები მას ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ სივრცეში განვითარებულ გლობალურ მოვლენათა კონტექსტში აქვს გააზრებული. გერმანელი ქართველოლოგის არაერთგზისი ხაზგასმით, ქართველი ერის ისტორიული გზის წარმართვის პროცესში ამ მოვლენებს

იმდენად მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა შეძენილი, რომ ისინი ხშირ შემთხვევებში არსებითად განმსაზღვრელ როლსაც კი ასრულებდნენ შესაბამისი პერიოდების საქართველოს ისტორიაში.

ამ მიმართულებით წარმართული მსჯელობის დროს, არტურ ლაისტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა ქართველთა მრავალსაუკუნოვან აქტიურ სწრაფვას ევროპულ სამყაროსთან დაახლოებისაკენ. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის საფუძვლიანმა შესწავლამ მას კიდევ უფრო მეტად განუმტკიცა ის აზრი, რომ „წინა აზიაში საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც გაბედულად იბრძოდა ევროპული კულტურის გადმონერგვისათვის" (ლაისტი, 1963: 91).

ა. ლაისტის აზრით, ქართველ ხელისუფალთა და მამულიშვილთა მთავარ სტრატეგიულ მიზნად ქცეული ამ პროცესის წარმართვის საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ შესრულებული ევროპელ კათოლიკე მისიონერებს. მისი მტკიცებით, ამ მიმართულებით გაწეულმა მათმა საქმიანობამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები XVIII საუკუნეში შეიძინა. ეს მოვლენა არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ევროპულ სამყაროსთან საქართველოს კიდევ უფრო მეტად დასაახლოებლად იმხანად თავად ქართველებიც იღვწოდნენ ძალზე აქტიურად და „დამოუკიდებლად ცდილობდნენ სამშობლოს გაევროპელებას." ა. ლაისტის შეფასებით, ჩვენი ქვეყნის მომავლის ამ გზით წარმართვის საქმეში „საქართველოს ტრადიციაც უწყობდა ხელს" (ლაისტი, 1963: 91).

საბოლოო დასკვნა, რითაც არტურ ლაისტმა გვიანდელი შუა საუკუნეების საქართველოს განვითარების გზის განმაზოგადებელი ეს ანალიზი შეაჯამა, ასეთი იყო: მიუხედავად იმ გაორებისა და გაურკვევლობისა, რითაც ხსენებული პერიოდის ქართველ მამულიშვილთა ეროვნული თვალთახედვა ხასიათდებოდა, „საერთო და მთავარ ხაზად მაინც რჩებოდა გაუნელებელი სურვილი მაღალი კულტურის გაზიარებისა, წყურვილი სამშობლოს აღორძინებისა ევროპეიზაციის გზით" (ლაისტი, 1963: 94).

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ნააზრევისათვის მკაფიოდ დამახასიათებელ ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მრავალსაუკუნოვან პროცესს იგი შესაბამისი ეპოქის დიდ მამულიშვილთა ცხოვრებისეული ღვაწლის შეფასების გზით იაზრებდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი

იმდროინდელ მოვლენათა გაანალიზებისა და შეფასების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, მათი, პირველ ყოვლისა კი, მეფეთა და მწერალთა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი როლის წარმოჩენაზე ამახვილებდა.

არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ღვაწლის შეფასების დროს, განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტსაც უნდა მივაქციოთ, რომ იგი ქართველი ერისთვის მთელი მისი ისტორიის განმავლობაში მკაფიოდ დამახასიათებელ იმ თვისებებზეც მიაპყრობდა უცხოელი მკითხველის ყურადღებას, რაც საუკეთესო სახით წარმოაჩენს მის პოზიტიურ მხარეებს. ერთ-ერთი ასეთი თვისებაა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ხალხებისა და განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანებისადმი ქართველთა ტოლერანტული დამოკიდებულება.

მაგალითად: „საქართველო მაჰმადიანურ სამყაროში პატარა კუნძული იყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აზიის მიჯნაზე მდებარეობდა, თავისი სულით, ზნე-ჩვეულებებითა და სარწმუნოებით მაინც მკაფიოდ გამოირჩეოდა. სარწმუნოებრივი დაპირისპირების მიუხედავად, ქართველები ამ საქმეში ყოველთვის გამოირჩეოდნენ სამაგალითო შემწყნარებლობით. სარწმუნოებრივი დევნა მათგან თითქმის არავის განუცდია. გულგაშლილობა, სხვისი ჩვეულებისა და რწმენის პატივისცემა ყოველთვის იყო ქართველის თვისება. ამას მოკლებული იყვნენ სპარსელები, არაბები და ოსმალები, რის გამოც ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა განუწყვეტელი ბრძოლა და დაცვა თავისი მეობისა" (ლაისტი, 1963: 97).

არტურ ლაისტის შეფასებით, მიუხედავად ურთულეს გეოპოლიტიკურ სივრცეში ცხოვრებისა, ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო უმტკიცესად დაეცვა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა. მართალია, ამ პოლიტიკამ მისი ცხოვრების ყველა მხარეს, მათ შორის ლიტერატურასაც და კულტურასაც, დაასვა გარკვეული დაღი, მაგრამ ქართველ ხალხს თავისი არსებობის ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი არ შებღალვია ეროვნული სულის სიმტკიცე და თვითმყოფადობა.

საქართველოს ისტორიიდან მრავლად მოშველიებულ ეპიზოდებზე დაყრდნობით გამოტანილი ამ დებულების ნათელსაყოფად, გერმანელი ქართველოლოგი ყველაზე ხშირად ქართველ მწერალთა შემოქმედებას ემყარება. მაგალითად: მართალია, სპარსელთა მიერ ჩვენი ქვეყნის მფლობელობის პერიოდში ქარ-

თულ ორიგინალურ ლიტერატურას „სპარსული დაღი ემჩნეოდა," მაგრამ ქართულმა მწერლობამ ამ რთულ ვითარებაშიც წარმატებით შეძლო უმტკიცესად დაეცვა მშობლიური ენა და შთამომავლობისთვის შემოენახა „ეროვნული სული და თვითშეგნება. თუმცა ეს ეროვნული თვითშეგნება ხშირად ირყეოდა და ილეწებოდა ქართული ციხე-კოშკების მსგავსად, მაგრამ ის არ გამქრალა და კვლავ მტკიცდებოდა" (ლაისტი, 1963: 97).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აგრესორ სახელმწიფოთა შესახებ საუბრის დროს, არტურ ლაისტი რუსეთს მკვეთრად გამოხატულ ნეგატიურ კონტექსტში არ მოიხსენიებს, ამ საკითხის მისეულ შეფასებებში მაინც იგრძნობა მისი კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ამ იმპერიის მიერ გატარებული დამპყრობლური პოლიტიკისადმი. მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევდა იგი ვახტანგ მეექვსის მიერ 1724 წელს თავისი მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში გადახვეწის ფაქტს:

ეს მოვლენა „საქართველოსთვის დიდი დანაკლისი იყო. მას რუსეთში გახიზნულთა სახით წაერთვა საუკეთესო ძალები. ემიგრანტთა ნაწილი უკვალოდ დაიკარგა კიდეც. ასეთმა საბედისწერო სულმოკლეობამ მძიმე დაღი დაასვა ქართველ ერს, შეანელა მისი ცხოვრება. მართალია, გარემოება ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ეს მაინც ვერ გაამართლებს იმათ, ვინც ამ უბედურ დროს სამშობლოს ტოვებდა" (ლაისტი, 1963: 108).

თავის ისტორიულ ნარატივებში არტურ ლაისტი ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად ჩვენი ქვეყნის დანაწევრების მომაკვდინებელ პროცესზეც არაერთგზის ამახვილებდა ყურადღებას და ამ ტრაგიკული მოვლენის განმაპირობებელ ფაქტორთა წარმოჩენის დროს იმ განსხვავებულ როლზეც საუბრობდა, რომელსაც ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობა ასრულებდა საქართველოს ისტორიის გარკვეულ პერიოდებში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ის შეფასება, რომელსაც გერმანელი ქართველოლოგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთობას აფასებს ისტორიული პერიპეტიების გათვალისწინებით.

ა. ლაისტი არც ამჯერად ღალატობს ტრადიციას და აღნიშნულ მოვლენას, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი პერიოდების ცნობილ მამულიშვილთა მოღვაწეობასა და თვალთახედვაზე დაყრდნობით აფასებს. მაგალითად, მისი აზრით, ქართველი ხალხის ეროვნული შეკავშირების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისა

და ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ცხოვრების აღმავლობის პროცესი სისხლხორცეულად აღმოჩნდა დაკავშირებული იმ უმნიშვნელოვანეს როლთან, რომელიც დასავლეთ საქართველომ, კერძოდ კი იმერეთმა, შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან.

ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის სათავეში მდგომ პიროვნებად არტურ ლაისტი აკაკი წერეთელს მიიჩნევდა. თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ აკაკი გამონაკლისი არ ყოფილა და მასთან ერთად იმხანად იმერეთიდან გამოსული სხვა მამულიშვილებიც ასრულებდნენ მეტად მნიშვნელოვან როლს. ერთ-ერთი მათგანი იყო „უნიჭიერესი და სულიერად ყველაზე მაღლა მდგომი გამოჩენილი იმერელი ნიკო ნიკოლაძე, აკაკისთან ერთად ყველაზე მეტად გამოჩენილი იმერელი მე-19 საუკუნეში, ეს მაღალნიჭიერი, ჭკვიანი და ევროპულად განათლებული ადამიანი – პირველი ქართველი ჟურნალისტი ევროპული მნიშვნელობით."

მათთან ერთად, ა. ლაისტი გიორგი წერეთელსაც ასახელებს და მის უმთავრეს დამსახურებად იმას მიიჩნევს, რომ მან, „როგორც მწერალმა და ჟურნალისტმა, ლიტერატურაში შემოიტანა დემოკრატიული კილო."

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის განზოგადების შედეგად, არტურ ლაისტი ასეთ შემაჯამებელ შეფასებას აკეთებს: „აკაკი წერეთელი, პირველი იმერელი მაღალი ნიჭისა და მნიშვნელობის მქონე, საუკუნეთაგან მოკიდებული, თავის ტემპერამენტისა და აზრთა მსვლელობის მიხედვით ტიპიური იმერელი იყო. სულიერი ცხოვრებით ის ილია ჭავჭავაძის გვერდით იდგა, მაგრამ ორივე მგოსანი სხვა და სხვა მსოფლმხედველობისა იყო და მთელ სიცოცხლეში ორთავ მომწყდარი იყო ერთიმეორეს... უკვე მაშინვე ამჩნევდნენ, რომ იმერეთი გურია-სამეგრელოთი თავის საუკუნებრივ ძილიდგან გამოფხიზლებული იყო და ემზადებოდა ქართლთან გასაერთიანებლად... მრავალრიცხოვანი იმერელი გლეხები მოჰზვავდნენ ტფილისს და ქალაქის მცხოვრებლები გახდნენ.

ეს იყო ახალ კაცთა მთელი ჯარი, რომელთა სიმკვირცხლით უნდა შეექმნათ სომეხთა საწინააღმდეგო მოცილე ძალა... იმერული მოძრაობა ისწრაფოდა აღმოსავლეთ საქართველოსთან სულიერადა და კულტურულად შესაერთებლად. აქეთ შემოიჭრა არა მხოლოდ აკაკის შემოქმედების გავლენა, არამედ იმერელი მსახიობნიცა და გაზეთის თანამშრომელნიც.

იმავ დროს მოწყდა დაუსრულებელი ტალღა მებაღეთა, მზარეულთა მსახურთა, ლაქიათა და სხვათა“ (ლეისტი, 1927: 140).

მისი ამ თვალსაზრისისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად არტურ ლაისტი იქვე ილია ჭავჭავაძის მიერ ამასთან დაკავშირებით 1889 წელს გამოთქმულ ამ მოსაზრებასაც იმოწმებდა: „ეს ამოვსება აღმოსავლეთ საქართველოისა ერთის მხრივ ჩვენთვის სასარგებლოა, რადგან იმერლები მკვირცხლები არიან და ისეთი თვისებები შემოაქვთ, რომლებიც ჩვენ გვაკლია... ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ერი ამ ერთობას დროის განმავლობაში განამტკიცებს.“

* * *

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ, თავისი მრავალმხრივი ქართველოლოგიური ნააზრევითა და გერმანულ ენაზე ქართული მწერლობის ბევრი თვალსაჩინო ნიმუშის თარგმნით, არტურ ლაისტმა მყარად დაიმკვიდრა წარუშლელი ადგილი ჩვენი კულტურის ისტორიაში. იგი ფაქტობრივად ერთ-ერთი პირველი ევროპელი ავტორი იყო, რომელიც გერმანიაში გამოცემული თავისი ნიგნებითა და პრესაში გამოქვეყნებული მხატვრულ-დოკუმენტური წერილებით გერმანულენოვან მკითხველებს უდიდესი სიყვარულითა და შესაბამის მოვლენათა საფუძვლიანი ცოდნით აწვდიდა მნიშვნელოვან ცნობებს მათთვის სრულიად უცნობი ქვეყნისა და მისი მკვიდრი მოსახლეობის ისტორიასთან, იმჟამინდელ ყოფასთან და კაცობრიობის კულტურულ და ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ქართველთა მიერ შეტანილ უმნიშვნელოვანეს წვლილთან დაკავშირებით.

ესოდენ მრავალმხრივი და მეტად წარმატებული ქართველოლოგიური მოღვაწეობის გამო, არტურ ლაისტისადმი თავისი მადლიერი დამოკიდებულება ქართველმა საზოგადოებამ იმითაც გამოხატა, რომ 1922 წელს ფართოდ აღნიშნა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილე, მის მეორე სამშობლოდ მიჩნეულ საქართველოში გარდაცვლილ მწერალს კი სამუდამო განსასვენებელი დიდუბის პანთეონში მიუჩინა, ჩვენი ერის დიდი შვილების საძვალეთა გვერდით.

2020 წ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბრეგაძე ლ. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის" ფურცლებზე, თბ. 2010 წ.

გუნია ვ. სიტყვა არტურ ლეისტის იუბილეზე, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი," თბ. 1922 წ. #4.

ლაისტი ა. საქართველოს გული, თბ. 1963 წ.

ლეისტი ა. მივიწყებული ლიტერატურა, გაზ. „დროება," 1883 წ. 9 თებერვალი, #28.

ლაისტი ა. ქართული ლიტერატურა, ჟურნალი „ივერია," 1884 წ, 35-6.

ლეისტი ა. ქართული ოჯახი, გაზ. „ივერია," 1905 წ. 1 ივლისი, #106.

ლეისტი ა. ქართველი ვაჭარი, გაზ. „ივერია," 1905 წ. 4 სექტ. #157.

ლეისტი ა. ქართული კულტურა უკანასკნელ 20 წელში. გაზ. „ივერია," 1906 წ. #9.

ლეისტი ა. წარსულის მოგონებანი, გაზ. „ივერია," 1906 წ. #25.

ლეისტი ა. საქართველოს გული, თბ. 1923 წ.

ლეისტი ა. საქართველოს გული, თბ. 1927 წ.

მამულაშვილი მ. იცოდა თუ არა ლაისტმა ქართული? გაზ. „თბილისი," თბ. 1962 წ. 14 მაისი.

მანსვეტაშვილი ი. მოგონებები, თბ. 1985 წ.

ნიკოლეიშვილი ა. ქართველოლოგიური ეტიუდები, III, ქუთაისი, 2018 წ.

სახოკია თ. ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ. 1984 წ.

ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბ. 1975 წ.

ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში, ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით, თბ. 2003 წ.

ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, თბ. 2005 წ.

მარჯორი უორდროპის ქართულენოვანი წერილები

უშუალოდ ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე ჩვენი ლიტერატურის არაერთი ნიმუშის თარგმნასთან და ქართველოლოგიური მიმართულებით გაწეულ აქტიურ საქმიანობასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში წარუშლელი ადგილი მარჯორი უორდროპმა (1869-1909 წწ.) მის ქართველ მეგობრებთან პიროვნული ურთიერთობებითა და მიმონერითაც დაიმკვიდრა. კერძოდ, როგორც მათთვის ქართულ ენაზე მოწერილი მისი წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, საქართველოსა და ქართველებისადმი განსაკუთრებული სიყვარული ინგლისელი ქალბატონისათვის მთელი მისი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად იყო ქცეული.

გარდა იმისა, რომ ამ სიყვარულის ამსახველი მასალები შესაბამისი პერიოდის ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა საკმაოდ მრავლად, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც თავად მარჯორის მიერ ქართველი მეგობრებისთვის გამოგზავნილი ხსენებული წერილებია, რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექმნება ჩვენი დიდი ინგლისელი მეგობრის ქართველოლოგიურ მოღვაწეობაზე.

სხვადასხვა სიძველეთსაცავებში დაცული ეს წერილები მოიძია და 1965 წელს სათანადო შენიშვნების თანდართვით გამოსცა ლეილა თაქთაქიშვილმა-ურუშაძემ, ოქსფორდის, კემბრიჯისა და ლონდონის მუზეუმებში არსებული ამ დოკუმენტების მნიშვნელოვან ნაწილს კი გურამ შარაძემ მიაკვლია და გამოაქვეყნა 1981 და 1984 წლებში ინგლისში სამეცნიერო მივლინებებით ყოფნის დროს.

მარჯორი უორდროპის ეპისტოლეებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. კერძოდ, ხსენებული წერილები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ინგლისელი ქალბატონის განსაკუთრებულ სიყვარულზე საქართველოსადმი. ქართველი მეგობრებისათვის ქართულად მოწერილი ამ წერილებიდან კარგად ჩანს, რომ მათი ავტორი საკმაოდ კარგად ფლობდა ჩვენს ენას. მიუხედავად დროდადრო დაშვებული ენობრივი შეცდომებისა, ხსენებული წერილები თვალნათლივ ავლენს ჩვენი

ქვეყნის გულითადი მეგობრის მიერ ქართული ენის რეალურად ფლობის მაღალ დონეს; ამ წერილების მეშვეობით შეგვიძლია თანმიმდევრული სიზუსტით მივადევნოთ თვალი მარჯორის მთარგმნელობითი საქმიანობის უწყვეტ პროცესს; ასევე უაღრესად საინტერესოა ის კომენტარებიც, რომელთაც ინგლისელი ქალბატონი გამოთქვამდა დროდადრო ქართული მწერლობის ცალკეული წარმომადგენლებისა და მათი შემოქმედების შესახებ...

საქართველოსადმი მარჯორი უორდროპის სიყვარულის გაღვივების საქმეში მნიშვნელოვანი როლი მისმა უფროსმა ძმამ, ცნობილმა დიპლომატმა და ქართველოლოგმა ოლივერმა შეასრულა. ამ თვალსაზრისით, მისთვის დიდი იმპულსის მიმცემ ძალად იქცა ლონდონში ოლივერ უორდროპის მიერ 1888 წელს გამოცემული წიგნი „საქართველოს სამეფო," რომელშიც შთამბეჭდავი ფორმით იყო მოთხრობილი ჩვენი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები.

როგორც ცნობილია, ოლივერ უორდროპის ხსენებული წიგნი გამონაკლისი არ ყოფილა და ქართველოლოგიურ საქმეთა მსახურება მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებასაც წარმოადგენდა. კერძოდ, 1912 წელს, მარჯორის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, ლონდონში მან გამოსცა მისი დის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი," თავად კი ინგლისურენოვანი მკითხველი სწორედ მისი თარგმანებით გააცნო ქართული ლიტერატურის არაერთ ნიმუშს. მანვე აღწერა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული ქართული ხელნაწერები და ხსენებული აღწერილობა კონიბირთან ერთად ცალკე წიგნადაც გამოსცა 1913 წელს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ოლივერის აქტიური ძალისხმევითა და ორგანიზებით ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდროპის ფონდიც დაარსდა, სადაც არაერთი ქართული ხელნაწერი და წიგნია დაცული.

მიუხედავად იმისა, რომ მარჯორი უორდროპი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, რუმინეთში, პოლონეთში, აფრიკაში, კუნძულ ჰაიტზე...) იყო არა მარტო ნამოგზაურები, არამედ ნაცხოვრებიც კი და გარდა მშობლიური ინგლისური ენისა, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებსაც ფლობდა საკმაოდ კარგად, საქართველოსთან იგი მათგან არსებითად განსხვავებული, განსაკუთრებული სიყვარულით, იყო დაკავშირებული.

ქართული ენის შესწავლას მარჯორი უორდროპი 1880-იანი წლების ბოლოდან შედგომია მარი ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებლისა“ და სახარების ქართული თარგმანის მეშვეობით. ასე რომ, საქართველოსადმი სიყვარულის მაგიური ძალა მან ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩამოსვლამდეც იგრძნო, რაც მისთვის იმთავითვე იქცა ქართული ენის დაუფლების მძლავრ სურვილად. ჩვენს ქვეყანაში მისმა პირველმა სტუმრობამ და აქ შეძენილ მეგობრებთან დამყარებულმა პიროვნულმა სიახლოვემ კი, მის ამ სურვილს განსაკუთრებული მასშტაბები შესძინა. ამის შესახებ მარჯორი უორდროპი არა მარტო მისი ქართველი მეგობრებისთვის ქართულ ენაზე გამოგზავნილ წერილებში წერდა ემოციური აღტკინებით, არამედ თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროსაც და ოლივერისთვის მიწერილ ბარათებშიც.

მაგალითად, 1894 წლის 21 ოქტომბერს ბათუმში სტუმრად მყოფი ძმისთვის გამოგზავნილ წერილში საქართველოში ჩამოსვლაზე მეოცნებე მარჯორი მისი ოცნების საგნად ქცეული ჩვენი ქვეყნის უნახაობით განპირობებულ გულისწყვეტას ამ სიტყვებით გამოხატავდა: „გუშინ მივიღე შენი წერილი... ბუნებრივია, მე ძალიან ვწუხვარ, რომ შენთან ერთად არ ვარ... სიბრაზისაგან შემიძლია მხოლოდ ვიტირო... ჩემი ქართული ბიბლიოთეკა იზრდება. მე კმაყოფილებით გავაგრძელებდი მუშაობას, რომ შემძლებოდა საქართველოში ჩამოსვლა. მე სულ შენზე ვფიქრობ... ჩემი ორი სიყვარული ერთადაა: უძვირფასესი და საქართველო...

მე არ ვიცი, რატომ არ შემიძლია საქართველოს გარდა სხვა რამეზე ფიქრი... მე ბედნიერი ვარ, რომ შენ მანდ ხარ, მაგრამ ოჰ! ნეტავი მეც შენთან ვიყო“ (უორდროპი ნ. მარჯორი და ოლივერი. მოგონება. იხ: ჟურნ. „მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია,“ თბ. 1992 წ. #2, გვ. 38).

ჯერ კიდევ ფიზიკურად უნახავი ჩვენი ქვეყნისადმი რომანტიკული სიყვარულის ამ დიდ გზაზე ინგლისელ ქალბატონს იმ დროისათვის უკვე ჰქონდა გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები. კერძოდ, გარდა იმისა, რომ იგი იმხანად საკმაოდ კარგად იყო დაუფლებული ქართულ ენას, ინგლისურ ენაზე ჩვენი ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშების თარგმნაზეც მუშაობდა აქტიურად.

მთარგმნელობით მოღვაწეობას მარჯორი უორდროპი 1880-იანი წლების ბოლოდან შეუდგა ინგლისურ ენაზე ქართული ხალხური ზღაპრების გადათარგმნით. 1894 წელს ლონდონში გამო-

ცემულ მის ამ წიგნს საკმაოდ კარგი გამოხმაურებანი მოჰყვა როგორც ინგლისსა და საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიც.

ამ დროიდან მოყოლებული, თავისი მაღალმხატვრული თარგმანებით მარჯორი უორდროპმა ქართული მწერლობის არაერთი ნიმუში გახადა ხელმისაწვდომი ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. ესენია: ილია ჭავჭავაძის „განდეგილი" და „მგზავრის წერილები" სრული სახით და „კაცია-ადამიანის?!", „გლახის ნაამბობისა" და „ავტობიოგრაფიის" ცალკეული მონაკვეთები. სამწუხაროდ, ხსენებული თარგმანებიდან ბოლო დრომდე მხოლოდ „განდეგილი" იყო გამოქვეყნებული, დანარჩენ თარგმანთა ხელნაწერებს კი 1981 და 1984 წლებში მიაკვლია გურამ შარაძემ ოქსფორდის უნივერსიტეტში არსებულ უორდროპების ფონდში.

გარდა ხსენებული თარგმანებისა, ოქსფორდში „მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი თავისებური ქართული პოეზიის ანთოლოგიაც აღმოჩნდა, რომელშიც შესულია ვახტანგ ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ვოლსკის ლექსების მარჯორისეული გამოუქვეყნებელი ინგლისური თარგმანები, მათთან ერთად, ილია ჭავჭავაძის ლექსების ასევე გამოუქვეყნებელი ინგლისური თარგმანები, შესრულებული მარჯორი უორდროპის მიერ ლონდონის მახლობელ აგარაკ ჩიზლჰორსტში 1892-1895 წლებში. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ინგლისურად თარგმნილი ილიას „ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ" („აჩრდილიდან"), „ელეგია" („მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა..."), „გაზაფხული" („ტყემ მოისხა ფოთოლი"), „ბაზალეთის ტბა" და სხვ., გრიგოლ ორბელიანის „ჩემი ეპიტაფია," „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში," რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა" და სხვ." (შარაძე, 1986: 142).

ქართველი მეგობრებისთვის მარჯორი უორდროპის მიერ გამოგზავნილი წერილებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მათი მეშვეობით კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექმნება ინგლისელი ქართველოლოგის მიერ აღნიშნული მიმართულებით გაწეულ საქმიანობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მარჯორი უორდროპმა ქართული მწერლობის არაერთი ნიმუში თარგმნა ინგლისურ ენაზე, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ყველაზე დიდ მიღწევად მკვლევრები „ვეფხისტყაოსნის" თარგმანს მიიჩნევენ. ამ საქმეს იგი ფაქტობრივად მთელი ცხოვრების განმავლობაში ემსახურე-

ბოდა, თუმცა შედეგით კმაყოფილი მაინც არ ყოფილა და არაერთგზის აღუნიშნავს ის ფაქტი, რომ დასახული მიზნის ბოლომდე მისაყვანად და თარგმანის სრულსაყოფად კიდევ ათწლიანი შემოქმედებითი ძალისხმევა იყო საჭირო.

საკუთარი თავისადმი წაყენებული სწორედ ამ დიდი პასუხისმგებლობის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მარჯორი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რუსთველის პოემის მისეული თარგანი არ გამოუქვეყნებია და ეს საქმე ოლივერმა მისი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ განახორციელა.

ქართული ხალხური ზღაპრების მისეული თარგმანის გამოცემის შემდეგ მარჯორი უორდროპმა ილია ჭავჭავაძის „განდეგილის" თარგმნა გადაწყვიტა და საამისო ნებართვის მისაღებად 1894 წლის 8 სექტემბერს პოემის ავტორს ლონდონიდან ასეთი შინაარსის წერილი მოწერა:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა," რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში...

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად...

ჩემი ძმა (იგულისხმება ოლივერი – ა. ნ.) დიდი პატივი ქონდა, რაოდენიმე წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნებ და სურვილი მაქვს, რომ მერე მე შევჰძლებ პირ და პირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებულის მსახურებისათვის მიცემული თქვენგან ძველებურის მეფობის საქართველოსათვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა" (უორდროპი, წერილები, 1965: 82).

მარჯორი უორდროპის ამ წერილს, რომელიც მაშინვე გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში," იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კერძოდ, აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით თედო სახოკია: „მაგონდება ის ტკბილი წუთიცა, რომელიც განვიცადეთ „ივერიის" რედაქციაში 1894 წ., როცა დათა მიქელაძემ (მეველემ) განსვენებულის წერილი შემოიტანა, ქართულად ლამაზის ხელით დაწერილი და გვახარა: აი, უორდ-

როპის ასულს ილიასათვის წერილი გამოუგზავნია და ნებართვას სთხოვს „განდეგილი“ ინგლისურად სთარგმნოსო. ჩვენს თვალებს არ ვუჯერებდით, ამ წერილს რომ ვკითხულობდით. ძნელად წარმოგვედგინა, რომ ჩვენს ენას, უცხოელისთვის ძნელად სასწავლ ენად მიჩნეულს, ასე ისწავლიდა ინგლისელი ქალი... ყველანი გაგვამხნევა, იმედი მოგვფინა, სრულიად დავიწყებულად არ მივიჩნიეთ თავი“ (სახოკია თ. „ვეფხის-ტყაოსანი“ ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული. იხ: „სახალხო გაზეთი,“ 1912 წ. #635).

ხსენებულმა მოვლენამ, ბუნებრივია, განსაკუთრებული სიხარული, უპირველეს ყოვლისა, თავად პოემის ავტორს მოუტანა. როგორც მარჯორი უორდროპისათვის მის მიერ გაგზავნილი საპასუხო წერილიდან ვგებულობთ, იგი არა მარტო იმის გამო შეხვდა ამ ფაქტს უდიდესი სიხარულით, მისი პოემა ინგლისელი მკითხველისთვისაც რომ იქნებოდა ხელმისაწვდომი, არამედ, პირველ ყოვლისა, იმისთვის, რომ მარჯორი უორდროპის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯით ქართული მწერლობის ცნობილი ნიმუშების ევროპულ ენებზე თარგმნა რეალურად იძენდა ახალ მასშტაბებს. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ილიას მიერ მარჯორისთვის გაგზავნილი საპასუხო წერილიდან:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მოუპოვებია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად. სახელოვანმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია...

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულს ძმას ჩვენი ყველასგან დავიწყებული ქვეყანა შეგიყვარებიათ და მოგიწადინებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს და გულისტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის...

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ სამსახურად იქნება მიჩნეული ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას სამზღვარი არ ექნება“ (ჭავჭავაძე, 1961:138).

„განდეგილით“ მარჯორის დაინტერესებას კიდევ უფრო დიდი მასშტაბი შესძინა ილიასა და მისი მეუღლის პირადად გაცნობამ,

რაც საქართველოში ინგლისელი ქალბატონის პირველი სტუმრობის დროს მოხდა. ამ სტუმრობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1895 წლის შემოდგომაზე, მარჯორის მიერ თარგმნილი პოემა ლონდონში უკვე წიგნადაც გამოიცა და მას ლიტერატურული საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

გარდა აღნიშნული წერილისა, ხსენებული მოვლენისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია ის წერილებიც, რომლებიც მას მარჯორი უორდროპისათვის გაუგზავნია ლონდონში გამოცემული მისი პოემის ფიზიკურად ნახვის შემდეგ. გურამ შარაძის მიერ ინგლისის სიძველეთსაცავებში მოპოვებულ ამ წერილებში ილია არა მარტო ამ მოვლენით გამოწვეულ მის პიროვნულ სიხარულს გამოხატავდა ღრმად ემოციური ფორმით, არამედ ჩვენი ქვეყნის ინგლისელ მეგობარს, პირველ ყოვლისა, იმის გამო ეუბნებოდა განსაკუთრებულ მადლობას, რომ თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობით იგი ძალზე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა დასავლური სამყაროსთვის ჩვენი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის გასაცნობად.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ილიას მიერ მარჯორი უორდროპისათვის გაგზავნილი ხსენებული წერილებიდან:

„მოწყალეო ბატონო!

თქვენი თარგმანი ჩემის „განდეგილის“, თქვენ მიერ ბოძებული, მივიღე... მადლობა ამ ჩემთვის ძვირფას საჩუქრისთვის... თუ ოდესმე მინანია, რომ ინგლისური არ ვიცი, ეხლა უფრო მეტად ვნანობ, ხოლო ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ვისაც ინგლისურის. მცოდნეს წავაკითხე, ყველამ ძალიან მოიწონა თქვენი თარგმანი და მე მოვალედ ვრაცხ თავს ამისთვის ჩემი გულითადი მადლობა განმეორებით მოგახსენოთ...

მიხარია, რომ თქვენის განათლებულის შემწეობით დიდი ერი ინგლისისა, ცოტად თუ ბევრად, შეიტყობს, რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებული პატარა ქართველი ერი და აქვს თვისი ლიტერატურა, რომელშიაც ინახავს თავისის სულის და გულის საუნჯესა...

ამ მხრით თქვენი კეთილშობილური ღვაწლი ჩვენის ლიტერატურის ნაწარმოებების თარგმანებისა დიდი სამსახურია ჩვენის პატარა და მივიწყებული ერის წინაშე და მე, ვითარცა შვილი ჩემის ქვეყნისა, ამასა ვგრძნობ და ამას შევხარი უღრმესის მადლობითა...

თქვენი მარად პატივისმცემელი და ყოველს კეთილის თქვენთვის მსურველი ილია ჭავჭავაძე.

26 თებერვალი, 1896, ტფილისი" (შარაძე, 1984: 250).

აღნიშნულ მოვლენასთან, საერთოდ, საქართველოსთან მარჯორი უორდროპის ურთიერთობასთან, დაკავშირებით ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ იმ მიმოწერიდან, რომელიც ინგლისელ ქალბატონსა და ილიას მეუღლეს ჰქონდათ ერთმანეთთან მათი დამეგობრების დროიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ხსენებული წერილებიდან.

მარჯორისათვის 1896 წლის 12 თებერვალს გაგზავნილ წერილში ილიას მეუღლე მის მეგობარს განსაკუთრებულ მადლობას ეუბნებოდა ილიას პოემის ინგლისურად თარგმნის გამო და ამ მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევდა: „ჩემთვის უძვირფასესო ტკბილო მარჯორე!

პირუთვნელად უნდა ვაღიარო თქვენ წინაშე, მას შემდეგ, რაც გაგიცანით, თქვენ შეადგენთ ჩემ სათაყვანო და სადიდებელ პირსთ... თქვენ, დიდ ბრიტანის შვილმა, არ დაიზარეთ, შეისწავლეთ ჩვენი საყვარელი დედა-ენა იმ წერილობამდინ, რომ თქვენის ნათარგმნით გააცანით თქვენ განათლებულ ხალხს ჩემი პატარა დავიწყებული სამშობლო... ილიამ მიიღო თქვენგან ბოძებული ჩინებული და ხელოვნებით ნათარგმნი „განდეგილი.“ ილიას სურათმა ალტაცებაში მომიყვანა, ისე ცოცხლად არის გამოყვანილი, თითქო საცაა დაილაპარაკებსო. ჩინებული განძი აჩუქეთ ჩემს ქმარს" (შარაძე, 1982: 86).

ილია ჭავჭავაძისა და მისი მეუღლისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას თავის მხრივ მარჯორიც ხშირად გამოხატავდა მათთვის გამოგზავნილი წერილებით. მაგალითად, 1906 წლის 29 აპრილს მიწერილ ბარათში პეტერბურგში მეუღლესთან ერთად მყოფ ილიას მარჯორი, რომელიც დიპლომატიური მისიით რუსეთში წარგზავნილ მის ძმასთან – ოლივერთან ერთად ცხოვრობდა, დაბეჯითებით თხოვდა მათთან სტუმრობას:

„ღრმათ პატივცემულო თავადო ილიავ, დიდ სიამოვნით გავიგეთ რომ თქვენ აქ მობრძანებულხართ. მოგვილოცავს გულით თქვენ ამორჩებაზე.

ფრიად მოხარულნი ვიქნებით თქვენი ნახვით. თუ შეიძლება გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან სადილათ პარასკევს საღამოს რვის ნახევარზე.

ჩემმა ძმამ უგულითადესი მოკითხვა გიძღვნათ.

თქვენი ღრმათ პატივისმცემელი მარჯორი უორდროპი" (წერილები, 1965: 124).

ილიასადმი მარჯორი უორდროპის მეტად პატივისაცემი დამოკიდებულება ბუქარესტიდან გამოგზავნილ მის ერთ-ერთ წერილში დაფიქსირებული ამ ფაქტითაც ნათლად დასტურდება: „ილიას სურათი მუდამ ჰდგას ჩვენს ოთახში – ერთი შინ და ერთიც აქ" (წერილები, 1965: 138).

ილიასადმი მარჯორის დამოკიდებულების შეფასების დროს, რამდენიმე სიტყვა იმ დიდ გულისტკივილზეც უნდა ითქვას, რომელიც ინგლისელმა ქალბატონმა წიწამურის ტრაგედიასთან დაკავშირებით გამოხატა არაერთგზის როგორც ილიას მეუღლისთვის, ისე მისი სხვა ქართველი მეგობრებისთვის გამოგზავნილი წერილებით.

მაგალითად, ილიას მეუღლისთვის მოწერილ ბარათში აღნიშნავდა, რომ მათ თავზე დამტყდარმა ამ უბედურებამ „ისიც გააუბედურა." 1907 წლის 3 ოქტომბერს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისთვის ფრანგულ ენაზე გამოგზავნილ წერილში კი ამ ტრაგიკული მოვლენით განპირობებულ მწუხარებას ამგვარად გამოხატავდა: „ვერაფრით ვერ დავიჯერეთ ჩვენს გაზეთებში დაბეჭდილი ცნობების სიმართლე. ახლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ასე სასტიკად მოკლეს თავადი ილია, რომელიც აგრერიგად გვიყვარდა, და დაჭრეს სათნო და კეთილი კნეინა ოლღა. გული ნაღველით გვევსება, რა საშინელი დანაკლისია საქართველოსთვის!" (შარაძე, 1986: 140).

საქართველოში ყოფნის დროს მარჯორიმ აკაკი წერეთელიც გაიცნო და წერილობითი ფორმით შემდგომში მასთანაც გააგრძელა ურთიერთობა. მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, იგი აკაკის შემოქმედებითაც იმდენად იყო მოხიბლული, რომ მისი რამდენიმე ლექსი თარგმნა კიდეც ინგლისურად. აკაკისთვის გამოგზავნილ წერილებში მარჯორი პოეტს მადლობას ეუბნებოდა მის მიერ გამოცემული „აკაკის თვიური კრებულის" საჩუქრად გადაცემის გამო და გულისწყვეტით აღნიშნავდა, რომ მისი ყველა ნომერი არ ჰქონდა მიღებული.

მაგალითად, აი, რას წერდა იგი აკაკის ქერჩიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „მოწყალეო ხელმწიფევ, დიდათ პატივცემულო ბატონო აკაკი! მივიღე და წამიკითხია დიდ სიამოვნით თქვენი

ჟურნალი „კრებული." საუბედუროთ, ერთი წიგნი, #11 იულისთვის, მაკლია. არ ვიცი ფოსტაში დაკარგული იყო ანუ შეცდომით გამოგზავნილ არ ყოფილა. გთხოვთ გამომიგზავნოთ ამ წიგნი მით, რომელ მინდა სრული ჟურნალი ერთად შევჰკრავ" (წერილები, 1965: 124).

ოქსფორდში, უორდროპების ფონდში, მუშაობის დროს, ბევრ სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერთან ერთად, გურამ შარაძემ აკაკი წერეთლის ლექსების მარჯორისეულ, გამოუქვეყნებელ, თარგმანებსაც მიაკვლია. ესენია: „სულიკო," „სალამური" და „იმერული ნანინა." ხსენებულ თარგმანთა გამოუქვეყნებლობის მიზეზს ოლივერ უორდროპი აკაკის მისთვის გამოგზავნილ წერილში ამგვარად განუმარტავდა: „თქვენი ლექსები მას აღაფრთოვანებდა და ამავე დროს საგონებელში აგდებდა ფორმისა და ენის მშვენიერებით, რომლის უცხო ენაზე გადმოცემა შეუძლებელია. მან სცადა გადმოეთარგმნა თქვენი პოეზია. მე შენახულიც მაქვს რამდენიმე ნიმუში, მაგრამ ჩემს დას თავისი თარგმანი არასოდეს არ აკმაყოფილებდა და ამიტომაც თქვენი არაფერი გამოუქვეყნებია" (შარაძე, 1986: 220).

მარჯორი უორდროპი საქართველოს პირველად 1894 წლის დეკემბერში ეწვია და ჩვენს ქვეყანაში 1895 წლის ნოემბრამდე დარჩა. ამ ხნის განმავლობაში „ისინი ძირითადად დასავლეთ საქართველოს გაეცვნენ. ბათუმი-თბილისი-ქუთაისი-გელათი-მოწამეთა-ნიგოეთი-ჯუმათი-სუფსა-ოზურგეთი-შემოქმედი-ბათუმი – ასეთი ყოფილა მათი მარშრუტი. ქართველობა ყველგან დიდი სიხარულით ხვდებოდა უცხოელ სტუმრებს. ქართული პრესა ხშირად აქვეყნებდა წერილებს უორდროპების მოგზაურობის შესახებ" (თაქთაქიშვილი-ურუშაძე, 1965: 33).

თავისი მაშინდელი შთაბეჭდილებები მარჯორი უორდროპმა ღრმად შთამბეჭდავი ფორმით მოგვითხრო ნარკვევში – „შენიშვნები 1894-98 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ." ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ეს ნაწარმოები ქართულად თარგმნა და ინგლისელი ქართველოლოგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მონოგრაფიაში გამოაქვეყნა ლეილა თაქთაქიშვილმა-ურუშაძემ (იხ: თაქთაქიშვილი-ურუშაძე, 1965: 35-49).

მარჯორი უორდროპის ნაშრომისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ავტორი არა მარტო საქართველოში მის მოგზაურობასთან დაკავშირებულ ამბებს გვიყვება, არა-

მედ იმ სიყვარულსაც წარმოაჩენს გულწრფელი სიტყვიერი ემოციით, რითაც მის მიერ მეორე სამშობლოდ სახელდებულ ჩვენს ქვეყანასთან აღმოჩნდა სამუდამოდ დაკავშირებული. მის გულში საქართველოს ნახვამდეც გაჩენილი სიყვარულის ეს მაგიური გრძნობა ამ მოგზაურობამ კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა და მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქცია.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ხსენებული ტექსტიდან: „ეს იყო ჩემთვის პირველი ხილვა ქვეყნისა, რომელსაც ხშირად ვიხატავდი გონებაში... ვნატრობდი იმ დღეს, როდესაც შევძლებდი ვწვეოდი ადგილებს, რომელთა შესახებაც ბევრს ვკითხულობდი და ვფიქრობდი, სადაც, ალბათ, შევხვდებოდი იმ პოეტებს, რომელთა ნაწერებს ჩემთვის ბევრი სიამოვნება მოუნიჭებიათ.

საქართველო ჩემთვის ზღაპრული ქვეყანა იყო და სწორედ ახლა შევდიოდი ამ მომაჯადოებელი ქვეყნის საზღვრებში“ (თაქთაქიშვილი-ურუშაძე, 1965: 35).

ამ მოგზაურობამ ჩვენი ქვეყნის ინგლისელი სტუმრის ცხოვრებაში წარუშლელად მნიშვნელოვანი როლი იმ მხრივაც შეასრულა, რომ მან სწორედ იმხანად გაიცნო ბევრი ის პიროვნება, რომლებთანაც სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია მეგობრობა და წერილობითი ფორმით ურთიერთობა. ეს რომ მართლაც ასე მოხდა, ნათლად ჩანს ქართველ მეგობრებთან წლების განმავლობაში გამართული მისი ინტენსიური მიმოწერიდან. კერძოდ, საქართველოში სწორედ იმხანად ყოფნის დროს გაიცნო და დაიმეგობრა მან ამ წერილების ადრესატებად ქცეული შემდეგი პიროვნებანი: ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ივანე მაჩაბელი და მისი მეუღლე და სხვები.

ქართველ მეგობართა ეს წრე კიდევ უფრო მეტად განივრცო საქართველოში მარჯორი უორდროპის მეორედ სტუმრობის შედეგად. ჩვენს ქვეყანას იგი მეორედ 1896 წლის გაზაფხულში ეწვია ამჯერად უკვე მშობლებთან და მეორე ძმასთან ერთად. საქართველოში იმხანად ყოფნის დროს მას ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია გიორგი წერეთელთან და მის მეუღლესთან.

როგორც მარჯორი უორდროპის ქართულენოვანი წერილებიდან ნათლად ჩანს, ავტორისეული ლექსიკა, ფრაზეოლოგია და სინტაქსური კონსტრუქციები ცალკეულ შემთხვევებში ძველი ქართული ენობრივი ნორმებითაა აღბეჭდილი. ჩვენი ინგლისელი მეგობრის წერილებში ასევე ხშირად გვხვდება ძველქართული

ლექსიკური ერთეულები (მაგალითად, თვეების სახელწოდებანი) და ფრაზები. ამ გარემოებას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ქართველებთან ენობრივი კომუნიკაციის შეუძლებლობის გამო, მარჯორი და მისი ძმა ჩვენს ენას ძირითადად ძველი ქართული ტექსტების მეშვეობით სწავლობდნენ.

აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით თედო სახოკია: „უორდროპის ასული ცდილობდა თავის ახლო ნაცნობებთან ქართულად ებაასნა... მხოლოდ ხანდისხან უკვირდა, რომ თანამობაასეთა, განსაკუთრებით ქალების, სახეზე გაკვირვების ნიშანს ჰკითხულობდა და სწუხდა, ნუთუ გარკვევით ვერ გამოვსთქვი ქართულიო... დიდხანს გაგრძელდებოდა მისი გაოცებაცა და დარდიცა, რომ არ აეხსნათ ამ გაუგებრობის მიზეზი. როგორც ვიცით, განსვენებულმა ქართულის სწავლა ინგლისში დაიწყო და პირველად ისწავლა არა თანამედროვე ენა, დღევანდელი ქართველი რომ ლაპარაკობს, არამედ ენა სახარებისა, მე-9 ან კიდევ უფრო ადრინდელ საუკუნეში ნახმარი... სტუმარს აუხსნეს ჩვენი ქალების სისუსტე ძველის ქართულის ცოდნის მხრივ და დაამშვიდეს“ (სახოკია, 1912 წ.).

საქართველოსა და ქართული ენისადმი მარჯორი უორდროპის განსაკუთრებული სიყვარულით მოხიბლულ ქართველ მამულიშვილთა ცნობილი წარმომადგენლები ინგლისელი ქალბატონის ამ სიყვარულს ხშირად იმ გულგრილ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან შეპირისპირებული სახითაც წარმოაჩენდნენ, რასაც შესაბამისი პერიოდის ქართველ მანდილოსანთა ე. წ. არისტოკრატიული ფენის გარკვეული ნაწილი იჩენდა მშობლიური ენისადმი. მაგალითად, აი, როგორ ამხელდა ამ გულსატკენ მოვლენას აკაკი წერეთელი მოგონებაში „საუბარი ინგლისელ ქალთან:“

„ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა ინგლისელი ქალი გამაცვნეს, რომელიც კარგად ლაპარაკობდა ქართულათ... რასაკვირველია, ის ჩვენში დაბადებული და გაზრდილი მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრად მოსულა ერთ მის ნათესავთან და მას აქეთ, რაც მოსულა, ორი წელიწადის მეტი არ გასულა! გამიკვირდა და ვკითხე: ასე ჩქარა როგორ შეისწავლე-მეთქი? სიცილით მიპასუხა: „თუკი მოინდომა, ორი წლის განმავლობაში კაცმა ენა რომ ვერ ისწავლოს, აბდალი უნდა იყოსო...“

პატივისცემა ვიგრძენი არა მარტო ამ ქალისადმი, თვით იმ ხალხისაც კი, რომელსაც ამგვარი ქალები ეკუთვნიან.“

ქართული ენისადმი ინგლისელი ქალბატონის ასეთ სიყვარულს აკაკი იმ გულგრილ დამოკიდებულებას უპირისპირებდა,

რასაც ქართველ არისტოკრატ ქალთა გარკვეული ნაწილი იჩენდა მშობლიური ენისადმი. კერძოდ, ინგლისელი ქალბატონისადმი მიმართული სიტყვებით მშობლიური ქართული ენისადმი თავის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას მწერალი ერთ-ერთ მათგანს ამგვარი სახით გამოახატვინებდა: „ქართულად ლაპარაკი არისტოკრატიულ საზოგადოებაში უხერხულია. ამ სიტყვების გაგონებაზე ინგლისელმა ქალმა თვალები დაჭყიტა და ჰკითხა: „როგორ, განა აკრძალული გაქვთ, ნებას არ გაძლევენ ილაპარაკოთ?

– ვის უნდა აეკრძალა?! მაგრამ უცხო ენები უფრო გვეხერხება და მართალი რომ ვთქვათ, მაინცა და მაინც სასიამოვნო ენა ვერ არის ქართული, ყურს ეჩოთირება, გამოსათქმელად ძნელია.“

მშობლიური ენის ამგვარად შემფასებელი ქართველი მანდილოსნის სიტყვებით გაოცებულ მარჯორის ამ მოვლენისადმი უკმაყოფილება აკაკიმ ამ სიტყვებით გამოახატვინა: „საკვირველია, გონებაგახსნილმა და განვითარებულმა ადამიანმა როგორ არ უნდა იცოდეს იმ ქვეყნისა და ხალხის ენა, სადაც დაბადებულა და გაზრდილა, გინდ თვითონაც არც კი ეკუთვნოდეს მკვიდრთაგანს“ (წერეთელი, 1961: 377).

მარჯორი უორდროპის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან თვალნათლივ ჩანს, როგორი დაუცხრომელი ინტერესითაც ადევნებდა იგი თვალს საქართველოში არსებულ რეალობას. ამ თვალსაზრისით, მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველი მეგობრებისაგან მისთვის მიწოდებული ინფორმაციები ქართულ მწერლობაში იმხანად მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

როგორც ითქვა, საქართველოს სიძველეთსაცავებში ლეილა თაქთაქიშვილ-ურუშაძის მიერ მიკვლეულ წერილთა ნუსხა გურამ შარაძემ ოქსფორდში უორდროპების ფონდში დაცული ბევრი ახალი მასალით გაამდიდრა. მათ შორის არის მარჯორის მიერ ბაბო ბაგრატიონისთვის გამოგზავნილი უცნობი წერილებიც, რომელთაგანაც ორი ფრანგულ ენაზეა დაწერილი.

ხსენებული ეპისტოლეებიდან თვალნათლივ ჩანს გამორჩეულად ახლობლური ის ურთიერთობა, რითაც ეს პიროვნებანი იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს მარჯორის მიერ ბაბო ბაგრატიონისათვის რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტიდან 1908 წლის დეკემბერში გამოგზავნილი ფრანგულენოვანი წერილიდან:

„ჩემო ძვირფასო ბაბო! როგორც კი მიიღებთ ამ წერილს, პასუხი მომწერეთ, ან კიდევ უკეთესი იქნება, თუ ჩამოხვალთ ჩვენთან. მოხარული ვიქნებით, თუ რამდენიმე კვირას ჩვენთან გაატარებთ. ვფიქრობ, მოგიხდებათ ჰაერისა და გარემოს გამოცვლა. შეგიძლიათ მოისვენოთ ჩვენთან რამდენსაც მოისურვებთ. მე კი ვეცდები კარგად მოგიაროთ.

არ მინდა რომ დააყოვნოთ სახსრების უქონლობის გამო. თუ ამ წუთში ხელთ არა გაქვთ აუცილებელი სახსარი, ნუ დააყოვნებთ ამის მიზეზით. გიგზავნით 20 გირვანქა სტერლინგის ქვითარს, მგონია, „სევერნი ბანკში“ გადაგიცვლიან...

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, ჩემო ძვირფასო ბაბო, თუ როგორ გვასიამოვნებთ თქვენი ჩამოსვლით. ძალიან დაგვენანა, რომ ზაფხულში ვერ შეძელით ინგლისში ჩვენთან სტუმრობა, სადაც უფრო მეტ გართობას შემოგთავაზებდით, ვიდრე აქ, ბუქარესტში...

აბა, მომწერეთ, გეთაყვა, როდის შეძლებთ ჩამოსვლას.

ჩემი ძმა ოლივერი საუკეთესო სურვილებს გითვლით" (შარაძე, 1986: 250).

დამოწმებული წერილი გამონაკლისი რომ არ არის და მსგავს ყურადღებასა და სითბოს მარჯორი მისი ქართველი მეგობრებისადმი ხშირად რომ ავლენდა, ამას იმავე ბაბო ბაგრატიონისათვის ბუქარესტიდან 1909 წლის 19 იანვარს, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, გამოგზავნილი ამ წერილიდანაც თვალნათლივ დაინახავს მკითხველი: „ძვირფასო მეგობარო!..

რატომ არ დატოვებთ სანკტ-პეტერბურგს, რომლის ჰავა ასეთი ულმობელია თქვენთვის. ხომ შეგეძლოთ ცოტა ხანი ჩვენთან გაგეტარებინათ? ეს არც ისე შორსაა საქართველოდან. რატომ უფრო ადრე არ მომწერეთ, თუ გიჭირდათ. ხომ იცით, რომ ნამდვილ მეგობრად გთვლით!.. დარწმუნებული ვარ, თქვენც ასე მოიქცეოდით ჩემთვის...

მომწერეთ, ჩემო კარგო ბაბო, და მითხარით, თუ შეგვიძლია რაიმეთი გაგამოთ, ეცადეთ ჩვენთან ჩამოხვიდეთ დასასვენებლად" (შარაძე, 1986: 250).

ოქსფორდში გურამ შარაძის მიერ მიკვლეული წერილებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მათი ავტორები იმ პერიოდის ქართულ მწერლობასთან დაკავშირებითაც გვაწვდიან საგულისხმო ცნობებს. მაგალითად, ერთ-ერთი ბარათის ავტორი, ქუთაისელი პედაგოგი ვენერა ბერი-

ძე-წერეთელი 1908 წლის 16 ნოემბერს ქუთაისიდან გაგზავნილ წერილში თავის ინგლისელ მეგობარს აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით აუწყებდა: „შვიდ დეკემბერს იქნება აკაკი წერეთლის იუბილეის დღესასწაული თბილისში, აქ (ქუთაისში), კი თოთხმეტს ვიხდით. ყოველ ქალაქებში გადიხდიან შემდეგ, ჯერ კი ყველა ქალაქები მონაწილეობას იღებენ თბილისის დღესასწაულში" (შარაძე, 1986: 221).

1909 წლის 20 თებერვალს მიწერილ ბარათში კი ვენერა ბერიძე მის ინგლისელ მეგობარს უკვე იმ ემოციებს უზიარებდა, რაც ხსენებული იუბილეს ჩატარებას მოჰყვა ქართველი ერის უდიდეს ნაწილში მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით: „აკაკის იუბილეის გადახდამ დიდათ გამოაფხიზლა ჩვენი ხალხი და ხელახლა გაუღვიძა წინანდული ეროვნული გრძნობა. სხვადასხვა სოფლებსა და დაწესებულებებში კიდევ დღესასწაულობენ და იწვევენ მგოსანს. დიდი ბედნიერია აკაკი, მოხუცდა კი ძლიერ" (შარაძე, 1986: 222).

მარჯორი უორდროპის ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო მის მიმოწერას ტასო, ბაბო და ნიცა ბაგრატიონებთან. ხსენებული ეპისტოლეებიდან თვალნათლივ ჩანს გამორჩეულად ახლობლური ის ურთიერთობა, რითაც ინგლისელი ქალბატონი და ხსენებული პიროვნებანი ყოფილან ერთმანეთთან დაკავშირებული.

ინგლისელი ქალბატონი ანალოგიურ ყურადღებასა და მზრუნველობას მისი ბევრი ქართველი მეგობრის მიმართ იჩენდა. ერთერთი მათგანი იყო თავისი დროისათვის არა მარტო საქართველოში, არამედ იტალიაშიც კარგად ცნობილი საოპერო მომღერალი ელენე თარხნიშვილი, რომელსაც მარჯორი 1904-1905 წლებში დამეგობრებია პეტერბურგში, სადაც იგი დიპლომატიურ სამსახურში მყოფ მის ძმასთან – ოლივერთან ერთად იმყოფებოდა.

ელენე თარხნიშვილთან იმხანად დაწყებული ეს ურთიერთობა მარჯორის ამ ქალაქიდან მათი წამოსვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია. კერძოდ, როგორც ცნობილია, 1906 წელს იგი დიპლომატიური საქმიანობის გასაგრძელებლად რუმინეთში გადაყვანილ ოლივერთან ერთად საცხოვრებლად ბუქარესტში გადავიდა, ხოლო ელენე თარხნიშვილმა იტალიაში განაგრძო მუსიკალური საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად დაშორებული მეგობრები ამის შემდეგ ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, ისინი წე-

რილობითი ფორმით მაინც ახერხებდნენ ადრინდელი ურთიერთობის შენარჩუნებას.

სწორედ ამის დადასტურებას წარმოადგენს მარჯორის მიერ მისი ქართველი მეგობრისთვის 1909 წლის 15 სექტემბერს ქართულ ენაზე გაგზავნილი წერილი, რომლითაც დაბეჯითებით თხოვდა მასთან ჩასვლას. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო ელენე!.. ძალიან ხშირათ გულით თქვენთან ვარ და ეს მაწუხებს, რომ აღარ ვართ ერთ ქალაქში... იმედი მაქვს ეხლა გყავთ კარგი მეგობრები მილანში. ერთად ყოფა უცხოეთში ძნელია... როდის გაქვთ უქმეები, მობრძანდით ჩვენთან, ორი-სამი კვირის გატარება როდესაც შეგიძლიანთ ანუ ეხლა შემოდგომას, ანუ ზამთარს ქრისტეშობისთვის, შორს არ არის ვენეციიდან ბუდაპეშტამდე და ბუდაპეშტიდგან ბუხარესტში მატარებლით ოცი საათია“ (შარაძე, 1986: 256).

როგორც უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ მარჯორი უორდროპმა საქართველოში სტუმრად ჩამოსვლა მხოლოდ ორჯერ შეძლო, იგი თავისი ყოველდღიური ფიქრითა და ოცნებით განუყრელად იყო დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან. მაგალითად, 1907 წლის 31 ივლისს განდეგილისთვის (დომინიკა ერისთავისთვის) გამოგზავნილ ბარათში იგი წერდა: „ბევრს ვჰმოგზაურობთ ამ ათ წელიწადში, მაგრამ ვერ ვჰპოვე სხვა ქვეყანა ასეთი მშვენიერი და ჩემთვის საყვარელი, როგორც საქართველო“ (შარაძე, 1984: 411).

ჩვენი ქვეყნისადმი მარჯორის ამგვარი დამოკიდებულება მეტად მნიშვნელოვანი რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: ქართველი ხალხის ისტორიული წარსულითა და მეტად ფასეული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობით, სტუმრისადმი გამოვლენილი დიდი ადამიანური სითბოთი, გულითადი პიროვნული ურთიერთობებითა და სხვა ხალხთა ყოფა-ცხოვრებისაგან განმასხვავებელი მრავალფეროვანი ადათ-ტრადიციებით. საქართველო მარჯორი უორდროპის ცნობიერებაში, პირველ ყოვლისა, სწორედ ამგვარად რომანტიზებული სახით რომ იყო აღბეჭდილი, ამას მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაცნობითაც თვალნათლივ დაინახავს მკითხველი.

ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულის ამ გრძნობას მარჯორი უორდროპს კიდევ უფრო მეტად განუმტკიცებდა ის გულითადი მე-

გობრული გრძნობა, რითაც იგი ბევრ აქაურ პიროვნებასთან იყო აქტიურად დაკავშირებული. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ერთერთი მათგანი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელთანაც მის პირადად გაცნობამდე დაწყებული შემოქმედებითი ურთიერთობა ერთმანეთთან შეხვედრის შემდეგ მასთან და მის მეუღლესთან პიროვნულ მეგობრობაშიც გადაიზარდა.

მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით ცნობილი მწერლის, ჟურნალისტისა და მთარგმნელის – ილია ჭყონიას მეუღლეს ანეტას 1909 წლის 31 მარტს გამოგზავნილ წერილში: „დიდ მადლობას მოგახსენებთ დაპატიჟებისათვის. ჩვენთვის დიდი სიამოვნება იქნებოდა კიდევ თქვენ და ბ. ილიას ნახვა. ამ ზაფხულს მეშინიან რომ ვერ მოვდივართ საქართველოში... ნეტა გნახოთ მომავალში!

დიდის პატივისცემით მოგვიკითხეთ ბ-ნ ილიას, აგრეთვე ოლივერი თქვენ და ბ-ნ ილიას ბევრ მოკითხვას მოგახსენებსთ. ნუ დამივიწყებთ, მომწერეთ კიდევ წერილს.

მარად თქვენი მოყვარული მარჯორი“ (წერილები, 1965: 126).

ხსენებული წერილი გამონაკლისი არ არის და საქართველოსადმი სიყვარულისა და ქართველი მეგობრების მონატრების სენტიმენტალური ფორმით გამომხატველი ეპიზოდები მრავლად გვხვდება მარჯორის ქართულენოვან ეპისტოლეებში. მაგალითად, ფრაგმენტი 1895 წელს ოლღა გურამიშვილისათვის ქერჩიდან გამოგზავნილი წერილიდან: „დიდი სურვილი მქონდა თქვენი და თავადი ილიას ნახვა, მაგრამ ვერ მოვახერხე...

ჩვენი ბაღი და აქაური სოფელი ასეთი მშვენიერობაა, თითქო საქართველოში იყო. ჩვენი დედა და ძმა ძალიან კარგათ არიან და ხშირად ვლაპარაკობთ თქვენზე და საქართველოზე...

თუმცა ცოტა ვსწერ, ბევრჯელ ვფიქრობ თქვენზე, ჩემო საყვარელო მეგობარო, და იმედი მაქვს, რომ შემოდგომას კიდევ გნახავთ თქვენ და თქვენი ღრმათ პატივცემული ქმარი“ (წერილები, 1965: 129).

ან კიდევ: „ნეტა თუ ერთხელ კიდევ მოვდივარ საქართველოში. ვითა სამშობლო საყვარელი არის“ (წერილები, 1965: 141).

როგორც ითქვა, საქართველოსადმი სიყვარულის ეს გრძნობა გამჭოლ ნაკადად გასდევს მარჯორი უორდროპის მთელ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. იმისათვის, რომ ყოველივე ზემოთქმულმა მეტი დამაჯერებლობა შეიძინოს, დავიმოწმებ კიდევ რამ-

დენიმე ფრაგმენტს მარჯორის მიერ მისი ქართველი მეგობრებისთვის ქართულ ენაზე გამოგზავნილი წერილებიდან:

1909 წლის 27 სექტემბერი, ფრაგმენტი ოლღა გურამიშვილისათვის მოწერილი ბარათიდან: „ღმერთსა ვთხოვ მაღირსოს თქვენი ნახვა და საქართველოში წასვლა... ცამეთი წელიწადია არ ვყოფილვარ საქართველოში. ჩემი გული სიყვარულით მისკენ უკუნისამდე ბრუნდება“ (წერილები, 1965: 144).

ფრაგმენტი 1908 წლის 24 ივნისს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისათვის გამოგზავნილი წერილიდან: „გული მიწუხს თქვენთვის და საქართველოსთვის და ყოველ დღე ვნატრი რომ მალე გათენდება ბედნიერების დილამ!“ (წერილები, 1965: 155).

ან კიდევ: „რუმინიაც მშვენიერი ქვეყანა არის, მაგრამ სად არის სხვა საქართველო? დიდი სურვილი მაქვს რომ კიდევ მღირსებოდეს მისი ნახვა“ (წერილები, 1965: 167).

როგორც ცნობილია, ინგლისის ხელისუფლების მიერ რუსეთში დიპლომატიური მისიით წარმოგზავნილ ოლივერ უორდროპს 1895-1902 წლებში ქერჩში მოუწია კონსულად ყოფნა. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდში მარჯორისაც მოუხდა ამ ქალაქში თავის ძმასთან ერთად ცხოვრება. ქართველი მეგობრებისათვის გამოგზავნილ წერილებში ინგლისელი ქალბატონი მათ ყურადღებას ხშირად მიაპყრობდა მის იმჟამინდელ მელანქოლიურ განწყობილებას და ქერჩის პროვინციულ ცხოვრებას ხაზგასმული კონტრასტულობით უპირისპირებდა მისთვის დაუცხრომელი მონატრების საგნად ქცეულ ქართულ რეალობას.

მაგალითად, ფრაგმენტი ილია ჭავჭავაძის მეუღლისათვის 1896 წლის 26 აპრილს გამოგზავნილი წერილიდან: „ქერჩ მოწყენილი ქალაქია და საზოგადოებაც ცოტა არის, მაგრამ საქართველოს ახლოს ვართ და ამისთვის მომწონს. რამდენჯერ ჩვენ აღმავალთ მიტრიდატეს მთაზედ და შავსა ზღუას ვადევნებთ თვალს ვიდრემდის კიდევ ვნახავ საქართველოს დიდებული მთები წვერთა მაღალთა ყინულით შემოსილთა... კიდევ ვნახავ ჩვენი საყვარელი მეგობრები! ვაგლახ მე, რომ მხოლოდ სიზმარია!“ (წერილები, 1965: 130).

ან კიდევ; ფრაგმენტი ოლღა გურამიშვილისათვის 1896 წლის 15 იანვარს ქერჩიდან გამოგზავნილი ბარათიდან: „ერთი დღე არ გავიდა, როდესაც მე არ მგონებდი თქვენზე და ვსცხოვრობ იმ დროში, როდესაც კიდევ საქართველოში ვიყო“ (წერილები, 1965: 132).

საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობით მარჯორი იმდენადაც კი იყო შეპყრობილი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში მოგზაურობის დროსაც იგი ჩვენს ქვეყანაზე ფიქრობდა და იქაც ცდილობდა ქართველთა ნახვას. მაგალითად: „ბერლინში ვიყავი რამდენიმე დღე ჩემ ძმა თომასთან და სუყველგან მივიხედავ-მოვიხედავდი ამ იმედში, ნეტა თუ ვნახოთ ჩვენი ქართველნი მეგობრებიო" (წერილები, 1965: 136).

ქართველი მეგობრებისათვის გამოგზავნილ წერილებში მარჯორი უორდროპი ხშირად გამოხატავდა გულისტკივილს იმის გამო, რომ იგი მისთვის სასურველ დონეზე, სრულყოფილად და ბოლომდე გამართულად, ვერ ფლობდა ჩვენს ენას. მაგალითად: „სამწუხაროთ, თქვენი ენა არ ვიცი საკმაოთ კარგათ" (წერილები, 1965: 127); „ბოდიშს ვიხდი, რომ ასრე გლახათ ვჰსწერ ქართულათ. ცოტა ვარჯიშობა მაქვს და არ ვიცი, როდესაც მართლად ვჰსწერ ანუ უმართლოდ;" (წერილები, 1965: 134). „მე ვიცი გლახათ ვჰსწერ ქართულად და მრცხვენიან. ვჰკითხულობ ბევრს და კარგათ მესმის, მაგრამ არ ვიცი როდესაც მართლა ვჰსწერ თუ არა. სურვილი მაქვს რომ შეიძლება კიდევ მოვალთ საქართველოში და მერე იქნება შევისწავლო მართლა წერა ქართულად" (წერილები, 1965: 135); „ბოდიშს მოვითხოვ რომ ბევრი შეცდომა არის ჩემი ბარათში" (წერილები, 1965: 147); „მე ვიცი, რომ ჩემი წერილი სავსეა შეცდომით, მაგრამ გთხოვთ ბოდიშს ვიხდი" (წერილები, 1965: 150); „ბოდიშს ვიხდი ყველა ჩემი შეცდომისათვის ქართულ ენაზე. მართლწერა ჩემთვის ძნელია ამისთვის, რომ ქართველი არა არის შემისწორებს და არ ვიცი მართლა ვჰსწერ თუ არა" (წერილები, 1965: 153); „მრცხვენიან, რომ უფრო კარგათ ვერ შევისწავლე თქვენი მშვენიერი ენა" (წერილები, 1965: 155); „მე დიდი მადლობელი ვიქნებოდი თუ მითხარით, როდესაც მომწერთ, უმთავრესი შეცდომები ჩემს წერილში. მეც ვიცი, რომ გლახათ ვჰსწერ ქართულად, და ჩემი სურვილია, რომ ყოველთვის უფრო და უფრო კარგათ შევისწავლო თქვენი მშვენიერი ენა" (შარაძე, 1984: 412)...

მიუხედავად მარჯორის მიერ ქართული ენის არასრულფასოვნად ცოდნის გამო ესოდენი გულისტკივილით გამოხატული სინანულისა, ვფიქრობ, მკითხველი თუნდაც წინამდებარე ნარკვევში დამოწმებული ფრაგმენტებითაც დარწმუნდება იმაში, რომ ავტორისეული ნააზრევის გაგების მხრივ მკითხველს არც ერთ შემთხვევაში არ ექმნება სერიოზული პრობლემა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართველ მეგობრებს მარჯორი უორდროპი თავისი მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებაც აწვდიდა კონკრეტულ ცნობებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისეული ინფორმაციები იმ ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობასთან დაკავშირებით, რასაც იგი ფაქტობრივად მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა „ვეფხისტყაოსნის" მისეული თარგმანის კიდევ უფრო მეტად დასახვეწად და სრულსაყოფად.

მაგალითად, 1897 წლის 13 დეკემბერს ივანე მაჩაბლის მეუღლეს – ტასოს წერდა: „ვეფხვის ტყაოსანი" კიდევ დასაწყისიდგან გადავთარგმნებ, ამისთვის, რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ახლა ნახევარი ვაკეთე და სურვილი მაქვს რომ გაზაფხულის წინეთ დავასრულო. ეს მხოლოდ კვახი თარგმანი იქნება და დიდი ხანი შრომა და მოთმინება უნდა წინეთ რომ დაიბეჭდოს. მე არ მინდა, რომ გლახათ ვჰქმენ და სურვილი მაქვს, რომ მშვენიერება რუსთაველისა დაიკარგოს ასეთი ცოტა რომ შემიძლიან თარგმანში" (წერილები, 1965: 150).

1900 წლის 31 ოქტომბერს კი მასვე აუწყებდა: „ამ ზამთარს სურვილი მაქვს მესამედ შევადარო ჩემი თარგმანი რუსთაველს დედნით და შეიძლება კიდევ ბევრი შეცდომა შევასწორო" (წერილები, 1965: 162).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „ვეფხისტყაოსნის" თარგმნაზე 1891 წლიდან დაწყებული და პერმანენტულად მიმდინარე შემოქმედებითი შრომის პარალელურად, მარჯორი უორდროპმა ქართული მწერლობის სხვა მნიშვნელოვანი ნიმუშებიც თარგმნა და დაბეჭდა იგლისურ ენაზე. ამ დიდი საქმის ხორცშესხმის პროცესში მას მისი ძმაც რომ აქტიურად ედგა გვერდით, ამას მათ მიერ ერთობლივად ნათარგმნი რამდენიმე მხატვრული ტექსტიც ადასტურებს. მარჯორი უორდროპის მიერ ქართველი მეგობრებისათვის გამოგზავნილი წერილები საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ ინგლისელი ქალბატონი მათ ამასთან დაკავშირებითაც აწვდიდა გარკვეულ ცნობებს.

თავისი ქართველი მეგობრებისათვის გაგაზვნილ წერილებში მარჯორი უორდროპი მათ მის შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებითაც აწვდიდა კონკრეტულ ცნობებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ინტენსიური მუშაობა, რასაც იგი მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის

მხატვრულად დასახვეწად და სრულსაყოფად ეწეოდა ფაქტობრივად მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მიუხედავად ამგვარი ძალისხმევისა, მარჯორი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისეული თარგმანის მხატვრული დონით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ყოფილა და არაერთგზის აღნიშნავდა, რომ რუსთველის პოემის მისეული თარგმანის მისთვის სასურველ დონეზე გასამართად კიდევ ათწლიანი შემოქმედებითი შრომა იყო საჭირო.

მარჯორისა და მისი ძმის ქართველოლოგიური და მთარგმნელობითი საქმიანობის მასშტაბებზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს მარჯორის მიერ მისი ქართველი მეგობრებისთვის გამოგზავნილი წერილებიდან. ამონარიდი ილიას მეუღლისათვის 1899 წლის 5 აპრილს მოწერილი ბარათიდან: „ამ ზაფხულს ჩვენ ხუთი თვე ვიყავით ინგლისში... ოქსფორდშიც ვიყავით ერთი კვირა, სადაც შევადგინეთ კატალოგი ყოველთა ქართულთა წიგნთა... იქ არის ასი ტომი მალანის (ინგლისელი ქართველოლოგის – ა. ნ.) ბიბლიოთეკაში. გვინახავს ჩვენი მეგობრები ბბ. მორფილი და კონიბირი (ინგლისელი ქართველოლოგები – ა. ნ.) და მათთან ბევრს ვლაპარაკობდით საქართველოზე...

რამდენიმე თვეა გავათავე პირველი ჩემი თარგმანი რუსთაველისა. ჯერ ძალიან ცუდად არის ინგლისურ ენაზე, მაგრამ სურვილი მაქვს, რომ წრეულს მეორეჯერ შევადარო დედანთან. მინდა ძალიან კარგი იყოს...

ოლივერმა თარგმანი ჰქმნა ნახევარს ვისრამიანს და წიგნი ფრიად მოსწონს. ყოველ დღე ჩვენ ერთად ვჰკითხულობ ქართულად" (წერილები, 1965: 130).

ფრაგმენტი ილიას მეუღლისთვის 1909 წლის 5 ივნისს ბუქარესტიდან გამოგზავნილი წერილიდან: „ჩვენ შევითვისეთ გერმანიიდგან ერთი ძვირფასი, ძველებური ხელთნაწერი „გალობა" ხუცურად. ამბობენ, რომ მე-12 ანუ შეიძლება მე-11 საუკუნეში დაწერილია. სამწუხაროთ დასაწყისი და ბოლო დაკარგულია. მაგრამ ჯერ 150 გვერდი დარჩა.

ჩვენ ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვჰსყიდულობთ ნამდვილი ძველებური ხელთნაწერები" (წერილები, 1965: 143).

ინფორმაცია პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილისთვის 1899 წლის 24 დეკემბერს ქერჩიდან გამოგზავნილი წერილიდან: „წერილს ვურთავ თქვენი წიგნების კატალოგს, რომელიც დაცუ-

ლია ჩვენს ქართულ ბიბლიოთეკაში (იგულისხმება ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორისა და ოლივერის აქტიური ძალისხმევით დაარსებული ქართული ბიბლიოთეკა – ა. ნ.). ხომ გვეტყვით არის თუ არა ისეთი, რომელიც ჩვენ არა გვაქვს და გვაცნობებთ სად შეიძლება მისი შოვნა?" (წერილები, 1965: 170).

ალ. ხახანაშვილისთვის გამოგზავნილი ამ წერილით მარჯორი უორდროპი ადრესატს საქართველოსთან დაკავშირებით არსებული იმ წიგნების კონკრეტულ ჩამონათვალსაც აცნობებდა, რომლებიც ოქსფორდის ბიბლიოთეკაში იყო დაცული და აღნიშნავდა: „ეს წიგნები ძვირფასი შენაძენია ჩვენი ქართული ბიბლიოთეკისათვის, რომელიც ყოველდღიურად იზრდება და ამჟამად შეიცავს თითქმის შვიდასამდე წიგნს."

ალ. ხახანაშვილისათვის გაგზავნილი წერილი გამონაკლისი არ ყოფილა და მსგავსი თხოვნით მარჯორი უორდროპი მის სხვა ქართველ მეგობრებსაც მიმართავდა. მაგალითად, ჟურნალ „მოსავლის" რედაქტორ ვასილ რცხილაძეს 1909 წელს ბუქარესტიდან გამოგზავნილ წერილში წერდა: „მივიღე თქვენი წერილი და ნაჩუქარი ჟურნალი „მოსავალი" და თქვენ თხზულებებთან. დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩვენ ქართულ წიგნთა კრებულის ძალიან საყურადღებო შემატება არის. ჩვენი სურვილია ყველა ქართული წიგნის შეკრება, რაც შეიძლება; მერე შემდეგში მოვართმევთ (ჩვენი სიკვდილის შემდეგ) ერთ ინგლისელ მუზეუმში. ასე რომ, მუდმივი ვინც სურს ქართული ენის შესწავლა, ადვილათ შეიძენს (იშოვნის), რაც საჭირო მასალები არის...

ერთი საათის წინეთ რომ მივიღე თქვენი წერილი, გამოვიგზავნე მეორეთ იმ წიგნების სია, რომელიც მინდოდა და თუმცა ჯერ არ მომსვლია, უსათუოდ მალე მივიღო...

თქვენი მშვენიერი სამშობლო ასე ღრმათ მიყვარს, რომ ჩემი უდიდესი სურვილი მისი ბედნიერებაა" (შარაძე, 1984: 418).

სწორედ ასეთი დიდი ძალისხმევითა და მონდომებით ცდილობდა მარჯორი უორდროპი ოქსფორდში ქართული ბიბლიოთეკის შექმნას და საამისოდ საჭირო წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებს არა მარტო მისი ქართველი მეგობრებისაგან ნაჩუქარი გამოცემებით აგროვებდა, არამედ საკმაოდ დიდ თანხასაც იხდიდა მათ შესაძენად. მაგალითად, 1909 წლის ნოემბერში გამომგზავნილ წერილში სამსონ ფირცხალავას ამასთან დაკავშირებით წერდა: „დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისათვის და წიგ-

ნებისათვის. მიხარიან რომ ახლა უფრო ადვილათ უნდა მივიღოთ ქართული წიგნები. მე ჯერ გიახელით ოქტომბერში ბ-ნ ავალიშვილის სახელზე, მეორეთ იმ წიგნების სია, რომელიც მსურდა, რომ გამოგვიგზავნათ და იმედი მაქვს მალე მივიღებთ.

გთხოვთ ამ წლის დასასრულზე გამოგვიგზავნოთ სრული ანგარიში ყველა წიგნებისათვის" (შარაძე, 1984: 419).

საქართველოში მიმდინარე მოვლენებისთვის თვალის მუდმივად სადევნებლად მარჯორი უორდროპი თავის ქართველ მეგობრებს დაბეჯითებით, თხოვდა, მისთვის სისტემატურად მიეწოდებინათ იმხანად გამომავალი ქართული პერიოდული გამოცემები. მაგალითად, ფრაგმენტი ილიას მეუღლისთვის 1899 წელს გამოგზავნილი ბარათიდან: „მადლობას მოგახსენებ გაზ. ივერიასთვის, რომელიც ყოველთვის სიამოვნით წამიკითხავს" (წერილები, 1965: 134).

მარჯორის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ იგი ამ გამოცემათა კომპლექტების სრულად შევსებისთვისაც აქტიურად ზრუნავდა, რათა მის ძმასთან ერთად შექმნილ ქართულ ბიბლიოთეკაში ეს ჟურნალ-გაზეთებიც ყოფილიყო დაცული. მაგალითად, ფრაგმენტი გიორგი წერეთლის მეუღლის – ანასტასია თუმანიშვილისათვის 1899 წელს გამოგზავნილი წერილიდან: „ორი ნუმრები „ჯეჯილის" გვაკლია 1898-ისთვის. #1 და 6. თუ შეიძლება, გთხოვთ გაგვიგზავნით" (წერილები, 1965: 151).

ან კიდევ – ფრაგმენტი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისათვის 1905 წელს გამოგზავნილი ბარათიდან: „მივიღე „ცნობის ფურცელი" და „ივერია" და უღრმესი ყურადღებით ვკითხულობ საქართველოს ამბავი" (წერილები, 1965: 154).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ იმ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ამ გამოცემათა უმეტესობას მარჯორი სათანადო ფულადი ანაზღაურების გზით, მათზე ოფიციალურად გაფორმებული ხელმოწერით, იღებდა. მაგალითად, 1908 წელს ტასო მაჩაბლისთვის გამოგზავნილ წერილში წერდა: „შარშან ქრისტეშობა თვეში გამოვიგზავნე წერა-კითხვას საზოგადოებაში ჩემი წლიური ხელის მოსაწერი ფული „ჯეჯილისათვის" 1908 წ., და სხვა ქართული ჟურნალისათვის. აქამდის ვერ მივიღე ჟურნალები და მხოლოდ გუშინ გავიგე, რომ „ბ. ქუჩუკაშვილის" მაგიერ, მე, მიუწვდომელ მიზეზისათვის, დამინერია „ბ. იმედაშვილს", გუ-

შინ დავჰსწერე ფოსტაში და იმედი მაქვს რომ ეხლა ფული მოსულა" (წერილები, 1965: 156).

ქართული პრესისთვის სისტემატურად თვალის დევნებითა და ქართველ მეგობრებთან გამართული ინტენსიური მიმოწერით მარჯორი უორდროპი აქ მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებსაც ეხმაურებოდა აქტიურად. მაგალითად, 1899 წლის 15 სექტემბერს გამოგზავნილ წერილში იგი ტასო მაჩაბელს, მისი მეუღლის – ივანე მაჩაბლის ტრაგიკულად გაუჩინარების გამო, ამ სიტყვებით უცხადებდა უღრმეს თანაგრძნობას: „დიდათ დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, რომ აქამდე წერილი არ მოგწერეთ. ერთი წელიწადია რაც ყოველ დღე მინდოდა გავიზიარე ჩვენი ღრმა თანაგრძნობა თქვენთან და თქვენი ოჯახისთან თქვენ დიდ უბედურობაში: ვფიქრობდეთ და იმედში ვიყავით რომ თქვენი პატიოსანი ქმარი დაკარგული არ იყო. მაგრამ მხოლოდ წასულ იყო და რომ თქვენ იცოდით მისი სადაურობა. რამდენჯერ დავჯექი თქვენთან წერილ მოწერისთვის, მაგრამ ვერ ვპოვე სიტყვები ჩვენი თანაგრძნობა გამოვსთქვამ. ჩვენ დიდათ შეწუხებულნი ვართ თქვენთვის და საქართველოსთვის რომ ასეთი დიდებული მოღვაწე დაკარგულია" (წერილები, 1965: 160).

ანალოგიური თანაგრძნობის წერილი გამოუგზავნა მან ანასტასია თუმანიშვილსაც 1900 წელს მისი მეუღლის – გიორგი წერეთლის გარდაცვალების გამო და ამ ტრაგიკულ ამბავს ასეთი შეფასება მისცა: „სამწუხარო ამბავი თქვენი ქმრის სიკვდილისა ჩვენ დიდათ გვაწუხა. მის ქვეყანა, ვითა მეგობრებიც, უფრო ღარიბი არის უმისოთ" (წერილები, 1965: 152).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მარჯორი არა მარტო სიტყვიერად ეხმაურებოდა, არამედ ჩვენი ხალხის გვერდით პირადად გაღებული ფინანსური შემოწირულობებითაც იჩენდა თანამდგომ დამოკიდებულებას. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლ სვიმონ წერეთელს 1896 წლის 20 აპრილს გამოგზავნილი წერილით ატყობინებდა, რომ დასავლეთ საქართველოში მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ გლეხთა დასახმარებლად იგი პერსონალურად აგზავნიდა ფულად შემოწირულობას ასი მანეთის ოდენობით (წერილები, 1965: 173).

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ თავის მრავალრიცხოვან ქარ-

თველ მეგობრებთან მათ მშობლიურ ენაზე გამართული ინტენსიური მიმოწერით მარჯორი უორდროპმა ნათლად წარმოაჩინა მძლავრი სულიერი სიახლოვე მის მეორე სამშობლოდ ქცეულ ქვეყანასთან. ხსენებული წერილები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოსთან ჩვენი დიდი ინგლისელი მეგობარი არა მარტო თავისი შემოქმედებითი საქმიანობით იყო დაკავშირებული, არამედ ამ ქვეყნის მკვიდრ მეგობრებთან ყოველდღიური პიროვნული ურთიერთობებითაც, რაც გადაუჭარბებლად უნდა შეფასდეს მისი შემოქმედებითი საქმიანობისთვის მძლავრი შინაგანი იმპულსის მიმცემ ძალად.

გამოყენებული ლიტერატურა:

თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ. მარჯორი უორდროპი, თბ. 1965 წ.

ჟურნ. „ისტორიანი," თბ. 2019 წ. #4, გვ. 49-55. მ. აბაშიძის წერილი.

ჟურნ. „მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია," თბ. 1992 წ. #2. გვ. 31-48.

სახოკია თ. „ვეფხის-ტყაოსანი" ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული. იხ: „სახალხო გაზეთი," 1912 წ. #635.

უორდროპი ნ. მარჯორი და ოლივერი. მოგონება. იხ: ჟურნ. „მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია," თბ. 1992 წ. #2.

ფეიქრიშვილი ჟ. ვაშაკიძე ი. მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისთვის, თბ. 2012 წ.

შარაძე გ. ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ. 1984 წ.

შარაძე გ. საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე, თბ. 1986 წ.

წერეთელი ა. თხზ. სრ. კრებული, თხუთმეტ ტომად, ტ. XIII,თბ. 1961 წ.

ჭავჭავაძე ი. თხზ. ტ. X, თბ. 1961 წ.

2020 წ.

მარტინა მინტეგი ბილბაო – საქართველოში მცხოვრები ესპანელი (ბასკი) მწერალი

მიუხედავად იმისა, რომ მარტინა მინტეგი ბილბაოს, როგორც მწერლის, სახელი ქართველი მკითხველისათვის ესპანელ მწერალთა შემოქმედებითი ნიმუშების ქართულად თარგმანებითაც გახდა ცნობილი, გასული საუკუნის ჩვენი მწერლობის ისტორიაში მოკრძალებული ადგილი მან, პირველ ყოვლისა, მაინც მოგზაურული ჟანრის იმ ნაწარმოებით დაიმკვიდრა, რომელიც მას მის პირვანდელ სამშობლოში – ბასკეთში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე აქვს დაწერილი.

ესპანეთში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე სამოქალაქო ომის გამო, სამშობლოდან 1937 წელს, ათი წლის ასაკში, ყოფილ საბჭოთა კავშირს თავშეფარებულ მარტინას ესპანეთში გამგზავრებისა და მახლობელი ადამიანების ნახვის უფლება პირველად მხოლოდ 29 წლის შემდეგ, 1966 წელს, მისცეს ერთი თვით, მეორედ კი, ესპანეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვიდან გამომდინარე, მშობლიურ ბასკეთს იგი სამი წლის მერე ესტუმრა თვენახევრის განმავლობაში. ეს გარემოება არა მარტო იმ რთული პოლიტიკური მდგომარეობით იყო განპირობებული, რომელიც ესპანეთის სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული ფრანკოს რეჟიმის მმართველობის შედეგად შეიქმნა ქვეყანაში, არამედ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან საბჭოთა ხელისუფლების მკვეთრად დისტანცირებული პოლიტიკითაც.

მიუხედავად იმისა, რომ მარტინა მინტეგი ბილბაოს „ჩემი ბასკეთის“ ორივე გამოცემა საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში განხორციელდა, ავტორი აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით მაინც გვაწვდის თუმცა მეტად ფრაგმენტულ, მაგრამ, ინფორმაციული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ცნობებს. მაგალითად: „1956 წელს შესაძლებელი გახდა უშუალოდ ესპანეთთან მიწერ-მოწერა. დაიწყო ერთთვიანი ვიზიტები. როგორც მოსკოვიდან მეგობრებმა შემატყობინეს, ესპანეთში ჩასვლის ნებართვა ესპანეთის წითელი ჯვრის პრეზიდენტისათვის უნდა მეთხოვა.

ასეც მოვიქეცი... ოთხი თვის დამქანცველი ლოდინის შემდეგ ჟენევის საერთაშორისო წითლი ჯვრის ორგანიზაციისაგან ცნობა მივიღე, რომ ჩემთვის ესპანეთის მთავრობას ესპანეთში ყოფნის ერთთვიანი ვიზა მოეცა. ეს ვიზა პარიზში ესპანეთის საელჩოში დევს, რომ საფრანგეთის საელჩო მოსკოვში მომცემს სატრანზიტო ვიზას" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 28).

როგორც მარტინა მინტეგი ბილბაოს მონათხრობითაც ნათლად ჩანს, ესპანეთში, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირიდან იმხანად არა მარტო გამგზავრება იყო ესოდენ რთული, არამედ წერილის გაგზავნაც კი. მაგალითად, აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით: „მაშინ უშუალოდ ესპანეთში წერილი არ მიდიოდა. წერილი უცხოეთის სხვა სახელმწიფოში იგზავნებოდა (საფრანგეთში ან იტალიაში, თუნდაც ფინეთში), იქ საბჭოთა ქვეყნის კონვერტი იხეოდა და წერილი იმ ქვეყნის კონვერტში იდებოდა ესპანეთის მისამართით. ასეთი წვალებითა და ჯახირით გვქონდა ესპანეთთან მიმოწერა" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 24).

მარტინა მინტეგი ბილბაოს „ჩემი ბასკეთის" ცალკეული ეპიზოდები თავდაპირველად პრესაში დაიბეჭდა (გაზეთი „კომუნისტი," ჟურნალები: „დროშა" და „ლიტერატურნაია გრუზია"), შემდეგ კი – ორჯერ, პირველად 1967 და მეორედ, განვრცობილი სახით, 1972 წელს – ცალკე წიგნებადაც გამოიცა საკმაოდ დიდი ტირაჟით (პირველადაც და მეორედაც 20-20 ათას ეგზემპლარად) და არა მარტო ლიტერატურული საზოგადოების მხრიდან მოჰყვა ფართო გამოხმაურება, არამედ მასობრივი მკითხველის დიდი დაინტერესების საგნადაც იქცა. ავტორისათვის გაგზავნილ პირად წერილებსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მისი მონაწილეობით გამართულ განხილვებში მაღალ შეფასებას აძლევდნენ მწერლის მიერ ღრმად შთამბეჭდავი ფორმით მოთხრობილ ბასკურ შთაბეჭდილებებს.

აი, რა ინფორმაციას გვაწვდის თავად მარტინა ამასთან დაკავშირებით: „ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემს ამ პატარა ნაშრომს საქართველოში ამდენი გამოხმაურება ექნებოდა. ჟურნალ „დროშის" რედაქციაში მკითხველთა მრავალი წერილი მოვიდა, მაგრამ ყველაზე მეტრი წერილი გამომცემლობა „ნაკადულის" (წიგნი სწორედ ამ გამომცემლობის მიერ იყო დასტამბული – ა. ნ.) საბავშვო წიგნის სახლმა მიიღო. იწერებოდნენ საქართველოს ყვე-

ლა რაიონიდან, ლენინგრადიდანაც მოვიდა წერილი, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძიდანაც" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 76).

გარდა მკითხველთა მიერ გაგზავნილი ამგვარი შინაარსის მქონე წერილებისა, პრესაში ცნობილ მწერალთა: სერგო კლდიაშვილის, ლილი ნუცუბიძისა და თენგიზ გოგოლაძის რეცენზიებიც დაიბეჭდა. ისინი მაღალ შეფასებას აძლევდნენ მარტინა მინტეგი ბილბაოს მხატვრულ-დოკუმენტურ ნარატივს და საკმაოდ ემოციურად გამოხატავდნენ მისი წაკითხვით განცდილ შთაბეჭდილებებს. მაგალითად, სერგო კლდიაშვილი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 1967 წლის 1 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში „ჩემს ბასკეთს" „შესანიშნავ წიგნს" უწოდებდა, „შესანიშნავს თავისი შინაარსით, სავსეს მაღალი ადამიანური გრძნობებით, შემკობილს მხატვრული ღირსებებით."

პოეტი ლადო სულაბერიძე კი მარტინა მინტეგი ბილბაოსადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც ჟურნალ „მნათობის" 1968 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა, ხსენებული ნაწარმოების წაკითხვით განცდილ ემოციას ასე გამოხატავდა:

მე წავიკითხე ეს წიგნი შენი,
პწკარს ასოები ცრემლივით ჰკიდია,
წიგნი დაწერილი ქართული ენით
თბილისიდან ბილბაომდე გადებული ხიდია.

მარტინა მინტეგი ბილბაოს წიგნისადმი გამოვლენილი ამგვარი ინტერესი არსებითად განაპირობა არა მარტო სამეცნიერო წრეებში, არამედ მთელ ქართველ ხალხშიც ფართოდ პოპულარულმა ჰიპოთეზამ ქართველთა და ბასკთა ეთნიკურ ნათესაობასთან დაკავშირებით. თავისი ესპანური შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს „ჩემი ბასკეთის" ავტორი, ბუნებრივია, არც ამ პრობლემას ტოვებს უყურადღებოდ და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც გვაწვდის საგულისხმო ცნობებს.

მაგალითად, წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ მას ტელეფონით შეხმიანებია აკადემიკოსი აკაკი შანიძე და სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ უთხოვია მასთან შეხვედრა. აი, როგორ იხსენებს თავად მწერალი ამ შეხვედრის ამბავს: „პატივცემულ აკადემიკოსთან სამი საათი მაინც დავყავით. მან ჩემს წიგნს დადებით შეფასება მისცა. წიგნის თაროდან რამდენიმე ბასკური წიგნი გადმოიღო...

აკადემიკოსი გველაპარაკა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობისას, საშუალება რომ ჰქონოდა, სურდა ბასკური და ქართული ენების ურთიერთობის საკითხებზე ემუშავა. როდესაც ესპანელი ლტოლვილები 1937 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს, გადაწყვეტილი ჰქონია ერთი ბასკური ოჯახისთვის მასპინძლობა გაეწია, თავის სახლში დაეყენებინა, მათგან ბასკური ენა ესწავლა, მაგრამ მაშინ ეს ამბავი ვერ მოხერხდა“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 86).

გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში მარტინა მინტეგი ბილბაოს მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის შეფასების დროს, განსაკუთრებული ყურადღება არსებითად მნიშვნელოვან შემდეგ გარემოებასაც გვინდა მივაქციოთ: იგი ესპანელი ეროვნების ერთადერთი მწერალია, რომელიც საქართველოში ცხოვრების პერიოდში ისე საფუძვლიანად დაეუფლა ქართულ ენას, რომ მის ნაწარმოებებს სწორედ ამ ენაზე წერდა. და როგორც მის მიერ შექმნილი ამ ტექსტების ენობრივი მხარე ადასტურებს, იმის გამო, რომ ხსენებული ნაწარმოებები იმ პიროვნების მიერაა დაწერილი, რომელიც ჩვენს ქვეყანას 15 წლის ასაკში შემოეხიზნა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეუფლა ქართულ ენას, სულაც არ საჭიროებს რაიმე შეღავათს.

როგორც ითქვა, გარდა „ჩემი ბასკეთისა,“ მარტინა მინტეგი ბილბაო მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა და მეუღლესთან, ცნობილ მწერალ გივი გოგიჩაიშვილთან, ერთად არაერთი ესპანელი პროზაიკოსის ნაწარმოებიც აქვს თარგმნილი და გამოცემული ქართულ ენაზე. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს 1974 წელს დასტამბული ერთტომეული – „ესპანური ნოველა,“ რომელშიც XIV-XIX საუკუნეებში მოღვაწე ცნობილ ესპანელ მწერალთა: ინფანტი დონ ხუან მანუელის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას, ლოპე ფელიქს დე ვეგა კარპიოს, ლუის ველეს დე გევარას, ფერნარ კაბალეროს, ანტონიო დე ტრუება ი ლა კინტანას, პედრო ანტონიო დე ალარკონის, ხოსე მარია და პერედას, ლეოპოლდო ალას ი ურენია კლარინის, ხოაკინ დისენტა ი ბენედიქტოსა და ვისენტე ბლასკო იბანესის ნოველებია დაბეჭდილი.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ლექსიკური სიუხვით, ფრაზის ბუნებრიობით, შინაგანი სილაღით, წინადადებათა ლაღი სინტაქსური კონსტრუქციითა და ენობრივი ინდივიდუალობის წარმომჩენი სხვა ფაქტორების მიხედვით, მარტინა მინტეგი ბილბაოს

ნაწერები, უპირველეს ყოვლისა, კი „ჩემი ბასკეთი," სრულფასოვანი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტებია და ისინი სულაც არ გვიქმნის იმის შთაბეჭდილებას, მათ უცხოელ ავტორს ქართული ენა ბალღობის პერიოდში კი არა, მოგვიანებით რომ აქვს შესწავლილი.

როგორც უკვე ითქვა, ქართველ მკითხველთა შორის „ჩემი ბასკეთის" პოპულარობის არსებითად განმაპირობებელ ფაქტორად უპირველეს ყოვლისა, ის ჰიპოთეზა იქცა, რომლის მიხედვითაც პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ბასკები და ქართველური ტომები ეთნიკურადაც და ენობრივაც მონათესავე ხალხებს წარმოადგენენ. ნიგნის ბასკი ავტორი არა მარტო ზოგადად უჭერს მხარს ამ ჰიპოთეზას, არამედ ცდილობს არაერთი კონკრეტული არგუმენტიც მოიტანოს ამის დასტურად.

მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ბასკები, ეროვნული თვალსაზრისით, მრავალგზის გამხდარან დევნა-შევიწროების მსხვერპლი, მათ მაინც შეძლეს თავიანთი ეთნიკური და ენობრივი ინდივიდუალობის დაცვა და შენარჩუნება. მარტინა მინტეგი ბილბაო ამ მიმართულებითაც გვაწვდის არაერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

მაგალითად, თავის პირვანდელ სამშობლოში, ხანგრძლივი დროით განშორების შემდეგ, სტუმრად ჩასული მწერალი მწვავედ განიცდიდა იმ ფაქტს, რომ მას ბასკური ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა. მშობლიური ენის არცოდნას კი ბასკები ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ, რადგანაც სწორედ ეს ენა წარმოადგენს მათთვის ერთმანეთთან დამაკავშირებელ უმთავრეს ენობრივ საშუალებას. თავად მწერლის ხაზგასმით, მშობლიური ენისადმი მათი ამგვარი ერთგულების ნათელ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ერთადერთი საყვედური, რომელსაც მას, ბასკეთში სტუმრად ყოფნის დროს, დაუფარავად ეუბნებოდნენ ახლობლებიცა და იმხანად გაცნობილი თანამემამულეებიც, მის მიერ ბასკური ენის უცოდინარობასთან იყო დაკავშირებული.

აი, რას წერს თავად მარტინა ამასთან დაკავშირებით: „ბასკები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, აუცილებლად ბასკურად ლაპარაკობენ. როგორ სწყინდათ ახლად გაცნობილ მეგობრებს, როდესაც, გაიგებდნენ, მე ეუსკურა (ბასკური – ა. ნ.) რომ არ ვიცოდი" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 53).

მარტინა მინტეგი ბილბაოს თქმით, ამ ნაკლის გამოსასწორებლად მან ბასკეთში ყოფნის დროსვე დაიწყო აქტიური მუშაობა და სასურველ მიზანსაც სულ მალე მიაღწია.

ბასკეთში ყოფნის დროს, მარტინა მინტეგი ბილბაოს, ბუნებრივია, ქართველებისა და ბასკების ენობრივი და ეთნიკური ნათესაობის შესახებ იქაურებთანაც ჰქონია აქტიური საუბრები; თუმცა არც ერთ მათგანს ამის თაობაზე არაფერი, ცოდნია. ერთ-ერთ ბასკს – ბასკური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს – კი ბასკური და ქართული ენების შესაძლო სიახლოვესთან დაკავშირებით ასეთი მოსაზრება გამოუთქვამს: „ჩვენ იმდენად შორს ვართ ერთმანეთისაგან, იმდენად უცნობი ვართ ერთმანეთისთვის, რომ ძნელია რაიმეს თქმა... ჩვენ, პირენეის ბასკებსა და კავკასიის ქართველებს (დავუშვათ, ოდესღაც ერთადაც რომ ვყოფილიყავით), იმდენი საუკუნე გვაშორებს, რომ მათი გადალახვა შორეულზე შორეულ პერსპექტივად მესახება“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 57).

ბასკების ეროვნული და ენობრივი მდგომარეობის შესახებ საუბრის დროს, მარტინა მინტეგი ბილბაო იმ გარემოებასაც აღნიშნავს გულისტკივილით, რომ მის იქაურ მოძმეებს ფრანკოს რეჟიმის დროს რამდენადმე დისკრიმინაციულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. თუმცა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, ამ რეჟიმის ჯერ შესუსტების, შემდეგ კი დამხობის პერიოდში ბასკები ეროვნულ-კულტურულადაც და ენობრივადაც, ადრინდელთან შედარებით, გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან.

ავტორის ზაგასმით, სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, „ბასკები ყოველწლიურად, მაისში, ქალაქ გერნიკაში იკრიბებიან. ეს მათი წმინდა ქალაქია. იქ უზარმაზარი მუხა დგას. მუხის ტანი შუშაშია ჩასმული. მის პატივსაცემად დიდი დღესასწაული იმართება. ბასკების ემბლემაც გერნიკას მუხაა. დღესასწაულს ბასკები თავიანთი ინტერესებისათვის იყენებენ: მოითხოვენ ავტონომიას, ეროვნულ თავისუფლებას“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 56).

მარტინა მინტეგი ბილბაოს წიგნში ბასკთა ეროვნული თვითშეგნების გამომხატველი ამგვარი ეპიზოდები საკმაოდ მრავლად გვხვდება, რითაც ავტორი ხაზგასმით წარმოაჩენს ბასკების სისხლხორცეულ კავშირს თავიანთ ეთნიკურ ფესვებთან და ისტორიულ წარსულთან. აი, კიდევ ერთი ფრაგმენტი ავტორისეული მონათხრობიდან: „სულ რაღაც სამი-ოთხი წელიწადია, ფრანკოს უნებებია და ბასკებისთვის მოწყალედ ნება დაურთავს თავიანთი დღესასწაული გადაიხადონ, თავიანთი ეროვნული ტანსაცმლით

მოირთონ, ბასკურად იმღერონ და იცეკვონ. მთელი კვირა ემზადება რაიონი სადღესასწაულოდ. ინთება ილუმინაციები. სახლები დროშებითა და გირლიანდებით ირთვება...

ყველას ბასკურად აცვია, ყველგან ბასკურ სიმღერებს მღერიან, ბასკურად ცეკვავენ... დილიდან საღამომდე ტრიალებს ბასკეთი, ქუჩებსა და ბაღებში ხმაურობს ბასკეთი, ჩემი ბასკეთი, წელგამართული, ამაყი, დაუმორჩილებელი და ვაჟკაცური" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 112).

მიუხედავად იმისა, რომ ბასკური ენის არეალის შეზღუდულობის გამო, ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობა რაოდენობრივად მცირეა, მარტინა მინტეგი ბილბაოს ხაზგასმით, ბასკი ეროვნების მწერლებს მნიშვნელოვანი წვლილი მაინც აქვთ შეტანილი ესპანური ლიტერატურის ისტორიაში. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად იგი ბასკი ეროვნების ფართოდ ცნობილ მწერალთა სახელებსაც ჩამოთვლის კონკრეტულად. ესენი არიან: ანტონიო დე ტრუება, ხოსე მარია დე პერედა, მიგელ დე უნამუნო, პიო ბაროხა, იპირაგირე, ვილინჩი, ეტჩაონი, არესე ი ბეიტია, დომინგო დე აგრე...

როგორც ითქვა, ბასკებსა და ქართველებს შორის არსებული ეთნიკური ნათესაობის ჰიპოთეზას მარტინა მინტეგი ბილბაო არა მარტო ზოგადად უჭერდა მხარს, არამედ ამ ნათესაობის წარმომჩენ რამდენიმე ნიშან-თვისებასაც მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას. მაგალითად, წიგნის ავტორს სწორედ ერთ-ერთი ასეთი მსგავსების თვალნათლივ გამოხატულებად მიაჩნდა ის სიახლოვე, ბასკურ და ქართულ ხალხურ სიმღერებს შორის რომ შეინიშნება ცხადად და აშკარად. აი, რას წერს თავად მწერალი ამასთან დაკავშირებით: „შვიდკაცას გახსენებამ და ღვინომ სიმღერის ხასიათზე დააყენა ინიაკი, სილვესტრე და ხოსე. სამხმიანი ბასკური სიმღერა წამოიწყეს. ბევრი რამ ნაცნობი მომესმა მათ სიმღერებში. განსაკუთრებით ერთი მათგანი ძალიან ჰგავდა გურულ სიმღერას:

სამნი ძმანი გურულები
მუშაობდნენ ყანასა...

ეგებ მომეჩვენა, არ ვიცი. ეს კია, ბასკური სიმღერაც სამხმოვანია" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 72).

ბასკთა და ქართველთა ეთნიკური ნათესაობის წარმომჩენ მხარედ მარტინა მინტეგი ბილბაო მათი გარეგნული იერსახის მსგავსებასაც მიიჩნევდა და აღნიშნავდა: „ბასკები გარეგნობით ძალიან ჰგვანან ქართველებს. მეც საქართველოში ქართველ ქალში ვერ

მარჩევენ. ბასკი ფიცხი და მოუსვენარია, ხმამაღლა ლაპარაკობს. სათქმელი თუ ვერ გაგაგებინა, ხელების მოშველიებაც უყვარს. სტუმრისთვის არაფერს დაზოგავს. ბასკები გულადები არიან. ეს სამოქალაქო ომის დროსაც დაამტკიცეს, როდესაც მთელი ბასკეთი რესპუბლიკელთა მხარეზე იბრძოდა; ბასკმა არც შიში იცოდა, არც უკან იხევდა, სიმღერით იმარჯვებდა და სიმღერითვე კვდებოდა" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 73).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ ჩამოთვლილი ნიშანთვისებების რომელიმე ხალხისთვის პრიორიტეტულად მიკუთვნება მეტად პირობითია, ქართველი და ბასკი ხალხების ისტორიული ყოფიდან გამომდინარე, მათი ეროვნული ინდივიდუალობის განმსაზღვრელ თვისებებად აღნიშნულ სახასიათო თავისებურებათა ხაზგასმა არა მგონია რეალურ საფუძველს მოკლებული მსჯელობის ნაყოფს წარმოადგენდეს.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნას ქართველ მკითხველთა მხრიდან, მარტინა მინტეგი ბილბაოს „ჩემი ბასკეთისადმი" გამოვლენილი ფართო ინტერესის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორის არსზე, ძალიან მოკლედ გავიხსენებ ქართველებისა და ბასკების ეთნიკურ-ენობრივ ნათესაობასთან დაკავშირებით უცხოურ და ქართულ წერილობით ძეგლებში უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე გამოთქმულ უმთავრეს მოსაზრებებს.

როგორც ცნობილია, ქართველებისა და ე. წ. „დასავლელ იბერიელთა" ნათესაობასთან დაკავშირებით პირველ წერილობით ცნობებს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდეც დიდი ხნით ადრე ვხვდებით უცხოელ, პირველ ყოვლისა კი, ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ნაწერებში. ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის VIII-IX საუკუნეებიდან მოყოლებული, ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობები უკვე ქართველ ავტორთა ნაწერებშიც გვხვდება და პირენეის ნახევარკუნძულზე (ამ ნახევარკუნძულს ძველ წერილობით წყაროებში იბერიის ნახევარკუნძულსაც ხშირად უწოდებენ ხოლმე) მცხოვრებ იბერიელებს ჩვენი წინაპრები ამ სახელებით მოიხსენიებენ: „ქართველნი დასავალისანი," „კელტ-ქართველნი დასავალისანი," „შპანიის ქართველნი" და ა. შ.

პირენეის ანუ იბერიის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერიელებში ქართველ და უცხოელ მემატიანეთა და მკვლევართა ერთი ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, ბასკებს გულისხმობს და

ხაზგასმით აღნიშნავს მათ ეთნიკურ და ენობრივ სიახლოვეს ერთმანეთთან. ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მეტად მნიშვნელოვანი და საკმაოდ წარმატებული მეცნიერული კვლევა-ძიება აქვს ჩატარებული სხვადასხვა დროს მოღვაწე არაერთ ქართველოლოგსა და ბასკოლოგს, რომელთა არასრული ჩამონათვალიც ასეთია: ფრიდრიხ მიულერი, ვილჰელმ ჰუმბოლდტი, კარლ ულენბეკი, ჰანს ფოგტი, რენე ლაფონი, იან ბრაუნი, ჰუგო შუხარდტი, ალფრედო ტრომბეტი, მანუელ დე არანეგი, ლუის მიჩელენა, ლუის ვილასანტე, ნიკოლოზ იაკოვლევი, იური ზიცარი, ნიკო მარი, არნოლდ ჩიქობავა, შოთა ძიძიგური და სხვები.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ, ხსენებული მეცნიერული ჰიპოთეზის დასასაბუთებლად, მკვლევართა მიერ გაწეულმა მეცნიერულმა კვლევამ განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო მასშტაბები გასული საუკუნიდან შეიძინა.

სწორედ ამის ნათელ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ფაქტები, როგორებიცაა: ქალაქ ბილბაოში ბასკური ენის აკადემიის დაარსება 1918 წელს, ბორდოს უნივერსიტეტში, პირველად მსოფლიოში, 1948 წელს, ბასკური ენის კათედრის შექმნა, რაც შემდგომ პერიოდში პოს (საფრანგეთი), სან-სებასტიანის, სალამანკას, პამპლოსა და დეუსტოს (ესპანეთი) უნივერსიტეტებშიც განხორციელდა.

აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები საქართველოშიც გადაიდგა. კერძოდ, 1975 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან დაარსდა „ბასკური ენისა და კულტურის შესწავლის ხელშემწყობი საზოგადოება," თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბასკური ენის სწავლებასაც ჩაეყარა საფუძველი, ხოლო ქართველ ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა ცალკეული წარმომადგენლები აქტიურად იკვლევენ ქართულ-ბასკურ და ბასკურ-კავკასიურ ენობრივ და ისტორიულ მიმართებათა პრობლემურ საკითხებს.

როგორც ითქვა, პირენეის ანუ იბერიის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერიელთა შესახებ პირველ წერილობით ცნობებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნიდან დაწყებული ვხვდებით ბერძენ და რომაელ მემატიანეთა ნაწერებში. ქართულ-ბასკურ ურთიერთობათა ცნობილი მკვლევრის, აკად. შოთა ძიძიგურის ხაზგასმით, პირენეის ანუ იბერიის ნახევარკუნძულზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური შე-

მადგენლობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, დღესდღეობით მკვლევართა ორი მთავარი შეხედულება არის გამოკვეთილი: „1. იბერიის ნახევარკუნძული წარმოადგენდა ჭრელ ეთნიკურ კონგლომერატს – დასახლებული იყო ძირეულად სხვადასხვა მოდგმის ტომებით, მათ შორის იბერებით, რომლებიც ყველაზე ენერგიული და ექსპანსიისადმი მიდრეკილნი იყვნენ და ამიტომ ეწოდა მთელ ამ მხარეს „იბერია." 2. პირენეის ნახევარკუნძულზე, თავდაპირველად ბინადრობდნენ ერთი მოდგმის ტომები – იბერიელი ტომები, რომელთაც შემდეგ შეემატნენ სხვა წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები" (ძიძიგური, 1981: 6).

იბერიის ნახევარკუნძულზე უძველესი დროიდან მცხოვრები ამ ეთნიკური კონგლომერატიდან დღემდე მოღწეული ერთადერთი ეროვნება, რომელიც ბასკების სახელითაა ცნობილი, ევროპული (და არა მარტო ევროპული) ენობრივი სამყაროსაგან რადიკალურად განსხვავებულ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს და თავისი შინაგანი ბუნებით ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ და კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევს ამ მოვლენას შოთა ძიძიგური: „რა თანამიმდევრობაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიელებს შორის, არიან თუ არა ერთმანეთის მონათესავე ქართველი და პირენეელი იბერები, თუ აქ სახელწოდებათა უბრალო თანხვედრაა, – ეს კითხვა აღეძრათ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორებს: მწერლებს, მეცნიერებს, სახელმწიფო მოღვაწეებს... შემდგომს საუკუნეებში ამავე საგანზე თავისი შეხედულებები აქვთ გამოთქმული ძველ სომეხ და ქართველ მოღვაწეებსაც. ეს საკითხი მთელი სიმწვავით დაისვა ახალ ევროპულ მეცნიერებაშიც.

ამრიგად, აზიისა და ევროპის იბერიელთა ისტორიული, ეთნოლოგიური და ლინგვისტიკური დამოკიდებულების კვლევა საერთაშორისო მეცნიერულ პრობლემათა წყებას განეკუთვნება" (ძიძიგური, 1978: 69).

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, თავიდანვე რომ გამოიკვეთა აზიელ და ევროპელ იბერიელებთან დაკავშირებით შექმნილ მატიანეებსა და სამეცნიერო ნაშრომებში, მათი პირველსაცხოვრისის დადგენაა. აღნიშნული საკითხის გარკვევა იმთავითვე რომ იყო ქცეული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად, ეს ცნობილი ბერძენი ისტორიკოსის – აპიანეს (ძვ. წ. II ს.)

მიერ გამოთქმული ამ მოსაზრებითაც ნათლად ჩანს: „იბერებს, რომლებიც აზიაში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპელი იბერების წინაპრებად, ზოგი (ამათ) ახალშენებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახელეებად, რადგან არც ზნე აქვთ არაფრით მსგავსი და არც ენაო" (აპიანე, 1959: 159).

აპიანეს მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას რევაზ სირაძემ, რომელმაც აღნიშნულ პრობლემას მეტად საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა სათაურით – „ესპანეთის იბერები" ქართულ მწერლობაში," ასეთი განმაზოგადებელი შეფასება მისცა: „როგორც ვხედავთ, შესაძლებელ თვალსაზრისთა არჩევანი ფართო ყოფილა: 1. პირველი მოსაზრებით, ესპანეთის იბერების წინაპრები ქართველები არიან. იგულისხმება, რომ ესპანეთში შემდგომ არიან გადასახლებულნი; 2. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი საპირისპირო აზრს გამოთქვამდა: იბერთა საერთო წინაპრები ესპანეთის იბერებია და „აზიის იბერები" შემდეგ არიან აქეთკენ გადმოსახლებულიო; 3. სხვა ავტორები კიდევ ამათგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისის დასაბუთებას ცდილობენ: ეს ორი იბერია მხოლოდ და მხოლოდ თანამოსახელეა, მათ შორის არავითარი ნათესაობა არ არსებობსო" (სირაძე, 1980: 17).

შოთა ძიძიგურის აზრით, „ქრონოლოგიურად პირველი ცნობა აზიიდან იბერების მიგრაციის თაობაზე ეკუთვნის ძველ რომაელ მწერალსა და მეცნიერს, პომპეუსის ელჩს ესპანეთში, რომის საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელს – ვარონს (II-I საუკ. ძვ. წელთაღრ.), რომლის თხზულება, მართალია, არ შემონახულა, მაგრამ ცნობა დამოწმებულია რომაელი ნატურალისტის პლინიუსის (I საუკ. ახ. წელთაღრ.) თხზულებაში. აი, რას ამბობს პლინიუსი:

„ვარონი ირწმუნება, რომ იბერებიც, სპარსელებიც, ფინიკიელებიც, კელტებიც და პუნიკებიც მთელ ესპანეთში განსახლდნენ" (ძიძიგური, 1978: 70). ამავე მოსაზრების მომხრე იყვნენ აგრეთვე პრისციანი, პლინიუს დიდი, მაქსიმე აღმსარებელი და ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შემდგომ დროს მოღვაწე სხვა მემატიანეებიცა და მეცნიერებიც.

იყვნენ საპირისპირო მოსაზრების გამომთქმელნიც (მეგასთენე, ევსევი კესარიელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ატალიატე...), რომელთა მტკიცებითაც, სინამდვილეში საპირისპირო მოვლენასთან გვქონდა საქმე და აღმოსავლეთში მცხოვრები იბერიელები პირენეის ნახევარკუნძულიდან იყვნენ გადასახლებული.

როგორც ითქვა, მოსაზრება ქართველებისა და ბასკების ეთნიკური და ენობრივი ნათესაობის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წერილობით ტექსტებში პირველად VIII-IX საუკუნეებში ფიქსირდება. კერძოდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენამდე მოღწეულ ჯერ-ჯერობით პირველ წერილობით ცნობად უნდა მივიჩნიოთ ქრისტიანული კულტურის დიდი მოღვაწისა და მწერლის – წმ. ბასილი კესარიელის (331-379 წწ.) ცნობილი ნაწარმოების – „ექუსთა დღეთაჲს" ქართული თარგმანი, რომელიც სწორედ VIII-IX საუკუნეებში არის შესრულებული.

აი, რა წერია ხსენებულ თარგმანში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „არა იყო ზღუაჲ, რომელ არს გარეგან ღადირაჲ, და არცა შესაძრწუნებელი იგი სიღრმე, რომელსა ვერ მიჰკადრებენ მენავენი, რომელი-იგი გარე მოადგს მას ჭალაკსა ბრიტანიაჲსასა და ქართველთა მათ დასავლეთისათა, არამედ მაშინ დაებადნეს და განევრცნეს" (სირაძე, 1980: 8).

რევაზ სირაძის განმარტებით, დამოწმებული ფრაგმენტის აზრი ასეთია: „თავდაპირველად ზღვა არ არსებობდა, ზღვა, რომელიც დღეს ღადირის ზღვის ირგვლივაა; არც ის შემაძრწუნებელი უფსკრული იყო, რომელსაც მეზღვაურები უფრთხიან ხოლმე, რომელიც ეკვრის ბრიტანეთის კუნძულსა და „დასავლეთის ქართველებს," არამედ შემდეგში წარმოიშვა და განივრცო."

ქრონოლოგიურად ჩვენამდე მოღწეული მეორე ქართული წერილობითი წყარო, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც გვაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას, ეს არის ათონის ივერთა მონასტრის ღვთისმსახურის – ექვთიმე მთაწმიდელის (955-1028 წწ.) მიერ ქართულად თარგმნილ იპოლიტე რომაელის თხზულებაში თავად მთარგმნელისგან ჩამატებული ის ეპიზოდი, სადაც ბიბლიური იაფეთის მრავალრიცხოვან შთამომავალთა იმ ჩამონათვალში, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლდნენ, პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები „კელტ-ქართველნი დასავალისანიც" არიან ნახსენები (კეკელიძე, 1956: 172).

ქართველთა და ესპანელ იბერიელთა ნათესაობასთან დაკავშირებით არსებული ზემოთ აღნიშნული მოსაზრება, ადრინდელი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველოშიც რომ ყოფილა ფართოდ გავრცელებული, ამას გიორგი მთაწმიდელის (1009-1065 წწ.) ცნობილი ნაწარმოების – „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრების" (დაწერილია 1042-1044 წლებში) ის ეპიზოდიც ადასტურებს, რომელ-

შიც სწორედ აღნიშნულ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება.

მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ტექსტიდან: საბერძნეთში, ათონის მთაზე, აგებულ ივერთა მონასტერში ბერად დაყუდებულმა წმიდა იოანემ თორნიკე-ყოფილ იოანეს გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტა, „აღიღოს ძე თვისი და რავდენიმე მონაფენი და ივლტოდეს სპანიად,... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 54).

მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, იოანემ თანმხლებ პირებთან ერთად, საპორტო ქალაქ ავიდოსს მიაშურა, სადაც „სპანიისათა მიმავალი" ნავის პოვნა სურდა. იქ იგი შეხვდა იმ პიროვნებას, რომელიც „მას ჟამსა მთავრობდა ავიდოსს" და, როგორც „ფრიად საყვარელ" მეგობარს, თავისი გულისთქმა გაანდო. მაგრამ ავიდოსის მმართველი მტკიცედ „წინააღუდგა" იოანეს ამ გადაწყვეტილებას და თხოვა, თავისი განზრახვა მას ბერძენთა მეფისთვის შეეტყობინებინა და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში გამგზავრებულიყო ესპანეთში. მაგრამ, როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ვგებულობთ, ბერძენთა მეფემ და სამეფო კარის სხვა წარმომადგენლებმა იოანეს ამ განზრახვაზე ხელი ააღებინეს და „დიდითა პატივითა" და „დიდითა ბოძითა განუტევეს... თვისსა მონასტერსა."

როგორც დამოწმებული ფრაგმენტიდან ჩანს, გიორგი მთაწმინდელმა თავისი ამ მონათხრობით მიზანმიმართულად მიაპყრო ყურადღება ქართველებისა და ბასკების ნათესაობის პრობლემას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შორეულ „სპანიაში" მცხოვრები „არამცირედნი ერნი" „ქართველთა ნათესავნი" არიან. მიუხედავად იმისა, რომ იგი ესპანეთში მცხოვრებ ქართველთა ნათესავი ხალხის ეთნიკურ სახელს არ აკონკრეტებს, დღევანდელი მკითხველისათვის ყოველგვარი დამატებითი არგუმენტების გარეშეც დაუეჭვებლად ცხადია, რომ მათში მხოლოდ და მხოლოდ ბასკები იგულისხმებიან და არა რომელიმე სხვა ერის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, გიორგი მთაწმიდელიდან მოყოლებული ტიმოთე გაბაშვილამდე (1703-1764 წწ.) აღნიშნულ საკითხს ქართველ ავტორთაგან აღარავინ შეხებია. თუმცა ხსენებული პრობლემა კვლავაც რომ რჩებოდა იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა

ცხოველი ინტერესის საგნად, ამის შესახებ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც ხსენებული საუკუნის 70-იან წლებში ფაქტობრივად მთელი საქართველო მოიარა და ამ მოგზაურობის ამსახველ თავის წიგნში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთი რაიმე გვიამბო:

კახეთის მეფე თეიმურაზთან გამართულ ნადიმზე მიწვეული სტუმრისთვის გამომშვიდობების წინ მეფეს უკითხავს, როგორ ბრძანდება ჩემი ნათესავი ესპანეთის მეფეო და „ძვირფასი ქვებით მორთული თასით" შეუსვამს მისი სადღეგრძელო. აი, რა კომენტარი გაუკეთებია შარდენს ამ ფაქტთან დაკავშირებით: „დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მთავარი (თეიმურაზი – ა. ნ.) ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვდი, რომ ეს მრავალი ავტორის აზრს ეთანხმებოდა. ესპანელები წარმოშობით იბერიელები არიან. კაპუცინებს ვკითხე, როგორ ესმის-მეთქი ეს ნათესაობა მთავარს. მათ მიპასუხეს, რომ კლიმენტი მერვემ თეიმურაზისადმი მიწერილ წერილებში იგი ფილიპე მეორის ნათესავად, ხოლო იბერიელები და ესპანელები ძმებად მოიხსენიაო. თეიმურაზი და მისი მემკვიდრეები ამაყობენ ამ ნათესაობით" (შარდენი, 1975: 349).

რაც შეეხება ტიმოთე გაბაშვილს, ხსენებულ შეხედულებას იგი, საღვთისმსახურებლო მიზნით, პალესტინასა და საბერძნეთში მის მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათა ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტის – „მიმოსლვის" ყველა ხელნაწერში იმეორებს, რის საფუძველზეც შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ჰიპოთეზა მის დროს საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. კერძოდ, ავტორის თქმით, ეს მოსაზრება მისთვის ცნობილ ბერძენ სწავლულს – ევგენიოსს გაუცვნია, ტიმოთეს შეფასებით, „დიდ ფილოსოფოსს, ევროპიას ძვირად სადმე პოვნილს ვინმეს შესადარად მისსა."

ტიმოთეს შეკითხვაზე: „ვითარ და რასათვის ქართველთა შპანია ეწოდების და შპანიელთაა ქართველი?" ევგენიოსს ასეთი პასუხი გაუცია: „იგი უძველესისა ბრძნისა ვისმე მელეტიოზისა წიგნისაგან აღმოიკითხევდა და გვეტყოდა, ვითარმედ ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიელნი მრავალნი მისრულან ქართლად, და კვალად ჟამთა ოჴრებასა ქართლისასა ქართველნი მეფე და დიდებულნი წარსულან შპანიად, და მათნი მეფენი

და მთავარნი ნათესავნი არიან ქართველთა, და მდინარესაცა მათსა ქართველთი ეწოდება“ (გაბაშვილი, 1956: 50).

როგორც ტიმოთეს მონათხრობიდან ვგებულობთ, ქართველთა და ესპანელთა ნათესაობასთან დაკავშირებულ საკითხთა გარკვევით იგი საბერძნეთში წასვლამდეც ყოფილა დაინტერესებული. კერძოდ, აი, რას წერს მწერალი ამასთან დაკავშირებით: „აღმომეკითხა წერილთა შინა ჩემთა, ვითარმედ ბერძნულისაგან სპანთა ენათა ზედა ვსთარგმნეო, ქართველნი მთარგმნელნი წერენ (ქართულთა უწესენ შპანიად), ამისთვის ვკითხევდი ევგენიოს. ხოლო იგი განგვიმარტავდა, ვითარმედ არის ძველთა წერილთა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან, და უწოდეს მეფესა შპანიისასა ქართველი; და კვალად შპანიელნი წარსულან საქართველოთა შინა და მუნ დამკვიდრებულან, ამისთვის ქართველთა და შპანიელთა ურთიერთარს სახელი ენაცვლებიან“ [გაბაშვილი, 1956: 54].

როგორც ცნობილია, ქართველთა და ბასკთა ეთნიკური ნათესაობის დამადასტურებელ უმთავრეს არგუმენტად ამ პრობლემით დაინტერესებულ ქართველ და უცხოელ ენათმეცნიერთა დიდი ნაწილი იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან ბასკური ენის სტრუქტურულ სიახლოვეს მიიჩნევს და არაერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი მოაქვს ამ მოსაზრების დასტურად. თუმცა ბევრი მათგანი იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტერიტორიულად იზოლირებულ გარემოში ცხოვრების გამო, ეს ენები იმდენადაც კი დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ამ სიახლოვის წარმომჩენი არაერთი ნიშან-თვისება ან დაიკარგა, ანდა არსებითად სახეცვლილი ფორმა მიიღო.

ამის მიუხედავად, ხსენებული პრობლემით დაინტერესებული ენათმეცნიერები ცდილობენ, კონკრეტულად გამოავლინონ და წარმოაჩინონ ის გრამატიკული ფორმები და ენობრივი ნიუანსები, რომელნიც მყარ საფუძველს შექმნის ქართულ-კავკასიური და ბასკური ენების მისაჩნევად ერთი დიდი ენობრივი ოჯახის ნევრებად.

აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით შოთა ძიძიგური: „ბასკური და ქართული (resp. კავკასიური) ენების ნათესაობა არ შეიძლება მივიჩნიოთ ენათა ისეთ გენეტიკურ მიმართებად, რომელიც აშკარა და ხელშესახებია ზედაპირული ლინგვისტური შედარე-

ბის საფუძველზე. ეს ნათესაობა უთუოდ ენის სიღრმეებში უნდა ვეძიოთ. საფიქრებელია, აქ ღრმად დაფარულ ნათესაობასთან გვექნეს საქმე და მხოლოდ ფაქიზი ანალიზი გამოავლენს ამ საკმაოდ დაშორებული ენობრივი ჯგუფების შესაძლო თავდაპირველ ერთიანობას. საბურველი, რომელიც ფარავს ქართულ-ბასკურის ურთიერთობას, არ უნდა გვაფრთხობდეს, რამდენადაც მომავალი ჩაღრმავებული ძიებები, – და არა ფრაგმენტული კვლევა, – ფარდას ახდის მრავალ საიდუმლოებას, ბასკურ-კავკასიური ენების წიაღში რომ არის ჩამარხული და რაც თავის სიმპტომატურ გამოვლენას პოულობს დღემდის დადასტურებულ უაღრესად ანგარიშგასაწევ პარალელებსა და გასაოცარ მსგავსებებში" (ძიძიგური, 1978: 136).

ბასკურ და იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის არსებულ გენეტიკურ მსგავსება-სიახლოვესთან დაკავშირებით, უფრო ადრე მსგავსი მოსაზრება აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამაც გამოთქვა. კერძოდ, 1974 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ რენე ლაფონის ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამ პრობლემას მან ასეთი შეფასება მისცა: „ჩვენ არ გვითქვამს და არც ახლა ვამბობთ: ბასკურის ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამტკიცებულია. არც იმას ვამბობთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხივე ჯგუფის ისტორია მთლიანად და სავსებით დადგენილი გვაქვსო.

ჩატარებული კვლევა ერთ რასმე მოწმობს: წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენებს მეტი სიახლოვე ახასიათებდა, ვიდრე ახლა ვხედავთ. ზედაპირზე სხვაობა ჩანს, სიღრმისეულ ფენებში **სხვაობა მცირდება, საერთო** (ერთობა) **მატულობს:** საერთო – ძველია, განსხვავებული – ახალი." აქედან გამომდინარე, არნ. ჩიქობავას აზრით, ბასკურ და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის რეალურად არსებულ კავშირ-ურთიერთობათა დასადგენად და გამოსავლენად უმთავრესი მეცნიერული სამუშაო სამომავლოდაა შესასრულებელი.

ამ მიზნით, მომავალში ჩასატარებელი საკვლევაძიებო მუშაობისთვის აუცილებლად საჭირო პირობებს ა. ჩიქობავა შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „მორიგი ამოცანაა: ბასკურში „ავიდგათ ენა," ბასკურის მასალაზე მიგვიწვდებოდეს ხელი. მაშინღა შევძლებთ ბასკოლოგებთან ერთად მუშაობას ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის პრობლემებზე. კავკასიოლოგ-ბასკოლოგი **რთუ-**

ლი პროფილის სპეციალისტს გულისხმობს: ის უნდა ერკვეოდეს **ქართული ენის ისტორიაში,** მთის ძირითად იბერიულ-კავკასიურ ენებში... ერკვეოდეს **თეორიულ ენათმეცნიერებაში**... ასეთი სპეციალისტის მომზადება რთულ ამოცანას წარმოადგენს" (ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, 1976: 109).

ყოველივე ზემოთქმულს ესოდენი ყურადღება იმიტომ მივაქციე, რომ მარტინა მინტეგი ბილბაოს წიგნის შემეცნებით ღირებულებას უწინარესად სწორედ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მოწოდებული ღრმად შთამბეჭდავი ინფორმაციული მასალა განსაზღვრავს. წიგნის ავტორმა მკითხველის ცნობიერებაში ამ გზით კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შესძინა ფართოდ პოპულარულ იმ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ქართველები და ბასკები ეთნიკურად მონათესავე ხალხებად არიან მიჩნეული.

როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, მარტინა მინტეგი ბილბაოს წიგნში ამასთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო ინფორმაციაა მოწოდებული. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თავისი ბასკური შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს ავტორი ესპანეთში ბასკების ეროვნულ მდგომარეობასთანაც და მათი ავტონომიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებითაც გვაწვდის არაერთ მნიშვნელოვან ცნობას.

მაგალითად, ამ ქვეყანაში მცხოვრები ბასკები, რომლებიც ეთნიკურ-ენობრივი ინდივიდუალობით მკვეთრად განირჩევიან ესპანელებისგან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იბრძოდნენ ეროვნული ავტონომიის მოსაპოვებლად. 1936 წელს მათ რეალურად მიაღწიეს კიდეც ამას და ხსენებული წლის ოქტომბერში, ესპანეთის საკანონმდებლო კრების (კორტესის) გადაწყვეტილებით, ბასკეთის ავტონომიურ რეგიონს ოფიციალურად ეწოდა „ბასკების ქვეყანა," ბასკურმა ენამ კი ავტონომიის მცხოვრებთათვის ოფიციალური ენის სტატუსი შეიძინა (ნანიტაშვილი, 1987: 219).

თუმცა ესპანეთში ფრანკოს რეჟიმის მომხრეებსა და რესპუბლიკელებს შორის გაჩაღებულ სამოქალაქო ომში, რომელშიც ბასკები რესპუბლიკელთა მხრიდან იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას, პროფაშისტურმა ძალებმა გაიმარჯვეს და 1937 წლის ივლისში ბასკეთის მთავარი ქალაქი – ბილბაო აიღეს. ქვეყნის მმართველობის სათავეში მოსული ახალი რეჟიმის მესვეურებმა იმავე წელს ბასკეთის ავტონომია გააუქმეს, სახელმწიფოებრივ

დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ შეკრებებზე ბასკური ენის გამოყენება ოფიციალურად აკრძალეს, ბასკებით დასახლებულ ქალაქებში ქუჩებს ბასკური სახელები შეუცვალეს და ბასკთა ეროვნული ცნობიერების ყველანაირ გამოვლინებას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს.

მარტინა მინტეგი ბილბაო, ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებითაც გვაწვდის თუმცა სქემატურ, მაგრამ ქართველ მკითხველთა დიდი ნაწილისათვის უცნობ ინფორმაციულ მასალას.

როგორც უკვე ითქვა, მარტინა მინტეგი ბილბაოს ცხოვრებისეული ხვედრი არსებითად აღმოჩნდა დაკავშირებული იმ ტრაგიკულ მოვლენებთან, ესპანეთში რომ განვითარდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. კერძოდ, 1934 წელს ამ ქვეყანაში რესპუბლიკის მომხრეებსა და გენერალ ფრანკოს ხელმძღვანელობით მებრძოლი ფაშისტური დიქტატორული რეჟიმის მომხრეებს შორის დაწყებულმა მრავალწლიანმა სამოქალაქო ომმა მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი, მათ შორის ბავშვებიც, იძულებული გახადა სამშობლოდან გადახვეწილიყო და სხვა სახელმწიფოს მუდმივი ანდა დროებითი ბინადარი გამხდარიყო.

მარტინა მინტეგი ბილბაოს ცხოვრებისეული ხვედრიც სწორედ აღნიშნულმა ტრაგიკულმა მოვლენამ განსაზღვრა არსებითად. კერძოდ, იგი ესპანეთიდან ყოფილ საბჭოთა კავშირს 1937 წელს შემოხიზნულ 5 000-მდე ბავშვიდან ერთ-ერთი იყო, რომელმაც მთელი შემდგომი ცხოვრება მისი პირვანდელი სამშობლოდან შორს, საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, გაატარა და აქვე პოვა სამუდამო განსასვენებელი.

მარტინა მინტეგი ბილბაოს წიგნი მნიშვნელოვანი იმითაც არის, რომ ავტორი იმ შთაბეჭდილებებსაც მოგვითხრობს ფრაგმენტულად, რითაც ესპანეთში იმხანად მიმდინარე სამოქალაქო ომი აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. ამ შთაბეჭდილებებს განსაკუთრებულ სიმძაფრეს ის ფაქტიც სძენდა, რომ ამ ომმა არა მარტო მისი პირადი ცხოვრება შეცვალა ძირფესვიანად, არამედ მისი ოჯახის ყოველი წევრის ცხოვრებაც წარმართა ტრაგიკულად.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ რამდენიმე ეპიზოდს ავტორისეული მონათხრობიდან.

ბასკეთის ერთ-ერთი სოფელში დეიდასთან მცხოვრები მარტინა ესპანეთში სამოქალაქო ომის დაწყების პირველივე დღეებ-

ში ბილბაოში ჩაიყვანეს მშობლებთან, სადაც ასეთი ვითარების თვითმხილველი გახდა: „დეიდამ ალმოდებული ბაკიოდან ბილბაოში ჩამომიყვანა. ბილბაოც ცეცხლის ალში იყო გახვეული.

ბილბაოში დედაჩემის გარდა არავინ დამხვედრია. მამა და ძმები ფრონტზე იყვნენ და რესპუბლიკელთა მხარეზე იბრძოდნენ. ჩუჩაც (ავტორის და – ა. ნ.) ფრონტზე წასულიყო მოწყალების დად, პატარა ინიაკიც (ავტორის ძმა – ა. ნ.) ფრონტზე გაპარულიყო.

გერმანელთა თვითმფრინავები ყოველდღე ბომბავდნენ ბილბაოს. ირგვლივ უბედურება ტრიალებდა. უმოწყალოდ იხოცებოდნენ ბავშვები და ბერიკაცები, ახალგაზრდა ქალები და დედაბრები" (მარტინა მინტეგი ბილბაოს, 1972: 13).

სამოქალაქო ომის საშინელებასთან დაკავშირებული ამგვარი ეპიზოდების მოთხრობით, ავტორი მკითხველის ცნობიერებაში შთამბეჭდავი სახით აცოცხლებს იმ ტრაგედიას, რომელიც ესპანეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დაატყდა თავს იმხანად. ამ ტრაგედიამ თავად მარტინა მინტეგი ბილბაოს დიდ ოჯახსაც რომ დაასვა წარუხოცველი დაღი, ამის დასტურად მწერალი არაერთ შემაძრწუნებელ ეპიზოდს იხსენებს მისი და მისი მახლობელი ადამიანების ცხოვრებიდან.

მაგალითად: „მორიგი დაბომბვის შემდეგ თავშესაფრიდან რომ გამოვედი, ჩემი სახლი აღარ დამხვედრია. მეზობლები სახლის ნარჩენებში ჩამარხულ დედას მისტიროდნენ... დეიდაც გაქრა თვალთახედვიდან. ფრონტიდანაც არავითარი ცნობები არ მოდიოდა" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 14).

სწორედ მაშინ, ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა, დატოვა მარტინამ საკუთარი სამშობლო სამუდამოდ და ამ ტრაგიკული დღიდან მხოლოდ 29 წლის გასვლის შემდეგ, 1966 წელს, მიეცა შესაძლებლობა ერთი თვით მოენახულებინა მშობლიური ბასკეთი. მარტინა მინტეგი ბილბაომ თავის წიგნს მეტი ემოციური შთამბეჭდაობა მის ხსოვნას სამუდამოდ შემორჩენილი იმ სიმღერის ტექსტის გახსენებითაც შესძინა, რომლითაც გემზე მყოფი ათასობით ადამიანი სამუდამოდ ეთხოვებოდა მშობელ ქვეყანას. აი, როგორ იხსენებს ავტორი არა მარტო პირადად მისი, არამედ მის ბედში მყოფი ათასობით მისი თანამგზავრის ცხოვრების ამ ეპიზოდს:

„ახლაც ყურში მესმის გემზე შეთხზული გულსაკლავი სიმღერა:
ადიოს ესპანია, ესპანია მია...

გემი ტალღებს მიაპობდა, ჩვენ კი ვმღეროდით; არა, კი არ ვმღეროდით, ვტიროდით, ვკვნესოდით, ვქვითინებდით...

უკან გვრჩებოდა ცეცხლში გახვეული სამშობლო, მშობლები და მახლობლები. მივდიოდით. ზღვას დასასრული არ უჩანდა. მივდიოდით და გულის კვნესით ვემშვიდობებოდით სამშობლოს:

ადიოს ესპანია, ესპანია მია..."

ესპანეთის სამოქალაქო ომის ტრაგიკულ შედეგებზე მონათხრობს მარტინა მინტეგი ბილბაომ განსაკუთრებული სიმძაფრე იმ ეპიზოდის გახსენებითაც შესძინა, რომელიც პირადად მის ძმას – ინიაკს გადახდენია თავს ამ ომის პერიოდში. ფრანკოს რეჟიმის დამცველთა მიერ შეპყრობილი და საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილი ინიაკი იმავე საპატიმროში მყოფ მამასაც შეხვედრია, სრულიად შემთხვევით. ომის დაწყების დროს ინიაკი თხუთმეტი წლისა ყოფილა, რესპუბლიკელთა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გაწევრიანებულა და ფაშისტური რეჟიმის დამცველთა წინააღმდეგ საბრძოლველად წასულა. მტრის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი მისი თანამებრძოლებიდან ბევრი დაღუპულა, ინიაკი კი ტყვედ ჩავარდნილა და საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილა. ასე აღმოჩენილა იგი წლების განმავლობაში უნახავი მამის გვერდით, რომელიც ასევე ფაშისტებს ჰყოლიათ დატყვევებული.

ფრანკოს რეჟიმის სასამართლოს, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკში გამართულა სახელდახელოდ, ინიაკისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანია. აი, როგორ იხსენებს თავად ინიაკი ამის შემდგომ განვითარებულ მოვლენას: „როდესაც სასამართლოდან კამერაში დავბრუნდი, მამის გაფართოებულ თვალებს წავაწყდი. აბა, როგორ ვეტყოდი, რომ ამ ოციოდე წუთის წინ სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტა... ერთადერთი საზრუნავი ახლა ის იყო, მამას არ გაეგო ჩემი ამბავი. მეგონა, არაფერი იცოდა, მაგრამ მოვტყუვდი. ციხეში არაფერი დაიმალება. ეს შემდეგ გავიგე, როდესაც უკვე გვიანი იყო...

იმ ღამეს, ჩვენი კამერა რომ გააღეს და ჩემი გვარი დაიძახეს, უცბად პატიმრები შემომეხვივნენ, ძირს დამცეს, პირი მომიკუმეს, შემკრეს და განძრევის საშუალებაც კი წამართვეს. მეორედ ჩემი სახელი და გვარი რომ ამოიკითხეს, გარკვევით გავიგე, თუ როგორ უპასუხა მამაჩემმა: – აქა ვარ! – ჩქარა, ჩქარა, ფეხი გამოადგი, ნუ ზოზინებ! – დაუძახეს დერეფნიდან. – მშვიდობით,

შვილო, – დამიძახა და რკინის კარიც მიიხურა“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 66).

როგორც უკვე ითქვა, ზემოთ აღნიშნულ მოვლენათა გამო, მარტინა მინტეგი ბილბაო საბჭოთა სახელმწიფოს ხიზანი გახდა. გარდა ბავშვებისა, საბჭოთა კავშირს მაშინ კომუნისტური იდეოლოგიის მომხრე ესპანელ პოლიტიკოსთა არაერთი წარმომადგენელიც შემოეხიზნა. მათ შორის იყვნენ ესპანეთში კომუნისტური პარტიის გასაძლიერებლად და ამ პარტიის მმართველობითი რეჟიმის დასამყარებლად აქტიურად მებრძოლი ესპანელი პოლიტიკური მოღვაწეები: დოლორეს იბარური და ხოსე დიასი.

აქ ყოფნის პერიოდში ისინი არა მარტო პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ, არამედ მეორე მსოფლიო ომის დროს, თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მიმდინარე საომარ ოპერაციებშიც იღებდნენ მონაწილეობას. კერძოდ, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ავტორი ამასთან დაკავშირებით: „ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ ხოსე დიასი და დოლორეს იბარური. მშობლების მაგივრობას გვიწევდნენ... დოლორესს თავისი ქალიშვილი ამაია ერთხანს ჩვენთან ჰყავდა... რუბენ რუის იბარურიც, დოლორესის ვაჟიშვილი, სტალინგრადის ბრძოლების გმირი მფრინავი, მამაცური სიკვდილით დაცემული საბჭოთა კავშირის გმირი, ჩვენთან ხშირად მოდიოდა, სანამ საფრენოსნო სკოლაში შევიდოდა“ (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 20).

ცხადია, ის აქტიური მხარდაჭერა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლება იჩენდა ესპანელი კომუნისტებისადმი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული.

ესპანეთიდან დეპორტირებული მარტინა და მისი თანატოლები, რომელთაც, თავად მწერლის თქმით, ესპანელები „ოცდაჩვიდმეტი წლის ბავშვების“ სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე, სანაოსნო გზით ჯერ ქალაქ ლენინგრადში (ამჟამინდელ სანკტ-პეტერბურგში) ჩაიყვანეს, შემდეგ კი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში გადაანაწილეს საცხოვრებლად. მარტინას თავდაპირველად, ხუთი წლის განმავლობაში, მოსკოვის გარეუბანში მოუწია ცხოვრება, შემდეგ კი, მეორე მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა და გერმანულ სამხედრო შენაერთთა მოსკოვამდეც მოღწევის გამო, ესპანეთიდან დეპორტირებულ სხვა ბავშვებთან ერთად, იგი საცხოვრებლად თბილისში გამოუშვეს. როგორც უკვე ითქვა, ამ დროიდან მოყოლებული მთელმა მისმა ცხოვრებამ სწორედ ამ ქალაქში განვლო.

მართალია, „ჩემი ბასკეთის" დაწერის უმთავრესი მიზანი ხანგრძლივი განშორების შემდეგ მშობლიურ მხარეში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა მოთხრობაა, მაგრამ მარტინა მისი ცხოვრების ქართული პერიოდიდანაც გვაწვდის არაერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს.

მწერლის არაერთგზისი ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ მშობლიური ბასკეთიდან იძულებითი დეპორტაციის შემდეგ მან მთელი ცხოვრება საქართველოში გაატარა და „ქმრის სამშობლო მისად გაიხადა," თავისი „პირველი სამშობლო" მას, უწინარეს ყოვლისა, „მაინც იქ ეგულებოდა, პირენეის ნახევარკუნძულზე, ატლანტის ოკეანის პირად" და მის ცხოვრებაში დღეც კი არ იყო ისეთი, „ბასკეთზე რომ არ ეოცნება" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 4).

სწორედ ამ სიყვარულის ნოსტალგიურ გამოვლინებებად უნდა მივიჩნიოთ წიგნის ის ეპიზოდები, სადაც ავტორი ემოციური შთამბეჭდაობით გვიყვება საინტერესო ეპიზოდებს არა მარტო პირადად მისი ოჯახის წევრთა ცხოვრებიდან, არამედ ბასკების ისტორიიდანაც და თანამედროვე ყოფიდანაც. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ მონათხრობის ემოციურ მუხტს განსაკუთრებულ სიმძაფრეს ზემოთ უკვე ნახსენები ის ჰიპოთეტური მოსაზრებაც სძენს, რომლის მიხედვითაც ბასკები და ქართველები ერთმანეთის მონათესავე ეთნოსებად არიან მიჩნეული.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომბ უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ჰიპოთეტური მოსაზრება გახდა მკვიდრი საფუძველი იმ სიახლოვისა და გულითადი დამოკიდებულებისა, რაც საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან დამყარდა მარტინა მინტეგი ბილბაოსა და ქართველებს შორის. კერძოდ, ჩვენი ქვეყანა მისთვის არა მარტო იმის გამო იქცა მეორე სამშობლოდ, რომ ქართველ კაცზე დაქორწინდა, ქართველი შვილები გაზარდა და მთელი შემდგომი ცხოვრება ამ ქვეყანაში გაატარა, არამედ იმ სიყვარულიანი დამოკიდებულებითაც, რითაც იგი ქართველებისაგან იყო მუდმივად გარემოსილი.

თავად ავტორის არაერთგზისი თქმით, მშობლიურობის ეს გრძნობა მან თბილისში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე იგრძნო. მაგალითად, აი, როგორ გამოხატავს იგი თბილისში პირველად ჩამოსვლით განცდილ იმ ემოციას, რომელიც მის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპისთვის საფუძვლის ჩამყრელ მოვლენად

იქცა: „რაღაც მშობლიური, ასე შორეული და მაინც ახლობელი იყო თბილისური ჭადრების შრიალი, თბილისური მცხუნვარე მზის სითბო და გამჭვირვალე, მტრედისფერი ზეცა. მართალია, თბილისი და ბილბაო ერთმანეთს სრულიად არ ჰგვანან, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ჩემი მშობლიური ქალაქის ქუჩებში დავდიოდი, ჩემი დავიწყებული ქალაქის ჰაერით ვსუნთქავდი, ჩემი ქალაქის ზეცა მეხურა...

თბილისში ბილბაოს ვეძებდი, ქართველ დედებში – დედაჩემს, ქართველ ქალებში – დას... მძიმე დრო იყო, მაგრამ თბილისელები მაინც ახერხებდნენ ჩვენთვის ყურადღება მოექციათ... სიყვარულსა და სითბოს არ გვაკლებდნენ" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 22).

დამოწმებული ეპიზოდი გამონაკლისი არ არის და საქართველოსა და ქართველებისადმი დამოკიდებულების დროს მკაფიოდ გამოხატული მშობლიურობის ეს გრძნობა თავიდან ბოლომდე მსჭვალავს ავტორისეულ მონათხრობს.

თავისი წიგნის მეშვეობით მარტინა მინტეგი ბილბაო არა მარტო საკუთარ დრამატულ ბიოგრაფიას გვიყვება ღრმად შთამბეჭდავი ფორმით, არამედ იმ რთული მოვლენის თანამონაწილედაც გვხდის, რომელმაც იგი ორი სამშობლოს მქონე პიროვნებად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ახლად შეძენილ სამშობლოში მას არც ოჯახური ბედნიერება და სიყვარული ჰქონია სანატრელი და უცხოელობის გამო, არც საზოგადოებისაგან მოკლებია სითბო და ყურადღება, თავისი პირვანდელი სამშობლოს მუდმივი მონატრებისა და მისგან ფიზიკური სიშორით განპირობებული ნოსტალგიის გრძნობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მაინც გაჰყვა დაუცხრომელ სულიერ ტკივილად.

მაგალითად, აი, როგორ გამოხატავს იგი იმ ემოციას, რომელიც მას ოცდაცხრაწლიანი იძულებითი განშორების შემდეგ სამშობლოში ფიზიკური დაბრუნების შედეგად დაეფლა:

„– აი, ესპანეთიც! – დაგვანახა შოფერმა.

გავშრით, გავქვავდით და იმ მთა-გორებს შევაცქერდით, რომლებიც თანდათან გვიახლოვდებოდნენ. წარმოუდგენელია იმ განცდის აღწერა, იმ აღელვების გამოხატვა, სამშობლო მიწის პირველი ნახვისას რომ ვიგრძენი... მოჯადოებული თვალებით შევცქეროდი სამშობლო მიწას. შევცქეროდი და აღელვებისაგან ვერაფერს ვხედავდი. სამშობლოს მხრიდან მონაბერი სიო მელა-

მუნებოდა და სახეზე ალს მინთებდა, მწვავდა და მბუგავდა. თით-ქოს ამქვეყნად ვიყავი და არც ვიყავი. ყელში რაღაც გამეჩხირა, სუნთქვა შემეკრა და ძარღვებში სისხლი გამეყინა... ოცდაცხრა წლის განმავლობაში არ ყოფილა საათი, ჩემს ბასკეთზე არ მეოც-ნება, არ მეფიქრა. და აი, ახლა ეს დღეც დადგა. ცოტაც და მის მინაზე ფეხს დავდგამთ.

ადიოს, ესპანია, ესპანია მია!..

გამიელვა თავში სიმღერამ, რომლითაც ამ ოცდაცხრა წლის წინ ვემშვიდობებოდი ცეცხლსა და ვაებაში გახვეულ მრავალტან-ჯულ ესპანეთს" (მარტინა მინტეგი ბილბაო, 1972: 31).

როგორც უკვე ითქვა, გარდა „ჩემი ბასკეთისა," მარტინა მინ-ტეგი ბილბაო ესპანელ მწერალთა ნოველების ქართული თარგმა-ნებისა და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული რამდენიმე ლიტე-რატურული წერილის ავტორიც არის. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ გასული საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში მის მიერ შეტანილი წვლილის წარმომჩენ ტექსტად, უპირველეს ყოვლისა, „ჩემი ბასკეთი" იქცა, წიგნი, რომ-ლითაც მან არა მარტო საკუთარი ცხოვრებისეული თავგადასა-ვალი მოგვითხრო შესაბამისი პერიოდის მოვლენებთან მიმართე-ბით, არამედ, როგორც ბასკი ეროვნების ქალბატონმა, ბასკური სამყაროს შტრიხებიც წარმოსახა ღრმად შთამბეჭდავი ფორმით.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე ი. რჩეული, თბ. 1989 წ.

აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თ.R ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ. 1959 წ.

ბასკური ენა და ბასკურ-ქართული ჰიპოთეზა, არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ. 1976 წ.

გაბაშვილი ტ. მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ. 1956 წ.

გიორგი მთაწმიდელი, იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება. იხ: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ. 1967 წ.

კეკელიძე კ. ეტიუდები, ტ. I, თბ. 1956 წ.

კლდიაშვილი ს. „ჩემი ბასკეთი," გაზ. „ლიტერატურული საქართველო," 1967წ. 1 დეკ.

მინტეგი მარტინა ბილბაო, "ჩემი ბასკეთი", თბ. 1972 წ.

ნანიტაშვილი ნ. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ. 1987 წ.

სულაბერიძე ლ. მარტინა მინტეგი ბილბაოს წიგნზე მინაწერი, ჟურნ. „მნათობი," 1968 წ. #3.

სირაძე რ. წერილები, თ. 1980 წ.

ძიძიგური შ. ბასკები და ქართველები, თბ. 1978 წ.

ძიძიგური შ. ბასკურ-კავკასიური პრობლემა, თბ. 1981 წ.

2018 წ.

თურქი მწერლის – აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ქალი ანუ შურისძიება“ – საქართველოს ისტორიული რეალიების ამსახველი რომანი

ცნობილი თურქი პროზაიკოსის – აჰმეთ მითჰათ ეფენდის (1844-1912 წწ.) ისტორიული რომანი „ქართველი ქალი ანუ შურისძიება“ თურქულ ლიტერატურაში საქართველოს ისტორიული წარსულის მასშტაბურად ამსახველი პირველი მხატვრული ტექსტია. ქართულ ენაზე დღეისათვის ხსენებული რომანის ორი თარგმანი არსებობს: თამარ ალფენიძისა – სახელწოდებით: „ქართველი ქალი ანუ შურისძიება“ და თამარ თევდორაძისა – ოდნავ სახეცვლილი სათაურით: „ქართველი ასულის შურისძიება.“ თამარ ალფენიძემ ნაწარმოები ოსმალურიდან თარგმნა, თამარ თევდორაძემ კი თანამედროვე თურქულ ენასთან ადაპტირებული იმ ვარიანტიდან, რომელიც 2015 წელს დაიბეჭდა თურქეთში. ორივე თარგმანი 2016 წელს გამოიცა თბილისში.

თურქი ქართველოლოგის – სუდან ალთუნის ხაზგასმით, „აჰმედ მითჰათ ეფენდი თურქული ლიტერატურის ისტორიაში დღემდე ითვლება ყველაზე ნაყოფიერ მწერლად. მის კალამს ეკუთვნის 36 რომანი და 200-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები. მისთვის მეტსახელიც კი შეურქმევიათ მწერლებს – „მწარმოებელი მანქანა.“ თურქული ლიტერატურის ისტორიაში აჰმეთ მითჰათი ითვლება ნოვატორ მწერლად, პირველი თურქული ნოველებისა და რომანების ავტორად (ალთუნი ს. მეოცე საუკუნის თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები და აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედება, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018 წ. გვ. 80).

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ხსენებული „ნაწარმოები თავდაპირველად გაზეთში – ,,მაცნე ჭეშმარიტებისა“ დაიბეჭდა ოსმალურ ენაზე, წიგნად კი 1889 წელს გამოვიდა. რომანი მეორედ 2003 წელს, თურქული პალატის ინიციატივით, თანამედროვე ანბანით გამოიცა. თანამედროვე თურქულ ენაზე რომანის თარგმანი 2015 წელს

გამოვიდა. ეს რომანი ლიტერატურის ისტორიკოსების, კრიტიკოსებისა თუ მკვლევართა მიერ ბიბლიოგრაფიებში იხსენიება, თუმცა მისი შინაარსის მიმოხილვა არსად გვხვდება" (ალთუნი, 2018: 104).

იქიდან გამომდინარე, რომ აჰმეთ მითჰათის ნაწარმოებში ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან კარგად ცნობილი ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდია მოთხრობილი, რომანის წერის დაწყებამდე მწერალს საფუძვლიანად შეუსწავლია ამ მოვლენასთან დაკავშირებით მისთვის ხელმისაწვდომი სპეციალური ლიტერატურა. მისივე ინფორმაციით, ისტორიული ცნობებისა და მასალების საფუძვლიანად შესასწავლის ეს პროცესი „დაახლოებით წელიწად-ნახევარი-ორი წელიწადი" გაგრძელებულა (აჰმეთ მითჰათი, 2016: 11).

ამ გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ აჰმეთ მითჰათის რომანში ქართლ-კახეთის მეფის – გიორგი XII-ის მეუღლის მიერ რუსი გენერლის – ლაზარევის მკვლელობასთან და შესაბამისი პერიოდის ქართულ რეალობასთან დაკავშირებული ამბები უმთავრესად ისტორიული სიმართლითაა მოთხრობილი. მიუხედავად იმისა, რომ ლაზარევის მკვლელობასთან და საქართველოს მთავარმართებელ ციციანოვთან დაკავშირებულ სიუჟეტურ ეპიზოდთა ცალკეული განშტოებანი ავტორისეული ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს, ნაწარმოების უმთავრეს სიუჟეტურ ღერძად ქცეული ამბავი უცდომელი სიმართლით წარმოსახავს ისტორიულ რეალობას.

გადაჭარბებული არ იქნება, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ აჰმედ მითჰათ ეფენდი საკმაოდ ღრმადაა გაცნობიერებული და სწორად ორიენტირებული მისი რომანის წარმოსახვით სივრცეში მოქცეულ ისტორიულ მოვლენათა არსში. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად განსაკუთრებული ყურადღება ნაწარმოების იმ ეპიზოდებს მინდა მივაქციო, სადაც თურქი მწერალი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს მართებულად და სიღრმისეულად წარმოაჩენს, ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად პერმანენტულად მებრძოლი სამი დიდი აგრესორი სახელმწიფოს: ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის მიერ ჩვენს რეგიონში გატარებული კოლონიზატორული პოლიტიკის კონტექსტში.

ნათქვამის დასტურად, ვფიქრობ, რომანიდან ციტირებული ეს ფრაგმენტებიც იქნება საკმარისი: „XVIII საუკუნის ბოლოს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, რომელსაც მეფე

მართავდა. დედაქალაქი იყო ტფილისი. ჩვენმა ქვეყანამ რამდენჯერმე გადაიტანა ომი ოსმალებთან და ირანთან და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ხან ერთს რჩებოდა და ხან – მეორეს, აქ სამეფო დინასტია არ მოშლილა." ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენათა მთხრობელს, საქართველოში მცხოვრებ სომეხ ტიგრანს თურქი მწერალი იქვე იმასაც ათქმევინებს, რომ ჩვენს რეგიონში პოლიტიკურ ასპარეზზე რუსეთის აქტიურად გამოსვლის შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა.

კერძოდ, შავი და კასპიის ზღვების გასასვლელებისკენ დაძრულმა რუსეთმა საქართველოს დაპყრობა გადაწყვიტა, რაც წარმატებით განახორციელა კიდეც. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მომხდარ ამ გარდამტეხ მოვლენას კი ის შედეგი მოჰყვა, რომ რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის მეფის – გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში მეფობა გააუქმა და „საქართველოში მეფის რწმუნებულის თანამდებობაზე თავადი ციციანოვი დანიშნა." ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მემკვიდრის მაგივრად „მეფისნაცვლის თანამდებობაზე არასამეფო შტოდან ვიღაცის დასმა საქართველოში მეფობის ძირიანად განადგურებას ნიშნავდა" (აჰმეთ მითჰათ ეფენდი: 2016: 50-53; ციტატები აქაც და ქვემოთაც დამოწმებული მაქვს რომანის თამარ ალფენიძისეული თარგმანიდან).

როგორც უკვე აღინიშნა, ნაწარმოებიდან ციტირებული ამ ფრაგმენტებიდან და შესაბამის პერიოდში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოთქმული მწერლისეული კომენტარებიდან ნათლად ჩანს, რომ თურქი მწერალი საკმაოდ კარგად იყო გარკვეული ხსენებული ვითარების არსში და იმხანად შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას მართებულად სჯიდა და აანალიზებდა.

ქართველი მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას ამ შემთხვევაში რომანის ის ეპიზოდები იქცევს, სადაც აჰმეთ მითჰათ ეფენდი ჩვენი ქვეყნის მკვიდრთა, განსაკუთრებით კი მისი მთიანი მოსახლეობის, ანტიკოლონიურ სულისკვეთებას გამოხატავს და რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას წარმოაჩენს. თურქი მწერლის არაერთგზისი ხაზგასმით, მიუხედავად ტოტალურად გატარებული ანტიქართული პოლიტიკისა და აგრესიული მმართველობითი პოლიტიკისა, რუსეთმა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების დათრგუნვა და ბოლომდე დამორჩილება ვერაფრით შეძლო.

აი, რას წერს თავად აჰმეთ მითჰათ ეფენდი ამასთან დაკავშირებით: „ჯერ კიდევ დარიალის ხეობაში ვიყავით, როცა ჩემი თარჯიმანი მომიტრიალდა და მითხრა:

– სენიორ, ამ კვალს ხედავთ? ეს კვალი ფშავსა და თუშეთში შეგხვდებათ. ქართველების ეს ორი მხარე რუსებს ჯერ არ დამორჩილებია... რუსები ძალიან ეცადნენ, ესენი დაემარცხებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 22).

ან კიდევ: „ის მოსაზრება, თითქოს ამ რეგიონში რუსების თითქმის საუკუნოვანი მმართველობის გამო, მათი ენაა გაბატონებული, მცდარია. რუსეთის მიმართ კავკასიელების დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ დამთბარა. ამიტომ, გარდა ვაჭრებისა, რუსული არავინ იცის“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016:16).

აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანის სიუჟეტურ საფუძვლად ქცეული ტრაგიკული მოვლენა – ქართლ-კახეთის მეფის – გიორგი XII-ის მეუღლის – მარიამ დედოფლის მიერ მისი შეურაცხმყოფელი რუსი გენერლის – ლაზარევის მკვლელობის ფაქტი საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილ ეპიზოდს წარმოადგენს. როგორც მწერლისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, რომანის ავტორი საფუძვლიანად არის გარკვეული ამ ტრაგიკული მოვლენის არსში და ღრმად შთამბეჭდავი სახით წარმოაჩენს როგორც რუსული ოკუპაციის პირველი წლების საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ისე ამ ოკუპაციის მსხვერპლად ქცეულ ადამიანთა ტრაგიკულ ცხოვრებისეულ ხვედრს.

როგორც ცნობილია, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ოკუპაციისა და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაუქმების შემდეგ, იმპერიის მესვეურებმა აქტიურად დაიწყეს ამ დინასტიის წარმომადგენელთა გადასახლების პროცესი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში. მიზანმიმართულად განხორციელებული ეს მოვლენა არსებითად იყო განპირობებული იმით, რომ სამშობლოში დარჩენილ სამეფო კარის მემკვიდრეებს შესაძლებლობა არ ჰქონოდათ სათავეში ჩადგომოდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომლის უმთავრესი მიზანიც იქნებოდა რუსული ოკუპაციისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ამ მოვლენის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ მაშინ მარიამ დედოფალიც იქცა. მისი და ბაგრატიონთა სამეფო კარის წარმომადგენლების ეს ეროვნული მიზანსწრაფვა კარგად იცოდა ქართლ-

კახეთის მთავარმართებლად იმხანად მყოფმა ნაქართველარმა გენერალმა პავლე ციციანოვმა (აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანში იგი მეფისნაცვლადაა მოხსენიებული, რაც სიმართლეს არ წარმოადგენს. როგორც ცნობილია, მთავარმართებლობის ინსტიტუტი მეფისნაცვლის თანამდებობად 1844 წელს გადაკეთდა). ამიტომაც იგი ყველაფერს აკეთებდა რუსეთის ხელისუფლების იმპერიული მიზნის რეალობად ქცევისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ციციანოვი და მარიამ დედოფალი ახლო ნათესავები იყვნენ, მან ისიც არ დაინდო, ოჯახთან ერთად სამშობლოდან გაასახლა და ამით კიდევ უფრო მეტად განამტკიცა რუსული ხელისუფლების მმართველობა ჩვენს ქვეყანაში.

როგორც უკვე ითქვა, თურქი მწერლის რომანში საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილი ეს მოვლენები ძირითადად სწორად და აშკარად გამოხატული პროქართული თვალთახედვითაა წარმოსახული. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ჯერ შესაბამისი დროის ისტორიული რეალობა გავიხსენოთ მოკლედ.

რუსეთში გადასახლების თავიდან აცილების მიზნით, მარიამ დედოფალმა 1803 წლის აპრილში თბილისიდან თიანეთში წასვლა გადაწყვიტა. თიანეთში „დედოფლის გამგზავრების ოფიციალური მიზეზი ლაშარისა და გუდანის ჯვრების მოლოცვა იყო. სინამდვილეში, დედოფალს სურდა, როგორმე თავიდან აეცილებინა რუსეთში გადასახლება“ (გურული, 2017: 121). მაგრამ ციციანოვმა დედოფლისთვის მიჩენილი ფარული მეთვალყურეების მეშვეობით მისი ეს განზრახვა შეიტყო და მარიამის ყოველგვარი მცდელობა – ზემოთ ნახსენები მიზნის ხორცშესასხმელად საქართველოს მთიანეთის რომელიმე კუთხეში გახიზნვისა, უშედეგოდ დამთავრდა.

ციციანოვმა დედოფალზე მკაცრი და ფარული მეთვალყურეობა ლაზარევს დაავალა და უბრძანა, არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა თბილისიდან მისი წასვლა. რუსმა გენერალმა მარიამის სახლთან ჯერ ყარაულის დაყენება ბრძანა, მეორე დღეს, „1803 წლის 19 აპრილს, კი დილის 6 საათზე დედოფლის სახლში შევიდა... ოფიციალური რუსული დოკუმენტების მიხედვით, მოვლენები ასე განვითარდა: გენერალი ლაზარევი რამდენიმე ოფიცრის თანხლებით დედოფლის საწოლში შევიდა და ოჯახთან ერთად თბილისიდან გასახლების შესახებ აცნობა. დედოფალი გენერალს ცივად შეხვდა და განუცხადა: „უმალ თავს მოვიკლავ, ვიდრე პეტერბურგში გამგზავრებაზე დავთანხმდები!“

დედოფლის საწოლ ოთახში შეჭრილი რუსი გენერალი და მისი თანმხლები პირები შეეცადნენ მარიამი ძალით მოემზადებინათ წასაყვანად. ლაზარევი ამ მიზნით საწოლზე მჯდომ ნახევრად შიშველ დედოფალთან მივიდა. მან მოულოდნელად საწოლში დამალულ ხანჯალს სტაცა ხელი და მარცხენა ნეკნების მხრიდან გენერალს მთელი ძალით ჩაარტყა. ხანჯალი იმდენად ძლიერად იყო დარტყმული, რომ ლაზარევმა კარის ზღურბლამდე ძლივს მიაღწია და იქვე უსულოდ დაეცა...

ლაზარევის მკვლელობის ამ ვერსიას 1803 წლიდან უცვლელად იმეორებს რუსული ისტორიოგრაფია" (გურული, 2017: 123).

დამოწმებული ვერსიისგან განსხვავებით, არსებობს ლაზარევის მკვლელობის მეორე, თავად მარიამ დედოფლისეული, ვერსიაც, რომლის მიხედვითაც რუსი გენერლის მკვლელად არა ქართველი დედოფალი, არამედ აზნაური ნიკოლოზ ხიმშიაშვილი გვევლინება. ამ ვერსიას ასევე ადასტურებენ სამეგრელოს დედოფალი ნინო – მეფე გიორგი XII-ის ასული და ალექსანდრე ორბელიანი (გურული, 2017: 124).

იმის გამო, რომ აღნიშნული საკითხის გარკვევა ჩემს კომპეტენციაში არ შედის, ამ მიმართულებით მსჯელობას მეტად აღარ გავაგრძელებ; საბოლოოდ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ ორი ვერსიიდან თურქი მწერალი პირველს იზიარებს და რუსი გენერლის მკვლელად მარიამ დედოფალი ჰყავს გამოყვანილი.

რომანის უმთავრეს სიუჟეტურ ღერძად ქცეული ამ ისტორიული მოვლენის წარმოსახვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ფაქტიც სძენს, რომ მარიამ დედოფლის ეროვნულ თვალთახედვას აჰმეთ მითჰათ ეფენდი ციციანოვის ანტიქართულ საქმიანობასთან შეპირისპირებული სახით წარმოაჩენს.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ამ ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიზოდი რომანიდან.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ხაზგასმით, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლებთან, მათ შორის მის ღვიძლ ბიძაშვილ მარიამ დედოფალთან, პავლე ციციანოვის (ციციშვილის) დაპირისპირებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები კავკასიის მთავარმართებლად მისი დანიშვნის შემდეგ შეიძინა. ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად თურქი მწერალი ორ უმთავრეს მოვლენას მიიჩნევს: ერთი მხრივ, იმას, რომ ეთნიკურად

ქართული წარმომავლობის მიუხედავად, ციციანოვი ეროვნულად იმდენად გადაგვარებულ პიროვნებას წარმოადგენდა, რომ თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს მყარად დამკვიდრებასა და ქართველთა ეროვნული ცნობიერების რუსიფიკაციას ისახავდა. თურქი მწერლის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ციციანოვი, მართალია, ქართველი იყო, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებზე ის ქართველებთან საკუთარ ენაზე არ ლაპარაკობდა და მათ თარჯიმნის საშუალებით მიმართავდა რუსულად“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2017: 56).

მეორე მხრივ კი იმას, რომ მარიამ დედოფლისა და სამეფო გვარის სხვა წარმომადგენლებისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო ის მოვლენა, რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობისა და სამეფო დინასტიის გაუქმების შემდეგ იმპერიულმა ხელისუფლებამ „ტახტის ნამდვილი მემკვიდრის მაგივრად მეფისნაცვლის თანამდებობაზე არასამეფო გვარის წარმომადგენელი“ რომ დანიშნა, რაც „საქართველოში მეფობის ძირიანად განადგურებას ნიშნავდა“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2017: 53).

ციციანოვმა სამეფო ოჯახის წევრთა ამგვარი დამოკიდებულება მისადმი, ბუნებრივია, კარგად იცოდა, რის გამოც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რუსეთის იმპერიული ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით, ბაგრატიონები საქართველოდან რუსეთში გაესახლებინა და ამ გზით მიზანმიმართულად აეშორებინა თავიდან როგორც მის მიმართ მოსალოდნელი უსიამოვნებანი, ისე ანტირუსული საფრთხეც. კავკასიის გარუსებულ მთავარმართებელს მარიამ დედოფალიც, ბუნებრივია, ამ არასასურველ საქმეთა ერთ-ერთ პოტენციურ ორგანიზატორად მიაჩნდა, რის გამოც ისიც „თვალში ეჩხირებოდა.“ ამიტომაც იმპერიის ხელისუფლებას დაბეჯითებით თხოვდა რუსეთის რომელიმე ქალაქში მის დაუყოვნებლივ გადასახლებას. მისი მტკიცებით, „ტფილისში დედოფლის ყოფნა რუსებთან ქართველების დაახლოებას ხელს შეუშლიდა.“ ეს ყველაფერი მარიამ დედოფალმაც კარგად იცოდა, რის გამოც მისი ბიძაშვილი მან „გვარის ნაძირალად“ მონათლა (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2017: 103).

სწორედ აღნიშნული გარემოების შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ „დედოფლის სახლს მუდმივად უთვალთვალებდნენ“ ციციანოვის მიერ დანიშნული მეთვალყურენი.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის

მწერლურ შესაძლებლობათა მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით წარმომჩენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს წარმოადგენს სარეცენზიო რომანის ის მონაკვეთი, სადაც მარიამ დედოფლის მიერ გენერალ ლაზარევის მკვლელობის ამბავია მოთხრობილი. ნათქვამის ნათელსაყოფად ფრაგმენტული სახით დავიმოწმებ ხსენებულ ეპიზოდს: მარიამის საძინებელ ოთახში შეჭრილ „ლაზარევს სიშმაგისაგან თვალთ დაუბნელდა. საწოლში მყოფი დედოფლისაკენ გაიწია და მას გადასაფარებლიდან გამოყოფილ ფეხში სწვდა...

მარიამი ზიზღით შეკრთა, გეგონება გველი შეეხოო, ბალიშის ქვეშ ხელი შეაცურა, იქიდან ქმრის მიერ დატოვებული ხანჯალი ამოიღო და ლაზარევს ზურგიდან გულში ჩაასო.

ხანჯალი ამოიღო და ისევ რომ უნდა მოექნია, ლაზარევის ზურგიდან სისხლმა გადმოხეთქა და ჭერამდე აასხა. მეტი აღარ იყო საჭირო, ლაზარევმა წამოიყვირა და სული განუტევა“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2017: 69).

ამ მოვლენის შემდეგ, რის შესახებაც ციციანოვმა იმპერიულ ხელისუფლებას მისთვის სასურველი სახით შედგენილი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, მარიამ დედოფალი ოჯახთან ერთად რუსეთში გადაასახლეს. მიუხედავად იმისა, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანში რუსეთში მარიამის გადასახლებასთან დაკავშირებით მოთხრობილი ამბის ცალკეული დეტალები რეალურ სინამდვილეს არ, ანდა ნაკლებად, შეესაბამება, თურქი მწერალი მკითხველს მაინც უქმნის ნათელ წარმოდგენას სამშობლოს იძულებით მოწყვეტილი ქართველი დედოფლის სულიერ განცდებსა და ნოსტალგიურ განწყობილებაზე.

უმთავრესი სიუჟეტური სიახლე, რომელიც თურქმა მწერალმა ამ დრამატული ისტორიის ხორცშესხმის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად აქცია, აღნიშნული ბოროტმოქმედების გამო, ციციანოვისთვის სამაგიეროს მიზღვევაა. მართალია, ავტორის მიერ მოთხრობილი ეს ეპიზოდი ისტორიულ რეალობას არ შეესაბამება, მაგრამ აჰმეთ მითჰათ ეფენდიმ იგი იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად აქცია, რომ ამ გმირული საქმის განმახორციელებელი პიროვნების ქმედება – შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ქართველი ქალის მიერ ბოროტების უმთავრესი შემოქმედის სიკვდილით დასჯისკენ მიზანმიმართული სწრაფვა – რომანის სათაურადაც აქცია.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ნაწარმოების სახელწოდებაშივე ხაზგასმულ სიტყვა ქართველსაც მინდა მივაქციო, რითაც მწერალი პიროვნების მიერ საკუთარ ადამიანურ ღირსებათა ესოდენი მიზანსწრაფულობით დაცვას ქართველი ქალის პიროვნული ბუნების იდეალიზებულ თვისებად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანში ადამიანური კეთილშობილების რომანტიზებული სახით წარმომჩენი სხვა არაისტორიული პიროვნებანიც გვხვდებიან (მაგალითად, გადილა), დედოფალი ელენე მწერალს, ამ თვალსაზრისით, მაინც გამორჩეულად მნიშვნელოვან პერსონაჟად ჰყავს წარმოსახული.

თურქმა მწერალმა, პირველ ყოვლისა, სწორედ იგი აქცია იმ პიროვნებად, რომელმაც დედამისისა და, საერთოდ, ბაგრატიონთა მთელი სამეფო ოჯახის, წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ღონისძიებათა გამო ციციანოვზე მიზანმიმართულად იძია შური და მისი სიკვდილის ერთ-ერთ აქტიურ თანამონაწილედ იქცა.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ავტორისეული მონათხრობის ამგვარი განვითარებით, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ წარმოადგენს და ციციანოვი რეალურად სულ სხვა ვითარებაში დაიღუპა, აჰმეთ მითჰათ ეფენდი თავადაც გვევლინება საკუთარი სამშობლოს გამყიდველი ამ ნაქართველარი კაცის მიმართ რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის მიერ გამოტანილი ზნეობრივი განაჩენის თანაავტორად. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ნაწარმოებიდან.

რუსი გენერლის მკვლელობის შემდეგ ციციანოვმა საწადელს მიაღწია და მარიამი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად რუსეთში გადაასახლებინა. რომანის მიხედვით, დედოფალმა საცხოვრებელ ადგილად ქალაქი ყაზანი აირჩია, რადგანაც იქ „ბევრი ეკლესია და მონასტერი იყო“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2017: 127). თითქოსდა თავისუფლად ცხოვრების ნებადართულ დედოფალზე ხელისუფლებას მუდმივი თვალთვალი ჰქონდა დაწესებული. ამ საქმის უშუალოდ განმახორციელებელი, ავტორის ხაზგასმით, თავად გუბერნატორი იყო.

ასეთ უმკაცრეს პირობებში ცხოვრების მიუხედავად, დედოფალ მარიამსა და მისი ოჯახის წევრებს ციციანოვის მიმართ შურისძიების გრძნობა დაცხრომის მაგივრად კიდევ უფრო მეტად გაუმძაფრდათ და ამ საქმის აღმსრულებლად მარიამის ქალიშვილი ელენე მოგვევლინა. ფანტაზიით წარმოსახულ ამ ეპიზოდს თურქმა მწე-

რალმა მეტი ემოციური შთამბეჭდაობა იმითაც შესძინა, რომ ეს შურისმაძიებლური აქტი ელენემ იმ ხანჯლით აღასრულა, რომლითაც დედამისმა რუსი გენერალი გამოასალმა სიცოცხლეს.

ეს რომ შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა, იმ დიალოგიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომელიც ყაზანიდან სამშობლოში ხსენებული მიზნის ხორცშესასხმელად საიდუმლოდ გამომგზავრების წინ გაიმართა ელენესა და დედამისს შორის. „ეს ხანჯალი, შვილო, – უთხრა დედამ ქალიშვილს წამოსვლის წინ, – მამაშენისგან სახსოვრად დარჩენილი ერთადერთი საჩუქარია... შენ თვითონ ნახე, რამდენად გამომადგა მტარვალებისთვის თავიანთი ადგილის მისაჩენად, როცა გენერალ ლაზარევს გავუყარე ზურგში...

ელენემ ხანჯალი გამოართვა, აღელვებულმა აკოცა, ტანსაცმლის სამკერდეში შეაცურა და უპასუხა:

– დიახ, ის საზარელი დღე სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს გონებაში... მოვა დრო და იმ მტარვალ ციციანოვსა და სხვა ნაძირალებს ვანახვებ, რომ მარიამ დედოფლის შვილი ვარ“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2017: 145).

დიდ სირთულეთა გადალახვის შემდეგ, ახალგაზრდა დედოფალმა დედისთვის მიცემული ეს პირობა მართლაც აღასრულა და რეალურად იქცა კიდეც არა მარტო მისი ოჯახის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მოღალატე ამ ნაქართველარი კაცის სიკვდილით დასჯის ერთ-ერთ მთავარ აღმსრულებლად. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით აღბეჭდილი ეს მონაკვეთი ღრმად შთამბეჭდავი ეპიზოდია მთელს ნაწარმოებში.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად – რამდენადმე შემოკლებული სახით გავიხსენოთ ხსენებული ფრაგმენტი: „მემატიანე ბურეს მიხედვით, ორმა ირანელმა ხანჯლით რომ მოკლა ციციანოვი, მერე ფეხზე თოკი შეაბა და ციხეში შეათრია. სინამდვილეში ასე არ ყოფილა. ციციანოვს ფეხზე მართლაც შეაბეს თოკი და წაათრიეს, მაგრამ... ამ ორი ირანელი მეომრიდან ერთ-ერთი, წინასწარ გამზადებული თოკით ხელში, ელენე დედოფალი იყო. ციციანოვს თოკი ფეხზე წამოაცვა და წაათრია... ელენე დედოფალი გვერდიდან მისდევდა და დასძახოდა:

– გაიბრძოლე, თავადო, გაიბრძოლე! ასე ნუ დანებდები! გრცხვენოდეს! რამეთუ ამ სამარცხვინო მდგომარეობას, შენს ამ გამასხრებას, შენი მამიდაშვილი, მარიამ დედოფალი უყურებს. გრცხვენოდეს მისი. შენი დამცირება მისი შურისძიებაა.

ეს რომ ციციანოვმა გაიგო, გააფთრდა, ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ ხელფეხდაბმულმა ვერ მოახერხა და ისევ მიწას გაერთხა.

დედოფალი ელენე მიუახლოვდა ციციანოვს და თვალებში ჩახედა:

–ვერ მიცანი, ბიძაჩემო? შენი მამიდაშვილის, მარიამ ციციანოვის შვილი, ელენე დედოფალი ვარ... არ ვიცი, როგორ გადავუხადო მაღალ ღმერთს მადლობა, რადგან ამ დღეს მომასწრო... გენერალი ლაზარევი დედაჩემს ზუსტად ასე მოექცა. ისიც კი არად ჩააგდო, რომ ქალი იყო; ფეხში ნაავლო ხელი... მაგრამ დედაჩემის ხანჯალმა იმ ნაგავს თავისი ადგილი მიუჩინა...

ციციანოვი ისე იყო გაცოფებული, ლამის საკუთარი კბილებით დაეგლიჯა ხორცი, მაგრამ თავს ველარაფრით შველოდა.

მეფისნაცვალი ამ სიტყვებით შეათრიეს ჰუსეინ ყული ხანის ციხესიმაგრეში... ელენემ ხელებსა და ფეხებზე ბორკილები დაადო და კისერზე რკალი ჩამოაცვა" (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2017: 194-195).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანის სიუჟეტურ ღერძად ქცეული მოვლენის უმთავრესი ისტორიული პერიპეტიები მეტ-ნაკლები სიზუსტით აქვს წარმოსახული, ავტორისეული მონათხრობის ცალკეული დეტალები რეალობას არ, ანდა ნაკლებად, შეესაბამება. მაგალითად: მდინარე მტკვარი სათავეს დარიალიდან იღებს (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 95. ალფენიძე). ანდა: აი, როგორ განასაზღვრინებს მწერალი რომანის მთავარ პერსონაჟს ანაპიდან აზერბაიჯანის დედაქალაქში წასასვლელ მარშრუტს: „მოგზაურობა ანაპიდან უნდა დამეწყო, აქედან აფხაზეთის გავლით ქუთაისში უნდა ჩავსულიყავი, არდონი და თერგი გადამელახა და დაბა მოზდოკიდან დარიალის გავლით ტფილისში, იქიდან კი, მდინარე მტკვრის გავლით, ბაქოში გავმგზავრებულიყავი" (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 15. ალფენიძე). როგორც ვხედავთ, დამოწმებულ ფრაგმენტში დასახელებული გეოგრაფიული პუნქტების ადგილმდებარეობა სრულიად შეუსაბამოა იმ სამარშრუტო გზასთან, რომელიც რომანის პერსონაჟს უნდა გაევლო ქუთაისიდან ბაქოში წასასვლელად.

ან კიდევ: მწერალს ქართული, საერთოდ, კავკასიური ენები თუნდაც ელემენტარულ დონეზე, რომ სცოდნოდა, იგი რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს, რომელმაც ჩვენი ენა თითქოსდა ოთხ თვეში „ძალიან კარგად შეისწავლა," ქართული ენის შესახებ არამც და არამც არ გააკეთებინებდა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ და პრინციპულად მცდარ ასეთ შეფასებას: ქართული ენა, „კავკასიური

სხვა ასამდე ენის მსგავსად, არ იყო რთული, პირიქით, ღარიბი და მარტივი იყო" (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 145. ალფენიძე).

აჰმეთ მითჰათის რომანის შეფასების დროს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ხაზგასმულად კეთილგანწყობითი ის დამოკიდებულება და სიყვარული, რომელსაც მწერალი უშურველად და სიტყვიერი სიუხვით გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მიმართ. მაგალითად: ,,საქართველოზე შეყვარებული ვარ. ამიტომ აქ მოგზაურობა არასდროს მომბეზრდება... რა სამწუხაროა, რომ აქ უკვე რუსული ცივილიზაცია შემოდის. რუსული ცივილიზაციისა და კულტურის უარყოფითი გავლენის ალბათობა ამ კეთილშობილ ხალხზე ცუდ გავლენას მოახდენს" (აჰმეთ მითჰათი, 2016: 123).

საქართველოსადმი სიყვარულის გამომხატველ ამ ემოციურ მონოლოგს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ხაზგასმულად ნეგატიური იმ პერსპექტივის ავტორისეული გააზრება, რაც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობას მოჰყვებოდა შედეგად.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანის თამარ თევდორაძისეული თარგმანისთვის თანდართულ ბოლოსიტყვაობაში როზეტა გუჯეჯიანი და მირიან ხოსიტაშვილი მართებულად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ თურქი მწერლის ქმნილება ეთნოლოგებისთვისაც ფრიად საყურადღებო ნაწარმოებს წარმოადგენს, რადგანაც მასში „არაერთი ეთნოგრაფიული პასაჟია აღწერილი: საქართველოს ბუნება, ქართველთა ხასიათი, ქართველთა თავგანწირვა ქვეყნისათვის, ქართველთა ანთროპოლოგიური ტიპი, განსახლების არეალი, დასახლების ფორმები, ბრძოლის ხერხები, ქართული ცხენის ჯიშები, მათი აღკაზმულობა, ქართველთა მხედრული გამოცდილება, საოჯახო ყოფის თავისებურებები, ქართული ცეკვები, სიმღერები, სტუმართმოყვარეობა, ლხინი, სუფრის ტრადიციები, ტრადიციული ეტიკეტი, საუბრის მანერა; ვრცელი ინფორმაციაა მოწოდებული სოხუმის, ტფილისის, ფშავის, საქართველოს და ზოგადად, კავკასიის გზების შესახებ; დახასიათებულნი არიან აფხაზები, იმერლები, ფშაველები, აგრეთვე გერმანელი კოლონისტები და სხვ."

ავტორისეული მონათხრობის ამ მხარის შესახებ ასეთი მოსაზრების გამოსათქმელად მყარ საფუძველს ის შეფასებაც ქმნის, რომელსაც რომანის მთავარი პერსონაჟი გამოთქვამს საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასთან და ადათ-ტრადიციებთან დაკავშირებით: „აქაურობა ჩემთვის, ისევე როგორც უმრავლესობისათვის, ერთ-ერთი შეუსწავლელი და

გამოუკვლეველი რეგიონი იყო, რომელიც ერთობ საინტერესო ჩანდა ეთნოგრაფიულადაც და ანთროპოლოგიურადაც" (აჰმეთ მითჰათი, 2016: 15).

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, რომანიდან ეროვნულ-ეთნოგრაფიული კოლორიტით აღბეჭდილი და შესაბამისი პერიოდის ქართულ ყოფასთან ადეკვატური სიზუსტით მისადაგებული მრავალი ეპიზოდი შეიძლება გავიხსენოთ. მიუხედავად იმისა, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის მიერ მოწოდებული ინფორმაციული მასალა ქართველ ავტორთა წერილობით დოკუმენტებსა და მხატვრულ ტექსტებში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, დაფიქსირებულ ცნობებთან მიმართებით, განსაკუთრებული სიახლეებით არ გამოირჩევა, რომანის ამ ეპიზოდებს ყურადღება თუნდაც იმიტომაც უნდა მივაქციოთ, რომ ამ ინფორმაციას ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულით განწყობილი უცხოელი მწერალი გვაწვდის.

მაგალითად, აჰმეთ მითჰათ ეფენდის დახასიათებით, „ტფილისი კავკასიის ცენტრს წარმოადგენდა," უმთავრეს მულტიკულტურულ სივრცეს, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები, თათრები და ებრაელები. თურქი მწერლის ხაზგასმით, საუკუნეების განმავლობაში მყარად დამკვიდრებულმა ამ ისტორიულმა მისიამ XIX საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო დიდი მასშტაბები იმითაც შეიძინა, რომ, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდგომ პერიოდში, თბილისი ამ დიდი ტერიტორიული და ეთნიკური მრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონის უპირველეს ცენტრად იქცა თავისი ყოველგვარი გამოვლინებით, „რუსული მმართველობის დასაყრდენ პუნქტად კავკასიაში." აჰმეთ მითჰათის დახასიათებით, იმდროინდელი „ტფილისის ქუჩები საკმაოდ განიერი და მოწესრიგებული" იყო და ქალაქის არქიტექტურულ იერსახეში ერთმანეთთან შერწყმული ფორმით ვლინდებოდა ევროპული და აზიური შტრიხები (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2017).

მიუხედავად იმისა, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანში უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონებისა (პირველ ყოვლისა ფშავის) და თბილისის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება და ადათ-ტრადიციებია აღწერილი, მწერალი აფხაზეთის, ქუთაისისა და საქართველოს იმ სხვა ადგილების შესახებაც გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციებს, სადაც მას მოუხდა გზად გავლა. მაგალითად, მისი ინფორმაციით, „აფხაზები, სხვა კავკასიელ ხალხებთან შედარებით, უფრო განვითარებულნი და ცი-

ვილიზებულნი იყვნენ“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 17). ანდა: ,,ქუთაისში ჩასულს წინ კავკასიის ბრწყინვალე ისტორია შემომეგება. ახლა ამ ადგილებში რუსულ არქიტექტურას ნახავთ, მაგრამ აქაურობას ოთხი-ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს. კოლხეთის ცენტრის, კოკაცის, როგორც უძველესი მნიშვნელოვანი სავაჭრო და ცივილიზაციის მქონე ადგილის, წარსული ჩემ თვალწინ ისტორიული საჩუქარივით გადაიშალა...

ვინაიდან სანაპირო ზოლზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი უცხოელებზეა დაქორწინებული, ზოგიერთი წესი თუ ადათი მათ უკვე დაკარგული აქვთ. მაგრამ რაც უფრო მაღლა ავდივართ მთაში, უფრო მეტად ჩანს, როგორ შეინახა აქაურმა ხალხმა ის სულიერი სისუფთავე და ნიჭი, რასაც კავკასიელობა ჰქვია, იმდროინდელი სიწმინდე, რომელსაც მატიანე „ოქროს ხანას“ უწოდებს...

ამ ხალხმა, რუსეთის ორმოცდაათ-სამოცწლიანი ბატონობის მიუხედავად, თავისი კულტურა შემოინახა. დიახ! როგორი იყო რუსების დაპყრობამდე ის მაღალი ზნეობა, რომელსაც აქ შეხვდები, უნდა წარმოიდგინო ადამიანმა“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 52).

აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას იმ დამოკიდებულების წარმოჩენაც წარმოადგენს, რომელსაც მისი ერთ-ერთი პერსონაჟი – გერმანელი გიომ სანი გამოხატავს საქართველოსადმი, როგორც ევროპელთაგან არსებითად განსხვავებული ადათ-ტრადიციების მქონე ეგზოტიკური ქვეყნისადმი. კერძოდ, ამ დამოკიდებულების წარმოსაჩენად მწერალი ევროპელთა ყოფა-ცხოვრებასთან შეპირისპირებულად, ხაზგასმულად რომანტიზებული ფორმით, წარმოაჩენს როგორც ქართველთა ყოფა-ცხოვრების ცალკეულ მხარეებს, ისე მათ ფიზიკურ სილამაზეს, შინაგან კდემამოსილებას, სტუმარ-მასპინძლობასა და მსგავს საკითხებს.

მაგალითად, აი, როგორ აღწერს რომანის გერმანელი პერსონაჟი ფშაველ მასპინძლებთან გამომშვიდობების პროცესს: „დამშვიდობების ცერემონიალმა გული შემიკუმშა, ყელში ბურთი გამეჩხირა, თვალზე ცრემლი მომადგა. ჩემი თავის მე თვითონ გამიკვირდა, რადგან ჩვენ, ევროპელებმა, მსგავსი გრძნობები დავკარგეთ. საკუთარი ოჯახის წევრებსაც რომ ვემშვიდობებით, მაშინაც კი არ განვიცდით მსგავს რამეს. ამ დროს კი ამ წრფელ ადამიანებთან ორი ღამის გატარება და განშორება ძალიან მწარე იყო...

ევროპელებმა ცივილიზაციის გზაზე დიდი პროგრესი კი განვიცადეთ, მაგრამ ძალიან ბევრი კარგი თვისება დავკარგეთ... ეს ჭეშმარიტება ამ მოგზაურობის დროს აღმოვაჩინე" (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 91). ანდა: „აქაურები ძალიან სტუმართმოყვარეები არიან. რომელ სოფელშიც უნდა შეხვიდე, დიდ სუფრას გაგიშლიან. აქაურებს ის აქვთ სატრაბახოდ, წელიწადში რამდენ სტუმარს უმასპინძლებენ" (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 122). ან კიდევ: „განა საჭიროა ბრტყელ-ბრტყელი საუბარი იმაზე, თუ რა ლამაზი ქალები და მამაკაცები ვნახეთ საქართველოში? ეს მოხდენილი აღნაგობისა და ლამაზსახიანი ხალხის სამშობლოა, მათ შორის მახინჯი არავინაა, ჩვენ ამ ლამაზებში ლამაზებს ვგულისხმობთ" (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 36). ან კიდევ: „იმის დეტალურად მოყოლა, თუ რა ლამაზები არიან ქართველი ქალები, ზედმეტად მიმაჩნია... ჩემს სიცოცხლეში არაფერს მოუხდენია ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც ქართველ ქალებს... მათმა ამაყმა, კეკლუცმა ღიმილმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა" (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 43).

ქართველებთან, ჩვენს ადათ-ტრადიციებთან და ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებით რომანიდან დამოწმებულ ამ ფრაგმენტებს, რომლებიც ავტორისეული მონათხრობის მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ყველაფერს ამას უცხოელი წერს, ის მწერალი, რომელიც თავისი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა საქართველოსთან თავისი პიროვნული ცხოვრებით დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

ალთუნი ს. მეოცე საუკუნის თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები და აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედება, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018 წ.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი, ქართველი ქალი ანუ შურისძიება, ოსმალურიდან თარგმნა თამარ ალფენიძემ, თბ. 2016 წ.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი, ქართველი ქალის შურისძიება, თურქულიდან თარგმნა თამარ თევდორაძემ, თბ. 2016 წ.

გურული ვ. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი I, თბ. 2017 წ.

გუჯეჯიანი რ. ხოსიტაშვილი მ. ბოლოსიტყვაობა აჰმედ მითჰათ ეფენდის რომანისა „ქართველი ასულის შურისძიება," თურქულიდან თარგმნა თამარ თევდორაძემ, თბ., 2016.

არტაანი და ყარსი — ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები

არტაანი (იგივე — არდაგანი; არდაჰანი)

როგორც ისტორიული დოკუმენტებით ცნობილია, არტაანი, რომელიც წერილობით წყაროებში არდაგანისა და არდაჰანის სახელებითაც მოიხსენიება ხოლმე, მდინარე მტკვრის ზედა ნაწილის ორივე მხარეს მდებარეობს და ტერიტორიულად ესაზღვრება კოლა, ერუშეთი, შავშეთი და ტაო. უძველესი დროიდან მოყოლებული, არტაანი ქართული ტომებით იყო დასახლებული და XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართული სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა.

თამარ მეფის ეპოქაში იგი სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა, XIII საუკუნიდან კი ამ რეგიონში არტაანისა და კოლას ერისთავთა რეზიდენციებიც იყო განთავსებული.

1555 წლიდან, ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს ოკუპირების შემდეგ, არტაანის პროვინცია ამ იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად კი, ოსმალეთის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისაკუთრებულ სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად, რუსეთმა არტაანის პროვინციაც შეიერთა, ხოლო 1918-1921 წლებში იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა.

სამწუხაროდ, 1921 წელს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმებული ყარსის ხელშეკრულების ძალით, არტაანიცა და ისტორიულად საქართველოს კუთვნილი სხვა ქართული ტერიტორიებიც (ართვინის, ოლთისისა და რიზეს ოლქები) კვლავაც თურქეთის შემადგენლობაში მოექცა.

იმისათვის, რომ მკითხველს კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნა არტაანისა და მისი რეგიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასა და, ეროვნული თვალსაზრისით, იქ არსებულ მდგომარეობაზე, ქვემოთ ყურადღება მინდა გავამახვილო პავლე ინგოროყვას წიგნზე „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ," რომელიც 1918 წელს გამოსცა სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობამ.

როგორც ცნობილია, 1918 წლის 3 მარტს გერმანიასთან და მის მოკავშირე ქვეყნებთან ბრესტ-ლიტოვსკში გაფორმებული სეპარატისტული საზავო შეთანხმების საფუძველზე, საბჭოთა რუსეთმა თურქეთს გადასცა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქები.

ეს ის პერიოდი იყო, როცა ამიერკავკასია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უკვე აღარ შედიოდა და ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ამ რეგიონს ამიერკავკასიის კომისარიატი ედგა სათავეში.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ სეპარატისტულად მიღებული ეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის კომისარიატმა მკაცრად დაგმო და გააპროტესტა, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. თურქეთის ხელისუფლებამ სასწრაფოდ მოითხოვა ხსენებული რეგიონების მისთვის გადაცემა.

ამიერკავკასიის ხელისუფლება შეეცადა მტრის აგრესიული შემოტევა დიპლომატიური მოლაპარაკების გზით შეეჩერებინა, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია. ზემოთ ხსენებული საზავო შეთანხმებით წაქეზებულმა თურქეთმა 1918 წლის 8-9 აპრილს დასახელებული რეგიონების მისასაკუთრებლად აქტიური საომარი ოპერაციები გააჩაღა და დაახლოებით ათდღიანი ბრძოლების შემდეგ ბათუმი, ოზურგეთი და სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი დაიკავა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს ტრაგიკული ეპიზოდი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ უკიდურესად რთული ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნის პროცესში პავლე ინგოროყვაც იყო აქტიურად ჩართული. ამას არა მარტო სტამბოლში გამოცემული ზემოთ ნახსენები მისი წიგნი ადასტურებს, არამედ ის ფაქტიც, რომ იგი იმ დელეგაციის წევრიც იყო, რომელიც 1918 წლის მარტში ტრაპიზონში ოფიციალურ მოლაპარაკებებს მართავდა თურქულ მხარესთთან ჩვენს ქვეყნებს შორის წარმოქმნილ ტერიტორიულ პრობლემათა მოსაგვარებლად.

სტამბოლში გამოცემული პ. ინგოროყვას წიგნისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში მკაფიოდ და არგუმენტირებულად, ისტორიული და თანადროული რეალიების გათვალისწინებით, ზუსტად და ზედმიწევნითი სიცხადითაა აღწერილი და განსაზღვრული როგორც საქართველოს

ტერიტორიული საზღვრები, ისე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა.

ამ თვალსაზრისით, მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს, პირველ ყოვლისა, წიგნის ის ეპიზოდები იქცევს, სადაც ავტორი თურქეთის მიერ დავის საგნად ქცეულ რეგიონებთან დაკავშირებით გვანვდის სათანადო ცნობებს. მყარ მეცნიერულ არგუმენტებზე დაფუძნებული ეს მონაცემები არა მარტო იმხანად არსებული ვითარების არსში გასარკვევადაა უაღრესად საინტერესო, არამედ დღევანდელი თვალსაზრისითაც.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც უსათუოდ უნდა გაესვას ხაზი: კონსტანტინეპოლის კონფერენციის მონაწილეთათვის დასარიგებლად გამიზნული ეს ნაშრომი, რომელსაც, როგორც უკვე ითქვა, თავად ავტორი „სამახსოვრო ცნობის" სახელით მოიხსენიებდა, ცალკე წიგნად გამოცემის შედეგად, სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობამ ფაქტობრივად ფართო საზოგადოების კუთვნილებადაც აქცია.

ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ეს ყველაფერი იმ ქვეყნის დედაქალაქში მოხდა, რომლის ხელისუფლება იმხანად არა მარტო პოლიტიკურ-დიპლომატიური გზებით ცდილობდა ქართული სახელმწიფოს დიდი ნაწილის მისაკუთრებას, არამედ სამხედრო ძალის გამოყენებითაც. მართალია, პ. ინგოროყვას წიგნი ქართულ ენაზე იყო გამოცემული, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი, მისი შინაარსიდან და გამოცემის ადგილიდან გამომდინარე, თურქულ (და არა მარტო თურქულ) წრეებში მაინც გახდებოდა მეტ-ნაკლებად რეზონანსული მოვლენა.

მიუხედავად იმისა, რომ პ. ინგოროყვა მკითხველის ყურადღებას, პირველ ყოვლისა, საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებს მიაპყრობს და უზუსტესი სახით განსაზღვრავს ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში, ჩამოყალიბებულ მის კოორდინატებს, ავტორი ჩვენი ქვეყნის ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის, ეთნიკური შემადგენლობისა და ენობრივი სიტუაციის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებაც გვაწვდის სათანადო მონაცემებს.

წიგნს განსაკუთრებულ ღირსებას სძენს ის ფაქტი, რომ თავად ავტორის ხაზგასმით, ეს მონაცემები მას შედგენილი ჰქონ-

და „ადმინისტრაციის ოფიციალური ცნობებისა“ და „ამ საგანზე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სპეციალური გამოკვლევის“ საფუძველზე (ინგოროყვა, 1918: 12).

ასე რომ, აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებით, პ. ინგოროყვა, ისტორიულ დოკუმენტებსა და მყარ სტატისტიკურ მონაცემებზე დამყარებით, უარყოფდა ყველა იმ ტერიტორიულ პრეტენზიას, რომელსაც საქართველოს უყენებდნენ იმხანად მისი მოწინააღმდეგე ქვეყნები. მისი მტკიცებით, „საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს იმ მთლიანს ერთეულს“ წარმოადგენდა, რომლის „საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით“ (ინგოროყვა, 1918: 1).

იმხანადაც და ამჟამადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ ათასწლეულობით დამკვიდრებული ამ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის სისხლხორცეულ ნაწილად პ. ინგოროყვა ჩვენი ქვეყნის იმ რეგიონებსაც მიიჩნევდა, რომლებიც ისტორიული აბუჩებობის გამო, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა მოქცეული.

არადა, ისინი არა მარტო ტერიტორიულად, არამედ მოსახლეობის დიდი ნაწილის ეთნიკური შემადგენლობითაც ქართულ რეგიონებს რომ წარმოადგენდა, ამის ნათელსაყოფად პ. ინგოროყვა ცალკე, გამოყოფილი სახით, გვთავაზობს მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს ბრესტის ზავის საფუძველზე თურქეთსა და საქართველოს შორის იმხანად უმწვავესი კონფლიქტის საფუძვლად ქცეულ ზემოთ ხსენებულ მხარეებში რეალურად არსებული ვითარების შესახებ. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ბათუმის, სამცხე-ჯავახეთისა და არტაანის მხარეები საქართველოს უნდა ჩამორთმეოდა და თურქეთს გადასცემოდა.

პ. ინგოროყვას ხაზგასმით, ბრესტის ზავის ამ პუნქტს არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. კერძოდ, „რუსეთი არ იყო უფლება-მოსილი დაეთმო საქართველოს მიწა-წყალი,“ რადგან მან „ვიდრე ბრესტის ხელშეკრულება დაიდებოდა, ფაქტიურად დასტოვა საქართველო, გაიყვანა რა თავისი ჯარები საქართველოს საზღვრებიდან და ამით დაჰკარგა

ყოველგვარი უფლება საქართველოზე" (ინგოროყვა, 1918: 10).

ამგვარი გადაწყვეტილების უსაფუძვლობის ნათელსაყოფად და მკითხველის იმაში დასარწმუნებლად, ხსენებული რეგიონები ისტორიულადაც და იმჟამინდელი რეალობის გათვალისწინებითაც ქართული სახელმწიფოს სისხლხორცეულ ნაწილებს რომ წარმოადგენდა, პ. ინგოროყვას ოფიციალური ცნობარებიდან ამოკრებილი სტატისტიკური მონაცემებიც მოაქვს.

ამ მონაცემების მიხედვით, ხსენებული რეგიონების მოსახლეობის უმეტესობას ქართველები წარმოადგენდნენ. პ. ინგოროყვას თქმით, მათი დიდი ნაწილი, მართალია, მუსულმანი იყო, მაგრამ მათში „წმიდად არის დაცული ქართული რასსა, დიდ ნაწილს შეუნახავს ქართული დედა-ენა და მთელი ხალხი დღემდე თავისთავს გურჯს (ე. ი. ქართველს) ეძახის" (ინგოროყვა, 1918: 10).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, პ. ინგოროყვას ნარკვევში იმ გარემოებასაც ესმება ხაზი, რომ „მთელი ქართველი მუსულმანობისთვის ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე, და მეცხრამეტე საუკუნეშიაც, დედა-ენა ქართული იყო. ბოლო დროებში – წარსული საუკუნის მანძილზე – ქართული ენის ცოდნა ზოგ ადგილას შემცირდა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსულ რეჟიმს. რუსეთის მმართველობა, რომლის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველობის დასუსტებისაკენ, ყოველნაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოებას მათ ქრისტიან მოძმეებთან. თუ სადამდე მიდიოდა კერძოთ ქართული ენის შევიწროება ამ მხარეში – ადვილად წარმოსადგენია მარტო იმ ფაქტიდან, რომ აქ თურქების მფლობელობის დროს სოფლის სამმართველოსა და სამსაჯულოში ქართული ენა იხმარებოდა, რუსეთის მმართველობამ კი რუსული და თურქული ენები შემოიღო. რუსულ-თურქული ენა შემოღებულ იქმნა აგრეთვე სკოლებში."

პ. ინგოროყვას თქმით, რუსული ხელისუფლების მიერ გატარებულ ასეთ პოლიტიკას ის სავალალო შედეგი მოჰყვა, რომ „ახალციხე-ახალქალაქის მხარეში, სადაც მთელი მუსულმანი ქართველობა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა აქ ზოგ კუთხეში დავიწყებას მიეცა. ასეთ რაიონებში ძველ თაობას დღემდე ახსოვს ქართული, ახალგაზ-

რდობა კი ველარ ლაპარაკობს დედა-ენას. ასევეა არტაანის კუთხეებში – ფოცხოვის და ტაოს-კარის რაიონებში" (ინგოროყვა, 1918: 11).

იმის გათვალისწინებით, რომ არტაანის რეგიონში, ეთნიკური თვალსაზრისით, დღესდღეობით რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა, მკითხველს შევახსენებ იქ არსებული მდგომარეობის შესახებ პ. ინგოროყვას მიერ მოტანილ იმჟამინდელ მონაცემებს.

არტაანის მხარის ფოცხოვის უბანში იმხანად მცხოვრები 15 000 სულიდან ყველა მუსულმანი ქართველი იყო. მათგან ქართულ ენაზე საუბრობდა 5-10%. არტაანის ოლქში მცხოვრები 56 000 სულიდან მუსულმანი ქართველი იყო 15 000, თურქი – 16 000, ქურთი – 12 000, სხვა ეროვნების ქრისტიანები კი 13 000. ქართველ მუსულმანთაგან ქართულ ენაზე საუბრობდა მხოლოდ 1-5%. ოლთისის ოლქში მცხოვრები 32 000 სულიდან მუსულმანი ქართველი იყო 20 000, სომეხი – 2 000, თურქი – 3 000, ქურთი – 4 000, სხვა ეროვნების ქრისტიანები კი 3 000. ქართველ მუსულმანთაგან ქართულად აქაც საუბრობდა მხოლოდ 1-5% (ინგოროყვა, 1918: 12).

როგორც ცნობილია, 1877-1878 წლებში თურქეთთან გამართულ ომში გამარჯვების შედეგად, რუსეთის ხელისუფლებამ მისი იმპერიისთვის შემოერთებული ქართული და სომხური ტერიტორიები ორ ადმინისტრაციულ ერთეულად – ბათუმისა და ყარსის ოლქებად დაჰყო. ექვთიმე თაყაიშვილის ხაზგასმით, ხსენებული ოლქების შემადგენლობაში ტერიტორიათა ოკრუგების სახით შეყვანის დროს დარღვეული იყო ამ ტერიტორიების ისტორიულად არსებული გეოგრაფიული საზღვრები.

კერძოდ, „ყარსის ოლქს შეადგენდა ოკრუგები ყარსისა, ყაღიზმანისა, არდაგანისა და ოლთისისა. ისტორიულად და ეთნოგრაფიულად ყარსის და ყაღიზმანის ოკრუგები ეკუთვნოდა სომხეთს, არდაგანის და ოლთისის – საქართველოს. ოლთისის ოკრუგი ხელოვნურად იყო მიწერილი ყარსის ოლქზე. გეოგრაფიულად ის უნდა შესულიყო ბათუმის ოლქში... არდაგანის ოკრუგი, რომელიც მდებარეობით წარმოადგენს ზეგანის პლატოს, გაყოფილი იყო უჩასტკებად: ჩილდირისა, არდაგანისა, გელისა და ფოცხოვისა. პირველი სამი უჩასტკა მდებარეობს მტკვრის ზემო წელზე, ხოლო ფოცხოვის უჩასტკა ფოცხოვის წყალზე. ეს უჩასტკაც ხე-

ლოვნურად იყო მიწერილი არდაგანის ოკრუგზე, ვინაიდან გეოგრაფიულად ფოცხოვი სრულიად არ შეადგენს არდაგანის ზეგანის პლატოს ნაწილს" (თაყაიშვილი, 1991: 297).

ე. თაყაიშვილისავე განსაზღვრით, არდაგანის ოკრუგი, რომლის ტერიტორიაც 5 644 კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა და რომელიც ოსმალეთის მიერ ამ მხარის დაპყრობამდე ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, იმხანადაც ძირითადად ქართველებით, კერძოდ კი გამაჰმადიანებული ქართველებით, იყო დასახლებული და მათი რაოდენობა 84 257 სულს უდრიდა. და ეს მაშინ, როცა, მკვლევრის შენიშვნით, რუსეთ–თურქეთის ზემოთ ნახსენები ომის შემდეგ „არდაგანის ოკრუგიდან სათათრეთში გადასახლდნენ 22 743 სული მცხოვრები" (თაყაიშვილი, 1991: 298).

რუსეთის მიერ არტაანის მხარის შემოერთების შემდგომ, იქ ეროვნულ–ქართული და ენობრივი თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომებშიც. ე. წ. სამუსლიმანო საქართველოში მცხოვრები ჩვენი მოძმეების ტრაგიკული ისტორიის შესწავლით განსაკუთრებით დაინტერესებული ჩვენი დიდი მამულიშვილის ინფორმაციით, ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში არსებობის პერიოდისაგან განსხვავებით, როდესაც არტაანი და ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული სხვა ქართული მხარეები ქრისტიანული ტაძრებითა და ეკლესია–მონასტრებით მოფენილ რეგიონებს წარმოადგენდა და უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ოსმალეთის იმპერიის მიერ მათი დაპყრობის შემდგომ, მდგომარეობა არსებითად და რადიკალურად შეიცვალა.

კერძოდ, იქ მცხოვრები ჩვენი მოძმეების უდიდესი ნაწილი არა მარტო რელიგიურად გაუცხოვდა, არამედ ეროვნულადაც ასიმილირდა თურქულ ეთნოსთან და საერთოდ ველარ საუბრობდა ქართულად.

ზ. ჭიჭინაძის ხაზგასმით, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში, პირველ ყოვლისა, მაინც ყარსისა და არტაანის მხარეებში მცხოვრები ჩვენი მოძმეები აღმოჩნდნენ. ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში:"

„ამ კუთხეში დიდი ხანია, რაც ქართველნი მოისპნენ და აღიგავენ დედამიწის პირიდამ. აქ თუ რამეს ვიტყვით და მოვიყვანთ, ეს იქმნება მხოლოდ თხრობა ჩვენის ტომის განვლილ ცხოვრების ვითარების და მის ავ-კარგიანობის. სხვა არაფერი, რადგანაც ყოველივე გარდაიქმნა, გარდაშენდა, გადასხვაფერდა, ძველის ძველ ქართველთ კვალი წაიშალა, მოისპო“ (ჭიჭინაძე, 1913: 225).

არტაანში, რომელსაც ქართულ ისტორიულ წყაროებში ერუშეთის სახელითაც მოიხსენიებენ ხოლმე, „ქართველთ სოფლებთა რიცხვი იყო 1000 სოფლამდე, დიდი და პატარა. მათ აქვნდათ მრავალი ციხეები, კოშკები ძველი ტაძრები, წყალზედ გასავალი ხიდები და სხვანი.“ მას შემდეგ, რაც ეს მხარე „ოსმალთა დამუხლეს,“ იქ მცხოვრები ქართველობა არა მარტო რელიგიურად გაუცხოვდა, არამედ ეროვნულადაც გადაგვარდა.

ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლების ბრძანებით, „აკრძალული იქმნა ქართული ენა სალაპარაკოდ. კარში, საქვეყნოდ კი არა და თვით სახლშიც, ჩუმათაც კი ეშინოდათ შვილებთან ქართულს ენაზედ ლაპარაკის...

ამ გარემოებამ ისე იმოქმედა, ისე მედგრად დევნა ქართული ენა, რომ XVIII საუკ. ნახევარს არტაანის მხარეში ქართული ენა თითქმის ძირიანად იქმნა ამოგდებული, ქართველთ შორის მოსპობილი და დავიწყებული“ (ჭიჭინაძე, 1913: 233).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ზ. ჭიჭინაძე იქვე იმ გარემოებასაც მიაპყრობს ყურადღებას, რომ ქართული ნაკვალევის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად ხელისუფლებამ არტაანში არსებული ქართული ტოპონიმებიც შეცვალა თურქული სახელწოდებებით. კერძოდ, არტაანს არდაჰანი (არდაგანი) უწოდა, „ერუშეთის სოფლებსაც ასევე შეუცვალეს სახელები და მათ ნაცვლად უწოდეს ოსმალური, თურქული და ქურთული სახელები. თითო ოროლა სოფელს კი შერჩათ აქა იქ ქართული სახელები, მაგრამ ერთობ მცირედ“ (ჭიჭინაძე, 1913: 234).

არტაანში ენობრივი და რელიგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის ცნობილი კავკასიოლოგი ევგენი ვეიდენბაუმიც (1845-1918 წწ.). კერძოდ, მისი ინფორმაციით, ოსმალეთის მიერ დაპყრობილ არტაანში ქრისტიანობა და ქართული ენა „უკვალოდ გაქრა, დარჩა მხოლოდ უამრავი ეკლესიის ნანგრევი ქალაქის შემოგარენში“ (ვეიდენბაუმი, 2005: 85).

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ არტაანი და მისი რეგიონი ყარსის ხელშეკრულების ძალით საქართველოს სახელმწიფოებრივი იურისდიქციის მიღმა დარჩა და კვლავაც თურქეთის შემადგენლობაში მოექცა, ეთნიკური თვალსაზრისით, იქ დღესდღეობით არსებითად განსხვავებული მდგომარეობაა და ამ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა უკვე მკვეთრად და რადიკალურადაა შემცირებული. ქართული ენის მცოდნე კი მათ შორის არათუ დღესაა სანთლით საძებარი, არამედ ასეთები რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოსთვის ამ მხარის შემოერთების პერიოდშიც ძნელად მოიძებნებოდნენ.

გულსატკენი ამ შემთხვევაში არა მარტო ზემოთ აღნიშნული რეალობაა, არამედ ის ფაქტიც, რომ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრებისა და ქართული სახელმწიფოებრივი სივრცისაგან იძულებითი განშორების შედეგად, არტაანსა და მის რეგიონში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების არცთუ მცირე ნაწილი რუსეთ–თურქეთის ზემოთ ხსენებული ომის შედეგად დედასამშობლოსთან შემოერთების პერიოდშიც უკვე იყო მთლიანად ასიმილირებული ოსმალურ ეთნოსთან.

ნათქვამის დასტურად არაერთი კონკრეტული ფაქტი შეიძლება დავიმოწმოთ ე. წ. „ოსმალოს საქართველოს“ ისტორიიდან.

მაგალითად, ახალციხეში მცხოვრები ერთ-ერთი ჩვენებური – პოეტი ჯეერი (ნამდვილი სახელია ჰასანი. 1805-1875 წწ.), რომელიც 1828-1829 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის გამართულ საომარ ოპერაციებშიც იღებდა მონაწილეობას და აქტიურად იბრძოდა რუსების წინააღმდეგ, ამ ომში გამარჯვებული რუსეთის მიერ ახალციხისა და მისი რეგიონის მიერთების შემდეგ მშობლიური კუთხიდან აიყარა და არტაანში გადაიხვეწა (კასაბი, 2012: 293). ზემოთქმულთან ერთად, ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ახალციხეში მიმდინარე საომარი ოპერაციები მას საკმაოდ დეტალურადაც ჰქონია აღწერილი ხსენებულ ომთან დაკავშირებით დაწერილ მოგონებებში.

ვფიქრობ, ქართველი მკითხველისათვის უცნობი ამ ნაწარმოების გამოქვეყნება არა მარტო იმ თვალსაზრისით იქნება მნიშვნელოვანი, რომ იგი ახალი დეტალებით გაამდიდრებს აღნიშნული ომის ისტორიას, არამედ იმ მხრივაც, რომ მისი მეშვეობით იმ დამოკიდებულებაზეც შეგვექმნება უფრო ნათელი

წარმოდგენა, რასაც ოსმალეთის მხარეს მდგარი ქართველობა იჩენდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისადმი.

ამავე თვალსაზრისით, ასევე უაღრესად საინტერესოა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ იმ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებათა ხაზგასმაც, რასაც, ერთი მხრივ, აჭარის მმართველი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახალციხის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი (1755-1815 წწ.) და, მეორე მხრივ, მისი შვილთაშვილი თემურ ხიმშიაშვილი (1860-1921 წწ.) იჩენდნენ ე. წ. „ოსმალოს საქართველოს" დედასამშობლოსთან შემოერთებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, თუ ქართული ეკლესიის მიერ დღეს უკვე ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გმირად შერაცხულ სელიმ ხიმშიაშვილს ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ქართული მხარეების განთავისუფლებისათვის ბრძოლის გამო, თავი მოჰკვეთეს, მისი შვილთაშვილი თემურ ხიმშიაშვილი დედასამშობლოს შემოერთებული ამ რეგიონების კვლავაც ოსმალეთისთვის დასაბრუნებლად გამართულ საომარ ოპერაციებში იღებდა აქტიურ მონაწილეობას 1914-1918 წლებში; 1915 წელს თურქულ ენაზე დაწერილ ერთ-ერთ ლექსში კი რუსების მიერ არტაანის აღებისა და ამ გზით საქართველოსთვის მისი კვლავაც შენარჩუნების ფაქტს ამგვარ შეფასებას აძლევდა (იხ: ლორთქიფაქნიძე ქ. ლორთქიფანიძე, 2004: 23):

გვამებით არის სავსე არდაგანი.
გათელილ იქნა ღირსება, პატიოსნება, ნამუსი,
რამდენი ოცნება გაფერმკრთალდა და დაჭკნა.
რამდენი პატიოსანი ოჯახი განადგურდა.
აუხდენელი ოცნებების ქალაქად იქცა არდაგანი.
სამოთხის მსგავსი იყო ეს ქალაქი,
ხალიჩებით მორთული,
განადგურდა ქალაქი,
რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში,
მიწასთან გასწორდა არდაგანი...
განა მარტო არდაგანია ასეთ მდგომარეობაში,
ართვინში, არტანუჯში რაები მოხდა?
აჭარა, მარადიდი ცეცხლით დაიწვა,
დაემხო, ნანგრევებად იქცა არდაგანი.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსის ავტორის შეშფოთება და სასოწარმკვეთი მწუხარება არტაანსა და ისტორიული საქართველოს სხვა რეგიონებში გაჩაღებული საომარი ოპერაციების შედეგად დატრიალებულ ადამიანურ ტრაგედიათა გამო, სავსებით გასაგებიცაა და გასაზიარებელიც, ისიც აშკარა ფაქტია, რომ პროთურქული სახელმწიფოებრივი თვალთახედვის მქონე ქართველი ავტორისათვის სრულიად გაუგებარიცაა და მიუღებელიც ის დიდი ეროვნულ-პატრიოტული შედეგი, რაც ამ ომს უნდა მოეტანა ჩვენი ქვეყნისათვის, გლოვისა და სასოწარკვეთის საგნად ქცეულ რეგიონებში, იმხანად განვითარებულ მოვლენათა წყალობით.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, სამუსლიმანო საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ყოფისადმი ჩვენი საზოგადოების ინტერესი იმდენად საყოველთაო მოვლენადაც კი იქცა, რომ იგი იმჟამინდელი ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკის ერთ-ერთ მთავარ თემად დამკვიდრდა და საქართველოში გამომავალ ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში სისტემატურად იბეჭდებოდა ხსენებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის ამსახველი წერილები.

ამ პუბლიკაციათაგან დღესდღეობით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პირველ ყოვლისა, ის მასალებია, რომელთა ავტორებიც დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებულ ამ რეგიონებში მუშაობდნენ წლების განმავლობაში და უშუალოდ ეცნობოდნენ იქ არსებულ ვითარებას. აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველი, ზემოთქმული თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო ინფორმაციას მიიღებს სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის პუბლიკაციებიდან.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში ს. ასლანიშვილის მიერ საკმაოდ მრავლად გამოქვეყნებული წერილებითა და მისივე არქივში დაცული მასალებით მკითხველს კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა ექმნება იმ მდგომარეობაზე, რომელიც სამუსლიმანო საქართველოს სოფლებში არსებობდა იმხანად.

ს. ასლანიშვილის დამსახურებას განსაკუთრებით ფასეულს ხდის ის ფაქტი, რომ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში – 1878 წლიდან 1900-იან წლებამდე – თავადაც ცხოვრობდა ხსენებულ რეგიონში. კერძოდ, თავდაპირველად ის ერთი წლის

განმავლობაში არტაანის ფოსტა-ტელეგრაფში მუშაობდა, შემდეგ კი არტანუჯში გადაიყვანეს.

ს. ასლანიშვილის პუბლიცისტური წერილების უმთავრეს ღირსებას, პირველ ყოვლისა, ის ფაქტი წარმოადგენს, რომ თავის პუბლიკაციებში იგი უშუალოდ მის მიერ ნანახსა და განცდილს აღწერდა და მოუთხრობდა მკითხველს (ნაშრომში გამოყენებული ს. ასლანიშვილი-ბავრელის პუბლიკაციები დამოწმებულია წიგნიდან: სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, წერილები „ოსმალოს საქართველოზე." ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ, თბილისი, 2008 წ.).

მართალია, ს. ასლანიშვილის პუბლიცისტური წერილები მკითხველთა დიდი ნაწილისათვის დღესდღეობით ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ ავტორის დროინდელი საზოგადოება მათ მიმართ საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდა და „ოსმალოს საქართველოსადმი" მიძღვნილ მის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს მაღალ შეფასებას აძლევდა.

მაგალითად, ზ. ჭიჭინაძის ხაზგასმით, „როცა ამ პიროვნების სამსახურს და მოღვაწეობის ცნობებს მოვთვლით, იგი იქნება ჯილდო ჩვენის ღირსების, პატივისცემის და სიყვარულის, რასაც მოითხოვს ჩვენი ზნეობრივი ვალი." ზ. ჭიჭინაძისავე შეფასებით, გაზეთ „დროების" ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილებით, რომელთაც „ამ დროის ქართველობა აღტაცებით კითხულობდა," ს. ასლანიშვილმა „მთელი არტაანის თემის ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება," რის შესახებაც მანამდე „სულ არაფერი ვიცოდით, პირველად გააცნო ჩვენს საზოგადოებას...

არდანუჯი და მთელი მისი თემის, ანუ შავშეთის, არდანუჯის და იმერხევის სოფლების მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებიც იმან გააცნო ქართველობას." ამდენად, „ვისაც უნდა სამცხე-საათაბაგოს, ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრების გაცნობა და ქართველ კათოლიკებისა, ის იმის ნაწერების გაუცნობლობას ვერ ასცდება; თვით მეც კი იმის წერილების მიბაძვით დავიწყე სამუსლიმანო საქართველოში მოგზაურობა და მუშაობა."

ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ს. ასლანიშვილის პუბლიცისტურ წერილებს, როგორც „საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხალხური სიტყვიერების შესწავლის დროს ნამდვილ პირველწყაროებს,"

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მართლაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება (ლომსაძე, 1984: 130).

ს. ასლანიშვილის პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ იგი ფაქტობრივად პირველი ქართველი მამულიშვილი იყო, რომელმაც დედასამშობლოსთან შემოერთების პირველივე წლიდან მოყოლებული, ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იცხოვრა და იღვაწა ქართველი საზოგადოებისათვის იმხანად სრულიად უცნობ ისეთ ადგილებში, როგორებიც იყო: არტაანი, არტანუჯი და ართვინი; ასევე, ფეხდაფეხ შემოიარა მთელი შავშეთი, იმერხევი, აჭარა და სამუსლიმანო საქართველოს სხვა რეგიონები, რის შედეგადაც საფუძვლიანად შეისწავლა იქ არსებული უძველესი ქართული ძეგლები, ეკლესია-მონასტრები და ციხე-სიმაგრეები, იქაურ ქართველთა ყოველდღიური ყოფა, ადათ-ტრადიციები და საჭირბოროტო პრობლემები. ამ საქმეში მას უდიდეს დახმარებას უწევდა თურქული ენის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.

ს. ასლანიშვილის ბიოგრაფები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ იგი იქაური ქართველების აქტიური მოსარჩლე და მათი ჭირ-ვარამის უანგაროდ გამზიარებელი პიროვნებაც ყოფილა. ასევე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მას მუსულმან ქართველთა განსწავლის საქმეშიც. მაგალითად, დ. კოჟორიძის ინფორმაციით, არტაანში მას კერძო ქართული სკოლაც დაუარსებია ჩვენი მაჰმადიანი თანამემამულეებისათვის, სადაც მის მიერვე შედგენილი სახელმძღვანელოებით უფასოდ ასწავლიდა ბავშვებს (კოჟორიძე, 1986: 177).

სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი დაიბადა 1851 წელს ახალქალაქის მაზრის სოფელ ბავრაში (აქედან მომდინარეობს მისი ფსევდონიმი – ბავრელი. ს. ასლანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებით იხ: ლ. ქურდაძისა და გ. საითიძის ნარკვევი წიგნში: ასლანიშვილი-ბავრელი, 2008: 17-33; ასევე: ჭიჭინაძე, 1905: 51-53; ლომსაძე, 1984: 128-130; კოჟორიძე, 1986: 176-178...).

როგორც ლ. ქურდაძემ და გ. საითიძემ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ს. ბავრელის პირადი არქივის შესწავლის საფუძველზე გაარკვიეს, პუბლიცისტის „წინაპრები გვარად ლეონიძეები ყოფილან. რუსეთ-ოსმალეთის ომის დას-

რულების შემდეგ, ბავრაში გადასახლების დროს, არეულობის გამო, პირადი საბუთები დაკარგვიათ, ხოლო რუს მოხელეებს, მოსახლეობის აღწერისას, ისინი ჩაურიცხავთ ასლანოვებად, რადგანაც ოჯახის უფროსს სახელად ასლანი რქმევია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ს. ბავრელის პირად არქივში, ინახება ამ უკანასკნელისა და მისი შვილების თხოვნა, მათთვის ძველი გვარის (ლეონიძე) აღდგენის შესახებ" (ასლანიშვილი, 2008: 18).

სამუსლიმანო საქართველოში სამუშაოდ ს. ასლანიშვილი ომის დამთავრებისთანავე გაემგზავრა. როგორც ცნობილია, მეომარ სახელმწიფოებს შორის 1878 წლის 3 მარტს გაფორმებული სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით, რაც 1878 წლის 13 ივლისის ბერლინის კონგრესმაც დაამტკიცა, რუსეთს ოფიციალურად გადმოეცა თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული ტერიტორიები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970: 451).

ს. ასლანიშვილი არტაანში ჩასვლის პირველივე დღეებიდან მოყოლებული აქტიურად შეუდგა იქაურთა ყოფა-ცხოვრების საფუძვლიან შესწავლას, რის შესახებაც სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს „დროებასა" და „ივერიაში." მიუხედავად იმისა, რომ იგი ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებსაც წერდა, მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა და სხვა თემებზეც აქვეყნებდა წერილებს, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი ინტერესს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ზემოთ ხსენებული პუბლიკაციები განსაზღვრავს.

სამუსლიმანო საქართველოში ხანგრძლივად ცხოვრების პერიოდში ს. ასლანიშვილი მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით არ შემოიფარგლებოდა და აქტიურ მამულიშვილურ საქმიანობასაც ეწეოდა. კერძოდ, მის მიერ დაარსებულ კერძო სკოლაში იგი ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, ადგილობრივ მოსახლეობას კი შეძლებისდაგვარად ესარჩლებოდა და იცავდა ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალადობრივ ქმედებათაგან.

სამუსლიმანო საქართველოს თემაზე თავისი პირველი პუბლიკაცია – „მგზავრის შენიშვნები (ახალქალაქიდამ არტაჰანამდის)" ს. ასლანიშვილმა 1878 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ივერიის"

26-ე ნომერში. მასში არტაანში სამუშაოდ მიმავალი პუბლიცისტის მგზავრობის ამბავია მოთხრობილი. ავტორის ხაზგასმით, საკმაოდ რთული და დრამატული ამბებით სავსე ეს მგზავრობა მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არა მარტო იმით იძენდა, რომ მას პირველად ეძლეოდა შესაძლებლობა „ჩვენის დიდის ხნის მოშორებულის მოძმეების ნახვისა," არამედ იმის გამოც, რომ გზად მიმავალი პუბლიცისტი ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან ახლად განთავისუფლებულ მისი მამა-პაპის „სამშობლო სოფელსაც" მოინახულებდა პირველად.

როგორც ს. ასლანიშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილია, მისი წინაპრები არტაანის პროვინციიდან, კერძოდ კი ჩრდილის (ჩილდირის) ტბის მახლობლად მდებარე სოფელ ველიდან ყოფილან, საიდანაც 1828-1829 წლების ომის შემდგომ გადმოსახლებულან ჯავახეთში (ჭიჭინაძე, 1905: 51; ლომსაძე, 1984: 128; ქურდაძე, საითიძე, 2008: 17-18).

ავტორის თქმით, მის ამ სიხარულს განსაკუთრებულ ემოციურ სიმძაფრეს ის ნაუბრებიც სძენდა, რითაც მისი თანასოფლელები მათი წინაპრების ადგილსამყოფელს იგონებდნენ. აი, როგორ უსვამს ხაზს თავად პუბლიცისტი აღნიშნულ გარემოებას წერილის დასაწყისშივე: „იმ სოფელზედ, საიდამაც ისინი (მათი წინაპრები – ა. ნ.) არიან გადმოსახლებულნი, ბევრი ქება გამიგონია ჩემთა მოხუცებულთაგან. იმისთანა გულის სიმხურვალით და სიყვარულით იგონებდნენ ხოლმე თავის სამშობლო სოფელს, რომ ბევრჯელ შევნიშნავდი, რომ იმის მოგონებაზე თვალში ცრემლი მოჰსდიოდათ და ოხვრას ამოატანდნენ ხოლმე თავის გულის სევდას. ისინი ამ სოფელს იგონებდნენ, როგორც თავიანთ საყვარელს სამშობლოს" (ასლანიშვილი, 2008: 34).

ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" 1906 წლის მე-14 და მე-15 ნომრებში გამოქვეყნებულ წერილების სერიაში – „ველელები" ს. ასლანიშვილმა საკმაოდ ვრცლად და შთამბეჭდავად მოგვითხრო ოსმალეთის იმპერიაში მისი ველელი წინაპრების ცხოვრებასთან, გაკათოლიკებასთან და ჯავახეთში გადმოსახლებასთან დაკავშირებული ამბები. მისი ინფორმაციით, არტაანის მაზრაში შემავალ სოფელ ველის სამას კომლიან მოსახლეობას, რომლებიც ადრე მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ და წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე აღავლენდნენ, კათოლიკური სარწმუნოება XVIII საუკუნის 20-იან წლებში მიუღია.

პუბლიცისტის ცნობით, მაჰმადიანური რელიგიის გარემოცვაში მოქცეული ველელები, მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, მაინც ახერხებდნენ თავიანთი სარწმუნოების დაცვასა და შენარჩუნებას; 1828 წელს კი, რუსების მიერ ოსმალთა ბატონობისაგან სამცხე-ჯავახეთის განთავისუფლებისა და შემოერთების შემდეგ, „ველელებმა, მობეზრებულებმა თათრების შევიწროებისაგან, მოიწადინეს ახალქალაქის მაზრაში გადმოსახლება, როგორც ქრისტიან სამთავროში, რომ ცოტა თავისუფლად ამოესუნთქათ. მაშინ ველელი ქართველები გადმოვიდნენ და დაიჭირეს ოთხი ვერანა სოფელი, მაშინ სპარსელებისაგან გაოხრებულნი: ბავრა, კარტიკამი, ხულგუმო და ტურცხი“ (ასლანიშვილი, 2008: 189).

თუმცა, ს. ასლანიშვილის ხაზგასმით, „ამ ერთმა მუჭა ხალხმა ქრისტიან სამთავროშიც მოსვენება და თავისუფლად ამოსუნთქვა ვერ ნახეს: ერთის მხრით სომხები და მეორეს მხრით მართლმადიდებლის სამღვდელოება მოსვენებას არ აძლევდნენ.“ საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სომეხ კათოლიკეთა და „ახალციხის მღვდელთ უმფროს შაჰყულოვის“ აქტიური მცდელობის შედეგად ველელი კათოლიკენი იძულებულნი გახდნენ სომხურ ტიპიკონზე გადასულიყვნენ, რითაც კიდევ უფრო მეტად დაშორდნენ მშობლიურ ენობრივ წიაღს. ასე რომ, ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა შედეგად, ველელები წირვა-ლოცვას სომხურ ენაზე აღასრულებდნენ, ყოველდღიურ საკომუნიკაციო ენად კი „სათათრეთიდან გადმოტანილ თათრულ ენას“ იყენებდნენ.

რაც შეეხებათ ველში დარჩენილ ქართველებს, დროთა განმავლობაში ისინი იძულებული გახდნენ ბედს დამორჩილებოდნენ და გამუსლიმანებულიყვნენ, რასაც შედეგად სოფელში არსებული ქრისტიანული ეკლესიის დანგრევაცა და გაპარტახებაც მოჰყვა. კერძოდ, სოფელში მისულ პუბლიცისტს ხსენებული ეკლესია ასეთ მდგომარეობაში დახვედრია: „კარების ამყოლები და ზღუდენი ჩაუნგრევიათ უსამართლოებს. კედლები იმისთანა ხელოვნებით არის ნაშენი, გეგონება, მთელი კედელი ერთი ქვისააო; მხოლოდ დროს და წვიმა-თოვლს დაუდვნია ქვები. შიგნიდამ ყოფილა სულ ნახატი, მაგრამ ჩაუნგრევიათ და ზოგიერთს ალაგას დარჩენილან მოწმეთ წმინდანების თავები... კარის ზეიდამ ყოფილა დიდი ქვა, რომელზედაც ყოფილა

ზედწარწერა; ჩამოვარდნილა და ზედ გადმონგრეულა კოშკის კედელი“ (ასლანიშვილი, 2008: 73).

როგორც ს. ასლანიშვილის პუბლიცისტიკიდან ნათლად ჩანს, სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა დიდი ნაწილი მშობლიური წიაღისგან სამ საუკუნოვანმა მოწყვეტამ არა მარტო სარწმუნოებრივად გააუცხოვა თავისი ქრისტიანი მოძმეებისაგან, არამედ ეროვნული ცნობიერებითაც. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, პუბლიცისტი ხსენებულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველებს ხშირად თათრების სახელით მოიხსენიებს ხოლმე.

მაგალითად, პუბლიცისტის ინფორმაციით, „არტაანის მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი თათრები არიან და ართვინელი ფრანგები, რომლებიც ლაპარაკობენ სომხურს და ურევენ ბევრ ქართულ სიტყვებს. თათრები ახალციხის საათაბაგოდამ არიან გადმოსახლებულნი, მაგრამ ქართული ენა სრულებით დავიწყებული აქვთ“ (ასლანიშვილი, 2008: 46).

მსგავსი ვითარება ყოფილა სოფელ რაბათშიც (დღესდღეობით თურქეთის შემადგენლობაშია), სადაც ასევე ახალციხიდან გადასახლებული ქართველები ცხოვრობდნენ. მათგან ქართული ენა მხოლოდ ერთადერთ მოხუცს სცოდნია.

აი, როგორ აღწერს ავტორი მასთან შეხვედრის ეპიზოდს: „რომ გაიგო მე ქართული ვიცოდი, ძალიან გაუხარდა და მთელი სამი საათი არ შეუწყვეტია ლაპარაკი, მაგრამ მაინც ცდილობდა ყველაფერი ქართულად ეთქვა“ (ასლანიშვილი, 2008: 40).

მეტ-ნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა სხვა სოფლებშიც, სადაც ქართული ენა ძირითადად თურმე მოხუცებმა იცოდნენ. მაგალითად, პუბლიცისტის ინფორმაციით, სოფელ ბაგრახათუნში, რომლის მკვიდრთა უმეტესობას „თათრები (ყოფილი ქართველები)“ (ავტორის სიტყვებია) წარმოადგენდნენ, ქართული ენა „ბევრმა ღრმა მოხუცებულმა იცოდა“ (ასლანიშვილი, 2008: 42).

ს. ასლანიშვილის წინაპართა სოფლის მცხოვრებთაგან კი, რომლებიც იქ „ახალციხის სოფლებიდამ იყვნენ გადასახლებულნი, ქართულს არავინ ლაპარაკობდა, გარდა სამი ღრმა მოხუცებულისა“ (ასლანიშვილი, 2008: 72).

როგორც ვხედავთ, ჩვენს ქართველ მოძმეებს ს. ასლანიშვილი თათრების სახელით არა მარტო იმიტომ მოიხსენიებს,

რომ ისინი გამაჰმადიანებულები იყვნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათ უმეტესობას წინაპართა მშობლიური ქართული ენაც ჰქონდა დავიწყებული.

ბუნებრივია, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინაპართა მშობლიური ენისადმი ამგვარი დამოკიდებულების მქონე ჩვენებურებს არც ქართული წერა-კითხვა ეცოდინებოდათ. როგორც ს. ასლანიშვილის წერილებიდანაც ირკვევა, სამუსლიმანო საქართველოს იმ სოფლებში (მარადიდი, ბორჩხა, მაჭახელი...), სადაც, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის ძირითად სასაუბრო ენას კვლავაც ქართული წარმოადგენდა, ქართული დამწერლობის არცოდნით გამოწვეულ დანაკლისს თურმე იმით ივსებდნენ, რომ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ქართულ ტექსტებს არაბული ანბანით წერდნენ.

მაგალითად, პუბლიცისტთან საუბარში ერთ-ერთ მარადიდელს უთქვამს: „ჩემმა ბაბოამ იცოდა გურჯიჯა იაზი (წერა), რაჰმათოლოგი (ცხონებული) კარგათ სწერდა.

– შენ არ იცი? არ გისწავლია?

– კი, ბატონო, მუსულმანჯა ვიცი, გურჯიჯა არა. ჩვენ იმისთანა ქითაბი გვაქვს, რომ იმაში სწერია გურჯიჯა სიტყვები თათრულ იაზებით“ (ასლანიშვილი, 2008: 86).

როგორც ს. ასლანიშვილის პუბლიკაციებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ეროვნული ფესვებისგან „ოსმალეთის საქართველოში“ მცხოვრები ჩვენებურების მოწყვეტა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, მუსლიმანური სარწმუნოებისადმი მათი დიდი ნაწილის ფანატიკურმა ერთგულებამაც განაპირობა არსებითად. მისი ხაზგასმით, „ართვინის, არდანუჯისა და არტაანის თათრები წარმოადგენენ ახალციხელ თათრებს. ესენი ისე განირჩევიან აჭარის, მაჭახელის, ბორჩხის, ბათუმის და შავშეთის თათრებისაგან, როგორც ქართველები მეგრელ-გურულებისაგან“ (ასლანიშვილი, 2008: 116).

როგორც ითქვა, თათრებად ჩვენი თანამემამულეების მოხსენიების განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად ავტორს მათი სარწმუნოებრივი აღმსარებლობა აქვს მიჩნეული და არა ეთნიკური წარმომავლობა. ეთნიკურად კი ისინი ქართველებს რომ წარმოადგენდნენ, ამას ს. ასლანიშვილი მათი საყოფაცხოვრებო ადათ-ტრადიციების დახასიათებითაც უსვამს ხაზს.

მისი შეფასებით, სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრი ჩვენი მოძმეების დიდი ნაწილის ეროვნული ცნობიერების დეგრა-

დირებისა და მშობლიურ წიაღთან მათი გაუცხოების ერთ-ერთ მძლავრ გამოვლინებას ის მკრეხელური დამოკიდებულებაც წარმოადგენდა, რასაც მათი ცალკეული წარმომადგენლები მათივე წინაპრების მიერ აგებული ქრისტიანული საკულტო ნაგებობებისადმი იჩენდნენ.

მაგალითად: „არტაანის მაზრაში, საითაც გადადგას კაცმა ფეხი, ყოველ ნაბიჯზე შეხვდება ძველს ნაშთებს: ნანგრევ ეკლესიებს და ციხე-კოშკებსა" (ასლანიშვილი, 2008, 68); ანდა: „მაღლა სერზედ დგას ძველის ეკლესიის ნანგრევი... ისე გაუოხრებიათ ეს ეკლესია, რომ კაცს ვერ გაუგია, რა გეგმაზე ყოფილა ნაშენი" (ასლანიშვილი, 2008: 43).

ს. ასლანიშვილის ინფორმაციით, სამუსლიმანო საქართველოში ყოფნისას, მის მიერ ნახული ქრისტიანული ეკლესიების უმეტესობა სწორედ ანალოგიურ, ანდა უარეს მდგომარეობაში, იმყოფებოდა; ნაწილი კი მთლიანად იყო დანგრეული და უკვალოდ აღგვილი პირისაგან მიწისა. მაგალითად, სოფელ ველის შემოგარენში არსებული ძველი ეკლესია „სრულიად გაოხრებულია. მარტო ადგილი ეტყობა. ეკლესიის გვერდით... გაფენილია სასაფლაოები. ქვებზე ნაწერი ვერ ვიპოვე. ერთ-ორ ქვაზე კი ჯვარის სახე და რაღაც მგზავსად გამოხატულია სურათი, მგონია, იესო ქრისტეა. ერთ ქვაზედ გამოსახულია წმიდა გეორგი თავის ცხენზე მჯდომარე და შუბით" (ასლანიშვილი, 2008: 74).

პუბლიცისტის ინფორმაციით, გარდა ქრისტიანული საკულტო ნაგებობებისა, ამგვარი ვანდალური დამოკიდებულების ობიექტად ჩვენი წინაპრების მიერ აგებული სხვა ისტორიული ძეგლებიც ხდებოდნენ ხოლმე ცალკეულ შემთხვევებში. მაგალითად, არტაანში, მტკვრის სანაპიროზე, ქართველების მიერ აშენებული და მოგვიანებით ოსმალების მიერ გაახლებული ციხე-სიმაგრის კედლებზე მხოლოდ ოსმალური წარწერები არსებობდა, ქართული ნაკვალევი კი მთლიანად იყო წაშლილი (ასლანიშვილი, 2008: 45).

ხსენებული ძეგლი გამონაკლისი არ ყოფილა და ანალოგიურ მდგომარეობაში ჩვენი წინაპრების მიერ აგებული სხვა ისტორიული ნაგებობანიც იმყოფებოდნენ. მაგალითად, არტაანის მაზრის ერთ-ერთ სოფელში ყოფნის დროს პუბლიცისტს ასეთი გულსაკლავი სურათი უნახავს: სოფლის ერთ მხარეს „გაოხრებული ეკლესია" იდგა, მეორეზე კი ძველი ციხე-სიმაგრისაგან

გადარჩენილი ერთი მაღალი კოშკი. „ვიღაც ოხერ ბეგს დაუნგრევია ეს ციხე და მოუხმარია თავის სასახლისათვის. ეკლესია სულ დარღვეულია“ (ასლანიშვილი, 2008: 68).

რუსეთის იმპერიასთან შემოერთებულ რეგიონებში არსებული არასახარბიელო მდგომარეობით გამოწვეულ გულისტკივილს ს. ასლანიშვილს კიდევ უფრო მეტად უმძაფრებდა ის ფაქტი, რომ მუჰაჯირობის შედეგად ქართული მოსახლეობისაგან დაცარიელებულ ადგილებში რუსული ხელისუფლება ქართველების ნაცვლად უცხოტომელებს ასახლებდა მიზანმიმართულად.

მაგალითად, აი, რას წერდა პუბლიცისტი ამასთან დაკავშირებით „დროების“ 1879 წლის 8 ოქტომბრის ნომერში დასტამბულ წერილში: „არტაჰანი, არდანუჯი, ართვინი და აჭარა უნდა გაერანდნენ. რასაკვირველია, ეს ამბავი საწყენო და უსიამოვნო გახლავს, მაგრამ რა ვქნათ; ახლა უნდა ვეცადოთ, რომ ეს გაერანებული ადგილები ისევ ჩვენ დავიკავოთ, „სხვის“ აღარ ნუ ჩავაგდებთ. იმერეთში, ქართლში, ჯავახეთში და ბევრ სხვა ადგილებში მრავალია შევიწროებულნი – ზოგი უმიწობის გამო და ზოგიც ცუდი მებატონის გამო. სჯობია, „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“ – კარგი და სანატრელი იქნება, რომ ჩვენივე ხალხი გადმოსახლდებოდნენ აქედ“ (ასლანიშვილი, 2008: 155).

ხსენებული პრობლემის მოგვარების ეს გზა ს. ასლანიშვილს, ეროვნული თვალსაზრისით, იმდენად მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, რომ ამ გარემოებას თავის სხვა წერილებშიც ხშირად მიაპყრობდა ხოლმე მკითხველის ყურადღებას. მაგალითად, „დროების“ 1880 წლის 15 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში წერდა: „თათრებიც წავლენ, სომხებიც, ფრანგებიც, სოფლები ვერანად რჩება და ადგილები. რამდენი გაჭირებული ხალხია ჩვენში უადგილობის გამო და არავის-კი არ აძლევენ. ჭირი არ არის, მაშ რა არის? ცხრა მთის იქიდამ მოჰყავთ ხალხი და აქ ჩვენ გაჭირებულს ხალხს კი არ გვაძლევენ“ (ასლანიშვილი, 2008: 169).

როგორც ცნობილია, მიზანმიმართულად გატარებული სწორედ ამ მზაკვრული კოლონიური პოლიტიკის შედეგად, რუსეთის ხელისუფლებამ იმხანადაც და შემდგომშიც ზემოთ ხსენებულ ადგილებშიცა და სხვა რეგიონებშიც ათასობით უცხოტომელი ჩამოასახლა კომპაქტურად, რათა რეალურად გამოეცალა საფუძველი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობისათვის.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღნიშნულ მოვლენათა ეპიცენტრში მყოფი ს. ასლანიშვილი ქართველ საზოგადოებას სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციებს სამუსლიმანო საქართველოში მიმდინარე ზემოთ აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით. მათგან პუბლიცისტის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მშობლიური მიწა-წყლიდან ოსმალეთისაკენ დაძრულ მუჰაჯირთა რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა.

გაზეთ „დროების“ 1891 წლის 6 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში კი აღნიშნავდა: „საუკუნის ერთი მეათედის განმავლობაში რა ვაკეთეთ ჩვენ, ქართველებმა, ამ ახალაღებულ მხარეს? პასუხი ძალიან მოკლეა: არაფერი, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი ან სამსახურის მიზეზით, ანუ სამეცნიერო აზრით ესტუმრებოდა ართვინის მაზრას და მოაგონებდა აქაურ გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომ თქვენი მამა-პაპა ქართველები იყვნენო და სხვა მეტი არაფერი. ამით თავდება საქმე. ჩვენსა და მათ შორის იმისთანა მაგარი კედელია ამოყვანილი ისტორიულის გარემოებით ფანატიკოსობისა, რომ ვერა ღონე ამ შემთხვევაში ნაყოფს ვერ მოიტანს. მართალია, აქაურებიც იძახიან, „ჩვენ გურჯები ვართო,“ მაგრამ მაინც, თითქმის მესამედი წილი მცხოვრებლებისა გადაიხვეწა ოსმალოში სხვადასხვა მხარეს, დანარჩენები შემთხვევას ეძებენ, რომ საუკუნოდ დასტოვონ თავიანთი სამშობლო“ (ასლანიშვილი, 2008: 183).

სამუსლიმანო საქართველოში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის კრიტიკული განსჯა-გაანალიზების საფუძველზე, რაც იქაურ მკვიდრთა ცხოვრებისეული რეალობიდან მოტანილი მაგალითებითაც იყო განმტკიცებული, ს. ასლანიშვილი ცდილობდა მუჰაჯირობის განმაპირობებელი კონკრეტული გარემოებანიც წარმოეჩინა. მაგალითად, მისი თქმით, ადგილობრივი მოსახლეობის ცალკეული წარმომადგენლები მასთან საუბარში თურმე დაუფარავად აცხადებდნენ, რომ მშობლიური მიწიდან მათი აყრა და ოსმალეთში გადახვეწა ახალი ხელისუფლების მიერ ახლად შემოერთებულ რეგიონებში მიზანმიმართულად გატარებული დისკრიმინაციული მმართველობითი პოლიტიკითაც ყოფილა არსებითად განპირობებული.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს „დროების“ 1879 წლის 2 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული წე-

რილიდან „არტაანიდამ ართვინამდინ (მგზავრის შენიშვნები).“ ერთ-ერთმა იქაურმა მცხოვრებმა ავტორს მშობლიური კერიდან მისი მოძმეების აყრისა და ოსმალეთში გადახვეწის განმაპირობებელი უმთავრესი მიზეზი თურმე ამგვარად განუმარტა: „ღმერთმან იცის, რომ ჩვენ გავურბოდით მოქრთამე საბიუბსა, მაგრამ ვერ გავექეცით! როგორც ეტყობა, ალახის ნება ასე ყოფილა – ისინი თუ ხუთ ყურუშს გვართმევდნენ, ახლა ასი ყურუშით ვერა ვრჩებით... ყველაფერს გავუძლებთ, მაგრამ წკეპლს კი ვერა“ (ასლანიშვილი, 2008: 132).

ს. ასლანიშვილის პუბლიცისტური წერილების მეშვეობით მკვეთრად ნეგატიური იმ დამოკიდებულების შესახებაც გვექმნება ნათელი წარმოდგენა, რომელიც სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას ჰქონდა საზოგადოდ მთელი რუსეთის ხელისუფლების, კონკრეტულად კი ახლად შემოერთებულ რეგიონებში სამუშაოდ წარგზავნილი ჩინოვნიკების მიმართ.

მაგალითად, „დროების“ 1879 წლის 2 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ ზემოთ დამოწმებულ წერილში ავტორი შემდეგნაირად მოგვითხრობს ერთ-ერთ სოფელში მისი და მისი თანამგზავრების შემთხვევითი სტუმრობის ამბავს: „რომელ სახლთანაც მიველით და ჩვენი „ურუსული“ ხმა გავაგონეთ, ყოველგან გააქრეს სინათლეები. ეტყობა, ჩვენ საბითებს (ჩინოვნიკებს) ძრიელ შეუყვარებიათ თავი! როგორც იყო, ბოლოს ჩავიდგე ხელში ერთი ახალგაზრდა თათარი, რომელმაც მიმიყვანა მუხთართან (მამასახლისთან). იმის გამოყვანისათვის დაგვჭირდა ნახევარი საათი“ (ასლანიშვილი, 2008: 131).

ს. ასლანიშვილის აზრით, რუსული ხელისუფლებისადმი სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა ნეგატიურ დამოკიდებულებას არა მარტო ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა უსამართლობანი და ქედმაღლური ქმედებანი განაპირობებდა არსებითად, არამედ ის გარემო პირობებიც, რაშიც თავად ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს უწევდათ ცხოვრება და საქმიანობა. მაგალითად, აი, როგორ აღწერს პუბლიცისტი ერთ-ერთ სოფელში განთავსებულ რუსულ სამხედრო პოსტს: „ხიდთან სდგას ოსების ფოსტი. სატირელი სადგომი აქვთ აქ ოსებს – ოთხ მინგრეულ-მონგრეულ კედლებზე დაუხურიათ ყავარი, ისიც საცერივით ყოველგან ღია. წვიმიან დღეს თუ კაცი გარეთ არ გამოვიდა, ვერ გადაურჩება კოკასავით ჩამოსულ წვიმის წყალს. ტყე-შეშა,

წყალი, მიწა, სოფელი და ყოველი საწვალი ცხვირს წინა აქვთ. თორმეტი კაცი არიან და ერთი პატარა ქოხი ვერ გაუკეთებიათ თავიანთვისა. აბა, რა უნდა ითხოვოს კაცმა ამისთანა სალხისაგანა?!" (ასლანიშვილი, 2008: 139).

მიუხედავად იმისა, რომ ს. ასლანიშვილის პუბლიცისტიკა ენობრივადაც საკმაოდ დაუხვეწელია და მხატვრულ სრულყოფილებასაც აშკარად მოკლებული, ავტორისეული თხრობა მაინც იძლევა საფუძველს იმის სათქმელად, მისი წერილები მწერლური ნიჭით მადლცხებული შემოქმედის მიერ რომაა დაწერილი. ჩემი აზრით, ს. ასლანიშვილის პუბლიცისტიკას ამგვარი შეფასება პირველ ყოვლისა სიტყვიერი ხატოვანებით მეტ-ნაკლებად გამორჩეული იმ ცალკეული ფრაგმენტების საფუძველზე შეიძლება მივცეთ, რომელთა მეშვეობითაც ავტორი მისეულ სათქმელს ემოციურ შთამბეჭდაობასაც სძენს.

ასეთია უმთავრესი შტრიხები ს. ასლანიშვილის მიერ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში სამუსლიმანო საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებისა. როგორც აღნიშნული საკითხის შესწავლით დაინტერესებული მკითხველი თუნდაც წინამდებარე მიმოხილვითაც დაინახავს, ხსენებულ პუბლიკაციათა ავტორი საკუთარ ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ის პიროვნება იყო, რომელიც თავის მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდა არა მარტო სიტყვით მდგარიყო მშობელი ხალხის სამსახურში, არამედ პრაქტიკულ საქმეთა აქტიური კეთებითაც მოეხადა საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი.

ს. ასლანიშვილის ეროვნული ნაღვაწის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ ზ. ჭიჭინაძის ერთ-ერთი წერილიდან ასეთი ბიოგრაფიული დეტალიც მინდა გავიხსენო: ჩილდირის ხეობაში არსებული ქართული ეკლესიის ნანგრევთა ნახვით აღელვებულ და მწარედ დაფიქრებულ პუბლიცისტს კედელზე თურმე ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „ვნახე ეს დიდებული ნაშთი. ქართველი ცხოვრების გულმდუღარად მტირალი სოლომონ ასლანიშვილი."

ეს ცნობები ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს დიდის ქება-დიდებით მოჰყავს თავისგან დაწერილს საქართველოს ისტორიის პირველ ტომში."

„ქართველი ცხოვრების გულმდუღარად მტირალი სოლომონ ასლანიშვილი..." არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სამუს-

ლიმანო საქართველოს ტრაგიკული ისტორიის უტყვ მაცნეებად შთენილ ნგრეულ ნაშთთა ხილვით უსაზღვროდ დამწუხრებული პუბლიცისტის გულიდან ამონაკვნესი ამ ცრემლიანი სიტყვებით მისმა ავტორმა თავადვე შეაფასა უზუსტესი ფორმით თავისი მოკრძალებული მამულიშვილური წვლილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ასლანიშვილი-ბავრელი ს. წერილები „ოსმალოს საქართველოზე," ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ, თბ. 2008 წ.

ვეიდენბაუმი ე. ბათუმიდან ართვინამდე, თარგმნეს მ. ჩხაიძემ და გ. საითიძემ. თბ. 2005 წ.

თაყაიშვილი ე. ემიგრანტული ნაშრომები. იხ. წიგნში: დაბრუნება. მრავალტომეული, გურამ შარაძის საერთო რედაქციით. თბ. 1991 წ.

ინგოროყვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, სტამბოლი (კონსტანტინეპოლი,) 1918 წ.

კასაბი მ. ოსმალეთის ქართველები, სტამბოლი, 2012 წ.

კოჟორიძე დ. განათლება და კულტურა სამცხე–ჯავახეთში, თბ. 1986 წ.

ლომსაძე შ. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ. 1984 წ.

ლორთქიფანიძე ქ. ლორთქიფანიძე გ. აჰმედ აჭარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია, თბ. 2004 წ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. XIX, თბ. 1970 წ.

ჭიჭინაძე ზ. სამცხე–საათაბაგო, თბ. 1905 წ.

ჭიჭინაძე ზ. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თფ. 1913 წ.

ორჰან ფამუქის „თოვლი“

ა) გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ და ორჰან ფამუქის „თოვლი“ (მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებანი)

მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის კლასიკოსის – გრიგოლ რობაქიძის (1880-1962 წწ.) რომანი „ჩაკლული სული“ (პირველად გამოიცა 1932 წელს) და ორჰან ფამუქის (დაიბადა 1952 წ.) „თოვლი“ (დაიწერა 1999-2001 წლებში. ნაწარმოები ქართულ ენაზე თარგმნა ნანა ჯანაშიამ; იხ: თბილისი, 2011 წ.) ეპოქების, პოლიტიკური სისტემებისა და რელიგიების მხრივ ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ქვეყნებში არსებულ ცხოვრებისეულ სინამდვილეს წარმოსახავენ, ისინი ბევრი რამით მაინც გვანან ერთმანეთს და საკმაოდ მყარ საფუძველს იძლევიან მათ შორის მსოფლმხედველობრივ ურთიერთმიმართებათა გამოსავლენად.

როგორც ცნობილია, გრ. რობაქიძემ „ჩაკლული სული“ ემიგრაციაში ცხოვრების დროს დაწერა გერმანულ ენაზე (ქართულად თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ; იხ: თბილისი, 1991 წ.) და იგი ევროპაში იმდენად პოპულარულ ნაწარმოებადაც კი იქცა, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, ერთ-ერთი შვედური ლიტერატურული ჟურნალის (“IDUN”) ორგანიზებით ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის შედეგად, მსოფლიო ლიტერატურის სამ საუკეთესო ნიმუშთა შორის დასახელდა (რობაქიძე, 1996: 252).

რაც შეეხება თანამედროვე თურქული ლიტერატურის ფართოდ ცნობილი წარმომადგენლის, ნობელის პრემიის ლაურეატის (2006 წ.) – ორჰან ფამუქის რომანს – „თოვლი,“ იგი გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე თურქეთში არსებული პოლიტიკური ვითარების ღრმად და მასშტაბურად ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებია, რომელმაც არა მარტო მწერლის სამშობლოში მოიპოვა საყოველთაო აღიარება და ლიტერატურული საზოგადოებრიობის დიდი სიყვარული, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც, მათ შორის საქართველოშიც.

ამ აღიარების დასტურად აქ თუნდაც იმ ფაქტის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ „თოვლი“ 2004 წელს მსოფლიოს ათ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებს შორის დაასახელა.

ხსენებულ ნაწარმოებებს შორის არსებული მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებანი, უპირველეს ყოვლისა, გრ. რობაქიძისა და ო. ფამუქის მიერ წარმოსახულ ეპოქალურ მოვლენათა მსგავსების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, გრ. რობაქიძე თავის რომანში გასული საუკუნის 20-იანი წლებისა და 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში პოლიტიკური თვალსაზრისით არსებულ სინამდვილეს წარმოსახავს, ო. ფამუქი კი – გასული საუკუნის 70-80-იანი წლების თურქეთისას.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე რომანში მხატვრულ გამონაგონსა და ფანტაზიით წარმოსახულ არაისტორიულ პერსონაჟთა ადამიანური გრძნობებისა და პიროვნული მისწრაფებების გამოხატვას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, „ჩაკლული სულიცა“ და „თოვლიც“ მაინც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა მივიჩნიოთ ეპოქალურ მოვლენათა ისტორიული სიმართლითა და პოლიტიკური თვალთახედვით წარმომჩენ ნაწარმოებებად (გრ. რობაქიძის შესახებ დაწვრილებით იხ: ნიკოლეიშვილი, 2000: 238-248).

ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ შესაბამისი ეპიზოდები დასახელებული რომანებიდან.

ორივე ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები, რომლებიც არა მარტო აღწერილ მოვლენათა ცენტრში მოქცეულ პიროვნებებს წარმოადგენენ, არამედ ამ მოვლენათა განმსჯელ-გამაანალიზებლის როლშიც გვევლინებიან აქტიურად, პოეტები არიან. კერძოდ, თამაზ ენგური საბჭოთა იმპერიაში აღზევებულ ტოტალიტარულ მმართველობას ეწირება მსხვერპლად, კა კი პოლიტიკურ და რელიგიურ დაპირისპირებათა ასპარეზად ქცეულ თურქეთში განვითარებულ დრამატულ მოვლენათა შედეგად იღუპება ტრაგიკულად.

ორივე მათგანის პიროვნულ-მსოფლმხედველობრივი სამყაროს წარმოჩენის თვალსაზრისით განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ის ურთიერთობაც, რითაც ისინი თავიანთ საყვარელ ადამიანებთან არიან დაკავშირებული მტკიცე და რომანტიკული სიყვარულით; თუმცა, დიდი სურვილის მიუხედავად, მათი სასიყ-

ვარულო ურთიერთობანი ოჯახის შექმნით ვერ გვირგვინდება.

„ჩაკლული სულისა“ და „თოვლის“ მსოფლმხედველობრივ ურთიერთმიმართებათა წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ დამოკიდებულებასაც მინდა მივაქციო, რასაც მათი ავტორები ეროვნული საკითხისადმი იჩენენ. საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მრავალეროვნულობიდან გამომდინარე, ეს გარემოება, ბუნებრივია, შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს და ხსენებულ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური სინამდვილე ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლად სრულყოფილ სახეს ვერ მიიღებდა.

ორივე რომანში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკურ შეხედულებათა გამო დევნილი და საკუთარი ქვეყნებიდან ევროპაში გადახვეწილი ემიგრანტები. კერძოდ, ო. ფამუქის რომანის მთავარი პერსონაჟი – კა თავისი ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური შეხედულებების გამო, გერმანიას შეხიზნული ემიგრანტია, რომელიც სამშობლოსთან თორმეტწლიანი განშორების შემდეგ მხოლოდ დროებით ბრუნდება უკან. საკუთარ ცხოვრებისეულ მომავალს იგი, პირველ ყოვლისა, ისევ უცხოეთში დამკვიდრებას უკავშირებს, რადგანაც საკუთარ ქვეყანაში თავისუფლად ცხოვრება შეუძლებლად მიაჩნია.

ნაწარმოებში არაერთგზის მახვილდება ყურადღება იმაზე, რომ სამშობლოში ადამიანური ბედნიერების აქტიურად მაძიებელი და ვერმპოვნელი ამ პიროვნებისათვის პირველ ყოვლისა სწორედ ევროპულ სულიერ და პოლიტიკურ ღირებულებებთან ზიარება წარმოადგენს ამ მიზნის რეალურად მიღწევის შესაძლებლობას.

კას წარმოსახვაში ეს ილუზიური ადამიანური ბედნიერება გერმანიის ქალაქ ფრანკფურტთანაა დაკავშირებული. უწინარესად, სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ სამშობლოში დროებით დაბრუნებული და ოჯახურ კეთილდღეობაზე მეოცნებე კა პიროვნულ ბედნიერებას, უპირველეს ყოვლისა, იდილიურ სიმბოლოდ წარმოსახულ ამ ქალაქში ცხოვრებას უკავშირებს.

სამშობლოდან პარიზში გადახვეწილ და უკან დროებით, პოლიტიკური მისიით, დაბრუნებულ ქართველ ემიგრანტთან საიდუმლო შეხვედრა გახდა გრ. რობაქიძის რომანის მთავარი

პერსონაჟის – თამაზ ენგურის ცხოვრების ტრაგიკულად დასრულების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებიდან გარკვევით არ ჩანს, თავად თამაზ ენგური თავისი პიროვნული ცხოვრებით რამდენად იყო ევროპასთან დაკავშირებული, ნაწარმოებში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ იგი „ევროპულ კულტურასთან ნაზიარები" ის პიროვნებაა (რობაქიძე, 1991: 9), რომლის მსოფლმხედველობის, პოლიტიკური თვალთახედვისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, ეროვნულ სულიერ ღირებულებებთან ერთად, ევროპამაც მოახდინა არსებითი ზეგავლენა.

გრ. რობაქიძის რომანისაგან განსხვავებით, ევროპასთან ურთიერთობის წარმოსახვას ო. ფამუქის „თოვლში" გაცილებით ფართო მასშტაბები აქვს შეძენილი. თურქი მწერლის მიერ ხორცშესხმული პერსონაჟები ევროპულ სამყაროსთან მათი ქვეყნის ურთიერთობას ერთგვაროვან შეფასებას არ აძლევენ და მომხრეებთან ერთად ამ არჩევანს აქტიური მოწინააღმდეგენიც საკმაოდ ჰყავს.

კერძოდ, ათათურქის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მემკვიდრე ხელისუფალნიცა და რელიგიური ფანატიზმით შეუბოჭველი მოქალაქენიც ევროპულ პოლიტიკურ და სულიერ ღირებულებებს აშკარად უჭერენ მხარს, პოლიტიკური ისლამისტები კი ევროპასთან მათი ქვეყნის ურთიერთობას არა მარტო რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარენი ეწინააღმდეგებიან, არამედ სულიერ ღირებულებათა არსებითი განსხვავებულობის გამოც და კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათი „მომავალი ევროპა არ არის" (ფამუქი, 2011: 326).

მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი, რომლის განცხადებითაც, იგი „სწორედ იმით ამაყობს, რაც ევროპელისაგან განასხვავებს," მკვეთრად გამოვლენილ თავის ანტიევროპულ თვალთახედავას ერთგან შემდეგნაირად გამოხატავს: „ჩვენ ევროპელები ვერ გავხდებით... იმათ, ვინც ცდილობს იძულებით მოგვაქციოს მათ ყალიბში, შესაძლოა ტანკებითა და თოფებით გადაგვიარონ და ბოლოს ამას მიაღწიონ, მაგრამ სულიერად ვერ შეგვცვლიან" (ფამუქი, 2011: 334).

რომანის მეორე ისლამისტი პერსონაჟი კი ევროპისადმი თავის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას ლექსის ფორმით ასე აყალიბებს: „ევროპა, ოჰ, ევროპა, იყავი შენთვის, სადაც

ხარ, ჩვენთვის კი სიზმარი ხარ, ეშმაკეული სიზმარი" (ფამუქი, 2011: 335).

როგორც ითქვა, ევროპული მენტალობისა და სულიერი ღირებულებებისადმი ისლამისტთა მკვეთრად ნეგატიურ ამგვარ დამოკიდებულებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების თანამშრომლები და სამხედროები. მაგალითად, „ჩვენ, – თვითდაჯერებით ამბობს ერთერთი მათგანი, – ისე მოგვაქვს თავი, თითქოს ევროპელებზე უფრო ჭკვიანი და დაფასებულები ვიყოთ, არადა, გერმანიამ ყარსში საკონსულო რომ გახსნას და ყველას უფასო ვიზები დაურიგოს, ვფიცავ, მთელი ყარსი ერთ კვირაში დაიცლება" (ფამუქი, 2011: 337).

„ჩაკლული სულისა" და „თოვლის" ავტორთა მსოფლმხედველობრივი თანამოაზრეობის წარმოჩენის დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას დასახელებულ ნაწარმოებთა ის ეპიზოდები იქცევს, რომლებშიც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მუშაკთა საქმიანობა და ქვეყანაში რელიგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობაა ნაჩვენები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივადაც და რელიგიურადაც ქართველი და თურქი მწერლების მიერ აღწერილ ქვეყნებში არსებული ვითარება რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მათი სახელმწიფოებრივი მართვის სისტემა, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე პრინციპებზე იყო დაფუძნებული.

ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიშველიებ კონკრეტულ მაგალითებს ნაწარმოებებიდან.

საბჭოთა იმპერიაში დამკვიდრებული ტოტალიტარული რეჟიმის განმამტკიცებელ ერთ-ერთ ფაქტორად გრ. რობაქიძე კედლის გაზეთს ასახელებს. მისი ხაზგასმით, ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან დაწესებულებაში არსებული ამგვარი ხელნაწერი პერიოდული გამოცემები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო უშიშროების კონტროლს ექვემდებარებოდა და ამ უწყების მიერ ქვეყნის უკლებლივ ყველა დაწესებულებაში შექმნილი საიდუმლო მაგიდის „პარალელურ მოვლენას" წარმოადგენდა.

კერძოდ, თუ საიდუმლო მაგიდის არსებობის უმთავრესი მიზანი ყველა თანამშრომლისთვის ფარულად თვალთვალი, ყურის გდება და მათ შესახებ ინფორმაციათა შეგროვება იყო, კედლის გაზეთში ამ საქმეს ფსევდონიმებს ამოფარებული ანო-

ნიმი ავტორები საჯაროდ აკეთებდნენ. სახელდობრ, მწერლის ხაზგასმით, საიდუმლო მაგიდისაგან განსხვავებით, „გაზეთი აგროვებს ჩანაწერებს, ოღონდ გასასაიდუმლოებლად კი არა, გამოსაქვეყნებლად... აქ ყველაფერი შიშვლდება, ხან პირდაპირ, ხან შეფარვით, ქარაგმულად. ხშირია კარიკატურებიც. საიდუმლო მაგიდა, განაბული, თვალყურს ადევნებს ყველას, მალულად, უხილავად; კედლის გაზეთის მეშვეობით ერთმანეთს ადევნებენ თვალყურს, დაუფარავად, ხილულად... საიდუმლო მაგიდა და კედლის გაზეთი ამ სამყაროს ორი მხრიდან უვლიან, ძალიან მოხერხებულად!“ (რობაქიძე, 1991: 12).

ო. ფამუქის რომანში კედლის გაზეთის ანალოგიურ ფუნქციას ნაბეჭდი გამოცემა ასრულებდა – ქალაქ ყარსში გამომავალი „საზღვრისპირა ქალაქის გაზეთი,“ რომელიც მთლიანად სახელმწიფო უშიშროების კონტროლს დაქვემდებარებულ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენდა და ყველა მნიშვნელოვანი წერილი მასში მხოლოდ ამ უწყების მითითებითა და დავალებით ქვეყნდებოდა. ამის შესახებ თავად გაზეთის რედაქტორი აცხადებს აშკარად და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. კერძოდ, მისი თქმით, „გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის 90%-ს მას ყარსის გუბერნატორის აპარატი და უშიშროება აწვდიდა“ (ფამუქი, 2011: 35).

გაზეთის რედაქტორისავე აღიარებით, მის მიერ გამოქვეყნებული მასალების დიდი ნაწილი, მართალია, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ იძულებული იყო, ხელისუფლების ნებას დაჰყოლოდა და ინფორმაციები მხოლოდ მთავრობისთვის სასურველი ფორმით გაევრცელებინა.

მაგალითად, კასთან საუბარში იგი გულახდილად ამბობს, რომ მას „ერთი სიტყვისაც კი არ სჯეროდა იქიდან, რაც დაწერა,“ მაგრამ ისიცა და მისი ყარსელი კოლეგებიც „იძულებული იყვნენ, ასეთი შეკვეთილი სტატიები ეწერათ“ (ფამუქი, 2011: 363). მისი განცხადებით, მას სხვაგვარად მოქმედების უფლება არ ჰქონდა, რადგანაც „პოლიციაც არ დაუშვებდა, სიმართლე რომ ეწერა“ (ფამუქი, 2011: 364). გაზეთის რედაქტორის მიერ გულახდილად გაცხადებულ ამ ამბავს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟიც ადასტურებს და ამბობს: გაზეთის რედაქტორი „გუბერნატორის აპარატიდან დროდადრო ბრძანებებს იღებს, რომ ვინმე ტალახში ამოსვაროსო“ (ფამუქი, 2011: 363).

„ჩაკლულ სულსა“ და „თოვლში“ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობისადმი ყურადღების განსაკუთრებულად მიქცევა არსებითად განაპირობა იმ ურთულესმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეალობამ, რომელიც საბჭოთა კავშირსა და თურქეთში არსებობდა შესაბამის პერიოდებში. გრ. რობაქიძისა და ო. ფამუქის მიერ ხორცშესხმულ პერსონაჟთა პიროვნული თავგადასავლებიდან ნათლად ჩანს, რომ ხსენებული ქვეყნების მოქალაქეთა ცხოვრებისეული ბედის არსებითად განმსაზღვრელ მოვლენად, პირველ ყოვლისა, სწორედ ტოტალიტარული მმართველობის იქაური სისტემები იყო ქცეული.

„ჩაკლული სულისა“ და „თოვლის,“ როგორც პოლიტიკური რომანების, ღირსებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მათში ამ სისტემის არსი და ბუნება უშუალოდ ამ მოვლენის თვითმხილველ მწერალთა მიერაა წარმოსახული საკმაოდ მასშტაბურად და სიღრმისეულად. როგორც ცნობილია, გრ. რობაქიძე პირადადაც იქცა ამ სისტემის მსხვერპლად და რეალურად მოსალოდნელ რეპრესიებს თავი ემიგრაციაში გადახვეწით დააღწია. უცხოეთში, კერძოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაატარა რამდენიმე წელი ო. ფამუქმაც.

„ჩაკლული სული,“ რომელიც ავტორმა გერმანიაში დამკვიდრებიდან ერთი წლის შემდეგ დაწერა და გამოაქვეყნა, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირში აღზევებული ტოტალიტარული მმართველობითი სისტემის წიაღში ნაცხოვრები მწერლის მიერ შექმნილი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, რომელშიც მაღალი სიტყვიერი ხელოვნებითა და მოვლენათა საფუძვლიანი ცოდნითაა წარმოჩენილი „ბოლშევიზმის ქვესკნელური გამხრწნელი ძალა მის ატმოსფერულ ზემოქმედებაში“ (რობაქიძე, 1991: 155).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენს, მთელი იმპერიის მასშტაბით, უკლებლივ ყველა დაწესებულებაში არსებული საიდუმლო მაგიდები წარმოადგენდა. მწერლის ინფორმაციით, ასეთი მაგიდების არსებობის უმთავრესი მიზანი ყველა თანამშრომლის შესახებ ჩანაწერების შეგროვება იყო. „თვით პასუხისმგებელ კომუნისტებსაც კი არ ინდობდნენ. ყველამ იცოდა, რომ მის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებდნენ, მის ყოველ ნათქვამ სიტყვას ყურს უგდებდნენ.

ვინ გითვალთვალებდა, ვინ გიყურადებდა – ეს არავინ იცოდა. მეთვალყურე უჩინარი იყო და ყველგან მყოფი, ამიტომ უფრო საშიში" (რობაქიძე, 1991: 12).

გრ. რობაქიძე საბჭოთა კავშირში არსებულ უშიშროების სამსახურს არა მარტო ასეთი ზოგადი ფორმით ახასიათებს, არამედ მის მსახურთა განზოგადებულ პიროვნულ სახეებსაც ქმნის. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა მოსკოვიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ ამიერკავკასიაში საგანგებო მეთვალყურედ მოვლენილი ლატვიელი კომუნისტის – ბერზინის პიროვნული სახე. მწერლის ხაზგასმით, ამ ადამიანს თითქოს ქვის სახე ჰქონდა. „თუ ვინმეს გაუღიმებდა, ეს ღიმილი გვერდზე გახედვისთანავე კვდებოდა და ლამის რისხვაში გადადიოდა. თვალები – უმოძრაო, შუშის" (რობაქიძე, 1991: 28).

იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მიერ საქართველოში მეთვალყურედ „გილიოტინის დანასავით ცივი და ბასრი" ამ გადამთიელი კაცის გამოგზავნა, ვინც ერთი სიტყვაც კი არ იცოდა ქართული, არსებული მმართველობითი რეჟიმის განმტკიცებისთვის ზრუნვასთან ერთად, იმითაც იყო განპირობებული, რომ მას ე. წ. ქართული ნაციონალიზმის გამოვლინების მასშტაბებისთვისაც უნდა გაეწია უმკაცრესი კონტროლი.

ამგვარ ინფორმაციათა მოგროვებას კი ბერზინი სხვათა დაუხმარებლად ისეთი იოლი და ადვილად აღსაქმელი გზითაც ახერხებდა, როგორიც სხვადასხვა სახის გამოსვლებში მოსაუბრეთა მიერ რევოლუციის, ლენინის, სტალინისა და საბჭოთა კავშირის არსებობასთან დაკავშირებული სხვა სიტყვების ხსენებ-არხსენება იყო.

გრ. რობაქიძეს ბერზინი საბჭოთა მმართველისა და უშიშროების სამსახურში მონური ერთგულებით ჩამდგარი ჩინოვნიკის განზოგადებულ, ტიპურ სახედ ჰყავს წარმოსახული. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ იგი უცხოელია, იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მიერ საქართველოში უცხო ქვეყნიდან გამოგზავნილი მაღალი რანგის ჩინოვნიკი. ეს იყო შედეგი საბჭოთა კავშირში მიზანმიმართულად გატარებული იმ ანტიეროვნული პოლიტიკისა, რომლის უმთავრესი მიზანი საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა რუსიფიკაცია და მათი ეროვნული ცნობიერების აღმოფხვრა იყო.

სწორედ ამ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ეროვნული ნიშნის მიხედვით ხელისუფლების მსახურ-

თა დანაწილება, ფაქტობრივად, აზრს კარგავდა. მაგალითად, მწერლის ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის კომიტეტის სხდომის მონაწილეთა შორის ქართველებიც იყვნენ, რუსებიც, სომხებიც, აზერბაიჯანელებიცა და ებრაელებიც, „ამ ადამიანების ეროვნული დანაწილება უაზრობა იყო. მხოლოდ თითოოროლასღა თუ შერჩენოდა შინაგანი კავშირი საკუთარ ხალხთან. ისინი ადამიანთა სრულიად სხვა ტიპს წარმოადგენდნენ" (რობაქიძე, 1991: 28).

საბჭოთა სისტემის არსს გრ. რობაქიძე არა მარტო მის სამსახურში ჩამდგარ კონკრეტულ პიროვნებათა მხატვრული სახეების შექმნის გზით წარმოაჩენს, არამედ ამ სისტემის სტრუქტურასაც ახასიათებს უზუსტესი ფორმით. კერძოდ, მისი შეფასებით, აღნიშნული სისტემის „სათავეში მარქსი იდგა. მას ლენინი მოჰყვებოდა. ენგელსს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტშიღა თუ მოიხსენიებდნენ. ლენინს პირდაპირ სტალინი მოსდევდა" (რობაქიძე, 1991: 86).

მწერლის თქმით, ასეთი იყო იმპერიის მართვის დოგმატური მოდელი, „ოღონდ არავინ იცოდა, ვინ ადგენდა ამ დოგმის შინაარსს. ხელშესახები წინამძღოლი არავინ იყო. ადგილობრივი კომიტეტი რაიონული კომიტეტისაგან ელოდა გენერალურ ხაზს, რაიკომი – საოლქო კომიტეტისაგან, ის, თავის მხრივ, – სამხარეო კომიტეტისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი – მოსკოვიდან, საბოლოოდ ცენტრალური კომიტეტიღა რჩებოდა, მაგრამ აქაც იგივე მეორდებოდა: ერთი მეორეს უყურებდა, მეორე – მესამეს, მესამე – მეოთხეს და ასე უმაღლეს თანამდებობამდე. რიგი გენერალურ მდივანთან თავდებოდა... სინამდვილეში იგიც არ იყო გენერალური ხაზის შემოქმედი. რაღაც უცხო და უპიროვნო მართავდა ამ ხაზს. არავინ იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი" (რობაქიძე, 1991: 86).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გრ. რობაქიძის რომანში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ მმართველობის ასეთი სისტემის მძლავრი მარწუხებით შებოჭილ საზოგადოებაში „უნდობლობა და შიში ბატონობდა... არავინ იყო თავისუფალი, ყველა საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მხოლოდ ერთი ხსნა არსებობდა: მონანიება. თვითმხილება და დანაშაულის აღიარება ეპიდემიასავით მოედო მთელ საბჭოეთს... ინანიებდნენ არა მხოლოდ ჩადენილს, არამედ ჩაუდენელ ცოდ-

ვებსაც... მართალია, ცოდვა ჯერ არ ჩაედინა, მაგრამ უთუოდ ჩაიდენდა მომავალში... ჩაუდენელი ცოდვა უკვე ჩადენილად ეჩვენებოდა და საჯაროდ აღსარებას იწყებდა" (რობაქიძე, 1991, 87).

საბჭოთა მმართველობითი სისტემისა და მისი უმთავრესი დასაყრდენი ძალის – უშიშროების სამსახურის ამგვარ ზოგად დახასიათებას გრ. რობაქიძე მეტ დამაჯერებლობასა და ემოციურ შთამბეჭდაობას იმითაც სძენს, რომ სადამსჯელო დაწესებულებებში არსებულ ვითარებასაც აღწერს საკმაოდ დეტალურად. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების იზოლატორში, სადაც პოლიტიკური ბრალდების საფუძველზე დატყვევებული თამაზ ენგური იყო მოთავსებული, „ჰაერში დანის და სისხლის სუნი ტრიალებდა. ბედი ქროლვით იჭრებოდა მანქანურ სივრცეში. ტელეფონით ყველაზე საშინელს ელოდნენ. ყურმილის აღება სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ჰგავდა. შეგუბებული იდუმალება ამძიმებდა ატმოსფეროს" (რობაქიძე, 1991: 110).

მწერლის თქმით, გამომძიებლის მიერ დასმული საბრალმდებო შეკითხვებით დათრგუნულ თამაზს „ეჩვენებოდა, რომ გპუ-ს მთელი შენობა სტალინის სუნთქვით იყო გაჟღენთილი... დღისით აქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ღამით კი – შიშისმომგვრელი ხმები გაისმოდა: თითქოს ჩიტის გალიაში შემძვრალი გველი ხოხვით მიიკვლევდა გზას, ენას ასისინებდა, ნელ-ნელა აქანებდა თავს. ტუსაღები დამუნჯებული უგდებდნენ ყურს ამ ჩქამს. თითოეული ელოდა, რომ კარი გაიღებოდა და მას გამოიძახებდნენ. ყველამ იცოდა, რას ნიშნავდა ეს გამოძახება. გარეთ საბარგო მანქანა ღმუოდა. ვირთხები ცოცხლდებოდნენ, თითქოს მოახლოებული ლეშის სუნი წინასწარ იკრესო" (რობაქიძე, 1991: 118).

ტოტალიტარული სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის მსხვერპლად არა მარტო ამ სისტემისგან შორს მდგარი ადამიანები იქცეოდნენ, არამედ უშუალოდ მისი წარმმართველნიც. მაგალითად, ცენტრალური ხელისუფლებისგან ამიერკავკასიაში პარტიულ-სახელმწიფროებრივ საქმიანობაზე კონტროლის დასამყარებლად მოვლინებული ბერზინი მის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ერთი „წინდაუხედავი წერილის" მსხვერპლი გახდა.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, როგორც ქვეყნის მთელი მოსახლეობის უკლებლივ ყველა ფენაზე მკაცრი ზე-

დამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს, საქმიანობის არსი ნიღაბახდილი სახითაა წარმოჩენილი ო. ფამუქის „თოვლშიც." მიუხედავად იმისა, რომ რომანში ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი ქალაქის – ყარსის ყოველდღიური ყოფის მაგალითზეა ნაჩვენები, ამ გზით მწერალი, ფაქტობრივად, მთელს იმდროინდელ თურქეთში აღნიშნული კუთხით არსებულ ვითარებაზეც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმოთ შესაბამისი ადგილები ნაწარმოებიდან.

სტამბოლის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციიდან სპეციალური ჟურნალისტური დავალებით ყარსში გაგზავნილ კას ქალაქში ჩასვლის პირველივე დღეს ადგილობრივი გაზეთის რედაქტორმა ურჩია, უშიშროების განყოფილების უფროსის მოადგილესთან გამოცხადებულიყო და მისი სტუმრობის შესახებ ეცნობებინა: „რა იცი, რა ხდება, იცოდნენ, რომ ჩამოსული ხართო," – უთხრა (ფამუქი, 2011: 17)). მწერლის ხაზგასმით, „ქალაქში ჩამოსულების, თუნდაც ჟურნალისტის, პოლიციაში გამოცხადება პროვინციებში ჯერ კიდევ 1940-იანი წლებიდან შემორჩენილი წესი იყო."

თუ სტუმარი ცნობილ პიროვნებას წარმოადგენდა, მის საქმიანობაზე საგანგებო კონტროლის დაწესების მიზნით, მას სპეციალურ მეთვალყურეებსაც მიუჩენდნენ ხოლმე. ასე მოხდა კონკრეტულად კასთან დაკავშირებითაც, რომლის ყოველ ნაბიჯს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს როგორც თვალხილულად გამოყოფილი დაცვის მუშაკები, ისე საიდუმლოდ მიჩენილი აგენტებიც. ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, ყარსში საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ სპეცსამსახურის თანამშრომლები ყველას და ყველაფერს უსმენდნენ და რაიმეს დამალვას აზრი არ ჰქონდა.

ქალაქის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებით, ინფორმაციის მოსაპოვებლად ასევე ფართოდ იყო გამოყენებული უშიშროების სამმართველოს თანამშრომელთა მიერ როგორც ინფორმატორებისთვის სხეულზე საიდუმლო ჩამწერების მიმაგრების პრაქტიკა, ისე ეჭვმიტანილი პირებისგან სათანადო ცნობების შეგროვებაც მათზე ფიზიკური ზემოქმედების გზით. ასე რომ, მწერლის თქმით, სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები „ყველგან დაყენებული მიკროფონებისა და ორივე მხარეს ჩანერგილი ჯაშუშების დახმარებით ყველა საქმის კურსში იყვნენ" (ფამუქი, 2011: 407)).

მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, „ყარსში ალბათ ერთი ასი კაცი მაინც იქნება, დღედაღამ მიკროფონმიმაგრებული რომ დადის" (ფამუქი, 2011: 269). ან კიდევ: „ოთახი რომ პოლიციის მიერ ისმინებოდა და ამდენ ხალხში რამდენიმე ინფორმატორი მაინც იქნებოდა გარეული, ამაში ყველა დარწმუნებული იყო და თავიდან ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა" (ფამუქი, 2011: 323)).

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ნათლად ჩანს, ძალზე ხშირი იყო მოწინააღმდეგეთა დასასჯელად სამხედრო შეიარაღებისა და ძალის გამოყენების შემთხვევებიც. მაგალითად, „სასულიერო სასწავლებლის საერთო საცხოვრებელს ტანკითა და ორი სამხედრო მანქანით დაესხნენ თავს... დამამთავრებელი კურსის ოთახებისა და სხდომათა დარბაზისკენ გამავალ ხის კართან ნამდვილი შეტაკება დაიწყო. თავიდან სამხედროებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნეს, პოლიტიკურ ისლამისტ სტუდენტთა ყველაზე აგრესიული ნაწილი სახალხო თეატრში იმყოფებოდა და უკვე დაპატიმრებული იყო... მალე პიჟამებში ჩაცმული ატირებული ახალგაზრდები, განურჩევლად საპროტესტო გამოსვლებისადმი მათი დამოკიდებულებისა, ავტობუსებში ჩაყარეს და ცემა-ტყეპით უშიშროებაში ნაიყვანეს" (ფამუქი, 2011: 202). ან კიდევ: „კარების წინ ჩამწკრივებულ სკამებზე ხელბორკილებით ერთმანეთთან გადაბმული, მიჩაჩულ-მოჩაჩული, ცხვირპირდასისხლიანებული ახალგაზრდები დაკითხვას ელოდებოდნენ" (ფამუქი, 2011: 214)).

მწერლის ხაზგასმით, უშიშროების სამსახურის საქმიანობას ქვეყანაში იმდენად დიდი მასშტაბებიც კი ჰქონდა შეძენილი, რომ ყარსში მოსახლეობის „ნახევარი პოლიციის საიდუმლო აგენტს" წარმოადგენდა და, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ერთმანეთს უთვალთვალებდა (ფამუქი, 2011: 165). მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ამ თვალთვალისგან თავის დასაღწევად და საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ რომანის ორი პერსონაჟი ტუალეტის კაბინაშიც კი ჩაიკეტება რამდენიმე წუთით, თუმცა მათი ეს შეხვედრა სპეცსამსახურის მუშაკებს შეუმჩნეველი არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში დარჩენიათ.

უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა და მათ მხარდამჭერთა აზრით, პოლიტიკური ისლამისტების ძალადობრივი საქმიანობის წინააღმდეგ ამგვარ უკომპრომისო ბრძოლას მათი

ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს აღნიშნულ ბრძოლას ერთ-ერთი მათგანი რომანის მთავარ პერსონაჟთან საუბარში: „იმის გეშინია, რომ ევროპელები აქაურ ამბებს გაიგებენ და თავი მოგეჭრება? განა არ იცი, მათ რამდენი კაცი ჩამოაღრჩვეს, სანამ შენს სათაყვანებელ თანამედროვე საზოგადოებას შექმნიდნენ? ათათურქი შენნაირ ქათმისტვინა ლიბერალ მეოცნებეს პირველსავე დღეს ჩამოაკონწიალებდა... აქაურობა ირანს რომ დაემსგავსება, გგონია, ვინმეს გაახსენდება, შენნაირი გულჩვილი ლიბერალი სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს რომ დასტიროდა? იმისთვის მოგკლავენ, ევროპელი და პიჟონი რომ იყავი, შიშის გამო არ ლოცულობდი და ჰალსტუხი გეკეთა“ (ფამუქი, 2011: 243)).

გრ. რობაქიძისა და ო. ფამუქის რომანების მსოფლმხედველობრივ ურთიერთმიმართებათა წარმოჩენის დროს, განსაკუთრებული ყურადღება მათ შორის რელიგიური კუთხით არსებულ შეხების წერტილებზეც მინდა გავამახვილო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი და თურქი მწერლების მიერ აღწერილ ქვეყნებში ამ თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა არსებობდა, რელიგიურ პრობლემათა გადაწყვეტა ორივეგან მაინც წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი მმართველობითი სისტემის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ზემოთქმული გარემოებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პრობლემას არც „ჩაკლული სულისა“ და „თოვლის“ ავტორები ტოვებენ უყურადღებოდ.

კერძოდ, საბჭოთა ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკის დახასიათების დროს, გრ. რობაქიძის რომანში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ პოლიტიკის შემოქმედთა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს „სამყაროდან ღმერთის განდევნა“ წარმოადგენდა. რომანის რუსი პერსონაჟი ივანოვი ამ მოვლენას მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკის ნაწილად კი არ მიიჩნევს, არამედ გლობალურად მიმდინარე იმ პროცესადაც, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახით ვლინდება.

მაგალითად, მისი თქმით, „ჩვენთან ღმერთის წინააღმდეგ იბრძვიან, მისი მოკვლა სურთ. ამერიკასა და ევროპაში რაღა ხდება? იქ არ კლავენ ღმერთს, იქ იგი თავისით კვდება... ახა-

ლი ადამიანი იბადება, უღმერთო... ღმერთის ამოძირკვა ყოფიერებიდან – ეს არის კულტურის ახალი მიჯნა“ (რობაქიძე, 1991: 76).

როგორც უკვე ითქვა, რელიგიური პრობლემის განსჯა-გააზრებას გაცილებით ფართო მასშტაბები აქვს შეძენილი ო. ფამუქის რომანში. მიუხედავად იმისა, რომ ღვთაებრივი რწმენისადმი ორივე მწერალს ზოგადად ერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს და მათთვის პრინციპულად მიუღებელია მათი ქვეყნების ხელისუფალთა მიერ სახელმწიფოებრივ დონეზე გატარებული ათეისტური პოლიტიკა, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ო. ფამუქის პოზიცია გრ. რობაქიძის თვალთახედვისათვის დამახასიათებელი მკვეთრი რადიკალიზმითა და სწორხაზოვნებით არ ხასიათდება და შინაგანად რამდენადმე წინააღმდეგობრივიცაა და გაორებულიც.

სახელდობრ, თუ გრ. რობაქიძის „ჩაკლული სულის“ ცენტრალური პერსონაჟისთვის პრინციპულად და ერთმნიშვნელოვნადაა მიუღებელი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ევროპაშიცა და ამერიკაშიც აქტიურად მიმდინარე ბრძოლა ღვთაებრივი რწმენის წინააღმდეგ, თურქი მწერლის რომანის პერსონაჟები, პირველ ყოვლისა კი მთავარი გმირი – კა, ამ პრობლემას არაერთგვაროვნად იაზრებენ.

აღნიშნული საკითხისადმი თურქი მწერლის განსაკუთრებული ინტერესი იმითაც ვლინდება, რომ „თოვლში“ წარმოსახულ ეპოქალურ მოვლენებსა და ამ მოვლენათა ცენტრში მოქცეულ პიროვნებათა ცხოვრებისეულ ბედს იგი, პირველ ყოვლისა, სწორედ რელიგიურ პრობლემასთან მიმართებით სჯის და იაზრებს. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენოთ შესაბამისი ეპიზოდები რომანიდან.

პოლიტიკური დევნილობის გამო, სამშობლოდან გერმანიაში გადახვეწილი თურქი ემიგრანტი პოეტი კა სტამბოლის ერთერთი გაზეთის რედაქციამ ყარსში მიავლინა მუსლიმან მორწმუნეებსა და მათ წინააღმდეგ მებრძოლ ხელისუფალთა შორის არსებული კონფლიქტის არსის გასარკვევად. ო. ფამუქის რომანის მიხედვით, საზოგადოებაში პოლიტიკური დაპირისპირების საფუძვლად ქცეულ ამ კონფლიქტს იმდენად დიდი მასშტაბები ჰქონდა შეძენილი, რომ მასში, ფაქტობრივად, ქალაქის მთელი მოსახლეობა იყო მეტ-ნაკლები აქტიურობით ჩართული.

ბოლო წლების განმავლობაში ევროპაში ნაცხოვრები კა ამ ბრძოლის არსში თავიდან ნაკლებად იყო გარკვეული და მშობლიური თურქული სამყაროსაგან არსებითად განსხვავებულ სულიერ და რელიგიურ ფასეულობათა წიაღში ცხოვრებამ მის ცნობიერებაში ღვთაებრივი რწმენის სიმტკიცესაც გაუჩინა ბზარი. მაგრამ ყარსში გატარებულმა დღეებმა და ეპოქალურ მოვლენათა სისხლხორცეულ ნაწილად ქცეულმა იმ უკომპრომისო ბრძოლებმა, რაც ისლამისტებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის მიმდინარეობდა იმხანად, კა სულიერად გარდაქმნა და მას გაბზარული ღვთაებრივი რწმენა განუმტკიცა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, „თოვლში" იმ გარემოებასაც არაერთგზის ესმება ხაზი, რომ ისლამისტებსა და ხელისუფლების მესვეურებს შორის გამართულ უკომპრომისო ბრძოლას, ფაქტობრივად, პოლიტიკური მასშტაბები ჰქონდა შეძენილი და, რეალურად, მისი უმთავრესი მიზანი ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო.

როგორც ცნობილია, თურქი ხალხის ბელადის – ათათურქის მიერ ქვეყანაში ფუნდამენტურად დამკვიდრებულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ რელიგიური ფაქტორის როლი და ადგილი სახელმწიფოებრივი მართვა-განმგებლობის პროცესში გარკვეულწილ ჩარჩოებში მოაქცია. მიუხედავად იმისა, რომ ათათურქის შემდგომი ხანის თურქეთში ამ ფაქტორის მომძლავრების გარკვეული მცდელობანიც იყო რამდენჯერმე, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება კვლავაც ერთგულად იცავდა ქემალიზმის ამ ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს სამხედრო ძალა ასრულებდა.

ფართოდ ცნობილი ეს ამბავი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ „თოვლში" ასახული პოლიტიკური და რელიგიური მოვლენები გარკვეულწილად ამ მოვლენის თავისებურ გამოვლინებადაც შეიძლება მივიჩნიოთ, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისის თურქეთში ისლამისტებსა და მათ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს შორის ხელისუფლების დასაუფლებლად განახლებული ძალით დაწყებული ბრძოლის გამოხატულებად. მის გაძლიერებას 1979 წელს მეზობელ ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი.

„თოვლში" აღწერილ მოვლენათა დაკავშირება ირანის ისლამურ რევოლუციასთან რომ შემთხვევითი არ არის, ამას

თავად მწერალიც აღნიშნავს ხაზგასმით. მაგალითად, მისი ინფორმაციით, რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, თურქი ისლამისტების ლიდერის – ლაჯიევრთის გადაქცევას „ულმობელ ტერორისტად, მოხერხებულ ავანტიურისტად და რესპუბლიკის დაუძინებელ მტრად" ხსენებული რევოლუციის გამარჯვების შედეგად ირანში შექმნილმა ახალმა რეალობამაც შეუწყო ხელი (ფამუქი, 2011: 215).

როგორც თურქეთის უახლესი ისტორიიდან ცნობილია, პოლიტიკური ისლამისტური ძალების გააქტიურების შედეგად ქვეყანაში შექმნილი კრიზისის დასაძლევად და ქაოსური მდგომარეობის აღსაკვეთად 1980 წლის 12 სექტემბერს თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს, ძალაუფლებას დაეპატრონენ, პარლამენტი და მთავრობა დაითხოვეს და ყველა პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებისა და პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობა აკრძალეს (ბატიაშვილი, 2000: 29; სვანიძე, 2005: 209-212).

მიუხედავად იმისა, რომ ო. ფამუქის რომანი უშუალოდ 1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და ზემოთ აღნიშნული პროცესები მასში მხოლოდ თურქეთის ერთ ქალაქში – ყარსში შექმნილი რთული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და რელიგიური ვითარების კონტექსტშია წარმოსახული, ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ „თოვლი," უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ისტორიული მოვლენის არაპირდაპირი სახით წარმომჩენ რომანს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხსენებული პერიოდის თურქეთში არსებული მდგომარეობის წარმოსახვის დროს ო. ფამუქმა სავსებით კანონზომიერად მოაქცია განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ის მძაფრი პოლიტიკურ-რელიგიური დაპირისპირება, რომელიც ისლამისტურ ძალებსა და ხელისუფლების ოფიციალური მხარის წარმომადგენლებს შორის არსებობდა იმხანად. არსებითად, ეს იყო თავისებური ბრძოლა, ერთი მხრივ, ევროპულ ღირებულებებზე მეტ-ნაკლებად ორიენტირებულ ქემალისტებსა და, მეორე მხრივ, ცხოვრების ისლამისტური წესის აქტიურად დამცველ მორწმუნეებს შორის.

ამ ბრძოლას დასაბამი, ფაქტობრივად, თურქეთის სათავეში ათათურქის მოსვლის შემდეგ (1923 წ.) მიეცა და ამ დროიდან

მოყოლებული, პერიოდულად საკმაოდ მწვავე ხასიათსაც იძენდა ხოლმე. აღნიშნულ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ „თურქეთი ერთადერთი ისლამური სახელმწიფოა, სადაც „ევროპეიზაციამ" ფორმალურად მაინც გაიმარჯვა და, ტრადიციულ ფასეულობებთან ერთად, აღიარება პოვა მანამდე თითქმის უცნობმა ევროპულმა გამოცდილებამ" (სორდია, 2000: 78).

ამ პროცესის სახელმწიფოებრივ დონეზე წარმმართველის როლში თურქეთში, პირველ ყოვლისა, ქემალისტები მოგვევლინენ, თუმცა მათი მოწინააღმდეგე კონსერვატული და რეაქციული ისლამისტური ოპოზიციის წრეები „თვლიდნენ, რომ რელიგიური სკოლებისა (მედრესეები) და საკულტო ადგილების გაუქმება იყო თავდასხმა აზრის თავისუფლებასა და აღმსარებლობაზე, ხოლო სინდისის თავისუფლების ქემალისტური პრინციპი – ათეიზმი" (სორდია, 2000: 80).

როგორც უკვე ითქვა, ო. ფამუქის რომანში ზემოთ აღნიშნული ბრძოლის არსი ქალაქ ყარსში განვითარებულ მოვლენათა მეშვეობითაა წარმოსახული. მართალია, მებრძოლ მხარეთა ურთიერთდაპირისპირება მხოლოდ რელიგიური საკითხით არ შემოიფარგლებოდა და მის ძირითად მიზანს ძალაუფლების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა, მაგრამ მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა უწინარესად მაინც რელიგიური ნიშნით მიმდინარეობდა.

ამ დაპირისპირების გარეგნულად წარმომჩენ უმთავრეს ნიშანს ო. ფამუქის რომანში რწმენის სიმბოლოდ ქცეული ჩადრი და მისი სახეობანი – ჩარშაფი და თავსაფარი წარმოადგენს. ასე რომ, სეკურალისტური პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფლების მსახურთა აქტიური მცდელობა, მორწმუნე ქალებს საქვეყნოდ მოეხადათ თავსაფარი და ამგვარი სახით ევლოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, „თოვლში" პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხადაა ქცეული და მწერალი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მასთან დაკავშირებული მედიტაციური მსჯელობებით ცდილობს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის წარმოჩენას (მაგალითად, ჩარშაფიანი გოგონების არშეშვება სასწავლებელში და ა. შ.).

თავად მწერალმა რომანის პერსონაჟთა გაორებული დამოკიდებულება ნაწარმოების უმთავრეს პრობლემად ქცეული

რელიგიური რწმენისადმი ერთ-ერთი თავის სათაურად გამოტანილი სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ამ სიტყვებითაც გამოხატა: „სამშობლო თუ დოლბანდი." განსხვავებით ისლამისტებისაგან, რომელთა რწმენითაც, დოლბანდი „პოლიტიკური ისლამის სიმბოლოს" წარმოადგენს და მისი დაცვით ისინი არა მარტო მუსლიმანობას იცავდნენ, არამედ საკუთარ ეროვნულ თვითმყოფადობასაც, მათი მოწინააღმდეგეების აზრით, „ჩადრი, თავსაფარი, ფესი და ჩალმა, როგორც სიბნელისა და ჩამორჩენილობის სიმბოლოები," მთელმა ერმა უნდა მოიხსნას და „თანამედროვე ცივილიზებულ ერებთან ერთად იაროს ევროპისაკენ" (ფამუქი, 2011: 182).

ო. ფამუქის რომანში დაბეჯითებით ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ისლამისტი მორწმუნეები თავსაფრიანი გოგონების უფლებათა დაცვით არა მარტო ღვთაებრივი რწმენის გადარჩენას ცდილობენ, არამედ რელიგიურ ღირებულებებზე დაფუძნებული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასაც. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის აზრით, „დოლბანდის საკითხის პოლიტიზაციის უკან გარეშე ძალების სურვილი იმალება, თურქეთი ორად გახლიჩონ და დაასუსტონ" (ფამუქი, 2011: 56). სხვა შემთხვევაში რომანის უმთავრეს მსოფლმხედველობრივ თვალთახედვად ქცეული ეს კითხვები ამგვარი სიმწვავით არ დაისმებოდა: „თავსაფრიანი გოგონები თუ თავზე მოიხდიან, ამ ქვეყანას ეს რაში წაადგება?.. თავზე თუ მოიხდიან, ევროპელები მათ ადამიანებად ჩათვლიან?" (ფამუქი, 2011: 57).

მოწინააღმდეგე მხარეებს შორის არსებული ეს დაპირისპირება რომანში იმდენად გამწვავებულ სახეს იღებს, რომ მას არა მარტო ამ პროცესში უშუალოდ ჩართულ პიროვნებათა, არამედ სრულიად უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეც კი ეწირება მსხვერპლად.

მწერლის მიერ ყარსში განვითარებულ მოვლენათა წარმოსახვის უმთავრესი მიზანი ამ დაპირისპირების არსის სიღრმისეულად წარმოჩენაა; მკითხველთა სამსჯავროზე იმ პრობლემათა გამოტანა, რაც ხელისუფლების წარმომადგენელთა და მის წინააღმდეგ მებრძოლ ისლამისტთა შორის სისხლიანი დაპირისპირების საფუძველი გახდა.

სარწმუნოებისათვის მებრძოლ ისლამისტთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები და მათი თანამოაზრენი

ამ ბრძოლას იმითაც ამართლებენ, რომ, მათი აზრით, ამ გზით ისინი „მუსლიმების დასავლეთის მონებად და ურწმუნოებად გადაქცევისა და დამცირების“ საერო ხელისუფლებისეული „ფარული გეგმის განხორციელებასაც“ ეწინააღმდეგებიან პრინციპულად (ფამუქი, 2011: 59).

ო. ფამუქის რომანზე საუბრის დროს, ყურადღება იმ პროცესის ფსიქოლოგიური სიმართლით ჩვენებასაც უნდა მივაქციოთ, მისი პერსონაჟების ერთი ნაწილი როგორი სიმტკიცით ადგება მორწმუნეობის გზას. ნაწარმოების ერთ-ერთი ამგვარი პერსონაჟის თქმით, მისნაირები, „აღტყინებით რომ უბრუნდებოდნენ ისლამს, არც ისე ცოტანი იყვნენ“ (ფამუქი, 2011: 71).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო, პირველ ყოვლისა, რომანის მთავარი პერსონაჟის – კას მსოფლმხედველობაში მომხდარი ფსიქოლოგიური გარდატეხის ჩვენებაა, იმ რთული სულიერი მეტამორფოზის სიღრმისეული გააზრება, რის შედეგადაც მან გაბზარული ღვთაებრივი რწმენის გამთელება და ღვთისკენ სავალი გზის პოვნა შეძლო. თავად კას აღიარებით, ყარსში განვითარებული მოვლენები პირადად მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ სწორედ ამ მოვლენათა განსჯა-გაანალიზებამ მისცა მას შესაძლებლობა, „ალაჰისათვის სულის კარი რომ გაეღო“ (ფამუქი, 2011: 159).

განსხვავებით ისლამისტი თანამემამულეებისაგან, რომელნიც ევროპელობასა და ათეისტობას ერთმანეთთან იმდენადაც კი აიგივებენ, რომ მაჰმადიანურ აღმსარებლობასა და ევროპულ სულიერ ღირებულებებს შეუთავსებელ მოვლენებად მიიჩნევენ, ღვთაებრივი რწმენისაკენ მიბრუნებული კა ცდილობს ეს ორი მხარე ერთიმეორეს კი არ დაუპირისპიროს, არამედ ერთ ორგანულ მთლიანობად აქციოს. მაგალითად, „მე ვისურვებდიო, – ამბობს იგი ერთგან, – თან ევროპელი ვიყო, თან რწმენა მქონდესო“ (ფამუქი, 2011: 173).

როგორც რომანიდან ნათლად ჩანს, ამ ფუნდამენტური თვალსაზრისის აღიარებამდე, კამ საკმაოდ რთული და შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო. მისი აღიარებით, ყარსში ჩასვლისა და იქ განვითარებული დრამატული მოვლენების ღრმად და საფუძვლიანად გაანალიზების შედეგად, მან რადიკალურად შეიცვალა მუსლიმანობისადმი დამოკიდებულე-

ბა. კერძოდ, თავისი ცხოვრების ყარსამდელ პერიოდში კა დაუეჭვებლად იყო დარწმუნებული იმაში, რომ უმთავრესი ძალა, რომელიც თავის ქვეყანას წინსვლისა და განვითარების გზაზე წინ ელობებოდა, მუსლიმანური რელიგია იყო.

შეიხ ეფენდისთვის ნათქვამ აღსარებაში თავად კა რელიგიისადმი ასეთ სკეპტიკურ დამოკიდებულებას შემდეგნაირად გამოხატავს: „პატარა ბავშვივით სულ მინდოდა, ჩემი ქვეყანა აყვავებულიყო, ადამიანები უფრო თავისუფლები და თანამედროვეები ყოფილიყვნენ; მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ჩვენი რელიგია ამას ეწინააღმდეგებოდა... სტამბოლში, ნიშანთაშიში, მაღალ საზოგადოებაში გავიზარდე. მინდოდა, ევროპელს დავმსგავსებოდი. ჩემი ცხოვრება რელიგიისგან შორს იყო, რადგან მესმოდა, რომ ევროპელობას და ალაჰს, რომელიც ქალებს ჩადრით მოსავს, ერთდროულად ვერ ვიწამებდი... მე ისეთი ალაჰი მინდა, რომელიც არ მომთხოვს, რომ მის წინაშე წარსადგომად ფეხზე გავიხადო, ვინმეს ხელზე ვაკოცო და მუხლი მოვიდრიკო. ჩემს მარტოობას რომ გაიგებს, ისეთი ალაჰი მინდა“ (ფამუქი, 2011: 120).

როგორც ითქვა, ღვთაებრივი რწმენისადმი კას ამგვარ დამოკიდებულებაში არსებითი გარდატეხა ყარსში ჩასვლისა და იქ განვითარებულ მოვლენათა სიღრმისეული განსჯა-გაანალიზების შედეგად მოხდა. მისი პიროვნული ცხოვრებისთვის ამ გარდატეხის მნიშვნელობას თავად კა შეიხ ეფენდისთან საუბარში შემდეგნაირად აფასებს: „მთელი ცხოვრება თავს დამნაშავედ ვგრძნობდი იმის გამო, რომ უმეცრების, ჩადრიანი დეიდების, კრიალოსნიანი ბიძიების, ღარიბ-ღატაკების ალაჰისა არ მწამდა. ჩემი ურწმუნოებით ვამაყობდი. მაგრამ ახლა ძალიან მინდა, ალაჰი ვირწმუნო“ (ფამუქი, 2011: 121).

მართალია, ღვთისკენ სავალ ამ ურთულეს გზაზე არსებული ბარიერის გადალახვა კამ საბოლოოდ შეძლო, მაგრამ, მისივე არაერთგზისი აღიარებით, სულში ჩაბუდებული ათეიზმის ბაცილის საკუთარი ცნობიერებიდან მთლიანად ამოძირკვა, დიდი მცდელობის მიუხედავად, მან მაინც ვერ მოახერხა: „თქვენი ალაჰისა მინდა მჯეროდეს და თქვენსავით უბრალო მოქალაქე მინდა ვიყო, – გულწრფელად მიმართავს იგი შეიხ ეფენდის, – მაგრამ სულში დასავლელი მიზის და გონებას მირევს“ (ფამუქი, 2011: 122).

რომანში ესოდენი სიმწვავითა და ფართო მასშტაბურობით წამოჭრილი რელიგიური პრობლემის განსჯა-გააზრება მწერალმა სისხლხორცეულად დაუკავშირა ევროპულ ღირებულებათა მიღება-არმიღებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნაწარმოებში ძირითადად ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული, თვალსაზრისი იკვეთება – ისლამისტებისა, რომელთათვისაც ევროპული სამყარო პრინციპულად მიუღებელ მოვლენადაა მიჩნეული და იგი ათეიზმთან და ეროვნული თვითმყოფადობის არსებითად განმსაზღვრელ სულიერ ფასეულობათა უარყოფასთანაა ასოცირებული; და ქემალისტური იდეოლოგიის დამცველებისა, რომელთათვისაც სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრეს მიზანს, ნაცვლად რელიგიური მცნებებისადმი ფანატიკური ერთგულებისა, ევროპულ ღირებულებებთან ზიარება და დასავლურ ოჯახში მათი ქვეყნის მყარად დამკვიდრება წარმოადგენს.

რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან კა, ფაქტობრივად, ერთადერთია, რომელიც თავისი ქვეყნისა და თანამემამულეების სამომავლო განვითარების ყველაზე მეტად მისაღებ გზად ამ ორი მხარის – ევროპული ღირებულებებისა და ღვთაებრივი რწმენის – ერთანეთთან შერწყმას მიიჩნევს: „მე ვისურვებდი, – ამბობს, მაგალითად, იგი ერთგან, – თან ევროპელი ვიყო, თან რწმენა მქონდეს" (ფამუქი, 2011: 173).

პირველ ყოვლისა, სწორედ ამგვარი თვალთახედვის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ თავისი ადამიანური კეთილდღეობის იდეალიზებულ ადგილად, სადაც ის და მისი საცოლე – იფექი ბედნიერების ნავთსაყუდელს ჰპოვებდნენ, კა ევროპულ ქალაქ ფრანკფურტს მიიჩნევს.

მოკლედ, ასეთია გრიგოლ რობაქიძისა და ორჰან ფამუქის მსოფლმხედველობრივ თვალთახედვებს შორის არსებული ძირითადი ურთიერთმიმართებანი განხილული რომანების მიხედვით. ქართველი და თურქი მწერლების მიერ წარმოსახულ მხატვრულ სამყაროთა არსებითი სხვადასხვაობის მიუხედავად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაბამისი პერიოდების ეპოქალურ სინამდვილეთა საჭირბოროტო პრობლემების განსჯა-გააზრებისას, „ჩაკლული სულისა" და „თოვლის" ავტორთა მსოფლმხედველობაში აშკარად ვლინდება ამ პრობლემათა ერთი ნაწილის მსგავსი მოქალაქეობრივი თვალთახედვით ანალიზისა და შეფასების ტენდენცია.

ბ) ქართული და სომხურ-რუსული პასაჟები

ორჰან ფამუქის „თოვლისადმი" ინტერესს მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მისი მეშვეობით ყარსის, როგორც რომანის მთავარ სამოქმედო არეალად ქცეული ქალაქის, წარსულსა და გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მდგომარეობაზეც გვექმნება მეტ-ნაკლებად ნათელი წარმოდგენა. „თოვლის" შესახებ საუბრის დროს ნაწარმოების ეს მხარე განსაკუთრებულ ინტერესს თუნდაც იმიტომაც იწვევს, რომ ყარსი და მისი რეგიონი, რომელიც ქართულ ისტორიულ მასალებში კარის სახელწოდებითაა მოხსენიებული, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის ნაწილსაც წარმოადგენდა.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში, არტაანისა და ყარსის რეგიონებში „ბევრი ტაძრები აღშენდა და ერთი მათგანი არის **ჩილდირის** ხეობაში, სოფ. ველში, დიდებული ტაძარი, რომელიც ჩილდირის ხეობას ამშვენებს და რომელიც გასაოცარს სანახაობას წარმოადგენს თავის სიგრძე-სიგანით. ეს ტაძარი და ხეობა შესანიშნავია მით უფრო, რომ ყარსის ოლქში ქართველი ტომი მოისპო, აქ ქართველების აღარა არსებობს-რა, ხოლო ჩილდირის ხეობაში კი შეინახეს ქართველთ თავიანთი ენა, ისიც შერყევით, მცირედ, ისე, რომ ჩილდირის ხეობაც მალე დაკარგავს ამ ენას" (ჭიჭინაძე, 1911: 8).

სამწუხაროდ, ზ. ჭიჭინაძის ეს გულსატკენი წინასწარმეტყველება დღეს უკვე რეალობად ქცეულ ფაქტს წარმოადგენს და ყარსსა და მის რეგიონს უმცირესი რაოდენობით შემორჩენილ ქართველებს არა მარტო წინაპართა ენა აქვთ დავიწყებული, არამედ საკუთარი ეროვნული ვინაობაც და მთლიანად არიან ასიმილირებულნი თურქულ ეთნოსთან.

იმის ნათელსაყოფად, ოსმალთა მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდგომ იქაურ ქართველთა გამუსლიმებისა და ასიმილირების ეს ტრაგიკული პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში როგორი სირთულით მიმდინარეობდა, ზ. ჭიჭინაძე ასეთ ინფორმაციას გვაწვდის:

ქრისტიანული სარწმუნოების შესანარჩუნებლად, ამ მხარეში მცხოვრებმა ქართველებმა, „1515 წლიდან თითქმის 1560 წლებამდის იბრძოლეს. უკანასკნელ გათათრდენ და ახალ გათათრებულ გამგეთ ყარსში სოლომონ გოგიტიძე დასვეს, რომელსაც თათრობის მიღების გამო, ფაშობა მისცეს და სახელათ სეიდი დაარქვეს, სეიდ ფაშად იწოდებოდა, მაგრამ ესეც ჩუმი ქრისტიანი იყო თურმე და ამის მეოხება იყო, რომ ყარსის ქართველთ 1590 წლამდის შეინახეს საიდუმლოთ ქრისტიანობა. ოსმალთ რაკი შეიტყვეს ყარსის ქართველთ საიდუმლო ქრისტიანობა, ამიტომ მათ სასტიკის წამებით დაუწყეს დევნა და ხელ-ახლა გაიმართა ქართველთ წამება სჯულის გულისათვის. უკანასკნელ სეიდ ფაშა და სხვა მრავალი საიდუმლო ქრისტიანი ქართველნი აჭარისკენ გამოიქცნენ, ზოგი სხვა-და-სხვა კუთხეებში. მთელი მხარე, მთელი საერისთავო დაიცალა თითქმის. აქ მოისპო ქართველთ სიმრავლე. ამიტომ ოსმალებს აქ ნამდვილი თათრები შემოჰყავდათ და ასახლებდენ, რის მეოხებით იქ ქართველთა ციხე-კოშკ-ეკლესია და მონასტრები აოხრებასა და ქცევა-ნგრევას ეძლეოდენ. დროთა განმავლობაში აქ ნამდვილი თათრების გამრავლებით საქმე ისე მოიმართა, რომ ყარსის (კარის) საერისთაოში მთლად მოისპო ქართველი ხალხი, ენა და ნიშნები. ვინც დარჩნენ აქ ქართველნი, ისინი ნამდვილ თათრებში არეულ იქმენ და დაკარგულ. ყარსისაკენ დღეს ქართველების იქ ყოფა-ცხოვრებას მარტო დანგრეული ეკლესიების ნაშთები-ღა მოწმობენ და ღაღადებენ“ (ჭიჭინაძე, 1911: 38).

მართალია, „თოვლი“ ისტორიული რომანი არ არის, მაგრამ მწერალმა მასში გარდასულ საუკუნეთა დროინდელი რეალიების წარმოსახვასასაც დაუთმო გარკვეული ადგილი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რომანის ის ეპიზოდები, სადაც ყარსში მრავლად მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მკვიდრთა ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბებია მოთხრობილი.

ნაწარმოების ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად იქიდან გამომდინარეც მინდა მივაქციო, რომ „ღვთისგან მივიწყებული ამ უღარიბესი ქალაქის“ (ავტორის სიტყვებია) მრავალეროვან მკვიდრთა ცხოვრებისეულ ხვედრზე საუბარი მწერალმა გარკვეულწილად მათ შორის ბოლო დროს გაღვივებული ეროვნული შუღლისა და განთიშულობის წარმომჩენ რეალიებსაც დაუკავშირა და ამ ტენდენციის მომძლავრება „თბილისის კომუნისტური რადიოს“ მიერ მიზანმიმართულად წარმართული საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგად მიიჩნია.

მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს ამ მოვლენას ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი: „წინათ აქ ყველანი ძმები ვიყავით, მაგრამ ბოლო დროს ყველამ აიჩემა, აზერბაიჯანელი ვარ, ქურთი ვარ, თარაქამა ვარო. ცხადია, აქ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ. თარაქამები და ყარაყალფახები აზერბაიჯანელების ძმები არიან. ქურთებმა წინათ თავიანთი წარმომავლობის შესახებ არაფერი იცოდნენ, ოსმალეთის დროიდან დარჩენილი ადგილობრივი მოსახლე კი არ იჩემებდა, აქაური ვარო. თურქმენებიც იყვნენ, ფოცხოველი ლაზებიც და მეფის რუსეთიდან გადმოსახლებული გერმანელებიც, მაგრამ თავისი წარმომავლობით არავინ ტრაბახობდა. **ეს ყველაფერი თბილისის კომუნისტური რადიოს დანერგილი და გავრცელებულია, თურქეთის გახლეჩაზე რომ ოცნებობს**“ (აქაც და ქვემოთაც ხაზგასმები ჩემია – ა. ნ. ფამუქი, 2011: 35).

რომანში გარკვეულწილად იმ გარემოებასაც აქვს ყურადღება მიქცეული, ყარსელ ვაჭართა ცალკეული წარმომადგენლები წარსულში თბილისთან აქტიური სავაჭრო კავშირ-ურთიერთობებით რომ იყვნენ დაკავშირებული. მაგალითად: ქალაქის დასათვალიერებლად გამოსული კა ინტერესით აკვირდებოდა „ძველი შენობების მოყინულ ფართო კარნიზებს, კარებისა და კედლების ლამაზ ბარელიეფებს, შენობების აკადემიურ, ერთ დროს შთამბეჭდავ ფასადებს და ფიქრობდა, რომ აქ ოდესღაც ადამიანები (**თბილისთან მოვაჭრე სომხები** თუ გადასახადების ამკრეფი ოსმალო ფაშები) ბედნიერი, უზრუნველი, უფრო მეტიც, მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობდნენ“ (ფამუქი, 2011: 160).

მიუხედავად იმისა, რომ ო. ფამუქის რომანში არც საკუთრივ საქართველოს შესახებაა ნათქვამი რაიმე განსაკუთრებით საყურადღებო და, გარდა ძალზე ფრაგმენტულად გამოყვანილი ორიოდე პერსონისა, არც მწერლის მიერ წარმოსახულ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის გვხვდებიან ქართველები, მწერალი ჩვენს ქვეყანასა და თურქეთის ამ ქალაქს შორის არსებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ზემოთ დამოწმებული და მსგავსი ხასიათის მქონე ეპიზოდებით მაინც გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა „თოვლის“ ის ფრაგმენტები, სადაც ო. ფამუქი რუსეთის იმპერიის მმართველობის დროინდელი ყარსის შესახებ საუბრობს.

როგორც ცნობილია, თურქეთთან 1877-1878 წლების ომში მოპოვებული გამარჯვების შედეგად რუსეთმა ამ ქვეყნის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისაკუთრებული ქართული და სომხური ტერიტორიების გარკვეული ნაწილი, მათ შორის ქალაქი ყარსიც, შეიერთა. თუმცა პირველ მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ამ ქვეყანაში შექმნილი პრობლემების შედეგად, თურქეთმა კვლავაც შეძლო ამ ტერიტორიების თითქმის მთლიანად დაბრუნება უკან.

სამწუხაროდ, განსხვავებით რომანის რუსული და სომხური ეპიზოდებისგან, ქართველებთან და მათ ყოფასთან დაკავშირებული ყველა ეპიზოდი ორჰან ფამუქს მხოლოდ ხაზგასმულად ნეგატიური კუთხიდან აქვს დანახული და იგი არც ჩვენს ისტორიულ ყოფას წარმოაჩენს პოზიტიურად და არც ნაწარმოებში აღწერილ პერიოდს.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული საკითხი ავტორისეული თვალთახედვის სფეროში მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოქცეული და ქართული რეალობის ამგვარი სახით წარმოჩენის უმთავრეს ფუნქციას რომანში განვითარებული მოვლენებისთვის მარტოოდენ ფონის შექმნა წარმოადგენს, აღნიშნული ეპიზოდები მაინც გვიქმნის გარკვეულ საფუძველს იმის სათქმელად, საქართველოსადმი ავტორის ამგვარი პოზიცია შეიძლება სულაც რომ არ იყოს შემთხვევითი მოვლენა.

ამ გარემოებას ასეთი დაბეჯითებით თუნდაც იმიტომაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ო. ფამუქი, ამ თვალსაზრისით, არსებითად განსხვავებულ მიდგომას იჩენს ხსენებულ რეგიონში მცხოვრები სხვა არათურქი ხალხებისადმი.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს რომანიდან.

ყარსში სტუმრად მყოფი კა, რომელიც სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ქალაქის ერთ-ერთი ჩაიხანის „ნახშირისა და ბინძური თეთრეულის სუნით აქოთებულ“ სარდაფში, მისდა უნებურად ასეთი სურათის მხილველი გახდა: „გათბობის მოთუხთუხე ქვაბის გვერდით მუყაოს ცარიელი კოლოფებისა და ბოსტნეულის ყუთებისგან შეკონწიწებულ კუთხეში, სახელდახელოდ მოწყობილ საწოლზე, ახალგაზრდა ქალს ეძინა. თეთრი, ფითქინა კანი ჰქონდა და არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. კამ ინსტინქტურად თავი

მიატრიალა. ამასობაში კაცმა ცხვირნისკარტას პასპორტი გაუწოდა... კაცმა მეორე პასპორტიც ამოიღო.

ეს თურქეთში საშოვარზე ჩამოსული ქართველი ცოლ–ქმარი ყოფილა. როცა ჩაიხანაში დაბრუნდნენ და ახალგაზრდებს პირადობის მოწმობები დაუბრუნეს, ისინი მაშინვე ჩივილს მოჰყვნენ: **იმ ქალს ჭლექი აქვს, მაგრამ მაინც ბოზობს და ქალაქში ჩამოსულ მესაქონლეებსა და ტყავის ვაჭრებთან ცხოვრობსო. კაცი კი, დანარჩენი ქართველების მსგავსად, ნახევარ ფასად მუშაობს** და შედეგად მუშების ბაზარზე ორმოც წელიწადში ერთხელ გამოჩენილ სამუშაო ადგილს თურქეთის მოქალაქეებს ცხვირწინ აცლისო. **ეს ცოლიცა და ქმარიც იმდენად ღატაკები და წუწურაქები იყვნენ, რომ სასტუმროს ფულსაც არ იხდიდნენ, წყლის სამმართველოს დამლაგებელს თვეში ხუთ ამერიკულ დოლარს უკუჭავდნენ და ამ საქვაბეში ცხოვრობდნენ. თურმე ამბობდნენ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სახლს ვიყიდით და სიცოცხლის ბოლომდე აღარ ვიმუშავებთო. ყუთებში თურქეთში იაფად ნაყიდ ტყავეულს ინახავდნენ, რომელსაც თბილისში დაბრუნების შემდეგ სარფიანად გაყიდდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ იყვნენ დეპორტირებულები, „თავიანთ" საქვაბეში დაბრუნებას რაღაც მანქანებით მაინც ახერხებდნენ.** ამგვარი წურბელები, რომელთა მოშორებას მექრთამე პოლიცია ვერ ახერხებდა, ყარსში სამხედრო ხელისუფლებას უნდა მოესპო" (ფამუქი, 2011: 219-220).

ო. ფამუქის ხაზგასმით, საარსებო სახსრის მაძიებელი ეს „იაფი მუშახელი" თურქეთში „ზოგიერთ მენარდეს ჩამოჰყავდა უკანონოდ, ხორცით დატვირთული მანქანებით, სომხეთის გავლით, რომელთაც ბარაკებში აცხოვრებდნენ, ვირებივით ამუშავებდნენ და ხშირად ფულს საერთოდ არ უხდიდნენ."

დამოწმებული ფრაგმენტი გამონაკლისი არ არის და ქართველებთან და თურქეთში საარსებო სახსრის საძიებლად საბჭოთა კავშირიდან არალეგალურად ჩასულ მუშახელთან დაკავშირებული მსგავსი ეპიზოდები სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად: რომანის მთავარი პერსონაჟის ინფორმაციით, ყარსის ერთ-ერთი სასტუმროს ფოიეში შეკრებილ თაღლითთა შორის ისინიც იმყოფებოდნენ, რომლებიც „საზღვარზე არალეგალი მუშების გადაყვანის „ბნელი" საქმეებით იყვნენ დაკავებული."

ამ სასტუმროში, რომელშიც „80 წლის წინ მდიდარი რუსი ვაჭრები, მოგვიანებით კი რუსეთთან სავაჭროდ სტამბოლიდან ჩა-

მოსული თურქები და არისტოკრატული წარმოშობის ინგლისელი აგენტები ჩერდებოდნენ (ისინი სომხეთის საზღვრიდან საბჭოთა კავშირში ჯაშუშებს აგზავნიდნენ), ახლა **ქართველი და უკრაინელი ქალები ცხოვრობდნენ და ვაჭრობითა და პროსტიტუციით ირჩენდნენ თავს.** ყარსის სოფლებიდან ჩამოსული მამაკაცები ამ ქალებისთვის ჯერ ოთახს ქირაობდნენ, მერე ამ ოთახებში მათთან ერთად სანახევროდ ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდნენ" (ფამუქი, 2011: 321).

ან კიდევ: ყარსის ერთ-ერთი საჩაიეს სარდაფში ჩასულ კას „ქვეშაგების სუნის გარდა, არყის სუნიც ეცა. გათბობის მოთუხთუხე ქვაბთან რამდენიმე კაცი ფუსფუსებდა. მუყაოს ყუთებს შორის უშიშროების ცხვირწინსკარტა თანამშრომელი, **ჭლექიანი ქართველი ქალი და მისი ქმარი არაყს სვამდნენ"** (ფამუქი, 2011: 348).

როგორც ვხედავთ, ო. ფამუქს თავისი რომანის ქართველი პერსონაჟები მხოლოდ მკვეთრად ნეგატიური კუთხით ჰყავს წარმოსახული და იგი მათ ყოფასა და პიროვნულ არსებაში ვერავითარ პოზიტიურ ნიშან-თვისებას ვერ ხედავს.

მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ნაწარმოები სამეცნიერო ნაშრომი არ არის და მის ავტორს რეალურად არსებული მდგომარეობის ფაქტოლოგიური სიზუსტით გადმოცემა ნაკლებად ევალება, ამ მდგომარეობის არსებითად გაყალბებული სახით წარმოჩენას მაინც არა აქვს არავითარი გამართლება.

ორჰან ფამუქის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციები კი პრინციპულად მცდარი რომ არის და რომანში აღწერილი პერიოდის ქართულ ყოფას ნამდვილად არ შეესაბამება, ამაში, ვფიქრობ, ყოველგვარი ზედმეტი არგუმენტაციის გარეშეც დამეთანხმება იმჟამინდელ მოვლენათა არსში თუნდაც ზედაპირულად გარკვეული მკითხველი.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად კვლავაც მოვიშველიებ რამდენიმე მნიშვნელოვან არგუმენტს ნაწარმოებიდან.

როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ ო. ფამუქის მიერ აღწერილ პერიოდში (XX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნა) საქართველო იმდროინდელი მსოფლიოს ისეთი მძლავრი სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, არა მარტო მისი საზღვრები გახლდათ უმკაცრესად დაცული, არამედ მთელი სახელმწიფოსიც.

ასე რომ, ავტორისეული ხაზგასმა იმასთან დაკავშირებით, თითქოს თურქეთში სამუშაოდ და ფინანსური სარგებლის მოსაპოვებლად მასობრივად წასვლის მსურველი ქართველებიცა და სხვა ეროვნების საბჭოთა მოქალაქეებიც ამ ქვეყანაში საბარგო მანქანებით გადადიოდნენ არალეგალურად, პრინციპულად მცდარი შეხედულებაა და სინამდვილეს არ შეესაბამება.

ამ მოსაზრების არარეალურობას ისიც ადასტურებს, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ისეთ დუხჭირ პირობებში სულაც არ უწევდა ცხოვრება, რომ საარსებო ლუკმაპურის მოსაპოვებლად ქვეყნიდან მასობრივად გადახვეწილიყო და მწერლის მიერ ნაჩვენები ცხოვრებისეული რეალობის მსხვერპლად ქცეულიყო.

ეს გულსატკენი ტენდენცია ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი სხვა რესპუბლიკების მკვიდრთა ცხოვრებაში მხოლოდ ამ რესპუბლიკების მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში გამოვლინდა მეტ-ნაკლები მასშტაბებით, იმხანად შექმნილი ეკონომიკური პრობლემებისაგან თავის დასაღწევად.

მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული პიროვნული ღირსებებით არც რომანის სომეხი პერსონაჟები ხასიათდებიან, მათდამი მწერლის დამოკიდებულება, ქართველებისაგან განსხვავებით, მაინც აშკარად ლოიალურია.

მიუხედავად იმისა, რომ ყარსი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცეულ, ანდა მასზე დაქვემდებარებულ მხარეს წარმოადგენდა, სომხური და რუსული ეპიზოდებისგან განსხვავებით, რომანში არათუ ამ ისტორიული რეალობის თაობაზე არ არის თუნდაც ერთი სიტყვითაც კი ნათქვამი, არამედ – ხსენებულ რეგიონში ქართული ნაკვალევის რაიმე ფორმით არსებობის შესახებაც.

მართალია, ყარსის ისტორიაში სომხებმა მართლაც შეასრულეს ქართველებზე მნიშვნელოვანი როლი, რაც ამ ქალაქში დღემდე შემორჩენილი სომხური მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლითაც დასტურდება, მაგრამ, როგორც სათანადო დოკუმენტური მასალებით ნათლად ჩანს, ამ ქალაქის ისტორიაში ქართველებსაც აქვთ საგულისხმო როლი შესრულებული.

ეს ფაქტი ო. ფამუქის რომანში მხოლოდ იმის აღნიშვნით ფიქსირდება, რომ „ყარსი საქართველოს საზღვართან ახლოს, თავრი-

ზისა და თბილისის გზაზე მდებარეობდა... ოსმალობის ხანაში აქ სხვადასხვა ჯურის ხალხი ცხოვრობდა; მაგალითად, **სომხები, რომელთა მიერ ათასი წლის წინ აგებული ზოგი ეკლესია ახლაც გორაზად გამოიყურება;** მონღოლებისა და ირანელების ჯარს გამოქცეული სპარსელები, ბიზანტიისა და პონტოს სამეფოს დროიდან შემორჩენილი ბერძნების შთამომავლები, ქართველები, ქურთები, ჩერქეზული ტომები 1878 წელს, მას შემდეგ, რაც ხუთასწლოვანი ციხე რუსის ჯარს ჩაბარდა, მუსლიმთა ნაწილმა ქალაქი დატოვა, მაგრამ მისი სიჭრელე არ შეცვლილა" (ფამუქი, 2011: 28).

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ო. ფამუქი ყარსში არსებული სომხური და რუსული მატერიალური კულტურის ძეგლთა შესახებ გვაწვდის, დავიმოწმებ შესაბამის ეპიზოდებს რომანიდან.

1. ქალაქის დასათვალიერებლად გამოსული კა ინტერესით „გასცქეროდა **ძველ რუსულ შენობებს,** ფანჯრებიდან ღუმელის საკვამურები რომ ჰქონდათ გამოშვერილი; შეშის საწყობებსა და ელექტროტრანსფორმატორს შორის აღმართულ, დაცარიელებულ და სახურავახდილ **ათასწლიან სომხურ ეკლესიას**" (ფამუქი, 2011: 15).

2. **„ფაიქბეის პროსპექტზე რუსი და სომეხი ბობოლებისაგან შემორჩენილი, ახლა კი სახელმწიფო დაწესებულებებად გადაკეთებული შენობები იყო ჩამწკრივებული.** ყარსის უშიშროების სამმართველო ერთ-ერთ ასეთ გრძელ, სამსართულიან შენობაში მდებარეობდა. სანამ უშიშროების სამმართველოს უფროსის მოადგილეს ელოდებოდნენ, სერდარ ბეიმ კას მაღალ და მოხატულ ჭერზე მიუთითა და უთხრა, ეს შენობა 1877-1918 წლებში, რუსეთის დროს, **მდიდარი სომხის ორმოცოთახიანი საცხოვრებელი სახლი,** მოგვიანებით კი საავადმყოფო ყოფილა" (ფამუქი, 2011: 17).

ო. ფამუქის ინფორმაციით, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როცა რომანში მოთხრობილი მოვლენები ვითარდება, ყარსში სომეხთა კუთვნილი ისეთი სახლებიც გვხვდებოდა, სადაც აგერ უკვე სამოცდაათი წელია, არავინ ცხოვრობდა და გამოკეტილი იყო. მაგალითად: :რამდენიმე სახლის კარს მივაკაკუნე, მაგრამ არავინ გამომხედა, ეს ან სომხების სახლი იყო, რომლებშიც აგერ უკვე სამოცდაათი წელია, არავინ ცხოვრობს, ან რამდენიმე საბანში გახვეულ სახლის პატრონებს თავიანთი ბუნაგებიდან გამოძრომა დაეზარათ" (ფამუქი, 2011: 68).

ან კიდევ: ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გუბერნატორის სასახლის წინ, ათათურქის ძეგლით დამშვენებულ პარკთან, **ყარსში რუსების ყოფნის დროინდელი იმ ნაგებობის გვერდით, რომელიც ამ ქალაქის „უბრწყინვალეს შენობად ითვლებოდა" და რომელშიც ყარსის რესპუბლიკის „სახელმწიფო აპარატი და პარლამენტი იყო განთავსებული,"** „კამ ერთსართულიან, ცარიელ, ფანჯრებაჭედილ სომხურ სახლს ჩაუარა." იქვე, მის „ მოპირდაპირე მხარეს, მდებარე ძველი სომხური შენობა კი იმავე სახელმწიფოს ხელმძღვანელობას ეკავა... გუბერნატორის სასახლისთვის გვერდი რომ აევლო, კამ პარკისკენ გადაუხვია და კიდევ ერთ ლამაზ და სევდიან სომხურ შენობას გასცდა" (ფამუქი, 2011: 196).

ხსენებული შენობები გამონაკლისი არ ყოფილა და ყარსში ნაცხოვრებ სომეხთა ნაქონ სახლებში რუსული მმართველობის დროსაც და თურქეთის მიერ მისი მისაკუთრების შემდგომაც, ან ესა თუ ის სახელმწიფოებრივი დაწესებულება იყო განთავსებული, ანდა რომელიმე მაღალჩინოსანი ცხოვრობდა. მაგალითად: „ძველი საერთო საცხოვრებელი ოდესღაც სომხური სახლი იყო, შემდეგ კი რუსეთის საკონსულო, რომელშიც კონსული თავის ძაღლთან ერთად ცხოვრობდა" (ფამუქი, 2011: 502).

ო. ფამუქის რომანიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ **ყარსში მცხოვრებ სომხებს იმდენად მაღალი არქიტექტურული ხელოვნებით აგებული საკუთარი ეკლესიებიც ჰქონიათ,** რომ მათ დასათვალიერებლად ამ ქალაქში ჩასული უცხოელი ტურისტებიც მიდიოდნენ საკმაოდ მრავლად (ფამუქი, 2011: 338).

ო. ფამუქის რომანში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ რუსეთის შემადგენლობაში არცთუ ისე დიდი ხნის განმავლობაში ყოფნის მიუხედავად, ყარსში რუსული ნაკვალევი გასული საუკუნის 70-80-იან წლებშიც საკმაოდ მრავლად გვხვდებოდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას მწერალი, პირველ ყოვლისა, რუსეთის მმართველობის პერიოდში რუსული არქიტექტურით აგებულ იმ შენობებზე ამახვილებს, რომლებიც იმხანადაც მრავლად იყო შემორჩენილი ამ ქალაქში.

როგორც რომანიდან ნათლად ჩანს, ეს შენობები ქალაქს გამორჩეულ არქიტექტურულ იერსახეს სძენდა. მაგალითად: „ქვის ძველი შენობები, რომლებიც რუსების მიერ იყო აგებული, ყარსს განსაკუთრებულ ადგილად აქცევდა" (ფამუქი, 2011: 13).

ასე რომ, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის მიერ მოპოვებული გამარჯვების შემდგომ მისი მმართველობის

ქვეშ მოქცელ ყარსში აგებულ შენობათა არქიტექტურული სტილისა და იერის შედეგად, როგორც ამას ო. ფამუქის რომანში არაერთგზის ესმება ხაზი, ქალაქმა გარკვეულწილად რუსული სახეც კი შეიძინა.

მაგალითად, „რუსების დროს ციხის კალთებზე შეფენილ ქალეალთას უბანში ფაშების სასახლეები, აბანოები და ოსმალური შენობები იყო ჩამწკრივებული, ყარსისწყლის სამხრეთ ფერდობზე კი მეფის ხუროთმოძღვრებმა ახალი ქალაქი გააშენეს. ეს ქალაქი ერთმანეთის პარალელური ხუთი მთავარი პროსპექტისა და მათი გადამკვეთი ქუჩებისგან შედგებოდა, რასაც აღმოსავლეთის ვერც ერთ ქალაქში ვერ ნახავდით. მეფე ალექსანდრე მესამე აქ თავის საყვარელთან შესახვედრად და სანადიროდ ჩამოდიოდა. ქალაქს რუსებისათვის სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელად და სავაჭრო გზების ხელში ჩასაგდებად ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა და ამიტომ მის ასაყვავებლად მატერიალურ სახსრებს არ იშურებდნენ“ (ფამუქი, 2011: 28).

როგორც ზემოთ დამოწმებული ფრაგმენტებითაც ნათლად ჩანს, რუსეთის მმართველობის პერიოდში, ყარსში რუსების მიერ აგებულ მრავალრიცხოვან შენობათა ნაწილი ქალაქის ხელისუფლებას ფაქტობრივად დღემდე აქვს გამოყენებული სხვადასხვა დაწესებულებათა განსათავსებლადაც და საცხოვრებლადაც, ნაწილი კი მოუვლელობისა და უპატრონობის გამო, უკვე ნანგრევებადაა ქცეული, ანდა დანგრევის პირამდე მიყვანილი.

მაგალითად, ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ რუსულ შენობაში, რომლის „მფლობელიც იყო უნივერსიტეტის პროდასავლური შეხედულებების მქონე პროფესორი ან მეფის მიერ ციმბირში გადასახლებული, მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრე ვინმე სომეხი,“ ახლა კი თურქი მეპატრონე ჰყავდა, ადრე „უპატრონო ქრისტიან ბავშვთა თავშესაფარს“ წარმოადგენდა, ახლა კი მთელს ყარსში კომფორტით გამორჩეული სასტუმრო „ქარპალასი“ იყო განთავსებული (ფამუქი, 2011: 31).

სამხედრო შტაბთან მდებარე შენობას კი, სადაც „1960-იან წლებში პარკის გაშენება იგეგმებოდა, 1970-იანების სამხედრო გადატრიალების შემდეგ გალავანი შემოარტყეს და სამხედროების საერთო საცხოვრებლები, შტაბის ახალი შენობები და საწვრთნელი მოედნები მოაწყვეს... სახლი, რომელშიც ყარსში მოგზაურობის დროს პუშკინი ცხოვრობდა და თავლები, რომლებიც ამ

ფაქტიდან 40 წლის შემდეგ რუსეთის მეფემ კაზაკი კავალერისტებისთვის ააშენებინა, დანგრევას გადაურჩა...

აგურის პატარა შენობაში, რომელშიც მეფის რუსეთის დროს კავალერიის შტაბი იყო განთავსებული, ქვედა სართულზე ქვის ციცი კიბე ჩადიოდა. იქ წესრიგის დამრღვევი ჯარისკაცებისთვის ერთი უფანჯრო საკანი იყო, რომელიც რესპუბლიკის პერიოდში სანყობებად, 1950-იანი ნლებიდან მოყოლებული კი ატომური თავდასხმის საწინააღმდეგო თავშესაფრად გამოიყენებოდა" (ფამუქი, 2011: 382).

დანგრევას ვერ გადაურჩა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიაც, რომლის ნამყოფ ადგილზე 1968 წელს საკონდიტრო აუგიათ, ეკლესიის კარები კი მუზეუმში წაულიათ შესანახად (ფამუქი, 2011: 4).

ან კიდევ: „რუსების დროიდან შემორჩენილი, ოთხმოცდაათწლიანი შენობის... სილამაზემ და მოუვლელობამ კას ყარსში ჩამოსვლის პირველსავე საღამოს უცნაური სევდა მოჰგვარა. როცა ქალაქი თურქების ხელში გადავიდა, ასევე რესპუბლიკის პირველ წლებში, ცნობილი მოვაჭრე მარუფ ბეი აქ ფუფუნებით ცხოვრობდა (იგი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობდა ტყავეულითა და ხე–ტყით) თავისი ოჯახით, მოსამსახურეებითა და მზარეულებით... მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნული უშიშროების სამსახურმა ჯაშუშობის ბრალდებით ყველა ის ცნობილი მდიდარი დააპატიმრა და გადაასახლა, საბჭოთა კავშირში რომ ვაჭრობდნენ. უკან არც ერთი მათგანი აღარ დაბრუნებულა, შენობები კი უპატრონობითა და სამემკვიდრეო დავების გამო, აგერ უკვე დაახლოებით ოცი წელია, დაცარიელებული იყო. 1970-იან წლებში შენობას ხელჯოხებით შეიარაღებული მარქსისტული ფრაქცია დაეპატრონა და შიგ თავისი შტაბებინა მოაწყო... 1980-იან წლების სამხედრო გადატრიალების შემდგომ შენობა ისევ დაიცალა. მოგვიანებით იქ ერთმა მოხერხებულმა ვაჭარმა განათავსა თავისი საწყობი... სამი წლის წინ კი ერთმა თერძმა სამკერვალო გახსნა" (ფამუქი, 2011: 224).

ყარსის ისტორიულ წარსულთან დაკავშირებულ ინფორმაციათა მოწოდების დროს ო. ფამუქი იმ გარემოებასაც არაერთგზის მიაპყრობს ყურადღებას, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობიდან გამომდინარე, ეს ქალაქი არა მარტო ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის იყო ქცეული საომარ ბატალიათა ეპიცენტრად, არამედ ევროპის სხვა სახელმწიფოების მხრიდანაც.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამგვარი პოლიტიკურ-სტრატეგიული ინტერესის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, 1919 წელს, რუსული მმართველობისაგან განთავისუფლების შემდგომ პერიოდში, ყარსი და მისი რეგიონი ცალკე, დამოუკიდებელ, სახელმწიფოდაც კი იწოდებოდა ყარსის რესპუბლიკის სახელით.

კერძოდ, „1919 წლის იანვარში სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ე. წ. „ახალი სახელმწიფო," რომელიც თავის თავს უწოდებდა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკას." მისი ცენტრი იყო ქალაქი ყარსი და სწორედ ამიტომ მას „ყარსის რესპუბლიკის სახელითაც მოიხსენიებენ. ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩათვლით. ამას ემატებოდა სურმალოს, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის დიდი ნაწილი" (სიორიძე, 1995: 14).

ე. წ. ყარსის რესპუბლიკის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილება 1919 წლის 17-18 იანვარს მიუღია „ყარსის მესამე კონგრესს." „სწორედ ამ კონგრესზე ჩამოყალიბდა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჯიჰანგიროღლუ იბრაიმ ბეი. რესპუბლიკის ცენტრად გამოცხადდა ქალაქი ყარსი. ამ სეპარატისტულ სახელმწიფოს ჰყავდა თავისი მეჯლისი (პარლამენტი), რომელიც 70 წევრისაგან შედგებოდა... მათ ჰქონდათ სამფეროვანი დროშა (ალუბლისფერი, თეთრი და მუქი მწვანე ფერებით), ხოლო სახელმწიფო საკანცელარიო ენად გამოაცხადეს თურქული" (უფრო ვრცლად იხ: გ. კუკულაძის სადისერტაციო ნაშრომი, 2017).

ხსენებულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით, მეტად მცირე ინფორმაცია ო. ფამუქმაც მოგვაწოდა თავის რომანში. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ნაწარმოებიდან: „დაუსრულებელი ომების, დაქუცმაცების, ეთნიკური წმენდისა და აჯანყებების, სომხების, რუსების და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხანს ინგლისელების ხელიდან ხელში გადასვლის მოკლე პერიოდში ყარსის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის შემდეგ, 1920 წლის ოქტომბერში, ქალაქში თურქეთის ჯარი შევიდა ქაზიმ ქარაბექირის მეთაურობით, რომლის ქანდაკებაც ახლა სადგურის მოედანს ამშვენებდა. თურქებმა, რომელთაც ქალაქის დასაბრუნებლად 43 წელი დასჭირდათ, მეფის (იგულისხ-

მება რუსეთის იმპერატორი – ა. ნ.) მიერ შემუშავებული ახალი დაგეგმარება შეინარჩუნეს. რუსეთის მეფეების მიერ ქალაქში შემოტანილი კულტურაც – აქაოდა, რესპუბლიკის პროდასავლურ აღტყინებას შეესაბამებაო, თავიდან აითვისეს და რუსების მიერ გაყვანილ ხუთ პროსპექტს ყარსის ისტორიაში ხუთი დიდი ფაშას სახელი დაარქვეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამხედროების გარდა, ღირსეულ პიროვნებას არავის იცნობდნენ" (ფამუქი, 2011: 29).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული პასაჟები, ო. ფამუქის რომანის უმთავრეს პრობლემათა წარმოჩენის თვალსაზრისით, მხოლოდ ფონის შემქმნელ ფუნქციას ასრულებს და ავტორისეული ჩანაფიქრის გამოხატვის მხრივ მათ ნაკლებად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვთ შეძენილი.

„თოვლის" დაწერის უმთავრეს მიზანს კი იმ რთულ და დრამატულად განვითარებულ მოვლენათა ფართო სპექტრით წარმოჩენა წარმოადგენს, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ყარსში განვითარდა გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, პოლიტიკური ისლამის ფანატიკოს მიმდევართა და მათ წინააღმდეგ მებრძოლ იმ ხელისუფალთა მძაფრი დაპირისპირების შედეგად, რომლებიც ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბატიაშვილი ზ. თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბ. 2000 წ.

კუკულაძე გ. საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის პროცესში. 1918–1920 წწ. (სამხრეთ–დასავლეთ საქართველო). ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ბათუმი, 2017 წ.

ნიკოლეიშვილი ა. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 2000 წ.

რობაქიძე გრ. ჩაკლული სული, გერმანულიდან თარგმნა ა. კარტოზიამ, თბ. 1991 წ.

რობაქიძე გრ. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია... თბ. 1996 წ.

სვანიძე მ. თურქეთის ისტორია, III, თბ. 2005 წ.

სიორიძე მ. ყარსის რესპუბლიკა. იხ: ჟურნალი „საისტორიო მაცნე," ბათუმი, 1995 წ.

სორდია გ. „ევროპეიზაცია" და ისლამიზმი თანამედროვე თურქეთში, ჟურნ. „პოლიტიკა," 2000 წ. №2.

ფამუქი ო. თოვლი, თურქულიდან თარგმნა ნ. ჯანაშიამ, თბ. 2011 წ.

ჭიჭინაძე ზ. ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი, ბათუმი, 1911 წ.

ჭიჭინაძე ზ. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თფ. 1913 წ.

2018 წ.

ილჰან აკინი – „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“

ქართველ მუჰაჯირთა ტრაგიკული ხვედრის ამსახველი რომანი

მოხდა ისე, რომ საქართველოდან ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა ტრაგიკული ცხოვრებისეული ხვედრის წარმოსახვა თითქმის მთლიანად დარჩა ქართველ მწერალთა მხატვრული შემოქმედების მიღმა და ამ თემაზე ძალზე ცოტა ტექსტი შეიქმნა ლიტერატურულად ფასეული და მნიშვნელოვანი. ქართული მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, მუჰაჯირობის პრობლემამ უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართველ პუბლიცისტთა და ისტორიკოსთა ნააზრევში. კერძოდ, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს პრობლემა არა მარტო მუჰაჯირობის დროს რჩებოდა ქართველ მწერალთა, პუბლიცისტთა და მკვლევართა აქტიური განსჯის საგნად, არამედ შემდგომ პერიოდშიც.

ქართულ მწერლობაში აღნიშნული მიმართულებით არსებული ამ ხარვეზის რამდენადმე მაინც შევსების წარმატებულ მცდელობად უნდა მივიჩნიოთ თურქი მწერლის, ეთნიკური წარმომავლობით ქართველი პროზაიკოსის ილჰან აკინის (ბერიძის) რომანი „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება.“ ხსენებული ნაწარმოები პირველად 2014 წელს დაიბეჭდა სტამბოლში „დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის“ დაფინანსებით. წიგნის მთელი ტირაჟი მაშინ იმდენად სწრაფად გაიყიდა, რომ 2015 წელს იგი ხელმეორედაც გამოიცა.

ილჰან აკინი თანამედროვე თურქული ლიტერატურის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის ნაწარმოებები ინგლისურ, არაბულ და ჰინდის ენებზეცაა თარგმნილი. მწერლის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ქართულ ენაზე დღესდღეობით მხოლოდ ერთი მხატვრული ქმნილება – ზემოთ ხსენებული რომანი „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლებაა“ თარგმნილი. იგი მაღალმხატვრულად თარგმნა ცნობილმა თურქოლოგმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნანა კაჭარავამ, რომელიც 2014 წლიდან – თურქეთის რესპუბლიკის დუზჯეს უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის გახსნის მეორე წლიდან – სტუდენტებს ამ უნივერსიტეტშიც ასწავლის ქართულ ენას.

ილჰან აკინის (წინაპართა ქართული გვარით – ბერიძის) რომანზე საუბრის დაწყებამდე მკითხველს მისი ბიოგრაფიიდანაც მინდა შევთავაზო რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია: თავად ისიც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალია. დაიბადა 1963 წელს დუზჯეს პროვინციის სოფელ მუნჯურლუში. სპეციალობით თურქული ენის პედაგოგია და სხვადასხვა დროს მუშაობდა მასწავლებლად. შემდგომში მუშაობა განაგრძო იზეთ ბაისალის სახელობის უნივერსიტეტის დუზჯეს უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში, სადაც განათლების ფაკულტეტთან არსებულ სამწერლობო სახელოსნოში კითხულობდა ლექციებს შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებით.

თურქეთის სამეცნიერო და ლიტერატურული ასოციაციების კავშირის მიერ იგი დასახელებული იყო 2012 წლის საუკეთესო რომანისტად. არის ოცამდე რომანის ავტორი და რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.

ილჰან აკინი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაში. ამჟამად ცხოვრობს ქალაქ დუზჯეში და არის იქ არსებული ქართული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელი საბჭოს წევრი.

ილჰან აკინის მხატვრული პროზის თემატიკა მეტად მრავალფეროვანია და ავტორის თვალთახედვის არეში არა მარტო თურქული რეალობაა მოქცეული, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნების მკვიდრთა ყოფაც.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ილჰან აკინს, როგორც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალს, თავისი ისტორიული წარმომავლობით ბევრი რამ აკავშირებს საქართველოსთან, გულისწყვეტით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართულ თემატიკას მის შემოქმედებაში ბოლო დრომდე არ დაუჭერია საგულისხმო ადგილი. მის მწერლურ ბიოგრაფიაში, ამ თვალსაზრისით, გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ბოლო წლებში დაწერილი ორი რომანი: „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“ და „ოქროს საწმისი.“

ქალბატონ ნანა კაჭარავას ხაზგასმით, „ოქროს საწმისში," რომელიც ავტორს საბოლოოდ დასრულებული სახით დღემდე თურქულ ენაზეც კი არ აქვს გამოქვეყნებული, განსხვავებული თვალთახედვით ყოფილა გააზრებული კოლხეთში არგონავტების ჩამოსვლისა და ოქროს საწმისის გატაცების ამბავი. რაც შეეხება ,,უხმო ქვითინს," იგი მწერლის მიერ ქართულ თემატიკაზე შექმნილი პირველი მხატვრული ტექსტია, რომელშიც ისტორიული რეალიების გათვალისწინებითაა მოთხრობილი ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა ტრაგიკული ცხოვრებისეული ხვედრი.

მწერალმა მის მიერ წარმოსახულ მოვლენებს მეტი ემოციური სიმძაფრე იმითაც შესძინა, რომ რომანის თურქულენოვან ტექსტში ქართული სიტყვა-გამოთქმებიცა და ხალხური სასიმღერო ტექსტებიც ჩართო მიზანმიმართულად. ეს ის ტექსტოლოგიური აქსესუარებია, რომელთა მეშვეობითაც ავტორი არა მარტო ქართულ რეალობასთან მისი რომანის პერსონაჟთა სისხლხორცეულ სიახლოვესა და მისგან სულიერ განუყოფელობას წარმოაჩენს, არამედ თავად მის გენეტიკურ კავშირსაც თავის ისტორიულ სამშობლოსთან.

კერძოდ, წინაპართა ენის არმცოდნე მწერალი რომანის ტექსტში ამ ენიდან ხსოვნას მწირად შემორჩენილი ქართული სიტყვებისა და სასიმღერო ტექსტების ჩართვითაც ცდილობს, მის მიერ წარმოსახული ქართველი პერსონაჟების ტრაგიკულ ცხოვრებისეულ თავგადასავალს კიდევ უფრო მეტი ემოციური სიმძაფრე რომ შესძინოს. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი ქართული ენის არმცოდნე მკითხველისთვისაც გახადოს გასაგები, ქართული ანბანით დაბეჭდილ ამ ლექსებსა და სიტყვებს ავტორი იქვე ლათინური ტრანსკრიფციითაც და შესაბამისი ახსნა-განმარტებებითაც წარმოგვიდგენს. მაგალითად (აკინი, 2020: 53):

პატარა გოგო დამეკარგა, ნითელპერანგა,
ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ?
დღე და ღამე ვტირი მე და ცრემლი მწველია,
პატარა გოგოს სიყვარული ოჰ, რა ძნელია...
ვაიმე, ჩემო ანგელოზო, ჩემო ლამაზო,
პატარა გოგო დამეკარგა, რა მეშველება?
მაღლა-მაღლა ნუ დაფრინავ, ჩამოვარდები,
ვაჭრის ხელში ჩავარდები, დამეკარგები...
პატარა გოგო დამეკარგა, რა მეშველება?

როგორც უკვე ითქვა, ილჰან აკინის რომანის უმთავრესი თემა ქართველ მუჰაჯირთა ტრაგიკული ხვედრის წარმოსახვაა. კერძოდ, მწერალი ოსმალეთში მუჰაჯირად მიმავალი ბადრისა და მისი ცხრა წლის ძმისშვილის – დილას ხიფათიანი თავგადასავლის მოთხრობის შედეგად ღრმად შთამბეჭდავი ფორმით წარმოაჩენს იმ უმძიმეს მდგომარეობას, რომელშიც საქართველოდან უცხოეთში გადასახლებული ქართველი მუჰაჯირები აღმოჩნდნენ, ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის შედეგად.

რომანის მიხედვით, ამ ადამიანების მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად ამ ქვეყნის შემადგენლობაში საქართველოს იმ რეგიონების მოქცევა წარმოადგენდა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში შედიოდა.

როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის შემადგენლობაში მოქცეული ამ რეგიონების მოსახლეობა დროთა განმავლობაში მუსულმანური სარწმუნოების აღმსარებელი გახდა, ისინი თავიანთ ეროვნულ ფესვებს მაინც არ მოწყვეტილან და უმტკიცესად დაიცვეს საკუთარი ეთნიკური იდენტობა. რომანში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ მათი ეროვნული თვითშეგნებისთვის საფუძვლის შემრყევ მოვლენად სულაც არ ქცეულა ნინაპართა რელიგიური აღმსარებლობისგან ამ ადამიანთა განდგომა და ისინი კვლავინდებურად რჩებოდნენ თავიანთი ისტორიული სამშობლოს ერთგულ და მოყვარულ ადამიანებად.

ჩემი აზრით, მუჰაჯირობის საფუძვლად ქცეული უმთავრესი გარემოებები ილჰან აკინის რომანში ნაწილობრივ არის წარმოჩენილი და ამ ტრაგიკული მოვლენის განმაპირობებელ ლამის ერთადერთ ფაქტორად რუსული კოლონიალიზმის დამთრგუნველი და მომაკვდინებელი ზემოქმედებაა მიჩნეული. იმ გარემოებაზე კი ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება, მუჰაჯირთა მიერ ისტორიული სამშობლოდან გადასახლებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღების უმთავრეს საფუძველს რელიგიური რწმენა რომ წარმოადგენდა.

მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟებს არც ის ჰქონდათ გაცნობიერებული, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მათი რეგიონის მოქცევის შედეგად, ეს რეგიონი ფაქტობრივად დედა-

საქართველოს ღვიძლი ნაწილი რომ ხდებოდა, რაც ისტორიულ სამშობლოსთან საუკუნეების წინათ გაწყვეტილი ურთიერთობის რეალურად აღდგენას მოასწავებდა.

ყოველივე ზემოთქმულის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს რომანიდან.

.ბათუმიდან ოსმალეთში მიმავალ გემზე მყოფი რვაასზე მეტი ქართველი მუჰაჯირი, რომელთა შორის რომანის მთავარი პერსონაჟებიც – ბადრიცა და მისი ცხრა წლის ძმიშვილი დილაც არიან, სამუდამოდ ემშვიდობებიან სამშობლოსა და ახლობელ ადამიანებს. მათ უდიდეს ნაწილს ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმითა და სამშობლოსთან სამუდამო გამოთხოვებით რამდენად სწორ ნაბიჯს დგამდნენ და რა ბედი ელოდათ უცხო ქვეყანაში ღვთის ანაბარად გადახვენის შედეგად.

აქედან გამომდინარე, მათი იმჟამინდელი სულიერი განცდების წარმოსახვის დროს, მწერალმა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ უმნვავესი საკითხის განსჯა-გააზრებასა და მათი სულიერი განცდების წარმოჩენას მიაქცია. ჩემი აზრით, ილჰან აკინის რომანისადმი ინტერესს, უპირველეს ყოვლისა, ის ეპიზოდები განსაზღვრავს, რომელთა მეშვეობითაც მწერალი მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით წარმოსახავს მუჰაჯირად ქცეულ ადამიანთა სულიერ განცდებსა და მათ მიერ მიღებული ამ საბედისწერო გადაწყვეტილების მოსალოდნელ შედეგებს.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის მონაკვეთი, სადაც ბადრისა და მის მიერ ახლად გაცნობილი ქობულეთელი მოხუცი თანამგზავრის საუბარია გადმოცემული. თავისი გადაწყვეტილების მართებულობაში ღრმად დარწმუნებული ბადრისაგან განსხვავებით, მოხუცს აღნიშნული პრობლემისადმი რამდენადმე გაორებული დამოკიდებულება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირობის ტრაგიკულ გზაზე ფეხშედგმულ მოხუცს თავისი ოჯახის წევრები ოსმალეთში იმხანად უკვე ჰყავდა გახიზნული, იგი შინაგანად მაინც იყო დაეჭვებული მის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების მართებულობაში.

კერძოდ, ბადრისთან გამართული ერთ-ერთი საუბრის დროს, იგი ხსენებული პრობლემისადმი თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამგვარად გამოხატავს: „წასვლაა უფრო სწორი თუ დარჩენა, შვილო? – ეუბნება იგი ბადრის. – მე მთლად დარწმუნებული არა ვარ. ნეტავ დაერჩენილიყავით...

დავრჩენილიყავით და საკუთარი თავისათვის საკუთარ სამშობლოში მიგვეხედა...

ვერაფრით გაერკვია, წასვლა უფრო სწორი იყო თუ დარჩენა. მიჩვეული ადგილებიდან, სამშობლოდან მოწყვეტისა და გადახვეწის სიმწარე იკითხებოდა მის სახეზე" (აკინი, 2020: 34).

როგორც ითქვა, მუჰაჯირობის ტრაგიკული პროცესის დაწყება არსებითად განაპირობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის მიერ მისაკუთრებული ქართული რეგიონების მოქცევამ რუსეთის სახელმწიფოებრივ დაქვემდებარებაში. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს დაწყებულმა ამ პროცესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები 1877-1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შემდომ პერიოდში შეიძინა, რის შედეგადაც მუჰაჯირად ქცეული ასი ათასობით ქართველი სამუდამოდ აიბარგა მშობლიური მიწიდან და ოსმალეთის მკვიდრად იქცა.

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, „ეს ყველაფერი იმ დღეს დაიწყო, როდესაც რუსთა ხელმწიფემ თავი მთელი ქვეყნიერების მართლმადიდებელთა მფარველად გამოაცხადა." მისი შეფასებით, აღნიშნული მოვლენა მეტად საშიშ მოვლენას იმიტომაც წარმოადგენდა, რომ „მბრძანებლობის ეს საოცარი სურვილი რუსთა ხელმწიფეს, დროთა განმავლობაში, ისეთ ჟინად გადაექცევა, რომ მილიონობით ადამიანის დაღუპვის, შიმშილისა და სიღარიბის, მშობლიური ადგილებიდან აყრის, გადასახლებისა და მუჰაჯირობის მიზეზი გახდება" (აკინი, 2020: 31).

რუსი დამპყრობლებისაგან არსებითად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ რომანის მუჰაჯირ პერსონაჟებს ოსმალეთთან. კერძოდ, მათი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსად რუსეთისა, ჩვენი ქვეყნის ცალკეული რეგიონები საუკუნეების განმავლობაში მის შემადგენლობაშიც იყო მოქცეული, ოსმალეთის იმპერიული ხელისუფლება იქ მცხოვრებ ქართველთა მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკას არასოდეს ატარებდა და მათდამი აშკარად კეთილგანწყობით დამოკიდებულებას ავლენდა.

მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს ერთ-ერთი მათგანი მათი ცხოვრების ოსმალურ პერიოდს: „ოსმალეთის ქვეშევრდომობაში... მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს...

ოსმალეთი არ ერეოდა ჩვენს ყოფაში, ჩვენს საქმეში, ჩვენს ენასა და რწმენაში... არ ერეოდა იმაში, რას ვთესავდით, რას ვიმკიდით" (აკინი, 2020: 33).

ისტორიული რეალობის არსში გარკვეულ ქართველ მკითხველს, ბუნებრივია, იმის ხაზგასმით და არგუმენტირებულად აღნიშვნა არ სჭირდება, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული რეგიონების მოსახლეობის მიმართ ამ ქვეყნის იმპერიული ხელისუფლების მიერ გატარებული მმართველობითი პოლიტიკის ამგვარი შეფასება რეალურ საფუძველს რომაა მოკლებული. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ოსმალეთისადმი ქართველ მუჰაჯირთა ამგვარი ლოიალური დამოკიდებულების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებად არა მარტო რუსული კოლონიური პოლიტიკის მეტი სისასტიკე იქცა, არამედ რელიგიური ფაქტორიც.

„უხმო ქვითინის" პერსონაჟთა ეროვნული თვალთახედვის წარმოსახვის დროს, ილჰან აკინის რომანში მესამე მიმართულებაცაა მკაფიოდ გამოკვეთილი – თავგანწირული ბრძოლის სურვილი რუსული ოკუპაციისაგან საკუთარი მხარის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირად გადახვენის გზით ბევრი მათგანი რეალურად ეცლებოდა ბრძოლის ასპარეზს, ისინი თავიანთ მიწა-წყალს ამ ნაბიჯის გადადგმით მტრის საჯიჯგნად არ ტოვებდნენ და არა მარტო შინაგანად იყვნენ მტერზე შურისძიების დაუმცხრალი გრძნობით გულანთებულნი, არამედ რეალურადაც ცდილობდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან მათი სამშობლოს დამპყრობრუს აგრესორთა განდევნას. მაგრამ რადგანაც ამ უთანასწორო ბრძოლაში მიზნის მიღწევას ვერ ახერხებდნენ, საომარ ასპარეზს ეცლებოდნენ, საკუთარ მიწა-წყალს ტოვებდნენ და ოსმალეთში მიდიოდნენ ახალი სამშობლოს მოსაძებნად.

როგორც უკვე ითქვა, რომანის მუჰაჯირ პერსონაჟთა გარკვეული ნაწილი სამშობლოდან მათ გადახვენასთან დაკავშირებით მიღებული ამ გადაწყვეტილების მართებულობაში თავადაც არ იყო დარწმუნებული და ამ ტრაგიკული მოვლენისადმი მათ აშკარად გაორებული და შინაგანად წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ. კერძოდ, მათი აზრით, სამშობლოდან გადახვენის მიუხედავად, ისინი მუდმივად არ თმობდნენ საკუთარ მიწა-წყალს და კვლავაც გააგრძელებდნენ თავგანწირულ ბრძოლას რუს დამპყრობთა წინააღმდეგ.

რომანის პერსონაჟთა ამ წარმომადგენლების ეროვნულ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, დავიმოწმებ ფრაგმენტებს იმ საუბრიდან, რომელიც ამასთან დაკავშირებით იმართება ნაწარმოების მთავარ პერსონაჟ ბადრისა და

მის მოხუც თანამგზავრს შორის. მოხუცის თქმით, მშობლიური კარ-მიდამოდან მასობრივად აყრა და სხვა სახელმწიფოში გადასახლება შესაძლოა ვინმეს სამშობლოდან მათ გაქცევად და სიმხდალის გამოვლინებად მიეჩნია. სინამდვილეში, ეს ასე არ იყო და ისინი მხოლოდ იმიტომ ტოვებდნენ საკუთარ ქვეყანას, ძალა რომ მოეკრიბათ და აუცილებლად დაბრუნებულიყვნენ უკან მტრისთვის ანგარიშის გასასწორებლად.

თუმცა ავტორისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მათი ეს სურვილი რეალურ საფუძველს მოკლებული სიტყვები იყო და ოსმალეთში სამუდამო გადასახლებით ისინი თავიანთ ხვედრს იძულებით შერიგებულნი და მომხვდურ მტერთან ომში დამარცხებულნი ტოვებდნენ საბრძოლო ასპარეზს. ამდენად, მათი საუბარი იმაზე, რომ მშობლიური კარ-მიდამოდან გადახვეწის მიუხედავად, მტერზე შურის საძიებლად უკან უსათუოდ დაბრუნდებოდნენ და დაკარგულ სამშობლოს კვლავაც დაიბრუნებდნენ,საფუძველს მოკლებულ სურვილს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთქმულის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტებს რომანის ხსენებული ეპიზოდიდან: „მოხუცი ბადრისაკენ შეტრიალდა და ირონიული ღიმილით ჰკითხა:

– ახლა ჩვენ ამ გემით ხომ სულ სხვა ადგილას გადასასახლებლად მივდივართ. რა, რუსებს გავექეცით?..

მოხუცის ამ სიტყვებში ირონიულად, გადაკრულად სიმხდალის ბრალდება გამოსჭვიოდა...

ეს გადასახლება, ბადრის აზრით, არამც და არამც მთლიანად გადასახლება არ იყო.

მით უმეტეს, სულ არ იყო გაქცევა...

ათასი წლის განმავლობაში მის გვარსა და მოდგმას, მის სისხლსა და ჯიშს თავისი სამშობლოს – კავკასიის ეს ბარაქიანი მიწები ასაზრდოებდა და კვებავდა. სულაც არ აპირებდა სამშობლო რუსებისთვის ასე ადვილად დაეთმო...

ნებისმიერი ქართველი, მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ უნდა დასახლდეს, არ უღალატებს იმ მიწას, სადაც უმკია, უთესია, თავი გამოუკვებავს... მაშ, რა ხდება, ახლა სამშობლოს რომ ტოვებს და გარბის“ (აკინი, 2020: 38).

მართალია, საომარი ასპარეზი მათ ადვილად არ დაუთმიათ, მაგრამ ამ უთანასწორო ომში იძულებული გამხდარან, უკან და-

ეხიათ და მუჰაჯირობის გზას დადგომოდნენ. ბევრი მათგანი მაშინ ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მშობლიურ კარმიდამოს მხოლოდ დროებით ტოვებდნენ და სხვა ქვეყანაში არა მუდმივ საცხოვრებლად, არამედ ძალების მოსაკრებად მიდიოდნენ. თუმცა, როგორც ისტორიულმა რეალობამ დაგვანახა, მათ ამ იმედიან მოლოდინს საფუძველი არ გააჩნდა.

ამ გარემოებას ილჰან აკინის რომანშიც რომ ესმება ხაზი, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის შეუსაბამობა, რომელიც რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე მოსაუბრე ქობულეთელი მოხუცისა და ბადრის რეალურ ქმედებებსა და მათ პატრიოტულ მიზანსწრაფვას შორის ვლინდება ცხადად და აშკარად. კერძოდ, რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულ მოხუცს შექმნილი მდგომარეობიდან ის გამოსავალი მოუძებნია, რომ ჯერ მისი ოჯახის წევრები გაუხიზნია ოსმალეთში დედაწულიანად, ახლა კი თავადაც დადგომია ამ გზას. „როდესაც დავინახე, არაფერი გამოდიოდა, – ეუბნება იგი ბადრის, – მოვუყარე თავი ჩემი სახლის ქალებსა და ბავშვებს და ამ ხუთი თვის წინ უმცროს ვაჟთან ერთად ოსმალეთში გავხიზნე. იძულებული გავხდი, ასე მოვქცეულიყავი.

მე და ჩემი ორი ვაჟი მხარდამხარ, გააფთრებით შევებით მტერს, ალაჰია მოწმე.

მშობლიური მიწის მომხვდურისთვის ჩაბარება, სამშობლოს მიტოვება და სხვა ქვეყანაში გადახვეწა ძალიან გამიჭირდა, შვილო... მაგრამ სიბერემ და უძლურებამ ბრძოლის გაგრძელების საშუალება არ მომცა და ოსმალეთში გადასულ უმცროს ვაჟთან წასვლას დავთანხმდი“ (აკინი, 2020: 39).

სამწუხაროდ, ქობულეთელი მოხუცი გამონაკლისი არ ყოფილა და სამშობლოდან გადახვეწის გზას მაშინ უამრავი მუჰაჯირი დაადგა. როგორც ილჰან აკინის რომანიდანაც თვალნათლივ ჩანს, ახალი სამშობლოს მაძიებელ ამ ადამიანებს იმხანად ბოლომდე არ ჰქონდათ გაცნობიერებული ნამდვილი არსი მათ მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილებისა, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე მათ ახალ სამშობლოში ჩასვლამდეც შეეწირა.

სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს რომანის მთავარი პერსონაჟის – ბადრისა და მისი ცხრა წლის ძმისშვილის – დილას ტრაგიკული თავგადასავალი. კერძოდ, ავტორისეული მონათხრობის მიხედვით, ნაკლებად სარწმუნოცა

და გაუგებარიც კია მოტივი იმისა, რის საფუძველზეც ბადრიმ და მისმა მრავალრიცხოვანმა ოჯახმა ოსმალეთში გადასახლების თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება. აი, რა ინფორმაციას აწვდის ბადრი მის მოხუც თანამგზავრს ამასთან დაკავშირებით:

„ჩვენი ოჯახისა და სანათესაოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ ჩვენ ორნი დავადექით გადასახლების გზას. დილას მამა, ჩემი უფროსი ძმა, წლების წინათ უკურნებელმა სენმა საწოლს მიაჯაჭვა... დედაჩემი კი მოხუცი ქალია... იმდენად მოხუცი, რომ მგზავრობას ვერ გაუძლებდა...

დილას დედა მათთან დარჩა. დილას კიდევ უმცროსი დაიკო ჰყავს სახლში... ისიც, რადგანაც ძალიან პატარაა, დედასთან დარჩა“ (აკინი, 2020: 42).

ილჰან აკინის რომანი პირობითად ორ უმთავრეს სიუჟეტურ ნაწილად შეიძლება გავყოთ: პირველ ნაწილში ავტორი ოსმალეთში დასამკვიდრებლად მიმავალ ქართველ მუჰაჯირთა მგზავრობასთან და ისტორიულ სამშობლოსთან დაკავშირებულ მოგონებებს მოგვითხრობს, ხოლო ნაწარმოების მეორე ნაწილში ოსმალეთში მათი დამკვიდრების უაღრესად რთული და დრამატული მოვლენებით აღსავსე პროცესია წარმოსახული.

პირველი, რაც უდიდესი ხიფათით სავსე შვიდდღიან მოგზაურობას გადარჩენილმა და მათ ახალ სამკვიდრებელ ადგილად არჩეულ ქვეყანაში მშვიდობიანად ჩასულმა ასეულობით მუჰაჯირმა გააკეთა, ის იყო, რომ ოცნებით ნალოლიავები ამ ქვეყნის მიწას „დაეკონენ და კოცნა დაუწყეს“ (აკინი, 2020: 88). თუმცა მათი ამგვარი ქმედება იმას სულაც არ ნიშნავდა, რომ ამით ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან დამაკავშირებელ ფესვებს წყვეტდნენ.

ილჰან აკინის რომანის ღირსება ისიც არის, რომ იგი ტრაგიკული ბედის მქონე ამ ადამიანთა ნოსტალგიურ გრძნობებსაც წარმოაჩენს ემოციურად ღრმად შთამბეჭდავი ფორმით. სწორედ დაუმცხრალ სულიერ ტკივილად ქცეული ამ გრძნობის ერთ-ერთ ასეთ სიმბოლოდ აქცია მწერალმა მუჰაჯირთა მიერ თავიანთ ახალ სამშობლოდ დასახულ ქვეყანაში მათი სამკვიდრებლიდან წამოღებული ნერგები და მათთან დაკავშირებულ პატრიოტულ ემოციას ერთ-ერთ მათგანს ამ სიტყვებით გამოახატვინებს:

„ქართველი კაცი, სადაც უნდა წასულიყო, სადაც უნდა გადასახლებულიყო, თავისი ხე, ყურძენი, ხეხილი – ყველგან თან მიჰქონდა.

მამის წამოღებულ ნერგებს სულ სხვა ფასი ჰქონდა... ეს მამის საჩუქარი, წინაპრების სახსოვარი იყო.

ნერგები ასწია, ცხვირთან მიიტანა და სამშობლოს მონატრებული სურნელი ღრმად შეისუნთქა“ (აკინი, 2020: 93).

ილჰან აკინის რომანის უმთავრეს სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მწერალი ქართველ მუჰაჯირთა მიერ თავიანთ ახალ სამშობლოში დამკვიდრების ურთულეს პროცესსაც წარმოაჩენს ფსიქოლოგიური სიმართლით. ავტორისეული მონათხრობის ეს ეპიზოდები არა მარტო იმითაა საინტერესო, რომ მწერალი ოსმალეთში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეების დამკვიდრების ურთულეს ისტორიას გვიამბობს მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით, არამედ მათი ახალი სამშობლოსადმი ამ ადამიანთა სიყვარულის გამომვლენ ეპიზოდებსაც წარმოაჩენს ხაზგასმულად რომანტიზებული ფორმით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის ადგილი, სადაც გმირულ-ჰეროიკული ფორმითაა მოთხრობილი შესაბამისი სამხედრო დანაყოფისთვის დილას მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებულ შეიარაღებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებული ამბავი ომიდან გამოქცეულ თურქ დეზერტირთა ბანდიტურ ქმედებათა აღსაკვეთად. ამ გმირული ნაბიჯის გადასადგმელად საჭირო უდიდესი სულიერი ძალისა და ფიზიკური გამძლეობის მობილიზება წუთისოფლის სიმუხთლეებთან პერმანენტულად მიმდინარე ბრძოლებში მრავალგზის ხელმოცარულმა და მარტოდმარტო დარჩენილმა დილამ უპირველეს ყოვლისა იმით შეძლო, რომ ამ გზით მას პირველ ყოვლისა იმ ქვეყნისადმი სურდა თავისი მოქალაქეობრივი მადლიერების გამოხატვა, რომელიც მისთვის და წინაპართა სამშობლოდან აბარგებული ათასობით მისი თანამემამულისათვის თავიანთი პირვანდელი სამშობლოს ნაცვალ სამკვიდრებლად იყო ქცეული.

უაღრესად სახიფათო ამ ნაბიჯს დილა არა სპონტანურად, არამედ გაცნობიერებულად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დგამს და თავისი მოქალაქეობრივი ვალის წარმატებით მოხდის გამო თვითკმაყოფილებას ამ სიტყვებით გამოხატავს: „მე, რაც საჭირო იყო ჩემი ფიცის ერთგულებისთვის, სწორედ ის გავაკეთე...

როგორც შემეძლო, გადავიხადე ვალი იმ მიწისა, რომელზე მოყვანილ პურსაც ვჭამთ, წყალსა ვსვამთ და რომლისთვისაც ლოცვას აღვავლენთ...

ესეც არ ვიკმარე, ლომივით ორი ვაჟკაცი ბალკანეთის ფრონტზე გავაგზავნე და სამშობლოს შევწირე... გმირულად დაღუპული ორი ვაჟკაცის დედა ვარ... ხვალ რომ საჭირო შეიქნეს, იმავეს ვიზამ" (აკინი, 2020: 242).

ილჰან აკინის რომანიდან დამოწმებული ეს ფრაგმენტი არა მარტო ოსმალეთის იმპერიას შეხიზნულ ქართველ მუჰაჯირთა დიდი ნაწილის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების წარმოსაჩენადაა უაღრესად მნიშვნელოვანი, არამედ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არაქართველთა მოქალაქეობრივი თვითშეგნების შესაფასებლადაც. გულსატკენი ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, რომ მათი გარკვეული ნაწილის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნება რეალობის ამგვარად განმსჯელ-შემფასებლის როლში ნაკლებად გვევლინება და ქვეყანას, სადაც მათი წინაპრები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ, თავიანთი სამშობლოდ ნაკლებად, ანდა საერთოდ არ მიიჩნევენ.

ილჰან აკინის რომანის შთამბეჭდაობას არსებითად ზრდის როგორც მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა ღრმად ინდივიდუალიზებული მხატვრული სახეები, ისე ორიგინალურად მიგნებული და მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით წარმოსახული სიტუაციები და პიროვნებათა სულიერი ემოციების წარმომჩენი ეპიზოდები. მაგალითად, აი, როგორი ფსიქოლოგიური სიზუსტით მიგნებული დეტალით გამოხატავს მწერალი სამშობლოსთან და მახლობელ ადამიანებთან პატარა დილას სამუდამოდ გამოთხოვების ტრაგიკულ პროცესს: „გადასახლების მკაცრი პირობების წინაშე დამარცხებულმა დილამ სიცივეს, ავად მქროლავ გამყინავ ქარს მკერდი შეუშვირა და უკანასკნელად გაიქცა დედისაკენ, სამშობლოსაკენ.

გემბანის დაჟანგულ, გაყინულ რკინის მოაჯირს პატარა თითებით მაგრად ჩაეჭიდა და უკან დარჩენილებს მიაჩერდა დანისლული თვალებით.

თვითონაც ვერ გაერკვია, ბედისწერას აუჯანყდა, თუ იმათ, ვინც იძულებით ამ გზას გაუყენა; მაგრამ მისი უხმო გოდება და ქვითინი ცაში ვარსკვლავებს ათრთოლებდა" (აკინი, 2020: 22).

ქარიშხლის გამძვინვარების შედეგად უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ მუჰაჯირთა ტრაგიკული განსაცდელი კი ასეა წარმოსახული: „წყვდიად სიბნელეში არაფერი ჩანდა. კაპიტანი მხოლოდ გრძნობდა, რომ გემი სადაცაა ნაფოტებად შეიძლებოდა

ქცეულიყო. რაც დრო გადიოდა, გაავებული ტალღების ხმაურისა და სამკვდრო-სასიცოცხლო წივილ-კივილისგან ყურთასმენა აღარ იყო.

შავი ზღვა ლაგამიდან განთავისუფლებული, გაუხედნავი ცხენივით ჭიხვინებდა, ყველაფრის ფეხქვეშ ამოდებასა და გაქელვას ლამობდა და მგზავრებს შავ დღეში აგდებდა.

ცხადი იყო, შუაგულ ზღვაში ამაღამ ჯოჯოხეთი ტრიალებდა და ძველი, დაჟანგული გემის გემბანზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართულიყო...

რაც დრო გადიოდა, ზღვა უფრო და უფრო ცოფდებოდა და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ეს უზარმაზარი გემი გადაეყლაპა და ასობით ადამიანის სასაფლაოდ ქცეულიყო" (აკინი, 2020: 56).

ხოლო უცხო ქვეყანაში ერთადერთი მახლობელი ადამიანის – ღვიძლი ბიძის დასაფლავების შემდეგ სრულიად მარტო დარჩენილი დილას სულიერი სასონარკვეთა ზუსტად მიგნებული ასეთი ფსიქოლოგიური პასაჟითაა გამოხატული: „ბედისწერას დამორჩილებული და მიწაზე, მტვერში მჯდარი ფრთხილად წამოდგა, თავი ჩაქინდრა და ცხოვრების წყვდიადისაკენ გაემართა" (აკინი, 2020: 134).

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, საკმაოდ მყარ საფუძველს იძლევა კიდევ ერთხელ იმის ხაზგასასმელად, ილჰან აკინის „უხმო ქვითინი" ოსმალეთში ქართველ მუჰაჯირთა გადასახლების ტრაგიკული პროცესის მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით ამსახველ რომანად რომ უნდა მივიჩნიოთ.

2020 წ.

ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი“, როგორც კავკასიაში რუსეთის საომარი კოლონიური პოლიტიკის მამხილებელი მოთხრობა

გენიალური რუსი მწერლის – ლევ ტოლსტოის (1828-1910 წწ.) ცნობილი მოთხრობა – „ჰაჯი-მურატი“ რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დასაპყრობად ჩატარებული საომარი პოლიტიკის მამხილებელი ის ნაწარმოებია, რომელიც მწერალმა იმხანად განხორციელებულ საბრძოლო ოპერაციებში პირადად განცდილ შთაბეჭდილებათა საფუძველზე შექმნა. როგორც ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, 1851 წლის მაისში იგი კავკასიაში ჩამოვიდა და 1852 წლის იანვრამდე, სანამ სამხედრო სამსახურში შევიდოდა, იქაური ვითარების უკეთ გაცნობის მიზნით, საკუთარი ნებით დაჰყვებოდა რუსულ სამხედრო შენაერთებს მთიელთა წინააღმდეგ გამართულ საომარ ბატალიებში.

გარდა პირადი დაინტერესებისა, კავკასიაში ლ. ტოლსტოის ჩამოსვლას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ მისი ძმა ნიკოლოზი კავკასიაში მებრძოლი რუსული არმიის ოფიცერი იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ საბრძოლო ოპერაციებში, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებდა ამ რეგიონის დასაპყრობად. კავკასიაში მყოფი მწერალი 1852 წლის იანვარში სამხედრო სამსახურში შევიდა და ამ დროიდან მოყოლებული 1854 წლის იანვრამდე, ვიდრე კავკასიიდან გაემგზავრებოდა, როგორც რუსეთის რეგულარული ჯარის სამხედრო მოსამსახურე, პირადადაც მონაწილეობდა ზემოთ ხსენებულ მოვლენებში.

ასე რომ, იმ ბარბაროსულ ქმედებათა ამსახველი ეპიზოდები, რასაც რუსი ხელისუფალნი და სამხედროები ახორციელებდნენ რუსული აგრესიის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების დასათრგუნად, ავტორის ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ ამ მოვლენათა უშუალოდ თვითმხილველი პიროვნების მიერ შეულამაზებლად წარმოსახული იმჟამინდელი რეალური ცხოვრებისეული სინამდვილე.

კავკასიურმა შთაბეჭდილებებმა ლ. ტოლსტოიზე იმდენად დიდი და წარუშლელი ზეგავლენა მოახდინეს, რომ მან ამ შთა-

ბეჭდილებათა საფუძველზე მოთხრობების მთელი ციკლიც კი შექმნა. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღნიშნული, მწერლის „კავკასიური მოთხრობები" მისი შემოქმედების დიდმნიშვნელოვანი შენაძენია. რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა დასამორჩილებლად გამართული ხანგრძლივი საომარი ბატალიების მაღალმხატვრულად ამსახველ ამ ნაწარმოებთაგან ყველაზე მეტად საინტერესო მაინც ვრცელი მოთხრობა „ჰაჯი-მურატია". რუსული პროზის ამ უბრწყინვალეს შენაძენში, რომელსაც ლ. ტოლსტოი ხანგრძლივი დროის განმავლობაში – 1896-1904 წლებში – წერდა, შეულამაზებელი ფორმითაა ნაჩვენები ის აგრესიული საომარი პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებდა კავკასიაში ამ რეგიონის დასაპყრობად.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატზე" რუსეთშიცა და საქართველოშიც საკმაოდ ბევრი რამაა დაწერლილი, იგი, ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით, ფაქტობრივად დღემდე არაა შესწავლილი. მკითხველისათვის ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, რუსი ლიტერატურათმცოდნეებიცა და მათი ქართველი კოლეგებიც „ჰაჯი-მურატის" იმ ეპიზოდებს, რომლებშიც რუსული საომარი აგრესიის ვანდალური შედეგებია წარმოსახული, ან საერთოდ უვლიდნენ გვერდს, ანდა ზედაპირულად ამახვილებდნენ მათზე ყურადღებას.

ყოველივე ზემოთქმული, რასაკვირველია, იმის თქმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს ნაწარმოების წინამორბედი მკვლევარ-შემფასებელნი ჩვენთვის საინტერესო კუთხით მისი განხილვისაგან საერთოდ იკავებდნენ თავს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა, მაგრამ საბჭოთა პერიოდის ჩვენი აზროვნების შემბოჭველი იდეოლოგიური ხუნდები მათ რეალური სიმართლის ბოლომდე თქმის შესაძლებლობას არ აძლევდათ. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ „ჰაჯი-მურატის" ეს მხარე სათანადო სიღრმითა და მიუკერძოებლობით დღემდე არაა გაანალიზებული და იმ კრიტიკული დამოკიდებულების ჩვენება, რომელსაც რუსეთის კოლონიური პოლიტიკისადმი იჩენს მწერალი, სპეციალური კვლევის საგნად აქამდე არ ქცეულა.

და მაინც, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, იმის ნათელსაყოფად, ქართველ მწერალთა და ლიტერატურათმცოდნეთა ერთი ნაწილი მაინც შეულამაზებლად რომ ცდილობდა „კავკასი-

ური მოთხრობების" ეს მხარეც არ დაეტოვებინა უყურადღებოდ, მოვიშველიებ რამდენიმე კონკრეტულ ამონაწერს საბჭოთა პერიოდში დაწერილი მათი წერილებიდან.

მაგალითად, 1928 წელს დაწერილ წერილში ტიციან ტაბიძე წერდა: „ტოლსტოიმ თვითონ გამოსცადა დამპყრობი პოლიტიკის სისაძაგლე და სინდისში ჩავარდნილმა შეინანა. არა მგონია, ვინმე სხვა მწერალს მოეცეს ასეთი მომაკვდინებელი აღწერა მეფის პოლიტიკის უმსგავსოებისა, როგორც ეს ტოლსტოიმ მოგვცა „ჰაჯი-მურატში" (ტაბიძე, 1985: 554).

იმ ავტორთაგან, რომელთაც დღემდე ყველაზე მეტი ობიექტურობითა და სიმწვავით სცადეს ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატში" მძაფრად და მასშტაბურად მხილებული ანტირუსული კოლონიური პოლიტიკის ობიექტური სიმართლით წარმოჩენა და შეფასება, უპირველეს ყოვლისა, კონსტანტინე გამსახურდია უნდა დავასახელოთ. მიუხედავად საბჭოთა პერიოდის ჩვენი აზროვნების მკაცრად შემბოჭველი შეზღუდვებისა და შებოჭილობისა, კ. გამსახურდიამ მაინც შეძლო მკითხველისათვის ნათელი წარმოდგენა შეექმნა იმ კრიტიკულ დამოკიდებულებაზე, რასაც „ჰაჯი-მურატის" ავტორი რუსული კოლონიური პოლიტიკისა და მისი დამღუპველი შედეგებისადმი იჩენდა. ამ თვალსაზრისით, ძალზე ბევრი რამაა საერთო განსახილველ ნაწარმოებსა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას შორის.

კერძოდ, კ. გამსახურდიას მართებული შეფასებით, ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა ტრაგედიის აღწერის დროს გამოვლენილი „ტოლსტოის დიდი ჰუმანიზმი ემთხვევა ჩვენი ალექსანდრე ყაზბეგისას, რომელმაც გულწრფელად იგლოვა ამ შესანიშნავი ტომების აყრა კავკასიონის მთიანეთიდან" (გამსახურდია, ტ. VIII, 1985: 169).

ტოლსტოისადმი კ. გამსახურდიას პატივისმცემლურ დამოკიდებულებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ კავკასიაში „ერთადერთმა სწორედ მან შეასრულა ღირსეულად მიუდგომელი დამკვირვებლისა და დიდი ხელოვანის როლი." კ. გამსახურდია მწვავედ აკრიტიკებს ყველას, ვის „წარმოდგენაშიც ყველა ფაფახიანი და ხანჯლიანი კაცი უთუოდ ყაჩაღთან ან ნაყაჩაღართან" იყო გაიგივებული. მისი თქმით, „ლ. ტოლსტოიმ თავის დროზე საუცხოო პასუხი გასცა ამ „ყაჩაღების" მაძიებელ ავტორებს.

ვინაა ყაჩაღი? ის, რომელიც ცხრა მთას იქიდან ხიშტით მოდის და აულს იკლებს, თუ იგი, ვინც თავის პატარების დასაცავად შაშ-

ხანას მოიმარჯვებს, ტყვიას ტყვიაში ჩააჯენს და მტერს მტრულად შეხვდება?!" (გამსახურდია, ტ. VIII, 1985: 189).

კ. გამსახურდია აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ იმ დროს, როცა რუსეთის იმპერიის მესვეურები და სამხედრო შენაერთები კავკასიელი ხალხების „გაუგონარ აწიოკებას ახდენდნენ, მთელი რუსეთის იმპერიის პრესა რომანოვებთან იდგა; მხოლოდ ტარას შევჩენკომ და ლევ ტოლსტოიმ შეჰკადრეს მათ ღირსეული ეპიტეტი „ყასბები~, „ყაჩაღები~.

ამით, ჩეჩნების, ჩერქეზების, ინგუშებისა და სხვა კავკასიელი ხალხებისადმი აშკარად გამოვლენილი თავისი ამგვარი თანაგრძნობით, ლ. ტოლსტოიმ მათი „უდიდესი სიყვარული დაიმსახურა... იმ ხალხების ნაშიერებს, თვით სისხლისმღვრელ ბრძოლებში თავად მონაწილე, იგი უცქეროდა არა როგორც მტრებს, არამედ მცდარ გზაზე შემდგარ მტრებს" (გამსახურდია, ტ. IX, 1985: 291).

მიუხედავად იდეოლოგიური დიქტატურის აღზევების პერიოდში, 1953 წელს, დაწერილი ამ წერილის დამოწმებულ ფრაგმენტში გამოვლენილი იძულებითი კონიუნქტურისა, რითაც საკუთარი სამშობლოს თავისუფლებისათვის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი კავკასიელები „მცდარ გზაზე შემდგარი ძმების" სახელით არიან მონათლული, ვფიქრობ, მკითხველი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ კ. გამსახურდიასეული უკომპრომისობითა და პირდაპირობით საბჭოთა პერიოდში სხვას არავის შეუფასებია ლ. ტოლსტოის მწვავედ მამხილებლური კოლონიური პოლიტიკა.

წინამდებარე წერილის დაწერის უმთავრესი მიზანი, პირველ ყოვლისა, იმითაა განსაზღვრული, რამდენადმე მაინც ვცადო ამ ხარვეზის გამოსწორება და ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატიდან" მოშველიებული კონკრეტული მაგალითების მეშვეობით მკითხველს ნათელი წარმოდგენა შევუქმნა იმ ვანდალურ – დამპყრობლურ პოლიტიკაზე, რასაც რუსი ხელისუფალნი და სამხედროები ატარებდნენ საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად რუსების წინააღნდეგ თავგანწირვით მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების წინააღმდეგ.

ამგვარი თვალთახედვით ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის" გაანალიზების სურვილი არა მარტო იმ გარემოებამ გამიჩინა, ეს ნაწარმოები ზემოთქმული კუთხით ჯერ კიდევ რომ არ არის სათანადოდ შესწავლილ-შეფასებული, არამედ, პირველ ყოვლისა,

იმ აგრესიულმა კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელსაც თითქმის ორი საუკუნის შემდეგაც ატარებს რუსეთი მთელს კავკასიაში გაცილებით უფრო მასშტაბურად.

როგორც ითქვა, „ჰაჯი-მურატზე“ მწერალი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. მოთხრობის მთავარი გმირის, ისტორიულად ცნობილი პიროვნების – ჰაჯი-მურატის ტრაგიკული ცხოვრების ამსახველი ნაწარმოების შექმნამდე ავტორს მეტად შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია. ამ საქმეში მისთვის განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწევია მის ქართველ მეგობრებს – ილია ნაკაშიძესა და სიმონ ესაძეს, რომელიც იმხანად კავკასიის ოლქის სამხედრო ისტორიის არქივის განყოფილების რედაქტორი იყო.

ი. ნაკაშიძისა და ს. ესაძის როლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ლ. ტოლსტოის პირადი წერილებიც ადასტურებს. კერძოდ, ი. ნაკაშიძისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში მწერალი წერდა: „არ ვიცი, რით გადავუხადო მადლობა ესაძეს, რომელმაც თავისი ხელით ამოწერილი ამდენი მასალა გამომიგზავნა. მე არ მოველოდი, რომ ესაძე ამდენ შრომას დახარჯავდა ამ საქმისათვის. ახლა მე მისგან ძალზე დავალებული ვარ“ (გაჩეჩილაძე, 1988: 63). ლ. ტოლსტოისათვის გაგზავნილი ზემოთ ხსენებული მასალები ს. ესაძემ მოგვიანებით, 1910 წლის 1, 2, 3, 4 და 5 დეკემბერს, გაზეთ „ზაკავკაზიეშიც“ გამოაქვეყნა.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე საგანგებოდ ესმება ხაზი იმ დიდ დახმარებას, რაც ი. ნაკაშიძესაც გაუწევია ლ. ტოლსტოისათვის „ჰაჯი-მურატზე“ მუშაობის პერიოდში. მაგალითად, ო. ბაქანიძის ინფორმაციით, „ილია ნაკაშიძე სისტემატურად და დაუღალავად ეხმარებოდა დიდ მწერალს მასალების შეგროვებაში. ასე, მაგალითად, მოსკოვში იგი რუმიანცევის მუზეუმში მუშაობდა და ტოლსტოის დავალებით ეძებდა მასალებს ნიკოლოზ I-ის შესახებ. გარდა ამისა, მისივე თხოვნით მოძებნა მან კავკასიის სამხედრო ოპერაციების მონაწილენი“, რომლებსაც კარგა ხანს უმსახურიათ კავკასიაში და დაუკავშირებია ტოლსტოისთან. ასე რომ, „ჰაჯი-მურატში“ „ავტორის პირით ლაპარაკობენ ეს ძველი, კავკასიის მოხუცი ვეტერანები“, – დაასკვნის ილია ნაკაშიძე თავის მოგონებაში (ბაქანიძე, 1960: 15).

ჰაჯი-მურატის ცხოვრებისეული ბედით ლ. ტოლსტოის დაინტერესება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იგი შამილის

შემდეგ ყველაზე მეტად გავლენიანი და ავტორიტეტულ პიროვნებას წარმოადგენდა, მისი დროის ჩრდილოეთ კავკასიაში. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მკვლევართა ინფორმაციით, თბილისში ყოფნის პერიოდში ლ. ტოლსტოი მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მეშვეობით პირადადაც შეხვედრია მას.

საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებული თვალსაზრისისაგან განსხვავებით, ჰაჯი-მურატს ლ. ტოლსტოი საკუთარი ხალხის მოღალატედ არ თვლიდა და რუსების მხარეზე მის გადასვლას ტაქტიკურ ნაბიჯად მიიჩნევდა, თავისი ნამდვილი ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებების შემნილბველ გადაწყვეტილებად. მაგალითად, ლ. ტოლსტოის ქართველი მეგობრების – ნინო და ილია ნაკაშიძეების ინფორმაციით, მათთან საუბარში მწერალს თურმე ასეთი რამ უთქვამს: „ჰაჯი-მურატს ყველა თავისი ხალხის მოღალატედ თვლიდა, მე კი ეს შეცდომად მიმაჩნიაო" (ნაკაშიძე, 1954: 67).

ჰაჯი-მურატისადმი ლ. ტოლსტოის აშკარად პატივისმცემლური დამოკიდებულება იმ ფაქტითაც მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული, რომ იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში შამილის თანამოაზრე იყო, რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი პიროვნება. შამილის ღალატსა და რუსების მხარეზე გადასვლას კი მწერალი სისაძაგლეს უწოდებს. კერძოდ, მისი შეფასებით, მთელს ჩეჩნეთში პირველ მოჯირითედ და ვაჟკაცად მიჩნეულმა ამ ჯიგიტმა კაცმა რუსების მხარეზე გადასვლით „სისაძაგლე ჩაიდინა."

იმის გამო, რომ წინამდებარე წერილის დაწერის უმთავრესი მიზანი „ჰაჯი-მურატზე", როგორც კავკასიაში რუსული კოლონიური პოლიტიკის მამხილებელ ნაწარმოებზე, მსჯელობაა, მოთხრობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე საუბარს მეტად აღარ გავაგრძელებ და შევეცდები ლ. ტოლსტოის ქმნილებას სწორედ ზემოთქმული კუთხით მივაქციო მკითხველის ყურადღება.

ლ. ტოლსტოის მოთხრობის უმთავრესი სათქმელის არსსა და მიზანსწრაფვაზე საუბარი მინდა ნაწარმოებისთვის წამძღვარებული პატარა წინაამბის გახსენებით დავიწყო. „ჰაჯი-მურატში" მოთხრობილ ამბავთან ერთი შეხედვით სრულიად დაუკავშირებელი ამ ეპიზოდით მწერალმა ალეგორიზებული ფორმით გამოხატა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა თავისუფლებისმოყვარე და დაუთრგუნველი ბუნება. ჰაჯი მურატი და ათასობით მისი თა-

ნამემამულე, ამ ღრმააზროვანი ალეგორიის მიხედვით, სადღაც, გზისპირა თხრილში, ამოსულ იმ ველური ბირკავის ყვავილებს ჰგვანან, რომლებიც თავიანთ ადგილებზე თვალწარმტაცად მშვენიერები არიან, მაგრამ როგორც კი ამ სილამაზის მისაკუთრებას მოინდომებ, დიდ წინააღმდეგობათა დაძლევის ფასად დაკრეფილი ეს უმშვენიერესი ყვავილები ერთბაშად ჭკნება და ადრინდელ სილამაზეს კარგავს.

შემთხვევითი არ არის ის ფატი, რომ ნაწარმოებისათვის წამძღვარებული სწორედ ეს ღრმააზროვანი და სიმბოლურ-ალეგორიული შინაარსის გამომხატველი ეპიზოდი ახსენებს მწერალს, როგორც თავად ამბობს, ჰაჯი-მურატის ტრაგიკულ თავგადასავალს და აძლევს მას მძლავრ შემოქმედებით იმპულსს, რუსული პროზის ამ უბრწყინვალესი ნიმუშის შესაქმნელად.

ავტორისეული სათქმელის სიმბოლურ გასაღებად ქცეული ამ ეპიზოდის ყოველი დეტალი ღრმააზროვნად მიესადაგება როგორც ნაწარმოების მთავარი გმირის პიროვნული ცხოვრების უმთავრეს მომენტებს, ისე, საზოგადოდ, საკუთარი სამშობლოს თავისუფლების შესანარჩუნებლად კავკასიელ ხალხთა ხანგრძლივი და თავგანწირული ბრძოლის მთელ ისტორიულ პროცესს. მეტი სიცხადისათვის გავიხსენოთ ხსენებული წინაამბის უმთავრესი მომენტები.

ზაფხულის მცხუნვარე დღეს შინ მიმავალმა მწერალმა მინდვრის ყვავილებისგან უზარმაზარი თაიგული შეკრა და ის-ის იყო გზას უნდა გადგომოდა, რომ თხრილში თვალწარმტაცად აყვავებული ველური ბირკავა დაინახა. ბირკავა იმდენად ლამაზი იყო, რომ თაიგულის კიდევ უფრო მეტად გასამშვენიერებლად მან მისი მოწყვეტა განიზრახა. მაგრამ ერთი შეხედვით იოლი ეს საქმე მეტად ძნელი გასაკეთებელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ბალახის ღეროს ეკლები მწერალს ყოველი მხრიდან ჩხვლეტდნენ და ყვავილების მოკრეფის საშუალებას არ აძლევდნენ, საბოლოოდ მან მაინც გაიტანა თავისი და დიდი წვალებით დაგლეჯილი ყვავილები თაიგულის შუაში მოათავსა. მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა – ძალით დაფლეთილ-დაგლეჯილი ყვავილები არა თუ ძველებურად ლამაზები აღარ იყო, არამედ არც თავიანთი სიტლანქითა და ულაზათობით უხდებოდა თაიგულს.

ასე რომ, ის, რაც თავის ადგილზე ძალზე მშვენიერი და თვალწარმტაცი იყო, სხვა გარემოში მეტად უფერულად გამოიყურე-

ბოდა. ერთადერთი წარუშლელი და ღრმააზროვანი გრძნობა, რომელიც ამ მოვლენის გაცნობიერების შედეგად წარუშლელად აღიბეჭდა მწერლის გულში, იმის შეცნობა იყო, „რა თავგანწირვით იბრძოდა“ ეს ველური ყვავილი თავისი მშვენიერების გადასარჩენად და რა ძნელად დათმო მან სიცოცხლე.

ველური ბირკავას ალეგორიზებულ სახე-სიმბოლოსთან დაკავშირებული ღრმააზროვანი სათქმელის გამოხატვა ამით არ მთავრდება და საკუთარ კერა-მამულს ბირკავასებური სიყვარულითა და ერთგულებით მიჯაჭვული ჰაჯი-მურატისა და ათასობით მისი თანამემამულის სიმბოლურ განსახიერებად ქცეული ამ ველური ბალახის თემას მწერალი კიდევ უფრო აღრმავებს და მეტ აზრობრივ გამჭვირვალობას სძენს ხსენებული ამბის შემდგომი გაგრძელებით.

ყოველივე ზემოთქმულმა მწერალი იმის განზოგადებულ გაცნობიერებამდე მიიყვანა, ადამიანი საკუთარი მიზნის მისაღწევად ყოვლის გამანადგურებელი და შეუბრალებელი ის არსება რომ არის, რომელმაც ვინ იცის, „რამდენი სხვადასხვა ცოცხალი არსება და მცენარე მოსპო თავისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად“ (ციტატები დამოწმებულია წიგნიდან: ლ. ტოლსტოი, კავკასიური მოთხრობები, თარგმნა ელიზბარ უბილავამ, თბილისი, 1968 წ.).

ამ ფიქრებით დანაღვლიანებულმა მწერალმა მის წინ გადაშლილ უსიცოცხლო, გადაშავებულ მინდორზე, რომელსაც სიცოცხლის ნასახიც კი არ ეტყობოდა, მოულოდნელად კიდევ ერთი ბირკავა დაინახა, რომლის ბუჩქის ერთი შტო ვიღაცას მოეწყვიტა, დანარჩენ ორს კი თითო ყვავილიღა შერჩენოდა. ოდესღაც წითელი ეს ყვავილები ახლა გაშავებულიყო. „ერთი ღერო გადამტვრეული იყო და მისი ნახევარი, რომელზეც ტალახიანი ყვავილი ჩანდა, ძირს ეკიდა. მეორეს თუმცა შავი მიწის ტალახი მოსდევდა, თავი მაინც მაღლა აეწია. ეტყობოდა, ბუჩქზე თვალმა გადაიარა, ბუჩქი კვლავ წამოიმართა და ამიტომ იყო გადახრილი, მაგრამ მაინც იდგა. თითქოს სხეულის ნაწილი მოეგლიჯათ, შიგნეული გამოეფატრათ, ხელი მოეკვეთათ, თვალები დაეთხარათ, მაგრამ მაინც იდგა და არ ნებდებოდა ადამიანს, რომელმაც ირგვლივ ყველა მოძმე გაუნადგურა.“

შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ღრმააზროვანი სიმბოლური ქვეტექსტის მქონე ამ ეპიზოდით მწერალმა ალეგორიული ფორმით დაგვანახა იმ სასტიკი და ულმობელი ბრძო-

ლის პროცესი, რომელსაც რუსი ხელისუფალნი და სამხედროები აწარმოებდნენ ველური ბირკავების სახე-სიმბოლოსთან ასოცირებული ჰაჯი-მურატისა და მისი თანამემამულეების დასათრგუნად და მშობლიური ფესვებიდან მოსაგლეჯად.

ნაწარმოებში შემაძრწუნებელი ფორმითაა ნაჩვენები ის სისასტიკე, რასაც ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა დასაპყრობად და ამ რეგიონში რუსული იმპერიული ხელისუფლების განსამტკიცებლად იჩენდნენ რუსი ხელისუფალნი. მთიელები, მათი ლეგენდარული თავკაცის – შამილის ხელმძღვანელობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავგანწირვით იბრძოდნენ ამ აგრესიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ კავკასიის ეთნიკურად მრავალეროვანი მოსახლეობა უმტკიცესად შეკრა და შეადუღაბა ერთმანეთთან. მართალია, შიგადაშიგ მოღალატენიც გამოერეოდნენ, რუსების მხარეზე გადასული გამყიდველები, მაგრამ, როგორც ლ. ტოლსტოის მოთხრობიდან თვალნათლივ ჩანს, ხალხი ამ ადამიანების მიმართ უდიდესი ზიზღითა და სიძულვილით იყო განწყობილი. მწერალი არა მარტო უბრალოდ მოგვითხრობს მათ შესახებ, არამედ თავადაც გამოხატავს თავის აშკარად კეთილგანწყობილ და თანამგრძნობ დამოკიდებულებას სამშობლოს დასაცავად მებრძოლი ამ ადამიანებისადმი.

მოვლენათა ობიექტური, ღრმა და მასშტაბური წარმოსახვის საფუძველზე, მწერალი იმის ჩვენებასაც ცდილობს, რუსი აგრესორების ბარბაროსულ ქმედებათა შედეგად კავკასიელ ხალხებში როგორ თანდათანობით იზრდებოდა შეურიგებლად მტრული დამოკიდებულება რუსეთისადმი. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის ფაქტიცაა, საკუთარი ქვეყნის მესვეურთა კოლონიური აგრესიული პოლიტიკის მამხილებლის როლში თავად ამ ქვეყნის შვილი რომ გამოდის.

როგორც ნაწარმოებიდან თვალნათლივ ჩანს, ხალხი ასეთ სიძულვილსა და შეურიგებლობას არა მარტო რუსი დამპყრობლების მიმართ იჩენდა, არამედ მათი იმ თანამემამულეებისადმიც, ვინც რუს აგრესორებთან რაიმე ფორმით კავშირის დამყარებას შეეცდებოდა. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოჩნდნენ ისინი დაპირისპირებული ერთ დროს მათ უსაყვარლეს პიროვნებასთან – ჰაჯი-მურატთან.

ხალხში საყოველთაო ანტირუსული სულისკვეთების გაღვივებას ლ. ტოლსტოი ორი უმთავრესი ფაქტორით ხსნის: პირველი,

იმით, რომ საკუთარი მიწა-წყლის ფანატიკურად მოყვარული მთიელები თავისუფლების დაკარგვასა და სხვა ქვეყნის უღელქვეშ ცხოვრებას ვერაფრით ეგუებოდნენ და, მეორე, იმ ვანდალიზმითა და ბარბაროსული ქმედებებით, რასაც კავკასიის ასაკლებად და დასამორჩილებლად წარმოგზავნილი რუსის ჯარი იჩენდა ამ მხარეში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე საომარო ბატალიების დროს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, ლ. ტოლსტოი მრავალ შემაძრწუნებელ ეპიზოდს მოგვითხრობს. ამ მონათხრობის სიმძაფრეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ავტორისეული წარმოსახვის შედეგი კი არ არის, არამედ საკუთარი თვალით ხილული შემზარავი სინამდვილე იმ პერიოდისა, როცა მწერალი, როგორც რუსეთის ჯარის მოსამსახურე, თავადაც იღებდა მონაწილეობას ამგვარ საომარ ოპერაციებში.

მაგალითად: „კაზაკების კვალდაკვალ ბუტლერი თავისი ასეულით სირბილით შევიდა აულში. იქ კაცი არ ჭაჭანებდა. ჯარისკაცებს ნაბრძანები ჰქონდათ გადაებუგათ ხორბალი, თივა და ქოხებიც კი. ცეცხლის ალში გახვეულ მთელ აულს მწველი კვამლი ეფინებოდა. ჯარისკაცები დაძრწოდნენ ამ კვამლში და ქოხებიდან ეზიდებოდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. განსაკუთრებით დასდევდნენ და ხოცავდნენ ქათმებს, რომელთა წაყვანა ვერ მოეხერხებინათ მთიელებს. ოფიცრები კვამლს მოერიდნენ, მოშორებით ჩამოსხდნენ, ისაუზმეს და გადაჰკრეს კიდეც."

მწერლის მიერ წარმოსახული ამ შემზარავი სურათის შთამბეჭდაობას კიდევ უფრო ამძაფრებს ირონიული ხაზგასმა იმისა, რომ აულის ამგვარად ამკლებ-ამწიოკებელი მებრძოლები, იმით გახარებულები, რომ მათ ასეულში არავინ იყო დაჭრილიც კი, თავიანთი ქმედებით უსაზღვროდ კმაყოფილები იყვნენ და უკან მხიარული სიმღერებით ბრუნდებოდნენ.

რუსი დამპყრობლების ბარბაროსულ ქმედებათა აღწერას განსაკუთრებულ მასშტაბებს ლ. ტოლსტოი მაინც მოთხრობის XVII თავში სძენს. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა იმ შემაძრწუნებელ შედეგებზე, რითაც რუს კოლონიზატორთა საომარი ბატალიები მთავრდებოდა ხოლმე, მოვიშველიებ ფრაგმენტს ხსენებული თავიდან: „აულში დაბრუნებულ სადოს სახლი დანგრეული დახვდა. სახურავი ჩაქცეული, კარები და აივნის ბო-

ძები – დამწვარი, შიგნით კი ყველაფერი ნაბილწული. სადოს ვაჟი მკვდარი მოიტანეს მეჩეთთან, ნაბადგადაფარებული ცხენით. მისთვის ზურგში გაეყარათ ხიშტი. ის სანდომიანი ქალი, რომელიც ჰაჯი-მურატს ემსახურებოდა, ახლა თმაგაწეწილი, მკერდზე პერანგმოხეული იდგა შვილის ცხედრის წინ, პერანგი ძლივს უფარავდა ბებრულ, დამჭკნარ გულ-მკერდს, სახეს ისე იკაწრავდა, რომ სისხლი სდიოდა და სულმოუთქმელად მოთქვამდა. სადომ წერაქვი და ბარი აიღო და ნათესავებთან ერთად შვილის საფლავის გასათხრელად წავიდა. მოხუცი პაპა ჩამონგრეულ კედელთან იჯდა, პატარა ჯოხს ჩორკნიდა და უაზროდ იცქირებოდა წინ. იგი ახლახან დაბრუნდა თავისი საფუტკრიდან. იქ ორი ზვინი თივა დაეწვათ, მოხუცის ხელით დარგული და მოვლილი ჭერამისა და ალუბლის ხეები დაელეწათ და დაეწვათ და, რაც მთავარია, ფუტკრის ყველა სკა ცეცხლისთვის მიეცათ. ქალების მოთქმა ისმოდა ყველა სახლში და მოედანზეც, სადაც კიდევ ორი გვამი მიიტანეს. პატარა ბავშვები დედებთან ერთად ბღაოდნენ. ბღაოდა დამშეული საქონელიც, რომელსაც ვერაფერს აჭმევდნენ...

შადრევანი წაებილწათ, როგორც ჩანს, საგანგებოდ. ასე რომ, შეუძლებელი იყო იქიდან წყლის აღება. ასევე იყო წაბილწული მეჩეთიც და მოლა მუთალიმებთან ერთად ასუფთავებდა მას.“

ბუნებრივია, აგრესორთა ამგვარი ვანდალური ქმედებანი მოსახლეობას არა მარტო კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ უჩენდა სიძულვილის მძაფრ გრძნობას, არამედ მთელი იმ ქვეყნის მიმართაც, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ. ლ. ტოლსტოი მკითხველს ამ გარემოებისთვისაც მიაპყრობინებს ყურადღებას ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე.

მაგალითად: „ოჯახის უხუცესები მოედანზე შეიკრიბნენ და ჩაცუცქულები თავიანთ მდგომარეობაზე ბჭობდნენ. რუსებისადმი სიძულვილზე არავინ იღებდა ხმას. გრძნობა, რომელსაც დიდიდან პატარამდე ყველა ჩეჩენი განემსჭვალა, სიძულვილზე გაცილებით ძლიერი იყო. ეს სიძულვილი კი არ იყო, არამედ ჩეჩნებს ეს რუსი ძაღლები ადამიანებად არც კი მიაჩნდათ და ისეთ საზიზღარ და საძაგელ არსებად ესახებოდათ უაზრო სისასტიკის გამო, მათი გაუღლტის სურვილი, ისევე როგორც სურვილი ვირთაგვების, შხამიანი ობობებისა და მგლების გაუღლტისა, ჩეჩნებისათვის თავდაცვის გრძნობასავით ბუნებრივი გრძნობა გახლდათ.

მცხოვრებთა წინაშე იდგა არჩევანი: ადგილზე დარჩენილიყვნენ, მთელი ძალების დაძაბვით აღედგინათ ყველაფერი, რაც ასე-

თი შრომით მოაწყვეს და რაც ასე იოლად და უაზროდ გაუნადგურეს რუსებმა, და ყოველ წუთს დალოდებოდნენ იგივეს, ან რელიგიური კანონის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად რუსებისადმი ზიზღისა და სიძულვილის გრძნობისა, დამორჩილებოდნენ მათ.

მოხუცებმა ილოცეს და ერთსულოვნად გადაწყვიტეს, შამილისათვის ელჩები გაეგზავნათ და დახმარება ეთხოვათ. გადაწყვიტეს და მაშინვე შეუდგნენ დანგრეულ-გაჩანაგებულის აღდგენას."

ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მთიელები, რომელნიც შურისძიების დაუოკებელი გრძნობით იყვნენ გულანთებულნი, მწერლის თქმით, სასწრაფოდ მისაღები ორი არჩევანის წინაშე დადგნენ: ან კვლავაც დარჩენილიყვნენ დამპყრობთა მიერ ერთიანად იავარქმნილ და ნაბილწულ ნაფუძარზე და მთელი თავიანთი ძალისა და ენერგიის დაძაბვით ისევ აღედგინათ ყველაფერი, „რაც ასე იოლად და უაზროდ გაუნადგურეს რუსებმა", ანდა მათი „რელიგიური კანონის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად რუსებისადმი ზიზღისა და სიძულვილის გრძნობისა, დამორჩილებოდნენ მათ."

ლ. ტოლსტოის ხაზგასმით, მთიელებმა ამ ორი არჩევანიდან პირველი გადაწყვეტილება მიიღეს ერთსულოვნად და დანგრეულ-გაჩანაგებული კარ-მიდამოს აღდგენის დაწყებამდე პირველი, რაც გააკეთეს, ის იყო, რომ ერთხმად დაადგინეს, შამილისათვის ელჩები გაეგზავნათ და სწორედ მისთვის ეთხოვათ დახმარება.

მთიელთა ანტირუსული (იგულისხმება ანტიიმპერიული) სულისკვეთების გამოვლინების საყოველთაო ხასიათის წარმოსაჩენად ნაწარმოებში ასეთი მაგალითები საკმაოდ მრავლად გვხვდება და ზემოთქმული თვალსაზრისით ეს ეპიზოდი გამონაკლისი არ არის.

ნათქვამის დასტურად გავიხსენებ კიდევ ერთ ფრაგმენტს მოთხრობიდან:

რუსების მხარეზე ჩეჩნების გადასვლის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად, შამილის საბჭოს წევრებმა ხალხში სპეციალური მიმართვა დააგზავნეს, რითაც მთიელებს მოუწოდებდნენ, „ურწმუნოებთან" ცხოვრებას „რუსების მტრებად სიკვდილი სჯობიაო" და ხალხს კატეგორიულად აფრთხილებდნენ, ფიქრადაც კი არ გაევლოთ რუსებისადმი დამორჩილება.

ლ. ტოლსტოი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ რუსების მხარეზე გადასული თითო-ოროლა მოღალატე მთიელი არა მარტო ხალხის ზიზღსა და სიძულვილს იმსახურებდა, არა-

მედ საკუთარი ოჯახის წევრებისაც. სწორედ ამის განმაზოგადებელ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ ის ურთიერთობა, რომელიც ზემოთქმული თვალსაზრისით არსებობდა ჰაჯი-მურატსა და მის შვილს – იუსუფს შორის.

შამილის ბანაკში მყოფი იუსუფი, მიუხედავად იმისა, რომ რუსების მხარეზე მამამისის გადასვლის შემდეგ ტყვედ ითვლებოდა, შამილისადმი მამის მტრულ დამოკიდებულებას პრინციპულად არ იზიარებდა. მწერლის თქმით, იუსუფს „ვერ გაეგო, რატომ ეწინააღმდეგებოდა ასე ჯიუტად ჰაჯი-მურატი შამილს... მამის წინააღმდეგ და სრულიად საპირისპიროდ, მას განსაკუთრებულად ხიბლავდა შამილი და თაყვანს სცემდა ისე, როგორც ყველა სცემდა თაყვანს შამილს მთებში."

ლ. ტოლსტოის მოთხრობაში არაერთგზის მახვილდება ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ კავკასიაში რუსი სამხედროების ვანდალურ ქმედებათა მთავარი ორგანიზატორები რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ და ეს ყველაფერი სწორედ მათი ნებართვითა და წაქეზებით ხდებოდა. ნათქვამის დასტურად მწერალი ისტორიული სიმართლით გვიჩვენებს იმ აქტიურ როლს, რასაც რუსეთის იმჟამინდელი იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, მეფისნაცვალი ვორონცოვი, სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი და უმაღლესი რანგის სხვა ხელისუფალნი ასრულებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის აკლება-აწიოკების ვანდალური პროცესის წარმართვის საქმეში.

მაგალითად, რუსეთის სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი იმპერატორს ერთ-ერთი შეხვედრის დროს პირმოთნედ ეუბნება, რომ რუს ხელისუფალთ მისი „უდიდებულესობის გეგმით რომ დიდი ხნის წინათ ეხელმძღვანელათ, თანდათანობით, თუნდაც ნელა გვეველო წინ, გაგვეჩეხა ტყე, მარაგი გაგვენადგურებინა, მაშინ კავკასია დიდი ხნის დაპყრობილი გვექნებოდა."

პირმოთნე მინისტრის შექებით წახალისებულმა იმპერატორმა ჩერნიშევს უბრძანა, კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვისათვის სასწრაფოდ მიეწერა, რომ მტკიცედ შეესრულებინა ბრძანება მის მიერ შედგენილი გეგმით მთელ ჩეჩნეთში მოსახლეობის კარ-მიდამოთა დარბევასთან, სურსათ-სანოვაგის განადგურებასთან და თარეშების გზით ხალხის აკლება-აწიოკებასთან დაკავშირებით.

ლ. ტოლსტოის თქმით, ვორონცოვისათვის ნიკოლოზ პირველის მიერ გაცემული ამ ახალი ბრძანების სასწრაფოდ გადასაცე-

მად „ფელდეგერი ცხენების ჭენებითა და მეეტლეების თავ-პირის მტვრევით გაფრინდა თბილისისაკენ."

იმისათვის, რომ მოსახლეობის აკლება-აწიოკებისა და დამორჩილების პროცესი დაეჩქარებინათ და წინააღმდეგობის გამწევი ყოველი კერა გაენადგურებინათ, ხელისუფლების ბრძანებით, მასობრივად მიმდინარეობდა მთიელთა ციხე-სიმაგრეებად ქცეული ტყეების გაჩეხვა-განადგურება. მაგალითად, „ცულებით შეიარაღებულმა ორმა ასეულმა მსროლელნი შარად გაშალა და როგორც კი ინათა, ტყის ჩეხვას შეუდგა. რვა საათი იქნებოდა, როცა კოცონებზე აშიშინებული და ატკაცუნებული ნედლი ტოტების სურნელოვან ბოლთან ერთად ნისლი მაღლა აცურდა და ტყის მჩეხავებმა, აქამდე რომ ერთმანეთის მარტო ლაპარაკი ესმოდათ, თორემ ხუთ ნაბიჯზე ვერაფერს არჩევდნენ, ახლა კოცონებიც დაინახეს და ტყეში გამავალი ჩახერგილი გზაც."

ტყეების მასობრივად გაჩეხვა-განადგურების პროცესი, როგორც მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი მეთოდი, ლ. ტოლსტოიმ „კავკასიური მოთხრობების" ციკლში შესულ სხვა ნაწარმოებებშიც წარმოსახა კიდევ უფრო მასშტაბურად და შთამბეჭდავად (მაგალითად, „ტყის ჩეხვა" და სხვ.).

რუს კოლონიზატორთა ამგვარი ვანდალური ქმედებანი ადგილობრივ მოსახლეობას სავსებით ბუნებრივად უწენდა მათ მიმართ პროტესტის მძაფრ გრძნობას. ლ. ტოლსტოი არა მარტო კავკასიის აკლება-აწიოკების ღრმად შთამბეჭდავ და შემზარავ მაგალითებს წარმოსახავს უმაღლესი სიტყვიერი ხელოვნებით, არამედ – მტრის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდებსაც. მაგალითად, ერთ-ერთი მოხუცი მთიელი კმაყოფილებით ყვებოდა, მათმა ბიჭებმა როგორ დაიჭირეს ორი რუსი ჯარისკაცი, რომელთაგანაც ერთი მოკლეს, მეორე კი შამილს გაუგზავნეს დასასჯელად.

ანდა: ჰაჯი-მურატის თანამებრძოლი გამზალო „ერთ რამეზე ოცნებობდა – რაც შეიძლება მეტი გაეჟლიტა, დაეჭრა ეს რუსი ძაღლები და მერე მთებში გაქცეულიყო. ახლა მიხვდა, რომ ჰაჯი-მურატსაც ეს უნდოდა და კმაყოფილი იყო."

მანამდე, სანამ საკუთარ ხალხს უღალატებდა და რუსების მხარეზე გადავიდოდა, ჰაჯი-მურატი მთიელთა შორის ერთ-ერთი უაღრესად პატივსაცემი და საყვარელი პიროვნება იყო. მწერლის

თქმით, მისდამი ხალხის ასეთი დამოკიდებულების განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი, პირველ ყოვლისა, ის იყო, რომ სიმამაცით გამორჩეული ეს რაინდი კაცი თავისი ცხოვრების ადრინდელ ეტაპზე დაუნდობლად „ულეტდა" მისი ქვეყნის დასაპყრობად შემოსულ „რუს ღორებს."

მოთხრობაში მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ მთიელთა წინააღმდეგობის გატეხვას რუსი ხელისუფალნი ადგილობრივი მოსახლეობიდან მოსყიდული ადამიანების გადმობირების გზითაც ცდილობდნენ აქტიურად. ამ თვალსაზრისით, მათთვის ძალზე მომგებიანი შემთხვევა იყო ჰაჯი-მურატის გადასვლა მათ მხარეზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოღალატენი მთიელთა შორის ძალზე ცოტანი იყვნენ და მტრის მხარეზე გადასულთა ერთი ნაწილი ამ ნაბიჯს ღალატის გამო კი არა სტრატეგიული მოსაზრებით დგამდა, რუსი ხელისუფალნი ამგვარი ცბიერი პოლიტიკის გატარებაზე მაინც დიდ იმედებს ამყარებდნენ.

მიუხედავად ერთგულების იმ ფიცისა, რომელსაც რუსების მხარეზე გადასული მთიელები თავიანთ ახალ ბატონებს აძლევდნენ, რუსი ხელისუფალნი მათ მაინც ეჭვით უცქეროდნენ და ნაკლებად სჯეროდათ, რომ ისინი მართლაც იქნებოდნენ საკუთარი სამშობლოს ნამდვილი მოღალატენი. როგორც სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურიდან თვალნათლივ ჩანს, ამ ეჭვს ლ. ტოლსტოიც იზიარებდა და ჰაჯი-მურატის გადასვლას რუსების მხარეზე ისიც სტრატეგიული მოსაზრებით ხსნიდა. მისი აზრით, ეს ნაბიჯი მან, პირველ ყოვლისა, იმიტომ გადადგა, რომ ამ გზით რუსების შეიარაღების სუსტი მხარეების შეტყობა და მისიანებისთვის ყოველივე ამის თაობაზე ზუსტი ინფორმაციების მიწოდება უნდოდა.

ზემოთქმული, თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა მოთხრობის ის ეპიზოდი, სადაც მწერალი ვორონცოვის ადიუტანტ ლორის-მელიქოვს რუსების მხარეზე ჰაჯი-მურატის გადასვლასთან დაკავშირებით გაჩენილ ეჭვებს შემდეგნაირად გამოახატვინებს: „ლორის-მელიქოვი ფიქრობდა და ამ აზრს რამდენიმე უფროსი მოხელეც იზიარებდა, რომ ჰაჯი-მურატის გადმოსვლა და შამილთან მისი მტრობა თვალთმაქცობა იყო, რომ ის მარტო იმისთვის გადმოვიდა, რუსების სუსტი უბნები გაეგო, მერე მთებში გაქცეულიყო და თავისი ძალები რუსების სუსტი უბნებისაკენ გადმოესროლა."

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი" კავკასიაში რუსული აგრესიული კოლონიური პოლიტიკის მამხილებელი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტიცაა. აღნიშნული თვალსაზრისით, ნაწარმოების შეფასების დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ რუსული კოლონიალიზმის მამხილებლის როლში ამ შემთხვევაში რუსი ეროვნების მწერალი გამოდის, ის პიროვნება, რომელიც, როგორც სამხედრო მოსამსახურე, თავადაც იყო უშუალო თანამონაწილე და თვითმხილველი იმ აგრესიული საომარი ოპერაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ვანდალური აკლებაა-ნიოკებისა, რასაც ხელისუფლების ორგანიზებით აწარმოებდნენ რუსი სამხედროები ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნის 40-50-იან წლებში.

ნაწარმოების მიმართ ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოებაც, რომ, ზემოთქმული თვალსაზრისით, მასში აღწერილი მოვლენებისადმი ლევ ტოლსტოის მიერ აშკარად გამოხატული უმწვავესი მოქალაქეობრივი პროტესტი არა მარტო შესაბამისი პერიოდის ისტორიული ვითარების არსში გასარკვევადაა უაღრესად მნიშვნელოვანი, არამედ კავკასიის რეგიონში, პირველ ყოვლისა კი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რუსი აგრესორების ორგანიზებით დღესდღეობით მიმდინარე მოვლენების შესაფასებლადაც.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქანიძე, ტოლსტოი საქართველოში, 1960 წ.

გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტ. VIII, 1985 წ.

გამსახურდია, თხზ. ათტომეული, ტ. IX, 1985 წ.

გაჩეჩილაძე ა. ლიტერატურული ძიებანი, 1988 წ.

ნაკაშიძე ნ. ლევ ტოლსტოის ახლოს (მოგონება), 1954 წ.

ტაბიძე ტ. ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, 1985 წ.

ტოლსტოი ლ. კავკასიური მოთხრობები, თარგმნა ელიზბარ უბილავამ, თბ. 1968 წ.

2008 წ.

ქართული რეალიები ბულატ ოკუჯავას რომანში „გაუქმებული თეატრი. ოჯახური ქრონიკა“

ბულატ ოკუჯავასადმი (1924-1997 წწ.), როგორც გასული საუკუნის რუსული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლისადმი, საქართველოში დღემდე ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული დამოკიდებულებაა დამკვიდრებული. კერძოდ, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი მას იმ მწერლად მიიჩნევს, რომელსაც ეთნიკური წარმომავლობის გარდა, საქართველოსთან არაფერი აკავშირებდა და დაუფარავი გულისწყრომით გამოთქვამს უკმაყოფილებას ამ ფაქტის გამო. ქართველი საზოგადოების მეორე ნაწილი კი ბულატ ოკუჯავას შემოქმედების შეფასების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მწერლის ეთნიკურ წარმომავლობასაც ანიჭებს.

სამწუხაროდ, თავად ბულატ ოკუჯავას ქართული ინტერესების სამსახურში აქტიურად დგომა თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად არასოდეს ჩაუთვლია და საკუთარ ეროვნულ წარმომავლობაზე საუბრის დროს იგი ფაქტობრივად იმის აღნიშვნით შემოიფარგლებოდა, ცხოვრების გარკვეული პერიოდი საქართველოში რომ გაატარა. მწერლის ხაზგასმით, ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების პერიოდი მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმით გამოდგა, რომ თავისი პოეტური მისწრაფებანი მან თავდაპირველად სწორედ აქ, კერძოდ კი თბილისში მკვიდრობის დროს, გამოავლინა. ამ თვალსაზრისით, მისთვის მძლავრი შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ ძალად იქცა შეხვედრა აქ სტუმრად მყოფ ბორის პასტერნაკთან, რომელსაც თავისი ლექსები წაუკითხა და მისი შექებით ძალმიცემულმა აქტიურად განაგრძო შემოქმედებითი მოღვაწეობა.

საქართველოსადმი ბულატ ოკუჯავას ინდიფერენტული დამოკიდებულების მიმართ ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ გამოვლენილმა კრიტიკულმა პოზიციამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის აღდგენის წინარე და შემდგომ პერიოდებში.

მიუხედავად იმისა, რომ მწერლის იმდროინდელ შემოქმედებაში წინა პლანზე აშკარად წამოიწია ქართული თემატიკა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ფაქტობრივად მაინც დარჩა მისი ყურადღების მიღმა.

საქართველოსადმი ბულატ ოკუჯავას ამგვარი დამოკიდებულებით განაწყენებულ და გულნატკენ ქართველთა თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ რამდენიმე ამონარიდს შესაბამისი პერიოდის პუბლიკაციებიდან.

ფრაგმენტი გაზეთ „მამულის“ 1990 წლის მერვე ნომერში დაბეჭდილი ტ. ტ-ს წერილიდან „კატები ასე არ იქცევიან:“ „ცნობილი საბჭოთა პოეტი, შანსონიე და პროზაიკოსი ბულატ ოკუჯავა დედით სომეხია, მამით – ქართველი, მაგრამ ეროვნებით არც ქართველია და არც სომეხი, არამედ ორივეს ჯვინაზე გახლავთ რუსი... ბულატ ოკუჯავა თავის დროზე თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ საჭიროდ არ ჩაუთვლია, საყველპურო ქართული მაინც რომ ესწავლა“.

იმისათვის, რომ ბ. ოკუჯავას ეროვნულ ნიჰილიზმს მეტი სიმძაფრე შესძინოს, ხსენებული პუბლიკაციის ავტორი იქვე მისი ადრინდელი ინტერვიუს იმ ფრაგმენტსაც იხსენებს, რომელშიც მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ეს პიროვნება პატრიოტიზმს ასეთ კურიოზულ შეფასებას აძლევს: „პატრიოტიზმი პრიმიტიული გრძნობაა, იგი კატასაც აქვს!“

როგორც ითქვა, დამოწმებული პუბლიკაციის ავტორი ბულატ ოკუჯავას ეროვნული ნიჰილიზმის ამგვარი შეფასების დროს გამონაკლისი არ არის და ამ ნაქართველარი პიროვნების მიმართ ანალოგიურ დამოკიდებულებას მწერლის სიცოცხლეშიცა და მისი გარდაცვალების შემდეგაც არცთუ იშვიათად გამოხატავდა ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, აი, როგორი შეფასება მისცა მურმან ლებანიძემ ჩვენი გარუსებული თანამემამულის შემოქმედებით მოღვაწეობას 1997 წელს მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსში (ლებანიძე, 2010: 40):

ოკუჯავას ელცინი მარხავს,
პუშკინის გვერდით ცაში აჰყავს,
ოკუჯავას რუსეთი მარხავს,
საწყალს „აკუდჟავად“ მარხავს...

საქართველო წყალს არ ნაყავს,
საქართველოს პოეტი ცხრა ჰყავს –
დიდს არაფერს ჰკარგავს!

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე არც ის გარემოება უნდა დარჩეს აღუნიშნავი, მშობლიური ეროვნული ფესვებისაგან მოწყვეტის გამო, გამოვლენილი სინანულის გრძნობა სიცოცხლის ბოლო წლებში თავად ბულატ ოკუჯავას შემოქმედებაშიც რომ გამოვლინდა, რამდენადმე ხელშესახები ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენას მწერლის ეროვნულ ცნობიერებაში არსებითად არაფერი შეუცვლია, ბოლო პერიოდის მის მხატვრულ ნააზრევში მაინც იგრძნობა ქართული თემატიკისადმი გამოვლენილი გარკვეული ინტერესი. ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად აქ იმ ფაქტსაც გავიხსენებ, რომ თავის „ქართულ სიმღერაში" საკუთარ თავს იგი ვერშემდგარ ქართველად მიიჩნევდა და ამის გამო, მოძმეებისაგან პატიებას ითხოვდა.

ბულატ ოკუჯავას მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის ჩამოყალიბების პროცესში არსებითად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა ოჯახურმა გარემომ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად იქცა მისი მშობლებისა და მათი ღვიძლი და-ძმების რევოლუციური ფანატიზმი. კერძოდ, როგორც ცნობილია, მათ რეალური მონაწილეობა აქვთ მიღებული 1921 წელს საქართველოში საბჭოთა რუსეთის XI არმიის შემოყვანისა და ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის პროცესში.

ამ გარემოებას არაერთი მკვლევარი აღნიშნავს ხაზგასმით. სამწუხაროდ, ამგვარი რევოლუციური ფანატიზმის შედეგად ეს ადამიანები ფაქტობრივად საკუთარი სამშობლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებებად და განახლებული რუსული იმპერიის კოლონიური პოლიტიკის განმახორციელებელ იმ მაღალჩინოსან პარტიულ მოღვაწეებად მოგვევლინენ, რომელნიც თავიანთი ცხოვრების უმთავრეს მიზნად ამ იმპერიის სამსახურში უღალატო ერთგულებით დგომას ისახავდნენ.

მათი ამგვარი რევოლუციური ფანატიზმი საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ იმავე ხელისუფლების მიერ სამშობლოს მოღალატეებად მიჩნეულ ამ პიროვნებათა ნაწილს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, ნაწილი კი სასჯელის მოსახდელად ციხეებში გამოკეტეს, ანდა საბჭოთა კავშირის უკაცრიელ რეგიონებში გადაასახლეს ხანგრძლივი დროით.

მაგალითად, აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ნოდარ ტაბიძე: „ოლიას უფროსი ძმა მიხეილი – გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე – ერთხანს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობდა... ოჯახში მისი კულტი იყო და უმრწემესიც მის კვალს გაჰყვნენ. მათ შორის იყო გალაკტიონის მეუღლე ოლიაც, რომელიც 1917 წელს, მოსკოვში ყოფნის დროს, გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ამ დროიდან მოყოლებული აქტიურად ჩადგა რევოლუციური იდეალების სამსახურში. ამგვარი რევოლუციური ფანატიზმი ხელისუფლებამ მას იმით დაუფასა, რომ იგი სამშობლოს მოღალატეობის ბრალდებით თავდაპირველად, 1929-1932 წლებში, შუა აზიაში იხდიდა სასჯელს, 1937 წელს კი მეორედ დააპატიმრეს და ჯერ იაროსლავლში გადაასახლეს, შემდეგ – ვლადიმირში, ბოლოს კი ორიოლში განაწესეს, სადაც დახვრეტილ იქნა“ (ტაბიძე, 2000: 290).

ეს ყველაფერი აქ, პირველ ყოვლისა, იმის გამო გავიხსენე, რომ ოკუჯავების ოჯახთან დაკავშირებული ეს ტრაგიკული მოვლენები ისტორიული სიმართლითაა მოთხრობილი ბულატ ოკუჯავას ავტობიოგრაფიულ რომანში „გაუქმებული თეატრი“ (1993 წ.). კერძოდ, 1920-1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში არსებულ უმძიმეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ რეალობას მწერალი უწინარესად სწორედ მისი მშობლების ტრაგიკულ თავგადასავალთა მოთხრობის შედეგად წარმოსახავს. იქიდან გამომდინარე, რომ რომანის პერსონაჟთა ნაწილს ქართველები წარმოადგენენ და მოქმედების მნიშვნელოვანი პერიოდი საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, მიმდინარეობს, ავტორისეულ მონათხრობში განსაკუთრებული ყურადღების საგნად სავსებით ბუნებრივად იქცა შესაბამისი პერიოდის საქართველოში არსებული რეალობის წარმოსახვა.

როგორც ითქვა, ბულატ ოკუჯავას დიდი ოჯახის წევრთა რევოლუციურ საქმიანობასთან და პარტიულ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ამბები „გაუქმებულ თეატრში“ ისეთი ფაქტოლოგიური სიმართლითაა მოთხრობილი, რომ იგი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ ატობიოგრაფიულ რომანად. აქედან გამომდინარე, ბულატ ოკუჯავას რომანის მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა დოკუმენტური სიმართლით გაიაზროს ნაწარმოების მთავარ პერსონაჟად ვანვანჩის სახელით გამოყვანილი თავად ნაწარმოების ავტორისა და

მისი მრავალრიცხოვანი ოჯახური გარემოცვის ცხოვრებასთან დაკავშირებული ის მოვლენები, რომელთა მეშვეობითაც ნათელი წარმოდგენა გვექმნება არა მარტო ამ პიროვნებათა ცხოვრებაზე, არამედ შესაბამისი პერიოდის საბჭოთა იმპერიაში არსებულ რეალობაზე.

„გაუქმებულ თეატრში" ამბის მთხრობელის როლში თავად ბულატ ოკუჯავას პიროვნულ ორეულად ქცეული მთავარი პერსონაჟი – ვანვანჩი გვევლინება. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ მისგან განსხვავებით, რომანის უკლებლივ ყველა პერსონაჟი მათი რეალური გვარ-სახელებითაა გამოყვანილი.

ვანვანჩის ბავშვობის დროინდელი ცნობიერების ფორმირებაზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ იგი რევოლუციური იდეალების რეალობად ქცევისათვის თავგანწირვით მებრძოლი მშობლების ოჯახში აღიზრდა. ამ გარემოების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ვანვანჩის ბავშვობის დროინდელი ცნობიერება, პირველ ყოვლისა, სწორედ მისი მშობლებისა და მათი მახლობელი ადამიანებისათვის ცხოვრების უღალატო წესად ქცეული რევოლუციური ფანატიზმით აღმოჩნდა შებოჭილი. კერძოდ, ბავშვობის დროინდელი თავისი შეხედულებების მოთხრობის დროს იგი სიამაყით აცხადებდა, რომ მისი მშობლებისა და მათი მახლობელი ადამიანების მსგავსად, ისიც ბოლშევიკი იყო (ოკუჯავა, 2001: 63).

ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს, ვანვანჩი განსაკუთრებული ემოციით საუბრობდა მის მაშინდელ ცნობიერებაში მძლავრად გამოვლენილ რევოლუციურ ფანატიზმზე. მაგალითად, ათი წლის ასაკში პიონერთა რიგებში შესული, იგი სოციალიზმისადმი მისი ერთგულების დამტკიცებას იმით აპირებდა, რომ „ბარიკადაზე სიკვდილზე ოცნებობდა" და „ყოველდღე გულმოდგინედ სწავლობდა პიონერული ყელსახვევის მომჭერს, რომელზეც პიონერული კოცონის წითელი ენები ალისფრად ენთენ. მღელვარებით სწავლობდა იმიტომ, რომ სკოლაში დაირხა ხმები, ფარულმა მავნებლებმა მოახერხეს გამოშვება მომჭერებისა, რომლებზეც მახვილი თვალი ტროცკის პროფილს ან ფაშისტურ სვასტიკას შეამჩნევდა" (ოკუჯავა, 2001: 191).

ვანვანჩის ბავშვობის დროინდელ მოგონებათა განუყოფელ ნაწილად ქცეული და მისი იმდროინდელი რევოლუციური ფანატიზმის წარმომსახველი ამგვარი ეპიზოდებით მწერალი არა მარ-

ტო ამ პიროვნების მოქალაქეობრივ თვალთახედვას წარმოაჩენს, არამედ ასეთი მდგომარეობიდან მისი თანდათანობითი გამოსვლისა და არსებული რეალობის ნამდვილი სახით შეცნობის ურთულეს პროცესსაც.

მიუხედავად იმისა, რომ საამისო საფუძველი მის ცნობიერებაში ადრეც მზადდებოდა, ამ მიმართულებით არსებითი გარდატეხის მომხდენ მოვლენად, პირველ ყოვლისა, პირადად მისი ოჯახისთვის თავსდატეხილი უბედურება იქცა. კერძოდ, თორმეტი წლის ასაკში მყოფი ვანვანჩი უკვე აშკარად გრძნობდა, როგორ „იპარებოდა მათი სახლის კარის ჭუჭრუტანაში უბედურების შეუმჩნეველი სუნი." ამ მოვლენის ტრაგიკულად დამაგვირგვინებელ ეპიზოდს მამამისის ტროცკისტად გამოცხადება წარმოადგენს, რამაც მისი ცხოვრებაც შეცვალა ერთბაშად და რადიკალურად.

აი, როგორ აღწერს მწერალი ოკუჯავების ოჯახისათვის თავსდატეხილი ამ ტრაგედიის შემდგომ სკოლაში ვანვანჩის პირველად მისვლის ეპიზოდს: „მის წინ უცებ რომელიღაც მეორეკლასელი ბიჭუნა აცეკვდა, კბილები დააკრაჭუნა და მთელი დერეფნის გასაგონად იჭყივლა: „ტროცკისტი!.. ტროცკისტი!.." და თითს ვანვანჩს ადებდა მკერდზე. ვანვანჩს სუნთქვა შეეკრა: მას, პარტიის ქალაქკომის პირველი მდივნის შვილს, ეძახიან ამ სამარცხვინო სახელს?!.. ეს მოშხამული, საძაგელი სიტყვა მას გაუმიზნეს? მივარდა იმ საზიზღარ არარაობას, მაგრამ ის გაუსხლტდა და მაშინვე მის უკან ყველა ერთხმად აყვირდა: მთელ დერეფანში გუგუნებდა ეს „ტროცკისტო!.. ტროცკისტო!.. ტროცკისტო!.." და შეშლილი მოწაფეები თითებს მისკენ იშვერდნენ, გადარეულნი ცეკვა-ცეკვით ღრიალებდნენ: „ტროცკისტო!.. ტროცკისტო!.. ტროცკისტო!.." (ოკუჯავა, 2001: 301).

ბულატ ოკუჯავას რომანის ქართულ რეალიებზე საუბრის დროს, განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო, ავტორის პროტოტიპად ქცეული ეს პიროვნება მოვლენათა კრიტიკული თვალთახედვით შეფასების შედეგად, როგორ გამოდის ზემოთ აღნიშნული რევოლუციური ფანატიზმის ბურანიდან და მისი მშობლებისაგან არსებითად განსხვავებული თვალთახედვით აღიქვამს გარემომცველ სინამდვილეს. პირველი საგულისხმო ნაბიჯი ამ მიმართულებით მან პირველ კლასში ყოფნის დროს გადადგა მისი მასწავლებლის მიერ მიწოდებული შემდეგი ინფორმაციის მართებულობაში დაეჭვებით:

მასწავლებლის თქმით, იმის გამო, რომ პუშკინს ყმა გლეხები ჰყავდა და მათ აბუჩად იგდებდა, იგი ცუდ პიროვნებას წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაფეტიშებული პროლეტარული პოეტი დემიან ბედნი კი „კარგი იყო, რადგანაც ის კაპიტალისტებს ამასხარავებდა“ (ოკუჯავა, 2001: 163). როგორც ითქვა, ვანვანჩი სწორედ მაშინ დაეჭვდა პირველად მოვლენათა ამგვარი შეფასების მართებულობაში.

თუმცა მოვლენათა არსში მართებულად გარკვევის ეს პროცესი საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, რის შედეგადაც ვანვანჩის ბავშვურ ცნობიერებაში თანდათანობით გამოიკვეთა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი გაორებული მიდგომა. საკუთარი ოჯახისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების რადიკალურმა შეცვლამ და ტროცკისტებად და კლასობრივ მტრებად მათმა მიჩნევამ კი მის ბავშვურ რევოლუციურ ფანატიზმს საბოლოოდ გამოაცალა საფუძველი.

ვანვანჩის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის რადიკალური გარდაქმნისადმი რომანის ავტორის მიერ გამოვლენილი განსაკუთრებული ინტერესი და ეპოქალურ მოვლენათა განმსჯელ-შემფასებლის როლში მისი გამოყვანა იმ გარემოებამ განაპირობა არსებითად, რომ მწერალი თავისი მშობლებისა და მათი გარემოცვის ცხოვრებისეული ხვედრის წარმოჩენით ცდილობს წარმოსახოს 1920-1930-იანი წლების საბჭოური რეალობის ნეგატიური მხარეები.

ვანვანჩის, როგორც რომანის ავტორის პროტოტიპად არსებული პიროვნების, შესახებ საუბრის დროს აქ განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო, რომ იგი ფაქტობრივად ეროვნულ ღირებულებებს მოწყვეტილ პიროვნებასაც წარმოადგენს. მისი მოქალაქეობრივი თვალთახედვის ამგვარი სახით ფორმირება არსებითად განაპირობა იმ ოჯახურმა და საზოგადოებრივმა გარემომ, რომელშიც იგი აღიზარდა და ჩამოყალიბდა, როგორც პიროვნება.

კერძოდ, მამის მხრიდან ვანვანჩი ქართველი იყო, დედის მხრიდან – სომეხი, ენობრივად კი რუსულენოვან გარემოში იმ დედის მიერ აღზრდილი, რომელიც თავის გარემომცველ ადამიანებთან ურთიერთობის დასამყარებლად პრიორიტეტულ როლს რუსულ ენას ანიჭებდა და მათ ფაქტობრივ ულტიმატუმად ქცეულ ასეთ მოთხოვნას უყენებდა: „ამხანაგებო, მოდით, ლენინის ენაზე ვილაპარაკოთო“ (ოკუჯავა, 2001: 229).

გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, ვანვანჩის მოქალაქეობრივი თვალთახედვის ჩამოყალიბებაზე არსებითი ზეგავლენა იმ გარემოებამაც მოახდინა, რომ საქართველო მისთვის მხოლოდ იმ ადგილს წარმოადგენდა, სადაც დაიბადა და ბავშვობის რამდენიმე წელი გაატარა, შემდეგ კი, ხელისუფლების მიერ მოსკოვსა და ციმბირში სამუშაოდ წარგზავნილ მშობლებთან ერთად, რუსულ გარემოში მოუწია ცხოვრება.

ამ დეტალს განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად იმიტომაც მინდა მივაქციო, რომანის მთავარი პერსონაჟის ეროვნული თვალთახედვის ამგვარი სახით წარმოჩენის შედეგად, ბულატ ოკუჯავა ფაქტობრივად იმ ფაქტორებზეც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას, რის შედეგადაც იგი, მისი რომანის მთავარი პერსონაჟის მსგავსად, წინაპართა ფესვებს მოწყვეტილ პიროვნებად იქცა.

„გაუქმებული თეატრის" ქართულ რეალიებზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება ვანვანჩის მამის – შალვა (შალიკო) ოკუჯავას პიროვნულ სახესაც უნდა მივაქციოთ. როგორც საბჭოთა კავშირის 1920-1930-იანი წლების ისტორიიდან ცნობილია, ის და მისი მრავალრიცხოვანი დედმამიშვილები იმდროინდელ რევოლუციურ მოვლენათა აქტიური მონაწილეები იყვნენ და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფოებრივი მართვა-განმგებლობის სტრუქტურებში. მაგალითად, მწერლის ხაზგასმით, შალვა ამ თვალსაზრისით „პარტიული სამუშაოს ცეცხლზე დამწვარ და დახრუკულ" პიროვნებას წარმოადგენდა (ოკუჯავა, 2001: 18).

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ შალვა ოკუჯავასა და მისი ოჯახური გარემოცვის რევოლუციური ფანატიზმისა და ამ ფანატიზმის სამსახურში უღალატოდ დგომის წარმომჩენ ამბავთა მოთხრობის შედეგად მწერალი კრიტიკული ფორმით წარმოსახავს შესაბამისი პერიოდის საბჭოურ სინამდვილეს, რომანში მთლიანად დარჩა ყურადღების მიღმა უაღრესად ნეგატიური იმ როლის წარმოსახვა, რომელიც ამ ადამიანებსა და მათ ქართველ თანამოაზრეებს აქვთ შესრულებული განახლებული რუსული იმპერიის ნაწილად მათი სამშობლოს ქცევის საქმეში. სამწუხაროდ, ეს ავბედითი მოვლენა რომანში მხოლოდ რამდენიმე სიტყვით, ყოველგვარი კომენტარის გარეშეა დაფიქსირებული.

მაგალითად: „1921 წელს შალიკო უკვე ოცი წლისა იყო. კაცმა რომ თქვას, მაშინ დაიწყო ყველაფერი: პროლეტარული რევოლუ-

ციის იდეალების ბობოქრული, ციებ-ცხელებიანი, უწყვეტი მსახურება. ეს უკანასკნელი გმირობასა ჰგავდა, რადგან ამის შემდეგ უკვე დიდი ხნის წინათ შეპირებულ სიყვარულისა და ძმობის სამეფოში საოცრებათა ხანა იწყებოდა...

როცა მეთერთმეტე წითელმა არმიამ ჯვრის უღელტეხილი გადმოლახა და საქართველოში შეიჭრა, მაშინვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. და ოცი წლის შალიკო უცაბედად ქუთაისის პოლიციის უფროსი გახდა" (ოკუჯავა, 2001: 84).

სამწუხარო ამ შემთხვევაში მხოლოდ ის კი არ არის, რომ შალვა ოკუჯავა და მისი და-ძმები ამ ტრაგიკული მოვლენისა და მის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ტრაგიკული ვითარების თანამონაწილეებად ქცეულ პიროვნებებს წარმოადგენდნენ, არამედ აღნიშნული გარემოების ავტორისეული შეფასება და იმის ხაზგასმა, თითქოს საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შედეგად აქ „ყველაფერი თავის ადგილზე დადგა."

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, აქვე ორიოდე სიტყვა რამდენადმე კრიტიკულ იმ დამოკიდებულებაზეც ითქვას, რასაც მწერალი საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ და ახალ რეალობაში მოქცეულ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის წარმოსახვის დროს ავლენს. მაგალითად: „დამთავრდა სამოქალაქო ომი და თბილისში ბოლშევიკები შემოვიდნენ. ორ წელიწადში როგორღაც ყველაფერი ასე თუ ისე მოგვარდა. რასაკვირველია, საზოგადოებრივი კლიმატი უფრო მკაცრი გახდა და რუხი კვამლით დაიძენძა მისი ყველა კუთხე-კუნჭული, გაქრა პეწი და თავაზიანობა, დამკვიდრდა მხოლოდ გლეხური სამოსელი და ცუდი სუნი, კიდევ უფრო გულშემზარავი ყვირილი სამართლიანობაზე და კლასობრივი რისხვა...

წარსულს ჩაბარდა სამოქალაქო ომი და სისხლის სუნს შეეჩვივნენ. ახალი ადათ-წესები თავისუფალი ვაჭრობის უბადრუკ კარნავალში გამქრალდნენ და ამ მაღაზიებმა და რესტორანუკებმა მოასწრეს ირგვლივ მოტრიალე თანამემამულეთა სიმწრითა და ღვარძლით სავსე სულიერი განწყობილების შემსუბუქება... ცხოვრება გამალებით, სწრაფად იცვლებოდა... შალიკოს უფროსი ძმა – ვალოდია, ეს საპატიო რევოლუციონერი, ბნელ პერსპექტივებს წინასწარმეტყველებდა. ამ დროს, რასაკვირველია, ყველას გვარიანად ხვდებოდა მისი მათრახი: ლენინსაც, რომელმაც ქვეყანა სიცრუისა და გამცემლობის კოშმარში ჩაითრია, შოლტიან

ულვაშა სისხლის სამართლის დამნაშავესაც და მის ძმებსაც – ამ ყმანვილ იდიოტებს, რომლებიც მათთვის ბოლოსმომლებ ციხეს აშენებდნენ“ (ოკუჯავა, 2001: 123-124).

როგორც ცნობილია, უმძიმესი ეკონომიკური პრობლემების წინაშე ერთბაშად დამდგარმა ხელისუფლების მესვეურებმა ძალაუფლების შესანარჩუნებლად აქტიურად დაიწყეს რეპრესიული პოლიტიკის ტოტალურად გატარება, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ბულატ ოკუჯავას რომანისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მწერალი ამ ტრაგიკული მოვლენის მსხვერპლად ქცეულ ადამიანთა შესახებაც გვიამბობს ეპიზოდურად. ავტორისეულ მონათხრობს განსაკუთრებულად ფასეულს ამ შემთხვევაში ის გარემოებაც ხდის, რომ ეს ეპიზოდები ფანტაზიით წარმოსახვის შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ რეალურად არსებულ პიროვნებათა, უფრო მეტიც, თავად ავტორის დიდი ოჯახური გარემოცვის ცალკეულ წარმომადგენელთა ცხოვრებისეული ხვედრის წარმომჩენი ფრაგმენტებია.

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს რომანიდან: „ყველაფერი კერძო აკრძალული აღმოჩნდა. უკრაინიდან აღწევდა ხმები იქ შიმშილობის თაობაზე. გაქრა მოდებისა და საკონდიტრო მაღაზიები. გაიჭიმა ნავთზე რიგები და ყველაფერი ეს ხომ რაღაც ბუნდოვანი ხვალინდელი ნეტარებისთვის, ხვალინდელი, ხვალინდელი რაღაცეებისთვის ხდებოდა. მოითმინეთ, მოითმინეთ, ბატონებო!..

ხელახლა ინგრეოდა (უკვე მერამდენედ) ეს-ესაა შეკოწიწებული მცირე მატერიალური ბაზა. ცხოვრების კეთილშობილი, სუფთა, მომხიბვლელი და შეშლილი ბატონ-პატრონები იღუპებოდნენ შინა ცემა-ტყეპის პროცესში, როცა ისინი ერთმანეთს პოლიტიკური ცოდვების ჩადენას აბრალებდნენ. შალიკოს მაღალჩინოსანი ძმები მიშა და კოლია ახალი ხელისუფლებისათვის უცებ არასასურველი პირები აღმოჩნდნენ, მათ თავიანთი უფლებები დააკარგვინეს და, მხილებულ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებად შერაცხულნი, ალმა-ატის მხარეში გადაასახლეს... დარჩა ქართული დივიზიის კომისრობამდე აღზევებული შალიკო და შორეული მოსკოველი აშხენი, რომელიც მოსკოვში პარტიის ქალაქკომის ინსტრუქტორი გახდა“ (ოკუჯავა, 2001: 128).

ავტორის ხაგასმით, ყველაფერი ეს, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აქტიურად

მიმდინარე ეს ტრაგიკული მოვლენები, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, პირველ ყოვლისა „მოსკოვის მითითებით" ხდებოდა.

ხელისუფლების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ტოტალურად გატარებული უმკაცრესი რეპრესიული პოლიტიკის მსხვერპლად მაშინ შალიკო ოკუჯავაც იქცა. საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ფანატიკური ერთგულებით ჩამდგარი ეს პარტიული მუშაკი, რომელსაც ნებსით თუ უნებლიედ თავადაც ჰქონდა ხელი გასვრილი არაერთი უდანაშაულო ადამიანის სისხლში, სხვათა დასასჯელად მისი და მისი თანაპარტიელების ამგვარ ქმედებას ერთგან ასეთ გამართლებას აძლევს: „სოციალიზმის დროს დამნაშავეები არ იქნებიან." მაგრამ თუ ასეთები მაინც გამოჩნდებიან, „ჩვენ მათთან ახსნა-განმარტებას ჩავატარებთ... და თუ საჭირო გახდება, მივცხრილავთ" (ოკუჯავა, 2001: 86).

ვანვანჩის მამის რევოლუციური ფანატიზმის წარმომჩენი ეს სიტყვები უბრალო განცხადებას რომ არ წარმოადგენდა, ამის ნათელსაყოფად არაერთი ეპიზოდი შეიძლება გავიხსენოთ რომანიდან. ავტორისეული მონათხრობისადმი ინტერესს ამ შემთხვევაში ის ფაქტიც განაპირობებს არსებითად, რომ „გაუქმებული თეატრი" ავტობიოგრაფიული ეპიზოდებით დატვირთულ იმ მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც შალიკო და მისი მეუღლე რეალურად არსებული პიროვნებანი, თავად მწერლის მშობლები, არიან.

ყოველივე ზემოთქმულისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, ნაწარმოებიდან კიდევ ერთ ეპიზოდს დავიმოწმებ: საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქუთაისის მილიციის უფროსად დანიშნულ შალიკოსთან, რომელიც ამ ტრაგიკული მოვლენის აქტიური თანამონაწილე იყო, ერთი გოგონა მივიდა, ვისთანაც მას ბავშვობის დროინდელი სიყვარული აკავშირებდა. აი, რას უყვება იგი თავის მეუღლეს – აშხენს ამასთან დაკავშირებით: „მახსოვს, მან მე შუბლზე მაკოცა... წარმოგიდგენია?.. შემდეგ მოიღუშა და დაილუღლუღა; – იცი, ის ჩემთან მოვიდა ოცდაერთ წელში, როცა მე უკვე ქუთაისში მილიციის უფროსი ვიყავი... ის სოფლელი გრძელცხვირა გოგო იყო..." – „რისთვის მოვიდა? – არცთუ დიდი ინტერესით ჰკითხა მას აშხენმა. – შუბლზე საკოცნელად?" – „რა შუბლი, რის შუბლი... ჩვენ მამამისი დავაპატიმრეთ... იცი მაშინდელი ამბები... უცხო ელემენტი იყო... და ის სათხოვნელად

მოვიდა, გამახსენა, რომ მე მას ვკოცნიდი და რომ მის წინაშე ლეკურს ვცეკვავდი... იმ ჩვენი ბავშვური სიყვარულისთვისო... მე მას ვუთხარი: ჯერ ერთი, მოქალაქევ, მე კი არ მიკოცნია თქვენთვის შუბლზე, თქვენ მაკოცეთ, მეორეც, მამათქვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების თავგამოდებული მტერია და ჩვენ მას ურევერანსებოდ მოვექცევით!.." (ოკუჯავა, 2001: 234).

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ტოტალურად გატარებული რეპრესიული პოლიტიკის მამხილებელ ამბავთა მოთხრობის დროს, ბულატ ოკუჯავამ შესაბამისი პერიოდის საქართველოში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზეც გაამახვილა ყურადღება და დოკუმენტური სიმართლით წარმოაჩინა შალიკო ოკუჯავასთან და მის ძმებთან ლავრენტი ბერიას დაპირისპირების ამბავი.

კერძოდ, ხსენებული პერიოდის საქართველოში გამძაფრებული სახით მიმდინარე რეპრესიული პოლიტიკის აქტიურად წარმმართველი ლავრენტი ბერია შალიკოს ბრალს, დებდა იმაში, რომ იგი მის მიერ „თავგამოდებულ ტროცკისტებად" მიჩნეულ მისივე ძმებთან – მიშასთან და კოლიასთან ერთად სვამდა ღვინოს, კოლმეურნეობათა შექმნას ეწინააღმდეგებოდა და ამით „დიდი სტალინის" პოლიტიკას უპირისპირდებოდა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ამგვარი ბრალდებებით აღშფოთებული შალიკო იმხანად მოსკოვში მყოფ მის მეუღლეს: „ლავრენტი იმას არ სჯერდება, რომ მიწასთან გასწორებულ მიშასა და კოლიას ანათემაზე გადაცემას განაგრძობს. ამ ბოლო დროს ჩემს მიმართაც ძალზე მკაცრი და სიტყვაძუნწია... მე არ მახსოვს, აშხენ, რომ მე და შენ პარტიის ხაზთან უთანხმოება გამოგვეხატოს. თავის დროზე ჩვენ მიშაც გავკიცხეთ და კოლიაც. ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ისინი, როგორც ადამიანები, უნდა გვეზიზღებოდნენ... ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია ამ ინტრიგანს. როცა ირგვლივ ამდენი მტერია და ფაშიზმი წელში იმართება, ჩვენებს რას გადაეკიდა?.. მინდა ვთხოვო, სადმე რუსეთში გამგზავნოს. აქ ბლანტი ჭაობი, აშკარა, შუმი მლიქვნელობა და სხვა პოლიტიკური თამაშებია" (ოკუჯავა, 2001: 177).

ბერიასთან შალიკოს დაპირისპირებამ იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ ამ ამბავმა ცენტრალურ ხელისუფლებამდეც მიაღწია, რასაც შედეგად საქართველოდან შალიკოს გაძევება და ურალში სამუშაოდ წარგზავნა მოჰყვა.

ხელისუფლების სამსახურში უღალატო ერთგულებით დგომის მიუხედავად, შალიკოსა და მის მეუღლეს ქვეყანაში განვი-

თარებულმა არასასურველმა პროცესებმა და სახელისუფლებო სტრუქტურებში არსებულმა კლანურმა დაპირისპირებებმა მათ თავიანთი პარტიული იდეალებისადმი ფარული ეჭვებიც გაუჩინეს და მათაც დაეუფლათ სინანულის გრძნობა იმის გამო, რომ ამ ტრაგიკულ პროცესში ნებსით თუ უნებლიედ თავადაც ჰქონდათ მიღებული მეტ-ნაკლებად აქტიური მონაწილეობა. მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევს ხელისუფლების მიერ ტროცკისტებად და საბჭოთა იდეების მოღალატეებად მიჩნეული მისი ძმების დაპატიმრების ამბავს შალიკო მეუღლესთან საუბრის დროს: „ეს ყველაფერი დიდი აქციის დასაწყისი იყო... ისინი, ყველანი, ყოფილ სემინარიელს (იგულისხმება სტალინი – ა. ნ.) თვალში ეკლად ესობოდა...

შალიკომ აშხენს ხელზე გადაუსვა ხელი და უცებ დაფიქრდა იმაზე, რომ ეს ახლა მათი ცხოვრებაცაა. ისე მათაც რამდენი ამხილეს აქ, ურალში... რაღაც ჭკუაზე შერყეულობაა! არადა, როცა მათგან მხილებული მტერი თავისი დანაშაულის გამოსასყიდად მიდიოდა, განა მათსავით არ ისხდნენ მისი ოჯახის წევრები და ახლობლები თავიანთ დაუცველ, ხმაურიან ოთახებში, მათსავით არ იმტვრევდნენ თითებს და მათაც ახალი უბედურების წინათგრძნობა არ ტანჯავდათ?.. აგერ ჯერ კიდევ გუშინ, ის, შთაგონებით აღსავსე, არ ამზადებდა ქალაქის პარტაქტივზე წარმოსათქმელ სიტყვას, რომელიც ამხელდა, გამოააშკარავებდა მორიგ ტროცკისტ ორპირს. ის ცხარობდა, ეძებდა გარეწრების დასაგმობ უბრალო, ადვილად გასაგებ, მომაკვდინებელ სიტყვებს“ (ოკუჯავა, 2001: 284).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შალიკოცა და აშხენიც სიცოცხლის ბოლომდე მაინც დარჩნენ თავიანთი პარტიული მიზანსწრაფვის უღალატოდ ერთგულ პიროვნებებად. მაგალითად, აი, როგორ აღწერს მწერალი იმ ვითარებას, რომლის თანამონაწილედ თავადაც იქცა თბილისიდან ურალში სამუშაოდ ოჯახთან ერთად წარგზავნილი შალიკო: „მას, ქალაქურად – თბილისურად ნაცხოვრებ კაცს, უმძიმდა ეყურებინა უამრავი ნახევრად მშიერი მუშისათვის, რომლებსაც დაჩვრეტილი, დალიანდაგებული ქურთუკები, დამსკდარი ტყავის ტყაპუჭები, დაძენძილი ფარაჯები და ბაწარმოხვეული სანდლები და კალოშები ეცვათ. შალიკო გულდამძიმებული უყურებდა მათ თვალებსა და ლოყებჩაცვენილ სახეებს და კიდევ: ტილების არმიასა და ტიფის საფრთხეზე საშინელი მითქმა-მოთქმა ხომ სიცოცხლეს უმწარებდა...

მას, როგორც ცეკას პარტორგს, ნაბდის ჩექმები და ტყავის ჯუბაჩა მისცეს. „არა, არა, – პროტესტი განაცხადა მან, – რას ამბობთ! მე რაცა მაქვს, ისევ ის მეცმევა"...

ის ბარაკ-ბარაკ დადიოდა და სიმყრალისაგან იგუდებოდა. როცა ამ ჯოჯოხეთში ხვდებოდა, ყოველთვის ისე კრთებოდა, თითქოს დამპალი თევზის გადმოყრილი შიგნეულის ზვინში დანთქმულიყოს" (ოკუჯავა, 2001: 204).

თავის პარტიულ სამფლობელოში არსებული ამგვარი შემაძრწუნებელი მდგომარეობა რევოლუციური ფანატიზმით გულანთებულ შალიკოს გულწრფელად უჩენდა პროტესტის გრძნობას იმ პრივილეგიათა გამო, რასაც ხელისუფლების მესვეურები მას, როგორც მაღალი რანგის პარტიულ მუშაკს, უწესებდნენ. მაგალითად, როცა ურალში სამუშაოდ წარგზავნილს ახლად აშენებულ ძელურ სახლში საცხოვრებლად სამოთახიანი ბინა გამოუყვეს, მან ამის გამო პროტესტი განაცხადა, მაგრამ იძულებული გახდა ამ შეთავაზებას ბოლოს მაინც დათანხმებოდა, რადგანაც განუცხადეს, რომ პარტორგს ბარაკში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა.

1920-1930-იანი წლების ქართული რეალიების წარმოსახვის პროცესი ბულატ ოკუჯავას რომანში განუყოფელად დაუკავშირდა შალიკო ოკუჯავას მეუღლის – აშხენ ნალბანდიანის ცხოვრებიდან მოთხრობილი ეპიზოდების გადმოცემასაც. მიუხედავად იმისა, რომ თავისი პარტიული კარიერიდან გამომდინარე, მას ცხოვრება საბჭოთა იმპერიის სხვა რეგიონებშიც უხდებოდა, თბილისი მისთვის მაინც გამორჩეულად საყვარელ მშობლიურ ქალაქს წარმოადგენდა. კერძოდ, ქართულ სამყაროსთან მისი ასეთი სისხლხორცეული კავშირი რომანში ასეა განმარტებული: აშხენი „თბილისის გარეუბანში მცხოვრები, ქართული მზით გამთბარი, ამ მიწის არომატების სუნთქვით და ხორხისმიერი ქართლური მეტყველების სმენით გულნაჯერები სომეხი გოგონა" იყო (ოკუჯავა, 2001: 51).

თუმცა საბჭოთა ხელისუფლების თავგანწირულ მსახურად ქცეული ეს პიროვნება, მიუხედავად თავისი სომხობისა და ქმარშვილის მეშვეობით ქართულ გარემოსთან სისხლხორცეული კავშირ-ურთიერთობისა, საკუთარ თავს რევოლუციასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან გაიგივებული რუსი ხალხის ნაწილად მიიჩნევდა და თავის ეროვნულ იდენტობას არასოდეს მიიჩნევდა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად.

რომანის მიხედვით, აშხენის რევოლუციური ფანატიზმი იმდენად დიდ მასშტაბებსაც კი მოიცავდა, რომ იგი მის მიერ ოჯახის შექმნასაც და შვილის შეძენის მოლოდინსაც ამ საქმის ღალატად მიიჩნევდა და ფეხმძიმედ მყოფი თავის პროტესტანტულ განწყობას ამ სიტყვებით გამოხატავდა: „აშხენი თავის თავს საერთო საქმის მოღალატედ მიიჩნევდა... რამდენი საქმეა გასაკეთებელი, ასეთი დაძაბული ცხოვრებაა და ახლა აგერ ესეც... განა ახლა ეს საჭიროა? – და თითით მუცელს ეხებოდა.

და ასეთი სირცხვილიანი – მუცელგამობერილი მიჰყვებოდა ის იანვარში ლენინის კუბოს, ცრემლების ღვარს არ იწმენდდა და სასოწარკვეთით იმტვრევდა ხელებს“ (ოკუჯავა, 2001: 109).

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ასეთი ფანატიკური ერთგულებით მდგარი აშხენიცა და მისი ოჯახის წევრებიც არაერთგზის იქცნენ უსამართლო დევნისა და რეპრესირების ობიექტებად, რომანის მიხედვით, იგი ბოლო დრომდე მაინც რჩება რევოლუციური იდეების ტყვეობაში და ხელისუფლებისადმი მის ასეთ ერთგულებას ამგვარად განმარტავს: „შეცდომები, რასაკვირველია, ხდება... ადამიანები ზოგჯერ ცდებიან, მაგრამ პარტია – არასოდეს“ (ოკუჯავა, 2001: 263).

თუმცა 1930-იანი წლების რეპრესიათა მსხვერპლად აშხენის მახლობელი ადამიანების, პირველ ყოვლისა კი მეუღლის, ქცევის შედეგად მის ამგვარ რევოლუციურ ფანატიზმს ბზარი მაინც უჩნდება და, შექმნილი მდგომარეობით დაბნეული, ქმარს გულახდილად ეუბნება: „რაღაცა ხდება ისეთი, რის გაგებაც მე არ შემიძლია“ (ოკუჯავა, 2001: 301).

იქიდან გამომდინარე, რომ „გაუქმებული თეატრის“ შექმნის უმთავრეს მიზანს 1920-1930-იანი წლების საბჭოთა ყოფის ნაწილად ქცეულ ქართულ რეალობასთან აქტიურად დაკავშირებულ პიროვნებათა ტრაგიკული ცხოვრებისეული ხვედრისა და ქართული რეალიების დოკუმენტური სიმართლით წარმოსახვა წარმოადგენს, ბულატ ოკუჯავას რომანისადმი ქართველი მკითხველის ინტერესი, პირველ ყოვლისა, სწორედ აღნიშნული გარემოებითაა განპირობებული.

„გაუქმებული თეატრისადმი“ ქართველი მკითხველის განმაპირობებელ ერთ-ერთ საგულისხმო ფაქტორად ის გარემოებაც უნდა მივიჩნიოთ, რომ მის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა გალერეაში ეპიზოდური სახით გალაკტიონ ტაბიძეც გვხვდება. კერ-

ძოდ, რომანში ფრაგმენტულად არის მოთხრობილი რამდენიმე ეპიზოდი როგორც ოლიასთან, ისე ოკუჯავების ოჯახის სხვა წევრებთან პოეტის ურთიერთობიდან. თუმცა, ობიექტურად თუ ვიტყვით, აღნიშნულმა სიუჟეტურმა ეპიზოდებმა სასურველი მხატვრული შთამბეჭდაობა ვერ შეიძინა.

რომანის ხსენებულ ფრაგმენტებზე უფრო მეტად საინტერესო ამ შემთხვევაში ის შეფასებებია, რასაც მწერლის მიერ წამოსახული ოლია ოკუჯავა აძლევს გალაკტიონის პოეტურ შესაძლებლობებსა და შინაგანად წინააღმდეგობრივ, რამდენადმე გაორებულ კავშირს რევოლუციურ მოვლენებთან და ამ მოვლენათა სამსახურში მყოფი ოკუჯავების ოჯახის წევრებთან.

მაგალითად: „გალაკტიონს სიკეთე სწყუროდა, მაგრამ სისასტიკეებისაგან იტანჯებოდა. მას უნდოდა ხოტბა შეესხა ამ ახალი სამყაროსათვის, მაგრამ ყოველთვის ყოველ ძახილის ნიშანს საკუთარი თავის უარყოფამდე მიჰყავდა. მას არწმუნებდნენ, რომ ახალი ტანჯვის გზით იბადებოდა. ის ამას ეთანხმებოდა, მაგრამ შემდეგ თითქმის ფიზიკურ ტკივილს გრძნობდა თითებში, ყელზე კი, თოკის მარყუჟს. „საწყალი გალაკტიონი, – ამბობდნენ მასზე ოლიას ძმები, – ის მეტისმეტად დახვეწილი და დაუცველი, უმწეოა იმისთვის, რომ მას გვერდი აუაროს იმ სისხლმა და ჭუჭყმა, რომლებისგანაც ახალი იბადება.“ – „მე ძალიან მიყვარს შენი ძმები, – ეუბნებოდა გალაკტიონი ოლიას, – ისინი ასე სუფთანი და უანგარონი არიან, მაგრამ რატომღაც კეთილშობილ ყაჩაღებს გვანან, რომლებიც ვიღაცის უმოწყალო ნებით იძულებულნი არიან უწესოდ მოიქცნენ“ (ოკუჯავა, 2001: 81).

„გაუქმებული თეატრის“ გალაკტიონოლოგიურ ეპიზოდებზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო, რომ რომანის ავტორიცა და მის მიერ წარმოსახული პერსონაჟებიც, პირველ ყოვლისა კი ოლია, მისი შემოქმედებითი გენიალობის შემფასებლის როლშიც გვევლინებიან დროდადრო. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის თქმით, „გალაკტიონს ყველაფერი შეუძლია! ვიდრე სხვა პოეტები აღმოჩენებისთვის მწიფდებიან, მას უკვე აღმოჩენილი აქვს! ის ყოველთვის პირველია“ (ოკუჯავა, 2001: 83).

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ გალაკტიონის პოეტურ შესაძლებლობათა ამგვარი შეფასება, უპირველეს ყოვლისა, თავად ბულატ ოკუჯავას თვალსაზრისს რომ გამოხატავდა, ეს მან

ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში გამოქვეყნებული მისი იმ ინტერვიუთიც დაადასტურა, რომლის მეშვეობითაც გალაკტიონი „ჩვენი დროის ყველაზე დიდ პოეტად" აღიარა და გულისტკივილით აღნიშნა ის ფაქტი, რომ უცხო ენებზე მის მიერ შექმნილი პოეტური შედევრების სრულფასოვნად გადაუთარგმნელობის გამო, „მისი სახელი საქართველოს ფარგლებს არ იყო გაცილებული" („ლიტერატურული საქართველო," 1977 წ. 25 ნოემბერი).

იქიდან გამომდინარე, რომ ბულატ ოკუჯავას რომანის სამოქმედო პერიოდად ქცეულ დროში საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკას წარმოადგენდა, მწერლის მიერ წარმოსახული ქართული რეალიების მეშვეობით არა მარტო მაშინდელ საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე გვექმნება ნათელი წარმოდგენა, არამედ მთელ საბჭოურ ყოფაზეც. როგორც მკითხველი წინამდებარე ნარკვევში დამოწმებული ეპიზოდებითაც ნათლად დაინახავს, უმთავრესი პათოსი, რითაც მწერალი მაშინდელ ყოფას ასახავს, იმდროინდელ მანკიერებათა მძაფრად კრიტიკული მხილებაა.

სამწუხარო ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, რომ მწერლის ყურადღების მიღმა მთლიანად დარჩა იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად გატარებული ის ანტიეროვნული პოლიტიკა, რომლის უმთავრესი მიზანი საბჭოთა კავშირში მცხოვრებ არარუს ხალხთა რუსიფიკაცია იყო. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის ინდიფერენტული დამოკიდებულება იქცა, საკუთარ ეროვნულ ფესვებს რეალურად მოწყვეტილი ბულატ ოკუჯავა რომ ავლენდა თავისი ქართული წარმომავლობისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა

ლებანიძე მ. თხზულებანი ექვს ტომად, ტ. 1, ლირიკა, ქუთაისი, 2010 წ.

ოკუჯავა ბ. კეთილი გრძნობის პოეტი. იტალიურ გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუ ბულატ ოკუჯავასთან. ინტერვიუს ქართული თარგმანი იხ: გაზ. „ლიტერატურული საქართველო," თბ. 1977 წ. 25 ნოემბერი.

ოკუჯავა ბ. გაუქმებული თეატრი. ოჯახური ქრონიკა. რუსულიდან თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ, თბ. 2001 წ.

ტაბიძე ნ. გალაკტიონი, თბ. 2000 წ.

ტ. ტ. კატები ასე არ იქცევიან. გაზ. „მამული," თბ. 1990 წ. #8.

2021 წ.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Georgia in the Life and Creative Work of Foreign Writers

Abstract in English

The book thoroughly discusses the relations of prominent representatives of German, Austrian, English, Turkish and Russian literature with Georgia and their works on Georgian themes.

A famous Austrian writer Arthur Gundaccar von Suttner (1850-1902) lived in Georgia with his wife, Nobel Peace Prize Laureate Bertha von Suttner for nine years (1876-1885) and occupied a significant place in the history of Georgian culture. Most of his works are dedicated to depicting the life of the Georgian and Caucasian peoples. His novels "The Adjarians" and "The Iberians" are especially interesting in this respect. The novel "The Iberians" has not been published in the author's homeland to this day. The manuscript was found in the Vienna Library and translated into Georgian by Tamaz Gvenetadze. The novel reflects the situation created in Georgia after its conquest by Russia with historical truth. Arthur Suttner has created other fiction texts on Georgian themes. He is also the author of highly interesting publicist letters about Georgia. He has made a significant contribution to the popularization of Georgian literature in Europe as well. His Rustvelological work is extremely valuable in this respect. He is the first foreign author to analyze "The Knight in the Panther's Skin" in the context of European literature and labeled it as a major addition for world literature.

A famous German writer Arthur Leist (1852-1927) was the first foreign writer to physically make Georgia his second homeland and is buried in Tbilisi. He successfully demonstrated his versatile Kartvelological activity in the field of translation and translated a number of samples of Georgian literature into German; In addition, by means of his works published in the German press he did a lot to popularize Georgian literature in Europe. Arthur Leist's spiritual closeness to Georgia was also revealed in his unique works, and he created numerous works depicting Georgian life. Furthermore, he translated "The Knight in the Panther's Skin" into German.

Along with her active work in the field of Kartvelology, Marjorie Wardrop (1869-1909) also occupied an indelible place in the history of Georgia through her personal relations with the Georgian friends. It is obvious from her letters written to them in Georgian that her love for Georgia had become an inseperable part of her life. Marjorie Wardrop began her translating activities in the 1880s and made a number of works of Georgian literature available to English-speaking readers. Her translation of "The Knight in the Panther's Skin" by Shota Rustaveli is of special importance. Through the intensive correspondence with Georgian friends in their native language, Marjorie Wardrop clearly demonstrated her strong spiritual closeness to our country.

The Basque writer Martina Mintegi Bilbao occupied her rightful place in the history of Georgian literature with "My Basque Land". The writer wrote the book based on the impressions she received from the trip to her motherland, the Basque Country. Martina,

who at the age of ten due to the Spanish Civil War found refuge in the former Soviet Union in 1937, was allowed to visit her motherland for the first time as a tourist in 1966. Such interest towards the book has essentially emerged against the background of the Caucasian-Basque hypothesis concerning ethnic and linguistic kinship. While narrating her impressions, the writer does not leave this problem unattended either.

The historical novel "The Georgian Girl or Revenge" by a famous Turkish prose writer Ahmet Mithat Efendi (1844-1912) is the first fictional text in Turkish literature depicting the historical past of Georgia. The story of the killing of the Russian Major-General Lazarev in 1803 by Queen Mariam _ the wife of George XII (the last king of the kingdom of Kartli and Kakheti) is told with much historical truth. When evaluating the novel, the benevolent attitude that the writer expresses towards our country should be especially noted.

Although two works the novel "Killed Spirit" (1932.) by Grigol Robakidze (1880-1962) and the novel "Snow" (1999-2001) by Orhan Pamuk (born in1952) represent the reality radically different in epochs, political systems and religions, they are still similar in many ways and give a solid ground to reveal ideological interrelations of the two authors. Due to the fact that the "Killed Spirit" was published in German by the writer while living in exile and was a popular work in Europe, it is possible that the Turkish writer had also read it. The similarities between the worldviews of Gr. Robakidze's and Pamuk's novels are essentially due to the apparent correspondence between the realities depicted by the authors.

The main theme of the novel "Silent Cries (Georgian Migration)" by Ilhan Akin, a prominent representative of Turkish literature, is the depiction of the tragic fate of Georgian Muhajirs. The writer describes the difficult situation in which Georgian Muhajirs exiled from Georgia to the Ottoman Empire found themselves as a result of taking this step.

The most brilliant example of the literary heritage of Lev Tolstoy (1828-1910) - "Hadji-Murat" - is a work exposing the policy of conquest pursued by the Russian authorities to oppress the peoples of the North Caucasus and subjugate the region to the Russian Empire. It describes in a shocking way the cruelty shown by the Russian authorities to conquer the peoples of the North Caucasus. The mountain-dwellers, under the leadership of their legendary chieftain Shamil, fought against this aggression for a long time and sacrificed themselves. The writer clearly expresses his sympathetic attitude towards these people who fight for the defense of their homeland. The story is important not only in terms of understanding the essence of the historical situation of the relevant period, but also assessing the current events in the Caucasus region, first of all in Abkhazia and Samachablo, organized by Russian aggressors.

In Bulat Okujava's (1924-1997) autobiographical novel "The Abolished Theater" (1993) the stories of the reality of the Soviet Union in the 1920s and 1930s are told in an impressive way. Due to the fact that Georgia, where most of the stories told by the writer take place, was part of the Soviet Empire at that time, and most of the characters are Georgians, the depiction of the reality in our country of the relevant period became the subject of special attention in the authorial narrative. Therefore, the reader of the novel is given the opportunity to conceptualise the events with documentary truth through which we have a clear idea of the Soviet Union of the relevant period and the reality in Georgia which at that time became its constituent part.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

შტრიხები ბიოგრაფიიდან

დაიბადა 1948 წელს ვანის რაიონის სოფელ გორაში. 1966 წელს იქვე ოქროს მედალზე დაასრულა სკოლა. 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტი (ახლანდელი უნივერსიტეტი) ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით.

1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1980 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 1970 წლიდან მუშაობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს იყო ლაბორანტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში, უნივერსიტეტის რექტორი (1996-2005 წწ.). 1987-2011 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის დეპარტამენტს (კათედრას); 2011 წლიდან კი სათავეში უდგას ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს. 2013-2019 წლებში იყო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; ამჟამად არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განყოფილების – უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა – ხელმძღვანელი, ქართულ ლიტერატურაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ (ქუთაისი) რედაქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს კოორდინატორი, რუსთაველის საზოგადოების იმერეთის რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და ამავე საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, სხვადასხვა სამეცნიერო და ლიტერატურულ გამოცემათა რედკოლეგიების წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

არჩეულია გელათის მეცნიერებათა აკადემიის (1995 წ.), ნიუ-იორკის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის (1999 წ.), ლიტერატურათმცოდნეთა აკადემიის (2010), ქართველ მწერალთა, ხელოვანთა და

მეცნიერთა აკადემიისა (2013 წ.) და განათლების ინფორმატიზაციის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის (2018 წ.) აკადემიკოსად.

სხვადასხვა დროს იყო: ქუთაისის სამეცნიერო ცენტრში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი და ამავე ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამეცნიერო ალმანახ „ლიტერატურული დიალოგების“ (ქუთაისი) მთავარი რედაქტორი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების ჟურნალ „ნოსტალგიის“ რედაქტორ-გამომცემელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი და უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი (შეთავსებით). მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ჰყავს დოქტორანტები.

მინიჭებული აქვს შემდეგი პრემიები და ჯილდოები:

– დავით გურამიშვილის პრემია საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისაგან – 2018 წელს;

– ქართული კულტურის რაინდის წოდება საქართველოს მწე-რალთა კავშირისგან – 2018 წელს;

– სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის სერთიფიკატი „ჩვენი კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ – 2017 წელს;

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმი-დესისა და უნეტარესის ილია მეორის სიგელი – 2016 წელს;

– იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღეს-თან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გადაცემული საპატიო სიგელი ფილოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის – 2015 წელს;

– საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვ-ნული აკადემიის პრემია წლის მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომისთვის – „ქართველ მწერალთა ეროვნულ–პოლიტიკური მრწამსი,“ ორტომეული – 2015 წელს;

– ილია ჭავჭავაძის პრემია საქართველოს მწერალთა კავ-შირისგან – 2013 წელს;

– აკაკი წერეთლის პრემია საქართველოს მწერალთა კავ-შირისგან – 2010 წელს;

– ნიკო ნიკოლაძის პრემია მწერალთა კავშირის იმერეთის რეგიონისაგან – 1998 წელს;

– ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებისთვის – 1996 წელს;

– გერცელ ბააზოვის პრემია – საქართველოს მწერალთა კავშირისგან 1995 წელს;

– ქართულ-ევროპული ინსტიტუტის (პარიზი) პრემია მონო-გრაფიებისათვის: „ტიციან ტაბიძე (ცხოვრება და შემოქმედება)“ და „პაოლო იაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება)“ – 1993 წელს.

არის ქუთაისის, ვანისა და ქალაქ კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე.

1998 წელს დააჯილდოეს „ღირსების ორდენით.“ გამოცემული აქვს ოცდაათზე მეტი წიგნი. ავტორია ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული 300-ზე მეტი ნაშრომისა.

არის კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების წევრი. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების მიერ 2003 წლის 26 ივნისს არჩეულია XXI საუკუნის 2000 საუკეთესო ინტელექტუალს შორის.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.